

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS**

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის
დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების
თანამედროვე ეტაპზე

**COLLECTION OF MATERIALS OF INTERNATIONAL
SCIENTIFIC- PRACTICAL CONFERENCE DEDICATED TO
THE 65 th ANNIVERSARY SINCE THE FOUNDATION OF PAATA
GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS AND THE 105 th BIRTH
ANNIVERSARY OF ACADEMICIAN PAATA GUGUSHVILI**

**Actual Economic Problems At
Current Stage of Global Development**

**თბილისი
TBILISI**

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS**

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის
დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების
თანამედროვე ეტაპზე

(8-9 ივლისი, 2010)

**COLLECTION OF MATERIALS OF INTERNATIONAL
SCIENTIFIC- PRACTICAL CONFERENCE DEDICATED TO
THE 65 th ANNIVERSARY SINCE THE FOUNDATION OF PAATA
GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS AND THE 105 th BIRTH
ANNIVERSARY OF ACADEMICIAN PAATA GUGUSHVILI**

**Actual Economic Problems At
Current Stage of Global Development**

(8-9 July, 2010)

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS
თბილისი Tbilisi 2010

UDC (უკ) 061.62:33(479.22)(063)

პ – 323

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში 2010 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of economics in 2010

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ი. ანანიაშვილი, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, ნ. კაკულია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ე. მექვაბიშვილი, ი. ნათელაური, ვლ. პაპავა, უ. სამადაშვილი, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, თ. ჩხეიძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (editor-in-chief), I. Ananiashvili, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, E. Kakulia, N. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, T. Lazarashvili, E. Mekvabishvili, I. Natelauri, V. Papava, U. Samadashvili, L. Totladze

რეცენზენტები: ემდ გ. პაპავა,
ემდ მ. კვარაცხელია

**Reviewers: Doc. of Econ. G. Papava,
Doc. of Econ. M. Kvaratskhelia**

© პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
© PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS

2010

ISBN 978-9941-9060-7-7

კლენარული სხლომა

რამაზ აბესაძე

ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა

ეკონომიკური განვითარება არის ეკონომიკის გადასვლა თვისებრივად ახალ, უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში. ხშირად ცნებები “ეკონომიკური განვითარება” და “ეკონომიკური ზრდა” გაიგივებულია, რაც არასწორია, ვინაიდან პირველი ასახავს თვისებრიობას, ხოლო მეორე – მხოლოდ რაოდენობრიობას. მოკლევადიან პერიოდში ეს ორი პროცესი შესაძლებელია, ერთმანეთის გარეშე არსებობდეს. გრძელვადიან პერიოდში კი, სწორედ ეკონომიკური განვითარება ქმნის განუსაზღვრელ პირობებს ეკონომიკური ზრდისათვის.

რა არის ეკონომიკური განვითარების მიზანი? ეკონომიკური განვითარების მიზანია ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა მანქნებელში გამოიხატება. უპირველეს ყოვლისა, ეს არის არსებობისათვის აუცილებელი საჭონლისა და მომსახურების (სურსათი, საცხოვრებელი ბინა, ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება) წარმოების ზრდა, მეორე, ცხოვრების დონის ამაღლება (კომფორტი, დასვენება, განათლება, კულტურა, ეთიკა, ესთეტიკა, სულიერი სიმდიდრე) და, მესამე, თავისუფლება (არჩევანის უფლება, კანონის უზენაესობა).

ეკონომიკური განვითარების შედეგად მიიღება ეკონომიკის თვისებრივად ახალი მდგომარეობა, რომელიც ეკონომიკური განვითარების შემდგომი დაჩქარების საშუალებას იძლევა. ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები, რომლებიც კიდევ უფრო აძლიერებენ ეკონომიკური განვითარების პროცესს. საქმე გვაქვს თვისებრივად ახალ საკუთრების ფორმებთან, ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალთან, ტექნოლოგიებთან, ინსტიტუციებთან და ა.შ. ეკონომიკური განვითარების პროცესი არის მუდმივი, რომელსაც, ძირითადად ევოლუციური ხასიათი აქვს.

ეკონომიკური განვითარების პროცესზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათგან აღსანიშნავია: მეცნიერება, განათლება, ტექნოლოგია, გამოგონება, ინოვაცია, მეწარმეობრივი უნარი, ადამიანისეული კაპიტალი, ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ფიზიკური კაპიტალი, ენერგეტიკა, ინსტიტუტები და მრავალი სხვა.

ეკონომიკური განვითარების საფუძველთა საფუძველია აღმოჩენები, უპირველეს ყოვლისა, ფუნდამენტურ, შემდეგ კი გამოყენებით მეცნიერებებში. მეცნიერულ აღმოჩენაში იგულისხმება ისეთი სიახლე, რომელიც ნათელს ჰფენს ბუნების ან ადამიანთა საზოგადოების განვითარების დღემდე ამოუცნობ კანონზომიერებებს და ამით ძირეული ცვლილებები შეაქვს სამყაროს შემეცნებაში. გამოგონება კი მეცნიერების განვითარების უკვე მიღწეული დონის ფარგლებში დაგროვილ ცოდნაზე დამ-

ყარებული სიახლეა [3, გვ.13-15]. ინოვაცია კი არის სიახლის წარმოებაში დანერგვის პროცესი, რომელსაც მოჰყვება პროგრესული ცვლილებები ან ტექნიკაში, ან წარმოების ორგანიზაციის ფორმებსა და მეთოდებში, ან ადამიანებში (ადამიანისეულ კაპიტალში), ან ინსტიტუციებში (სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტებში, ტრადიციებში, სამართლებრივ და კულტურულ ნორმებში და ა.შ.) და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი – ეს არის ეკონომიკაში ინოვაციათა განხორციელების პროცესი, რომელიც მოიცავს მის ყველა მხარეს (პროდუქციის ახალი სახეობები, გასაღების ახალი ბაზრები, წარმოების, ახალი საშუალებები, ახალი ადამიანისეული კაპიტალი და ა.შ.).

ტექნოლოგიური პროგრესი ხორციელდება ინოვაციების მეშვეობით, რომელსაც მიყვავართ მწარმოებლურობის ამადლებასთან, ადამიანის როლისა და ფუნქციების შეცვლასთან წარმოების პროცესში, ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობათა ზრდასთან.

მეცნიერება-გამოგონება-ინოვაცია-წარმოების ჯაჭვში განათლების პროცესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან თითოეულ ამ რგოლს მაღალგანვითარებული მუშაკები (მეცნიერები, გამოგონებლები, მეწარმეები) ესაჭიროება. განათლება ეკონომიკაზე გავლენას ახდენს, როგორც სამუშაო ძალის მწარმოებლურობის ამადლების უმთავრესი საშუალება. მაგრამ მისი გავლენა ეკონომიკაზე ამით არ ამოიწურება. განათლება ასევე ზემოქმედებს მომხმარებელზედაც, ზრდის რა მათ გემოვნებასა და მოთხოვნილებებს, რაც, თავის მხრივ, სრულყოფს და აფართოებს ბაზარს.

მეწარმე არის სამეურნეო სუბიექტი, რომლის მთავარი ფუნქციაცაა ინოვაციების განხორციელება და რომელიც წარმოების აქტიურ ელემენტს წარმოადგენს [12, c. 169]. მაგრამ, მეწარმე ინოვაციური პროცესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი იყენებს ტექნოლოგიურ ცოდნას, არამედ იმიტომ, რომ იგი, ხშირ შემთხვევაში, თავად არის ახალი იდეის ავტორი.

ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფა იწვევს დადებით გარეგან ეფექტს. განათლებულ ადამიანს მეტი შესაძლებლობები აქვს ახალი იდეების შესამუშავებლად, რომელიც მიმართულია როგორც ტექნოლოგიის სრულყოფის, ასევე მართვისა და ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემუშავებისაკენ.

ეკონომიკურ განვითარებაზე ბუნებრივი რესურსების ზეგავლენა გამოიხატება იმაში, რომ: ეკონომიკური საქმიანობის დროს ხდება ახალი სახეობის რესურსების ათვისება (მაგალითად, ატომური ენერჯია, მზის ენერჯია, ბიოენერჯია და ა.შ.), რომელსაც ხშირად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები ფიზიკურ კაპიტალში იწვევს ფიზიკური შრომის სულ უფრო დაშორებას პროდუქციაზე უშუ-

აღო ზემოქმედებისაგან და ეს როლი ეკისრება ფიზიკურ კაპიტალს. შესაბამისად იზრდება ადამიანის წარმოების პროცესების მაკონტროლებელი ფუნქცია, რაც, თავის მხრივ, არა ფიზიკურ, არამედ უფრო მეტად ინტელექტუალურ შრომას საჭიროებს.

ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გამოყენებული ენერგორესურსების რაოდენობასა და ენერჯის ახალი სახეობის ათვისებაზე. იგი უდიდეს გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების წარმოების, გაცვლისა და მოხმარების პროცესებზე, აუმჯობესებს შრომისა და ცხოვრების პირობებს, ზრდის მათ კომფორტაბელურობას და ა.შ. ენერჯია, თვისებრივი თვალსაზრისით, ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა, რადგანაც ყოველი დიდი ნახტომი ტექნიკაში მხოლოდ ენერჯის ახალი სახეობის (მაგალითად, ელექტროენერჯია) აღმოჩენისა და მისი გამოყენების შედეგად არის შესაძლებელი.

ინსტიტუციონალიზმი ნიშნავს იმას, რომ ადამიანთა ეკონომიკური ქცევები მნიშვნელოვნად განისაზღვრება საზოგადოების სოციალურ-სამართლებრივი მოწყობით, ასევე ტრადიციებით, ადათებით, ჩვევებით და ა.შ. როდესაც ფორმალური ინსტიტუციები არასრულყოფილია, იგი ხელს უწყობს უარყოფითი არაფორმალური ინსტიტუციების წარმოშობასა და არსებულის გააქტიურებას, რაც ძლიერ აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას [1].

უმუშევრობა წარმოადგენს მაკროეკონომიკურ პრობლემას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც მთელ ეკონომიკასა და საზოგადოებზე, ასევე ცალკეულ სამეურნეო ობიექტებსა და თითოეულ ადამიანზე. მას, გარდა ეკონომიკურისა, აქვს სოციალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ. დატვირთვა. მაშასადამე, უმუშევრობა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში: უმუშევრობა (განსაკუთრებით ხანგრძლივადიანი) ამცირებს საზოგადოების ადამიანისეული კაპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება; უმუშევრობის დროს, ადგილი აქვს რა გამომუშავებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანახოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც; უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან.

მაგრამ უმუშევრობის მაღალი დონე თავად ეკონომიკურ განვითარებაში არსებული როგორც უარყოფითი, ისე დადებით ძვრების შედეგია. პირველი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბაზრისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნაკლოვანებებთან. უმუშევრობის დროს ეკონომიკა შეიძლება იმყოფებოდეს მაკროეკონომიკური წონასწორობის, მაგრამ არა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში, რაც ბაზრისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა და რის გამოსწორებაც მხოლოდ სახელმწიფოს სწორი ჩარევის შედეგადაა შესაძლებელი. ამისათვის აუცილებელია, მთავრობას გააჩნდეს დასაქმების რეგულირების მექანიზმი და, შესაბამისად, განვითარებული ინფრასტრუქტურა. დასაქმების რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს სამართლებრივ საფუძვლებს, რეგულირების ინსტრუმენტებს, ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების ღონისძიებათა სისტემას, შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს.

ეკონომიკაში მიმდინარე დადებით ძვრებთან უმუშევრობა დაკავშირებულია ეკონომიკური წყობილების შეცვლასთან ან ინოვაციების დაწერვასთან. ორივე შემთხვევაში აუცილებელი ხდება სახელმწიფოს ჩარევა უმუშევრობის დონის შესამცირებლად. მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა გაატაროს არა ინფლაციური პროცესების მაპროვოცირებელი პოლიტიკა, არამედ იმ ინოვაციების მასტიმულირებელი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის წარმოების მოცულობას ძველის გაფართოებისა და ახალი ეკონომიკური სფეროების ათვისების მეშვეობით.

უმუშევრობის პრობლემის განხილვა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია წლების განმავლობაში დამკვიდრებული, უმუშევრობასთან დაკავშირებული განსაზღვრებების ახლებურ გააზრებასა და მათში გარკვეული დაზუსტებების შეტანასთან. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

ჩვენი აზრით, არასწორია, როდესაც “უმუშევარის” განმარტებებში [15, 41] ძირითადი აქცენტი გადაიტანება ადამიანის გადაწყვეტილებაზე – სურს თუ არა მას მუშაობა. განმარტებაში ასეთი მოთხოვნის არსებობა განპირობებულია იმით, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ განისაზღვრება უმუშევრის სტატუსი და ამ სტატუსის მიღებისათვის აუცილებელია, ადამიანს მუშაობის სურვილი ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვერ მიიღებს ამ სტატუსს და, მაშასადამე, ვერ მიიღებს დახმარებასაც. სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევრის სტატუსის მიღების პროცედურა სხვადასხვა სირთულისაა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ის გაცილებით იოლია, ვიდრე იაპონიაში და ა. შ. [7].

თუ ვიმსჯელებთ საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ, ბუნებრივია, ქვეყნის ყველაზე ძვირფასი რესურსის – **შრომითი რესურსის** გამოყენების ხარისხის დადგენისას მილიონობით შრომისუნარიან დაუსაქმებელ ადამიანთა არჩათვლა უმუშევართა რაოდენო-

ბაში და მათი ჩრდილში დატოვება საეკსპედიციო გაუმართლებელია. იგი ხელოვნურად ამცირებს უმუშევართა რაოდენობას და ამცირებს უმუშევრობის მიმართულებით განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობას. მართალია, კანონმდებლობის მიხედვით, ადამიანს აქვს შრომის თავისუფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფიზიკურად და გონებრივად ჯანსაღი ადამიანი, რომელსაც მუშაობის სურვილი არ აქვს (გამოწვეულია იგი პიროვნების თუ სახელმწიფოს მიზეზით), არ აზარალებს საზოგადოებას.

ამ მოსაზრებას იზიარებს მეცნიერთა ნაწილი. მაგალითად, ედვინ დოლანს და დევიდ ლინდსეის პარადოქსულად მიიჩნიათ, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობა **“უმუშევრებისა”** ვერ ხვდება უმუშევართა კატეგორიაში, რომ მილიონობით ადამიანი, რომლებიც არ ცდილობენ იპოვონ სამუშაო, არ გაითვალისწინება სამუშაო ძალის განსაზღვრის დროს [7; 9].

განმარტებებიდან გამომდინარე, ასევე უმუშევრად ითვლება პირი, რომელსაც აქვს სურვილი იმუშაოს, მაგრამ არის საპენსიო ასაკის. ასეთი პირები უმუშევრად არ უნდა ითვლებოდნენ, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ისინი სამუშაოს ვერ შოულობენ სწორედ იმიტომ, რომ არიან არაშრომისუნარიანნი. ასეთი პირების შეყვანა უმუშევართა რიგებში, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სურთ იმუშაონ, ხელოვნურად ზრდის უმუშევრობის დონეს.

ასევე საკამათოა საკითხი იმის შესახებ, ითვლებოდეს თუ არა უმუშევრად არასრულად დასაქმებული ადამიანები. ოფიციალური სტატისტიკა მათ თვლის დასაქმებულად, მეცნიერთა ნაწილს კი ამის საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნია [მაგ., 4, 43]. რასაკვირველია, მეცნიერთა ეს მოსაზრება ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ალბათ, ამ დროს გასათვალისწინებელია შემოსავლის სიდიდე – პიროვნება უმუშევრად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც არასრული დასაქმების დროს შემოსავალი სიღარიბის დადგენილ ზღვარს ქვემოთაა.

ჩვენი აზრით, **უმუშევრად უნდა ითვლებოდეს პირი, რომელსაც შეუსრულდა სამუშაო ასაკი, არ ეწევა სასარგებლო საქმიანობას (არ მუშაობს, არ სწავლობს, არ იმყოფება სავალდებულო სამხედრო სამსახურში, არ არის დაკავებული საოჯახო მეურნეობით), არ იმყოფება სპეციალიზებულ დაწესებულებებში, არ არის ინვალიდი ან საპენსიო ასაკის.** ეს განმარტება ეფუძნება სამართლებრივ, ეკონომიკურ და მორალურ ნორმებს და არა ცალკეული პიროვნების სურვილს, იმუშაოს თუ არა.

თუ ამ განმარტებას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ, იმისდა მიხედვით, აქვს თუ არა სურვილი უმუშევარს იმუშაოს, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ **აქტიური** (რომელიც დაემებს სამუშაოს) და **პასიური** (რომელიც არ დაემებს სამუშაოს) უმუშევარი. ინვალიდები და საპენსიო ასაკის პირები, ბუნებრივია, არც ერთ ამ კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნებოდეს.

ნებოდნენ. თუ მათ იშოვეს სამუშაო, მაშინ ისინი დასაქმებულთა რიგებში აღმოჩნდებიან.

შემოთავაზებული განმარტების თანახმად, უმუშევრობის დონე განისაზღვრება უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) რიცხოვნობის ფარდობით მომუშავეთა და უმუშევართა (აქტიურ და პასიურ) საერთო რაოდენობასთან, გამოსახული პროცენტობით.

ინტერესს არ იქნება მოკლებული, თუ ჩვენ გამოვითვლით უმუშევრობასთან დაკავშირებულ სხვა მანვენებლებსაც. მაგალითად, პასიური უმუშევრების რაოდენობის თანაფარდობა აქტიური უმუშევრების ან, საერთოდ, უმუშევრების რაოდენობასთან, ეკონომიკურად პასიური მოსახლეობის რაოდენობის ფარდობას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ან საერთოდ ეკონომიკური მოსახლეობის რაოდენობასთან და ა. შ

რაც შეეხება ტერმინს – **”სამუშაო ძალა”**, იგი პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება, ხოლო ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი გაგება არაერთგვაროვანია. ზოგს მიაჩნია, რომ ის არის განსაკუთრებული საქონელი (მაგ., მარქსი და მისი მიმდევრები) [5], ზოგის აზრით [მაგ., 6-10;13;14;], იგი საზოგადოების ის ნაწილია, რომლებიც მუშაობენ ან ეძებენ სამუშაოს. ე.ი. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამუშაო ძალის (გაგებული, როგორც ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ უნართა ერთობლიობა) ჩათვლა საქონლად არასწორია, ვინაიდან საქონელი არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია გასაყიდად და გაყიდვის შემდეგ იგი იცვლის მესაკუთრეს. წარმოების პროცესში ადგილი აქვს არა პიროვნების უნარის გაყიდვას, არამედ მის დაქირავებას, ვინაიდან უნარის მესაკუთრედ კვლავ ეს პიროვნება რჩება და მისი უნარი არათუ მცირდება, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, იზრდება კიდევაც. უნარი რომ გაიყიდოს, მაშინ მისი მესაკუთრე ადამიანიც უნდა გაიყიდოს. ასეთ ურთიერთობებს ადგილი ჰქონდა მონათმფლობელური წყობილების დროს. თანამედროვე პირობებში კი, ცხადია, ასეთი ურთიერთობების წარმოდგენაც კი მიუღებელია. მაშასადამე, მუშაკი კი არ ყიდის თავის უნარს, არამედ იყენებს მას წარმოების პროცესში (შრომობს) მესაკუთრის სასარგებლოდ, რისთვისაც იღებს გასამრჯელოს.

ვინაიდან ადამიანის უნარის გამოსახატავად თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ტერმინი – “ადამიანისეული კაპიტალი”, ამდენად უფრო გამართლებულია სამუშაო ძალა ვინმართ მხოლოდ მეორე გაგებით, ანუ, როგორც დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე ლიტერატურაში გაიგივებულია სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონესთან [მაგ., 5; 7; 8; 9; 11; 12]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ **უმუშევრობის ბუნებრივი დონე** არის **უმუშევრობის ის დონე, როდესაც ეკონომიკა იმყოფება ბუნებრივ მდგომარეობაში და, მისი სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების შემთხვევა-**

შიც კი, უმუშევრობის დონის უფრო ნაკლები მნიშვნელობის მიღწევა შეუძლებელია. მართალია, ბუნებრივი უმუშევრობის მიზეზი სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობაა, მაგრამ ხშირად, შესაძლოა, სტრუქტურული და ფრიქციული უმუშევრობის დონე არ ემთხვეოდეს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს (ანუ უმუშევრობის მაქსიმალურად შესაძლო დაბალ დონეს), ანუ მეტი იყო მასზე.

ამ მოსაზრებას იზიარებენ ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით შვედეთში, სადაც მიაჩნიათ, რომ უმუშევრობის დონე მისი გარკვეული მცირე მნიშვნელობის ზემოთ არ უნდა ითვლებოდეს საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივ თავისებურებად [10; 537]. მართალია, ბოლო დროს შვედეთშიც მოსაზრება ორადღაა გაყოფილი უმუშევრობის დაბალ დონეზე შენარჩუნების ძვირადღირებული ფისკალური პოლიტიკის გამო (ვინაიდან აქ ხორციელდება მსხვილი სახელმწიფო პროგრამები სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად [8; 555]), მაგრამ, პრაქტიკულად, ის ისევ ძალაშია. ამიტომაც, რომ აქ უმუშევრობის დონე 6%-ს არ აღემატება (თუმცა ადრე, როდესაც ამ მიმართულებით უფრო მკაცრი პოლიტიკა ტარდებოდა, უმუშევრობის დონე 3%-ს არ აღემატებოდა), მაშინ, როდესაც ბევრ სხვა განვითარებულ ქვეყანაში იგი 5%-დან 10%-მდე მერყეობს [15, 316; 16]. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომ უმუშევრობის დონის შენარჩუნება დაბალ ნიშნულზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ტარდება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა [6; 261]. მიგვაჩნია, რომ ძვირი პროგრამების განხორციელება ამ მიმართულებით გამართლებულია, ვინაიდან უმუშევრობა, გარდა წმინდა ეკონომიკური დანაკარგებისა, დაკავშირებულია ბევრ სხვა ნეგატიურ მოვლენასთან, მათ შორის, ყველაზე მწვავე – სოციალური და ფსიქოლოგიური დაძაბულობის პრობლემასთან, რაც, საბოლოო ანგარიშით, ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

მართალია, რიგ შემთხვევაში ინოვაციები იწვევს უმუშევრობას, მაგრამ ისტორიულ ჭრილში სწორედ ინოვაციების მეშვეობით ხდება უმუშევრობის დონის შემცირება, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებშიც კი, ზრდის რა იგი შრომის ზღვრულ პროდუქტს [2; 379-380]. ინოვაციას თან უნდა მოჰყვეს წარმოების გაფართოება, რაც ისევ ინოვაციების გზით მიიღწევა, იწვევს რა წარმოების ძველი სფეროების გაფართოებას და ახლის ათვისებას, მოთხოვნის გაზრდას და ა. შ.

დასაქმების რეგულირების უპირველეს ღონისძიებას წარმოადგენს შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა, რაც გულისხმობს შრომის ბირჟის, დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის, დასაქმების ფონდის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა (პასიურ და აქტიურ) აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა

პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება (ეკონომიკური და არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და ა.შ.); შრომით ემიგრანტთა და იმიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვ.

გარდა ინსტიტუციური უზრუნველყოფისა, უმუშევრობის შემცირების მიზნით უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომელიც უმუშევრობის შემცირებას გამოიწვევს არა ინფლაციის ზრდის, არამედ ფასების სტაბილურობის პირობებში. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადაადგილებს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ, რომელიც გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებულობს, ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან უმნიშვნელოდ მატულობს. ეს მიიღწევა ისეთი ინოვაციური პროგრამების სტიმულირებით (უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო ხელფასების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეალური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს. ეს მიიღწევა წარმოებისა და მომსახურების არსებული დარგების გაფართოებით და მათი ახალი სფეროების ათვისებით.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება. თბ., “მერიდიანი”, 2006.
2. **გრეგორი მენქიუ.** ეკონომიკის პრინციპები. თბ., “დიოგენე”, 2008.
3. ჩიქავა ლ. უმუშევრობა საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ჟ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, №6, 1998.
4. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბ., “სიასლე”, 2004.
5. Большая экономическая энциклопедия. М., Эксмо, 2008.
6. **Линвуд Т. Гайгер.** Макроэкономическая теория и переходная экономика. М., ИНФРА-М, 1996.
7. **Эдвин Дж. Долан, Дэйвид Е. Линдсей.** АОЗТ «Литера плюс», 1994.
8. **Дорнбуш Р., Фишер С.** Макроэкономика. М., ИНФРА-М, Изд. Московского Университета, 1997.
9. **Н. Грегори Менкью.** Макроэкономика. М., Изд. Московского Университета, 1994.
10. **Сакс Дж.Д., Ларрен Ф.Б.** Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996.
11. **Румянцева Е.Е.** Новая экономическая энциклопедия. М., ИНФРА-М, 2008.
12. **Шумпетер Й.** Теория экономического развития. М., Прогресс, 1982.
13. **Blanchard O.** Macroeconomics, 2nd edition, Prentice Hall, 2000.

14. **Romer David.** Advansid macroeconomics. NY.: McGraw-Hill, 1996.
15. სტატისტიკური წელიწადეული 2009. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2009.
16. World Statistics Pocket book 2008. United Nations, NewYork, 2009.

Ramaz Abesadze

ECONOMIC DEVELOPMENT AND UNEMPLOYMENT

SUMMARY

The article deals with some theoretical issues of economic development. It discussed the relation between development and unemployment and given a new interpretation of some terms connected with unemployment as well. Are analyzed some issues of improvement of state regulation of employment.

იური ანანიაშვილი

პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის შეფასების შესახებ

პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტი უმნიშვნელოვანესი საანალიზო მაკროეკონომიკური მაჩვენებელია და, ხშირ შემთხვევაში, ქვეყანაში გასატარებელი ეკონომიკური პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების ხასიათის განმსაზღვრელად გვევლინება. ეკონომიკურ ლიტერატურაში პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის (შემოკლებით – პოტენციური გამოშვების) რამდენიმე, შეიძლება ითქვას, ერთმანეთის ეკვივალენტურ განმარტებას ვხვდებით. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანი:

– პოტენციური არის გამოშვების დონე, რომლის დროსაც მთელი ეკონომიკის მასშტაბით მოთხოვნა და მიწოდება წონასწორობაშია ისე, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია, როგორც წესი, მისწრაფის გრძელვადიანი მოსალოდნელი მნიშვნელობისაკენ¹;

– პოტენციური გამოშვების განმარტებას საფუძვლად უდევს დაშვება იმის შესახებ, რომ არსებობს უმუშევრობის ბუნებრივი დონე ეკონომიკური ზრდის “ნორმალური” ტემპების დროს²;

¹ **Mishkin, Frederic S.**, “Estimating Potential Output.” Remarks at the Conference on Price Measurement for Monetary Policy, Federal Reserve Bank of Dallas. Dallas, Texas, May 24, 2007.

<http://www.federalreserve.gov/newsevents/speech/mishkin20070524a.htm>

² **Макконнелл К. З., Брю С. Л.** Экономика: Принципы, проблемы и политика. В 2-х т.: Пер. с англ. 11-го изд. Т. 1. – Москва, Республика, 1992, с. 160.

– გამოშვების პოტენციური მოცულობის ცნებას ვიყენებთ გამოშვების იმ მოცულობის აღსანიშნავად, რომლის მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა, თუკი წარმოების ყველა ფაქტორი, განსაკუთრებით კი შრომა, სრული მოცულობით იქნებოდა ჩაბმული წარმოებაში³;

– წარმოების პოტენციურ მოცულობას, ანუ სრული დასაქმების შესაბამის წარმოების მოცულობას ვუწოდებთ წარმოების ბუნებრივ დონეს, რადგანაც იგი გვიჩვენებს რას აწარმოებს ეკონომიკა, როდესაც უმუშევრობა თავის ბუნებრივ, ანუ ნორმალურ დონეს ინარჩუნებს. წარმოების ბუნებრივი დონე გამოშვების ის დონეა, რომლისკენაც მიისწრაფის ეკონომიკა გრძელვადიან პერიოდში⁴;

– პოტენციური ეწოდება გამოშვებას, რომლის მიღებაც შესაძლებელია წარმოების ფაქტორების სრული გამოყენების პირობებში⁵.

აქ მოყვანილ ყველა განმარტებაში პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით ფიგურირებს რესურსების ან წარმოების ფაქტორების სრული გამოყენების ცნება. ამიტომ საჭიროა ამ უკანასკნელის დაზუსტება. საქმე ისაა, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სრული გამოყენება ფიზიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ფიზიკური სრული გამოყენება მკაცრი მოთხოვნაა და, მაგალითად, შრომითი რესურსის მიმართ ნიშნავს, რომ ყველა შრომისუნარიანი ადამიანი დასაქმებული იქნება წლის განმავლობაში და თითოეული მათგანი დღეში 16 საათს იმუშავებს⁶. დაახლოებით ანალოგიური შეიძლება ითქვას ძირითადი კაპიტალის მიმართაც – ფიზიკური სრული გამოყენება, საგარაუდოდ, გულისხმობს კაპიტალის დღეღამურ უწყვეტ ფუნქციონირებას ტექნოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული მოცდენების გამოკლებით.

პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის განმარტება ეფუძნება ფაქტორების სრული გამოყენების ეკონომიკურ და არა ფიზიკურ კონცეფციას. ფიზიკური სრული გამოყენებისაგან განსხვავებით, ეკონომიკური თვალსაზრისით ფაქტორების სრული გამოყენება პირობით დატვირთვას ატარებს და გარკვეულ შეთანხმებებს ეფუძნება. შეიძლება ითქვას, რომ იგი მკაცრად განსაზღვრული არ არის და სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კრიტერიუმითა და მჩვენებლებით ხასიათდება. ეკონომიკურ თეორიაში, ხშირ შემთხვევაში, წარმოების ფაქტორის სრული გამოყენება გულისხმობს მდგომარეობას, რომლის დროსაც მოცემული ფაქტორის ბაზარი წონასწორობაში იმყოფება. კერძოდ, კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, თუ შრომის ბაზარ-

³ **საკს დჯ. დ., ლარენ ფ, ბ.** *Макроэкономика. Глобальный подход*: Пер. с англ. - Москва, Дело, 1996. с. 68.

⁴ **Мэнкью Н. Г.** *Принципы экономикс*. Пер. с англ. - С.-Петербург, Питер Ком, 1999. с. 686.

⁵ **Дорнбуш Р., Фишер С.** *Макроэкономика*. Пер. с англ. - Москва, МГУ, 1997. с. 25

⁶ იქვე, გვ. 25

ზე მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ ადგილი აქვს სრულ დასაქმებას, რომლის დროსაც ეკონომიკაში მხოლოდ ნებაყოფლობითი უმუშევრობა არსებობს⁷. ამ კრიტერიუმის თანახმად, წონასწორობისას შრომითი რესურსები სრულად არის გამოყენებული, რადგანაც იგულისხმება, რომ ყველა დასაქმებულია, ვისაც არსებული ხელფასის პირობებში სურს მუშაობა. წონასწორული, ანუ სრული დასაქმების სინონიმად ხშირად განიხილება ბუნებრივი უმუშევრობა, რომლის დასახასიათებლად მ. ფრიდმენმა (1968) და ე. ფელპსმა (1967) შემოიღეს უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებელი – NRU. ეს მაჩვენებელი გამოსახავს უმუშევრობის დონეს, რომლისკენაც ეკონომიკა მისიწრაფის გრძელვადიან პერსპექტივაში, ანუ იგი შეესაბამება შრომის ბაზრის მდგომარეობას, როცა სრულად არის დაძლეული ეკონომიკაზე მოკლევადიანი შოკების ზემოქმედება⁸. ბუნებრივი უმუშევრობის სხვანაირი სახელწოდებაა უმუშევრობა სრული დასაქმების პირობებში. ითვლება, რომ ამ შემთხვევაში ეკონომიკაში არსებობს მხოლოდ ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა. ვინაიდან უმუშევრობის აღნიშნული სახეების (ფრიქციულის და სტრუქტურულის) არსებობა განპირობებულია არა ეკონომიკის “ცული” მუშაობით, არამედ ეკონომიკისათვის თანმდევი სხვა ობიექტური გარემოებებით, ამიტომ ბუნებრივი უმუშევრობის სიტუაცია განიხილება, როგორც სრული დასაქმება.

სრული დასაქმების კიდევ ერთი მახასიათებელია NAIRU – “უმუშევრობის დონე, რომელიც არ იწვევს ინფლაციის აჩქარებას”. ეს მაჩვენებელიც, ხშირ შემთხვევაში, გაიგივებულია უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან. იგი საფუძვლად უდევს ფილიპსის მოდიფიცირებულ (ვერტიკალურ) მრუდს და გამოიყენება ინფლაციისა და შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობის კავშირის დასახასიათებლად. NAIRU -ზე დაფუძნებული კონცეფცია ინფლაციის დონის ცვლილებას განიხილავს, როგორც შრომის ბაზრის ფენომენს და თვლის რომ ამ ბაზრის წონასწორობის შემთხვევაში ინფლაცია სტაბილურია, რადგანაც მისი ფაქტობრივი და მოსალოდნელი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა.

უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე (ანუ სრული დასაქმების შესაბამის უმუშევრობის დონეზე), როგორც ეკონომიკურ მახასიათებელზე, მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. მათ შორისაა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა, მუშაკების პროფკავშირებში მოცვის ხარისხი, მიგრაციული და ემიგრაციული პროცესები, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, ეკონომიკური ზრდის ტემპები, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურება, დასაქმების სახელმწიფო პროგრამების არ-

⁷ Тарасевич Л. С., Гальперин В. М., Гребенников П. И., Леуский А. И.

Макроэкономика. С.-Петербург, СПбГУЭФ. 1999. сс. 189-190.

⁸ Ахундова О. В., Коровкин А. Г. Опыт оценки естественного уровня безработицы в экономике россии. http://www.ecofor.ru/pdf.php?id=books/kor_04/25.

სებობა, ტექნოლოგიური პროგრესი, შრომის მწარმოებლურობის დონე და სხვა. სხვადასხვა ქვეყანაში და დროის სხვადასხვა პერიოდში ამ ფაქტორების როლი ერთი და იგივე არ არის, ამიტომ ბუნებრივი უმუშევრობის დონის მაჩვენებელი შეიძლება განსხვავებული იყოს როგორც ქვეყნების, ისევე დროის პერიოდების მიხედვით. მაგალითად, ა. მელიხოვისა და ა. საზოვას ნაშრომში⁹ მოყვანილია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემები, რომლის თანახმადაც, 1980-1999 წლებში აღნიშნული ფაქტორების მოქმედების შედეგად უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო ქვეყნების მიხედვით და გაიზარდა ავსტრიაში 1,9%-დან 4,9%-მდე, გერმანიაში – 3,3%-დან 6,9%-მდე, იტალიაში – 6,8%-დან 10,4%-მდე, იაპონიაში – 1,95-დან 4%-მდე, ესპანეთში – 7,85-დან 15,1%-მდე, დიდ ბრიტანეთში – 4,4%-დან 7,3%-მდე, ფინეთში – 4,3%-დან 9%-მდე. მ. ბურდასა და ჩ. ვიპლოშის მაკროეკონომიკის ცნობილ სახელმძღვანელოში¹⁰ აღნიშნულია, რომ 1966-1995 წლებში ბუნებრივი უმუშევრობის დონე, სხვა მრავალი ქვეყნის მსგავსად, შეიცვალა აშშ-შიც და 5,2%-დან 6,3%-მდე გაიზარდა. ვ. ბრაგინისა და ვ. ოსაკოვსკის სტატიაში¹¹ მოცემულია უმუშევრობის ბუნებრივი დონის განსაზღვრის მცდელობა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკისათვის. ხოდრიკ-პრესკოტის მოდიფიცირებული ფილტრის საფუძველზე მათ მიერ მიღებული შედეგების თანახმად, რუსეთში 1994-1997 წლებში უმუშევრობის ბუნებრივი დონე მერყეობდა 12%-დან 12,4%-მდე, 2003 წლისათვის კი ეს მაჩვენებელი 8,1%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის ბაზრისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებშიც ვხვდებით უმუშევრობის ბუნებრივი დონის მაჩვენებელს. ავტორთა ერთ ნაწილს¹² მიაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკაში, აშშ-ის ეკონომიკის მსგავსად, სრული დასაქმების პირობებში უმუშევრობის დონე შეადგენს დაახლოებით 6%-ს, მეორე ნაწილის მოსაზრებით¹³ საქართველოსათვის *ნორმალურად* უნდა მივიჩნიოთ უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რომელიც 4,5%-დან 5,7%-მდე ფარგლებშია მოქ-

⁹ Melihovs A., Zasova A. The Assessment of Natural Rate of Unemployment and Capacity Utilisation in Latvia. Working Paper 22. 2009.

http://www.bank.lv/images/img_lb/izdevumi/english/citas/wp_2009-2_melihovs-zasova.pdf

¹⁰ Бурда М., Виплош Ч. Макроэкономика. Европейский текст. С.-Петербург, Судостроение. 1998. с. 152.

¹¹ Брагин В. А., Осаковский В. В. Оценка естественного уровня безработицы в России в 1994-2003 гг.: эмпирический анализ. // Вопросы экономики. 2004, №3.

¹² ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ. უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში // ეკონომიკა და ბიზნესი. №2, 2009.

¹³ წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, მეცნიერება, 2004, გვ. 65.

ცეული. გვთავაზობენ ბუნებრივი დონის უფრო მაღალ, კერძოდ კი 10%-იან მანქანებულსაც¹⁴. სამწუხაროდ, ყველა ამ შემთხვევაში ბუნებრივი დონის განსაზღვრა ეფუძნება ავტორების ვარაუდს და არა რაიმე დასაბუთებულ მეთოდოლოგიას, ამიტომ საქართველოს შესახებ აქ მოყვანილი მნიშვნელობები ნაკლებ სარწმუნოა და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით წარმოების ერთი ფაქტორის – შრომის სრული გამოყენების შესახებ. პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელობის დადგენაში არანაკლებ როლს საწარმოო სიმძლავრეების, მათ შორის კაპიტალის, სრული გამოყენება ასრულებს. 1978 წელს რ. მაკელტანმა (McElhattan) საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების ხარისხის დასახასიათებლად შემოიღო NAIRU-ს ანალოგიური მახასიათებელი NAIRCU (ზოგჯერ იხმარება NAICU). ამ აბრავიატურის გაშლილი სახელწოდებაა “საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონე, რომელიც არ იწვევს ინფლაციის აჩქარებას”. შემოკლებით NAIRCU-ს შეიძლება ვუწოდოთ საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის ბუნებრივი დონე. NAIRU-ს მსგავსად, ეს მაჩვენებელიც პირობითია, არადაკვირვებადია, მაგრამ ეკონომეტრიკული და შეფასების სხვა მეთოდების გამოყენებით დადგენილია, რომ, ზოგადად, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის NAIRCU 75%-დან 85%-ის ფარგლებშია მოქცეული¹⁵. სხვადასხვა გაანგარიშებით, NAIRCU-ს შეფასება აშშ-ისათვის სტაბილურად დაახლოებით 82 %-ია¹⁶. ევროპის რამდენიმე ქვეყნისათვის კი, 1986-1996 წლების მინაცემებით, NAIRCU-ს შეფასებულმა მნიშვნელობამ შეადგინა¹⁷: გერმანიისა და საფრანგეთისათვის დაახლოებით 85-86%, ბელგიისა და იტალიისათვის დაახლოებით 78-79%. NAIRCU-ს შეფასების მცდელობა არსებობს რუსეთის ფედერაციისათვისაც. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაში¹⁸ აღნიშნულია, რომ 2004 წლისათ-

¹⁴ **კვარაცხელია დ.** საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დანაკარგები ოუკენის კანონის მიხედვით. //ეკონომიკა და ბიზნესი. №4, 2010.

¹⁵ Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года. с. 8.
<http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r.pdf>

¹⁶ **Garner A. C.** 1994.Capacity Utilization and U. S. Inflation, *Economic Review*, Foldersal Reserve Bank of Kansas Citi, Vol. 74, No. 4.
<http://www.kc.frb.org/PUBLICAT/ECONREV/pdf/4q94garn.pdf>

¹⁷ **Melihovs A., Zasova A.** The Assessment of Natural Rate of Unemployment and Capacity Utilisation in Latvia. Working Paper 22. 2009.
http://www.bank.lv/images/img_lb/izdevumi/english/citas/wp_2009-2_melihovs-zasova.pdf

¹⁸ Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года. с. 12.
<http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r.pdf>

ვის NAIRCU-ს წერტილოვანი შეფასება საკმაოდ არაერთგვაროვანი იყო და “რუსული ეკონომიკური ბარომეტრის” (РЭБ) გაანგარიშებით შეადგენდა 74,6%, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ინსტიტუტის (ИЭПП) გაანგარიშებით – 65%, ხოლო “ეკონომიკური კონიუნქტურის ცენტრის” (ЦЭК) გაანგარიშებით კი – 57%. სამწუხაროდ, ჩვენთვის ცნობილი არ არის არსებობს თუ არა აღნიშნული მაჩვენებლის შეფასების რაიმე მცდელობა საქართველოსათვის. სავარაუდოდ, ასეთი მცდელობა ჯერ-ჯერობით არ უნდა არსებობდეს, რადგანაც საქართველოში მოქმედი სტატისტიკის სისტემა არათუ საწარმოო სიმძლავრეების, არამედ რეალური კაპიტალის მოცულობის შესახებაც კი რაიმე სარწმუნო ინფორმაციის მიღების საშუალებას არ იძლევა.

NAIRCU-ს ზემოთ მოყვანილი ყველა მნიშვნელობა 100%-ზე ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით, საწარმოო სიმძლავრეების “სრული გამოყენება”, შრომითი რესურსების ანალოგიურად, არ ნიშნავს მათ 100%-იან დატვირთვას. საწარმოო სიმძლავრეების ნაწილის დაუტვირთავი სახით არსებობის მიზანშეწონილობის ერთ-ერთ მიზეზად შემდეგი გარემოება შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც წესი, მოკლევადიან პერიოდში ახალი კაპიტალის შექმნა დანახარჯების მზარდი ეფექტით ხასიათდება. ამიტომ ფირმები ოპტიმალურად მიიხევენ ისეთ სიტუაციას, როცა მოთხოვნის ცვალებადობის პირობებში მყისიერად შეიძლება მიწოდების გაზრდა ნაკლები დანახარჯების გზით. ეს კი ფირმებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ სიმძლავრეების 100%-ზე ნაკლები დატვირთვის პირობებში.

სამუშაო ძალისა და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები NAIRU და NAIRCU თავისთავად მნიშვნელოვანი სიდიდეებია, რადგანაც ისინი ეკონომიკის მდგომარეობის ინდიკატორებს მიეკუთვნება. მაგრამ ამ მაჩვენებლების ცოდნა, პირველ რიგში, საჭიროა იმისათვის, რომ შევაფასოთ პოტენციური გამოშვებისა და პოტენციური გამოშვებიდან მთლიანი შიდა პროდუქტის ჩამორჩენის მნიშვნელობები.

პრაქტიკაში პოტენციური და მიუღებელი გამოშვების¹⁹ (ანუ პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის) შესაფასებლად რამდენიმე მიდგომა გამოიყენება. მათ დეტალურ მიმოხლვას შეიძლება გავეცნოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) და ეროვნული ცენტრალური ბანკების სამუშაო დოკუმენტებში, აგრეთვე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

¹⁹ მიუღებელი გამოშვება განისაზღვრება პოტენციური და ფაქტობრივი გამოშვებების სხვაობით. ეკონომიკაზე დადებითად და უარყოფითად მოქმედი შოკების გამო, მიუღებელი გამოშვების მნიშვნელობას დროის სხვადასხვა პერიოდში შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ნიშანი. ცხადია, როცა ფაქტიური გამოშვება აღემატება პოტენციურს, მაშინ მიუღებელი გამოშვება დადებითია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი უარყოფითია.

(OECD) წარმომადგენლების პუბლიკაციებში, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის კვლევის შედეგებს ასახავს და ადვილად ხელმისაწვდომია ინტერნეტის საიტებიდან²⁰. არსებული მიდგომები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაყოფილიყოს: წინასწარ მოცემული ტრენდის აგებაზე, სტატისტიკური ფილტრების გამოყენებასა და საწარმოო ფუნქციების გამოყენებაზე დაფუძნებული მიდგომები. ჩამოთვლილთაგან ყველაზე მარტივს მოცემული ტრენდის არითმეტიკული მორგების მეთოდი წარმოადგენს. მისი გამოყენებისას იგულისხმება, რომ პოტენციური გამოშვების დინამიკა აღიწერება ტრენდის სახით, რომელსაც, კონკრეტული პერიოდის და ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს წრფივი, კვადრატული, ექსპონენციალური და სხვა სახე. მაგალითად, თუ განვიხილავთ საქართველოს ეკონომიკას 1996-2009 წლების პერიოდისათვის და პოტენციური მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკას მოვარგებთ ტრენდს, მაშინ სტატისტიკური კრიტერიუმების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მისაღებს ექსპონენციალური ტრენდი $Y^* = a \exp(bt)$ წარმოადგენს, სადაც Y^* პოტენციური გამოშვების მნიშვნელობაა; a და b სტატისტიკურად განსაზღვრული პარამეტრებია; t დროის აღმნიშვნელი ცვლადია. ამ მოდელის შეფასებული ვარიანტი შემდეგი სახისაა:

$$\ln Y^* = 8,071184 + 0,123124 t; R^2 = 0,99346; \bar{R}^2 = 0,98587; F = 908,3.$$

(S.E.) (0,123124) (0,00408)

პოტენციური გამოშვების ამ მიდგომით შეფასების შედეგად ვღებულობთ, რომ განხილულ პერიოდში საქართველოში სხვაობა პოტენციურ და ფაქტობრივ გამოშვებებს შორის დადებითი იყო 1999-2005 და 2009 წლებში და უარყოფითი – 1996-1998 და 2006-2008 წლებში. მაშასადამე, 1999-2005 წლებში ადგილი ჰქონდა პოტენციურიდან ჩამორჩენას, ხოლო 1996-1998 და 2006-2008 წლებში კი ფაქტობრივი გამოშვება აღემატებოდა პოტენციურს. აღსანიშნავია, რომ თითქმის ანალოგიური შედეგი მიიღება იმ შემთხვევაშიც, როცა ტრენდის შესაფასებლად წრფივი ფუნ-

²⁰ იხ. მაგალითად: **Carra V., Saxena S. Sh.** Alternative Methods of Estimating Potential Output and the Output Gap: An application to Sweden. IMF Working Paper. European Department, March, 2000. <http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2000/wp0059.pdf>;

Cotis J.-Ph., Elmeskov J., Mourougane A. Estimates of Potential Output: Benefits and pitfalls from a Policy perspective. OECD Economics Department.

<http://www.oecd.org/dataoecd/60/12/23527966.pdf>;

S. Adnan H. A. S. Bukhari, Safdar Ullah Khan. Estimating Output Gap for Pakistan Economy: Structural and Statistical Approaches. State Bank of Pakistan Working Paper Series, No. 24 June, 2008.

<http://www.sbp.org.pk/publications/wpapers/2008/wp24.pdf>

ქცია გამოიყენება. თუ ამ შედეგს ვაღიარებთ, როგორც ჭეშმარიტებას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ აგრეთვე, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1996-1998 და 2006-2008 წლებში საქართველოში სამუშაო ძალის გამოყენების დონე ან საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის დონე (ან ორივე ერთად) არ ჩამოუვარდებოდა სრული გამოყენების შესაბამის ნიშნულს.

როგორც ვხედავთ, ტრენდის არითმეტიკული მორგების მეთოდის შემთხვევაში ჯერ დგინდება პოტენციური გამოშვებისა და პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის მნიშვნელობები, შემდეგ კი ფაქტორების სრული გამოყენებისა და დაუტვირთაობის პერიოდები. ასეთივე სპეციფიკით ხასიათდება სტატისტიკურ ფილტრებზე დაფუძნებული მიდგომებიც. განსხვავება ის არის, რომ ჩვეულებრივ ტრენდებთან შედარებით, ფილტრების გამოყენებისას, როგორც წესი, პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის შედარებით უფრო გლუვი მწკრივი მიიღება. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული ტრენდის არითმეტიკული მორგების მეთოდი და სტატისტიკური ფილტრებით მოსწორების მეთოდები წმინდა სტატისტიკური მიდგომებია და პოტენციური გამოშვების განსაზღვრისას არ იყენებს რაიმე ეკონომიკურ დასაბუთებას, მათ საფუძველზე განსაზღვრული პოტენციური გამოშვებიდან ჩამორჩენის მნიშვნელობები და პერიოდები ხშირად რეალურობას არ ასახავს²¹. აღნიშნულის გამო ცენტრალური ბანკები, აგრეთვე აკადემიური მკვლევარების უმრავლესობა პოტენციური გამოშვების დასადგენად უპირატესობას საწარმოო ფუნქციის აპარატის გამოყენებაზე დაფუძნებულ მიდგომას ანიჭებენ. ამ შემთხვევაში გამოშვების პოტენციური მნიშვნელობის დადგენისას მხედველობაში მიიღება საწარმოო ფაქტორების მოცულობა, მათი მაქსიმალური გამოყენების მახასიათებლები (NAIRU და NAIRCU), არსებული ტექნოლოგიის დონე. ამასთან, საწარმოო ფუნქციის აპარატის გამოყენების სამი ვარიანტი არსებობს, რომლებსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ²² “შრომითი მეთოდიკა”, “სიმძლავრეების მეთოდიკა” და “განზოგადებული მეთოდიკა”. მაგალითად, თუ განვიხილავთ შემთხვევას, როცა მთლიანი გამოშვების პროცესის მოდელირების საბაზო ვარიანტად აღებულია

²¹ უფრო მეტიც, ამ მიდგომებში აპრიორულად ჩადებულია არარეალური დაშვება იმის შესახებ, რომ პოტენციური გამოშვების ტრაექტორიიდან დადებითი და უარყოფითი გადახრების ჯამი იყოს ნული ტოლი. სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ განსახილველი პერიოდისათვის, რომლისთვისაც ვაღვანთ პოტენციური გამოშვების ტრაექტორიას, აუცილებელ პირობად მივიჩნევთ წარმოების ფაქტორების როგორც არასრული გამოყენების, ისევე ჭარბი გამოყენების პერიოდების არსებობას.

²² Балацкий Е. В. Оценка объема потенциального ВВП. Проблемы прогнозирования. 2000, №1

კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია, მაშინ “შრომითი მეთოდის” გამოყენებისას ამ ფუნქციის აგება შემდეგი სახით ხდება

$$Y = e^{\gamma} K^{\alpha} [(1-u)L]^{\beta},$$

სადაც Y გამოშვების ფაქტობრივი მოცულობაა, K – ძირითადი კაპიტალის მოცულობა, L – სამუშაო ძალის რაოდენობა, u – უმუშევრობის დონე, რომელიც უმუშევართა რაოდენობის (U) სამუშაო ძალის რაოდენობაზე (L) გაყოფით მიიღება, γ, α, β სტატისტიკურად შესაფასებელი პარამეტრებია, t დროის აღმნიშვნელია, e ნატურალური ლოგარითმის ფუძეა. ამ პირობებში პოტენციური გამოშვება შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება²³

$$Y^* = e^{\gamma} K^{\alpha} [(1-u^*)L]^{\beta},$$

სადაც u^* უმუშევრობის ბუნებრივი დონეა.

“სიმძლავრების მეთოდის” შემთხვევაში საწარმოო ფუნქციას შემდეგი სახე აქვს

$$Y = e^{\gamma} (\mu K)^{\alpha} L^{\beta},$$

სადაც μ კაპიტალის დატვირთვის დონის მაჩვენებელია. პოტენციური გამოშვების დასადგენად მოცემულ გამოსახულებაში μ -ის მნიშვნელობა უნდა შევცვალოთ კაპიტალის დატვირთვის ოპტიმალური დონის მაჩვენებლით μ^* -ით, რომელიც რაოდენობრივად NAIRCU-ს ემთხვევა. მაშასადამე, პოტენციური გამოშვების გასაანგარიშებელი ფორმულა იქნება

$$Y^* = e^{\gamma} (\mu^* K)^{\alpha} L^{\beta}.$$

კონკრეტულ სიტუაციებში ამ მეთოდს შორის არჩევანი კეთდება იმის მიხედვით, თუ რომელი ფაქტორი ითვლება ფაქტობრივი გამოშვების პოტენციურიდან გადახრის მთავარ მიზეზად. ცხადია, როცა მიუღებელი გამოშვების არსებობას ძირითადად სამუშაო ძალის არასრული გამოყენება განაპირობებს, მაშინ “შრომითი მეთოდით” უნდა ვისარგებლოთ, ხოლო, როცა გამოშვების მოცულობის პოტენციურიდან გადახრა კაპიტალის დატვირთვის არასტაბილურობით არის გამოწვე-

²³ “შრომითი მეთოდით” პოტენციური გამოშვების შეფასება განხილულია, მაგალითად: **Carra V., Saxena S. Sh.** Alternative Methods of Estimating Potential Output and the Output Gap: An application to Sweden. IMF Working Paper. European Department, March, 2000. <http://www.imf.org/external/pubs/ft/wp/2000/wp0059.pdf>;

Cotis J.-Ph., Elmeskov J., Mourougane A. Estimates of Potential Output: Benefits and pitfalls from a Policy perspective. OECD Economics Department. <http://www.oecd.org/dataoecd/60/12/23527966.pdf> ;

ული, მაშინ “სიმძლავრეების მეთოდის” უნდა მივმართოთ. ამავე დროს, ამ ორ მეთოდის შორის არჩევანის გაკეთებისას მხედველობაში მიიღება შრომისა და კაპიტალი გამოყენების დონეების კორექტული შეფასების შესაძლებლობა. როგორც წესი, ინფორმაციის მოპოვების თანამედროვე სისტემების პირობებში გაცილებით ადვილია დასაქმების დონის, ვიდრე სიმძლავრეების გამოყენების დონის დადგენა, ამიტომ პოტენციური გამოშვების შესახებ არსებული გამოკვლევების უმრავლესობაში აქცენტი “შრომით მეთოდის” გადატანაზეა.

უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციურიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრა იშვიათად არის გამოწვეული მხოლოდ ერთი ფაქტორის არასრული გამოყენების ან ჭარბად გამოყენების მიზეზით. როგორც წესი, ცვალებადი კონიუნქტურის შედეგად თუ იზრდება, მაგალითად, უმუშევრობის დონე, მაშინ შესაბამისად იზრდება, აგრეთვე, სიმძლავრეების დაუტვირთლობის ხარისხი და, პირიქით, უმუშევრობის დონის შემცირებას თან სდევს სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლის ზრდა. ამიტომ პოტენციური გამოშვების შეფასების მეტ-ნაკლებად სრულყოფილი მიდგმა საწარმოო ფუნქციაში უნდა ითვალისწინებდეს როგორც შრომითი რესურსების, ასევე საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონის ამსახველ მაჩვენებლებს. ასეთს წარმოადგენს სწორედ “განზოგადებული მეთოდის”, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის საწარმოო ფუნქციის შეფასებას²⁴

$$Y = e^{\lambda} (\mu K)^{\alpha} [(1-u)L]^{\beta}$$

მოცემული ფუნქციის შემთხვევაში პოტენციური გამოშვების შესაბამისი ფორმულაა

$$Y^* = e^{\lambda} (\mu^* K)^{\alpha} [(1-u^*)L]^{\beta}$$

როგორც ვხედავთ, განზოგადებული მეთოდის გამოყენების დროს წინასწარ უნდა შეგვეძლოს უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და სიმძლავრეების დატვირთვის “ბუნებრივი დონის” მაჩვენებლების განსაზღვრა, რაც, თავის მხრივ, ადვილად გადასაწყვეტი პრობლემა არ არის.

Iuri Ananiashvili

²⁴ პოტენციური გამოშვების შესაფასებლად “განზოგადებული მეთოდის” გამოყენების ილუსტრირება იხ., მაგალითად: Балацкий Е. В. Оценка объема потенциального ВВП. // *Проблемы прогнозирования*. 2000, №1; Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года. <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r.pdf>

ESTIMATION OF POTENCIAL GDP

SUMMARY

In the article there is analyzed natural rate of unemployment, natural rate of capacity utilization and econometrical and conceptual difficulties of estimation of potential GOP. The estimation methods of these characteristics, their review and comparative analysis are presented in this article.

როზეტა ასათიანი

**როგორ აისახა ფულის თეორიები მსოფლიო
ეკონომიკურ პოლიტიკაში**

*„ქველა დროს თავისი ტკივილი აქვს... ჭეშმარიტი მეისტორიე,
ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს
და მერე განიკითხოს თვით დროების შეილნი. ეს რომ არ იყოს,
კაცი ვერც საბუთს უბოვის ცხოვრებას და ვერც აზრს.“*

ილია ჭავჭავაძე

ფულადი სისტემა, როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია, რომლის სიმყარეზე თანამედროვე პირობებში დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის დაცვა უარყოფითი ეგზოგენური ფაქტორებისაგან, გლობალიზაციის ნეგატიური პროცესებისაგან. ამასთან, ცნობილია, რომ არ არსებობს უფრო ქმედითი ხერხი არსებული ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესარყევად, ვიდრე ფულადი სისტემის მოშლა. ამიტომაცაა, რომ ეკონომიკური მეცნიერების მრავალი პრობლემა დაკავშირებულია ფულის, როგორც უნივერსალური ეკონომიკური კატეგორიის, განხილვასთან. დაწყებული ანტიკური სამყაროს უდიდესი მოაზროვნეებიდან (ქსენოფონტი, პლატონი, არისტოტელე), ფულის ფენომენი ყველა დროის სწავლულთა ყურადღების ცენტრშია და დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ფულის შესახებ ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამს ინგლისელი ეკონომისტი ვ. კარლეილი. მისი აზრით, ფული ის დერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს ეკონომიკა. დიდი ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიკური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ხელთ არ გვექნება უტყუარი ცნობები ფულის შესახებ. გერმანელი ეკონომისტის ო. შტილიხის აზრით, ვარსკვლავების მოძრაობაში გაცილებით უკეთ ვართ გარკვეულნი, ვიდრე ფულის მიმოქცევაში, რომ მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის ფულის არსი დღემ-

დე ბნელით მოცულ „ონტინენტად“ რჩება. ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი გლადსტონი წერდა: სიყვარულს არ გაუგიჟებია იმდენი ადამიანი, რამდენიც ფულის არსის გარკვევისთვის „ტენის ჭყლეტას“.

ფული მუდმივ ევოლუციას განიცდის და იგი მჭიდრო კავშირშია საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან, რომელიც მუდმივი „დუდილის“ პროცესშია და მისი ზეგავლენა ადეკვატურად აისახება ფულზე. თავის მხრივ, ფულის უადრესად რთული ფენომენი უდიდეს გავლენას ახდენს საბიუჯეტო-საგადასახადო და საკრედიტო სისტემაზე. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაცია და სოციალური პროგრესი²⁵.

თუ XIX საუკუნეში ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო ფულის წარმოშობის, მისი არსის, ფორმების, მსყიდველობით უნარსა და სხვა საკითხებზე, თანამედროვე პირობებში წინა პლანზე დადგა ეკონომიკურ ზრდაზე ფულის ზემოქმედების პრობლემები. საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია განვითარებული ფულად-საკრედიტო სისტემის გარეშე, რაც ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების გარანტია. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება მცირედენი ექსპურსი ფულის თეორიებთან დაკავშირებით და მათი როლის გაანალიზება მსოფლიო ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ფულის პრობლემატიკას, განსხვავებული ინტერპრეტაციებით, მაკროეკონომიკასთან მჭიდრო კავშირში განიხილავენ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები ჯ. ჰიკსი, კ. ტობინი, ფ. მოდილიანი, პ. სამუელსონი, მ. ფრიდმენი და სხვები, თუმცა ფულის შესახებ განსხვავებული კონცეფციები ჯერ კიდევ XVII–XVIII საუკუნეებში იღებს სათავეს. მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ძირითადად ცნობილია მეტალისტური, ნომინალისტური, რაოდენობრივი, კეინზიანური და მონეტარული თეორიები.

მეტალისტური თეორია (სტაფორდი, მენი, ნორსი, კნისი, ლასბურგი, ლექსისი და ა.შ.) ფულს აიგივებს კეთილშობილ ლითონებთან და მათ მიაწერს ფულის თვისებებს.

მეტალისტური თეორიის მოდიფიცირებულმა ფორმამ, **ნომეტალიზმის** სახით, XX საუკუნის 50–60-იან წლებში იჩინა თავი, როდესაც რიგი ეკონომისტებისა, როგორებიც იყვნენ ჯ. რუეფი (საფრანგეთი), მ. ჰეიდპერინი (აშშ) და სხვები, გამოვიდნენ ოქროს სტანდარტის აღდგენის იდეით. ისინი, ძველი მეტალისტური თეორიისგან განსხვავებით, აღიარებდნენ ქალაქის ფულისა და დაუხურდავებელი ბანკოტების გამოყენების აუცილებლობას, მაგრამ მოითხოვდნენ ბანკოტების ოქროზე თავისუფალ გადახურდავებას. 1970 წელს რუეფი ისევ გამოვიდა მო-

²⁵ ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. ახალი ეპოქა. თბ., გამომცემლობა „სიახლე“, 2009, გვ. 147-176.

წოდებით მსოფლიო მასშტაბით ოქროს სტანდარტის, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, აყვავების ძვირადღირებული იარაღის, აღდგენისათვის.

ნომინალისტური თეორია, რომლის ფუქემდეგლები არიან ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ბერკლი (1635–1753) და შოტლანდიელი ეკონომისტი ჯ. სტიუარტი (1712–1780), ფულს წმინდა საანგარიშო ერთეულად მიიხსენებენ და მის ფუნქციებს მხოლოდ ქაღალდის ფულის ფუნქციებით ფარგლავენ. გერმანელი ეკონომისტი გ. კნაპი თავის ნაშრომში – „ფულის სახელმწიფო თეორია“ (1905) ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ქაღალდის ფულს არავითარი კავშირი არა აქვს ოქროსთან და იგი ფულის უმაღლესი ფორმაა. კნაპის იდეები შემდეგ განავითარეს ჯ. კეინზმა, პ. სამუელსონმა, ტ. კრამპმა, ჯ. ჰოუტრიმ და სხვებმა.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში წინა პლანზე დგას ფუნქციონირებისუნარიანი კონკურენციული წესრიგის ფორმირება. თუ წესრიგის პოლიტიკის მიზნებს (ჩარჩო-პირობების დადგენა სახელმწიფო და კერძო ეკონომიკური აქტივობისათვის) ვახორციელებთ, მაშინ საქმე ეხება საზოგადოებრივ ან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზანთა სისტემას. ამის გამო განსაკუთრებით ძნელია წესრიგის პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზება. საერთაშორისო მასშტაბებზე ორიენტირება, პრინციპში, შესაძლებელია (მაგალითად, აშშ-ს საგადასახადო სისტემაზე, ბრიტანულ სოციალურ სტანდარტებზე და ა.შ.), მაგრამ არასასურველი, რადგან საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემები განსხვავებულია. ქვეყნის ტრადიციებიდან და ზოგადად კულტურიდან შექმნილ საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემას სხვა ქვეყნის ეკონომიკისათვის უბრალოდ ვერ გამოვიყენებთ. ამიტომ არის, რომ ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა მიისწრაფის, მიაღწიოს შესაბამისობას საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემასა და ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობების ფორმირებას შორის.

წესრიგის პოლიტიკის მიზანთა იერარქია საზოგადოებრივ მიზანთა სისტემის ნაწილს წარმოადგენს. „უსაფრთხოების“ მიზნის მიღწევა ნიშნავს, ერთი მხრივ, სამართლებრივ უსაფრთხოებას (მაგალითად, დამოუკიდებელი სასამართლოები, პოლიციის თვითნებობისაგან დაცვა), ხოლო მეორე მხრივ, მატერიალურ უსაფრთხოებას (მაგალითად, სოციალური დაცვის სისტემა). თავისუფლების მიზნის რეალიზაციაში

წვლილი შეაქვს სატარიფო ავტონომიას და კონკურენციულ წესრიგს, მაშინ, როდესაც სტაბილურობა ფულადი პოლიტიკით და კონკურენციული წესრიგით მიიღწევა.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია მიზანთა კონფლიქტები. ისინი სოციალურ წესრიგსა და კონკურენციულ წესრიგს შორის არსებობენ. კონკურენციული წესრიგი ორიენტირებულია წარმატების პრინციპზე, სოციალური წესრიგი კი მიმართულია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კრიტერიუმებზე, რომლებიც ნაწილობრივ მაინც, წარმატების პრინციპს ეწინააღმდეგება. სატარიფო ავტონომიასა და კონკურენციულ წესრიგს შორის დამოკიდებულება ასევე წინააღმდეგობრივია. სატარიფო ავტონომიამ ბილატერალურ მონოპოლიამდე (პროფკავშირები, დამსაქმებელთა გაერთიანებები) მიგვიყვანა. ასე რომ, ფასების მექანიზმი შრომის ბაზარზე ნაწილობრივ ძალადაკარგულია. სატარიფო ხელშეკრულებით მიღწეული მინიმალური ხელფასები მართალია იმათ იცავს, ვისაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ უმუშევრებისათვის ისინი უსაფრთხოების მხრივ არასასურველია. მიზანთა კონფლიქტები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნების სფეროში ქვედა დონეზეც გრძელდება. წესრიგის პოლიტიკის გამტარებელთათვის, არ არის ადგილი ამოცანა, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მექანიზმი შეიმუშაონ. სატარიფო ავტონომიის შეზღუდვა ტვირთად დააწვებოდა დასაქმებულებს და ხელსაყრელი იქნებოდა უმუშევრებისათვის. თუმცა ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იქნებოდა მძიმე სოციალური შედეგები. ვადიარებთ რა იმ თეზისს, რომ სატარიფო ავტონომიას წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ სტაბილურობაში, საქმე იქამდე უნდა მივიდეს, რომ მსგავსი დონისძიებებისათვის საფუძვლიანი საზოგადოებრივი კონსენსუსი ჩამოყალიბდეს.

გლობალიზაციის პროცესში მყოფ სამყაროში ნებისმიერი ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნის წესრიგის პოლიტიკის შინაარსი და მოთხოვნები სულ უფრო მეტად გარედან განისაზღვრება. თუმცა ვრცელდება მოსაზრებები, რომლებიც სწორედ საერთაშორისო სფეროში თავისუფალი ბაზრის ნეოლიბერალურ დოგმას საეჭვოდ მიიჩნევენ. თუ ეროვნული საქმიანობის არეალი შეიკვეცება, მაშინ არსებობს იმის საშიშროება, რომ საერთაშორისო განვითარება, როგორც ჩვეულებრივი მოცემულობა ისე აღიქმება. ამასთან, აღარ დაისმება კრიტიკული შეკითხვა, მაინც ვისთვისაა გლობალიზაცია საჭირო და როგორ გადანაწილდება კეთილდღეობის უპირატესობები. ამით მსოფლიო ეკონომიკური წესრიგისათვის შეიძლება გაიზარდოს რისკის საშიშროება, თუ, მაგალითად, განვითარებადი ქვეყნები, რომელთა სარგებელი გლობალიზაციის პროცესიდან მცირეა, „ერთობლივი მოქმედებისათვის“ მზად აღარ იქნებიან.

საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების გაძლიერებული ლიბერალიზაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. ამან გლობალიზაციის პროცესს დიდად შეუწყო ხელი, მაგრამ, ამავე დროს, მზარდი რისკებიც გააჩინა. თუ არ განხორციელდება საერთაშორისო კოორ-

დინაცია, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობები შეიძლება მყიფე და არაეფექტიანი გახდეს. ამის მაგალითია კონკურენციის პოლიტიკა, როდესაც ტნკები კარტელების ეროვნული ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ეროვნული იურისდიქციისა და ზედამხედველობის ველიდან გადაიან. ისინი კონკურენციის ეროვნული ინსტრუქციების მიმართ იმუნიტეტს იძენენ, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კარტელების ეროვნული ორგანიზაციები თანდათანობით არაეფექტიანი ხდებიან. საერთაშორისო მასშტაბით მოქმედი წესრიგის ჩარჩო-პირობები კი ჯერ-ჯერობით არ ჩანს. ამას ემატება ისიც, რომ დიდი ტნკის მიმართ არავითარი სანქციის მიღების შესაძლებლობები არ არსებობს. მსგავსი რამ ძალაშია კაპიტალის საერთაშორისო მიმოქცევისათვის. აქ სანქციები მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, თუკი რომელიმე ქვეყანას გადახდის პრობლემები შეექმნება და საერთაშორისო დახმარებას ითხოვს. ეს შემდეგ შეიძლება დაკავშირებული იყოს მოვალეობებთან, რომლებიც წესრიგის პოლიტიკის შინაარსს შეადგენენ (სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში საბანკო სექტორის პრივატიზაცია და რესტრუქტურირება; ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისა და ეკონომიკის ცენტრალიზებულად მართვადი განვითარებადი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკური ტრანსფორმაცია).

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკაში განსაკუთრებული ადგილი, როგორც აღვნიშნეთ, კონკურენციულ წესრიგს უჭირავს. პრობლემები კონკურენციის ფაქტობრივი ინტენსიურობის განსაზღვრის დროს ჩნდება. ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რას უნდა მივაკუთვნოთ კონკურენციის არსებობა, ბაზრის სტრუქტურას, ბაზარზე მოქმედების წესს თუ ბაზრის შედეგს, ჯერ კიდევ არ არსებობს. დილემა მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნა კონკურენციის პოლიტიკის მთელი რიგი კონცეფციები, საიდანაც კონკურენციის პრაქტიკული პოლიტიკისათვის მოქმედების სახელმძღვანელო მიმართულებები ყოველთვის არ გამომდინარეობს. კონკურენციის არსებული მოდელები, მართალია, ცდილობენ, რომ მოხდეს კონკურენციის კონცეფციების პრინციპების შეხამება რეალობასთან, მაგრამ ცალკეული მოსაზრებების დაკონკრეტებისა და განხორციელების პრობლემები მაინც რჩება. აქედან გამომდინარეობს კონკურენციის პოლიტიკის კონცეფციების გამოყენების პრობლემები. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჯერ კიდევ, კონკურენციის პოლიტიკა ფასდება უფრო როგორც რეაქციული და ამას ემატება ისიც, რომ მისი საზღვრების ფორმირება მხოლოდ ეროვნული ინტერესებით აღარ ხდება. ეს ნათლად გამოჩნდა რელიევანტური ბაზრის გამოყოფის სირთულიდან.

სწორედ ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსის გათვალისწინება გვეხმარება, რომ მოვახდინოთ კონკურენციის პოლიტიკის საზღვრების იდენტიფიცირება. იგი მდგომარეობს „არასაკმარის შეთანხმებაში“ პოლიტიკის სხვა სფეროებთან, რომლებზეც ის გავლენას ახდენს. თუ ვიფიქრებთ საზოგადოებრივი ამოცანების განაწილების პოლი-

ტიკაზე, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკაზე და ეკონომიკის განსაზღვრული დარგების დაცვაზე სუბვენციების მეშვეობით, მაშინ ნათელი გახდება, რომ აქ დეფიციტი ნამდვილად არსებობს.

საერთაშორისო აღიარების მქონე საწარმოთა სულ უფრო მზარდ გლობალურ აქტივობას დღემდე აკლია მრავალმხრივი წესრიგის ჩარჩოები, რადგან ბაზარზე შედევვა კონკურენციის შემზღუდავი ქმედებით ისევე შეიძლება გაძნელდეს, როგორც პროტექციონისტური სავაჭრო პოლიტიკით, ან კარტელთა ორგანოების გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობით. ამიტომ საჭირო ხდება ხანგრძლივი დროით კონკურენციული წესრიგის მრავალმხრივი ჩარჩო-პირობების შემუშავება.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესი დეზინტეგრაციის ტენდენციასთან დაპირისპირებით ხასიათდებოდა, რომელიც 1930-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგი იყო. ამასთან, უპირატესად საქმე ეხებოდა საერთაშორისო სავაჭრო და საგადასხდელი შეზღუდვების პრაქტიკის შეცვლასა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ხელახლა მოწესრიგებას. ეს პროცესი მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, კონფერენციებითა და ეკონომიკურ-საფინანსო ინსტიტუტების დაარსებით განხორციელდა. დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი ამ პროცესების შედეგად წარმოიშვა.

მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მოიცავს საკანონმდებლო და სახელშეკრულებო მოქმედების ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ტრანსაქციათა ჩარჩო-პირობებს განსაზღვრავენ (საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მიმოქცევა).

ლიბერალური საგარეო ეკონომიკური წესრიგი თავისთავად ღირებულებას არ წარმოადგენს. მის დამკვიდრებას კეთილდღეობის მაქსიმიზაციის მიზანთან მიმართებაში უფრო მეტად ინსტრუმენტული ხასიათი აქვს. რადგანაც საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა როგორც ნაციონალურ ფარგლებში, ასევე რეგიონული გაერთიანებების (მაგალითად, საბაჟო კავშირი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი) ან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების პასუხისმგებლობის ქვეშ ხორციელდება. კეთილდღეობის მიზნის, როგორც ნაციონალური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უზენაესი მიზნის ოპერაციონალიზება, როგორც ცნობილია, შეუძლებელია. ამიტომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ მიზნებზე, რომლებიც კეთილდღეობის ამაღლებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს არა მხოლოდ კეთილდღეობის ზრდის ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, არამედ მას შეუძლია თავისი „წვლილი“ გარე ეკონომიკური მიზნების (როგორცაა თავისუფლება, უსაფრთხოება, სამართლიანობა) მიღწევაშიც შეიტანოს. საერთაშორისო საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს მსოფლიო ეკონომიკის ისეთი მოწესრიგება, რომ ყველა ქვეყნის ან

სხვადასხვა საერთაშორისო ინტეგრაციული (რეგიონული) გაერთიანებუბის წევრი ქვეყნების კეთილდღეობა აამაღლოს. დასახული საგარეო ეკონომიკური კურსისა და მიზნების განსახორციელებლად საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და არაეკონომიკური საშუალებები გააჩნიათ. პირველ რიგში წესრიგის პოლიტიკისა და პროცესის პოლიტიკის ინსტრუმენტები უნდა გავმიჯნოთ. წესრიგის პოლიტიკის ინსტრუმენტებით (მაგალითად, WTO-ს ხელშეკრულება, GATT-ის, GATS-ის, TRIPS-ის მრავალეროვნული შეთანხმებები) დგინდება ჩარჩო, რომელშიც ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ. პროცესის პოლიტიკის ინსტრუმენტები კი უშუალოდ ამ წესრიგის ჩარჩოდან გამომდინარეობს. ისინი მოიცავენ ყველა ღონისძიებას, რომლებიც ეკონომიკური წესრიგის ზრდის ხელშეწყობისათვის ხორციელდება. ამასთან, ინსტრუმენტების გამოყენება, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკითა და, აქედან გამომდინარე, საგარეო ეკონომიკური წესრიგით განისაზღვრება. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები არ შეიძლება წესრიგის პოლიტიკის გადაწყვეტილებებისაგან იზოლირებულად წარმოვიდგინოთ. ამასთან, უფრო მეტად უნდა განვასხვავოთ ინსტრუმენტები, როგორც საკუთრივ მოქმედების ძირითადი პარამეტრები და ქმედებანი, რომლებიც მათი საფუძვლიდან – წესრიგის პოლიტიკის კონცეფციიდან მიიღება.

განვითარების გლობალურ ჰარმონიზაციას მრავალმხრივი ეროვნული ინტერესები აძნელებს. ინტერესთა მრავალგვარობა გამტარებელთა გავლენის სიმრავლიდან გამომდინარეობს და რეგიონულად მოწყობილი ეკონომიკური ზონების შექმნის ტენდენციაში აისახება (მაგალითად, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, საბაჟო კავშირი, თავისუფალი ვაჭრობის ზონები). საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის კურსის განხორციელებისას წინააღმდეგობებს იქ ვაწყდებით, სადაც საქმე სხვა ქვეყნების ინტერესებს ეხება. ზოგიერთი ინსტრუმენტის გამოყენების დროს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სინთეზი ვლინდება: საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები (ბოიკოტი, ემბარგო) პოლიტიკის მიზნებისათვის გამოიყენება და პირუკუ. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ერთობლივი და აღიარებული ნორმების ზუსტი დაცვა არ არსებობს. ზოგჯერ რომელიმე ქვეყანას ეკონომიკურ უპირატესობათა იმედი აქვს, რის საფუძველზეც ადამიანთა უფლებების დარღვევებსა და დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობას დიპლომატიური ხრიკებით ამართლებს.

რა მიზნებისა და ნორმებისაკენ უნდა იყოს მიმართული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა? ცხადია, აქ საქმე მხოლოდ თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის ჩამოყალიბებას არ ეხება. უფრო მეტიც, გრძელვადიან პერიოდში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გზით მიღებული მოგების განაწილება უფრო სამართლიანად უნდა მოხ-

დეს. საკითხის გლობალურ გადაწყვეტას მრავალი სახის ნაციონალური ეგოიზმი ჯერ კიდევ წინ ეღობება (მათ შორის მდიდარ განვითარებულ ქვეყნებშიც).

სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები მთელი რიგი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით არის შეზღუდული. ასე მაგალითად, ევროკავშირის შიგნით ბაჟები და კვოტები, როგორც ნაციონალური ეკონომიკის დაცვის ღონისძიებები, აღარ გამოიყენება. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (როგორცაა, მაგალითად, საკრედიტო საშუალებები, სპეციალური ნასესხობის უფლებები) ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (GATT-ის, GATS-ის, TRIPS-ის მრავალმხრივი ხელშეკრულებები) ინსტრუმენტების არსებობაც კრიტიკულად უნდა იქნეს განხილული. ეკონომიკური და საფინანსო კრიზისების გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის არსებული ინსტრუმენტებით, მზარდი გლობალიზაციის პირობებში, მსგავსი სიტუაციების დაძლევაში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. რეფორმების გატარებაზე მოთხოვნა სულ უფრო ხმამაღალი ხდება. ეს აგრეთვე UNCTAD-ის (განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის „ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგის“ ცენტრალური ფორუმი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების ლიბერალურ მსოფლიო ვაჭრობაში ინტეგრაციას უწყობს ხელს) მუშაობის წესსა და ორგანიზაციულ სტრუქტურასაც ეხება. 1996 წელს გატარებული რეფორმა საერთაშორისო გავლენის ან გადაწყვეტილებათა გამტარებლბებთან ურთიერთობების ახალ წესრიგს ითვალისწინებდა. განსაკუთრებით უნდა ამაღლდეს მათი კომპეტენცია და სხვა ორგანიზაციებთან მიმართებაში მოხდეს ახალი ფუნქციების გამოჯგნა (მაგალითად, WTO-სთან).

მსოფლიო ვაჭრობა შეიძლება ქმედუნარიანი საერთაშორისო სავალუტო წესრიგის საფუძველზე განვითარდეს. ამასთან, როგორც ცნობილია, საქმე ეხება:

(1) სავალუტო კურსის სისტემის არჩევას, ასევე (2) ფიქსირებული სავალუტო კურსის შესახებ შეთანხმებების დროს, დაფინანსების შესაძლებლობებსა და საგადაამხდელო ბალანსში წონასწორობის მდგომარეობის კორექტივებს. გლობალური მასშტაბით სავალუტო კურსის სტაბილურობის იმედი არ გამართლდა. ფიქსირებული სავალუტო კურსები (როგორც გათვალისწინებული იყო თავდაპირველად საერთაშორისო სავალუტო ფონდში) საერთაშორისო მასშტაბით განხორციელებადი არ აღმოჩნდა. სავალუტო კურსის რყევები კი საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში რისკებს წარმოშობს. მოკლევადიანი რყევების რისკები შეიძლება ეკონომიკური განვითარების ცვლილებათა შესაძლებლობებით იყოს გამოწვეული, მაგრამ, ცხადია, ეს რეალური სავალუტო კურსის გრძელვადიან ცვლილებას არ ეხება. მოლოდინი, რომ

სავალუტო კურსები თავისუფალი ცურვის სავალუტო რეჟიმის სისტემაში მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტს გრძელვადიანად შეესაბამება, არ დადასტურდა. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ცვლილებები (მართლა არსებობენ ისინი, თუ მხოლოდ მოსალოდნელია) საერთაშორისო კონკურენციაში უამრავი კაპიტალის ნაკადების ჩართვას იწვევს. ამის შედეგად გრძელვადიან პერიოდში სავალუტო კურსის არასტაბილურ მდგომარეობას ვიღებთ. ბოლო პერიოდში სავალუტო ბაზარზე მიმდინარე გაძლიერებული ინტერვენციები ან ცენტრალური ბანკების პროტექციონისტური ინსტრუმენტების გამოყენება სავაჭრო ნაკადებისა და წარმოების სტრუქტურების დამახინჯების საფრთხეს ქმნის.

ბაზოქენიზებული ლიტერატურა

1. BLUEMLE, Gerold, GOLDSCHMIDT, Nils, Walter Eucken und das ordoliberalere Programm, in: WISU, H. 12, 2003.
2. CASPERS, Rolf, Zahlungsbilanz und Wechselkurse, Muenchen, Wien, 2002.
3. DIECKHEUER, Gustav, Internationale Wirtschaftsbeziehungen, 5., ueberarb. Aufl., Muenchen, Wien 2001.
4. EUCKEN Walter, Grundsätze der Wirtschaftspolitik, hrsg. v. EUCKEN-ERDSIEK u. Karl P. HENSEL, 6., durchgesehene Aufl., Tuebingen 1990.
5. EVERS, Marc, Die institutionelle Ausgestaltung von Wirtschaftsordnungen. Eine dogmengeschichtliche Untersuchung im Lichte des Ordoliberalismus und der Neuen Institutionenökonomik, Berlin 2003.
6. GERKEN, Lueder, LAMBSDORFF, Otto Graf (Hrsg.), Ordnungspolitik in der Weltwirtschaft, Baden-Baden 2001.
7. LAMPERT, Heinz, Die Wirtschafts- und Sozialordnung der Bundesrepublik, 14., ueberarb. Aufl., Muenchen 2001.
8. KERBER, Wolfgang, Wettbewerbspolitik, in: Vahlens Kompendium der Wirtschaftstheorie und Wirtschaftspolitik, Bd. 2, 8., ueberarb. Aufl., Muenchen 2003..
9. Koch Walter A. S. Christian Czogalla, Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart 2004.
10. SIEBOLD, Dagmar I., Die Welthandelsorganisation und die Europäeische Gemeinschaft, Berlin, 2003.
11. რევაზ გველეხიანი, ირინა გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბ., 2008.
12. რევაზ გველეხიანი, ირინა გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, თბ., 2009.

**INTERNATIONAL COMPETITIVE ORDER – THE PRIORITY
OF THE WORLD ECONOMIC ORDER**

SUMMARY

Competitive order has a special place in the policy of economic order. Problems begin to occur when defining actual intensity. Yet, there is not a common opinion about what the existence of competition belongs to, whether it is market structure, the rules of functioning on the market or the market result. The dilemma is that there are a number of concepts dealing with competitive policy, which do not always give us guidelines for practical competitiveness policy. These cause the problems connected with using the concepts of competitiveness policy. Competitiveness policy is still regarded as being reactionary, and what is more, it is no longer bounded by only national interests. This has clearly been shown by the difficulty of allocating relevant market.

Taking into consideration the context of European Union Economic Policy helps us to identify the borders of competitiveness policy. This is revealed in “non sufficient agreements” with other fields of the policy. The fields, which it cannot influence.

The increasing process of liberalization helps international enterprises to get rid of interference from national supervision authorities, but their constantly growing global activities still lack the development of long run multilateral framework conditions for international competitive order.

Гринберг Р.С.

**ПРОТИВОРЕЧИЯ ГЛОБАЛИЗАЦИИ И
ПЕРСПЕКТИВЫ РОССИИ**

Глобализация мировой экономики практически стерла границы между отдельными государствами, многократно увеличив возможности международного разделения труда, движения капитала, производственной кооперации, слияний и поглощений. Мы действительно живём уже в одной «большой деревне». И это не просто метафора. Теперь любой человек, живущий в любой стране, может беспрепятственно включиться в систему мирохозяйственных связей на любом континенте, предлагая или пользуясь услугами по маркетингу, рекламе, PR, сбыту, производству, хеджированию, транспортировке и оплате любого продукта.

Но вот на мировую экономику обрушился мощный финансовый и экономический кризис, который, начавшись в США с катастрофы в

ипотечном кредитовании, быстро распространился на страны Евросоюза, постсоветские государства и весь остальной мир. Покрыв практически всю планету, он высветил светлые и темные стороны глобализации, и, что особенно важно, отчетливо выявил её социально-экономические противоречия, обозначившиеся уже в благополучные «тучные» времена.

Ещё каких-то 20 лет назад казалось, что с окончанием «холодной» войны и поражением реального социализма жители постсоциалистических государств вступят в эру благоденствия в условиях плюралистической демократии, гражданского общества и социальной рыночной экономики. Считалось также, что рано или поздно к «золотому миллиарду», уже живущему в процветающих демократических государствах, подтянутся остальные пять миллиардов жителей Земли. Казалось, что мир теперь будет построен по единому образцу – принципам либеральной демократии, ибо все другие идеологии потерпели фиаско.

Именно тогда известный американский политолог Фрэнсис Фукуяма в своей шумевшей статье заявил о «конце истории», подразумевая, что мировая история как результат борьбы идеологий завершилась. Увы, это предсказание очередной раз обернулось несбыточной мечтой.

К концу первого десятилетия XXI столетия выяснилось, что глобализация – процесс гораздо более сложный, многомерный и противоречивый, чем мы думали прежде. Даже в таких благополучных странах, как, к примеру, Федеративная Республика Германия, где вроде была найдена почти оптимальная модель государственного и социального устройства, оберегающая общество от возникновения конфликтов и проблем, на высоком материальном уровне создано почти бесклассовое общество. Однако положение значительно осложнилось, когда страна столкнулась с проблемой трудного выбора.

Внезапно возникла ситуация, поставившая под угрозу казавшееся таким прочным благополучие. Явилось и стало нарастать тревожное ожидание обострения проблем, преодолеть которые будет крайне трудно. Постепенно становилось очевидным, что разрешить эти новые проблемы можно будет лишь ценой отступления от сложившихся к этому времени стандартов общественного и личного благополучия.

Прежде всего, речь идёт о том, что жизнь пенсионеров в развитых обществах спокойная и обеспеченная, длится долго, пенсионерам она нравится и они стремятся её продлить. Размер пенсий при этом близок к прежним заработкам пенсионеров. В то же время наблюдается снижение рождаемости, тоже не без влияния нового жизненного уклада с его привлекательными свойствами – материальной обеспеченностью, личной независимостью и т. д., – воспользоваться которыми становится труднее с ростом количества детей в семье. Но это означает, что налоговая нагрузка на работающих, число которых в развитых странах неуклонно уменьшается, становится чрезмерной и постепенно угрожает банкротством системе пенсионного обеспечения. Социальное

государство вынуждено корректировать политику. Возможные и предлагаемые меры известны – повышение возрастного пенсионного порога, снижение размеров пенсий, частные пенсионные фонды и т. п., а главное, все они означают конец благостного общежития, а значит, и угрозу социальному миру.

Найдутся ли интеллектуальные, политические, организационные и прежде всего экономические ресурсы, чтобы избежать волны потрясений? Ответа на этот вопрос пока нет. Причём проблемы такого рода очень быстро становятся актуальными и для России.

Всюду в развитых странах в той или иной мере ныне ощущается дефицит рабочей силы из-за уже отмеченного снижения рождаемости среди коренного населения этих стран, уменьшения его численности и старения. Проблема была бы во много раз острее, если бы не привлечение рабочей силы из других государств мира. Для экономики развитых стран иммиграция – благо, потому что она предотвращает сокращение производства. Благом она становится и для населения бедных развивающихся государств, где велика безработица, а бедность и нищета носят массовый характер. Труд в развитых странах дает средства к существованию не только самим мигрантам, но и многим их родственникам, получающим от них денежные переводы. Эти переводы представляют собой поддержку, часто весьма ощутимую, и экономике бедных стран. То же самое, как известно, происходит и в России, когда грузины, таджики или азербайджанцы, работающие у нас, шлют переводы на родину.

Однако иммигранты в большинстве своем плохо адаптируются к культуре и многообразным обычаям принявшей их страны. Они трудятся много, но, обладая должной квалификацией, вынуждены обычно довольствоваться непрестижными и плохо оплачиваемыми рабочими местами, следовательно, более низким доходом по сравнению с представителями коренного населения. Часто они ощущают свою социальную уязвимость, начинают считать недостойным свое имущественное положение. Среди иммигрантов время от времени вспыхивают волнения, особенно это касается второго поколения приезжих: они острее своих родителей реагируют на связанные с миграцией проблемы, действительные и мнимые, чаще устраивают беспорядки, акции протеста или высказывают недовольство иными способами. При этом недовольство испытывают и многие представители коренного населения. Они ощущают угрозу привычной стабильности общества, политической и экономической жизни, угрозу эрозии своей культуры, считают неоправданной социальную поддержку иммигрантов со стороны своего государства и т. д. В обществе наступает разлад, грозящий расколом, а это чревато непредсказуемыми конфликтами.

Словом, глобализация рынка труда, расширяя возможности миграции рабочей силы, которая не только объективно необходима, но и приносит пользу всем вовлеченным в неё странам, в то же самое время становится источником напряженности в странах, до этого отличавшихся достаточно высокой

социальной стабильностью. Излишне напоминать, что проблема эта становится осязаемой и в России.

Следует далее подчеркнуть, что расширяя и углубляя взаимные экономические связи, глобализационные процессы привели к тому, что целому ряду развивающихся государств удалось и мобилизовать внутренние ресурсы, и привлечь иностранные источники финансирования, что обеспечило высокие темпы их экономического роста. Но при этом нищета по-прежнему охватывает значительную часть населения планеты (известно, что сегодня в мире более 1 млрд. человек живут ниже черты бедности), а разрыв в уровне благосостояния развитых стран и большинства остальных государств не только не сокращается, но и во многих случаях даже увеличивается. Выявились отчетливое противоречие между способностью глобализации формировать новые возможности экономического роста и недоступностью этого для наиболее отсталых стран мира. Обнаружилось, что одна лишь открытость национальной экономики, лишённой соответствующих институтов и необходимой государственной активности, только усугубляет отсталость хозяйственных структур.

Наконец, довольно отчётливо выявляется так называемый «эффект бумеранга». Дело в том, что технологические стандарты современного производства, формирующиеся в передовых странах, в ходе глобализации распространяются на все большее число стран с другими уровнями развития. Благодаря современным технологиям и средствам коммуникации менее развитые страны научились производить современные товары и услуги все более качественно, однако с меньшими издержками, главным образом ввиду сравнительно низких затрат на рабочую силу, на предоставление социальных гарантий и т. п. В результате то, что первоначально выросло из стремления развитых стран перенести трудоемкие или экологически опасные производства на другие, более выгодные территории, привело к обострению конкуренции развивающихся стран с более развитыми. Но ведь именно развитые страны ратовали и ратуют за открытие границ, за практическую реализацию знаменитых «четырёх свобод» – свободы передвижения товаров, услуг, денег и людей.

Парадокс заключается в том, что по мере исчезновения барьеров развивающиеся государства становятся конкурентами миру «золотого миллиарда», успешно завоевывая международные рынки. Скажем, ещё лет десять назад трудно было себе представить качественную обувь китайского производства, а сейчас такая обувь может успешно конкурировать с продукцией ведущих фирм – признанных мировых производителей обуви. За последние два года импорт обуви из Китая и Вьетнама Западной и Центральной Европой увеличился на 700% – и в Западной Европе почти 100 тыс. человек, занятых на обувном производстве, потеряли работу.

Возможный выход видится в том, что развитые страны будут тем временем переходить к еще более высоким производственным технологиям, и это позволит им восстанавливать утраченные рыночные позиции. Однако пока массовый переход на новые, более высокие технологии происходит с гораздо

меньшей скоростью по сравнению с динамикой завоевания мировых рынков развивающимися странами.

Возникает проблема непростого выбора: развитым странам для сокращения или полного прекращения образующихся потерь следует либо снижать производственные затраты, уменьшая зарплату, сокращая отпуска и вводя драконовскую экономию на социальных услугах, например на бесплатном или льготном здравоохранении, либо этим странам придется блокировать процессы глобализации, прибегая к протекционизму, ими же преданному анафеме. Мир уже в докризисное время стоял перед угрозой практической реализации второго варианта. Можно было ожидать, что в развитых странах начнется закрытие границ для товаров и услуг под любыми предлогами, в том числе и надуманными. К счастью, пока этого не произошло. Но угроза сохраняется.

Что касается российской экономики, то её положение в мире пока весьма специфично. Основной источник внешних доходов России – продажа энергоресурсов и сырья, в них нуждаются многие страны. Проблемы России во внешнеэкономической сфере в значительной мере связаны именно с этим, и они тоже носят характер отчетливо выраженного парадокса. Российский потребитель ввиду отсутствия внутреннего производства стал широко ориентироваться на потребление импортных товаров. Российское государство почти не защищает внутренний рынок, иначе говоря, отечественного производителя. На повестке дня стоит трудная задача – выработать политику стимулирования отечественного производства, не загоняя себя при этом в ловушку изоляционизма, который в конечном счёте заблокировал бы модернизацию российской экономики. И ещё одна не менее сложная задача – найти рынки сбыта для тех высокотехнологичных товаров, которые предстоит научиться производить.

Словом, России предстоит использовать все возможности для восстановления своего научно-технического потенциала, реанимирования и развития новых высокотехнологичных отраслей промышленности, диверсификации всего хозяйства. Надо выстроить приоритеты и сохранить страну с приличной экономикой. Но времени для выстраивания приоритетов остается все меньше, поскольку при сохранении нынешней неопределенности уже через пять-шесть лет страна может окончательно утратить научно-технический потенциал. И надо будет начинать с чистого листа. В конечном счёте путь восстановления и развития – единственно верный и надежный, чтобы занять в мире место одной из ведущих держав и прочно утвердиться в этом качестве.

Теперь о глобальном экономическом кризисе. Ещё совсем недавно считалось, что рецепт экономического процветания прост: поменьше государственного регулирования и запретов, долей чрезмерную бюрократию, меньше вмешательства государства в экономику, рынок всё обеспечит и всё решит сам.

Однако глобальный экономический кризис быстро вывел мир из состояния эйфории, головокружения от рыночных успехов. Даже США, всегда слывшие оплотом либеральной экономики, стали активно применять в экономике методы, напоминающие советские: пошли на государственные интервенции в экономику и национализацию обанкротившихся или оказавшихся близкими к краху банков и корпораций. Здесь уместно напомнить, что в рыночных процессах заметную роль играет психология – «чувство толпы». Людвиг Эрхард как-то заметил, что 50% экономики – это психология. Именно это мы сейчас и наблюдаем. Стадное поветрие последних 10 лет – безудержное мотовство (а, по словам французского философа-моралиста Пьера Клода Буаста, «мотовство – это смерть достатка»), когда весь мир жил не по средствам, сменилось на другое стадное чувство – унылую прижимистость. Правда, нужно заметить, что правительствам удалось предотвратить коллапс банковских систем (в том числе и в России) мерами «мягкой национализации» – накачкой ликвидности и вхождением государства в капитал коммерческих банков.

Пожалуй, самый главный урок глобального кризиса, достаточно ответственно, как хочется думать, воспринятый мировым сообществом, заключается в осознании необходимости эффективных над национальных регуляторов мировой экономики. Так что было бы очень разумно, если бы «восьмёрка» трансформировалась в «двадцатку» и в таком расширенном составе взяла бы на себя ответственность за коллективное управление мирохозяйственными процессами.

Необходимо далее подчеркнуть, что сегодня наглядно подтверждаются мысли Карла Маркса об опасности отрыва финансового сектора от производства товаров. Вероятно, менять следует не столько методы и способы возможного воздействия на экономику со стороны властей, сколько принципы, в соответствии с которыми эти методы и способы применяются: когда, в каких дозах, с какой целью и кем решение об использовании таких мер воздействия должно применяться.

Что касается России, то одно время здесь гордились тем, что её экономика полностью встроена в мировой рынок. Правда, в первые месяцы нынешнего кризиса у нас заговорили о том, что связи с мировой экономикой не так уж и глубоки, что поэтому кризис нас не сильно заденет. На деле оказалось, что глобальный кризис очень сильно и больно ударил по российской экономике. Особая уязвимость страны перед лицом глобального экономического кризиса объясняется тем, что постсоветская Россия столкнулась с ним, ещё не выйдя из кризиса системной трансформации. Несмотря на недолгую историю российского капитализма, к этому прямо вели не только ошибки политики реформ в период «бури и натиска» 90-х годов, но и просчеты и промахи, сделанные в условиях её достаточно благополучного развития в 1999-2008 гг., обеспеченного, прежде всего, высокими мировыми ценами на углеводородное сырьё.

Самый главный урок последних «тучных» лет для России – власть не использовала благоприятную конъюнктуру, когда «нефтегазовые» средства

можно было направить на модернизацию экономики, на реализацию инфраструктурных проектов. Это, кстати, помогло бы решить и проблему высокой инфляции в стране. Сейчас уже невозможно отрицать, что основная причина высокого роста цен вовсе не монетарная, она заложена в несовершенной структуре российской экономики. Нормальная экономика – с мощной инфраструктурой, богатым товарным предложением, развитой конкуренцией – реагирует на рост покупательной способности увеличением производства. А российская – отвечает ростом цен. Проблема в том, что в России слишком мало производителей товаров и услуг и нет эффективной антимонопольной службы. В результате здесь, с одной стороны, консервируется примитивная структура экономики, с другой – сохраняются высокие темпы инфляции.

Сегодня российское руководство в борьбе с кризисом многое делает правильно. Но что дальше? К сожалению, почти 20 лет основной целью экономической политики было только подавление инфляции. Но именно этого добиться не удалось. Чтобы избавиться от инфляции, надо создать диверсифицированную экономику: срочно начать модернизировать производство, развивать инфраструктуру, вкладывать деньги в промышленность. Тогда экономика начнёт реагировать на рост дополнительного денежного спроса не увеличением темпов инфляции, как происходит сегодня, а ростом производства.

Словом, пора вспомнить, что слово «кризис», написанное по-китайски, состоит из двух иероглифов: один означает «опасность», другой – «благоприятная возможность». Кризис – это очищение от старого, и, действительно, «благоприятная возможность» начать новое. Российские власти просто обязаны скорректировать экономический курс страны, заняться развитием инфраструктуры, диверсификацией отечественной экономики, развитием высоких технологий.

Мировой финансовый кризис со всей очевидностью продемонстрировал крах философии безбрежного экономического либерализма. Это может и должно стать его важнейшим уроком. В сущности, кризис стал следствием тридцатилетнего господства в мировой (а с начала 90-х годов и в российской) экономической политике идеологии «свободного рынка» – неолиберализма, главная идея которого состояла в том, что деятельность государства должна сворачиваться в пользу сил саморегулирования.

Сегодня вновь приходится констатировать, что без мощной и регулярной государственной активности в нынешней экономике не обойтись. Но нужно избегать и другой крайности – сочетания гипертрофированного обобществления с порочным протекционизмом. Россия всё это уже проходила с удручающими результатами. Выход из кризиса требует формирования новой модели экономики и, в частности, новой модели государственного регулирования, в которой социальная составляющая, человеческая солидарность должна стать не антитезой, а необходимым условием повышения экономической эффективности. При этом потребуются серьёзная корректировка глобализационных процессов, которые ныне развиваются вне всякого контроля в соответствии с явно

устаревшими неолиберальными установками. Так что безальтернативной представляется не только систематическая государственная активность, но и международная координация национальных экономических политик.

*შოთა ვეშაპიძე
ნუგ ზარ ბაბუაძე*

ღირებულების როლი ეკონომიკის მოღერნიზაციის საქმეში

ნებისმიერი საზოგადოება, თავისი ინსტიტუციური მოწყობის საფუძვლად გარკვეულ ღირებულებათა სისტემას იყენებს. ღირებულებათა ეს სისტემა ადამიანთა დიდი ნაწილის ქცევის ჩვეულ ნორმად იქცევა ხოლმე. თუმცა, ეს ღირებულებები ყველასთვის ერთნაირად მისაღები არ არის, ზოგი ხელყოფს კიდევ მათ, მაგრამ საზოგადოებას, მათ დასაცავად გამომუშავებული აქვს ფორმალური (კანონები) და არაფორმალური (ადათები, წეს-ჩვეულებები) ინსტიტუტები. ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფო, ასრულებს რა თავის მთავარ ფუნქციებს, ხორცს ასხამს საზოგადოების წევრთა ინტერესებს, რომელიც, ნორმალურ პირობებში, გარკვეულ ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს. სხვანაირად პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა.

საზოგადოება ნორმალურად ვერ განვითარდება, თუ მას არ ექნება ღირებულებათა სისტემა, ის მიზანდასახულობანი, რომლებიც სტიმულს მისცემენ ეკონომიკის განვითარებას. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ცივილიზაციათაშორისი ბრძოლა ძირითადად ეკონომიკურ სფეროში ვითარდება. ცივილიზაციას აქვს უნარე, სხვა ცივილური სისტემებისგან ისესხოს იდეოლოგიის ინსტიტუტები და ელემენტები, რომლებიც მათ კონკრეტულ უპირატესობას აძლევს ევოლუციურ ბრძოლაში.

იმისათვის რომ სხვათა გამოცდილებას ეზიარო, უნდა იცოდე მათი ფასეულობათა სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილურ იდეოლოგიასა და რელიგიაში აისახება. მათგან ყველაზე უმთავრესი არის რელიგია. სწორედ რელიგიური სისტემები წარმოადგენს ცივილური იდეოლოგიის ძირითად ელემენტს არსებული ცივილიზაციების უმეტესობისთვის. ამჟამად მოქმედი ცივილური რელიგიებიდან ყველაზე უმთავრესია: ინდუიზმი, ბუდიზმი, დაოსიზმი, კონფუციანელობა, სინტოიზმი, იუდაიზმი, მუსლიმანობა, ქრისტიანობა (კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა, პროტესტანტობა). არსებობს არარელიგიური იდეოლოგიებიც, მაგალითად, წმინდა ამერიკულ ფილოსოფიად იქცა უ. ჯეიმსის პრაგმატიზმი.

პროფესორების – ა. მოვსესიანის და ს. ოგნივცევის მოსაზრებით, "თუ დასავლეთის ყველა მსოფლიო რელიგიას სახელმწიფოებრიობის როლის კლების და ბაზრის და კერძო თავისუფლებათა როლის გაზრდის თვალსაზრისით განვაღებთ, მაშინ ისინი გამწვრივდება შემდეგი სახით: მუსლიმანობა, მართლმადიდებლობა, კათოლიკობა, პროტესტანტობა". (მოვსესიანი ა.გ., ოგნივცევი ს.ბ. მსოფლიო ეკონომიკა, სახელმძღვანელო, ტომი I, თბილისი, 2003, გვ. 310).

მბრძანებლურ-ადმინისტრაციულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, ანუ ე.წ. ტრანზიტული ეკონომიკის პირობებში, ბუნებრივია, გვინდობა კითხვა: რა როლი უნდა შეასრულოს ეკონომიკის მოდერნიზაციის საქმეში ღირებულებებმა, მისმა სისტემამ? ბევრ ქვეყანაში ეს საკითხი მეცნიერული კვლევის მეტად მნიშვნელოვან სფეროს განეკუთვნება. ამის ნათელი დასტურია, თუნდაც რუსეთის მაგალითი. მისი ფუნდამენტური ანალიზი მოცემულია ემდ, პროფესორ ე. იასინის ერთ-ერთ სტატიაში, რომლის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს: „ბევრს გაუჩნდა აზრი, რომ ჩვენ არაფერი გვიშველის, აყვავება ჩვენი ხვედრი არ არის: ასეთი ეროვნული ხასიათი გვაქვს, ასეთია რუსეთის კულტურა, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებ, ვერ გადააკეთებ. სხვაგვარადაც ლაპარაკობენ: რეფორმები უნდა ჩავატაროთ ისე, რომ გავითვალისწინოთ კულტურის თავისებურებები, ეროვნული ღირებულებები” (Ясин Е. Модернизация экономики и система ценностей, "ВЭ", № 4, 2003, с.5).

მართლაც, ეჭვს გარეშეა, რომ ეკონომიკის წარმატება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, მოხდება თუ არა აუცილებელი ცვლილებები კულტურაში, ღირებულებათა სისტემაში და თუ მოხდება, როგორი ტემპებით და რა მიმართულებებით. ეს ცვლილებები არსებითად წარმოქმნის არა მარტო მოდერნიზაციის წარმატების პირობას, მის სოციალურ კონტექსტს, არამედ, თუკი დავფიქრდებით, მის ყველაზე სიდრმისეულ შინაარსს: ჩვენ თავად უნდა გავხედოთ სხვანაირები, რათა ქვეყანა ავაყვავოთ.

პროფესორი ე. იასინი რუსეთის ეკონომიკური მოდერნიზაციის საქმეში ღირებულებების როლის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მთლიანობაში უნდა ვადიაროთ, რომ დიდი დადებითი ძვრები არაა. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება, რომ მოდერნიზაცია ადგილიდან არ დაიძვრება, სანამ არ დაიწყება რეალური ცვლილებები ღირებულებათა სისტემაში, არაფორმალურ ინსტიტუტებში, კულტურაში. შეიძლება იმის თქმა, რომ ესაა შემდგომი, ტრანსფორმაციის III ეტაპის ამოცანები? ნათელია ერთი რამ: ეს მარტო მთავრობის საქმე არ არის, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ მისი კი არა, არამედ მთელი საზოგადოების საქმეა”.

გ. გრევის პროგრამის დამუშავება 2000 წელს დაიწყო ღირებულებათა სისტემის განხილვით. ინიციატივა გამოავლინა „კლუბ 2015“-მა და პირადად ვ. ლოპუხინმა, რომელმაც გამოაქვეყნა სტატია, რომლიდანაც

გამომდინარეობდა, რომ ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელია ნაყოფიერი ღირებულებათა სისტემა, და რომ ჩვენ ისტორიული მიზეზების გამო ამგვარ რამეს არ ვფლობთ (Лопухин В. Почему мы бедны?, Эксперт, №1-2, 2000. (Проблемы влияния национальных и религиозных традиций на поведение экономических агентов неоднократно поднимались на страницах нашего журнала. См., например: Вопросы Экономики, 1993, №8; 1994, №7; 1996, №9 – ავტ.). პროტესტანტებს გაუმართლათ, მათ პროტესტანტული ეთიკა აქვთ. სტრატეგიული დამუშავების ცენტრში, ერთ-ერთ სემინარზე მიტროპოლიტმა კირილმა დაადასტურა, რომ პროტესტანტული სისტემა და, საერთოდ, ლიბერალური ღირებულებები განსხვავდება მართლმადიდებლური ღირებულებებისაგან. ა. კონჩალოვსკიმ თავისი წინასიტყვაობა ლ. ჰარისონის წიგნის „ვინ ყვავის? ” რუსული თარგმანისათვის ასე დაასათაურა: „კულტურა – ეს ბედია“. მაშ, რა ვქნათ ჩვენ, შევევუთ ბედს?” (Ясин Е. Модернизация экономики и система ценностей, "ВЭ", №4, 2003, с.7).

ავტორიტეტთა აზრი ინსტიტუტების, ღირებულებების, კულტურის უცვლელობის შესახებ, უკიდურეს შემთხვევაში, ადამიანის ცხოვრების პერიოდთან მიმართებაში, გაიყო. უმრავლესობა მათ უცვლელად, ან ნაკლებად ცვალებადად მიიხნევს; ისინი, მათი აზრით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ მხარეზე. (Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. М.: Прогресс, 1990; Норт Д. Институты. институциональные изменения и функционирование экономики. М.: Начала, 1997; Харрисон Л. Кто процветает? Препринт, 1992; Huntington S. The Clash of Civilizations and the Remaking of the World Order. N. Y. Simon and Shuster, 1996). სხვები ფიქრობენ, რომ ისინი საკმაოდ ცვლადია ამა თუ იმ ფაქტორისდა მიხედვით, მაგალითად – ეკონომიკური, თუმცაღა დიდი ლაგით (Инглхарт Р. Культура и демократия. В кн.: Культура имеет значение. М.: Московская школа политических исследований, 2002).

მეორეთა რიცხვს მიეკუთვნებიან უპირატესად ისინი, ვინც თავის დასკვნებს აფუძნებდა დასავლური საზოგადოების შესწავლაზე. მ. ვებერის ნაშრომთა შემდეგ განმტკიცდა წარმოდგენა პროტესტანტული ღირებულებების და მათი მნიშვნელოვანი როლის პროდუქტიულობის შესახებ დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების წარმატებაში. ყოველ შემთხვევაში, მრავალნაირი მიზეზის გამო, აქ ეკონომიკა და ღირებულებათა სისტემა აღმოჩნდა უფრო დინამიური. პურიტანული მომჭირნეობა, რომელიც XVIII საუკუნისთვის იყო დამახასიათებელი, ცუდად ესადაგებოდა დღეს განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულ ნორმას – „ბევრის გამოუმუშავება და ბევრის ხარჯვა“. მაგრამ პროტესტანტული ღირებულებები, როცა ეს იყო აქტუალური, ხელს უწყობდა თავდაპირველ დაგროვებას, ხოლო პურიტანული მომჭირნეობა დღესაც საჭიროა. ცხადია ეკონომიკის კავშირი ობიექტურ და ცვალებად მოთხოვნებთან. რ. ინგლჰარტი შენიშნავს: „ეკონომიკური განვითარება, როგორც წარმოგვიდგენია, ნამდვილად დაკავშირე-

ბულია აბსოლუტური სოციალური ნორმებისგან ნაწინასწარმეტყველები დაშორების სინდრომთან სულ უფრო რაციონალური, მოქნილი, ნდობით მოსარგებლე პოსტმოდერნისტული ღირებულებების სასარგებლოდ” (Инглхарт Р. Культура и демократия. В кн.: Культура имеет значение. М., Московская школа политических исследований. 2002, с. 108).

მიუხედავად ამისა, დასავლური სისტემის ლიბერალური ღირებულებების რაღაც ზოგადი საფუძველი რჩება უცვლელი. ლ. ჰარისონი კულტურის ოთხ ფაქტორს გამოყოფს, რომელთა ხასიათზეა დამოკიდებული საზოგადოებრივი განვითარება. ესენია: „ნდობის რადიუსი”, ანუ ერთობის გრძობა; ეთიკური სისტემის სიმკაცრე; ხელისუფლების რეალიზაციის წესი; დამოკიდებულება შრომის, ინოვაციების, მომჭირნეობის და მოგების მიმართ (Харрисон Л. Кто процветает? Препринт, 1992.) ნაყოფიერია ნდობის მაღალი დონე, ეთიკური სისტემა, რომელიც, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია რელიგიასთან (უფრო პროტესტანტულთან, ვიდრე კათოლიკურთან), დემოკრატია, როგორც ხელისუფლების რეალიზაციის საშუალება, შრომისმოყვარეობა, განათლება, მიდრეკილება ინოვაციების, დანახოგების მიმართ, მოგების მოწონება, როგორც წარმატების გამოხატულება.

გ. ლოპუხინი გამოყოფს ნდობას, პასუხისმგებლობასა და პიროვნებას. პიროვნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან დასავლურ ღირებულებათა სისტემაში ინდივიდუალიზმი, ადამიანის თავისუფლებები და უფლებები წახალისებულია, მაშინ, როცა სხვა ეთიკურ სისტემებში, მათ შორის მართლმადიდებლურში, ანთროპოცენტრიზმი გაკიცხულია, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობის საპირისპირო. ინდივიდუალიზმი ასევე ასოცირდება ეგოიზმთან, სისასტიკესთან სხვების მიმართ, იზოლაციასთან, ბრბოში მარტოობასთან. თუმცა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი პიროვნება ცუდად როდი ეთვისება ჰუმანიზმსა და სოლიდარობის მაღალ ხარისხს, თავისუფლება გულისხმობს სოციალურ პასუხისმგებლობას და, შესაძლებელია, მხოლოდ იმ ადამიანთა გარემოში, სადაც პატივს სცემენ თავის მსგავსთა უფლებებს.

ასეა თუ ისე, დასავლური ეკონომიკა და დასავლური კულტურა, მუდმივად რომ კრიტიკის ქვეშ იყო, მათ შორის შიგნიდანაც, უკვე 400 წელია, რაც თავის უპირატესობას გვიმტკიცებს მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფაშიც, ახალშემოდებულ წესებშიც და სულიერი ღირებულებების შექმნაშიც.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რა კავშირი არსებობს სხვადასხვა ცივილიზაციებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებათა შორის. ა. ტოინბი ცივილიზაციებს განსაზღვრავს, როგორც ქვეყნების და ხალხების ერთობას, რომელიც გაერთიანებულია საერთო კულტურით, ღირებულებებით, ინსტიტუტებით (Тойнби А. Постигновение истории. М., Айрис-Пресс, 2002). ცივილიზაციათა ზრდა – გამოწვევებზე პასუ-

ხების შედეგია, რომლებიც დაძაბულობას ქმნის, რაც განვითარების იმპულსი ხდება. მისი დაცემა კი განპირობებულია გამოწვევებზე პასუხის გაცემის უუნარობითა და შიდა წინააღმდეგობებით. ახლანდელი ცივილიზაციების უმრავლესობა კავშირს ავლენს ტრადიციულ რელიგიურ კონფესიებთან.

ცხრილში წარმოდგენილია თანამედროვე ცივილიზაციათა გამოყოფის სამი ვარიანტი, რომლებიც აგებულია სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე ცნობილი თანამედროვე მკვლევარების მიერ. ესენი არიან: ს. შვარცი (1990), გ. ჰოფსტედი (1988), რ. ინგლჰარტი (2000).

ა. ტონბი გამოყოფდა კიდევ რუსულ მართლმადიდებლურ ცივილიზაციას, რომელშიც მნიშვნელოვან თავისებურებებს ხედავდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

არსებობს კი, მართლაც, კავშირი ცივილიზაციათა კულტურულ-ღირებულებით სხვაობებსა და მათ ეკონომიკურ განვითარებას შორის? რამდენად ცვალებადია ცივილიზაციათა კულტურულ-ღირებულებით თავისებურებები და რა ზომით შეიძლება იყოს ისინი განვითარებისთვის გადაულახავი წინააღმდეგობა? ან, იქნებ პირიქით, ისინი თავად შეიცვლება, თუმცა დაგვიანებით, ეკონომიკასა და სხვა სფეროებში მომხდარ ცვლილებათა გავლენით? შესაძლებელია, მხოლოდ არაპირდაპირ განისაზღვროს უპირატესი ღირებულებები და, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოხერხდეს ამა თუ იმ ცივილიზაციის ღირებულებებსა და მათ განვითარებას შორის კავშირის დადგენა. ისიც გასაგებია, რომ ამგვარად მიღებული დასკვნები პირობითია.

ცხრილი 1

თანამედროვე ცივილიზაციები

ს. შვარცი	გ. ჰოფსტედი	რ. ინგლჰარტი
დასავლეთევროპული ინგლისურენოვანი აღმოსავლეთევროპული ისლამური	ჩრდილოური ინგლისურენოვანი გერმანული ახლოაღმოსავლური	პროტესტანტული ინგლისურენოვანი კათოლიკური ევროპა აღმოსავლეთი ევროპა (პოსტკომუნისტური მართლმადიდებლური) კონფუციანური სამხრეთ აზია
აღმოსავლეთაზიური	განვითარებადი აზია განვითარებული აზია (იაპონია)	
ლათინოამერიკული	განვითარებადი ლათინური ამერიკა განვითარებული ლათინური ამერიკა	აფრიკა

რ. ინგლჰარტი წარმოვიდგენს ღირებულებათა მსოფლიო მიმოხილვას (World Values Surway), რომელიც უკვე 25 წელია ტარდება და მო-

იცავს 65 საზოგადოებაზე მეტს. ამ მიმოხილვაში ქვეყნები ლაგდება ერთ ღერძზე – „გადარჩენა – თვითგამოსატვა” და მეორეზე – „ტრადიციული ფასეულობები – სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები” (Inglehart R. Modernization and Postmodernization: Cultural, Economic and Political Change in Forty-Three Societies. Princeton University Press, 1997).

გადარჩენის ღირებულებები – ესაა ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოება; მატერიალური ღირებულებები, სხვაგვარად, აზროვნების მიმართ შეუწყნარებლობა, ქსენოფობია; ადამიანის თავისუფლებების და უფლებების დაბალი შეფასება, მზაობა ავტორიტარიზმის, მორჩილების, მეცნიერების და ტექნიკის მიმართ ყოვლისშემძლეობის რწმენის მიდრეკილების მიღებაზე.

თვითგამოსატვლება, პირიქით, გულისხმობს პიროვნების მაღალ შეფასებას, თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს; არამატერიალურ ღირებულებებს; წარმატებას, ეკონომიით დაფიქრებულობას; სქესთა თანასწორობას. გადარჩენის პოლუსთან ახლოსაა პოსტკომუნისტური აღმოსავლეთევროპული, ასევე – აზიის და აფრიკის ქვეყნები, თვითგამოსატვის პოლუსთან კი – დასავლეთ ევროპა და ინგლისურენოვანი ქვეყნები. ყველა პირობითობის გათვალისწინებით, გადარჩენის ღირებულებები ახლოსაა ღარიბ ქვეყნებთან, ხოლო თვითგამოსატვის ღირებულებები – მდიდრებთან.

ტრადიციული ღირებულებები – ესაა რელიგია; ოჯახი, ქვეყანა; მოწიწება ხელისუფლების მიმართ, აბსოლუტური სტანდარტები; სოციალური კონფორმიზმი, თანხმობა, ვიდრე ღია, პოლიტიკური კონფლიქტები.

სეკულარულ-რაციონალური ღირებულებები – რაციონალური ქცევა, წარმატების მიღწევა; უპირატესობის მინიჭება საერთო სახელმწიფოსათვის, რელიგიის მცირე როლი.

მეორე მიდგომა გადმოცემულია ს.შვარცის კვლევებში (კითხვარი 57 ღირებულების დასახელებით ვრცელდებოდა მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის 54 ქვეყანაში, აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის ჩათვლით). ეყრდნობოდა რა ღირებულებებს, რომლებიც სხვადასხვა კულტურის რელიგიური და ფილოსოფიური შრომების ანალიზისას გამოვლინდა, მან ისინი ბლოკებად დააჯგუფა მოტივაციის ტიპების მიხედვით და წარმოადგინა პოლუსების სახით სამ ღერძზე: 1) კონსერვატიზმი – ატონომია; 2) იერარქია – თანაბარუფლებიანობა; 3) ოსტატობა – ჰარმონია.

კონსერვატიზმი მოიცავს ისეთ ღირებულებათა არეებს, როგორცაა უსაფრთხოება, კონფორმიზმი, ტრადიციები; პიროვნება განიხილება მიკუთვნებულ ჯგუფზე (კოლექტივიზმი). დაფასებულია სოციალური წესრიგი.

ავტონომიის შემთხვევაში ყურადღების ცენტრშია პიროვნება, რომელიც ისწრაფვის, გამოაცხადოს თავისი შინაგანი თვისებები და იგი

ამისკენაა წახალისებული. განასხვავებენ ინტელექტუალურ (დამოუკიდებლობას, გონებაგახსნილობას, გამომგონებლობას) და აფექტურ (სიამოვნებისკენ სწრაფვას, გედონიზმს) ავტონომიას.

იერარქია ვარაუდობს სოციალური პასუხისმგებლობის მაღალ შეფასებას, რომელიც იერარქიულ სისტემაში პიროვნების მნიშვნელობითაა განსაზღვრული; იერარქიით უფროსისათვის დაქვემდებარებას და ვალდებულებების შესრულებას, რაც შეესაბამება იერარქიის წესებსა და პოზიციებს; იერარქია ხალისუფლების და სიმდიდრის განაწილებაში უთანასწორობის ლეგიტიმაციას ახდენს.

თანაბარუფლებიანობა გულისხმობს იმას, რომ ყველა ინდივიდი თანაბარია მორალისა და კანონის წინაშე, რომელიც დადგენილია საერთო თანხმობით. სოციალური პასუხისმგებლობა მიიღწევა სხვათა უფლებების აღიარებით, ასევე – საერთო შეხედულებათა ათვისებით სამართლიანობის, თავისუფლების, თანასწორობის, პატიოსნების და ვალდებულებების შესახებ.

ოსტატობა – არა უბრალოდ პროფესიონალიზმის და ცოდნის მაღალი შეფასებაა, არამედ საკუთარი და საზოგადო ინტერესების აქტიური ცვლილებებისაკენ სწრაფვაცაა (ამბიციები, წარმატება, გამბედაობა, მიღწევადობა).

ჰარმონია ნიშნავს სამყაროს აღქმას ისე, როგორც ის არის, სწრაფვას – უფრო შეინარჩუნოს, ვიდრე გადააკეთოს არსებული (ერთიანობა ბუნებასთან, მშვენიერების მაღალი შეფასება).

23. **Makštutis A.** *Problems of National Security in the Conditions of International Co-operation in Europe.* Between Europe and Russia. Problems of Development and Tranborder Co-operation in North-Eastern Borderland of the European Union. The research work financed by scientific funds 2005–2008 as a research Project No. H02C08829. Editors A. Ignasiak-Zsulc, W. Kosiedowskiej. – Toruń: WN UMK, 2009. – P. 55-65.
24. **Makštutis A.** *Modern Management.* – Vilnius: MAL., 2010. – 226 p.
25. *Management and Technology in the Global Economy: Nurturing Innovations and National Heritage.* Readings Book/Editors: L.Fuxman, N.Delener, H.Elihoglu, Ch.Wankel, I.Abel. – New York, Moscow: GBATA, 2006. – 1137 p.
26. *Modern tendencies of management. A Collection of Scientific Works.*/Editor and Compiler **A. Makštutis.** Vilnius: MAL, 2008. – 380 p.

27. *Regional security and development: international and national context.* /Editor and Complier L. Zaiko and A.Makštutis. – Minsk: AC „Strategy“, 2005. – 141 p.
28. **Schultz W. T.** *Investing in People.* – Vilnius: Eugrimas, 1998. – 192 p.
29. **Schuman R.** *Pour L'Europe.* – Vilnius: Eugrimas, 2002. – 160 p.
30. *Statistics 1.* „Eurostat“. 2007. *Statistics 2.* „Eurostat“. 2008. *Statistics 3.* „Eurostat“. 2009.
31. *Strategic of National Security.* – Vilnius: SDM PH, 2002. – 23 p.
32. *The Security of Regional Cooperation. A Collection of Scientific Works.*/Complier **A. Makštutis.** – Vilnius: MAL, 2005. – 357 p.
33. *Tendency of National Security in Baltic Sea Region.*/Compilers: **A. Makštutis, D. Prakapienė.** – Vilnius: MAL, 2006. – 332 p.
34. **Ulrich D., Brockbank W.** *Personnel Management.* – Vilnius: Veslo žinios, 2007. – P. 251-273.

იაკობ მესხია

**საქართველოს მაკროეკონომიკური უსაფრთხოება:
ანალიზი, კრიტიკები და პრობნოზები**

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განვლილი ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა გამოიარა. საუკუნეთა გასაყარზე სახელმწიფოს მაკროეკონომიკური სისტემა მეტ-ნაკლებად დაბალანსდა და დაიწყო მკაფიოდ გამოკვეთილი ეკონომიკური ზრდის პროცესი. “ვარდების რევოლუციის” შემდგომ ეკონომიკურმა აღმავლობამ თითქმის შეუქცევადი ხასიათი მიიღო, თუმცა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 2004 წლის 9.8 მლრდ ლარიდან 2008 წელს გაიზარდა 19.1 მლრდ ლარამდე ანუ 2-ჯერ მეტად, ხოლო ამავე პერიოდში ამ მაჩვენებლის ზრდამ მუდმივ ფასებში შეადგინა 137,7 პროცენტი, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკური ზრდა, აბსოლუტურ სიდიდეში გამოხატული, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მის ღირებულებით მაჩვენებელში ზრდას. მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე მაღალი 12,3 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა 2007 წელს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის ასეთ მაღალ ტემპს (11,5%) ადგილი ჰქონდა 1996-1997 წლებშიც. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. კერძოდ, 2004 წელს მიმდინარე ფასებში მან შეადგინა 2276,7 ლარი (1187,6 აშშ დოლარი), ხოლო 2008 წელს – 4352,2 ლარი (2921.1 აშშ დოლარი). ფაქტობრივად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს, რაც უნდა აიხსნას

ძირითადად სამი ფაქტორით: პირველი, იმით, რომ ოფიციალური სტატისტიკა ეკონომიკური ზრდის მთავარ ინდიკატორად გამოიყენებს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას მიმდინარე ფასებში, რომელიც მოიცავს ინფლაციურ ცვლილებებს, რის გამოც იგი მნიშვნელოვნად აღემატება მის მუდმივ ფასებში მოცულობას. უფრო მეტიც, სტატისტიკა საერთოდ არ ანგარიშობს და არც აქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას, რის გამოც მიმდინარე ფასებში გაანგარიშებული ეს მაჩვენებელი რეალურ სურათს არ ასახავს. სტატისტიკის თანახმად, 2004-2008 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში გაორმაგდა, რასაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ასეთივე გაორმაგება არ მოჰყოლია და ამის დადასტურება არ საჭიროებს სპეციალურ კვლევას, რადგან ამ ბოლო წლებში მოსახლეობის სიღარიბის დონე პოზიტიური კუთხით მხოლოდ მცირედ აღემატება. მეორე ფაქტორი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან შედარებით მოსახლეობის ცხოვრების დონის ჩამორჩენისა, ობიექტურ ხასიათს ატარებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეული, და არცთუ ისე უმნიშვნელო, ნაწილი საგარეო ვალების გასტუმრებას ხმარდება. მესამე ფაქტორი არის ქვეყნის მოხმარების დეფორმირებული სტრუქტურა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების თითქმის მესამედის მართლწესრიგისა და თავდაცვის სფეროს განმტკიცებისათვის მიმართვაში. როგორც ცნობილია, ამგვარი ხარჯები ცხოვრების დონის კუთხით “დაკარგულად” ითვლება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, დასკვნა ერთადერთი და ცალსახაა – ეკონომიკური ზრდის ტემპებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ზრდის ტემპები.

რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურას, იგი არ შეიძლება ოპტიმალურად ჩაითვალოს, რადგან მასში თანდათანობით კლებულობს რეალური სექტორის წილი და შესაბამისად, იზრდება არამწარმოებლური დარგების მდგენელები. ეს კი მიანიშნებს ქვეყნის დაბალ კონკურენტუნარიანობასა და, საკუთარი წარმოების ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მოთხოვნილების გაუჯერებლობაზე, რაც, თავის მხრივ, დეფიციტის ომპორტული საქონლით შევსებას იწვევს. 2008 წლის მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის მეურნეობაზე (ნადირობის, მეტყვეობისა და თევზჭერის ჩათვლით) მხოლოდ 8,9% მოდიოდა, მრეწველობაზე – 13,5%, მშენებლობაზე – 5,3%, მაშინ როდესაც ვაჭრობის წილი შეადგენდა 13,9 %-ს და სხვა არამწარმოებლურ დარგებზე მოდიოდა 40%-ზე მეტი.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი პოზიტიური დინამიკა დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ისეთი მაჩვენებლის ტრაექტორიაში, როგორცაა პირდაპირი უცხოური

ინვესტიციები. კერძოდ, 2004 წელს მან შეადგინა 499, 1 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2008 წელს გაიზარდა 1564,0 მლნ აშშ დოლარამდე. ამ მანკვენებელმა 2007 წელს შეადგინა მაქსიმუმი – 2014,8 მლნ აშშ დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად შეიცვალა ინვესტიციების გეოგრაფია, ევროპული ქვეყნების პარალელურად გაიზარდა ინვესტიციები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან და მეზობელი სახელმწიფოებიდან. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვაკეთდეს დასკვნა – *2004-2008 წლებში საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.*

საანალიზო პერიოდში, მიუხედავად ეკონომიკური ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპებისა, ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა *დასაქმებისა და უმუშევრობის* პრობლემა, რომელმაც სათავე აიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან. თანდათანობით შემცირდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალის) რიცხოვნობა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მოსახლეობის კვლავწარმოებაში არსებული ნეგატიური პროცესებით (მნიშვნელოვნად დაეცა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპი). ოფიციალური სტატისტიკით, 2004 წელს ქვეყნის სამუშაო ძალის რიცხოვნობამ შეადგინა 2041,0 ათასი კაცი, ხოლო 2008 წლისათვის იგი შემცირდა 1917,8 ათას კაცამდე. დასაქმებულთა რიცხოვნობამ ამ წლებისათვის შესაბამისად შეადგინა 1783,3 და 1601,9 ათასი კაცი. მიუხედავად სამუშაო ძალის რიცხოვნობის შემცირებისა, უმუშევართა რიცხოვნობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. კერძოდ, 2004 წელს უმუშევარი იყო 257,6 ათასი, ხოლო 2008 წელს 315,8 ათასი კაცი, უმუშევრობის დონემ შესაბამის წლებში შეადგინა 12,6 და 16,5 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე საქართველოში დაფიქსირდა. ოფიციალური სტატისტიკა სრულფასოვნად ვერ ასახავს დასაქმების დონეს, რადგან იგი უმუშევრად აღრიცხავს მხოლოდ დასაქმების სამსახურებში სამუშაოს მაძიებლად დარეგისტრირებულებს. ამგვარი სამსახურების არაეფექტიანი მუშაობისა და ამ ბოლო პერიოდში მათი თითქმის ფორმალურად არსებობის გამო, უმუშევართა ოფიციალური მონაცემები გაცილებით მეტია და სხვადასხვა ექსპერტული მაჩვენებლებით მათი რიცხვი 2-3-ჯერ აღემატება ოფიციალურ მონაცემებს.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა აღრიცხვის პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიას, დღევანდელი საქართველოს პირობებში მიუღებელია და არ ასახავს რეალურ სურათს. გარდა ამისა, ოფიციალური სტატისტიკა ვერ აღრიცხავს სამუშაო ძალის გადინებას ქვეყნის ტერიტორიიდან, რის გამოც მიგრანტთა რეალური რაოდენობა უცნობია. ექსპერტების მიერ ირიბი გათვლებით, მათი რაოდენობა აღემატება ერთ

მილიონ კაცს. თუ გაეითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიგრანტთა უმეტესი ნაწილი სამუშაოს საძებნელად ქვეყნის გარეთ მიემგზავრება და მათ ჩავთვლით ქვეყნის უმუშევართა საერთო რიცხოვნობაში, უმუშევრობის დონე საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნახევარსაც კი გადააჭარბებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მოსახლეობის დასაქმების მიმართულებით გატარებული არაერთი სახელმწიფო ძალისხმევა (დასაქმების პროგრამების რეალიზაცია) არაეფექტური აღმოჩნდა, რადგან ისინი მეტწილად არაარგუმენტირებული იდეოლოგიიდან გამომდინარეობდნენ და არ იყვნენ ორიენტირებული რეალური მიზნის რეალიზაციისაკენ. უფრო მეტიც, დღემდე არაა პასუხი გაცემული კითხვაზე, რითაა გამოწვეული ეკონომიკური ზრდის პარალელურად დასაქმების დონის შემცირება. მაგალითად, 2005 წელს, წინა წელთან შედარებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 9,6 პროცენტი, ხოლო უმუშევრობის დონე კი არ შემცირდა (ოუკენის კანონი), არამედ 12,6%-დან 13,8%-მდე გაიზარდა კიდევაც. ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქვეყანაში დასაქმების ამადლების მიმართულებით არ გატარდა ეფექტიანი პოლიტიკა და ამ პრობლემაზე უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულად მწვავე სახიათი მიიღო.

საკვლევი პერიოდისათვის ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში არსებითი ხასიათის ძვრები არ მომხდარა. საბანკო სექტორი კვლავაც ინარჩუნებდა წამყვან როლს ეკონომიკის სექტორებს შორის. ამავე დროს, ადგილი ჰქონდა ორ მკვეთრად გამოკვეთილ მოვლენას. პირველი, საბანკო სისტემაში უცხოური ინვესტიციების (კაპიტალის) მოზღვავენებას, რის შედეგადაც უპრეცედენტოდ იზრდებოდა საბანკო განაკვეთები (ყველაზე მაღალი პოსტსაბჭოურ სივრცეში) და მეორე, ეკონომიკასა და მოსახლეობაში საბანკო სესხების ინტერვენციას, რამაც მიუხედავად მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა, მასობრივი სახე მიიღო კრედიტის უზრუნველყოფისადმი მეტისმეტი ლიბერალური მოთხოვნების წაყენების გამო. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა “სესხის მორევში” მოექცა, რამაც, ერთი მხრივ, სტიმული მისცა ეკონომიკურ აღმავლობას, ხოლო, მეორე მხრივ, საფრთხე შეუქმნა ქვეყნის საბანკო სისტემას და მთლიანად ეკონომიკას, რადგან უკვე 2007 წლის დასასრულისათვის იმატა დაუბრუნებელი კრედიტების მოცულობამ. საანალიზო პერიოდში ფულის მასა (M3) გაიზარდა თითქმის ორჯერ და 2008 წლისათვის შეადგინა 1650,5 მლნ ლარი. შიდა კრედიტების მოცულობა კიდევ უფრო მაღალი ტემპით გაიზარდა და 2004 წლის 1,8 მლრდ ლარიდან 2008 წლისათვის შეადგინა 5,9 მლრდ ლარი ანუ გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ. ამასთან, საკმაოდ სტაბილური იყო ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, 2004 წელს აშშ დოლარის მიმართ იგი შეადგენდა 1,91, ევროს მიმართ - 2,38, ხოლო 2008

წლისათვის ლარის კურსი საკმაოდ შესამჩნევად გამყარდა როგორც აშშ დოლარის (1: 149), ასევე ევროს (1: 218) მიმართ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საანალიზო დროის ბოლო პერიოდამდე ქვეყნის მონეტარულ სექტორში პოზიტიურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი, თუმცა მის შემდგომ ეტაპებზე საფუძველი ჩაეყარა არასტაბილურ განვითარებას, რაც პრაქტიკულად დაჩქარდა და გამოვლინდა კიდევაც რუსეთ-საქართველოს ომისა და გლობალური კრიზისის შედეგად.

რადიკალური პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის მიმართულებით. არსებითად შემცირდა გადასახადების რაოდენობა და ზოგიერთი გადასახადის განაკვეთის მოცულობა, გადასახადების ნაწილი ერთმანეთს შეერწყა, გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება, რის შედეგადაც საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 14,2%-დან გაიზარდა 25,1%-მდე. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები 2004 წლის 1,8 მლრდ ლარიდან 2008 წელს 5,5 მლრდ ლარამდე ანუ სამჯერ და მეტად გაიზარდა. თითქმის ამდენჯერმე გაიზარდა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, განსაკუთრებით მაღალი ტემპებით გაიზარდა დამატებული ღირებულების (4,2-ჯერ) გადასახადი და აქციზი (3,5-ჯერ).

მიუხედავად საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მაღალი ტემპებისა, რაც ნამდვილად პოზიტიურ მოვლენად უნდა შეფასდეს, საანალიზო პერიოდში ადგილი ჰქონდა ხარვეზებს ბიუჯეტის დაგეგმვაში, რასაც თან სდევდა მისი ხშირი ცვლილებები და დამატებები, რის გამოც შეუძლებელი იყო გრძელვადიანი ინტერესების რეალიზაცია და სახსრები მეტწილად მიმდინარე საჭიროებებისათვის გამოიყოფოდა. ამასთან, ქვეყანაში გატარებული ხარჯვითი პოლიტიკა არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო შესაძლებლობებს, რის გამოც დეფიციტის შევსებისათვის გადაჭარბებულად გამოიყენებოდა საგარეო სესხები, რაც გრძელვადიან პერიოდში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის სახელმწიფო ბიუჯეტს და შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკას. აქ უნდა აღინიშნოს ევრობონდების ნახევარმილიარდიანი სესხი, რომელიც სათანადო არგუმენტაციის გარეშე იქნა აღებული და გამოყენებული. დაუსაბუთებელი იყო აგრეთვე პროფიციტურ საბიუჯეტო რეჟიმზე გადასვლის მცდელობა და მომავალი თაობებისა და სტაბილიზაციის ფონდების შექმნა, რომელიც პრაქტიკულად არც განხორციელდა. იგივე შეიძლება ითქვას არაარგუმენტირებულად მიღებულ კანონზე, რომლის თანახმად საქართველო გლობალური ფინანსური ცენტრი უნდა გამხდარიყო. აღნიშნული კანონი, როგორც მოსალოდნელი იყო მალევე ისტორიის კუთვნილება გახდა. არაფერს გამობოთ ხარჯების პროორტივულობაზე, რადგან ქვეყანას არ გააჩნდა და დღესაც არ გა-

აწინა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო პროგრამა, რის გამოც ბიუჯეტის ხარჯვა ხდება მეტწილად მოკლევადიანი პრობლემების დასარეგულირებლად. მთლიანობაში საანალიზო პერიოდში *საბიუჯეტო-სავადასახადო პოლიტიკის უმეტესი მდგენელები პოზიტიურია და ამ კუთხით მიღწეულია გარკვეული წარმატებები, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია.*

საანალიზო პერიოდში რადიკალურად შეიცვალა *საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა პოლიტიკა*, რომელიც ყველაზე მკაფიოდ საქონლის *ექსპორტ-იმპორტის* თანაფარდობაში ვლინდება. 2004 წელს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ შეადგინა 2,5 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო 2008 წელს იგი გაიზარდა 7,8 მილიარდამდე, ანუ 3,2-ჯერ. იმპორტი შესაბამის წლებში გაიზარდა 3,5-ჯერ, ხოლო ექსპორტი – 2,3-ჯერ. ექსპორტ-იმპორტის საღირსე 2004 წლის 1,1 მლრდ აშშ დოლარიდან 2008 წელს გაიზარდა 4,8 მლრდ დოლარამდე (საუბარია უარყოფით საღირსეზე). არასახარბიელო მდგომარეობა ჩამოყალიბდა ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში, საქართველოდან გააქვთ ძირითადად ფეროშენადნობები, შავი ლითონების ჯართი, სპილენძის მადნები, აზოტოვანი სასუქები, ავტომობილები, ოქრო და ცემენტი, დანარჩენ პროდუქტებზე (სასოფლო-სამეურნეო) უმნიშვნელო ნაწილი მოდის.

იმპორტის ძირითადი საქონელია ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები, სამკურნალო საშუალებები, ხორბალი, სხვადასხვა ტექნიკა და ა.შ. ამრიგად, საქართველოდან მეტწილად გაიტანება ნედლეული და ჯართი, ხოლო შემოიტანება სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტები, რაც არ პასუხობს ქვეყნის გრძელვადიან ეროვნულ ინტერესებს. რაც შეეხება ექსპორტ-იმპორტის გეოგრაფიას, ადგილი ჰქონდა მის გაფართოებას და ადგილების პოზიტიურ მონაცვლეობას. კერძოდ, ექსპორტშიც და იმპორტშიც რუსეთს, რომელსაც პირველი ადგილი ეკავა, იმპორტში ჩაენაცვლა თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და სხვა ქვეყნები, ხოლო ექსპორტში – ასევე თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და სხვა ქვეყნები. ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები *ჯერჯერობით არ პასუხობს ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს და იგი ამწვავეებს დასაქმების პრობლემას, რადგან იმპორტის ექსპორტთან 4-ჯერადი გადაამტება ნიშნავს იმპორტიორი ქვეყნების მოსახლეობის დასაქმებას. მას სხვა უარყოფითი მოვლენებიც ახლავს ქვეყნის უსაფრთხოების პოზიციებიდან გამომდინარე.*

ძალიან მოკლედ საქართველოში შექმნილ მაკროეკონომიკურ გარემოზე რუსეთ-საქართველოს ომისა და გლობალური კრიზისის შემდგომ პერიოდში დღემდე. ამ მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკას საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. 2009 წელს, წინა წელთან შედარებით,

მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში შემცირდა 1,2 მლრდ ლარით, ანუ 3,9 პროცენტით. მნიშვნელოვნად შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და მან 2009 წელს შეადგინა 759,1 მლნ აშშ დოლარი. ამ მხრივ გაუმჯობესება ჯერჯერობით არ ჩანს. წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2010 წლის პირველ კვარტალში 76 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დასაქმების მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ოფიციალური სტატისტიკით, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, უმუშევართა რიცხოვნობა გაიზარდა 20 ათასი კაცით და უმუშევრობის დონემ 16,9 პროცენტი შეადგინა. გაიზარდა სამომხმარებლო ფასები, მართალია, ამ მხრივ 2009 წელს არსებით მატებას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ 2010 წლიდან დაფიქსირდა ფასების ზრდა აგრარული სექტორის პროდუქციაზე, სატრანსპორტო მომსახურებაზე, განათლებაზე და ა.შ., რაც არის სიგნალი ინფლაციური არამდგრადობის მოახლოებისა. 2009 წელს საბანკო სექტორმა ვერ მიიღო მოგება, მიმდინარე წლის I კვარტალში ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა, თუმცა კომერციულმა ბანკებმა კვლავ მეტისმეტად გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები, რაც უთუოდ შეანელებს ბიზნეს-აქტივობას. ამას ემატება ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა, რომელიც ომის შემდგომ მყისიერად განხორციელდა და 1,65-მდე შემცირდა დოლართან მიმართებაში, 2010 წლის დასაწყისში 1,70 ნიშნულს გადასცდა, ხოლო მეორე კვარტალში 1,90 მიუახლოვდა. ამით დაიწყო ლარისამი მოსახლეობაში ნდობის შემცირების პროცესი. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, მას ჯერჯერობით ღიად პრობლემები არ შექმნია, რაც განპირობებულია იმ დიდი დახმარებით და კრედიტებით, რომელიც საქართველოს გამოეყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ჯერ კიდევ 2008 წელს ბრიუსელის კონფერენციაზე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ დახმარებამ მნიშვნელოვნად შეარბილა რუსეთ-საქართველოს ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის ნეგატიური გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე და ქვეყანა იხსნა ღრმა კრიზისისაგან.

დგება ახალი დრო და ახალი გამოწვევები. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს ტრანსფორმაციული ცვლილებები. გლობალური კრიზისის დაძლევის მიმართულებით პოზიტიური შემობრუნება დაფიქსირდა, მაგრამ მდგრად და სტაბილურ განვითარებაზე ჯერჯერობით საუბარი ნაადრევია. ამას ადასტურებს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საბერძნეთი, არგენტინა, ესპანეთი და სხვა) შექმნილი ახალი ფინანსური სირთულეები, რომელმაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ევროზონას. ფინანსური რისკების მაღალი დონიდან გამომდინარე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ნებისმიერი სახით ფინანსური დახმარების გაწევას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც სახსრების ეკო-

ნომიურად ხარჯვით პოლიტიკას არ მიმართავენ. ეს დაადასტურა საბერძნეთის მაგალითმაც. ამით საფუძველი ეყრება ახალ მსოფლიო ფინანსურ და ეკონომიკურ წესრიგს, რომელიც იქნება საერთაშორისო მკაცრ კონტროლზე დაფუძნებული და შედარებით აგრესიული. ამის ხაზგასმის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ვექტორი ბევრადაა დამოკიდებული მრავალწახნაგოვან ეგზოგენურ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე.

უახლოესი პერიოდისათვის საქართველოში მოსალოდნელი ეკონომიკური ვითარება სახელმწიფოსა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, რაც სავსებით ლოგიკურია იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციულ ცვლილებათა ფონზე, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ცვლილებების აუცილებლობითაა ნაკარნახევი ის ახალი მიდგომები და კონცეფციები, რომელიც გაუღერდა ამ უკანასკნელ პერიოდში და რომელთა ნაწილი პრაქტიკაში რეალიზდება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ყურადღების აქცენტირება თავისუფალი სპეციალური ზონების მშენებლობაზე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ “თავისუფლების აქტზე”, ახალ საბიუჯეტო და საგადასახადო-საბაჟო სამართლებრივი საფუძვლების შემუშავებასა და დანერგვაზე, აგრეთვე ენერგეტიკის, ტურისტული ინდუსტრიისა და წერტილოვანი რეგიონული წარმონაქმნების პრიორიტეტულ განვითარებაზე. მიზანი მკაფიო და ცალსახაა – ეკონომიკის ლიბერალიზაციის პროცესის გადრმავეება და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ კეთილშობილური იდეოლოგიის პრაქტიკულმა რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და, შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმება და ცხოვრების დონის ამაღლება. იმისათვის, რომ ცხადად წარმოვიდგინოთ აღებული კურსის საბოლოო შედეგების დადგომის რეალობა და დროითი საზღვრები, საჭიროა პროგნოსტიკული კვლევების მოშველიება, რომელიც, თავის მხრივ, დღევანდელ სწრაფად ცვალებად გლობალურ სამყაროში საკმაოდ სარისკო საქმეა. ცნობილია, რომ ვერც ერთმა საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურმა ინსტიტუტმა ვერ დააპროგნოზა გლობალური ეკონომიკური კრიზისის მოახლოება, თუმცა ცალკეული მკვლევარები ამ საფრთხის შესახებ თავიანთ მოსაზრებების დიად აფიქსირებდნენ დავოსის ცნობილ საერთაშორისო ფორუმებზე.

ძალიან მოკლე პიპოთეზური დებულებები იმაზე, თუ როგორი სცენარებით შეიძლება განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა უახლოეს მომავალში.

პეხიმისტური სცენარი. დაშვება იმისა, რომ ეკონომიკური რეფორმები არ გადრმავედება და უცვლელი დარჩება ყველა ის ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორი და პირობა, რომლებიც დღეისათვისაა გამოკ-

ვეთილი. ასეთ ვითარებაში მივიღებთ პასიურ პროგნოზებს, რომელიც თავისი შინაარსით დღევანდელობაზე უფრო პესიმისტური იქნება, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკა ომამდელ (კრიზისამდელ) დონეს დაუბრუნდება მინიმუმ 5-6 წლის განმავლობაში, დასაქმების დონე არ გაიზრდება, ხოლო მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი უფრო შემცირდება, თუ სახელმწიფო თავის საგარეო სასესხო ვალდებულებებს პირნათლად შეასრულებს ახალი სესხების აღების გარეშე.

ოფიციალური სცენარი. დაშვება იმისა, რომ პრაქტიკაში განხორციელდება ის ეკონომიკური რეფორმები, რომელიც დაფიქსირებულია დღეის მდგომარეობით და რომლის მთავარი იდეოლოგიაა-კრიზისს უნდა ვუპასუხოთ ლიბერალიზაციით და არა ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევით. კონკრეტულად ეს უნდა განხორციელდეს შემდეგი გზით: საბიუჯეტო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 30%-ზე მეტს, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი-3%-ს; არ შეიქმნას ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები; გაფართოვდეს ბიუჯეტის სოციალური ნაწილი; არ გაიზარდოს საგადასახადო განაკვეთები ხალხის თანხმობის გარეშე და ა.შ. ეს ყველაფერი მომავალში. ამასთან, ძალაში რჩება ყველა ის რეფორმა, რომელიც უკვე პრაქტიკაში ინერგება. როგორი შეიძლება იყოს ამ რეფორმების შედეგები? მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ მას უთუოდ ექნება პოზიტიური შედეგები, მაგრამ არა იმ დონის, რომ არსებითად დაარეგულიროს ქვეყნის წინაშე მდგარი უპირველესი პრობლემები – დასაქმება და ცხოვრების დონის ზრდა. საქმე ისაა, რომ რეფორმირების სტრატეგიაში არ შეცვლილა პრიორიტეტების იერარქია. არადა, მასში კუთვნილი ადგილი არ უკავია ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან და სტრატეგიულ დარგს, როგორცაა სოფლის მეურნეობა და სურსათის წარმოება. ჩვენი აზრით (და ამ აზრისაა საზოგადოების უმრავლესობა) ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას და დასაქმების პრობლემის მნიშვნელოვნად შერბილებას, უპირველეს ყოვლისა, ამ დარგის ნომერ პირველ პრიორიტეტად აღიარება და სახელმწიფო მხარდაჭერა უზრუნველყოფს.

ოპტიმისტური სცენარი. დაშვება იმისა, რომ რეფორმების სტრატეგიულ მიმართულებებში აისახება შემდეგი ღონისძიებები: სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება, განსაკუთრებით მმართველობითი და თავდაცვის ხარჯების, მხოლოდ იმ პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან პრობლემების სრულ გადაწყვეტაზე და რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი პროექტებით და ხარჯთაღრიცხვით; საბიუჯეტო ასიგნებების განაწილება მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე; საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება კაპიტალს, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის; პირდაპირი და ირიბი გადასახადების თანაფარდობის ოპტიმიზაცია; დამატებული ღირებულების გადასახადის

განაკვეთის დიფერენციაცია; ქმედითი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა; საბანკო სექტორის მოგებასთან ერთად სახელმწიფო ინტერესებზე ორიენტაცია და მათ მიერ საკრედიტო რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ეროვნული ბანკის რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; დროებითი მორატორიუმის გამოცხადება ახალი საგარეო ვალების აღებაზე; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპირატესი მიმართვა რეალურ სექტორში; შიდა ინვესტიციების წახალისება და სახელმწიფო მხარდაჭერა; ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის არასატარიფო ბერკეტებით რეგულირება; იმპორტის ეროვნული პროდუქტით ჩანაცვლების სტიმულირება; საექსპორტო პროდუქციის წარმოების საგადასახადო-საბიუჯეტო მხარდაჭერა; მიკრო და მცირე ბიზნესზე საგადასახადო პრეფერენციების შემოღება; მაღალმთიან და მთიან რეგიონებში მეწარმეობის დაბეგვრისაგან გათავისუფლება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების მართვის მუნიციპალური ორგანოების შექმნა; ენერგომატარებლების ტარიფების რეალობასთან ჰარმონიზაცია და ა.შ. ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომით შესაძლებელი გახდება ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ცხოვრების დონის ამაღლება.

Jacob Meskhia

MACROECONOMIC SAFETY OF GEORGIA: ANALYSIS, HYPOTHESES AND PROGNOSES

SUMMARY

The article analyzes main characteristics of macroeconomic environment of Georgia during last years: dynamics and structure of Gross Domestic Product (GDP), foreign direct investments, budgetary and tax system policy, monetary policy, foreign economic relationships, employment, level of life, etc. Strength and weaknesses of microeconomic environment are revealed. The article researches post crises problems and directions of there solving.

Multi version hypotheses, prognoses and measures of Georgian economy development are worked out the practical realization of which ensures effective development of economy in the country.

**გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის
კვლევის ზოგიერთი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი**

თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, თავისი სიღრმითა და სიმწვავეთ გამორჩეულია, XX საუკუნის 30-იანი წლების «დიდი დეპრესიის» შემდეგ. კრიზისმა მსოფლიოში უდიდესი ფინანსურ-ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დანაკარგები გამოიწვია. ასე მაგ., მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტებიდან კრიზისის დასაძლევად 8 ტრლნ აშშ დოლარზე მეტი გამოიყო¹²¹. აზიის განვითარების ბანკის მონაცემებით, მსოფლიო ეკონომიკაში აქტივების, უძრავი ქონების, საფონდო ბირჟების ღირებულების დანაკარგებმა 2008-2009 კრიზისულ წლებში 50 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 29 ტრლნ საფონდო ბაზრების კაპიტალიზაციის დანაკარგები იყო¹²². აშშ-ს შინა მეურნეობათა კეთილდღეობა 2008 წლის ბოლოს და 2009 წლის დასაწყისში, 2007 წლის პიკურ დონესთან მიმართებაში, 20%-ით დაეცა და ჯამურმა დანაკარგებმა 13 ტრლნ დოლარი შეადგინა¹²³. საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუტის გაანგარიშებით, განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის ნაკადები 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირდა 3-ჯერ, 2007 წელთან შედარებით კი 6-ჯერ¹²⁴.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის ბუნების შეცნობა, კრიზისიდან გამოსვლის გზების გამონახვა და მსგავსი პროცესების პროგნოზირება-პრევენცია გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის სიღრმისეულ და სისტემურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ანალიზს მოითხოვს, რაც უადრესად რთული და შრომატევადი სამუშაოა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჩვენ მხოლოდ პრობლემის რამდენიმე ასპექტზე შევჩერდებით.

ეკონომიკური კრიზისის კლასიკური თეორიის თანახმად, კრიზისი წარმოშობს მიწოდების მოთხოვნაზე გადაჭარბება, რასაც ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი ეწოდება. ტრადიციულად, იგი მიმდინარეობდა ეკონომიკის რეალურ სექტორში. ასეთი ტიპის ეკონომიკურ კრიზისებს ადგილი ჰქონდა მთელ XIX საუკუნეში და XX საუკუნის 80-იან წლებამდე. ვასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე სიტუაცია არსებითად შეიცვალა და ჭარბწარმოების კრიზისი დამახასიათებელი გახდა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის ყველაზე სწრაფად განვითარებადი ფინანსური სექტორისათვის. თანამედროვე გლობალურ ფინან-

¹²¹ ქ. ეკონომისტი, №2, 2009, გვ. 15.

¹²² ქ. Вопросы экономики, №7, 2009, გვ. 7.

¹²³ იქვე.

¹²⁴ ქ. Мирровая экономика и международные отношения, №5, 2009, გვ. 27.

სურ-ეკონომიკურ კრიზისთან მიმართებაში ეს კონკრეტულად გამოიხატა აშშ-ს ეკონომიკაში ჭარბი ლიკვიდურობის დაგროვებით, რასაც შემდეგი მიზეზები განაპირობებდა:

- ინვესტორთა ნდობის მკვეთრი დაქვეითება ე.წ. სწრაფად განვითარებადი ბაზრის ქვეყნების მიმართ, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 1997-98 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ;

- აშშ-ს ფასიან ქალაქებში იმ ქვეყნების მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრების ინვესტირება, რომლებმაც ეს ფინანსური რესურსები დააგროვეს საექსპორტო წარმოების სწრაფი განვითარების (მაგ., ჩინეთი) და ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრი მომატების შედეგად (მაგ., სპარსეთის ყურის ქვეყნები);

- აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ 2001-2003 წლებში გატარებული ანტიციკლური მონეტარული პოლიტიკა, რომლის ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა სარგებლის განაკვეთის განუხრეფლად დაწევაში.

ჭარბმა ლიკვიდურობამ ხელი შეუწყო ფინანსური ბუშტების წარმოქმნას უძრავი ქონების, აქციების, სანედლეულო საქონლის ბაზრებზე და ეკონომიკური კრიზისის შემადგენელ ნაწილად ჩამოყალიბდა. ჭარბი ლიკვიდურობა განაპირობებდა საკრედიტო ექსპანსიას და ეს უკანასკნელი ფინანსური კრიზისის წარმოშობის მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინებოდა.

ეკონომიკაში ფინანსური სექტორის სწრაფი და უკონტროლო ზრდა ეკონომიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიება: «ფინანსებიზაცია», «დერივატიული კაპიტალიზმი», «თვითმზარდი ფიქტიური კაპიტალი» და ა.შ. ეს პროცესები მაშინ იწყება, როცა ფინანსები კარგავს მისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი რეალური სექტორის მომსახურების ფუნქციას, იძენს თვითკმარ ხასიათს და საკუთარი კანონზომიერების შესაბამისად ვითარდება. ფინანსებიზაციის ფენომენის შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველად გამოდგება კ. მარქსის «კაპიტალის» III ტომში სკრუპულოზულად აღწერილი ფიქტიური კაპიტალის მოძრაობის კანონზომიერებები. იმ დროს კ. მარქსს, ბუნებრივია, წარმოდგენილი არ ჰქონდა რა გიგანტურ მასშტაბებს მიაღწევდა ეს პროცესი XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე. ფიქტიური კაპიტალის განვითარებას იგი განიხილავდა, როგორც ეკონომიკური ციკლის აღმავალ ფაზასთან დაკავშირებულ ღონისძიებას¹²⁵. თანამედროვე პირობებში ფიქტიური კაპიტალის და ზოგადად – ფინანსური სექტორის წინმსწრები ზრდა პოსტინდუსტრიული ეპოქის ეკონომიკის სტრუქტურის წარმოქმნის დომინანტურ ფაქტორად არის მიჩნეული.

¹²⁵ კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III, ნაწ. II. თ., 1954, გვ. 568.

როგორც ფრანგი მკვლევარი რ. ბუაიე მიუთითებს: «დღეს ფინანსები იკავებს იმ სტრუქტურულ პოზიციას, რომელიც მას საშუალებას აძლევს საკუთარი ლოგიკა და წესები თავს მოახვიოს სტრუქტურის სხვა დანარჩენ ელემენტებს»¹²⁶. ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ფინანსები დღეს «ტირანულ» ძალად გადაიქცა¹²⁷. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღეს ფინანსურ სფეროში ნებისმიერ ფინანსურ შეფერხებას შეუძლია მთელი ეკონომიკური სისტემის კოლაფსში ჩაგდება, რაც კარგად გამოჩნდა თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის მაგალითზე.

ფინანსური სექტორის სწრაფი ზრდა აშშ-სა და სხვა წამყვან ქვეყნებში ასევე გამოწვეული იყო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების – დერივატივების გიგანტური ზრდით. კერძოდ, მათმა ღირებულებამ 2008 წელს აშშ-ში ასტრონომიულ ციფრს – 65 ტრლნ დოლარს მიაღწია. აშშ-ს საფონდო ბირჟების კაპიტალიზაციის თითქმის 54% დერივატივებზე მოდიოდა. იმავე წელს აშშ-ს წილი მსოფლიო მშპ-ში შეადგენდა 21.3%-ს, ბანკების აქტივებში – 13.2%-ს, აქციების ღირებულებაში – 30.6%-ს, სავალო ფასიანი ქაღალდების ღირებულებაში – 37.4%-ს, ბირჟაზე და ბირჟის გარეთ დერივატივებით ვაჭრობაში შესაბამისად – 50.8%-ს და 40%-ს¹²⁸. აშშ-ს ეკონომიკაში ჩამოყალიბდა დერივატივების პირამიდა, რომლის სიმყარე წლების განმავლობაში უცნობი იყო. თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა კი ცხადყო მისი არამყარი ხასიათი და მწვავე პროცესების განვითარებას შეუწყო ხელი.

პრობლემის კვლევაში გვერდს ვერ ავუვლით ზოგიერთ თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტს და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში ფუნდამენტური დისპროპორციების წარმოქმნისა და არსებობის საკითხი. ეკონომიკა, როგორც ცნობილია, დინამიკური სისტემაა, რომლის სხვადასხვა ელემენტები განსხვავებული სისწრაფით იცვლება. პრობლემის არსი მდგომარეობს ამ განსხვავების დასაშვებზე უფრო მეტ სიდიდეში, რომელიც საფრთხის შემცველია მთელი სისტემის ნორმალური ფუნქციონირება-განვითარების თვალსაზრისით. სისტემის სხვადასხვა ელემენტების მოძრაობის სიჩქარეთა შორის მკვეთრი განსხვავება, არღვევს რა სისტემის დაბალანსებულობას, ხელს უწყობს მიმდინარე კრიზისის მსგავსი პრობლემების წარმოშობას. პრობლემის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური თეორიის მიმართულება, რომელსაც ეკონომიკური

¹²⁶ ჟ. Вопросы экономики, 2008, №12. გვ.49.

¹²⁷ **А. Дынкин.** Глобальный финансовый кризис: неопределённость сценариев. *Ж. Мировая экономика и международные отношения*, 2009, №5, გვ.29.

¹²⁸ ჟ. Вестник института Кенана в России. Вып.15. М., 2009, გვ.29.

დინამიკა ეწოდება. მისი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა ეკონომიკური ტურბულენტობა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური სისტემის ცვლილებაში წარმოქმნილ დისბალანსებს.

თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის სიღრმისეული შესწავლა და ეფექტიანი ანტიკრიზისული ღონისძიებების შემუშავება მოითხოვს კიდევ ერთი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემის შესწავლას, რომელიც მდგომარეობს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების – დერივატივების, ფიქერსების, სვოპების, ჰეჯ-ფონდების და სხვათა განვითარების არა მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკური, არამედ ზოგადცივილური შედეგების პროგნოზირებაში. ანალიზი ცხადყოფს, რომ, ხშირ შემთხვევაში, ეს შედეგები შეიძლება არასახარბიელო და სახიფათოც კი აღმოჩნდეს. კერძოდ, ამ ინსტრუმენტების გიგანტური ზრდა მოასწავებს კომპანიების, ინდივიდების, საზოგადოების სიმდიდრის დიდი ნაწილის მითვისებას იმ სუბიექტთა მიერ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სპეკულაციური ოპერაციებით ეუფლებიან და აგროვებენ სიმდიდრეს. ეს კი ნიშნავს თანამედროვე საზოგადოების პარაზიტული ხასიათის გაძლიერებას. ფიქტიურმა კაპიტალმა დღეს ასეთ გიგანტურ მასშტაბებს იმიტომ მიაღწია, რომ იგი ღრმად «შეძვრა» არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ მომავალი თაობების ცხოვრებაში და დაეუფლა მათ სიმდიდრეს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე «ეკონომიკურ საზოგადოებას», ანუ კაპიტალიზმს, ახასიათებს მტაცებლური დამოკიდებულება პლანეტის ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ, ცხადი გახდება ორი მეტად სახიფათო კანონზომიერების არსებობა: კაპიტალისტური ეკონომიკის სწრაფადმზარდი ვირტუალიზაცია და მიმდინარე კეთილდღეობის მაღალი სტანდარტების მიღწევისაკენ სწრაფვა მომავალი თაობების სასიცოცხლო გარემოს არსებითი გაუარესებისა და მათი გაღარიბების ხარჯზე. ამის მიზეზს ეთიკურ-რელიგიური ვერსიით წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებაში (ეკონომიკაში) სწრაფი გამდიდრებისაკენ ადამიანთა დაუოკებელი სწრაფვა. გახშირებული გლობალური ფინანსური კრიზისები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ა. სმიტის «ეკონომიკური ადამიანის», როგორც საზოგადოებრივი ეკონომიკური პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალის დოქტრინა დღეს საფუძვლიან გადახედვას საჭიროებს. გაკოტრებული ბანკების, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების ტოპმენეჯერთა მრავალმილიონიანი ბონუსები, ფინანსისტთა ზემოგება სწორედ ის მიზეზებია, რამაც გამოიწვია ფინანსური ბუშტების სწრაფი გაბერვა-ჩაფუშვა და მისგან გამომდინარე მწვავე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები.

ამრიგად, გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები, ჩვენი აზრით, გამოსატანს არა მხოლოდ ეკონომიკურ სისტემაში დაგროვილ წინააღმდეგობებს, არამედ იგი ეკონომიკურ თეორიაში შექმნილი კრი-

ზისული სიტუაციის გამოხატულებაცაა. ეკონომიკურმა თეორიამ ვერ შეძლო გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაწყების ზუსტი პროგნოზირება და ამ კრიზისიდან გამოსვლის უპირატესად პალიატიური ღონისძიებები შემოგვთავაზა. დღეს აშკარაა, რომ ამ პრობლემების სიღრმისეული დამუშავებისათვის აუცილებელია ახალი მიდგომების გამოყენება, ახალი პარადიგმის ჩამოყალიბება, რომელიც გაითვალისწინებს არა მარტო ეკონომიკური თეორიის, არამედ სხვა მომიჯნავე მეცნიერებების, პირველ რიგში – ფსიქოლოგიის მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს.

Elguja Mekvabishvili

CURRENT FINANCIAL-ECONOMIC CRISIS IMPACTS GLOBAL ECONOMY

SUMMARY

The article discusses the results of current global financial-economic crisis after the example of developed countries.

The article deals with the issues of theoretical-methodological research of financial-economic crisis.

გიორგი პაპავა

ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის თვისებრივი წყობის მორფოლოგიური შეცნობა

*“პრობლემების კვლევის ეფექტიანი მეთოდოლოგია
სისტემური მიდგომის მსგავსია. პრობლემის ფორმული-
რება მოითხოვს მის მორფოლოგიურ, ფუნქციონალურ
და ინფორმაციულ აღწერას”¹²⁹.*

*ვ. ვ. დრუჟინინი, დ. ს. კონტოროვი
(ციბერნეტიკული მეცნიერების რედაქცია)*

ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის, როგორც “ცოცხალი ორგანიზმის”, ფუნქციონირება ხორციელდება უწყვეტად დროის პერიოდების მიხედვით და, ამდენად, მისი ჩამოყალიბება მუდამ დინამიურია. აქედან გამომდინარე, წინა პერიოდში განხორციელებული ანალიზი ვერ შეენაცვლება ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ანა-

¹²⁹ **Дружинин В.В., Конторов Д.С.** Проблемы системологии. Москва, «Сов. Радио», 1976 [გვ. 73, თარგმანი ჩვენია, გ.პ.]

ლიზს მომდევნო პერიოდში. ამიტომ, დროის ყველა პერიოდი უნდა იქნეს განხილული, როგორც ცალკე აღებული ვადისეული რესურსი, მასში ფუნქციონირებადი ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის, როგორც პროცესის, წარმართვისათვის საჭირო დასკვნების გასაკეთებლად და წარმოჩენილ ახალ შესაძლებლობათა უნაკლოდ გამოყენებისათვის.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ დროის წინა პერიოდის, როგორც ვადისეული რესურსის, უკუგებას შეაქვს წვლილი დროის მომდევნო პერიოდის, როგორც ვადისეული რესურსის, უკუგების ჩამოყალიბებაში. ამის გამო, დროის მომიჯნავე პერიოდებში ჩამოყალიბებადი მათი ეკონომიკური უკუგებები მორფოლოგიურად არ არიან ურთიერთისაგან მოწყვეტილი, ე.ი. მთლიანად დამოუკიდებელი. საქმე ისაა, რომ წინა პერიოდის ტექნიკური სიმძლავრე, მისი მატება-კლების მიუხედავად, განაგრძობს ფუნქციონირებას მომდევნო პერიოდშიც, წინა პერიოდში შექმნილი დაუთავრებელი წარმოება ნაშთად გადმოდის მომდევნო პერიოდში, წინა პერიოდში შექმნილი რესურსების ნაწილი გარდამავალი მარაგის სახით იხარჯება მომდევნო პერიოდში და წინა პერიოდში დასაქმებული პერსონალიც, როგორც წესი, მოქმედებს მომდევნო პერიოდში და ა.შ. ამის გამო დროის პერიოდები მორფოლოგიურად გადაჯაჭვული (მჭიდროდ დაკავშირებული, შეუღლებული) არიან ერთმანეთთან და მათი ერთმანეთისაგან აბსოლუტური მოწყვეტა პარადოკიზმის გამომწვევი გახდება. დაუშვებელია ეს გარემოება არ მივიღოთ მხედველობაში.

“მორფოლოგია” ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და გამოიყენება ბიოლოგიაში და გრამატიკაში. “მორფო” ნიშნავს ფორმას¹³⁰, “ლოგია” კი – სწავლებას, ანუ საქმე გვაქვს ფორმების სწავლებასთან.¹³¹ ბიოლოგიაში იგი წარმოადგენს მეცნიერებას მცენარეთა და ცხოველთა შინაგანი და გარეგანი აგებულების (აღნაგობის) შესახებ. გრამატიკის დარგში იგი წარმოადგენს სიტყვათა წყობაში მონაცვლეობის წესების სწავლებას. ხმარობენ გამოთქმებს “საზღვაო გემების მორფოლოგია”, “აგრევატების მორფოლოგია”¹³². აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ შეგვიძლია ვიხმაროთ გამოთქმა “ეკონომიკურ რაობათა მორფოლოგია”.

ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ნორმალისაციისათვის მთავარია ეკონომიკური ხდომილობის მორფოლოგიური წყობის შესწავლა

¹³⁰ ფორმა – “შინაარსის გარეგნული გამოხატულება, გარეგანი მხარე, რაობათა შეკავშირების სახე, რისამე გამოვლინების სახე, ნაირსახეობა” [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. 7, 1960, გვ. 149].

¹³¹ ანალოგიურად, ბერძნული წარმოშობის ტერმინი “მეთოდოლოგისა”, შედგენილია ორი სიტყვისაგან: “მეთოდი” და “სწავლება”, ანუ აქ საქმე გვაქვს მეთოდების სწავლებასთან.

¹³² ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი). თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957.

და მისი რაობის სათანადო შეცნობა. ამისათვის საჭიროა ამ ხდომილობის ინგრედიენტების რაობების ფორმათა შინაგან კავშირ-ურთიერთობათა ჩამოყალიბებადი აღნაგობის მიგნება და ამ მხრივ ამ ფორმათა მიზანდასახულ თავსებადობების პარამეტრების გათვალისწინება დროის პერიოდების მიხედვით. ისინი, მათი წარმოქმნილი მასალის ფიზიკურ თვისებებთან ერთად, უნდა ასახავდნენ მათში არსებული ინგრედიენტების შეუღლებების კონფიგურაციით (ფორმებით) განპირობებული თვისებების განსაზღვრულობასაც.

ეკონომიკურ რეალობათა რაობების ფორმათა, შინაარსის გარეგანი მხარეების, გამოხატულებების, სწავლებამ (მორფოლოგიური რაობის სწავლებამ), ე.ი. მორფოლოგიამ უნდა მიაგნოს ხოლმე და უზრუნველყოს მათი ფორმირების თავსებადობებს სათანადო ქცევების და საშუალებათა გამოყენებით. ეკონომიკურ რეალობათა რაობების შეკავშირების სახეობათა თავსებადობას უნდა ვახორციელებდეთ მათი ნაირსახეობების შეთანაწყობით.

საჭიროა არა მარტო საგნების, არამედ ქცევების ფორმების ერთმანეთზე მორგების მიგნებაც.

ეკონომიკური რეალობების რაობათა შინაგან და გარეგან კონფიგურაციათა ფორმების გარემოს მიმართ თავსებადობის მართებული დაკვალიანება საჭიროა, რათა მათ ჩამოყალიბონ ახალი ეკონომიკური რაობის შემადგენლობაში შესაყვან რაობათა ფორმების მოწესრიგებული, ურთიერთმიმართებაში დაკვალიანებული სათანადო განლაგება. უკანასკნელი მოიცავს ახალი ეკონომიკური რაობის მთლიანობითი წარმონაქმნის შინაარსს, როგორც ახალ ეკონომიკურ რეალობას. სწორედ ამაშია ფორმათა სწავლების (მორფოლოგიის) არსისა და ფუნქციონირების მოწესრიგებულობის (ორგანიზებულობის) მორფოლოგიური ხედვა ეკონომიკაში.

მორფოლოგიას არ შეიძლება მოეწვიტოთ ფუნქციონალობა და ორგანიზებულობა. საჭიროა მათი, როგორც მთლიანობითი წარმონაქმნის, განხილვა, ვინაიდან მოქმედი პროცესების გარეშე არსებული მდგომარეობა მოძრაობის შემადგენელი მომენტია. ამიტომ, ფუნქციონირებადი პროცესი ამოიკითხება მორფოლოგიური აღნაგობის ორგანიზებულობისა და მის შესახებ მიღებული ინფორმაციის შესწავლის მეშვეობით, ვინაიდან ფორმათა თვისებები ვლინდება და შეისწავლება მოძრაობის პროცესში (ფუნქციონირებაში), ამის შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვებით. მორფოლოგიური მიდგომა სისტემური მიდგომის ცალკე გამოკვეთილი ფორმაა (შინაარსის გარეგნული გამოხატულება).

ფორმა ხომ წარმოადგენს გარეგნულ მოხაზულობას, მოყვანილობას, შინაარსის გარეგნულ გამოხატულებას, გარეგან მხარეს, გამოსახვის ხერხებისა და საშუალებათა სისტემას, საჭირო ხერხების შესრულებას, რაიმე ოფიციალური საქმის წარმოების დადგენილ და

საკითხის გადაჭრის წესს, სახეს, ფიგურას. მორფოლოგია შინაარსის გარეგან გამოსატყულებათა გამოსახვის ხერხებისა და საშუალებების, ე.ი. ფორმათა მიზანდასახული თავსებადობების სწავლებაა (მეცნიერება), მთლიანობითი წარმონაქმნის (სისტემის) მისაღებად.

ამიტომ, სხვადასხვა ფორმების შერწყმის, შეკავშირების, გაერთიანების დამაკვალიანებელი ქცევები მორფოლოგიური წყობით გამოირჩევა. იგი განსაზღვრავს ურთიერთმორგებად მიდგომებს, ქცევებს და ა.შ. ფორმების შეუღლების ოპერაცია-პროცესებს, რომლებიც უნდა აღწევდნენ სასურველ შედეგებზე გასვლას.

ამგვარი ქცევების არეალი მოიცავს ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის გარემოსთან ურთიერთობის მორფოლოგიური ფორმირების პროცესსაც.

ეკონომიკური რაობების ფორმათა მოდიფიცირების (სახეცვლილების) თავსებადობა არსებულ გარემო ვითარებასთან თუ აყალიბებს მათი ინგრედიენტების შეუღლების ან შერწყმის შესაძლებლობას, მაშინ იგი ამით ჰკრავს შინაგანი და გარეგანი გამოსატყულებების შეუღლების შინაარსს. შემადგენლებს უნდა მიეცეთ ისეთი ფორმები, რომ ისინი ურთიერთთან შეუღლებაში თავსებადი გაეხადოთ, რათა განვახორციელოთ ეკონომიკური რაობის შინაარსის ჩამოყალიბება გარემოსთან მიმართებაშიც. ამიტომ მას ვუწოდებთ გარემოსთან მიმართებაში ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის მორფოლოგიას. იგი ყალიბდება დროის ყოველ მოცემულ პერიოდში. ეს უკანასკნელი კი კისრულობს ვადისეული რესურსის როლს.

ვითვალისწინებთ რა სისტემურ კვლევებს და კვლევებს მორფოლოგიურ, ფუნქციონალურ და ინფორმაციულ არეალში, საჭიროა მხედველობაში გვქონდეს შემდეგი რეალობა:

“მთელის ცნება, მთლიანობითობა ასრულებს მეტად მნიშვნელოვან როლს სისტემურ კვლევებში...” “ნაწილებს შორის კავშირის ტიპს განსაზღვრავს ამ მთელის წარმოქმნის ტიპიც. მთელის ნაწილთა კატეგორიები ახასითებს აგრეთვე შეცნობის პროცესის მსვლელობას, რომელიც, ჩვეულებრივ, იწყება მთელის შესახებ წარმოდგენით მისი დანაწევრების გარეშე, შემდეგ კი გადადიან დანაწევრებული მთელის ანალიზზე და ამთავრებენ მას ამ ობიექტის, როგორც კონკრეტული ფორმის მზიდი მთელის აღწარმოებით აზროვნებაში”¹³³.

ამგვარია სისტემის, როგორც მთლიანობითი წარმონაქმნის, მიმართ ანალიტიკური წყობის მიდგომა. მაშინ, როდესაც სინთეზური წყობა, როგორც წესი, უნდა ეყრდნობოდეს მორფოლოგიურ მიდგომას ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიაში. სახელდობრ, ეკონომიკის

¹³³ **Блауберг И. В.** Целостность и системность. // Ежегодник Академии наук “Системные исследования”, Институт истории, Москва, Наука, 1977 [გვ. 5, თარგმანი ჩვენია, გ.პ.].

საბაზრო ტექნოლოგიაში მისაღები ეკონომიკური რაობის მიზანდასახული ფორმირება მოითხოვს მთელის ჩამოსაყალიბებლად თავსებად ფორმათა მზიდი ინგრედიენტების მიგნებასა და სათანადო სინთეზირებას.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მენეჯერები და მეწარმეები, აღმოჩნდებიან რა ახლად წარმოქმნად გარემოში, რომელიც იწვევს ეკონომიკურ რაობათა ახალ ნაკადს დროის მოცემულ პერიოდში, მათ წინაშე დაისახება წარმატების მომტანი სათანადო გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. ამ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხდება გაეცეს პასუხი კითხვაზე: ამ რაობათა მრავალრიცხოვნობაში რომელ მათგანთა შეუღლებას უნდა მიენიჭოს უპირატესობა წარმატების მოტანაში? ამისათვის საჭიროა განხორციელდეს ეკონომიკურ რაობათა შორის იმათი შერჩევა, რომლებიც წარმოადგენენ მეტად ურთიერთთავსებადი ფორმების მზიდს, რათა მათი მიზანდასახული მორფოლოგიური შეუღლებით ჩამოყალიბდეს სასურველი, უფრო ეფექტიანი ეკონომიკური რაობები.

ეს პროცესი უნდა ხორციელდებოდეს მორფოლოგიაზე, ფუნქციონირებასა და ინფორმაციაზე დაყრდნობით აზრთა სათანადო მწუობრი წარმონაქმნის ჩამოყალიბების მეშეობით. ამგვარ მიდგომას მოითხოვს ეკონომიკურ სიტუაციებში გარკვევაც ეკონომიკური გარემოსათვის აღდოს ასაღებად და დასაკვალიანებლად.

ამ გარემოებათა გამო, დროის პერიოდებში წარმოქმნად სიტუაციებზე ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ფორმირების პროცეს-ოპერაციების ურთიერთმორგებას მაღალეფექტიანი ფუნქციონირების მისაღწევად, შეგვიძლია ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის მორფოლოგიის ეფექტიანობა ვუწოდოთ. ხოლო საბაზრო მორფოლოგია, როგორც ასეთი, წარმოადგენს ბაზარზე ფორმირებად სიტუაციებთან (შექმნილი პირობების ერთობლიობასთან, გარემოებასთან, ვითარებასთან) წარმოება-გასაღების ფორმირებათა თავსებადობით წარმოქმნილ ერთიანობას.

საერთოდ “მორფოლოგია” რაიმე მთელის და მისი ნაწილების კონფიგურაციათა სისტემაა, ერთმანეთთან შეუღლებადი ნაწილების კონფიგურაციათა წყობაა. ამ მთელის გამძლეობა, კონფიგურაციასთან ერთად, მისი ჩამომყალიბებელი მასალების გამძლეობაზეცაა დამოკიდებული. მისი, როგორც მთელის, სიმყარეს, გამძლეობას და გამოსადეგობას ამა თუ იმ საქმეში, განსაზღვრავს მორფოლოგიასა და სათანადო მასალაზე დამყარებული აღნაგობა და მოქმედებაში მათი ქმედუნარიანი გამძლეობა, თუნდაც გარდაქმნის შემდეგ. ეკონომიკაში ყველგან და ყოველთვის უნდა ფიგურირებდეს ეკონომიკის რაობათა გარეგანი ფორმები და შინაგანი აღნაგობა, გამიზნული მოხმარებაში მათ გამოყენებაუნარიანობაზე. ამის გამო დროის პერიოდებში ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიები მორფოლოგიურად განსხვავებულები არიან ხოლმე.

ეკონომიკის მორფოლოგიაში ეკონომიკური რეალობების რაობათა ფორმები უნდა მიხედობოდეს მათი მოხმარების პროცესს, რომელიც განისაზღვრება მათი (ამ რაობათა) შინაარსით. საერთოდ, ეკონომიკაში ფორმა ფიქსირდება ეკონომიკურ რეალობათა რაობების კონფიგურაციით და მათი შემადგენლების სხვა ეკონომიკურ რეალობების რაობებთან შეერთების ან შერწყმის სათანადო უნარით. ეს უნარი კი ამ შეერთების პროცესში ამჟღავნებს თავის თავს. იგი განისაზღვრება ამ რაობათა ურთიერთმიმართებაში შეუღლების თავსებადი ფორმებით. ამ ფორმების სწავლებას, მათ შეცნობას და ხედვას მოითხოვს ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ფუნქციონირების ეფექტიანი დაკავლიანება, რომელიც განხორციელებადია ეკონომიკურ რაობათა ურთიერთთავსებადი ფორმების მართებული აღქმით და გამოყენებით.

ეკონომიკაში მორფოლოგია უნდა განიხილავდეს ეკონომიკურ რაობათა ფორმების ურთიერთთავსებადობას მათი შეუღლების ან შერწყმის პროცესში, რომელიც განისაზღვრება ამ რაობათა შეერთების ან შერწყმის¹³⁴ (ე.ი. გათქვეფის) სათანადო უნარით.

მორფოლოგიური თავსებადობა მჟღავნდება შეერთების პროცესში და განისაზღვრება ამ ეკონომიკურ რაობათა ურთიერთშეუღლებაში თავსებადობით. მათი შეცნობა და აღქმა სათანადო ცოდნას მოითხოვს და ამიტომ, ამის სწავლებაც საჭირო და აუცილებელია ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის მართებული წარმართვისათვის.

ეკონომიკურ რაობებს გააჩნიათ თავიანთი მორფოლოგიური აღნაგობა, ე.ი. შინაგანი და გარეგანი წყობა. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ ეკონომიკურ რაობათა საჭირო რაობებად გარდაქმნის (რეფორმირების) პროცესის მისადაგების სწავლებასა და გამოყენებას შეგვიძლია ვუწოდოთ ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის მორფოლოგია, სადაც ფორმებში ცვლილებები ხშირად შინაარსის ჩამოყალიბების ფაქტორებად მოგვევლინებიან ხოლმე.

დროის პერიოდების ეკონომიკაში სათანადო ქცევების ფორმათა თავსებადობის მიკვლევა და არსებულის სათანადო გარდაქმნა მოითხოვს დროის ამ პერიოდებში ეკონომიკურ რეალობათა რაობების მორფოლოგიურ ხედვას, ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის როგორც მიკრო, ასევე მეზო და მაკროდონეზე. ფორმა ხომ შინაარსის გარეგანი გამოხატულებაა, მოძრაობათა სათანადო ფორმის მიგნება და სათანადო ქცევებზე გასვლაა. ეკონომიკაში პოზიტიური ქცევებისა და შედეგების მიღწევისათვის იგი აუცილებელი პირობაა. ამიტომ, აქაც ფორმა და შინაარსი განუყოფელია, სულ ერთია, ეხება ეს საგანს თუ ქცევას, არსებით როლს ასრულებს პოზიციონირებაშიც, მოცემული გარემოსადმი აღლოს აღებით და ამ პოზიციიდან მისთვის თავსებადი ქცევების დაკვა-

¹³⁴ შეუღლება შეერთებაა, შერწყმა კი სხვაში შერევით საკუთარი სახის დაკარგვაა.

ლიანებით. ეკონომიკაში მორფოლოგიური ხედვის გამორიცხვაც ეკონომიკური პარალოგიზმების წარმომქმნელია და, ამდენად, ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიას უბიძგებს ნეგატიური ქცევებისაკენ.

ეკონომიკის მორფოლოგიური ხედვის აუცილებლობას განაპირობებს ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის დროის პერიოდებში მოძრაობაში შესწავლისა და წარმართვის ფორმათა მიზანდასახული თავსებადობის მიღწევა და მართებული აღქმა. ამ მხრივ მას შეუძლია ჩაწვდეს ეკონომიკურ რაობათა ცვლილებების შინაარსსაც კი.

საერთოდ, ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის ფორმირების პროცესს არაცალსახა დანიშნულება გააჩნია ყველგან და ყველგან. რიგ შემთხვევაში კი მას გააჩნია შეცვლილი გარეგანი კონფიგურაციის მნიშვნელობა. ხშირად ფორმას გააჩნია შინაარსის მაუწყებლობის ფუნქცია (მაგალითად, რეკლამები). არის იმგვარი შემთხვევებიც, როდესაც ფორმა გვევლინება სახეობად და ნაირსახეობადაც ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიაში. ეკონომიკაში ფორმა ყველგან და ყოველთვის უნდა პასუხობდეს მის ეკონომიკურ დანიშნულებას. ამ მხრივ მას შეუძლია, ცვლილებები შეიტანოს მოცემული რაობის შინაარსშიც კი.

ეკონომიკა მოითხოვს პოზიტიური ეკონომიკური ქცევების შეუღლებათა მორფოლოგიურ პუნქტუალობას, რომელიც გამორიცხავს ეკონომიკურ პარალოგიზმებს.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ შინაარსი ყოველთვის მოითხოვს სათანადო ფორმას, ფორმა კი პასუხობს შინაარსს. ამ მხრივ ფორმა და შინაარსი განუყოფელია.

George Papava

THE MORPHOLOGICAL COGNITION OF QUALITY STRUCTURE OF THE MARKET TECHNOLOGY OF ECONOMY

SUMMARY

Studying the morphological structure of an economic event and cognizing its essence is important for normalizing the market technology of economy. Hence it is necessary to find out the inner interconnections of forms of ingredients of this event and take into account the parameters of purposeful compatibilities of these forms according to time periods.

It is the latest approach in economy.

Vladimer Papava

ON THE DIFFICULTIES AND THE THREATS OF THE

CURRENT GLOBAL FINANCIAL AND ECONOMIC CRISIS

The contemporary global financial crisis has created complex problems the world over. The first signs of the crisis appeared in the US financial system in the summer of 2007. Later it expanded to Western Europe and Japan and reached all developing countries and economies in transition by the end of 2008. The financial globalization accelerate the spreading of the crisis worldwide. The progression of the modern financial crisis may be described in the simplest way by means of the following chain of transformations: there was a mortgage crisis at the start which – as should be expected – grew into a banking crisis which led in turn to an industrial crisis. The current financial crisis is also labelled as a demand crisis. Therefore the contemporary financial crisis has transformed into economic crisis or financial-cum-economic crisis, which is very important to understand the current economic difficulties.

On the primary level of market relations forming in Georgia, foreign capital played the leading role neither from the point of view of privatization, nor in direct financing of the projects. This was caused by such problems of the country, which took place in that period. An unexpected liberalization of the economy and spontaneous privatization caused decreasing of the country competitiveness. The government presented in the country since 2003 and its conscious actions caused the increasing of trust of the foreign investors. The effective economic politics of receiving country decreases the possibility of destabilization, but economic instability, as it is well known, negatively influences the activity of local and foreign investors. The low and predicted inflation is an important terms for the macroeconomic stability. The world experience shows us that the financial stability is reached in case if the annual growth of prices does not exceed 20%, and monthly – 2%. In case, if this index is high, the investment activity decreases, and the same must be said in accordance to the economic growth and state of living of population. The experience of Georgia clearly showed us that long term inflation decreasing is not enough term for investment activity. It must be accompanied by the economic and political stability and development of fund market. In the field of foreign investments, policy is integrated part of industrial strategy of the country, stating the rout for developing of the particular field in the country. In the recent years the correlation in the field of the foreign investments between policy and macroeconomic policy is straightened. According to the explanations of "UNCTAD" the modern foreign investment attracting strategy includes two circles: first – the policy in the field of investments and trade liberalization and the second – macroeconomic policy in the field of monetary-credit, currency and tax. In this field of state policy, the united position and close coordination of governmental activity is obligatory.

The stability of the currency rate is very important in order to overcome inflation and stimulate the economic growth. Certainly, the policy of hard currency supports the modernization of the economy of the country, improvement of foreign debt service. The growth of currency rate in fact decreases the outflow of capital, the growth of investments, including foreign ones.

The establishment of national currency – GEL stimulates the import of machines and equipment, especially from the twin foreign countries, which is an important factor for the modernization of industry inside the country. Though, in case of leading such a policy, it is obligatory to keep the balance between establishment of the currency and maintained institutional, structural and social reformations. First of all the improvement of tax system is implied, decreasing the tax load, serious improvement of administrative taxes, conversion of industries, development of competitive market and etc. It is absolutely clear that if the high rate of GEL will not be supported by the productivity of labour increasing, further on keeping such rate will cause slowing-down the economic development of the state.

The lightening of the tax load will surve development of the industrial strength, but the interest rate reached as a result of using this method, at the given moment will not cause the flow in of the foreign capital because of the simple reason – capital in

Georgia is less mobile, as despite privatisation of industries, all strong investment course – stock exchange, practically does not function in the country.

The world experience showed us that we would need important and long term growth of local investments in order to involve foreign investors into the active development of the country. The foreign investor will not invest funds in the country, having paralysed inner investment environment. We can indicate the development of inner investment activity, as one of the terms for economic development of the country, as well as the catalyst for the foreign investments.

The growth of investment activity is strongly connected to the market of securities and its development, which may be stated, together with the banking system, to be a mechanism of transforming investments into the financial resources. In the terms of investments resources, together with the direct crediting the particular projects, it is possible to issue securities as a hopeful guarantee. Agreement, reached with the foreign investor, growth of investment activity, these are hardly connected to the security market development, which may be stated, together with the banking system, to be a mechanism of transforming investments into the financial resources. In the terms of investments resources, together with the direct crediting the particular projects, it is possible to issue securities as a hopeful guarantee. The standard method for agreement to be reached with the foreign investor, is presenting the strong bank guarantees for him. The standard method for agreement to be reached with the foreign investor, is presenting the strong bank guarantees for him. The creation of suitable investment environment and long term resource investment mechanism is hardly depended on the activities, based on optimal portions of governmental regulations over market and investment activities. The state must finance the fields, which are scaled, long term and of low income greatly, as they can not be assimilated by the private business. The terms for the normal business activity and stable general-economic investment climat must be presented. In this order, it is suitable to use an experience of the leading countries in “Aimed” financing. There must be established a net of special foundations, which will participate in financing of different social and business development programs.

The differentiating specification of investment process state strategy is investment of funds in “administrative capital”; that is why the government of Georgia has the great responsibility for the creation of the main factors, like primary and secondary education system, market infrastructure of the country and the field of scientific researches.

The main principle of the state policy in regards to the private investments is that it must not get involved into their activity, maximally fit the legal base to the investment active processes and support the safety of invested funds. It is obligatory for the government to execute a flexible policy; the given field defers a lot and it is not depended only on indexes of economic development. The foreign policy of the country plays here a great role, as well as a political consent, society mentality, as the foreign investments are directed to the countries, where there is already established governmental, business and social strictly formed position directed on cooperation

with foreign producers; where the investment climat is not only created, but already probated.

REFERENCES

1. **Foreign Direct Investment.** Washington; IFC, Foreign Investment Advisory Service, 2008, 128 p.
2. **Pedro Belli. Jock R. Anderson.** Economic Analisis of Investment Operation: Analitical tools a practical applicationns. Wasington: The World Bank. 2008. 198p.
3. **Melasvili M.** Transpacific Foreign Direct Investment and the Investment Development Part. Tb., 2009.
4. **Sengelia T.** Treade and Foreign Direct Investment in Georgia. Tb. 2009.101p.
5. Statistical collection – **Investment in Georgia.** Tb., 2009. International Finance Corporation: 2009, Annual Report Wasington; World Bank 2008. Vol 1; Investing in sustainable private sector. 120p.
6. Unated Nations, World Investment Report, 2008. New York 2009.

თემურ შენგელია

შეზღვევის კომპანიის ინვესტიციების როლი ქართული ბიზნესის განვითარებაში

რეზიუმე

საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია საზღვარგარეთის კაპიტალის მოზიდვას. ქვეყანას მისი რესურსებიდან და გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია ის პოტენციალი, რომ გახდეს მსხვილი საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ადგილი. ამ მიზნით საქართველოში განხორციელდა საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება, გატარდა ინვესტიციური რეფორმები, შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა, რამაც მოახდინა ინვესტიციური ნაკადების ზრდა 2008 წლის აგვისტომდე, რასაც ხელი შეუშალა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციამ. უკვე 2009 წლის პირველი ნახევრიდან საინვესტიციო ნაკადები ხასიათდება ზრდის ტენდენციით. შემოსული ინვესტიციების დინამიკის და სტრუქტურის ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანას შეუძლია ბიზნესის განვითარების ამ მნიშვნელოვანი ზრდის კურსის უფრო ეფექტიანი გამოყენება, ხოლო ამ მიზნით აუცილებელია სახელმწიფოებრივ დონეზე

საინვესტიციო ნაკადების რეგულირება, რა ფუნქციაც უნდა შეასრულოს ერთიანმა, მაკროდინირებელმა ორგანომ.

ნოდარ ხადური

ეკონომიკური ზრდა – რეალობა და პერსპექტივები

2010 წლის გაზაფხულზე საქართველოს ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ეკონომიკურ რეფორმებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრის, კახა ბენდუქიძის სტატია, რომელიც ჟურნალ “ტაბულაში” გამოქვეყნდა და ეკონომიკურ ზრდას შეეხებოდა¹⁵⁵. სტატიის შესაბამისად, თუ საქართველო მოახერხებდა 30 წლის განმავლობაში წლიურად 12%-იანი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, მაშინ 2040 წლისათვის საქართველო მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა გახდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2009 წლისათვის საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მოცულობა (აშშ დოლარებში, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით) 4757 დოლარია, ამ მონაცემის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 114-ე ადგილზეა¹⁵⁶ და ჩამორჩება მის ყველა მეზობელს. გარდა ამისა, 18-ჯერ ჩამორჩება ყატარს, 16,5-ჯერ ლუქსემბურგს, 10-ჯერ აშშ-ს, 8-ჯერ შვეციას, 7-ჯერ ფინეთს, 6,3-ჯერ საბერძნეთს, 4-ჯერ ესტონეთს, 3,5-ჯერ ლიტვას, 3-ჯერ რუსეთს, 2,7-ჯერ ბელორუსს, 2,6-ჯერ თურქეთს, 2-ჯერ აზერბაიჯანს. საქართველო ასევე ჩამორჩება განას, ალჟირს, ნამიბიას, უკრაინას, ანგოლას, ეკვიპტეს, სამოას, თურქმენეთს, სომხეთს, სირიას, გვატემალას, იორდანიას...

რამდენად შესაძლებელია და, მით უფრო, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ ფონზე ეკონომიკის ზრდის ისეთი ტემპის მიღწევა და, რაც მთავარია, მისი 30 წლის განმავლობაში შენარჩუნება მოხერხდეს, რომელიც საქართველოს მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნად გადააქცევს?

მსოფლიოსთვის ცნობილია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნების ფაქტი (მაგალითად ჩინეთი, რომელიც თითქმის 40 წელია ინარჩუნებს ეკონომიკური ზრდის 10%-იან ტემპს, მიუხედავად ამისა, სსფ-ის იმავე მონაცემებით, ჩინეთი ცხოვრების დონით მსოფლიოში მხოლოდ 99-ეა, და მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ 6567 დოლარია), ასევე ცნობილია ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე 10-12%-ია (მაგალითად, აზერბაიჯანი), მაგრამ რამდენად შესაძლებელია ან ერთი და ან მეორე პრეცედენტის საქართველოზე გავრცელება.

¹⁵⁵ <http://www.commersant.ge/index.php?pg=nt&id=16741&ct=18>

¹⁵⁶ <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2010/01/weodata/weorept.aspx?pr.x>

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში უპრეცედენტო ეკონომიკური დაცემა მოხდა. სხვადასხვა ექსპერტული მონაცემებით, 1994 წელს მშპ-ს მოცულობა 1990 წლის დაახლოებით 27%-ს შეადგენდა.

ცხადია, აუცილებელი იყო ეკონომიკური პოლიტიკის იმდაგვარად ჩამოყალიბება, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები მიღწეულიყო. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის პირველი წლები საქართველოსათვის ტრაგიკული იყო, ამიტომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა ვერ მოხერხდა. მხოლოდ 1996 წლიდან გახდა შესაძლებელი ეკონომიკური ზრდის 10%-იანი ბარიერის დაძლევა (იმ პერიოდის ეკონომიკური რეფორმების შესახებ იხილეთ პაპავა, 2005).

ეკონომიკური ზრდის ყველაზე დიდი მანქვნებლები საქართველოში 1996, 1997, 2003 და 2007 წელს დაფიქსირდა (შესაბამისად 11,2, 10,5, 11,1 და 12,3%¹⁵⁷), კიდევ 2-ჯერ (2004 და 2005 წლებში) ეკონომიკური ზრდის ტემპი მიუახლოვდა 10%-ს. დაახლოებით 5-5% იყო ეკონომიკური ზრდა 2001, 2002 და 2004 წლებში. ყველა დანარჩენ წელს (თუ არ ჩავთვლით 2009 წელს, როდესაც პირველად 1994 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში დაცემა დაფიქსირდა) ეკონომიკა საშუალოდ 2-3%-ით იზრდებოდა.

საბოლოო ჯამში, 1995 წლიდან დღემდე უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეკონომიკა 128%-ით გაიზარდა (საშუალო წლიურმა ზრდამ დაახლოებით 8,5% შეადგინა. თუმცა მას ჯერ არ მიუღწევია 1990 წლის დონისათვის [3].

თუ თეორიულად დაგუშვებთ, რომ საშუალო წლიური ზრდა 12% იქნება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობა არ შეიცვლება, 2040 წელს მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, დღევანდელ ფასებში) 160 ათას დოლარს მიუახლოვდება, 10%-იანი ეკონომიკური ზრდის პირობებში 91 ათას დოლარი, ხოლო 9%-იანი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში 69 ათასი დოლარი იქნება. მაშინ, როდესაც ნორვეგიის ეკონომიკა წელიწადში საშუალოდ 2%-ით რომ გაიზარდოს, იგივე მანქვნებელი თითქმის 100 ათასი დოლარით მეტი იქნება.

თუ საქართველოს ეკონომიკაში დღეისათვის მნიშვნელოვანი “დაძაბულობის” გარეშე შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, ცხადია, ეკონომიკის შემდგომი ზრდის პირობებში როგორც კაპიტალის, ისე შრომის ზღვრული მწარმოებლურობის კლე-

¹⁵⁷ საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორები ადებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტიდან www.geostat.ge. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, 2003 წლამდე ინფორმაცია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტიდან “გამქარალია” და ჩვენ მოვიწვია ძველი გამოცემებიდან გვესარგებლა.

ბადობის და შეზღუდული, ფიქსირებული რესურსების პირობებში, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნება ძალიან გაჭირდება.

ეს რომ რთულად მისაღწევია ამოცანაა, ისიც ადასტურებს, რომ თუ დღეს 12%-იანი ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, დღევანდელ ფასებში) 640 დოლარით გაზრდის, უკვე 18 წლის შემდეგ ნამატი მოსახლეობის ერთ სულზე 4900 დოლარს გადააჭარბებს, რაც მოსახლეობის ერთ სულზე დღევანდელი მშპ-ს ტოლია, ხოლო 2040 წელს ნამატმა 20 ათას დოლარს, ანუ დღევანდელ არსებულ მშპ-ს 5-ჯერ უნდა გადააჭარბოს. ეს კი, მნიშვნელოვანი დაძაბულობის გარეშე შეუძლებელი იქნება. ეს დაძაბულობა, პირველ ყოვლისა, ინვესტიციების მაღალ დონეს მოითხოვს და თანაც ინვესტიციების კლებადი უკუგებისა და მოსახლეობის მატების გამო, ინვესტიციების ხვედრითი წილი განუხრელად უნდა იზრდებოდეს, რაც ასევე რთულად მისაღწევია მიზანია.

საბოლოო ჯამში, შესაძლოა გამართლდეს კეინზიანელთა მოსაზრება, რომ “მნიშვნელოვან დაძაბულობას გრძელვადიანი დაცემა მოჰყვება” (Худокормов, 24). ამ შემთხვევაში კი ჩინეთის, ან თუნდაც აზერბაიჯანის, გამოცდილებების გავრცელება არ გამოდგება, თუნდაც პოლიტიკური გარემოს ან რესურსული უზრუნველყოფის განსხვავებულობის გამო, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე (პაპავა, Typoy, 60-73).

ეკონომიკური ზრდის მომავალი ტემპების შეფასებისას, ალბათ, ურიგო არ იქნება საქართველოს ეკონომიკაში გასულ 15 და 7 წლის განმავლობაში რა ტენდენციები დაფიქსირდა. ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი საკმაოდ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

უპირველეს ყოვლისა, მშპ-ს სტრუქტურის ცვლილება ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ შემდგომ ძალიან მაღალი ეკონომიკური ტემპების ზრდის მიღწევა გართულდება.

გასათვალისწინებელია რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი (დაახლოებით 53%) სოფლად ცხოვრობს, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მაღალი უნდა იყოს. 1990 წელს, რომელიც, თავის მხრივ, სულაც არ იყო საქართველოსათვის საუკეთესო წელი, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მშპ-ს 34,7% (ჭითანავა, თაკალანძე, გვ. 363) იყო. ცნობილი მიზეზების გამო 1994 წლისათვის ეს მაჩვენებელი 40%-მდე გაიზარდა, ხოლო 2006 წელს მხოლოდ 11% შეადგინა, 2009 წელს კი სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, სატყეო მეურნეობასა და თევზჭერაში ერთად მთლიანი გამოშვების მხოლოდ 8,7% იქნა წარმოებული. საინტერესოა, რომ სოფლის მეურნეობის არა მარტო წილია შემცირებული მთლიან შიდა პროდუქტში, არამედ 2003 წელთან შედარებით შემცირებულია წარმოების მოცულობა რეალურ მაჩვენებლებში 15,1%-ით. 2003

წლის შემდეგ მხოლოდ ერთი, 2005 წელი იყო, როდესაც რეალურ მანქანებლებში სოფლის მეურნეობაში წარმოებული საქონლის ღირებულებამ 2003 წლის მანქანებლებს გადააჭარბა.

სულ 2003-დან 2008 წლამდე მშპ 40%-ით გაიზარდა (2008 წლის ჩათვლით 46,3%), ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა (ზრდამ შეადგინა 188%) საფინანსო მომსახურებაში, ასევე კავშირგაბმულობაში (114%), ოპერაციები უძრავი ქონებით (103%). ამავე დროს, გადასახადები პროდუქციაზე გაზრდილია 2008 წელს, 2003 წელთან შედარებით, 356,4%-ით, ხოლო სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული ხარჯები გაიზარდა 390%-ით, სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული ხარჯები კი კოლექტიურ მომსახურებაზე გაზრდილია 759%-ით. 2003 წელს სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-სთან 11,9% იყო, იმავე მანქანებელმა 2008 წელს 25,2% შეადგინა. 2009 წელს ეს მანქანებლები შემცირდა, თუმცა გავლენა მოახდინა არა იმდენად ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებამ, რამდენადაც კრიზისმა.

ეს ციფრები გვარწმუნებს, რომ რესურსები მთლიანად ხელისუფლების ხელშია მობილიზებული. ინვესტირებისათვის შიდა რესურსი საკმარისი არ არის. 2009 წელს ძირითადი კაპიტალის ფორმირებაზე 2,6 მლრდ ლარი მიიმართა, რაც წინა წლის შესაბამისი მანქანებლის მხოლოდ 63%-ია, მარაგები კი თითქმის ნახევარი მილიარდი ლარით შემცირდა.

შემცირებულია უცხოური ინვესტიციებიც (თუ 2007 წელს მათი რაოდენობა 2 მლრდ ლარზე მეტი იყო, 2009 წლისათვის ეს მანქანებელი 3-ჯერ არის შემცირებული).

შესაძლებელია თუ არა სიტუაციის რადიკალური ცვლილება. რასაკვირველია, სურვილი ყველას გვაქვს, თუმცა მხოლოდ სურვილი რომ არ კმარა ამ საკითხის მოსაგვარებლად, ესეც ცხადია. რესურსები, რომლებიც დღეს გვაქვს, არსებული ტექნოლოგიების პირობებში რადიკალური ცვლილებების ნიადაგს ნაკლებად ქმნის, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ისინი სხვაგვარად უნდა იქნეს გამოყენებული.

დღეს სერიოზული განსჯის საგანია საქართველოს ეკონომიკის მომავალი სტრუქტურა. დიდი იმედებია დამყარებული ტურიზმზე, სატრანზიტო გადაზიდვებზე და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაცია უნდა ხდებოდეს და საქართველო უნდა ეძიებდეს ისეთ სტრუქტურას, რომელიც სრულად გამოავლენს საქართველოს ფარდობით უპირატესობებს, შეძლებს ნაკლები დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევას.

მდგრადი ეკონომიკური განვითარება კი დღევანდელი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას მხოლოდ იმ პირობით უშვებს, თუ ეს ზრდა მომავალი თაობების ხარჯზე არ იქნება მიღწეული,

ანუ არ მოხდება ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანი გამოყენება როგორც ფიზიკური, ასევე განსაკუთრებით, ადამიანური კაპიტალის გადამეტებული ამორტიზაცია.

ეს ყველაფერი კი მხოლოდ ნოვაციების დანერგვით, ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკით და ორმხრივად ღია ეკონომიკითაა შესაძლებელი.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ასათიანი რ.** გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო.
2. **პაპავა ვ.** “პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა”, თბილისი, თსუ, 2005.
3. **ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ.** სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება. თბილისი, სდასუ, 2008.
4. **Papava V.** Necroeconomics, The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia), Universe Inc. New York Lincoln Shanghai, 2005.
5. **Khaduri N.** Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia, Problems of Economic Transition, 2005, Vol. 480, №4, New-York.
6. **Туров Л.К.** Будущее капитализма. Новосибирск, 1999.
7. **Худокормов А.Г.** История экономических учений. Москва, ИНФРА-М, 1998.

Nodar Khaduri

ECONOMIC GROWTH – REALITY AND PERSPECTIVES

SUMMARY

The article deals with analyzing the dynamic of gross domestic product since Georgia regained its independence up to the present time, changes in GDP structure and its perspectives. It also gives analysis of economic growth factors, which had some impact on the processes going on in Georgian economy.

It is important that Economic structures must be optimized and Georgia should look for the structures, which can fully reveal Georgia’s comparative advantages and will make it possible to reach maximum effects on lower expenses and achieve sustainable economic development.

Sustainable economic development enables to achieve high rates of economic growth only provided that there is no inefficient usage of natural resources and excessive depreciation of both physical and human capital.

ეთერ ხარაიშვილი

კონკურენტუნარიანობა და მდგრადი განვითარების პრობლემები აბრარულ სექტორში

გლობალური ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. დღეს განვითარებულ ქვეყნებში პროდუქტის დეფიციტი სიჭარბემ შეცვალა, ხოლო პრიორიტეტული მიმართულება გარემოს დაცვა და ცხოვრების კომფორტული პირობების შენარჩუნება გახდა. მწარმოებლურობის ზრდის ნაცვლად მდგრადი განვითარება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის უმთავრეს მიზნად არის აღიარებული¹⁵⁸. ეს ნიშნავს, რომ მდგრადობის პრინციპების გავლენის შესწავლას წარმოების სისტემის რელევანტურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო წლების პუბლიკაციათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეცნიერ-ეკონომისტები მდგრადობის საკითხებს ძირითადად წარმოების პოზიციით განიხილავენ. აგროსასურსათო სექტორის მდგრადი განვითარება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სასურსათო დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. მდგრად განვითარებასთან ერთად, ევროპული მოდელის მიხედვით მნიშვნელოვან კონცეფციად აღიარებულია მისი მრავალფუნქციურობისა (სოფელი, როგორც საცხოვრებელი გარემო, მისი საწარმოო ფუნქციები, გარემოს დაცვა, კულტურულ-სოციალური ასპექტები) და კონკურენტუნარიანობის პრობლემების კვლევა¹⁵⁹.

ნებისმიერ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დროს სტაბილიზაციისა და აღმავლობის როლს ყოველთვის აგრარული სექტორი ასრულებს. ამასთან, ეს სექტორი ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებასაც უწყობს ხელს. მეცნიერულად და პრაქტიკულად დამტკიცებულია, რომ ქვეყანაში საკუთარ სასურსათო პროდუქტებზე მოხმარების ნორმის 30%-მდე შემცირება ნიშნავს მისი არა მარტო სასურსათო უსაფრთხოების, არამედ პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვასაც. თუ საქართველოს მოსახლეობას 4,4 მლნ კაცად მივიჩნევთ, ექსპერტული გათვლებით, მოსახლეობის მიერ მოხმარებული ეროვნული სასურსათო პროდუქტების მოცულობა ქვეყნის აგრარულ ბაზარზე დაახლოებით 49%-ით ნაკლებია ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ პროდუქტების რაოდენობაზე. სოფლად ეს მაჩვენებელი უკეთესია და 10-15 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებელს.

¹⁵⁸ A Sustainable Agricultural Policy for Europe, Position paper on CAP review and reform, IFOAM EU Regional Group, April 2002. გვ. 6.

¹⁵⁹ Givord Dorian. Defending the European Rural and Agricultural Model at the WTO. 2001. www.rural-europe.aeidl.be

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგრარული სექტორის წილი ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურაში დროში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუმცა სექტორიდან ნაკლებ კონკურენტუნარიანი ფერმერები გამოიდევნებიან და ეფექტიანობის საშუალო მაჩვენებლები დარგში ზოგადად ზრდადია¹⁶⁰. ამრიგად, კონკურენტუნარიანობის პრობლემების კვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდგრადი განვითარების მექანიზმების გამოვლენაში. მიმდინარე პერიოდში, ასევე პერსპექტივაში, ქვეყნის აღმავლობის სტრატეგია კვლავ აგრარული სექტორის განვითარების შესაძლებლობებზე უნდა აიგოს. ამიტომ კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების პრობლემების კომპლექსური კვლევა საქართველოს აგრარული სექტორისათვის საციცოხლოდ აუცილებელია.

კვლევის მიზანია, კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე მდგრადი განვითარების პირობების გამოვლენა აგრარულ სექტორში და წარმოების სტრატეგიულ მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების პრობლემებზე მრავალი თეორიული და პრაქტიკული კვლევაა ჩატარებული. მეცნიერთა მიერ კონკურენტუნარიანობა შეფასებულია ფირმის, სექტორის და ეროვნული ეკონომიკის დონეზე. „ფირმა კონკურენტუნარიანია, თუ მას შეუძლია კონკურენციის პირობებში თავისი საქონელი გაყიდოს და ხანგრძლივი დროის მანძილზე მიიღოს მაღალი რეალური შემოსავალი“¹⁶¹, „სექტორი კონკურენტუნარიანია თუ მას შეუძლია შეინარჩუნოს წილები შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე“¹⁶² „ეროვნული ეკონომიკა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობით ხასიათდება, თუ მას შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნოს თავისი ექსპორტების წილი საერთაშორისო ბაზრებზე“¹⁶³.

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს აგრარული პროდუქტების უმეტესობისათვის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონეა დამახასიათებელი. სექტორისათვის თითქმის მიუღწეველია წარმოების მასშტაბზე ფარდობითი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. თუმცა ეს პრობლემა ზოგადად არის დამახასიათებელი მცირე ზომის ქვეყნებისათვის.

ქართული აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის „ex-post« მეთოდის მიხედვით დადგინდა, რომ კონკურენტუნარიანია თხილი, ასევე ღვინო და ალკოჰოლური სასმელები. აგრარული პროდუქტების

¹⁶⁰ D. Gale Jonson. World Agriculture in Disarray. London: Macmillan Press Ltd. 1991. გვ. 60.

¹⁶¹ Baade, 2007, გვ. 42.

¹⁶² იქვე.

¹⁶³ იქვე, გვ. 43.

უმეტესობა არაკონკურენტუნარიანია.¹⁶⁴ მდგრადი განვითარების მისაღწევად მიზანშეწონილია რესურსების კონცენტრაცია ასეთი პროდუქტების წარმოების მასშტაბების ზრდაზე.

კონკურენტუნარიანობის თეორიები მდგრადი განვითარების კონტექსტში უნდა შევავსოთ. „მდგრადი გლეხური მეურნეობის” შესახებ თეორიებმა ტრანსფორმაცია განიცადა. ამ თეორიის ფუძემდებლები (კ. კლააკი, გ. გესტი, ლ. ბრენტალო) უპირატესობას მცირე მეურნეობებს ანიჭებდნენ. მოგვიანებით მეცნიერები (სამუელსონი გ., ნიკაპუზი, გ. რიბე) ასაბუთებდნენ, რომ მაღალმექანიზებული წარმოება გაცილებით მდგრადია, ვიდრე მცირე ხელით შრომაზე დამყარებული საოჯახო ფერმერული მეურნეობები. ტრანსფორმაციის პერიოდში წარმოების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე ორიენტაცია ჭარბი წარმოების შეზღუდვის თეორიებმა, ასევე, ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ყურადღების გადატანამ შეცვალა.¹⁶⁵

აგროსასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების კონიუნქტურის შესავასებლად ენგელის კანონი უნდა მოვიშველიოთ. ამ კანონის მიხედვით საზოგადოების განვითარების შესაბამისად ეკონომიკაში აგრარული სექტორის ხვედრითი წილი შეფარდებით მცირდება. თუ გასული საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (გამონაკლისია დიდი ბრიტანეთი) სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო დასაქმებულთა დიდი რაოდენობით, დღეს განვითარებულ ქვეყნებში აგრარული სექტორის წილი მშპ-ში მხოლოდ რამდენიმე პროცენტია, დასაქმებულთა წილი 10%-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლების საწინააღმდეგოდ მკვეთრად გაიზარდა აგრარული შრომისმწარმოებლურობა – თუ გასულ საუკუნეში ამერიკელი ფერმერი 4 ადამიანს კვებავდა, დღეისათვის ეს მაჩვენებელი თითქმის 100 ადამიანია. ამრიგად, აგრარული პროდუქტების მიწოდებამ სწრაფი ზრდა დაიწყო.

საქართველოში 2005-2008 წლებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 9,4%-დან 2,3%-მდე შემცირდა¹⁶⁶. ამავე პერიოდში რეალურ მაჩვენებლებში წარმოება დაახლოებით 5%-ით შემცირდა.¹⁶⁷ ამ სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 55,1%. ქვეყანაში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ასევე დასაქმებულია სამშენებლო სექტორში, თუმცა ამ უკანასკნელზე გლობალურმა კრიზისმა და საფინანსო ბაზრების რყე-

¹⁶⁴ დეტალურად იხ. ე. ხარაიშვილი, ფ. მამარდაშვილი, საქართველოს აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასება, ჟურნალი „ეკონომიკა“, მაისი, 2009.

¹⁶⁵ A Sustainable Agricultural Policy for Europe, Position paper on CAP review and reform, IFOAM EU Regional Group April 2002. გვ. 2.

¹⁶⁶ <http://www.geostat.ge>

¹⁶⁷ შინამეურნეობების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით ჩატარებული გათვლები

ვებმა მკვეთრად უარყოფითად იმოქმედა და, შესაბამისად, დასაქმების არაეფექტიანი სტრუქტურა ჩამოყალიბდა. დღეს ეკონომიკის უმსხვილეს დამსაქმებელ დარგად დაბალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობა დარჩა. ცხადია, წარმოებისა და დასაქმების ასეთი სტრუქტურის პირობებში, მნიშვნელოვნად გართულებულია სექტორის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

მდგრადი განვითარების შემაფერხებელი ფაქტორია სიღარიბის დონე. ამ მაჩვენებლის ზღვრებისა და ინდექსების ანალიზით გამოირკვა, რომ ღარიბი მოსახლეობის 55%-ზე მეტი სოფლად მცხოვრებია. ბოლო წლების ანალიზმა ისიც დაადასტურა, რომ სოფლად სიღარიბის დონე ოფიციალური საარსებო მინიმუმის მიმართ არ შეცვლილა და შესაბამისად სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით წინსვლა არ ყოფილა¹⁶⁸. 2008 წლის მონაცემებით, სიღარიბის დონემ მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ 22,1%, ხოლო 40 პროცენტის მიმართ 9,5% შეადგინა; სიღარიბის სიღრმე შესაბამისად იყო 7,0% და 2,7%, სიღარიბის სიმწვავე 3,2% და 1,2%¹⁶⁹. სიღარიბის მაღალი დონე არა მარტო საზოგადოების უთანასწორო განვითარებას უქმნის საფრთხეს, არამედ აბრკოლებს წარმოების მდგრად განვითარებას და ადამიანის თავისუფლების რეალიზაციასაც.¹⁷⁰ საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი შემოსავლების ზრდამ და მისმა სამართლიანმა განაწილებამ უნდა უზრუნველყოს. საქართველოში ეს ტენდენციები ჯერჯერობით არ შეინიშნება და მდგრადი განვითარების საფუძვლების მოწესრიგება კვლავ უპირველეს ამოცანად რჩება.

კონკურენტუნარიანობასა და წარმოების მდგრად განვითარებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმოების მასშტაბები. საქართველო მცირემიწიანი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 0,2 ჰექტარი სოფლის მეურნეობაში არსებული მიწის ფართობი და 0,1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის.¹⁷¹ ცხადია, მიწის რესურსების შეზღუდულობა უარყოფითად აისახება წარმოების მასშტაბებზე. საქართველოში მცირე მასშტაბის ოჯახური მეურნეობები მხოლოდ ოჯახის წევრთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ; საშუალო მასშტაბის საწარმოები პროდუქ-

¹⁶⁸ <http://www.delgeo.ec.europa.eu/en/index.html>, გვ.11. 15.03.2010.

¹⁶⁹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადწლეული 2009, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2009, გვ. 63.

¹⁷⁰ გაეროს განვითარების პროგრამა (2008), ჰუმანური განვითარების ანგარიში 2007/2008, გვ. 39. <http://hdrstats.undp.org/indicators/147.html> and <http://hdrstats.undp.org/indicators/24.html>.

¹⁷¹ საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბილისი, 2009, გვ. 23.

ტებს აწარმოებენ როგორც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრისათვის, ხოლო მსხვილმასშტაბიანი საწარმოები ძირითადად ბაზარზე გასატანად. პირველი და მეორე ტიპის მეურნეობები საკუთრებაში ერთიდან სამ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთებს ფლობენ, მათი წილი მეურნეობათა საერთო რაოდენობაში თითქმის 85%-ია და მდგრადი განვითარების ნაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ. მსხვილმასშტაბური მეურნეობების წილი მხოლოდ 5%-ია, მაგრამ მათ სარგებლობაშია 100-ზე მეტი ჰექტარი სავარგული და ამ ჯგუფს შეუძლია ორიენტირების აღება მდგრად განვითარებაზე.

წარმოების მასშტაბები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობებსაც. კონკურენტული უპირატესობის შედარებითი ანალიზით გამოვლინდა, რომ ფერმერული მეურნეობების მასშტაბების თვალსაზრისით ფერმერთა თითქმის ნახევარი მთავარ კონკურენტად აღვილობრივ მცირე და საშუალო ზომის მეურნეობებს მიიხედავს, მსხვილ მეურნეობებს კონკურენტად მხოლოდ 20% თვლის. მწარმოებელთა 30%-თვის ძირითადი კონკურენტები იმპორტიორები არიან.¹⁷² იმპორტიორებისათვის კონკურენციის გაწვევა მხოლოდ იმ საწარმოებს შეუძლიათ, სადაც მასშტაბის ეფექტი მოქმედებს.

მდგრადი განვითარების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ ერთობლივი მოთხოვნა აგროსასურსათო პროდუქტებზე უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მიწოდება. არაელასტიკური მოთხოვნის დროს ადგილი აქვს ფასების მკვეთრ ცვლილებას და მაშასადამე, შემოსავლების ცვლილებასაც. ეს ნიშნავს, რომ სასურსათო ბაზრებზე მოთხოვნა მდგრადიც რომ იყოს, ფასები მაინც არასტაბილურია. უმნიშვნელო ცვლილება მიწოდების მოცულობაში (კარგი ან ცუდი მოსავლ-ს გამო) იწვევს ფასების მკვეთრ გადიდებას ან შემცირებას არაადეკვატური პროპორციით.

სოფლის მეურნეობა მაღალკონკურენტული დარგია. ბაზრის კანონების ძალით შემოსავლების შემცირების პარალელურად უნდა მოხდეს ფერმერების გადაღინება საქმიანობის უფრო მომგებიან სფეროებში. თუმცა გაღინება იმ პროპორციით არ ხდება, როგორც მცირდება ფერმერთა შემოსავლები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სოფლის მეურნეობა არა მარტო წარმოების, არამედ ცხოვრების სფეროცაა. შედეგად, დასაქმება ამ სექტორში არ რეაგირებს ეკონომიკის კონიუნქტურაზე ისეთივე ტემპით, როგორც სხვა დარგებში.

კონკურენტული უპირატესობის მოპოვებასა და მდგრად განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკანონმდებლო რეგულა-

¹⁷² დეტალურად იხ. **ე. ხარაიშვილი**, აგრარული პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და მიკროეკონომიკური რისკები, მოხსენება სამეცნიერო კონფერენციაზე, 25 ივნისი, 2010.

ციები. აგროსასურსათო სფეროში კვლევებით დადგენილია, რომ ამ სფეროში მოქმედი კანონები ზღუდავს მწარმოებელთა საქმიანობას. ბიზნეს-საქმიანობაზე კანონების ეფექტიანად ზემოქმედება შეფასებულია რესპონდენტთა მხოლოდ 7,7%-ის მიერ. გამოკითხულთა 33,9%-ს მიაჩნია, რომ საკანონმდებლო რეგულაციები მის ბიზნესზე არაეფექტიან გავლენას უმნიშვნელოდ ახდენს, ხოლო 44,0%-ის აზრით, არაეფექტიანი ზემოქმედება მნიშვნელოვანია¹⁷³. ამრიგად, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით, სამთავრობო რეგულაციების ხშირი ცვლილება უარყოფითად აისახება ბიზნესის, მათ შორის აგროსასურსათო სფეროს მდგრად განვითარებაზე.

წარმოების მდგრად განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სუბსიდირებით, მიზნობრივი პროგრამებით, საგზაო ქსელის მოწესრიგებით და სხვა. მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურაა. სოფლის გზების 55%-ს საფარი არ აქვს, ხოლო საფარიანი გზების დაახლოებით 50% ცუდ ან ძალიან ცუდ მდგომარეობაშია¹⁷⁴. აღნიშნულის გამო, ექსპერტული შეფასებით ამ გზებით მოსარგებლე მოსახლეობის, განსაკუთრებით მწარმოებლების, დანახარჯები მნიშვნელოვნად იზრდება.

კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებით (ex-post, ex-ante მეთოდებით გაანგარიშებული მაჩვენებლები, პორტერის „აღმასის მოდელით“ შეფასებული პოტენციური უპირატესობები და ნაკლოვანებები) და მდგრადი განვითარების პირობებით საქართველოსათვის სტრატეგიული აგროსასურსათო პროდუქტებია:

- ნედლი ხილი და ბოსტნეული – ვაშლი, კარტოფილი, სუფრის ყურძენი, მწვანილი, მანდარინი, ხახვი, კენკრა;
- გადამუშავებული ხილი და ბოსტნეული – ვაშლის წვენი, გაყინული ბოსტნეული, ტყემალი, აჯიკა, ლედვის მურაბა და სხვა;
- სპეცპროდუქტები – სოკო, წაბლი, თხილი და ა.შ.;
- იმპორტის ჩანაცვლება შესაძლებელია რძის პროდუქტებით, მეფრინველეობის პროდუქტებით, გადამუშავებული ხორცის პროდუქტებითა და სხვა.

ამრიგად, საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნია. მიმდინარე ეტაპზე აქტუალურია პოტენციურად კონკურენტუნარიანი პროდუქტების გამოვლენა მეცნიერული მეთოდების საშუალებით. კონ-

¹⁷³ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა ბიზნესზე საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, 2009, გვ. 34.

¹⁷⁴ მეწარმეობის მხარდაჭერის საერთაშორისო ცენტრი, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება საქართველოში, კვლევის მასალები, 2008, გვ. 67.

კურენტუნარიანი პროდუქტები და დარგები უზრუნველყოფს ეროვნული რესურსებისა და საექსპორტო შესაძლებლობათა ეფექტიან გამოყენებას და გრძელვადიან პერიოდში მდგრადი განვითარების შენარჩუნებას.

Eter Kharaisvili

COMPETITIVE AND PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT IN AGRARIAN SECTOR

SUMMARY

In the article are reviewed the competitive theories with implication of sustainable development. Indexes of competitiveness are calculated through ex-post and ex-ante methods, evaluation of potential priorities and setbacks has been done by «Porter Diamond Model». Under evaluation of competitiveness and conditions of sustainable development has been revealed strategic agrarian products for Georgia. It was stated that in order to achieve the sustainable development it is reasonable to concentrate recourses upon increase of scale for yielding of such products.

Taking into account the production scale there have been offered sustainable development opportunities for acquisition of competitive priorities and farming facilities.

Conjecture of demand-supply over agrarian products has been estimated by Engel Law. It is justified that according this law in conformity with the development of society the specific weight of agrarian sector in economics is relatively being reduced, however the labor production in the agrarian sector is being sharply grown. In Georgian agrarian sector only large-scale farming facilities have high working efficiency. Their portion in the national economics is low and is not enough for yielding of competitive products and provision of sustainable development in the field.

მიხეილ ჯიბუტი

თანამედროვე ქართული ეკონომიკური აზრის კრიტიკა

საქართველოს ეკონომიკური აზროვნება და მისი უმთავრესი გამოხატულება – ქართული ეკონომიკური მეცნიერება ღრმა კრიზისშია. ეს გამოწვეულია საერთოდ, მსოფლიოში ეკონომიკური მეცნიერების მდგომარეობით, როდესაც "დაკარგულია პარადიგმა". როდესაც მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ეკონომიკური პროცესები წინ უსწრებს მეცნიერებას და არც ერთი ეკონომიკური თეორია არ არის მზად, დაადგინოს მიმდინარე პროცესების კანონზომიერებები. ეკონომიკური პრაქტიკა ვერ პოულობს დასაყრდენს ეკონომიკურ თეორიაში და ცდა-შეცდომის გზით ვითარდება. ამიტომაც, ქვეყნების,

კორპორაციების თუ ფიზიკური პირების დონეზე წარმატებული მაგალითები გამოიყურება არა როგორც პროგნოზირებული საქმიანობის შედეგი, არამედ, როგორც გამართლება. საერთო მდგომარეობას ემატება შიდა ქართული პრობლემები, დაწყებული ეკონომიკური განათლებითა და დამთავრებული ეკონომიკური პოლიტიკით, ქვეყანაში არ არის შექმნილი ეკონომიკური მეცნიერების განვითარების გარემო და მოტივაციები. ახალგაზრდობის ინტერესი მეცნიერული კარიერისადმი ეპიზოდურია. ეკონომიკურ მეცნიერებაში მოღვაწეთა უდიდესი უმრავლესობა 50+ ასაკისაა. მაგრამ მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში მიდის "დაბერების" პროცესი (თანაც უფრო სწრაფად, ვიდრე ქვეყანაში მთლიანად), არამედ ის, რომ ეკონომიკური მეცნიერების პროდუქტის "დაძველება" კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განხორციელდა. ეს პროცესი შეუქცევადი გახადა ახლად შექმნილი სამეცნიერო ნაშრომების არსებობამ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე. ქართულ ენაზე გამოცემულ ქართველ ავტორთა შრომებში აზრთა ჭიდილი პოლიტიკის სახით თითქმის არ არსებობს. ჩემი ემპირიული დაკვირვებით, მკითხველის მოლოდინი რომელიმე ეკონომისტის ნაშრომისადმი არ არსებობს. არ არსებობს მოთხოვნა ეკონომიკურ სამეცნიერო ნაშრომებზე ერთეული სამეცნიერო ინტერესების მქონე პირთა გარდა. ამიტომაც არავინ არ იხდის პონორარს სტატიებისა და მონოგრაფიებისათვის. პირიქით, ავტორები იხდიან ფულს მათი შრომების დაბეჭდვისათვის. გაჩერებას ეს ჯობს. ეკონომისტებმა ვიცით, რომ არა მარტო მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას, არამედ მიწოდებამაც შეიძლება წარმოშვას მოთხოვნა. როგორ გამოვიდეთ ამ სიტუაციიდან? ამისათვის, ავტორის აზრით, აუცილებელია, მეცნიერება გაშორდეს ინფორმაციის შეგროვება-დაფასოების სფეროს და დაიწყოს ცოდნის წარმოება. ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა მოძებნოს მისი კონკურენტუნარიანი მიმართულებები და შექმნას პროდუქტი, რომელიც საინტერესო იქნება არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოებისათვის. ეს სფერო დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკასთან, მის ისტორიასთან, აწმყოსა და მომავალთან და ქართული ეკონომიკური აზრის თვითკრიტიკასა და კრიტიკასთან.

Mikheil Jibuti

CRITICISM OF MODERN GEORGIAN ECONOMY THOUGHT

SUMMARY

The report is dedicated to the crisis of Georgian economy science, which is caused by general condition of world economy science and Georgian factors: the level

of economy education, financing of economy science, attitude of the government to economy science and institutions, the state of labor market and other.

პროცესები და პრობლემები საქართველოში

Nino Abesadze

COMPILATION AND PROBLEMS OF CONSUMER PRICE INDEX IN GEORGIA

The first cooperation of Georgia with international organizations in terms of implementation of Consumer Price Index (CPI) methodology according to international standards, took place in 1992. At present the consumer basket of consumer goods and services included initially 266 goods and services. Previously goods and services were not classified according to COICOP, as suggested by IMF.

The difference in coverage of goods and services at groups and subgroups level resulted in a lack of comparability with series from other countries. Some changes in the composition of the basket and update of weights in 1998 did not solve this problem as the difference in classifications prevailed. However, from the beginning of 2004 COICOP was applied, and regular update of the basket was implemented. Thus, from 2004 the sub-indices of the Georgian CPI can be compared with those of other countries without additional calculations.

Price data are collected in the most representative cities of the country (Tbilisi, Kutaisi, Batumi, Gori and Telavi) at one and the same dates, during the period

between 10 – 20. Deviations from this take place in exclusive cases only and do not exceed 1-2 days. Prices on food and non-food goods in Tbilisi are registered 4-6 times, in other cities 2-4 times. Tariffs on paid services in all cities are registered 1-3 times.

We do not use scientific methods for selection of trade points for price registration (due to a number of reasons, it is very difficult to do this in our country, especially in the regions). In this way, there is more freedom in the selection of trade points and positions to be estimated, though some points should be taken into account (especially in large cities):

- Many goods or services are available in a wide spectrum of trade points (commercial and special shops, organized and non organized markets, mini markets and supermarkets etc.) and are in constant selling;

- The constancy of observed points and types of goods;

- The combination of trade points of different types, selected for price registration, shows the proportion of their usage by local consumers.

In total the price collection covers about 1300 points all over the country.

The calculation of impact of seasonal factors is a separate topic. The primary methodology used recently is in accordance with the recommendations of IMF, and the seasonal increase and decrease of prices is reflected in the CPI. Upon seasonal disappearing of goods prices are not recorded until the goods reappear in the market. This causes inadequate attitude of opponents and users of the statistical information. If necessary the inflation is calculated exclusive of the impact of seasonality, which may be similar to the situation in other countries. The question of how to treat seasonal items is subject to permanent arguing and discussions. For example peaches appear at local agricultural markets in June of every year and are available until October. Accordingly, from November to May peaches are not available in selling and of course individual indices are not calculated for peaches from November (due to absence of goods in sale) to June (due to absence of goods and price on that in previous month) and they are not included in calculation of the national CPI.

As it is mentioned above, primary price information is collected in accordance with features given in specifications of each type of goods and services. In case of temporary disappearing of any goods from the market, the last observed prices are preserved and carried forward for three months and included in the CPI calculation. After that, if goods still do not appear on the market they are to be substituted by the most similar ones (according to technical description and Quality).

To solve above mentioned problem since 2007 started to use imputation method for calculation indices of seasonal goods and temporarily missing prices.

At present during calculation of Consumer price index and also the inflation rate existing some problems in Georgia. Most of all it relates calculation indices of seasonal products and temporarily missing prices and calculation of owner-occupied housing.

Unfortunately, separate, independent surveys on the price indices for owner-occupied housing have not begun in Georgia yet. It may be this said that we are taking the first steps in this trend. We have begun a registration on owner-occupied housing

from 2004, when according to the recommendation of the International Monetary Fund as one of the representative owner-occupied housing was added to the consumer goods basket within the CPI's framework.

Accordingly, proceeded from the rather difficult and special specificity of the problem with the special prudence we began the registration the prices which is lasting up to now. Registration of the sale price of the owner-occupied housing as well as the rest positions in the consumer goods basket is carried out with the monthly periodicity both in the capital and in four cities of Georgia (Consumer price registration is carried out in five big cities of Georgia).

For the monitoring the separate (isolated), own flats existing in the many storied buildings are sampled, but we have not carried out monitoring over private, individual houses yet.

Different agencies that carry out buying and selling of the real estate, also an individuals, so-called "brokers", which carry out mediatory activity between the seller of the dwelling and buyer are the source of the initial information.

The types of the owner-occupied housing that have sufficiently big share in the total volume of the sale of the owner-occupied housing are sampled for the price monitoring.

Maximum attention is devoted to the maintenance of the criterion of comparability during obtaining of the source information. Monitoring of prices is carried out in the different parts of city, as the owner-occupied housing of the same type, with the similar parameters (existing in the same type of block of flats, of the similar living space and equipped with the similar) proceeded from the location in the city (In the center of the city, periphery or outskirts) may be sold in different price.

Considering also the floor where the flat locates we observe the prices according the floor location, due to difference of prices of ninth and second floor's flats.

Both price registers and the staff working in the main office come across the problems that take place while implementing the fieldwork, during the price registration on the owner-occupied housing, in particular:

- Unstable functioning of the information sources (the mentioned problem was especially mentioned in the past years, during last two years more or less became stable, though it is still a problem;
- In spite of our constant explanation some agencies decline cooperating with us as they think they are not obliged to pass us information. From the above mentioned they avoid collaborating with us.
- The most serious problem appears price registration on similar parameters flats. We often have to observe various parameters flats as there in distinct agencies can't be found the comparable parameters flats prices. It derives problem in index calculation.

And finally I would like to mention that the registration on the owner-occupied housing proceeded from its importance specificity demands special approaches for the further perfection.

Total, in practice at National Office of Statistics existing following problems:

- There is no technique at drawing up completely of price indexes on the owner- occupied housing;
- In drawing up of consumer price indexes does not inclusion financial services;
- It is necessary to improve structure of consumer basket;
- It is necessary to improve a technique of statistical supervision on consumer prices;
- For drawing up of consumer price indexes it is necessary to introduce supply with information system PIPS.

REFERENCES

1. **Abesadze N.** „Modern problems of statistical studying of the prices.” Tb., 2009.
2. **D. Kbiladze, N. Abesadze, S.Metreveli-** Statistics in economy and in business.Tb., 2008.
3. **David R.R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas Arthur Williams.** Essentials of Statistics for Business and Economics, 2005.
4. **V.N. Salin** statistics of the finance.. Tb., 2002.

ნინო აბესაძე

სამომხმარებლო ფასების ინდექსების აგების პრობლემები საქართველოში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია სამომხმარებლო ფასების ინდექსების აგების საკითხები საქართველოში. აქცენტი გაკეთდა შემდეგ აქტუალურ პრობლემებზე: პირველადი ინფორმაციის სკალირებული შეყვანა კომპიუტერში; სეზონური ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგია და მისი გაანგარიშების თავისებურებანი საქართველოში; სამომხმარებლო ფასების ინდექსების აგებისას ფინანსური მომსახურების გათვალისწინების აუცილებლობა; ჰარმონიზებული სამომხმარებლო ფასების ინდექსების აგება.

თამარ ათანელიშვილი

სტატისტიკური სამსახურის შემწეა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

დამოუკიდებელი სტატისტიკური სამსახურის დაარსებაზე მსჯელობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გააქტიურდა 1918 წლის 5 ნოემბრიდან, კერძოდ, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტში დაიწყო კანონპროექტის „აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული სტატისტიკის შედგენის“ შესახებ განხილვა. მომხსენებელმა დონიაშვილმა გაახმოვანა მიწათმოქმედების სამინისტროს თხოვნა სტატისტიკური განყოფილების დაარსების შესახებ¹⁷⁵ ამავე სამინისტროს დაქვემდებარებაში. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს: თ.ღლონტმა, მ.მანაბელმა, პ.გელაშვილმა (მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე), კინიძემ. ამ უკანასკნელის აზრით, მომავალში უმჯობესი იქნებოდა მუდმივი სტატისტიკური დაწესებულების დაარსება¹⁷⁶.

განსხვავებული შეხედულების იყო გ.ვეშაპელი, რომლის მიხედვით, მიწათმოქმედების სამინისტროს ისედაც უჭირდა დაკისრებული მოვალეობების შესრულება და დამატებითი ფუნქციები კიდევ უფრო გაართულებდა მის მუშაობას. აღ. ასათიანის აზრით, ასეთი სამსახურის დაფინანსება სახელმწიფო ხაზინას გაუჭირდებოდა. დონიაშვილის წინადადებით კი „სახელმწიფო ხაზინიდან მიწათმოქმედების სამინისტროს უნდა გამოყოფოდა საჭირო თანხები სტატისტიკის სამსახურის მოსაწყობად“¹⁷⁷.

კანონპროექტი პირველი მოსმენით მოიწონეს. საბოლოოდ კი 15 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა „სტატისტიკის დროებითი ბიურო“ სათანადო დაფინანსებით.

სტატისტიკურ სამსახურს დაევალა 1917 წლის საადგილმამულო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების შემუშავება, მიწის ფონდის აღრიცხვა და მისი განაწილების ნორმების განსაზღვრა...¹⁷⁸

ამგვარად, დამოუკიდებელ საქართველოში პირველად შეიქმნა სტატისტიკის სპეციალური სამსახური განსაზღვრული ფუნქციებით, დაფინანსებით, მაგრამ არა დამოუკიდებელ უწყებად, არამედ ერთ-ერთი სამინისტროს შემადგენლობაში.

შემდგომი ნაბიჯი სტატისტიკური ორგანოს უფრო მაღალ რანგში ასაყვანად განხორციელდა 1919 წლის 25 ივლისს, მას შემდეგ, რაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი „ცენტრალური

¹⁷⁵ საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 56-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 13.

¹⁷⁶ იქვე, გვ. 28.

¹⁷⁷ საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 56-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 36.

¹⁷⁸ საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 61-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 3.

სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების¹⁷⁹ შესახებ, რომლის მიხედვითაც დაარსდა „რესპუბლიკის ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტი“ (დამტკიცდა თანდართული დებულებაც)¹⁸⁰.

დამფუძნებელ კრებაზე დიდი კამათი გამოიწვია სტატისტიკის კომიტეტის სტატუსმა. იურიდიული და თვითმმართველობის, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიები, დამფუძნებელი კრების ცალკეული წევრები: ი.ფირცხალაიშვილი, ი.ირემაშვილი და ს.კედია, მოითხოვდნენ „კომიტეტის“ მთავრობის დაქვემდებარებაში შეყვანას, რაც მის მეტ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. თუმცა, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, აგრეთვე, დამფუძნებელი კრების წევრის გ.ცისკარიშვილის მოსაზრებით, უფრო გამართლებდა „კომიტეტის“ დაარსება მიწათმოქმედების სამინისტროს სტრუქტურაში, რამეთუ ამ სამინისტროში დაგროვილი გამოცდილება ხელს შეუწყობდა აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელებას¹⁸¹. საბოლოოდ, ასეთი პოზიცია იქნა გაზიარებული.

სტატისტიკური ორგანოს ერთი უწყების დაქვემდებარებაში დატოვება გაუმართლებელი იყო და მისი მუშაობა უფრო ეფექტიანი იქნებოდა დამოუკიდებელ პირობებში.

დამტკიცებული დებულების შესაბამისად, რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის კომპეტენციაში შევიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტატისტიკური სამუშაოების წარმართვა ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურების საერთო ხელმძღვანელობის პირობებში. კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავდა და ათავისუფლებდა რესპუბლიკის მთავრობა. იგი შედგებოდა ოთხი: 1. საადგილმამულო, სასოფლო-სამეურნეო და ერობის სტატისტიკის, 2. შრომის და ვაჭრობა-მრეწველობის, 3. სატრანსპორტო და სასურსათო და 4. მცხოვრებთა და ქალაქთა სტატისტიკის განყოფილებებისაგან. განყოფილებათა გამგეებს ნიშნავდა და ათავისუფლებდა მიწათმოქმედების მინისტრი სტატისტიკის კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით. სხვა მუშაკებს კომიტეტის თავმჯდომარე ნიშნავდა.

ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ცენტრალური სტატისტიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე, მისი მოადგილე, განყოფილებათა გამგეები, თბილისის სტატისტიკური სამსახურის წარმომადგენელი, რესპუბლიკის ერობათა ერთობისა და ქალაქთა

¹⁷⁹ კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, №12, 1919 წელი, გვ. 192.

¹⁸⁰ საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 61-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 4.

¹⁸¹ საქართველოს დამფუძნებელთა კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), 36-ე და 38-ე სხდომები, 1919 წელი, გვ. 5-7.

კავშირის მიერ არჩეული თითო წარმომადგენელი და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

დასასრულ, მართალია, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა დამოუკიდებელი ქვეყნისათვის აუცილებელი სტატისტიკური ორგანო, მაგრამ შეზღუდული უფლებებით და კომპეტენციით, რომელსაც არ გააჩნდა სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისათვის რეალური მექანიზმები (განსაკუთრებით კერძო სექტორიდან) და იმთავითვე ცხადი იყო მისი მომავალი მუშაობის არაეფექტიანობა.

Tamar Atanelishvili

CREATION OF STATISTICAL SERVICE IN GEORGIAN DEMOCRATIC REPUBLIC

SUMMARY

The article analyzes the issues of formation of statistical service in Georgian Democratic Republic and the disputes around it. Is discussed the statute, structure, financing and functioning problems of the created statistical body.

Tamila Arnania-Kepuladze

THE TIME ALLOCATION AND TIME DIVISION: THEORETICAL APPROACH

The common model of economic behaviour on the labour market and households is based on a dilemma of choice between work (income) and leisure. But leisure isn't homogenous phenomena. Therefore in this research I use and introduce notions such as working time, leisure, non-working time, using time, free time and time for satisfaction individual's physiological needs. In this paper I have tried to introduce such concepts as income getting or income increasing promote activity, non-monetary income obtain activity, income-make activity, non-income-make activity, indirect-receipts activity. For the attribution of different types of practice to certain kinds of activity the "principle of dominant purpose of activity" was offered.

The classical perceptions have considered worker's daily income (M) as a product of wage rate (w_0) and the duration of his work activities. Duration of work activities depends on ratio between work hours (H) and leisure hours (L) [1,2,3]. Thus, microeconomics approach to worker's daily income can be expressed by the formula: $M=w_0(24-h)$.

According to the opinions which exist in economic literature, leisure and non-work time “are using as an identical categories” [2] which “include play, sleep, eating and any other activities” [1,3]. Leisure is also defined as a “term that describes enjoyable non-work activities” [3]. Work time is defined as activities which make income.

In economic literature potential work time is considered 24 hours. Such approach actually completely identifies worker with material factors of production. But a person (worker) is the bio-social essence and beside satisfaction of social and economic needs he must satisfy biological (physiological) needs, such as sleep, eating etc. Thus, in reality a worker can't work 24 hours. This necessity is admitted by economists, but it is not considered in detail.

Proceeding from it let in more detail consider worker's day.

Worker's day is consisting of *working time* when worker works and receives the income and *non-working time*.

Non-working time is very structure-intricate and interesting category.

Non-working time consists of the *time to satisfaction individual's physiological needs* (primary needs) such as sleep, eating etc and *free time* such as rest, relaxation, recreation, play, work in household, training etc. At the same time or in other words, *non-working time* consists of the *non-income-making activity* (i.e. time for performance of the non-income-making activity) and *indirect-receipts activity* (i.e. time for implementation the indirect-receipts activity). Non-income-making activity can be defined as activity, not connected with some kind of return bringing performance and includes a satisfaction of physiological needs and a pleasant passing time. *Indirect-receipts activity* can be defined as any sort of practice connecting with a) activity which promotes income getting or income increasing (non-reimbursable activity as a necessary part of wage earning employment or training purposely to career enhancement, skill improvement etc); b) activity which obtains non-monetary income - any kind of activity purposely getting goods and services including, tidying, cooking, shopping etc. This type of unpaid activity can be performed by a third person for pay but for one reason or another is performed by family members (in our case – by men or women; by wife or husband)¹⁸²; c) voluntary activity which includes childcare, elderly people care, child-rearing practices, interpersonal relationships such as emotional bond, psychological support etc. This type of activity is doubly-defined: on the one hand, childcare, old care and some kinds of interpersonal relationships can be performed by the “third” person e.g. by various kinds of specialists, psychoanalysts, etc, on the other hand, many kinds of interpersonal relationships have very intimate, direct and private character and can not be superseded by act of “third” person. In the first case the activities attribute to indirect-receipts activity (V_1) and in second case – to the non-income-making activity (V_2) but not to leisure one.

On the other side, the day shares on *used time* (U) (when individual are concerned in their job i.e. realized the income-make activity and indirect-receipts

¹⁸² To my opinion, Margaret Reid's third person principle [4] is based just on this activity.


activity) and *leisure* (L), when individuals rests, sleeps, eats and pleasantly spends time. In other words: on the one hand used time (U) includes work time (H) which is composed of income-make activity (paid work H_p) and unpaid work H_u . Leisure (L) consists of time to satisfaction physiological needs (S) and of pastime (see Figure 1).


Proceeding from the aforesaid we would like to consider the following marks:

1. Worker's day-night time structure isn't homogeneous. It consists of working time (H) and non-working time (N): $24=H+N$.
2. A worker as a bio-social essence compelled to satisfy their physiological needs as sleep, eating etc (S).
3. Non-working time (N) structure isn't homogeneous too. It includes non-income-make activity (M) and indirect-receipts activity (I): $N=M+I$. In other hand, non-working time consists of a) time to satisfaction person's physiological needs (S) and b) free time (F): $N=S+F$.
4. Free time (F), in its turn, includes indirect-receipts activity (I), second part of the voluntary activity (V_2) and pastime (P): $F=I+V_2+P$.
5. Non-income-make activity (M) includes time to satisfaction physiological needs (S), pastime (P) which is used for rest, relaxation, recreation, play, etc. and a second part of voluntary activity (V_2): $M=S+P+V_2$.
6. Used time (U) includes working time (H) and free time except for pastime: $U=H+(F-P)$. In other hand used time includes paid work (H_p) and unpaid work (H_u).
7. Leisure (L) includes time for satisfaction person's physiological needs (S) and pastime (P): $L=S+P$.
8. Worker's work time (H) is limited by necessity of satisfaction physiological needs. So worker's work time can't continue 24 hours and equals $H=24-S$.

Proceeding from the aforesaid, let conditionally divide day into working time (H), non-working time (N), which includes free time (F), and time to satisfaction of individual's physiological needs (S) – sleep, eating etc. - what a person can't live even a little long time without.

Figure 1. Day-night division





Now we shall make some explanations:

1. Worker's day-night time (24 hours) consists of working time (H) and non-working time (N):

$$H+N=24$$

2. Non-working time (N) consists of free time (F) and time to satisfaction of physiological needs (S):

$$N=F+S$$

3. The necessity of satisfaction worker's physiological needs objectively reduces worker's working and/or free time.
4. Used time (U) for the case of simplicity we'd considered as differences between durations of day-night time and time of satisfaction of physiological needs (S) and pastime (P):

$$U = 24-S-P$$

5. Non-working time (N), as a rule, can't be less that time for satisfaction of worker's physiological needs (S) and, of course, can't be more that the 24 hours. Thus non-work hours as hours for satisfaction physiological needs have bilateral restriction:

$$S \leq N \leq 24$$

6. Working time (H) equals differences between durations of day-night time and time of satisfaction of physiological needs (S) and free time (F):

$$H= 24-(F+S)$$

7. Working time and free time can inter-complete each other or be inter-substituted by each other (when worker increases labour supply as much as possible, working time can be substitute by free time $U+P=H$. When a person doesn't works, free time is substituted by working time and $F=U+P$):

$$H; F \leq U+P$$

8. Working time (H) can't be more that used time and pastime (U+P) are together and less that 0 (because a person can doesn't work at all but should sleep):

$$0 \leq H \leq U+P$$
9. Uniting the aforesaid we shall receive:

$$\begin{cases} H+F+S=24 \\ S \leq N \leq 24 \\ 0 \leq H \leq U+P \\ U = 24-S-P \end{cases}$$

The principle of dominant purpose of activity

Some types of activities can have double loading: e.g. if the work in the households such as agricultural activities is performed as income-getting tool and if study or training represent a necessary condition for income-bringing work, the time for its realization can be considered as usefully spent time or used time; if activities in the household (e.g. flower cultivation as a pleasant time spending) or exercise (e.g. morning dozen, etc.) are using as pastime – we can refer them to leisure.

Sometimes it is very difficult to define the type of activity. For example, when parents play with a child - is this type of activity a kind of rest or childcare necessity?

Not so rarely some sorts of activities can simultaneously be attributed to different practices. In such cases the definition of their belonging is both difficult and important.

For example, a young musician practices the new composition which he enjoys. The creative process brings him pleasure and he plans to set this composition in his new concert program. At the same time, when the composition is well-learned, he lets his children listen to his execution because musician wants them to enjoy and understand music. How can his activity be qualified: pleasant spending time, childcare or work? Of course, musician's performance contains all this components but his main goal is to prepare a new concert program.

Another example is flower cultivation.

For comparison: flower lover grows up flowers for pleasure. At the same time he/she sells the superfluous quantity of flowers and gets additional income. Other person grows up flowers for sale but at the same time he/she gets a charge out of the process. By its exterior form both persons' activities are identical and contain similar compositions but the intrinsic meaning of their activities is rather different because they have different goals: for the first person it is the satisfaction of aesthetical needs and therefore can be recognized as pastime while in another person's case this activity satisfies his material needs and consequently is a work activity.

Therefore for the attribution of different types of practice to certain kinds of activity the *principle of dominant purpose of activity* can be used.

Such approach could be used as methodological base for the in-depth analysis of the household time allocation.

In this paper I have entered the day-night time's restriction factors and alongside with leisure and work time I have used such concepts as non-working time, using time, free time and time for satisfaction individual's physiological needs. This paper has introduced such concepts as income getting or income increasing promote activity, non-monetary income obtain activity, income-make activity, non-income-make activity, indirect-receipts activity. For the attribution of different types of practice to certain kinds of activity the "principle of dominant purpose of activity" was offered.

Offered the day-night time's restriction could be used as methodological base for the in-depth analysis of the household time allocation and as one of the basis for an explanation of gender wage gap. This issue calls for more attention and more research.

REFERENCES

1. **Frank, Robert H.** 2006. *Microeconomics and behavior*. New York: McGraw-Hill.
2. **Hugh, Gravelle, and Ray Ress.** 2004. *Microeconomics*. Harlow: Pearson Education Limited.
3. **Pindyck Robert S., and Rubinfeld Daniel L.** 2005. *Microeconomics*. USA: Pearson Education International.
4. **Reid, Margaret.** 1987. *Economics of household production*, New York: John Wiley. Sen, Gita; Grown, Caren.

Барышева С.К.

ИНВЕСТИРОВАНИЯ В ЧЕЛОВЕЧЕСКИЙ КАПИТАЛ: ЦЕЛЬ И ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ

Постоянное техническое обновление и использование информационных технологий требуют капиталовложений для обновления человеческого капитала, поддержания способности эффективно осваивать нововведения для обеспечения конкурентоспособности производственных единиц. Развитие человеческого капитала является основой успеха и финансовой эффективности современного бизнеса. Управление человеческим капиталом как объектом инвестиций в организации требует применения обоснованных методик планирования и оценки эффективности вложений в персонал.

Контроллинг представляет собой систему регулирования затрат и результатов деятельности, помогающую достигнуть цели организации, избежать неожиданностей и своевременно принять правильные управленческие решения.

Через определенные промежутки времени заданные величины сравнивают с фактическим состоянием, определяя, не нужно ли вмешательство для достижения поставленной цели, и при обнаружении отклонений вносят коррективы, способствующие установлению равновесия.

Контроллинг занимает особое место в управлении организацией, связывая воедино функции учета, информационного обеспечения, контроля и координации, интегрируя и координируя их; это своеобразный механизм саморегулирования, обеспечивающий обратную связь в системе управления. Важным направлением контроллинга является управление будущим для обеспечения длительного функционирования организации. Ориентация на будущее предусматривает решение «узких мест», связана с поиском и нахождением недостатков в намеченных целях и задачах организации. Такие «узкие места» могут носить оперативный и стратегический характер. Оперативные узкие места экономического роста – дефицит лимитирующих ресурсов в достижении основных финансовых результатов (прибыли, суммы покрытия и т.п.); стратегические «узкие места» – это глобальные проблемы на пути развития организации. На уровне трудовых ресурсов и кадрового потенциала контролируются планирование трудовых ресурсов, обеспечение организации квалифицированными работниками; развитие системы оценки эффективности труда персонала; совершенствование трудовых затрат, затрат на заработную плату при росте и эффективности работ.

Затраты на персонал - это расходы предприятия на привлечение, вознаграждение, стимулирование, решение социальных проблем, организацию работы и улучшение условий труда трудовых ресурсов. Структура затрат на содержание персонала формируется исходя из требований бизнеса, стратегии и стадии развития компании, стратегии работы с персоналом и кадровой политики. Она включает в себя как базовые элементы (затраты на оплату труда, обучение и развитие персонала, культурно-бытовое обслуживание), так и иные статьи (например, исследования и разработки в области управления персоналом), позволяющие проводить гибкую политику работы с персоналом в организации. Повышения производительности труда должно быть связано с изменением всех затрат производства, поэтому необходимо управление этими процессами, их планирование и координирование, включая занятость, структуру кадров, технологию и оборудование продукции и рынки сбыта.

По результатам оценки эффективности затрат на персонал организации мы определили пути повышения эффективности данных затрат, наиболее действенными из которых являются:

- в области повышения эффективности затрат на заработную плату и социальные выплаты: реализация мероприятий по совершенствованию организации труда, оценка структуры затрат рабочего времени, обоснование необходимой численности персонала и при необходимости сокращение/сдерживание роста численности административно-управленческого

персонала; учет уровня инфляции при установлении окладной части на плановый период;

- в области повышения эффективности затрат на обучение: внедрение системы оценки эффективности обучающих курсов в рамках регулярной аттестации персонала; развитие института наставничества; коучинг для руководителей предприятия как метод «персонального тренинга», позволяющий раскрыть резервы личности и способствующий личностному росту и реализации потенциала сотрудника.

Необходимость инвестиций в человеческий капитал возникает при обнаружении противоречия между имеющимся и востребованным в производстве человеческим потенциалом. При этом инвестиционный процесс является не только фактором формирования и развития, но и фактором реализации человеческого потенциала.

Эффективность инвестиционных вложений в человеческий капитал может быть обеспечена только в том случае, когда разработана стратегия деятельности (развития) предприятия, которая предполагает количественную и качественную потребности в человеческом потенциале, а также требует выявить резерв человеческого потенциала. Как правило, это показывает необходимость инвестиций, направленных на определение сферы деятельности, в которой накопленный человеческий потенциал будет использован с максимальным эффектом, на создание условий для воплощения человеческого потенциала в деятельности. При этом необходимо учитывать возможность и желание работника к смене места занятости к кооперированию с другими работниками. В противном случае имеющийся человеческий капитал может быть не воплощен в деятельности. Следующий шаг – выявление необходимости в обучении, повышении квалификации, поддержании здоровья.

Управление инвестициями предполагает выявление ключевых факторов эффективности инвестиционного процесса. Выявление условий реализации человеческого потенциала требует их инвентаризации и классификации работодателем и работником (табл. 1).

Таблица 1

Факторы, влияющие на капиталотдачу человеческого капитала.

правляемые	Слабоуправляемые	Неуправляемые
Уровень образования. Занимаемая должность. Уровень оснащенности, безопасности рабочего места. Возможность принимать самостоятельные решения. Длительность и качество инвестиции.	Интересы. Производственный статус. Мотивация. Уровень культуры. Здоровье. Продолжительность трудовой деятельности.	Гендер. Цели и задачи носителя. Пол. Возраст. Продолжительность жизни. Природные способности.

Процессы инвентаризации и ранжирования человеческого капитала являются добровольно-инициативными со стороны работника – в процессе тестирования выявляются факторы, способствующие повышению эффективности деятельности работника. Иначе факт принуждения препятствует «верному» распределению факторов на группы. В свою очередь отказ от добровольного ранжирования характеризует отношение работника к участию в деятельности предприятия. При инвестировании важно понимать уровень оппортунизма в поведении носителя человеческого капитала ограничителем для инвестирования выступает и специфичность отдачи человеческого капитала. При равных инвестициях она может существенно различаться и будет определяться личными качествами работника, его природными способностями. Отдача зависит от протяженности трудовой деятельности, в том числе и длительности жизни носителя.

Факторами планирования инвестиционного процесса для работодателя могут служить: ступенчатость, этапность, длительность периода инвестирования в человеческий капитал, неопределенность результата. Каждый этап инвестирования предполагает субъективную согласованность задач и целей, как по постановке, так и по способу их достижения, что позволяет инвестору перераспределять инвестиции в человеческий капитал между субъектами инвестиционного процесса, а так же варьировать как объем, так и направление инвестиций в зависимости от полноты сформированного на предыдущем этапе человеческого потенциала. «Полнота» формирования человеческого потенциала на каждом этапе отражается его институционализированным состоянием. Этим же целям способствует и классификация на «произведенные» и «производимые» инвестиции. «Произведенные» - это потенциал образования родителей, культурная среда. Они всю жизнь влияют на накопление знаний, умений, на культурный уровень и здоровье без значительных усилий со стороны носителя, инвестора.

Стартовые условия развития предприятий различаются как по уровню и развитию человеческого капитала, так и по специфике отрасли и масштабам деятельности. В силу этого была бы оправданной организация входного тестирования человеческого потенциала работников. Ясность и прозрачность процедуры исследования делает очевидным для домохозяйств требования, предъявляемые к качеству человеческого капитала, так как изменения, осуществляемые ими в структуре, в совокупности принципиально влияют не только на положение предприятия в данном регионе, но и на положение региона в национальном хозяйстве.

Цель инвестора предопределяет выявление направления инвестирования с учетом текущего уровня капиталоотдачи человеческого капитала работника, его потенциала. Основанием выбора направления для инвестора должен служить и результат проводимого обучения. Результат позволит в будущем снизить риск инвестиции, направив средства на обучение работников, обладающих необходимыми компетенциями. Неоднозначно решение проблемы о соучастии в

инвестициях участников инвестиционного процесса (как и решение вопроса о распределении дохода). Так как работник также является инвестором (тратит силы, время, способности на усвоение и хранение нового), следовательно, вопрос об эффективности инвестиций и уровне капиталотдачи вновь затрагивает тему оппортунистического поведения работника.

Значимой будет разница между объемами, продолжительностью, а также возможными рисками различных типов инвестиций (рис. 1).

Вопрос о распределении (доле) инвестиций по распределениям не определен четко, что объясняется стремлением как носителя человеческого капитала, так и инвестора «вкладывать» капитал в те направления, где отдача для каждого из них выше. Так каждый стремится к увеличению своего благосостояния. Выбор направлений участниками инвестиционного процесса не всегда совпадает.

Значимым фактором планирования инвестиционного процесса выступает связь между инвестициями в человеческий потенциал и инвестициями в создание условий для его реализации:

$$\text{Капиталотдача} = f(f(\text{инвестиции в человеческий потенциал}) + f(\text{условия реализации})) \quad (1)$$

Норма отдачи для участников процесса прогнозируема. Вложения сопоставляются с доходностью полученного образования (средняя норма дохода от частных вложений в образование может составить 10-15%), экономической целесообразностью. Может быть принято решение о продолжении обучения, прекращении или смене направления.

Износ человеческого капитала указывает, что накопленный работником запас умений, знаний может быть не полностью воплощен в стоимости произведенных продуктов. Установлен период времени, в течение которого устаревают половина знаний (3-5 лет для рабочего), что подтверждает наличие морального износа человеческого капитала. При этом для опытных работников именно процесс забывания является наиболее сложной частью переобучения.




Рис. 1. Взаимосвязь направления инвестиций в человеческий капитал и целей инвестора-работодателя

Капиталоотдача участников произвольного процесса зависит и от уровня управления им. Для повышения эффективности инвестиций и уровня их отдачи в человеческий капитал необходима модель компетенции, которая будет формой и инструментом организации едионаправленной работы сотрудников. При создании модели управления важно и то, как будут использованы инструменты управления, так как этим определяется степень старания 80% сотрудников. Тактика и стратегия развития предприятия, соответствующая им расстановка работников на должности с учетом их особенностей придадут системе свойство управляемости. При этом эффективность преобразований может быть повышена в 10 раз.

Для увеличения дохода от инвестиционной деятельности необходимо в структуре кадровой политики предприятия выделить следующие направления инвестирования:

- Вложения в фиксирование текущих качественных и количественных показателей деятельности предприятия, их соответствие структуре штатно-должностных обязанностей; вложения в регулярную инвентаризацию и перераспределение полномочий, должностных обязанностей согласно выявленным компетенциям (умение эффективно компилировать имеющиеся знания, умения, навыки, ресурсы, полномочия);
- Вложения в определение неиспользуемого потенциала работников предприятия, выявление его структуры, обнаружение его возможности должностного роста;
- Вложения в выявление компетенции работников и направление ее развития;

- Разработка и проведение мероприятий, направленных на повышение уровня компетентности (владение знаниями, навыками, позволяющими решать поставленные задачи, что выступает следствием полученного образования.): повышение квалификации (персонализация выбора форм), проведение тренингов, усиление способности к совместному достижению целей;
- Инвестиции в выявление управляемых, слабоуправляемых факторов, способствующих реализации возможности повышения капиталоотдачи инвестиций;
- Проведение сравнительного анализа качественных и количественных показателей деятельности предприятия.

Таким образом, инвестиции в человеческий капитал требуют привлечения профессиональных консультантов (психологов, социологов, экспертов в области деятельности) и обязательное участие руководителей предприятия и его подразделения. Также необходимо отвлечь сотрудников от выполнения профессиональных обязанностей. Из этого следует, что инвестирование в повышение качества человеческого капитала является дорогим и целесообразным процессом, который должен быть заранее осмыслен и оценен.

Barisheva S. K.

INVESTMENT IN THE HUMAN CAPITAL: GOALS AND MAIN TRENDS

SUMMARY

In the given article problems of development of the personnel and investment in the human capital are considered. Development of the personnel is closely connected with controlling as controlling solves questions of the control over expenses on investment in the human capital. Investment in improvement of quality of the human capital is expensive and expedient process which should be comprehended and estimated in advance.

ნაზი გვარამია

**მენეჯერული აღრიცხვის განვითარების
თავისებურებები საქართველოში**

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში კომპანია იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი სუბიექტია, რომლის სამეწარმეო საქმიანობის ეფექტური მართვა სულ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული მისი ცალკეული ქვედანაყოფებისა და სამსახურების ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ქართული კომპანიების მცირე ნაწილი თუ გამოირჩევა ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ისეთი მაღალი დონით, როდესაც მისი ინფორმაცია გამოყენებადია კომპანიის ოპერატიული მართვისა და ანალიზისათვის. დღეისათვის მხოლოდ ბანკები ადგენენ ბალანსს ყოველდღიურად, მათი საიმედოობისა და ლიკვიდობის კონტროლის მიზნით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რთული საწარმოო სტრუქტურის მქონე კომპანიები რეალურად საჭიროებენ ოპერატიულ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ, მიიღონ დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილება დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ოპტიმიზაციისათვის. ხშირად კომპანიის განვითარებისა და ორგანიზაციისათვის ზედა დონის მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სათანადო გათვლებს ემყარება, და ის ინტუიციურ ხასიათს ატარებს. კომპანიის ოპერატიული მართვისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია მოცემულია მმართველობითი აღრიცხვის სისტემაში, რომელსაც თვლიან ბუღალტრული პრაქტიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად.

დამოუკიდებელი ინფორმაციული სისტემის ფორმირების აუცილებლობის შესახებ პირველი მინიშნებები გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში. გ. მერსონის წიგნში “შრომის ნაყოფიერება, როგორც ოპერატიული სამუშაოსა და ხელფასის საფუძველი”, მოცემულია პირველი ცდა საწარმოო დანახარჯების აღრიცხვის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფის შესახებ. მმართველობითი კონტროლის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულების შექმნის მეორე მინიშნელოვან გარემოებად ითვლება აშშ-ში ბუღალტერთა ნაციონალური ასოციაციის დაფუძნება 1919 წ. დღ. ი. ნიკოლსონის ინიციატივით. ამ ასოციაციამ დიდი როლი ითამაშა აშშ-ში ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაში.

ბოლო პერიოდში ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ბუღალტრულმა აღრიცხვამ აქტიური მონაწილეობის მიღება დაიწყო მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, ბუღალტერმა კი შეითავსა პროგნოზირება, დაგეგმვა, გადაწყვეტილებათა მიღება, მმართველობითი სამსახურების ინფორმაციათა კონტროლი, ანუ მას გაუჩნდა დამატებითი ფუნქციები მართვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში.

პრაქტიკული ნაბიჯი მენეჯერული აღრიცხვის ჩამოყალიბების გზაზე იყო ერთიანი ბუღალტრული სამსახურიდან მმართველობითი

(საკალკულაციო) ბუღალტერიის გამოყოფა. ორი დამოუკიდებელი (ფინანსური და მმართველობითი) ბუღალტერიის შექმნა პირველ რიგში დაკავშირებული იყო წარმოების გაფართოებასთან, მისი კონცენტრაციის ზრდასთან, კაპიტალის ცენტრალიზაციასთან, მსხვილი კომპანიების ფორმირებასა და კომერციული საიდუმლოებების შენახვის აუცილებლობასთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ამერიკულ კაპიტალს, ამასთან ერთად აღიარება მოიპოვა ბუღალტრული აღრიცხვის ამერიკულმა მიდგომამ. თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა უმეტესობის აზრი შეჯერდა, რომ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მომცველ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც საინტერესოა კომპანიის მენეჯმენტისათვის, მიუხედავად კომერციული საიდუმლოს დაცვის შესუსტებამდე. ეროვნული ანგარიშთა გეგმის შემდგომი განვითარება ორიენტირებული იყო ფინანსური ანგარიშგების შედგენის შესაძლებლობაზე და უმეტესწილად შემოიფარგლებოდა ფინანსური აღრიცხვით.

მენეჯერული აღრიცხვის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბება უკავშირდება ბუღალტერთა ამერიკულ ასოციაციას (American Accounting Association), რომელმაც 1972 წ. შეიმუშავა პროგრამა მმართველობით აღრიცხვაში დიპლომის მისაღებად ბუღალტერ-ანალიტიკოსის კვალიფიკაციით. იმავე წელს ბუღალტრული აღრიცხვა ოფიციალურად დაიყო ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვად.

შეცდომა იქნებოდა მენეჯერული აღრიცხვის სიახლედ მიღება ეროვნული ეკონომიკისათვის. 20-იანი წლების დასაწყისში და 30-იანი წლების ბოლოს ბუღალტრული სამსახურების ფუნქციები გაცილებით ფართო იყო, ვინაიდან ბუღალტერი ასრულებდა როგორც სააღრიცხვო პროცედურებს, ასევე დაგეგმვისა და ანალიზის სამუშაოსაც. შემდგომ პერიოდში ცენტრალიზებული დაგეგმვის გამყარების პარალელურად მოხდა ბუღალტრული სამსახურების საგეგმო და ფინანსურ დანაყოფებად გამიჯვნა, რის შედეგადაც ბუღალტრის საქმიანობა ფაქტობრივად გახდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფაქტების ბუღალტრული რეგისტრაცია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას უსაფუძვლოდ იქნა დაკნინებული დაგეგმვის მნიშვნელობა, მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყენებული ბიუჯეტირება, გარკვეულწილად, საწარმოო გეგმების შემუშავებას წარმოადგენს. ქართველი ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილი ფაქტობრივი ანალიზი ასევე გამოიყენება მენეჯერულ აღრიცხვაში ფაქტიური მანევრებლების გეგმურისაგან გადახრის ანალიზისათვის. ამასთან, სამეურნეო აღრიცხვის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საწარმოო და არასაწარმოო ქვედანაყოფები, ხოლო

შემოსავლის ობიექტს – მათ მიერ გამოქვეყნებული თანხები. ასეთი მიდგომა ემსახურება **მენეჯერული აღრიცხვის ერთ-ერთ კონცეფციას – მართვა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით.** მენეჯერული აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს კომპანიის დანახარჯებისა და თვითღირებულების კალკულაციის მეთოდოლოგიის შემუშავება.

აღსანიშნავია, რომ ღირებუთულ ეკონომიკაში გამოყენებული მმართველობითი აღრიცხვის მეთოდები არ იძლეოდა საჭირო შედეგებს, ვინაიდან არ იყო საწარმოო დანახარჯების ეკონომიის გზით ინვესტირებული კაპიტალის უკუგებით დაინტერესებული მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობის პირობებში შესაძლებელია მართვის მეთოდებისა და მენეჯერული აღრიცხვის ერთიან სისტემაში ობიექტური ინტეგრირება.

მენეჯერული აღრიცხვის პრიორიტეტული საკითხებით დაკავებულია კომპანიის სხვადასხვა ქვედანაყოფი (ოპერატიული ანგარიშგების, ანალიზის, პროგნოზირების და სხვა). ინფორმაცია ხშირად მიმოფანტულია სხვადასხვა სამსახურებს შორის და საკმაოდ ძნელია მისი დროული და კომპლექსური გამოყენება. სერიოზული დაგვიანებით ტარდება მმართველობითი ანალიზი, მაშინ, როდესაც ფირმის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები უკვე ფორმირებულია და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობა უკვე აღარ არსებობს. ცალკეული ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის ანალიზი, როგორც წესი, იშვიათად კეთდება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც კომპანიები დამოუკიდებლები არიან თავიანთი საწარმოო პროგრამის შემუშავებაში, საწარმოო და სოციალური განვითარების გეგმების, ფასების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში, არსებითად იზრდება მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მათ მიერ მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, რადგან მათ სჭირდებათ უტყუარი ინფორმაცია კომპანიის როგორც საწარმოო, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება ბუღალტრული აღრიცხვა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებმა და მათზე დაყრდნობით შედგენილმა ბუღალტრულმა (ფინანსურმა) ანგარიშგებამ უნდა ასახოს სამეურნეო სუბიექტის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის, საქმიანობის შედეგები ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების (სეგმენტური ბიზნესის) წვლილის გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული ინფორმაცია კი საწარმოო საქმიანობის მართვისათვის არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური, მმართველობითი და საგადასახდო აღრიცხვის საწყისი ბაზა ერთი და იგივეა, სამეურნეო საქმიანობის ყოველი ფაქტი მათ მიერ კლასიფიცირდება და აისახება თავისებურად, აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული

აღრიცხვის ეს სრულიად განსხვავებული მიმართულებები გამოირჩევა საკუთარი მიზნებით, საბოლოო შედეგების განზოგადების ფორმით და ინფორმაციის მომხმარებლებით, რამაც, შესაბამისად, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, განაპირობა ბულალტრული აღრიცხვის დაყოფა ფინანსურ, მმართველობით და საგადასახადო აღრიცხვად.

მენეჯერული აღრიცხვა ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოს მმართველობასა და სააღრიცხვი პროცესს და შესაბამისად იკვლევს კომპანიის და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების (სეგმენტების), ანუ პასუხისმგებლობის ცენტრების სამეწარმეო საქმიანობას. ბიზნესის სეგმენტებს, რომელთაც იკვლევს მენეჯერული აღრიცხვა, შეიძლება ჰქონდეთ იურიდიული დამოუკიდებლობა ან შედიოდნენ სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებით კომპანიის შემადგენლობაში. პირველის მაგალითს წარმოადგენს ჰოლდინგი, რომელიც შედგება დედა კომპანიისა და მასზე დამოკიდებული შვილობილი კომპანიისაგან. ასეთ შემთხვევაში, ყველა კომპანიისათვის ერთიანი მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შემოღება საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტურად წარემართოთ სამეწარმეო საქმიანობა როგორც ცალკეულ საწარმოებში, ასევე მთელ ჰოლდინგში, უფრო ოპერატიულად მივიღოთ აუცილებელი ბულალტრული ინფორმაცია ბიზნესში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების გათვალისწინებით და, საბოლოოდ, თავი ავარიდოთ მცდარ მმართველობით გადაწყვეტილებებს. მეორე შემთხვევაში კი საუბარია ორგანიზაციაზე, რომელსაც აქვს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, მაგალითად სამშენებლო კომპანია, რომლის შემადგენლობაში შედის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები; გამომცემლობა, რომელსაც აქვს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება და ა.შ. ყოველ ასეთ სტრუქტურულ დანაყოფს ჰყავს თავისი მენეჯერი.

მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყოფენ დანახარჯთა და პასუხისმგებლობის ცენტრებს. დანახარჯთა ცენტრი საწარმოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფია, სადაც არსებობს საწარმოო დანახარჯების ნორმირების, დაგეგმვის და აღრიცხვის საშუალება მათი კონტროლის, მართვისა და შეფასების მიზნით. პასუხისმგებლობის ცენტრებში კი გამოყოფენ ოთხ ტიპს:

- დანახარჯთა ცენტრი;
- შემოსავლების ცენტრი;
- მოგების ცენტრი;
- საინვესტიციო ცენტრი.

ხარჯების ასეთი კლასიფიკაციის აუცილებლობას საფუძვლად უდევს ეკონომიკური მიზანშეწონილობა და მენეჯმენტის მოთხოვნები. თითოეულ ცენტრში უნდა გაერთიანდეს ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირებული დანახარჯები. დანახარჯთა ცენტრების

ფორმირება უნდა განხორციელდეს საწარმოს ორგანიზაციული თავისებურებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე; **შემოსავლების ცენტრის** მენეჯერი პასუხისმგებელია მიღებულ შემოსავლებზე და ატარებს პასუხისმგებლობას გაწეულ დანახარჯებზე; **მოგების ცენტრი** არის სეგმენტი, რომლის ხელმძღვანელი პასუხს აგებს საკუთარი ქვედანაყოფის როგორც შემოსავლებზე, ასევე დანახარჯებზე, შესაბამისად მოგების ცენტრის მენეჯერი გადაწყვეტილებას იღებს მოთხოვნილი რესურსების რაოდენობასა და მოსალოდნელი ამონაგების მოცულობაზე; უპირატესობის მიუხედავად, მოგების ცენტრები დაინტერესებული არ არიან მათთვის გამოყოფილი ინვესტიციების გამოყენებით. ამ ნაკლისაგან თავისუფალია **საინვესტიციო ცენტრები**, რომელთა მენეჯერები აკონტროლებენ არა მხოლოდ მათი ქვედანაყოფების შემოსავლებსა და დანახარჯებს, არამედ თვალყურს ადევნებენ მათში ინვესტირებული საშუალებების გამოყენების ეფექტიანობასაც. საინვესტიციო ცენტრის საქმიანობა იზომება გამოყენებულ კაპიტალზე ამონაგებით.

საინვესტიციო ცენტრის ხელმძღვანელები, ყველა ზემოსხენებული ცენტრის პასუხისმგებლობასთან შედარებით, განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებისას აქვთ განსაკუთრებით მაღალი პასუხისმგებლობა აქვთ. მათ დელეგირებული უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება ინვესტიციებთან დაკავშირებით, ანუ საწარმოს ხელმძღვანელების მიერ გამოყოფილი საშუალებები გადაანაწილონ შესაბამის პროექტებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გავანალიზოთ, როგორია თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებული რეალობა მენეჯერული აღრიცხვის კუთხით.

დღესდღეობით ქართული კომპანიები გამოიყენებენ აღრიცხვის ინტეგრირებულ სისტემას (ფინანსურ და მენეჯერულ აღრიცხვას), რასაც, ცხადია, ახლავს თავისი უარყოფითი მხარეები.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ მენეჯერებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ხარისხთან მიმართებაში, შეიძლება დაიყოს ცენტრალიზებულ ან დეცენტრალიზებულ ფორმად, რომელთაგან ცენტრალიზებულ ორგანიზაციებს აქვთ იერარქიული, პირამიდული სტრუქტურა, აგებული ფუნქციონალურ პრინციპებზე (ადმინისტრაცია, ფინანსები, მომარაგება, წარმოება, მომსახურება, მარკეტინგი და სხვა). მმართველობის ასეთი სისტემა თავისი არსით კონსერვატიულია და არ უზრუნველყოფს თანამშრომლების საქმიანობის თავისუფლებას. კვლევები გვიჩვენებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში მმართველობის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა, ზღუდავს შემსრულებელთა ინიციატივას, აფერხებს მმართველობის ოპერატიულობას. დეცენტრალიზებული მმართველობის

მთავარ უპირატესობად გვევლინება პასუხისმგებლობის ცენტრის მენეჯერების თავისუფლება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, ვინაიდან ისინი უფრო ზუსტ და დეტალურ ინფორმაციას ფლობენ, რაც დადებითად მოქმედებს მენეჯმენტის ქვედა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლიანობასა და ოპერატიულობაზე. მიმდინარე მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლებულ საწარმოს ზედა დონის მენეჯმენტს კი საშუალება ეძლევა, კონცენტრირება მოახდინოს პერსპექტიული ამოცანების გადაჭრაზე, სტრატეგიის შემუშავებაზე,

ჩვენი აზრით, მმართველობითი აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, ამ მიმართულებით დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართულ კომპანიებს თავიანთ საქმიანობაში, რაც, თავის მხრივ, მათი ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **მიქაძე პ.** მმართველობითი აღრიცხვა, დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 2000.
2. ფინანსური ინფორმაცია მენეჯრებისათვის, ACCA სახელმძღვანელო (საერთაშორისო პრაქტიკა), თარგმანი ინგლისურიდან., თბ., ბაფ., 2003.
3. **ნ.ძიმცვიშვილი, მ.ნაჭყებია, ს.დათუაშვილი, გ.ბაქრაძე.** მმართველობითი აღრიცხვა. თბ., 2009.
4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ქ. ბუღალტრული აღრიცხვა, №2, გვ. 20-28, თბ., 2010.

Nazi Gvaramia

ORIGINALITIES OF DEVELOPMENT OF MANAGERIAL REGISTRATION IN GEORGIA

SUMMARY

Role of accounting and importance in the sphere of formation and execution of management policy of a company, the talk is about those key issues, which led to the dividing of accounting as a financial, managerial and tax registering, international practice of managerial accounting is discussed, the program, which is developed by the American Association of accountants (American Accounting Association), researches of modern scientists study towards the abovementioned direction. Priority questions of managerial accounting are explicated, they will be mostly important for the management of the company.

Functions of managers of responsible centers are represented in the work. On the base of carried out researches, the sentences of recommendation are offered in the

conclusive part of scientific part, which practice realization will importantly support to the Georgian Companies in their business, which will be one important guarantee of their effective functioning.

შალვა გოგიაშვილი

**ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკური
წესრიგი და კონკურენცია**

დამოუკიდებლობის მიღწევისა და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის აუცილებლობის თაობაზე ქვეყნის მიერ საჯაროდ გაცხადებული კურსის შემდეგ, საქართველოში დღის წესრიგში დადგა განვითარების ეკონომიკური მოდელის შერჩევა და, მისთვის დამახასიათებელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი კონცეპტუალური მიმართულებების ჩამოყალიბება. ბუნებრივია, მათი პრაქტიკული გამოხატულება და სისტემური, თანდათანობითი რეალიზაცია მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დაჩქარებული ფორმირებით, აღმასრულებელი ინსტიტუტების შექმნით და მათი მეშვეობით საკანონმდებლო მოთხოვნების სამეურნეო ცხოვრებაში სასწრაფო დანერგვითა და შემდგომში სისტემატური მონიტორინგითა და თანამიმდევრული განხორციელებით იყო შესაძლებელი.

ცნობილია, რომ განვითარების თანამედროვე ეკონომიკური მოდელების ძირითადი განსხვავებები საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში სახელმწიფოს ადგილითა და როლით არის განპირობებული; მიუხედავად მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებაში კონკურენციის პრინციპების უალტერნატივო უპირატესობისა საბაზრო ეკონომიკის ყველა მოდელისათვის, ანგლო-საქსური მოდელები, ეყრდნობიან რა “ლიბერალური ბაზრის” კონცეფციას, მაქსიმალურად ათავისუფლებენ საბაზრო მექანიზმს სახელმწიფო ჩარევებისაგან (რაც არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი, მათ შორის ეკონომიკური შინაარსის ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმას) და ეკონომიკის განვითარებაში ე.წ. სტიქიური, ანუ თვითრეგულირების მექანიზმისათვის მეტი “ნდობის” გამოცხადებას უჭერენ მხარს. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის ე.წ. გერმანულ-შვედურ, ანუ სოციალურად ორიენტირებულ მოდელებს, სახელწოდებიდან გამომდინარეც ჩანს, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს, მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ნეგატიური შედეგების კორექტირება საზოგადოების სხვადასხვა ფენის (არა მარტო კონკურენციაში გამარჯვებულთა, არამედ საზოგადოების სოციალურად შედარებით სუსტი და ნაკლებად დაცული ნაწილის) სოციალური ინტერესების გათვალისწინებითა და სასარგებლოდ. ცხადია, ამ შემთხვევაშიც არ ხდება საბაზრო ეკონომიკის მთავარი

მასტიმულირებელი ბერკეტის – კონკურენციის მნიშვნელობის იგნორირება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საზოგადოებისათვის აუცილებელია გარკვეული წესრიგი, რაც უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობის დასაბუთების ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად და პირობად. ცხადია, საერთო წესრიგში უდიდეს როლს ასრულებს ეკონომიკური წესრიგი, რომელიც საბაზრო ეკონომიკისათვის სხვა არაფერია, თუ არა კონკურენციული წესრიგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაში, თუ ეს ქვეყანა საბაზრო ურთიერთობებს ეყრდნობა, გადამწყვეტ როლს ასრულებს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ კონკურენციული წესრიგის პოლიტიკა.

საინტერესოა გავისხენოთ, რომ სოციალიზმის “პოლიტიკური ეკონომიისათვის” მიუღებელი იყო კონკურენციისთვის რაიმე ფორმით წესრიგის ფუნქციის მინიჭება და კონკურენციის გვერდით ყოველთვის ანარქიის ეპითეტი მოიხსენიებოდა. რაც შეეხება ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზომას, იგი მაქსიმალურად იზრდება ხოლმე ეკონომიკური კრიზისებისა და დეპრესიის პერიოდში და შესაბამისად მატულობს ჯ. კეინზისა და კეინზიანელთა მომხრეების რიცხოვნობა როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, ისე მეცნიერ-ეკონომისტებში. ეკონომიკური აღმავლობის წლებში კი პირიქით – იზრდება მ. ფრიდმენის მომხრეთა რიცხოვნობა, რომლებიც ეკონომიკაში სახელმწიფოს მაქსიმალური ჩაურევლობის პრინციპს ეყრდნობიან და ეკონომიკურ განვითარებაში წარმოქმნილ დისპროპორციათა მიზეზებს სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო-ეკონომიკურ მექანიზმში არაადეკვატური ჩარევით და რეგულირებით ხსნიან.

სამწუხაროდ, საქართველოში არც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის სტადიაზე და არც შემდგომში დღემდე არ მომხდარა ოფიციალური დეკლარირება განვითარების შერჩეული ეკონომიკური მოდელის შესახებ. თუმცა, ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული ფრაგმენტების, მიზნობრივი პროგრამებისა და ინდიკატური გეგმების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკა თავდაპირველად თავის განვითარებაში უფრო სოციალურად ორიენტირებული მოდელის პრინციპებს ეყრდნობოდა, ხოლო შემდგომ, როდესაც რადიკალური რეფორმები განხორციელდა ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და დერეგულირების მიმართულებით, უპირატესობა მიენიჭა ლიბერალური საბაზრო მოდელის მოთხოვნებს.

რადგან კონკურენცია და ჯანსაღი კონკურენციული გარემო, კერძო საკუთრებასთან ერთად, წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარ მასტიმულირებელ ძალას, იმ უპირველესი ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტების ნუსხაში, რომლებიც

საქართველოში 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ საპარლამენტო საქმიანობის აღდგენამდე სახელმწიფო საბჭომ დაჩქარებულად მიიღო უკვე 1992 წლის დასაწყისში, იყო დეკრეტი “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის შესახებ”, რომელიც 1996 წელს საკონკურენციო კანონის მიღებად ასრულებდა საქართველოს ეკონომიკაში კონკურენციული ურთიერთობების განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დოკუმენტის როლს. ეს დეკრეტი, ხოლო 1996 წლიდან კანონი “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ”, განსაზღვრავდა კონკურენციის სფეროში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საკონკურენციო გარემოს ფორმირებისა და დაცვის მექანიზმს, უზრუნველყოფდა მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებას. მათ გარკვეული როლი ეკისრებოდათ პრივატიზების პროცესის პარალელურად ეკონომიკის დემონოპოლიზების განხორციელებაში. ვინაიდან საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო აღნიშნულ სფეროში არსებული მსოფლიო გამოცდილება, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რომელთა შესახებ მიუთითებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მთლიანობაში ითვლებოდა პროგრესულ კანონმდებლობად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო საკონკურენციო პოლიტიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ეფექტური რეალიზაცია. სამწუხაროდ, 2005 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა რეფორმამ კონკურენციის სფეროში მართალია შეავსო იგი ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორცაა სახელმწიფო დახმარებები, მაგრამ, იმავდროულად, იგნორირება მოახდინა რიგი უმნიშვნელოვანესი საკონკურენციო ნორმებისა და დებულებებისა, რამაც, ფაქტობრივად, მიახლოების ნაცვლად დააშორა ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებლობა ევროკანონმდებლობას, რომელთან ჰარმონიზაციაც საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებულ პრიორიტეტად და მიზნობრივ კრიტერიუმად აქვს მიჩნეული. ამან, ცხადია, შეუძლებელი გახადა სათანადო საკონკურენციო ურთიერთობათა და კონკურენციული გარემოს ფორმირება ე.წ. არარეგულირებად, კონკურენციულ სფეროებში. ამგვარ სიტუაციას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ კონკურენციის სფეროში მოქმედი მთავარი საკონკურენციო ორგანო – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო როგორც უფლებრივად, ისე ინსტიტუციურ-სტრუქტურულად მნიშვნელოვნად დაკნინებულია და მისთვის აუცილებელ უფლებამოსილებათა მინიჭებისა და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება ქვეყანაში მონოპოლიზმის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა. უფრო მეტიც,

დღევანდელი მდგომარეობით, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს არ შესწევს ძალა და კანონმდებლობით არც საიმისო უფლებამოსილება გააჩნია, რომ განახორციელოს სასაქონლო ბაზრების ანალიზი საბაზრო კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციის ხარისხის დასადგენად, ურომლისოდაც შეუძლებელია არათუ მონოპოლიური საქმიანობის აკრძალვა, არამედ მასზე სერიოზულად მსჯელობაც კი. არადა, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს მონოპოლიურ საქმიანობას და, ამასთან, ავალდებულებს ხელისუფლებას, ხელი შეუწყოს კონკურენციის განვითარებას. ამგვარად, კონკურენციის სფეროში არსებულ კანონმდებლობაში შესაბამისი რადიკალური ცვლილებების სასწრაფო წესით მომზადებისა და შეტანის გარეშე, ადგილი ექნება საკონსტიტუციო ნორმის აშკარა შეუსრულებლობას და კონკურენციის კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას, ანუ კონფლიქტს კონსტიტუციასთან. ამასთან, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ იმედის მომცემ გარემოებას, რაც სულ უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა საქართველოში კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოყვანითა და საკონკურენციო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მომზადების დაწყების გადაწყვეტილების მიღებით.

აქვე აუცილებელია, აღინიშნოს კიდევ ერთი კონფლიქტის თაობაზე. გავრცელებულია მოსაზრება, რომ არსებობს კონფლიქტი ეკონომიკური წესრიგის შემადგენელ ძირითად კომპონენტებს შორის, ანუ კონკურენციული წესრიგის პოლიტიკასა და სოციალურ პოლიტიკას შორის. ძნელია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, ვინაიდან ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, თანაფარდობით კონკურენციულ წესრიგსა და სოციალურ წესრიგს შორის. ასიგნებათა ზრდა სოციალურ მიზნებზე ავტომატურად ნიშნავს კონკურენციის შედეგების გადასინჯვას და შემოსავლების დამატებით გადანაწილებას და, პირიქით. მაგრამ აბსოლუტურ მანევრებლბში ამ კანონზომიერებას ადგილი აქვს მიმდინარე პერიოდში და მოკლევადიან პერსპექტივაში. რაც შეეხება გრძელვადიან პერსპექტივას, კონკურენციის მაქსიმალური წახალისება და ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ხელშეწყობა განაპირობებს რესურსების ეფექტიან ხარჯვას, გამოშვებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მოცულობის გადიდებას და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას. შედეგად, შეიქმნება გაცილებით ძლიერი მატერიალურ-ფინანსური ბაზა აბსოლუტურ მანევრებლბში სოციალური პოლიტიკის წარმართვისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროცენტული თანაფარდობა კონკურენციულ წესრიგსა და სოციალურ წესრიგს შორის არ შეიცვლება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამდენად, თანდათანობით, ეკონომიკური ზრდის პარამეტრების ოპტიმიზაციის, დასაქმების ხელშემწყობი

ეკონომიკური პოლიტიკის გატარების, საყოველთაო სადაზღვევო სისტემის ფორმირების, საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების და ამოქმედების პარალელურად, თანაფარდობა ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის კომპონენტებს შორის უნდა შეიცვალოს კონკურენციული წესრიგის სასარგებლოდ. ეს საესებით ბუნებრივია, რადგან საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა ადმინისტრაციულ-დირექტიულ მოდელთან მიმართებაში სწორედ კონკურენციული წესრიგის არსებობაში გამოიხატება. ამასთან, ჯანსაღი კონკურენცია განაპირობებს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის პოტენციური “დანაკარგების” (სიკეთე, რომელიც შესაძლებელია შეიქმნას, მაგრამ არ იქმნება საბაზრო კონცენტრაციის მაღალი დონისა და შესაბამისად მონოპოლიზაციის ხარისხის ზრდის გამო) თუ სრულ ლიკვიდაციას არა, მაქსიმალურად შემცირებას მაინც.

კონკურენციული წესრიგის დასამყარებლად კი აუცილებელია, ჩამოყალიბდეს ქვეყნის საკონკურენციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები როგორც მოკლევადიანი, ისე საშუალოვადიანი და შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივისათვის. სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პოლიტიკის საერთაშორისო ასპექტებს საერთაშორისო კონკურენციის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი შედწევისა და დამკვიდრების ინტერესებიდან გამომდინარე. ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის ბაზარზე კონკურენციული გარემოს ფორმირებასა და მის სათანადოდ დაცვას. სადავო არ არის, რომ ბოლო პერიოდში უცხოური კაპიტალის მოსახიდად და ინვესტირებისათვის გაჩაღებულ კონკურენციულ ბრძოლაში გადამწყვეტ უპირატესობას იღებენ ის ქვეყნები, რომელთა საკონკურენციო პოლიტიკა, კონკურენციული კანონმდებლობა და კონკურენციული გარემო არადისკრიმინაციულია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციებისათვის და უცხოელი მეწარმეებისათვის კანონმდებლობით შეიქმნას უფრო კეთილსასურველი სამეწარმეო გარემო, ვიდრე ადგილობრივთათვის. აუცილებელია, ბიზნესისა და ინვესტირებისათვის ჩამოყალიბდეს მაქსიმალურად და ერთნაირად ხელშემწყობი გარემო როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტირებისათვის.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **გველესიანი რ.** საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი: ინტერესთა ერთიანობა და კონფლიქტები. ქ. “კონომიკა და ბიზნესი”, №3, თბ., 2008.

2. გოგიაშვილი შ. ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკა: თანაფარდობა კონკურენციულ წესრიგსა და სოციალურ წესრიგს შორის. ჟ. “ახალი ეკონომისტი“, №3, თბ., 2009.
3. გოგიაშვილი შ. ეკონომიკური პოლიტიკა და კონკურენცია. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე” (2 ივლისი, 2009), თბ., 2009.
4. Eucken W., Grundsätze der Wirtschaftspolitik, UTB 1572, 6, Aufl., Tuebingen 1990.

Shalva Gogiashvili

THE ECONOMIC POLICY: ECONOMIC ORDER AND COMPETITION

SUMMARY

The economic order, which is nothing more but the competition order under the conditions of the market relationships, plays the crucial role in the state's economic policy. One of the key advantages of the market economy against the administrative-command model is existence of right that competition order.

For the purposes of establishment of the competition order, there shall established the key short-, medium- and long-term prospect trends of the state's competition policy. The special importance shall be assigned to formation and proper protection of the competitive environment at the state's markets, even more that the states maintaining the non-discriminatory competition policy, competition laws and competitive environment corresponding to the international standards come over in attracting the foreign capital and struggle for investments.

Ната Давлашеридзе

РЕШЕНИЕ ПРОБЛЕМЫ БЕДНОСТИ В ТРУДАХ НОБЕЛЕВСКИХ ЛАУРЕАТОВ ПО ЭКОНОМИКЕ

Проблема бедности – одна из острейших социальных проблем современности. Бедность является чертой любого общества. В западной науке, а в последнее время и в Грузии, проблематике бедности уделяется значительное внимание. Исследуются экономические, политические, социальные и культурные формы проявления бедности, а также пути ее преодоления. Прежде всего заметим, что в Декларации тысячелетия ООН была поставлена задача за 15 лет (2001-2015гг.) сократить уровень бедности в мире в 2 раза. В программе правительства Грузии на 2008-2012 гг. подчеркивается, что приоритетным направлением деятельности правительства также будет осуществление широкомасштабных социальных программ по преодолению бедности.

С этой точки зрения, несомненно, огромный интерес представляют те рекомендации, которые предлагаются в трудах лауреатов нобелевской премии по экономике.

В 90-е годы получает распространение концепция А. Сена, который получил за нее Нобелевскую премию в 1998 г.

Определению уровня бедности и безработицы в развивающихся странах посвящены такие книги А.Сена, как "Выбор технологии" (Choice of Techniques, Blackwell, 1960; 3rd edn, 1968), "Занятость, технология и развитие" (Employment, Technology and Development, Oxford University Press, 1975), "Бедность и голод: очерк о правах и лишениях" (Poverty and Famines: An Essay on Entitlement and Deprivation, Oxford University Press, 1981). Эта тема, а также другие, непосредственно с ней связанные, нашли свое дальнейшее развитие в книгах "Товары и возможности" (Commodities and Capabilities, North-Holland, 1985) и "Стандарт жизненного уровня" (The Standard of Living, Cambridge University Press, 1987), однако наиболее полно они отражены в книге "Голод и общественная реакция" (Hunger and Public Action, Clarendon Press, 1989), написанной в соавторстве с J. Dreuze. В данных работах А.Сен выявил экономический механизм, который лежит в основе существования голода и бедности.

Прежде всего автор наглядно показал, что фиксируемый в том или ином обществе уровень бедности в значительной степени зависит от понятийного определения самого термина «бедность» и отметил, какие данные следует анализировать при измерении степени бедности. В последние два-три десятилетия XX века в научных исследованиях бедности доминировал релятивизм (относительность), в соответствии с которым человек или семья считаются бедными, если имеющиеся средства не позволяют вести образ жизни, преобладающий в обществе. В рамках этого определения бедности упор был сделан на анализе располагаемых материальных ресурсов. На практике в соответствии с этой концепцией черта бедности определялась как некоторая доля от величины среднего, или медианного, дохода. А.Сен утверждал, что необходимо учитывать не только факт наличия денег, но и возможности на эти деньги что-либо приобрести. А. Сен предлагает при измерении бедности учитывать ее масштабы (низкие денежные доходы и возможность их реализации), глубину (размеры недостающих для преодоления бедности ресурсов) и интенсивность (где наблюдается концентрация бедных - около черты бедности или на значительном от нее удалении). Изменения всех этих параметров учитывает **индекс бедности** (суммирует показатели), который в настоящее время является распространенным инструментом сравнительного анализа бедности.

Вклад А.Сена состоит в измерении уровня бедности и уровня благосостояния. А.Сен показал связь между кривой Лоренца (Lorentz) и коэффициентом Джини (Gini). Кривая Лоренца - описательная, она показывает распределение доходов (рис. 1).




Рис. 1. Кривая Лоренца

На оси Y - доход, на оси X - процент богатых.

При Y = X происходит идеальное распределение доходов.

Коэффициент Джини - это площадь криволинейной трапеции, ограниченной кривой Лоренца, и деленная на Σ .

$$0 < \frac{\sigma}{\Sigma} < 1$$

При значении коэффициента 1 происходит идеальное распределение, при стремлении его к 0 - распределение доходов неравное.

Коэффициент Джини является числовым вариантом кривой Лоренца, он используется при работе с индексами. Обычно богатство изучают следующим образом: рассматривают процентное соотношение населения, находящееся ниже порога бедности (например, с доходом менее 300 долларов в год). Так поступали до появления теории А.Сена, который показал, что такой подход не может быть применен к некоторым вещам, так как существует бедность среди бедности. Увеличение доходов бедных не отражается на данном индексе. Может существовать сильная вариация ниже порога бедности и это нельзя измерить традиционными способами.

А.Сен предложил «формулу бедности»:

$$P = H * [L + (1 - L) * G]$$

где:

P - бедность,

H - часть населения,

G - коэффициент Джини,

L - индекс распределения доходов, $0 < L < 1$.

Данный показатель - бедность - вычисляется с помощью коэффициента Джини специально для индивидуумов, находящихся ниже порога бедности и называется **индикатором Сена (P)**. Он позволяет измерить то, что раньше нельзя было измерить и является **индикатором уровня бедности**.

А.Сен также ввел **индикатор благосостояния**. Раньше под этим понимался доход на душу населения. А.Сен предложил в своей фундаментальной теории ввести индикатор распределения доходов. Он вычисляется как $Y * (1 - G)$, где Y - традиционно используемый доход на душу населения.

При этом важно учесть деятельность, которая создает благосостояние. Также в этом индексе важно учесть состояние здоровья населения.

Следует отметить, что ООН использует индикатор общественного благосостояния человечества с учетом разработок А.Сена, именно:

1. длительность жизни;
2. уровень образования (процент грамотных взрослых, а также процент детей, которые ходят в школу);
3. условия жизни - ВВП на душу населения.

Таким образом, основные выводы А.Сена можно сформулировать так: способности индивидуума составляют главную компоненту для достижения равенства, т.е. для этого достижения необходимо изменить системы образования и здравоохранения.

Теория А.Сена о «благосостоянии бедных» используется для изучения проблемы голода и бедности в современном мире. Сен изучал такие страны как Бангладеш, Индию и Саара на севере Африки. Сен подверг критике точку зрения, согласно которой голод в странах третьего мира, как правило, является результатом засух или наводнений, или недостатка продовольствия: в большинстве случаев во время голода в стране бывает вполне достаточно продуктов, но люди умирают от голода потому, что у них нет "прав" (entitlements) на пищу, т.е. у них нет денег для того, чтобы купить себе еду. Он проиллюстрировал свою точку зрения подробным анализом обстоятельств, сопутствовавших страшному голоду, имевшему место в недавнем прошлом. Голод может появиться и появляется в некоторых странах при таком же уровне производства продовольствия, как и до голода. Например, в Китае это было вызвано экспортом продовольствия. В 1974 году был голод в Бангладеш и его видимой причиной было наводнение и гибель урожая, но более важным было то, что при этом снизился доход сельскохозяйственных рабочих, а это и было главной причиной. Важно не сколько произведено в обществе ВВП, а все ли имеют доступ к произведенному.

Как утверждает Амартия Сен, истинная проблема всегда заключается не в количестве еды, а в ее распределении. Хотя еды в стране в принципе достаточно, кастрюли и корзины простых людей остаются пустыми - продукты питания до них не доходят, а пшеница и рис гниют в зернохранилищах. Великий голод в Бангладеш возник прежде всего в результате массовой безработицы. Из-за небывалого наводнения под водой оказались гигантские территории, сотни тысяч поденщиков лишились работы, и у них не было средств для покупки риса. Хотя риса оставалось достаточно от предыдущего урожая, да и урожай текущего

года не так уж сильно пострадал от наводнения, тысячи людей не могли купить еду и умирали от голода.

По мнению аналитиков, современный глобальный финансовый кризис, если ничего не предпринимать для его преодоления, дополнительно отправит за черту бедности около 200 миллионов людей по всему миру. В этой связи еще более актуальным становится использование рекомендаций А.Сена и других специалистов в данной области экономической теории и практики для решения этой актуальной проблемы.

Nata Davlasheridze

THE SOLUTION OF POVERTY PROBLEMS IN THE WORKS OF THE NOBEL PRIZE WINNERS IN ECONOMICS

SUMMARY

Poverty problem is one of the sharpest social problems of the present. Poverty is a characteristic feature of any society. In the western science, and recently in Georgia, the considerable attention is paid to poverty issues. Economic, political, social, cultural forms of poverty and the ways of its overcoming are investigated. Undoubtedly, from this point of view the recommendations offered in the works of the Nobel Prize winner in economics Amartya Sen are of huge interest and are considered in the given article.

*ლია თოთლაძე
მამუკა ხუსკივაძე*

უძრავი ქონების ბაზრის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

უძრავი ქონების ბაზარი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ბაზის და მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ფინანსური, შრომის, რესურსების, საქონლისა და მომსახურების ბაზრები.

უძრავი ქონების ბაზარი ფუნქციონირებს და ვითარდება ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად. კარგად განვითარებული და დინამიკურად მზარდი უძრავი ქონების ბაზარი ქვეყნის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელ ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს. მასზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკური გარემო, არამედ სხვა არაეკონომიკური შინაარსის დიდი რაოდენობით ფაქტორები.

პირველ რიგში, ესაა უძრავი ქონების ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ფაქტორები. მათ რიცხვს განეკუთვნება: 1. უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების მარეგულირებელი ნორმატიული

აქტები; 2. უძრავი ქონების გარიგებების მარეგულირებელი საგადასახადო კანონმდებლობა; 3. რეგიონულ დონეზე უძრავი ქონების გარიგებების შემზღუდავი აქტები და სხვა საკანონმდებლო ხასიათის შეზღუდვები და ინიციატივები.

მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს უძრავი ქონების ბაზრის სტაბილურობასა და ეფექტიან ფუნქციონირებას, მაკროეკონომიკური ფაქტორებია, რომლებიც, ამავდროულად, წარმოადგენენ მთლიანად ქვეყნის განვითარების აგრეგირებულ მანკვებლებს. მათ რიცხვს განეკუთვნება: 1. ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მოცულობა; 2. სამრეწველო წარმოების მოცულობა; 3. მოსახლეობის დასაქმების დონე; 4. ფინანსური აქტივების შემოსავლიანობის განაკვეთები; 5. ქვეყნის სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა; 6. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა; 7. ინფლაციის დონე ქვეყანაში. უძრავი ქონების ბაზრის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს ასევე რეგიონულ დონეზე სიტუაცია, როგორცაა რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონე და პერსპექტივები, რეგიონში არსებული სოციალური ფონი და სხვა. შედარებისათვის თუ გადავხედავთ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტისა და უძრავ ქონებაზე განხორციელებული ოპერაციების დინამიკას, თვალშისაცემია დამოკიდებულება

ცხრილი 1

წელი	ოპერაციები უძრავი ქონებით მლნ ლარი	მშპ მლნ ლარი
2006	640,4	13789,9
2007	843,4	16993,8
2008	997,0	19074,9
2009	952,7	17948,6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აგრეთვე, არაეკონომიკური შინაარსის ფაქტორი – პოლიტიკური სტაბილურობა; ეთნიკური და სოციალური დაპირისპირებების განვითარების პერსპექტივა; დამოკიდებულება უცხოური კაპიტალის მიმართ; რეგიონის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ხელმძღვანელობის სტაბილურობა.

უკანასკნელ პერიოდში უძრავი ქონების ბაზრის განვითარებაზე უდიდესი გავლენა ენიჭება ეკოლოგიურ ფაქტორს. რეგიონში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობასა და დაბინძურების ხარისხს, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს. უძრავი ქონების შეფასებისას ეკოლოგიურად სუფთა გარემო მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც არსებითად ცვლის მის ხარისხს და შესაბამისად ფასსაც. თანამედროვე ეტაპზე მყიდველი აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ უძრავი ქონების ფასზე, ადგილმდებარეობაზე, არამედ

ეკოლოგიურად სუფთა გარემოზე. ასევე მნიშვნელოვანია განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობაც.

უძრავი ქონების ბაზარი წარმოადგენს მეტად სპეციფიკურ სფეროს, სადაც მოთხოვნა-მიწოდების კანონის ზემოქმედება შესაძლებელია დაირღვეს. მაგალითად, ძვირადღირებულ უძრავ ქონებაზე ფასის დაკლებამ შესაძლებელია განაპირობოს მასზე მოთხოვნის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ მიუძღვეს ამოძრავებს არა ეკონომიკური სარგებელი, არამედ სწრაფვა, თავი წარმოაჩინოს რჩეულთა საზოგადოების წევრად და, პირიქით, – ამგვარ უძრავ ქონებაზე ფასების ზრდა ამ ქონებას სიმდიდრის სიმბოლოდ აქცევს და ზრდის მასზე მოთხოვნას.

უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ზრდა დაკავშირებულია ასევე მოსახლეობის რაოდენობრივი მანქნებლის (ამ შემთხვევაში იგულისხმება ზრდა) და მოსახლეობის გემოვნებისა და უპირატესობების ცვლილებებთან. ასევე ფინანსირების ხელმისაწვდომობისა და პირობების ცვლილებასთან (იგულისხმება კრედიტების ხელმისაწვდომობა).

მიწოდების ფაქტორებს შორის კი ხაზგასასმელია ახალი მშენებლობების მოცულობა და დანახარჯები, მშენებლობის ინტენსივობა, მთლიანად სამშენებლო ინდუსტრიის მდგომარეობა ქვეყანაში და სამშენებლო სექტორში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, რომელიც მოიცავს როგორც სტატისტიკურ (უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების, ახალი მშენებლობების მოცულობის და უძრავი ქონების ბაზრის სხვა რაოდენობრივი მაჩასიათებლების კვლევა), ასევე ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც ითვალისწინებს უძრავ ქონებაზე მოთხოვნასა და მიწოდებაზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზს და მის საფუძველზე ფუნდამენტური დასაბუთებული დასკვნების გაკეთებას, რაც, თავის მხრივ, სწორი პროგნოზების გაკეთების საფუძველს წარმოადგენს.

Lia Totladze

Mamuka Xuskivadze

SOME PECULIARITIES OF REAL ESTATE MARKET

SUMMARY

The article discusses the factors influencing real estate market. Is analyzed the significance of real estate market for the stabilization of the country and economic growth. Is emphasized some peculiarities of real estate market.

ნაზირა კაკულია

**ინსტიტუციური სფეროს ნაპროექტონომიკური პროცესები და მისი
დაკლავის ძირითადი სტრატეგია**

ქვეყანაში მიმდინარე პრობლემების დაძლევის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც, ინსტიტუციური ბაზის შექმნისა და დამკვიდრების საფუძველზე, უზრუნველყოფს მხოლოდ ტრანსფორმაციულ პერიოდში არსებული მოვლენის – ნეკროეკონომიკის – აღმოფხვრის პროცესის დაჩქარებას.

ნეკროეკონომიკის წარმოშობის მიზეზებად პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში მიჩნეულია: ტოტალიტარულ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული იდეოლოგიის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა; ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირების რთული პროცესი; მემკვიდრეობით მიღებული არასაბაზრო მენტალიტეტი; რეფორმების წინსვლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება; პრივატიზაცია-რესტრუქტურისაციის პროცესის მიმდინარეობა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით სრულიად განსხვავებულ ინსტიტუციურ, მუდმივად ცვალებად გარემოში; ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა, რომელიც საინფორმაციო, საკონსულტაციო, საფინანსო და სადაზღვევო ინსტიტუტებს შორის ურთიერთშეთანხმებული სამოქმედო გეგმის განსორციელების საშუალებაა; რეფორმების მიმდინარეობის პროცესში გადარჩენაზე ორიენტირებული საწარმოების მოქმედების თავისებურების გაუთვალისწინებლობა.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში ნეკროეკონომიკის ფორმირების მიზეზებისა და მისი დაძლევის ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბება აუცილებლობას წარმოადგენს ინსტიტუციური რეფორმების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ეკონომიკის ფუნქციონირებას განსაზღვრავს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც მხოლოდ თანდათანობით ექვემდებარებიან ცვალებადობას, ვინაიდან მხოლოდ არსებული ნორმები განსაზღვრავს და ქმნის საფუძველს მოქმედი კანონმდებლობისათვის.

არაფორმალური ინსტიტუტების რეკოლუციური ცვლილებები ან კიდევ მათი სხვა ქვეყნებიდან გადმოტანა წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს და არასასურველ შედეგებამდე მიყვავართ. ეფექტიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა უნდა წარმოადგენდეს მოქნილ ინსტიტუციურ სისტემას, რომელსაც ექნება საშუალება, რეაგირება მოახდინოს მოსალოდნელ ცვლილებებზე. მაგრამ ინსტიტუციური სისტემა თავისთავად წარმოადგენს ხანგრძლივი, ბუნებრივი განვითარების შედეგს და ამიტომ ადამიანთა მიზანმიმართული ზემოქმედება საგრძნობლად შეზღუდულია.

ინსტიტუტების მრავალფეროვნება განვითარებადი სისტემის (მაგალითად, ტრანსფორმაციის პერიოდი) ჩარჩოებში ბადებს იმის

აუცილებლობას, რომ შესწავლილ იქნეს ძველი ინსტიტუტების ახლით შეცვლის საკითხი. ამ საკითხის გადასაჭრელად ევოლუციური თეორია მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს ისეთ ტიპს, რომელსაც ეწოდება path dependence (წინამორბედი განვითარების ტრაექტორიაზე დამოკიდებულება). იგი გულისხმობს წარსულის სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების გადმონაშთში ცვლილებების თანდათანობით შეტანას იმ ინსტიტუტთა კომპლექსიდან, რომლებიც ამ სისტემას ქმნიან.

ჩვენი აზრით, სახელმწიფო აქტიურად უნდა ზემოქმედებდეს ინსტიტუციურ გარემოზე ეკონომიკაში, ვინაიდან ინსტიტუტების სპონტანური სელექცია, როგორც ევოლუციური თეორია უჩვენებს, ყოველთვის ვერ ახერხებს გადაარჩინოს საუკეთესო, ოპტიმალური ვარიანტები. პირიქით, მას შეუძლია განამტკიცოს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

ეკონომიკური ზრდის მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული ამ ინსტიტუტების ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე, რაც საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი გარემოს ფორმირებას შეუწყობს ხელს.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საბაზრო ინსტიტუტების შექმნა უშუალოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. თუ სახელმწიფო შეაყვანებს ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს, არსებული ვაკუუმი მაინც შეივსება შესაბამისი ნაკლებად სასურველი სტრუქტურებით. საფინანსო ინსტიტუტები, რომლებიც აუცილებელია საბაზრო სისტემაში ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ყალიბდება დროში. ეკონომიკაში, ისევე, როგორც ნებისმიერ ახალ საწარმოს სჭირდება ადაპტაცია, ასევე ახალი ინსტიტუტების შექმნა საჭიროებს დროს. ინსტიტუტების იმპორტირება დასავლეთის ქვეყნებიდან არანაირ შედეგს არ იძლევა. საზოგადოებამ, მეწარმეებმა თვითონ უნდა გაითავისონ ის აზრი, რომ ინსტიტუტების ადაპტაციის პერიოდი ისეთივე ბუნებრივი და გარდაუვალი პროცესია, როგორც ახალი პროდუქციის ან ახალი ტექნოლოგიების შეგუების პროცესი შესაბამისად წარმოებრივ, თუ საბაზრო გარემოსთან.

სავსებით ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვთქვათ, რომ ტრანსფორმაციის პერიოდის ხანგრძლივობა დადებითად ვერ იმოქმედებს ეკონომიკურ პოლიტიკაზე. საზოგადოებაში მკვეთრად არსებული სტერეოტიპების – არაფორმალური ინსტიტუტების სიცოცხლის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ დასაშვებია გარდამავალ პერიოდში რაღაც მიღებული წესების დატოვება, რომელიც ცვალებად, არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოს მეტ-ნაკლებად დააბალანსებს. ასეთი „მეტ-ნაკლებად დააბალანსებული“ ინსტიტუტების გამოკვეთა და დროებით „დატოვება“ თითოეული ქვეყნის სპეციფიკიდან უნდა გამომდინარეობდეს და ამ ქვეყნის ტრანსფორმაციის პერიოდში სტაბილიზატორის როლი უნდა ითამაშოს.

არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, ინსტიტუციური სფეროს ნეკროეკონომიკური პროცესების აღმოფხვრის სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

- ნეკროეკონომიკის, როგორც პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოვლენის არსებობის მიზეზების განსაზღვრას;
- პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ნეკროეკონომიკური შედეგების დაძლევაში სახელმწიფოს მაკროეკონომიკური როლის განსაზღვრას;
- ნეკროეკონომიკური შედეგების აღმოფხვრის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების გზებისა და მიმართულებების განსაზღვრას.

Nazira Kakulia

NECROECONOMIC PROCESSES OF INSTITUTIONAL AREA AND BASIC STRATEGY OF ITS OVERCOMING

SUMMARY

System- the guarantor of overcoming of necroeconomic problems. Taking into account general purposes of thesis, we consider bases of development and realization of economy politics during the process of post-communist transformation. Therefore, general attention is paid to macro-economic stabilization and formation of institutes appropriate to the market economy.

Formal and informal institutes, naturally, change during the transition period, when old norms are changed by new ones. It becomes difficult to keep them in order and protect , because “new” are not created yet, or, are not executed, because of their absence in thoughts. The tendency of junction of old and new legal regulations is necessary. So, it may be said that to change imperative economy by market economy, it is necessary to create institutes of appropriate market conditions. Such environment supports creation of conditions for economic development, and accordingly, acceleration of restructuring process and creation of new enterprises.

The work underlines and attaches a special meaning to the role of the state in creating institutional basis, it also distinguishes the fact that not solved problems and failures in transformational period were the results of ignoring the role of the state.

The scope of the work consists of searching for peculiarities of an article and solving of those problems.

მურმან კვარაცხელია

**გლობალური ზინანსური კრიზისის
საკითხისათვის**

მსოფლიო ფინანსური კრიზისი დღევანდელ მსოფლიოს გლობალურ პრობლემად მოეწვინა. მრავალმა ნეგატიურმა მოვლენამ იჩინა თავი, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას არცთუ ოპტიმისტურ მომავალს უქადის თუ დროზე არ მოხდა მისი აღმოფხვრა და ეკონომიკის სწორ რელსებზე გადაყვანა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიზისმა, რომელიც თავისი ბუნებით მრავალფაქტორულია, გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის მძლავრი დისბალანსი. მას უამრავი მიზეზი გააჩნია. მრავალ მიზეზთა შორის ჩვენ შევჩერდებით რამდენიმე მათგანზე. პირველ რიგში უნდა გამოვყოთ სისტემური წინააღმდეგობები და “კიმერიკის” ფენომენის დისბალანსი (“კიმერიკი” წარმოსდგება სიტყვებიდან ჩინეთი და ამერიკა). [1. გვ.232; 2. გვ.45].

აღსანიშნავია, რომ “კიმერიკში” ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 25%, იწარმოება მსოფლიო პროდუქციის 1/3, ხოლო მათ მიერ უზრუნველყოფილია გლობალური ეკონომიკური მატების 50%. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის “კიმერიკები” აგროვებენ, დასავლეთისა კი ხარჯავენ. ამასთან დადგენილია, რომ ჩინეთის იმპორტი ამერიკულ ინფლაციას აჩერებდა, ხოლო ჩინური სამუშაო ძალა კი ხელფასის ზრდას. ყოველივე ამის შედეგად აშშ-ში შეიმჩნეოდა იაფი კრედიტი და კორპორაციების მომგებიანი საქმიანობები. ყოველივე ამის შედეგად ბოლო 15 წლის განმავლობაში რეალური საპროცენტო განაკვეთები ინფლაციის გამოკლებით შემცირდა 1/3-ზე მეტად [3. გვ. 56-57].

უნდა ითქვას, რომ “კიმერიკი” გახდა დაკრედიტების ბუმის ძირითადი მიზეზი ობლიგაციების გამოშვებისა და ახალი საწარმოო კონტაქტების გაფართოებისათვის, რომელიც გაჩნდა 2000 წლიდან იპოთეკური ბაზრის გადაჭარბებული ნაღდი ფულით უზრუნველყოფის შედეგად.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიზეზი იყო ასევე აშშ-ს ადმინისტრაციის პროფიციტური საბიუჯეტო და ფულადი პოლიტიკა, ტნკ-ს საქმიანობები, მსოფლიო ფინანსური სისტემის მდგომარეობა, ფიქტიური კაპიტალის ფართომასშტაბიანი მოძრაობები, ამერიკული დოლარის ჭარბწარმოება (ეს გამოიწვია იმან, რომ დოლარის გამოშვების უზრუნველყოფა ხდება მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტით), სპეკულაციური ოპერაციები, მსოფლიო ეკონომიკის დისპროპორციები (ფინანსურ და რეალურ სექტორებს შორის, სავაჭრო და დემოგრაფიული დისბალანსი, კორპორაციების საბაზრო და რეალურ შემოსავლებს შორის), დოლარის ინფლაცია, მიგრაციის გზაზე ბარიერები და სხვა.

ფაქტია, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გამოიწვია კორპორაციების კაპიტალიზაციის ზრდა, სუბიექტების სპეკულატიური საქციელი. დაახლოებით 10 ათასმა მსოფლიო ხელჯ-ფონდმა 2

ტრილიონი დოლარის აქტივებით, საინვესტიციო ბანკებთან ერთად, მათ მიერ აღებული ვალდებულებებიდან სპეკულაციური პირამიდები ააშენეს. ამის შედეგად ფაქტობრივად შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა თუ ვისზე გაიყიდა ცუდი კრედიტები. ცხოვრება ვალებით შეუძლებელი გახდა, რის შედეგადაც ბანკებმა მასიურად დაიწყეს დაგირავებული ქონების რეალიზაცია. ამის შედეგად უძრავი ქონების ფასები მკვეთრად დაეცა. აიწყო ჯაჭვური რეაქცია ვალების არდაბრუნებისათვის მთელ იპოთეკურ პირამიდებში [4. გვ. 44-45].

მსოფლიო ფინანსური კრიზისის განვლილმა ეტაპმა გვიჩვენა, რომ მან შექმნა ერთ-ერთი წინაპირობა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პროგრესისათვის, ინოვაციური პროცესების სტიმულირებისა და ბიზნესის განვითარებისათვის. ჩვენი აზრით, ასეთი პროცესის გარკვეული დადებითი შედეგიანობა გვაფიქრებინებს, რომ ეს იყო გეგმიური ხასიათის მატარებელი და კარგად გათვლილი აქცია “ყოვლისშემძლეთა” ინტერესების რეალიზებისათვის. ამასთან ერთად, კრიზისმა წინა პლანზე წამოსწია მენეჯმენტის საკითხები, კერძოდ, გამოავლინა ეკონომიკის სუსტი მენეჯმენტის ნაკლოვანი მხარეები, გააუმჯობესა მარკეტინგი და რეკლამა, აამაღლა სწრაფი და ხარისხობრივი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა და სხვა.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებში მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში რიგი თავისებურებები გაჩნდა. კერძოდ, პირველ რიგში, შესამჩნევად გაძლიერდა სახელმწიფოებრივი ჩარევა ეკონომიკაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა უმსხვილესი ბანკების ნაციონალიზაციაში, ამას მოჰყვა ის, რომ სერიოზულად გარდაიქმნა ეკონომიკის ფინანსური სისტემა. გარდა ამისა, მთელმა რიგმა ქვეყნებმა მოახდინეს ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება, სადაც დომინანტი გახდა სოციალური დაცვის საკითხები. ამ პერიოდისათვის არაერთმა ძირითადმა დარგმა დაკარგა ინვესტორები. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ინტენსიური განვითარება დაიწყო წვრილმა ბიზნესმა, როგორც საშუალო ფენის გადარჩენის ერთ-ერთმა ფაქტორმა. ამასთან ერთად, მთელ რიგ ქვეყნებში მკვეთრად დაიწყო საგარეო ვალის ზრდა. ამ მხრივ საქართველოში არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. ასე, მაგალითად, საგარეო ვალის დინამიკიდან ნათლად ჩანს, რომ 2005 წელს საქართველოს საგარეო ვალი თუ შეადგენდა 1,73 მლრდ აშშ დოლარს, 2007 წელს 1,79 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რამაც მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგინა 25,5%. 2008 წლისათვის მდგომარეობა იცვლება – საგარეო ვალმა მიაღწია 2,48 მლრდ დოლარს, რამაც მშპ-თან მიმართებაში შეადგინა 29,0%, ხოლო 2009 წელს ვალი 2,69 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, მშპ-თან მიმართებაში კი – 27,4% შეადგინა. ამ მხრივ 2010 წელს მდგომარეობა საკმაოდ შეცვლილია [5].

მსოფლიო ფინანსურ კრიზისს მოჰყვა უმუშევრობის ზრდაც, რამაც გამოიწვია ცხოვრების დონის გაუარესება. ამასთან, გაიზარდა შრომითი და ფინანსური რესურსების გადანაწილების პროცესი, სადაც გამოიკვეთა ახალი პრიორიტეტები, კერძოდ, ეკონომიკაში ფართოდ დაინერგა მაღალი ტექნოლოგიური პროცესები, რაც თავისთავად დაკავშირებულია ახალი ინვესტიციების მოზიდვებთან. ასეთმა ახალმა პროცესებმა ბაზარს ახალი წესრიგისკენ მოუწოდა, კერძოდ, ბაზრებიდან იმ სუბიექტების შევიწროება მოხდა, რომლებსაც მაღალი დანახარჯები ჰქონდათ, მაღალი რესურსული და ენერგოტეკვადობით გამოირჩეოდნენ და გააჩნდათ დაბალი შრომის მწარმოებლურობა, განსაკუთრებით ინფლაციის ზრდის შედეგად. ყოველივე ამან ბუნებრივად გამოიწვია ცალკეული დარგებისა და საწარმოების მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერის შემცირება. დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს მხრიდან ახალი გლობალური ქსელური ფუნქციის გამოვლენის საკითხი პოსტკრიზისულ ეკონომიკაში. ამასთან, საგრძნობლად გაფართოვდა ბანკების ფუნქციები ეფექტური პროექტების შერჩევასა და დაკრედიტებაში. უფრო ინტენსიური გახდა მომგებიანი ბიზნესპროექტების ინიცირება, სასაქონლო ბაზრების მარკეტინგის უფრო გლობალური შესწავლა და უცხოელ მყიდველთა დაკრედიტება.

ბუნებრივია, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ნაადრევია პოსტკრიზისულ პერიოდზე სრულმასშტაბიანი საუბარი. მსოფლიო ექსპერტები ცდილობენ კრიზისიდან გამოსვლის გზების ძიებას. მათი აზრით მსოფლიო მშპ-სა და მსოფლიო ვაჭრობის ზრდა უახლოეს წლებში 1-2%-ის ფარგლებშია ნავარაუდები. ამასთან, ქვეყნებს შორის სასაქონლო გაცვლა შემცირდება 3-4-ჯერ და მეტად მსოფლიო წარმოების ზრდასთან შედარებით. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სერიოზულად შეიმჩნევა ბიზნესის ინტენსიური გატანა იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო სისტემა უფრო მოწესრიგებულია და ნაკლებია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

საერთაშორისო ექსპერტების აზრთა გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მსოფლიო გლობალური კრიზისის პირობებში ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერისა და დასაქმებისათვის განვითარებული ქვეყნების მიერ პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, რაც სახელმწიფო ხარჯების ზრდაში გამოიხატება, არ უწყობდა ხელს ეროვნული ეკონომიკების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს ტენდენცია აშკარად შეიმჩნევა განვითარებად ქვეყნებში, სადაც, სამწუხაროდ, ეროვნული ეკონომიკების ზრდას სერიოზული სტრატეგია არ გააჩნია.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში უკვე აშკარად გამოიკვეთა უამრავი მანამდე არცთუ კარგად ცნობილი ტენდენციები. ესენია ინფლაციის საკმაოდ მაღალი დონე, ფინანსური რესურსების მიზნობრივი კონტროლი, საფონდო ბაზრების პირამიდების მსხვერვა,

ბაზარზე ახალი უძრავი ქონების, ნავთობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოჩენა, ფინანსური ბაზრის მსხვილი სტრუქტურების ნაციონალიზაცია, ავტომობილების, ჯანდაცვისა და ენერგეტიკის ბაზრებზე მსხვილი ინვესტიციების ჩადება და ა.შ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველივე ეს მსოფლიოს კიდევ უფრო “ახალ” “ეკონომიკურ წესრიგს” კარნახობს. ეს საბაბია მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის მენეჯმენტის საკუთარ ინტერესებზე მორგებისათვის. აქ ნიშანდობლივია ის მომენტი, რომ იცვლება საერთაშორისო სამართალი კარგად მოფიქრებული საკუთარი ინტერესების უზენაესობის შესანარჩუნებლად, რომელიც დღემდე ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპებს ეფუძნებოდა. უკვე გამოიკვეთა ტენდენცია ეკონომიკისა და პოლიტიკის საერთო მიზნობრიობის შესახებ, რომლის გაგრძელება აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მსოფლიოში გეოეკონომიკური ინტერესები ძლიერთა ნებით წარიმართება და აშკარა ხდება ფინანსურ-სამართლებრივი რეგულირების როლი. ფინანსური კრიზისი და სხვა უხილავი პროცესები თვისებრივად ცვლის მსოფლიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პანორამას.

ასევე აშკარა ხდება, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა სოციალური პოლარიზაციის პროცესების ფონზე ნეგატიური ტენდენციების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რომელიც თანმიმდევრულად ღრმავდება და საშიშ ხასიათს იძენს. მხედველობაში გვაქვს უთანასწორობის ამჟამად ჩამოყალიბებული მსოფლიო პრაქტიკა. მაგალითად, პლანეტის უმდიდრესთა 20%-ისა და უღარიბესთა 20%-ის შემოსავლების თანაფარდობა თუ 1960წელს იყო 30:1, 1991 წელს გახდა 61:1-თან, 1994 წელს – 78:1, 2004 წელს კი – 150:1 შეადგინა. როგორც ვხედავთ, ეს პროცესი შეუქცევადი ხდება. [6. გვ. 23].

მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისის დასასრულის კონტურები ჯერჯერობით არ ჩანს. აქედან გამომდინარე, დღევანდელ პირობებში მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ახალ ვექტორებს ეძებს. ცხადია, ეს თავის ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების ჩამოყალიბებაზე. ეს კრიზისი გარკვეულწილად ასეთი ქვეყნების წინსვლის ხელშემწყობ ფაქტორად უნდა იქცეს. ჩვენი აზრით, შესამუშავებელია მექანიზმები ეკონომიკურ კულტურათა დაახლოებისათვის, ხალხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამის საფუძველს იძლევა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მწარე გამოცდილება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Ferguson N.** The Ascent of Money: Financial History of the World / N.Ferguson.- Penguin Press HC, 2008, p. 232.

2. **Аттали Ж.** Мировой экономический кризис... А что дальше? /ж. Аттали [пер. с французского]. Санкт-Петербург, Питер, с.45, 2009.
3. **Май В.** Кризис на начальной стадии: причины и проблемы. Ж.. Экономическая политика. №6, 2008, с.52-68.
4. **Сидорович В.** Спекулятивный капитал как фактор кризиса. Ж. Экономист. №2, 2009, с.43-51.
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
6. **ჭითანავა ნ.,** საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები. კ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, აპრილი №4, 2009.

Murman Kvaratskhelia

WORLD GLOBAL PROCESSES AND THE SOVEREIGN COUNTRIES

SUMMARY

In this work forming aspects of sovereign states in the postsocial space in the conditions of globalization is analyzed. Here are shown the roles of those countries in the world economy, also bad factors, those effect on forming the sovereign states at the time of developing the new version of their national economy it expresses exactly that independent countries have less perspectives of developing their economy. Also here is based the author`s consideration about the future fate of the sovereign states in the process of globalization.

როლანდ სარჩიმელია

ეკონომიკური პროცესის აზროვნებითი მოდელი, როგორც სენარო

ეკონომიკური პროცესის ჩვენთვის კარგად ცნობილი მსგავსების ნიშნით შერჩეული და ანალოგიით დაფიქსირებული მოვლენის გამარტივებული მოდელით სარგებლობისას (დასახული მიზნის შესაბამისად), შეიძლება შეგვექმნას „გამჭვირვალე აზროვნების“ ჩატარების შესაძლებლობა. იგი, მოდელით სარგებლობის პირობების შექმნით, ელემენტარული აზროვნებითაც კი გვაყენებს ეკონომიკური ამოცანის სრულყოფილად დასახვის გზაზე, რომლის შემდგომი გაგრძელებაა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება ამავე ეტაპზე მათემატიკური ამოცანის დასმისა და გადაწყვეტის შედეგების განჭვრეტით.

მოვიყვანოთ პროფ. გიორგი პაპავას დამაკვალიანებელი მსჯელობა, რომ მათემატიკური მეთოდებით ეკონომიკაში ხშირად შემოისახვდებიან რაოდენობრივი გაზომვებით, კმაყოფილდებიან რა სტატიკური მანევრებლებით და არ ითვალისწინებენ ღრმა ხარისხობრივ

ძვრებს, რომლებსაც ბუნებრივად იწვევენ რაოდენობრივის ხარისხობრივში გადასვლის პროცესები. ქიმიის, ფიზიკის და ა.შ. მათემატიზაცია შეიძლება დავუშვათ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ეკონომიკის აზროვნების მათემატიზაციაზე, რადგან არ ითვალისწინებენ იმას, რომ ეკონომიკას საქმე აქვს ხალხთან, რომლებიც რეაგირებენ არა მხოლოდ მათემატიკურ მონაცემებზე და არა მხოლოდ ხარისხობრივ ეკონომიკურ შედეგებზე [1. გვ. 268].

წინამდებარე სტატიაში განხილულია შემთხვევა, როდესაც ეკონომიკურ პროცესებთან მსგავსების ნიშნით შეირჩევა მოდელირებისათვის ჩვენთვის კარგად ცნობილი მოვლენა ან მზა პროგრამა, როგორც ანალოგი. [2. გვ. 22-29] ნაშრომის თანახმად. იგი გამოიყენება „აზროვნებითი მოდელის“ სახით. ქართულ ენაზე ეს ტერმინი დაზუსტებას მოითხოვს (ხომ არ აჯობებდა მოდელთან დაკავშირებით „აზროვნების“ ნაცვლად შემოტანილ იქნეს სხვა ტერმინი – „აზრობრივი“ ან „აზრითი“ ან „გონებრივი“).

მოდელის წარმოდგენა შესაძლებელია კომპიუტერით. მოსალოდნელია, მკვლევარმა მოდელით ეკონომიკური აზრი უფრო უკეთ დააზუსტოს დიაგრამების გამოყენებით, სქემებით, ნახაზებით, სპეციალიზებული ალგორითმებით, დაკონკრეტებული მათემატიკური მოდელებით ისე, რომ მათში შემავალი პარამეტრების ცალკეული მნიშვნელობების ცვლილებების დაშვების შემოწმება კომპიუტერის გამოყენებითაც გახდეს შესაძლებელი. რაც შეეხება ხალხის „ქცევების გათვალისწინებას“, იგი ეკონომიკური თეორიის, მასში პარადიგმების დაზუსტება – ცვლილებებით ჩატარდება და ა.შ.

შეგნიშნავთ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში „გიგანტომანიით გატაცებას“, საწარმოთა სიმძლავრის შერჩევის შემთხვევაში, კოლოსალური ზარალი მოჰყვა, მაშინ, როდესაც ოპტიმიზაციის მათემატიკური მეთოდების გამოყენების მსოფლიოში არსებული გამოცდილება უყურადღებოდ რჩებოდა. ეს აზროვნებითი მოდელის დაბალი დონით იყო გამოწვეული.

მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობით შეზღუდული პროტსაბჭოთა საქართველოს 90-იანი წლების ეკონომიკისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი პროცესების შესაბამის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებში ნათლად ჩანდა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარების შეუძლებლობა, ქრონიკული დეფიციტით განპირობებული ცხოვრების დაბალი დონე და სხვ., საიდანაც დროებითი „გამოსავალი“ გლობალიზაციით მოინახა.

ამ შემთხვევაშიც ქვეყანას შესაბამისი აზროვნებითი ხედვით გაძლიერებული მოდელი სჭირდება, რაც განსაკუთრებით ეხება ბიზნესში რისკფაქტორის მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდას, ქვეყნის ეკონომიკაში წარმოშობილი წინააღმდეგობრივი პროცესების აზროვნებითი მოდელებით კვლევის გაძლიერებას. ამის საშუალებას

საქმიანი მოდელებით სარგებლობა იძლევა, მრავალკრიტერიუმიანი ამოცანების საშუალებით და პარეტოს ოპტიუმის დაფუძნებით მოსახლეობაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, ჩვენი აზრით, ამჟამად მივაკუთნებთ ეკონომიკის მათემატიზაციის საწყის ეტაპს [3 გვ. 402-404] და მასში, კომპიუტერებთან ერთად ვგულისხმობთ მანქანური მოდელირების შემთხვევებსაც უწყვეტი მოქმედებების გამომთვლელ მანქანა ანალოგებთან ერთად.

მაგალითი 1. მოთხოვნისა და მოწოდების პროცესი ანალოგიით შეიძლება წარმოვიდგინოთ გიგანტურ აბაზანაში სითხის მოძრაობით, რომელშიც მიმდინარეობს სითხის ჩადინება და ასევე გადინება მცირე განივკვეთის სხვადასხვა მილებით. ჩვენს წარმოდგენაში ამ პროცესს სხვადასხვა შემთხვევით დავაფიქსირებთ: როდესაც სითხე აბაზანაში ერთი საშუალო დონის მახლობლობაშია ან აბაზანიდან სითხე გადმოიღვრება, ან სხვა შემთხვევაა, როდესაც აბაზანა სითხისაგან დაიცლება. აქედან ბოლო ორი შემთხვევა კატასტროფაა. ანალოგიურად შეიძლება დახასიათდეს შემთხვევითი ფაქტორების გავლენის შედეგები.

მაგალითი 2. ჩამდინარე და გამოდინარე მდინარეებში წყლის მოძრაობით გამოწვეული ტბაში წყლის დონის ცვლილებების ამსახველი აზროვნებითი მოდელის წარმოდგენა ანალოგიით და მისი გადატანა ქვეყანაში ექსპორტ-იმპორტის მოძრაობის ზოგადი პროცესის შესაფასებლად.

მაგალითი 3. 90-იანი წლების პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობაზე მინიშნება: შოკი თერაპიის გარეშე, ქვეყნის ეკონომიკის რეანიმაციის მდგომარეობაში მოხვედრა გონივრული ხედვით გაძლიერებული აზროვნებითი მოდელები, პარადიგმისაგან განსხვავებით, მკაცრად არ არიან ფორმირებული და უფრო „მომენტალურად“ გამოიყენება. არის ცალკეული შემთხვევაც, როდესაც ერთი პირის მოდელი გამოიყენება აზროვნების პროცესშივე სხვა პირთან საუბარში მოდელის შესაცვლელად. ერთი და იმავე ადამიანისთვისაც კი დამახასიათებელი ხდება გონივრული ხედვის სხვადასხვა ვარიანტები. საბოლოოდ კი ისინი დაიხვეწებიან აზროვნებით მოდელში. [1. გვ. 42; 2. გვ. 26-27].

გონივრული ხედვის გააქტიურების შემთხვევების მიუხედავად აზროვნებითი მოდელი შეზღუდულია, თუმცა მაინც აფიქსირებს საზოგადოებისათვის გასაგებად წარმოდგენილი ხედვის ეფექტიანობას და პარადიგმასთან მსგავსებას.

ცნობისათვის, პარადიგმა ისეთი მოდელია (ხედვაა), რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მეცნიერული თეორიის ან შეხედულებათა სისტემის სახე. პარადიგმის მეკლევარი ძველ შეხედულებას იცვლის და ახლებურად აგრძელებს მოღვაწეობას. პარადიგმა, როგორც სამყაროს ხედვის განსაკუთრებული წესი, ღრმა აზროვნების უნარის მქონე პიროვნების – გენიოსის შეხედულებებშია მოცემული [4. გვ. 139-148].

გონივრული ხედვა აზროვნებით მოდელში შეიძლება პარადიგმის ელემენტად მივიჩნიოთ, რასაც ახლავს მრავალმხრივი და პარალელური აზროვნების მოშველიება. მკვლევარ ეკონომისტს სჭირდება უნიკალური მახსოვრობისა და ანალიზის უნარი, რისკით აზროვნება და პასუხისმგებლური გადაწყვეტილებების მომარჯვება. ისინი სათავეს იღებენ გონივრულ ხედვაში და აისახებიან აზროვნებით მოდელში, სადაც მნიშვნელობა ენიჭება რისკის გათვალისწინებით მრავალმხრივ აზროვნებას, პრინციპებით ის. [5; 6]: უნიკალურობა, მიზანდასახულობა, საყრდენი ამონახსნის (როგორც ერთ-ერთი ამონახსნის) გამოვლენა, სისტემაურობა, ინფორმაციის მოპოვების შეზღუდულობის გათვალისწინება, ადამიანებთან მუშაობის ორგანიზაცია, პროგრამის დროულად შედგენა და მუდმივი სრულყოფა.

ამ შეიდევე პრინციპით მოქმედება მკვლევარის სრული სპექტრის აზროვნების გადასვლას ნიშნავს [6. გვ. 383-423], შესაბამისი მოდელირების მეთოდი რთულდება, მაგრამ უფრო სრულყოფილი ხდება (ცნობისათვის, აზრობრივი ხედვით გააქტიურებულ და ზემოთ ჩამოთვლილი შეიდევე პრინციპით რისკთან ერთად გაძლიერებულ აზროვნებით მოდელს, გამორიცხული არ არის მივანიჭოთ მოდელირების მეთოდის სახელი. ბუნებრივია, ისიც იქნება გათვალისწინებული, რომ მათემატიკა არ არის მხოლოდ მექანიკური ინსტრუმენტი ლოგიკური აზროვნებისათვის).

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მსჯელობა, ეკონომიკაში მათემატიკის გამოყენებაზე, გონივრული ხედვის გამოყენების გააქტიურებას მიესადაგება, როდესაც აღნიშნავდა მათემატიკის გამოყენების დამხმარე როლზე და არ გამორიცხავდა ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაში დამოუკიდებელი მიმართულების ფორმირების პერსპექტივას [7. გვ. 171].

ბატონი პაატა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკონომიკურ-მათემატიკური გამოკვლევებისათვის სპეციალიზებული ენის შექმნას, სადაც აისახებოდა ზრდისა და კლებადობის აღმნიშვნელები, დაკავშირებული შესაბამისი მაჩვენებლის ცვლილებების ლოგიკურ შეფასებასთან. გამომდინარე, მათემატიკური გამოკვლევების ჩასატარებლად მოქნილ საშუალებებში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ადამიანების აზროვნების შესაძლებლობები, რაც აზრობრივი მოდელირების მეთოდების ელემენტებით წინასწარჭერეტის საშუალებასაც მოიცავს [7. გვ. 169].

ბატონი პაატას შენიშვნებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური პროცესის მათემატიკური მოდელირებისათვის ეკონომიკური ამოცანის დასახვაში გონივრული ხედვის მიმართ ყურადღების გაძლიერება ქმნის აზროვნებითი მოდელის ფორმირების შემდგომ პერსპექტივასაც.

ბამოყენებელი ლიტერატურა

1. **Папова Г.** Методология познания качеств смешенной рыночной экономики и парализмы. Стокгольм, SA&CC Press ®, 2009.
2. **Дж. Форрестер.** Мировая динамика. Москва, «Наука». 1978 (Перевод с английского).
3. **სარჩიმელია რ.** მათემატიკური მეთოდებს გამოყენების თავისებურებანი ეკონომიკის მათემატიზირებულ მეცნიერებად ფორმირების საწყის ეტაპზე. სამეცნიერო შრომების კრებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტომი I. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, „მეცნიერება“, 2000, გვ. 391-405.
4. **ავალიანი ს.** მეცნიერების ბუნება და მისი განვითარების კანონზომიერება. მეცნიერების ფილოსოფიური ნარკვევი, ფილოსოფია და მეცნიერება. თბილისი, „მეცნიერება“, 1986, გვ. 91-174.
5. **აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ.** ეკონომიკის განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები, თბილისი, „უნივერსალი“, 2004, გვ. 171-196.
6. **Дж. Надлер, Ш. Хибино, Д. Форелл.** Мышление полного спектра. Минск, «Попурри», 2001.
7. **სარჩიმელია რ.** აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი, ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესახებ. წიგნი: პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი. თბილისი, „სიახლე“, გვ. 168-171.

Roland Sarchimelia

MENTAL MODEL AS SCENARIO OF ECONOMIC PROCESS

SUMMARY

The article discusses mental conception of model on the basis of similarity for modeling economic process. Here is meant mental conception of simplified model as a scenario, of well known phenomenon in such a way as to become clear that mathematics included into the process of creating the model of economic phenomenon, is not only the mechanical instrument for logical thinking but principally takes upon itself cognitive function as well.

In this connection there is given the opinion of Professor George Papava on the characteristics of mathematization of economy.

Are characterized negative results caused by ignoring the mental model and are given the examples of creative formation of mental models in post-soviet economy of Georgia/

Is noted the limited nature of mental model in spite of its likeness to paradigm.

The work is connected with the opinion of Academician Paata Gugushvili on the application of mathematics in the economy and on the perspectives of economic-mathematical models.

ნოდარ სილაგაძე

საბანკო სექტორის შექმნა საქართველოში

საქართველოს ეროვნული ბანკი (იგივე ცენტრალური ბანკი) 1991 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა, მათ შორის სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილება, რომლის ბაზაზე დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი. თუმცა, პირველი ცენტრალური ბანკი – “საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ (შეიქმნა 1918 წლის 31 დეკემბერს – გაიხსნა 1920 წლის 24 ივლისს) საქართველოში ფუნქციონირებდა 1920-1921 წლებში (ბანკის გამგე – ი. ლორთქიფანიძე).

დემოკრატიულ საქართველოში 1918-1921 წლებში სხვადასხვა ტიპის ბანკი (ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, საქართველოს კოოპერაციული ბანკი, ევროპა-კავკასიის ბანკი, ფოთის ქართული ბანკი, ჭიათურის ბანკი...) ფუნქციონირებდა¹⁸³, რომელთა საქმიანობა, იმდროინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო, შეზღუდული იყო, „თუმცა, მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დამოუკიდებელი საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბებაში“¹⁸⁴.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებში (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ერთიანი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის მცდელობა იყო. აღსანიშნავია ამიერკავკასიის უნიფიცირებული სავალუტო სისტემის შემოღება, რაც პირველად 1918 წელს განხორციელდა. ამიერკავკასიის ფედერალური ვალუტა მიმოიქცეოდა 1923-24 წლებში. საბოლოოდ ეს ბონის კუპიურები საბჭოთა რუბლმა შეცვალა, რომელიც საქართველოში 1993 წლამდე ერთადერთ კანონიერ სავადასახდელო საშუალებად ითვლებოდა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ, საქართველოში ეროვნული ბანკი 1991 წელს შეიქმნა, მაგრამ, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „საქართველოს დამოუკიდებელი საბანკო სისტემის საფუძვლები, 1987 წლიდან

¹⁸³ **ათანელიშვილი თ.** ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2006, გვ. 108.

¹⁸⁴ **იაშვილი რ.** საქართველოს საბანკო სისტემა (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2001, გვ.67.

დაწყებული, პერმანენტული სტრუქტურული გარდაქმნების პროცესში ყალიბდებოდა, რომელმაც მეტ-ნაკლებად დასრულებული სახე 1994 წელს მიიღო. სწორედ ეს წელი შეიძლება მივიჩნიოთ დღევანდელი კომერციული საბანკო სისტემის სასტარტო პოზიციად¹⁸⁵.

საქართველოს საბანკო სისტემის შექმნის პროცესი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. საკმარისია აღინიშნოს 1991-94 წლებში წარმოების მოცულობის 70%-ზე მეტად შემცირება, რომელმაც ფინანსური კრიზისი გამოიწვია. მის პარალელურად მოიშალა ტრადიციული საგარეო-ეკონომიკური კავშირები. მდგომარეობას ართულებდა საკუთარი ეროვნული ვალუტის უქონლობა, საბანკო სპეციალისტების სიმცირე და გამოუცდელობა, სამართლებრივი ბაზის სიმწირე, სეპარატისტული კონფლიქტები და სამოქალაქო ომი. მას ემატებოდა ეკონომიკური დისციპლინის მოშლა და ზრდადი კორუფცია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე მცირე იყო საკუთარი კრედიტული რესურსი, აგრეთვე საერთაშორისო რეზერვი და ოქროს მარაგი.

ასეთ სიტუაციაში საქართველოს ხელმძღვანელობამ, ეროვნული საბანკო სისტემის შექმნაში დახმარება სთხოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს (მარტი, 1992 წ.). აღნიშნული ფინანსური ორგანიზაციები ოპერატიულად გამოეხმაურნენ ამ თხოვნას და უკვე 1992 წლის მაისში საქართველოში ჩამოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირველი მისია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მისიებმა უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოში ცივილიზებული ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნაში. „მისიებმა, რეკომენდაციებთან ერთად, წარმოადგინეს ახლებურად ამუშავების სცენარები და პროგრამები კონკრეტული ვადებით... დაიწვეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უმსხვილეს ბანკებში საქართველოს ეროვნული ბანკის მუშაკთა სწავლება, მათი გადამზადება და სათანადო პრაქტიკული ჩვენებით აღჭურვა... განხორციელდა ეროვნულ ბანკში უახლესი ტექნიკის დადგმა და მსოფლიო საბანკო სტრუქტურებში ჩართვა... სულ ორიოდე წელიწადში შესაძლებელი გახდა ორდონიანი (ორიარუსიანი) საკრედიტო სისტემის შექმნა, რომლის სათავეში ... ეროვნული ბანკი იდგა, მის დაბლა კი კომერციული ბანკების სიმრავლე“¹⁸⁶.

ბოლო მონაცემებით, საქართველოს საბანკო სისტემა წარმოდგენილია 20 საბანკო დაწესებულებით, რომელთაგან 18 საქართველოს რეზიდენტი კომერციული ბანკია, ხოლო 2 – თურქეთისა და

¹⁸⁵ მირიანაშვილი ნ. საქართველოს საბანკო სისტემა – რეტროსპექტივა და პერსპექტივა, თბ., 2006, გვ. 47.

¹⁸⁶ ლ. ქისტაური, შ. ქისტაური, საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები, თბ., 1997, გვ. 25-296.

აზერბაიჯანის რეზიდენტი ბანკების ფილიალები. ამავე პერიოდში ფუნქციონირებდა კომერციული ბანკების 683 სტრუქტურული ერთეული (124 ფილიალი და 559 სერვისცენტრი). შედარებისთვის 2007 წლის ბოლოსათვის მოქმედებდა 540 სტრუქტურული ერთეული.

2008 წელს საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა კომერციულმა ბანკებმა, კერძოდ, ას „ეიხ ეს ბი სი ბანკი საქართველომ“ და ას „პროგრესბანკმა“. „ეიხ ეს სი ბანკი საქართველოს“ აქციების 70 პროცენტის მფლობელია „ეიხ ეს ბი სი ევროპა (ნიდერლანდები) ბი ვი“, ხოლო 30 პროცენტს ფლობს ლისტენშტეინში რეგისტრირებული „უინგზ ისთებლიშმენტი“. ას „პროგრესბანკის“ აქციების 100 პროცენტს ფლობს შპს „კალა-კაპიტალი“.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საბანკო სექტორის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების ზრდას. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2008 წლის პირველ ნახევარშიც, როდესაც საქართველოს საბანკო სისტემაში მკვეთრად გაიზარდა მთლიანი აქტივების, ვალდებულებებისა და აქციონერული კაპიტალის მოცულობა. თუმცა, აგვისტოს ომის და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ ტენდენცია შეიცვალა და საბანკო სექტორის რაოდენობრივი მანევრებლები დაახლოებით ერთსა და იმავე დონეზე შენარჩუნდა.

Nodar Silagadze

CREATION OF BANKING SECTOR IN GEORGIA

SUMMARY

The article analyzes evolutionary process of banking sector creation in Georgian Democratic Republic and Independent Georgia after the Soviet Union collapse. In particular, is discussed the significance of international organizations support in the formation process of Georgian State Bank and Georgian National Bank, also in the creation of two-level banking sector and is given the state of banking sector on the background of the war with Russia and global financial crisis.

თამარ ქაჯაია

ეკონომიკის სოციალიზაცია, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების ძირითადი დეტერმინანტი

ამჟამად მსოფლიოში შექმნილი მწვავე სოციალური პირობების გადაწყვეტა აღიარებულია უმნიშვნელოვანეს ამოცანად და მისი

გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად მიჩნეულია ეკონომიკის სოციალიზაცია.

საქართველოში საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნები დღესაც წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს. ძველი და ახალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ღრმავდება და მწვავე ხასიათს იღებს. ნეგატიური მოვლენები ჩამოყალიბდა განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის სფეროს ფუნქციონირებაში, რომლებიც აფერხებს საზოგადოების განვითარების პროცესს. საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ძალზე საშიში ტენდენცია, რომელიც აისახა სოციალური დიფერენციაციის პროცესზე. დღევანდელობას წარმოადგენს ორი მხარე: ის ვინც, სიმდიდრეებს კრიმინალური ქმედებებით სწრაფად აგროვებს და ის, ვინც დაკარგა პატიოსანი შრომით შექმნილი ქონებაც, სამუშაო ადგილიც და დარჩა მინიმალური სოციალური დაცვის გარეშე. აღნიშნულმა განაპირობა ეროვნული ეკონომიკის სისტემურ კრიზისში შესვლა, გაადრმავეა სოციალური კრიზისი.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი დაფიქსირდა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური დაცვა, ადამიანის ნორმალური ცხოვრების გარანტიების საფუძვლები. სოციალური უზრუნველყოფის პრინციპით თავისუფლება აღიარებულ იქნა, როგორც ინდივიდის თვითრეალიზაცია, კონკურენცია და კერძო საკუთრება – საქმიანობის მოტივაციის საფუძველი, ხოლო ეკონომიკური და საზოგადოებრივი დეცენტრალიზაცია – როგორც ხელისუფლებაზე კონტროლის ფორმა.

თანამედროვე პირობებში მიჩნეულია, რომ სოციალური ორიენტაციის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება განპირობებულია რიგი ფაქტორებით, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკაში გლობალური პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. კერძოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაცია, სიღარიბის, დამნაშავეობის ზრდის შეჩერება, შრომისუნარდაკარგულთა დაცვა, ეკონომიკური პროცესების გაჯანსაღება და ა. შ.

სოციალური ეკონომიკის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობა – სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის შეხამება, წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. როგორც ეკონომიკის განვითარების გამოცდილებიდან ჩანს, საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტა გულისხმობს შემოსავლების გადანაწილებას, უმუშევართათვის დახმარების გაწევას, ოჯახის განვითარების მატერიალურ მხარდაჭერას, უმუშევრების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. დაქირავებულთა მინიმალური ხელფასით უზრუნველყოფის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებს და სხვა, რაც განპირობებულია იმით, რომ წარმოების ფაქტორებს შორის მთავარი რესურსია შრომა. მისი ორგანიზაცია – შრომის მწარმოებლურობა კი საწარმოს (ფირმის) საქმიანობის ეფექტიანობის

ძირითადი და განმსაზღვრელი მანვენებელია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შრომასთან არის დაკავშირებული ფიზიკური და მორალური კულტურა, ჯანმრთელობა, განათლების დონე, შექმნილი გამოცდილება, ბუნებრივი უნარი და სხვა.

ეკონომიკური ეფექტიანობა საბაზრო პირობებში აღრმავებს სოციალურ დიფერენციაციას, რადგან მათში მთავარია წარმოების ფაქტორების მიხედვით გადანაწილება. სოციალური დიფერენციაციის შედეგების შემსუბუქების მიზნით სახელმწიფო ცდილობს აქტიური როლის შესრულებას. ამიტომ აღიარებულია, რომ სოციალური სამართლიანობის რეალიზაცია ხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის შემოსავლების გადანაწილებით, რითაც იზღუდება საბაზრო მექანიზმების სტიქიური მოქმედება. განვითარებულ ქვეყნებში მიღწეულია სოციალური სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის დაბალანსებული შეხამება, რაც ქმნის მოსახლეობის ყველა ფენის შემოსავლების გადანაწილების მყარ სოციალურ გარანტიებს და თანაბარ სასტარტო პირობებს. გამოყოფენ სოციალური დაცვის სამ მოდელს: ლიბერალურს, კონსერვატიულს და სოციალ-დემოკრატიულს.

მოსახლეობის სოციალურ დაცვაში სახელმწიფოს წამყვან როლს გულისხმობს სოციალურ-დემოკრატიული მოდელი, სადაც სოციალური დაცვის პრიორიტეტად მიხნეულია სრული დასაქმება და მოსახლეობის შემოსავლების დონის რაც შეიძლება მეტად გათანაბრება. ეს მოდელი კარგად მუშაობს შვეციაში, ნორვეგიაში, ფინეთში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში. ამ ქვეყნების სოციალური დაცვის საფუძველს წარმოადგენს განვითარებული სახელმწიფო სექტორი და გონივრულად დიფერენცირებული გადასახადები. შვეციაში, დანიასა და ფინეთში სახელმწიფო ხარჯების უდიდესი ნაწილი მიდის სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამ მოდელით შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საერთო ეროვნულ დონეზე და სახელმწიფო საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავს უმუშევრობის დონის მინიშუმამდე შესამცირებლად. თანამედროვე პირობებში უმუშევრობა, როგორც პრობლემა, გლობალური ხასიათისაა. იგი უშუალოდ ზემოქმედებს სოციალურ სტაბილურობაზე. უმუშევრობის შედეგად იკარგება პროდუქციისა და მომსახურების პოტენციური მოცულობა და იწვევს სიღარიბის ზრდას. ეს კი ასტიმულირებს პოლარიზაციის გაღრმავებას. უმუშევრობა უშუალოდ ზემოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და სხვა. ფსიქოლოგების აზრით, საკუთარი შესაძლებლობების არარეალიზება თითოეულ ადამიანში აკუმულირებულ შემოქმედებით ენერგიას უარყოფით და აგრესიულ მუხტად გარდაქმნის და მას საზოგადოების წინააღმდეგ მიმართავს.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით უმუშევრობის დონე 2007 წლის ივლისში 13,3%, ანუ 261 000 ადამიანი

ყოფილა, რასაც წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებლისთვის 0,3%-ით გადაუჭარბებია. უმუშევართა რაოდენობის ზრდა კიდევ უფრო ინტენსიური გამხდარა 2007 წლის ბოლოსთვის – ამ წლის მონაცემებით, უმუშევრობის პოტენციური მაჩვენებელი 17-მდე, ამერიკის სავაჭრო პალატის მონაცემებით კი 27-მდე გაზრდილა. კიდევ ამას თუ დავუმატებთ მსოფლიო კრიზისს და რუსეთთან ომის შედეგებს, ფაქტობრივად დავინახავთ მისი თანდათანობით ზრდის ტენდენციას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ: საქართველოში ეკონომიკის სოციალიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

პირველი, საზოგადოებაში სოციალური და ფსიქოლოგიური გარემოს შექმნა. ქვეყნის სტრატეგიული განვითარების შესახებ გარემოს შექმნა. ქვეყნის სტრატეგიული განვითარების შესახებ მიღწეული უნდა იქნეს კონსენსუსი, საზოგადოებრივი ფენების (ჯგუფების) და მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების – პოლიტიკური პარტიების, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტების, პროფესიული და შემოქმედებითი კავშირების, გაერთიანებების, მეცნიერებათა აკადემიის და სხვათა ინტერესების გათვალისწინებით.

მეორე, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკურად ორიენტირებული სოციალურ-კულტურული პოლიტიკის ერთიანობა.

მესამე, მიკრო-, მეზო-, მაკრო-, მეგადონზე ეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე განხორციელება. ამ პროცესში წამყვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს და მისი მაკროეკონომიკური პოლიტიკა ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

მეოთხე, ეროვნული მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების პრინციპი. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ დაგეგმვა ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე ინსტრუმენტია ნებისმიერი სისტემის პირობებში, კერძო თუ სახელმწიფო სექტორში. დადასტურებულია ისიც, რომ ეკონომიკაში ბაზარი და გეგმა ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან იზოლირებულად ვერ შეასრულებენ საკოორდინაციო მექანიზმის როლს. მხოლოდ ბაზრისა და გეგმის შეხამებისას ყალიბდება მწარმოებლურ ძალთა, ეკონომიკური რესურსების რაციონალური განაწილების, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევის წინამძღვრები. ამიტომაც, თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემების გადაწყვეტისათვის ბაზრისა და გეგმის თანაარსებობა აუცილებელია.

Kajaia Tamar

SOCIALIZATION OF ECONOMY AS A BASIC DETERMINANT OF RAISING OF WELLBEING OF THE SOCIETY

SUMMARY

Economy based on private property and private initiative is internally aspired to polarization of human's social situation, alleviation of which by distribution of incomes is the task of state administration, that is insignificant in Georgia.

მალხაზ ჩიქობავა

ღირებულების შრომითი თეორია ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით

ჩვეულებრივ, როცა საუბარია საწარმოო ღირებულებაზე, სარგებლობენ სიტყვით „რენტა“, რაც გერმანულიდან ითარგმნება, როგორც „შემოსავალი“. შეიძლება ითქვას, რომ საწარმოო ღირებულება შედგება „შრომითი“, „ბუნებრივი“ და „ტექნოლოგიური რენტისგან“. ამ წილებს შორის მიჯნა საკმაოდ განუსაზღვრელია. ეს უფრო მეტად სამი პოლარობაა. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ტყეში სოკოს აგროვებს, ხარჯავს ბუნებრივ რესურსებს სოკოების სახით; საკუთარ შრომას, როცა ის სოკოებს აგროვებს და კალათაში აწყობს და ტექნოლოგიურ რესურსებს რომელიმე „ინსტრუქციის“ სახით, რომლითაც საკვებად ვარგისი სოკო განირჩევა შხამიანისგან. ადამიანი სოკოების შეგროვების დროს იღებს რენტას ბუნებიდან, საკუთარი შრომიდან და ტექნოლოგიიდან.

მატერიალისტური ეკონომიკური თეორიით, ყველა ღირებულება წარმოიშობა შრომისგან. თუმცა ცხადია, რომ ქვეყანაზე არსებობს მრავალი სიმდიდრე, რომელთაც გააჩნია ღირებულება, მაგრამ ადამიანის შრომით წარმოებული არ არის. ეს არის ჰაერი, წყალი, მზის სინათლე და სხვა უამრავი ბუნებრივი რესურსი. მატერიალისტები ამტკიცებენ, რომ ბუნებრივ რესურსებს მაშინ მოაქვს რენტა, როდესაც ადამიანს შეუძლია ამ ბუნებრივი რესურსებისადმი მიმართოს თავისი შრომა.

მარქსო-სმიტისეული ეკონომიკა ამტკიცებს, რომ ყველა ღირებულება წარმოიშობა საწარმოო ღირებულებიდან ზედმეტი ღირებულების სახით, ხოლო ზედმეტი ღირებულებაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს შრომის წილი – „შრომითი რენტა“. ამიტომ, მარქსო-სმიტისეული თეორიის თანახმად, ნებისმიერი ღირებულება უნდა იზომებოდეს მის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაოდენობით.

ღირებულების შრომითი დანახარჯებით გაზომვის საწინააღმდეგოდ, ბიბლიაში, კერძოდ, მათეს სახარებაში არსებობს ასეთი იგავი ვენახში მომუშავეთა შესახებ: ვენახის პატრონმა დაიქირავა მომუშავეები – ერთნი დილით, მეორენი დღისით, ხოლო მესამენი – საღამოს. მაგრამ დღის ბოლოს ყველას გადაუხადა ერთნაირად: „ხოლო მან პასუხად უთხრა ერთ მათგანს: მეგობარო, უსამართლოდ არ მოგქცევივარ; განა ერთ დინარად არ მომირიგდი? მიიღე შენი და წადი; მე მინდა ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ. იქნებ ნება არა მაქვს, როგორც მსურს, ისე მოვიქცე? ან იქნებ შენი თვალთა უკეთური, იმიტომ რომ მე ვარ კეთილი?“ (მათე. 20:13-15).

ეს იგავი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ღირებულების შრომით თეორიას. ერთი შეხედვით, ის ეწინააღმდეგება კიდევ პავლეს აპოსტოლის სიტყვებს: „...თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ (მეორე თესალონიკელთა მიმართ, 3:10). მაგრამ ეს მცნება უარყოფს სიზარმაცეს და არაფრით უკავშირებს საკვების განაწილებას შრომის მიხედვით ქრისტიანულ თემში, ხოლო ანდაზა: „შრომის გარეშე თევზს ვერ ამოიყვან გუბურიდან“, მიუთითებს შრომის აუცილებლობაზე და არა თევზის ღირებულებაზე.

რა არის ადამიანის შრომა საერთოდ შექმნილ ზედმეტ ღირებულებასთან შედარებით. ამაზე მაცხოვარი ბრძანებს:

„შეხედეთ ცის ფრინველთ: არც თესავენ, არც მკიან, არც ბელღებს ავსებენ, და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ. ნუთუ თქვენ არა სჯობიხართ ფრინველთ? ან რომელ თქვენგანს ხელეწიფება, ბევრიც ეცადოს, თუნდ ერთი ცილით მოიმატოს სიმაღლე?“ (მათე 6:26).

ერთი მხრივ, შრომა არის მოქმედება, რომლისგანაც ადამიანი იღლება, მაშასადამე, შრომა „ტანჯავა“. მაგრამ, რადგანაც შრომა ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მისი არსებობა, იმავდროულად, შრომა მისთვის ზედმეტი ენერჯისგან გათავისუფლებაა, შვეების მომგვრელია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მისი გაყიდვა, მისი საქონლად გადაქცევა. დაეშვათ, ადამიანი დაავადდა და მას უნაზღაურდება შემწეობები ავადმყოფობაზე. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მისგან „შეისყიდება“ ავადმყოფობა ფულზე, ავადმყოფობა ადამიანთან რჩება. აგრეთვე, არ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ჰყიდის „შრომის“ სახელწოდებით თავის ჯანმრთელობას, რადგანაც სამუშაოზე ადამიანი თუ ხარჯავს თავის ჯანმრთელობას, იმავდროულად ის განიმტკიცებს მას.

თუ „საქონელს“ ვუწოდებთ სამუშაო დროს, რომელსაც ადამიანი მოსწყვეტს თავის ცხოვრებას და ცვლის ხელფასზე, „სამუშაო დროც“ არ შეიძლება ჩაითვალოს ღირებულების ობიექტურ საზომად, რადგანაც სიცოცხლის ხანგრძლივობა ადამიანებს სხვადასხვა აქვთ და თანაც, წინასწარ უცნობია. ამიტომ, ადამიანისთვის შესაძლებელია მხოლოდ დღე-ღამის ან კვირის განმავლობაში სამუშაო დროის ღირებულების

დათვლა. მაშასადამე, ადამიანისთვის ყველაზე უპრიანია გაცვალოს თავისი სამუშაო დრო, თუ ის არ იკავებს, ვთქვათ, 6 საათზე მეტს დღე-ღამეში, რადგანაც მას ამ დღე-ღამის განმავლობაში სჭირდება დასვენება და გართობა. თუ სამუშაო დრო დღე-ღამის ძალიან დიდ ნაწილს იკავებს, მაშინ ამგვარი სამუშაო დროის ერთი საათის ღირებულება ადამიანისთვის უფრო ძვირი ხდება. თუ სამუშაო დრო იკავებს დღე-ღამეში ორ-სამ საათს, მაშინ მისი ღირებულება ძალიან დაბალი, მცირე იქნება, ვინაიდან ადამიანი ისედაც ცდილობს რაიმეთი იყოს „დაკავებული“ (მისივე ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე) და არ „ძვირობს“ თავისი ასეთი მცირე სამუშაო დროით.

შრომა ამა თუ იმ ღირებულებაზე გავლენას ახდენს იქ, სადაც არსებობს საზოგადოებაში მისდამი პატივისცემა. მაგრამ შრომის ღირებულების შეფასების განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით, შრომა ყველაზე ნაკლებ შეეფარდება იმას, რომ იწოდებოდეს „საქონლად“.

Malkhaz Chikobava

ABOUT THE LABOUR THEORY OF COST FROM THE POINT OF VIEW OF CHRISTIAN RELIGION

SUMMARY

It is possible to tell, that industrial cost can consist of “the labour rent”, “the natural rent” and “the technological rent”. A side between these shares very uncertain. It is faster three polarities. For example: the person, collecting mushrooms in wood, spends: natural resources in the form of mushrooms, the work on their folding in a basket, and technological resources in the form of certain "instruction" on difference of good mushrooms from the poisonous. Also it is possible to tell, that the person at gathering of mushrooms receives the rent by nature, from the work, and from technology of the identification of edible fungi.

Work influences cost something only there where it is respected in a society. And even if the principle is declared in the state: “to everyone on work” actually the state tries to use a principle: “to everyone on requirements” which it for the citizen also defines. But in connection with uncertainty of estimation of cost of work, work less all approaches to being called as "goods".

ნუგზარ ცომაია

ბაზრის სტრუქტურის სრულყოფის საკითხები

ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის და, შესაბამისად, მოსახლეობის დონის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია

ბაზრის სტრუქტურის სრულყოფა და კონკურენტული ეკონომიკის ფორმირება. განვითარებული ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელი შეუწყოთ კონკურენციას ქვეყანაში და შეუქმნან ბარიერები მონოპოლიას და ოლიგოპოლიას. აშშ-ში პირველი ასეთი კანონი ჯერ კიდევ 1890 წელს შეიქმნა და ცნობილია შერმანის ანტიტრესტული კანონის სახელწოდებით. განსხვავებით განვითარებული ქვეყნებისაგან, საქართველოში, მართალია, ოფიციალურად აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა (საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი), მაგრამ, რეალურად, სრულიად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე – საერთოდ გაუქმდა კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ და მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტები და შემოღებულ იქნა კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, სადაც საერთოდ არაფერია ნათქვამი მონოპოლიებისა და მონოპოლიური საქმიანობის შესახებ. ამით კი, ფაქტობრივად ხდება ოლიგო და მონოპოლიების დაკანონება. ასე მაგალითად, რძის პროდუქტების ბაზარზე „სანტესა“ და „ეკო-ფუდს“ ბაზრის 45-45% უჭირავთ, ფარმაცევტულ ბაზარზე „ავერსისა“ და „პსპ“-ს წილად 40-40%-ია.

ინტერნეტპროვაიდერების ბაზარზე წმინდა მონოპოლიაა – ბაზრის 90%-ზე მეტი „კავკაზუს ონლაინს“ უჭირავს და ა.შ. ფაქტობრივად, მთელი ქართული ბაზარი მონოპოლიურ-ოლიგოპოლიურია.

მონოპოლიური კანონმდებლობის არქონა ქვეყანაში ნოყიერ ნიადაგს ქმნის მონოპოლიების მხრიდან ზღვარდაუდებელი ზემოეგებისადმი; 200 დოლარად ნაყიდი უკრაინული არმატურა 1500 დოლარად იყიდება საქართველოში, 1 თეთრად გამომუშაებული 1 კვტ-სთ 17 თეთრად მიეწოდება მოსახლეობას, საბაჟოზე წარდგენილ ინვოისებში დაფიქსირებული მედიკამენტები. საქართველოში დამზადებული მედიკამენტები 2-3-ჯერ უფრო იაფად იყიდება სომხეთსა და აზერბაიჯანში და ა.შ.

ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და, შესაბამისად, ბაზრის სტრუქტურის სრულყოფა საჭიროებს ღონისძიებათა ერთიან პაკეტს, რომელიც სისტემური ხასიათის და დროში გაწერილი უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, ხელახლა უნდა შეიქმნას კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, შესაბამისი ნორმატიული აქტებით და უნდა გამკაცრდეს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა – არც ერთ სამეურნეო სუბიექტს არ უნდა მიეცეს ბაზრის 20%-ზე მეტის დაუფლების უფლება (რაც სრულიად არ ნიშნავს ხელოვნურ ბარიერს მათი ზრდა-განვითარებისათვის, რადგან ნამეტი საქონელი და მომსახურება მათ შეეძლებათ გაიტანონ ექსპორტზე), მკაცრი სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაწესდეს იმ პირებზე, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან სხვადასხვა მონოპოლიურ მაქინაციებში. უნდა შეიქმნას აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან სრულიად

დამოუკიდებელი, საგამოძიებო ფუნქციებით აღჭურვილი ანტიმონოპოლიური საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ პარლამენტის წინაშე.

ვერც მკაცრი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და ვერც საგამოძიებო ფუნქციების მქონე ანტიმონოპოლიური საბჭო ვერ იქნება ქმედუნარიანი, თუ არ გადაწყდა მთავარი საკითხი – ეკონომიკის დეპოლიტიზაცია, მმართველი პარტიის გავლენის აღმოფხვრა ეკონომიკაზე, რადგან მთავარი მონოპოლისტები და ოლიგოპოლისტები „ნომენკლატურული ბიზნესით“ დაკავებული სახელმწიფო ჩინოვნიკები და მათთან დაახლოებული პირები არიან.

ეკონომიკის მონოპოლიზაციის კარგი საპირწონეა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. სამწუხაროდ, საქართველოში განვლილი ოცწლეულის მანძილზე და მრავალმილიარდიანი გრანტებისა თუ კრედიტების მიუხედავად, ვერა და ვერ შეიქმნა მყარად ფეხმოდგმული და რაოდენობრივად მრავალრიცხოვანი საშუალო ფენა – მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარი მანქანები. პროექტები, რომლებიც მცირე ბიზნესის კუთხით განხორციელდა, ძირითადად ფრაგმენტული და კამპანიური ხასიათის იყო, ყოველგვარ სისტემურობას მოკლებული. სწორედ მცირე ბიზნესის განვითარებლობაა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უმძიმესი სოციალური ფონისა, როცა განსხვავება მოსახლეობის ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ 10%-ს შორის ჩვენთან შეადგენს 50-ს, მაშინ როცა ევროპაში – მხოლოდ 4-ს, როცა საარსებო მინიმუმი ერთ სულზე 150 ლარია, პენსია კი – 90 ლარი.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დასაჩქარებლად აუცილებელია შედგავთიანი საბანკო დაკრედიტება – გრძელვადიანი და წლიური 5-10%-იანი, ასევე ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ლიზინგი, ფრანჩაიზინგი და კომპენსაციური გარიგებები. ესაა ის მექანიზმები, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს, დაიწყოს ბიზნესი მცირეოდენი საწყისი კაპიტალით და ძირითადი გადასახდელები გადაიხადოს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით.

დღეისათვის ეროვნული მარგულირებელი კომისიები დაფინანსების თვალსაზრისით მთლიანად დამოკიდებულნი არიან ამ სფეროებში მოღვაწე მსხვილ ფირმებზე, რაც არათანაბარ პირობებს ქმნის ამ სფეროებში კონკურენციის განვითარებისათვის. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია ამ კომისიების დაფინანსება თანაბრად, 50-50%-იანი წილით ხდებოდეს სახელმწიფოსა და კერძო ფირმების მიერ. ამასთან, რეგულირების საფასური კერძო ფირმებისათვის უნდა იყოს თანაბარი, ანუ ფიქსირებული და არ უნდა იყოს მიბმული მათ შემოსავლებზე. ასევე ენერგეტიკის მარგულირებელ კომისიას უნდა აღუდგეს გაზის სექტორში სატარიფო რეგულირების უფლება, რაც

კონკრეტულ რეგიონში მოღვაწე მონოპოლისტს არ მისცემს საშუალებას მომხმარებლის ხარჯზე მიიღოს ზემოკება.

Nugzar Tsomaia

THE ISSUES OF MARKET STRUCTURE IMPROVEMENT

SUMMARY

The vital attention is given to the competition security issue in the high-developed countries, as a pre-condition of the market economic development in order to improve social-economic development standards of the country.

It is necessary to take duly measures for the improvement of market structure and competition development. First of all antimonopoly legislation should be established and the criminal prosecution for the infringement of legislation.

It is important to create the independent execution body - anti-monopoly council which will be obliged to provide the information to the parliament and it is the most important to avoid the problem of interference on economy from the leading party and bureaucracy factor in business interrupts the competition development of the country.

ჯემალ ხარიტონაშვილი

პალეოლიბერალიზმი თუ ნეოლიბერალიზმი?

ლათ. იბერალის – თავისუფალი. ეკონომიკაში ესაა შესხედულებების ერთიანობა მეურნეობის ფუნქციონირებისა და ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპებზე, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს ფართო ჩარევის აუცილებლობას ეკონომიკურ ცხოვრებაში; მოძღვრება, რომელიც ამტკიცებს, რომ საუკეთესოა ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეკონომიკურ სუბიექტს აძლევს პირადი ინიციატივის თავისუფლების გარანტიას. ეკონომიკური ლიბერალიზმი სამ ძირითად პრინციპს ემყარება: კერძო საკუთრებას, როგორც ეკონომიკური ძალაუფლების იურიდიულ საფუძველს; თავისუფალ მეწარმეობას, როგორც ეკონომიკური პროგრესის გენერატორს; თავისუფალ კონკურენციას, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ მექანიზმს. ამასთან, სახელმწიფო უნდა აწესრიგებდეს ეკონომიკის საერთო განვითარებას და ეკონომიკურ კანონმდებლობას¹⁸⁷.

ეკონომიკური ლიბერალიზმის დოქტრინა ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეებში ფრანგი და ინგლისელი ეკონომისტების მეცადინეობით

¹⁸⁷ ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2005, გვ. 217, 366.

(მარკიზ დ'არჟანსონი, ლეჟანდრე, გურნე, ფიზიოკრატები, ა. სმითი, თ. მალთუსი, დ. რიკარდო, ჯ. ს. მილი, ჟ. ბ. სეი, ფ. ბასტია). აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ლიბერალიზმი გამოდიოდა პოლიტიკური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. იგი, უპირველესად, ნიშნავდა სახელმწიფო ხელისუფლების ძალის შემცირებას.

ეკონომიკური ლიბერალიზმის განვითარებაში გამოიყოფა ორი ეტაპი: ძველი (პალეო) და ახალი (ნეო) ლიბერალიზმი.

პალეოლიბერალიზმი გულისხმობდა ეკონომიკური ცხოვრების სრულ გათავისუფლებას სახელმწიფო რეგულირებისაგან. პალეოლიბერალური თეორია ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს „ღამის გუშავის“ როლს მიაკუთვნებდა. პალეოლიბერალურ თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია ადამ სმითის „უხილავი ხელის“ პრინციპს. ეს პრინციპი აცხადებს, რომ მხოლოდ პირადი ინტერესების გამოდევნებით თითოეული ადამიანი რაღაც უხილავი ხელით იმართება, საერთო დოვლათის საწარმოებლად. „უხილავი ხელის“ კონცეფცია ისაა, რომ ფორმების მიერ მოგების მაქსიმიზებას საზოგადოებრივი პროდუქტის ასეთივე მაქსიმიზება მოსდევს¹⁸⁸. როგორც ა. სმითი აღნიშნავდა: ყოველი ინდივიდი ცდილობს ისეთნაირად აამოქმედოს საკუთარი კაპიტალი, რომ მან მაქსიმალური მოგება მოიტანოს. ჩვეულებრივ, მას არა აქვს განზრახვა ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ ინტერესებზე და არ იცის რამდენად ზემოქმედებს იგი მათზე. ინდივიდი მიისწრაფვის მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და სარგებლობისაკენ და მას უხილავი ხელი წარმართავს, რათა ბოლოს და ბოლოს ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, რაც მის განზრახვაში არ შედიოდა. საკუთარი ინტერესების დაცვით იგი (ინდივიდი) ხშირ შემთხვევაში დიდად უწყობს ხელს საზოგადოების აყვავებას, ვიდრე იმ შემთხვევაში თუკი ამას შეგნებულად შეეცდებოდა¹⁸⁹.

საოჯახო მეურნეობები და ფორმები „უხილავი ხელის“ მეშვეობით ისეთ შედეგებს აღწევენ, რომელიც ხშირად ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას¹⁹⁰.

ა. სმითი „უხილავი ხელის“ პოლიტიკას „უნივერსალურ მექანიზმად“ მიიხსენებდა. მისი აზრით, იგი მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავს როლს ასრულებს საზოგადოებაში. მაგრამ

¹⁸⁸ კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ, ეკონომიკისი, ნაწილი I, თბ., 1993, გვ. 180.

¹⁸⁹ ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938, გვ. 189.

¹⁹⁰ ვრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008, გვ. 9.

ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციამ კაცობრიობის განვითარებაში მსოფლიო მიზიდულობის კანონის როლი მაინც ვერ შეასრულა¹⁹¹.

ადამ სმითის დროიდან მოყოლებული, საბაზრო ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა.

უხილავი ხელის დოქტრინა ისეთ მეურნეობას მიეკუთვნება, რომელზეც ყველა ბაზარი სრულყოფილი კონკურენციით ხასიათდება. არასრულყოფილი კონკურენციის არსებობისას ბაზრებს არ შეუძლიათ რესურსების ეფექტიანი განთავსება.

საბაზრო აქტივობის ნეგატიური შედეგების დაძლევა სახელმწიფოს მხრივ გარკვეული რეგულირების გარეშე შეუძლებელია¹⁹². ვინაიდან მრავალი მიზეზის გამო ეს „უხილავი ხელი“ ზოგჯერ არ მუშაობს. ეკონომისტები იყენებენ ტერმინს – საბაზრო ჩავარდნა, იმ სიტუაციის აღსანიშნავად, როდესაც ბაზარი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიან განაწილებას¹⁹³.

როგორც თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები პ. სამუელსონი და უ. ნორდჰაუსი აღნიშნავენ, „სმითის ვარაუდი საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ, დააფიქრებს თანამედროვე ეკონომისტებს, როგორც კაპიტალიზმის მომხრეებს, ასევე კრიტიკოსებს. მიუხედავად ამისა, კიდევ ორი საუკუნე გაივლის და გამოცდილების დაგროვებისა და დაფიქრების შემდეგ გამოვლინდება ამ დოქტრინის ჩარჩოები და პრაქტიკული შეზღუდვები. ჩვენ ვიცით, რომ ბაზარი ზოგჯერ ხელს უწყობს სიტუაციის გაუარესებას, რომ არსებობს „ბაზრის უსუსურობა“ და იგი ყოველთვის როდი იძლევა საუკეთესო შედეგებს. ბაზრის ერთ-ერთი უსუსურობა დაკავშირებულია მონოპოლიებსა და არასრულყოფილი კონკურენციის სხვა ფორმებთან. უხილავი ხელის სხვა შეცდომა წარმოიშობა ბაზრის გარშემო თანამდევნი, ანუ გარეშე ეფექტების არსებობასთან დაკავშირებით. დადებითი გარეშე ეფექტების, ისეთების, როგორიცაა სამეცნიერო აღმოჩენები და უარყოფითი თანამდევნი მოვლენების, ისეთების, როგორიცაა გარემოს დაბინძურება. ბაზრის გარეშე – ეკონომიკური ნაკლოვანებაა შემოსავლის ისეთი განაწილება რომელიც არახელსაყრელია პოლიტიკური ან ეთიკური თვალსაზრისით. თუკი არსებობს თუნდაც ერთი ელემენტი, ადამ სმითის დოქტრინა უხილავი ხელის შესახებ უკვე აღარ მუშაობს და მთავრობა შეიძლება ჩაერიოს, რათა „განაკურნოს“ დაავადებული „უხილავი ხელი“¹⁹⁴.

¹⁹¹ გრ. თოდუა, ადამ სმითი და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2000, გვ. 80.

¹⁹² იქვე.

¹⁹³ გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გვ. 11.

¹⁹⁴ პ. სამუელსონი, უ. ნორდჰაუსი, ეკონომისკი, ნაწილი I, თბ., 2000, გვ. 97.

ეკონომიკის ათი პრინციპიდან №6 პრინციპია „ბაზრები, როგორც წესი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების კარგი საშუალებაა“. „როგორც წესი“ ნიშნავს, რომ ყოველთვის არა. №7 პრინციპია – „მთავრობას ზოგჯერ შეუძლია ბაზრის ფუნქციონირების შედეგების გაუმჯობესება“.¹⁹⁵

XIX საუკუნის დასასრულს კაპიტალიზმის მზარდმა განვითარებამ აშშ და დასავლეთ ევროპის ინდუსტრიული ქვეყნები სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპის უარყოფამდე მიიყვანა. მთავრობებმა სულ უფრო მზარდი ეკონომიკური როლის შესრულება იწყეს მონოპოლიების რეგულირებით, გადასახადების აკრეფით, ხანდაზმულთა დახმარების უზრუნველყოფით და ა.შ.

XIX საუკუნის დამლევადან პოლიტიკოსები და ეკონომისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს ჩაურეველი ბაზარი არ არსებობს.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე „უხილავი ხელის“ დოქტრინა განავითარა კემბრიჯის სკოლის ფუძემდებელმა ალფრედ მარშალმა. მან სათავე დაუდო ნეოკლასიკურ მიმართულებას.

XX საუკუნის 30-იან წლებში ამერიკელმა ეკონომისტმა უოლტერ ლაამანმა ნეოკლასიკური იდეების ევოლუციის შედეგად ჩამოაყალიბა ნეოლიბერალური მოძღვრება. მან მოითხოვა ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ისეთი ფორმა, რომელიც თავისუფალი ბაზრის ფარგლებში უზრუნველყოფდა საბაზრო ეკონომიკას.

1936 წ. გამოქვეყნებულ წიგნში „თავისუფალი ადამიანების საზოგადოება და თავისუფალი ქალაქი“, უ. ლაამანმა წამოაყენა ახალი შეხედულება სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ. იგი რჩებოდა თავისუფალი მეწარმეობის პოზიციებზე, მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებლად თვლიდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას ისე, რომ ლიბერალური მეურნეობის ძირითადი პრინციპები ძალაში რჩება.

უ. ლაამანმა მოითხოვა ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ისეთი ფორმა, რომელიც თავისუფალი ბაზრის ფარგლებში უზრუნველყოფდა საბაზრო ეკონომიკას. მან დაინახა, რომ კაპიტალისტური ბაზარი, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისებისა და ომის დროს, თავისუფალი აღარ იყო. ძალთა თავისუფალი თამაში ბაზარზე – ბაზრის მექანიზმი დარღვეული იყო. უ. ლაამანმა მოითხოვა საბაზრო ეკონომიკისაკენ უკან დაბრუნება არა „ლესე ფერ“-ის პრინციპით, არამედ განსაზღვრული დოზითა და მასშტაბით სახელმწიფოს ჩარევით.

1938 წ. პარიზში ჩატარებული ლაამანის კოლოქვიუმის მონაწილე ნეოლიბერალების მიერ მიღებული „აგენდა“ შემდეგ პუნქტებს მოიცავს:

¹⁹⁵ გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008, გვ. 9, 10.

1. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს და დაიცვას ეკონომიკური განვითარების წესები და ჩარჩოები;
2. სახელმწიფომ არ უნდა გაატაროს ისეთი წესები, რომლებიც თავისუფალ კონკურენციასა და საბაზრო ეკონომიკას დაუპირისპირდება;
3. სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში აუცილებელია მაშინ, თუ დაირღვა მოთხოვნა-მიწოდების ელასტიკურობა, ე.ი. ბაზრის ავტომატიზმი. მას შემდეგ, რაც აღდგება ეკონომიკური წონასწორობა, საჭირო აღარაა სახელმწიფოს ჩარევა.

გერმანელი ნეოლიბერალის ა. მიულერ-არმარკის სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიაში წინა პლანზეა დაყენებული სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა რეფორმებისა და სოციალური ღონისძიებების გატარებისთვის.

გერმანელი ნეოლიბერალის ლუდვიგ ერჰარდის სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიაში სახელმწიფოს მიკუთვნებული აქვს არბიტრის როლი, რომელიც იცავს ეკონომიკური თამაშის წესებს და საქმეში ერევა მხოლოდ წესების დარღვევის შემთხვევაში. აღადგენს დარღვეულ წონასწორობას და შემდეგ თამაში დადგენილი წესებით მიმდინარეობს.

ახლა განვიხილოთ როგორია ამ საკითხისადმი მიდგომა დღევანდელ საქართველოსა და მსოფლიოში.

2009 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა, პრეზიდენტის წარდგინებით, მიიღო პროგრამა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკის სრულ ლიბერალიზაციას სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არგუმენტირებული იყო იმით, რომ მსოფლიოში მიმდინარე მძაფრი ეკონომიკური კრიზისი ნაკლებად შეეხო საქართველოს. ეს ნამდვილად ასეა.

პროფესორი ს. პავლიაშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა შედარებით ნაკლებად იგრძნობა, რაც გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკის დაბალი ინტეგრულობით მსოფლიო ეკონომიკაში. საქართველო წარმოდგენილია მსოფლიო ბაზარზე, როგორც იმპორტიორი ქვეყანა ვინაიდან იმპორტი თითქმის 5-ჯერ აღემატება ექსპორტს¹⁹⁶.”

ჩვენ გამოვიღვართ „მესამე პირების“ როლში და უპირატესად მოვიხმართ სხვა ქვეყნებში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას. ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გ. მენქიუ აღნიშნავს, რომ კრიზისი ზოგჯერ მომხმარებლის მდგომარეობას აუმჯობესებს. 2008 წ. ძირითადი პერიოდის განმავლობაში

¹⁹⁶ ს. პავლიაშვილი, საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გავლენა შედარებით ნაკლებად იგრძნობა, გაზ. „24 საათი“, №225. 18/X.2009, გვ. 5.

განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს თითქოს მხოლოდ უმნიშვნელოდ შეეხო განვითარებული დასავლეთის გასაჭირი¹⁹⁷.

გასულ წელს, როდესაც ადგილი ჰქონდა ფასების ვარდნას (ვთქვათ ნავთობპროდუქტებზე), ეს ჩვენთვის სასარგებლო იყო.

6 ოქტომბრის „ეკონომიკური თავისუფლების აქტში“ აღნიშნულია, რომ ჩვენ იღია ჭავჭავაძის გზას მიყვებით. ეს კარგია. თუმცა უნდა ითქვას, რომ იღია ჭავჭავაძე მიყვებოდა ა. სმითის პალეოლიბერალურ მოძღვრებას, რომელიც სრულ ლიბერალიზაციას გულისხმობს, მაგრამ გერმანელი ბიზნესმენის მესნერის პროექტის წინააღმდეგ გამოსვლის დროს მან დაიკავა პროტექციონისტული პოზიცია.

სრული ლიბერალიზაციის (პალეოლიბერალური) კურსის აღებიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ჩვენი მთავრობა მაინც ჩაერია, და კარგად ჩაერია, ეკონომიკაში. გადაისინჯა საიმპორტო ტარიფები. მანამდე საიმპორტო ტარიფი სამი რეჟიმით იყო წარმოდგენილი: 0%-იანი, 5%-იანი და 12%-იანი დაბეგვრა. დატოვებული იქნა 0%-იანი და 12%-იანი რეჟიმი, საქონელთა ერთი ნაწილი, რომელიც 5%-ით იბეგრებოდა, გათავისუფლდა დაბეგვრისაგან. ხოლო მეორე ნაწილი იბეგრება 12%-ით. ეს შესანიშნავი მიდგომაა. რომელიც საქონლის წარმოებას არ შეუძლია სამამულო წარმოებას, გათავისუფლდა დაბეგვრისაგან. ეს კარგია რათა არ შეიქმნას დეფიციტი. ხოლო ისეთი საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოების პერსპექტივა გააჩნია სამამულო წარმოებას, იბეგრება 12%-ით, რათა შეფერხდეს მათი შემოტანა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არა მარტო ნეოლიბერალური, პროტექციონისტულიც კი არის.

პროტექციონისტული იყო ჩარევა ბანკებისა და სამშენებლო კომპანიების საქმიანობაში სუბსიდირების გზით.

ჩემი პირადი რეკომენდაციაა: განხორციელდეს ნეოლიბერალური ჩარევა. სამამულო წარმოების ასადორძინებლად შეიძლება პროტექციონისტული ღონისძიებებიც შევაპაროთ.

მით უმეტეს რომ დღეს მსოფლიო წამყვანი სახელმწიფოები იძულებულნი არიან, ჩაერიონ ეკონომიკაში და არაპოპულარული პროტექციონიზმიც კი გაატარონ.

საფრანგეთის პრეზიდენტი ნ. სარკოზი აღნიშნავს, რომ „ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრახი განიცადა და საჭიროა სოციალური საბაზრო მოდელი“¹⁹⁸.

რობინ ბიუ აღნიშნავს, რომ 2008 წელს მთავრობებმა ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობა, დოჰას რაუნდში მიეღწიათ შეთანხმებისათვის

¹⁹⁷ რობინ ბიუ, შეიბნიეთ უსაფრთხოების ქამრები, მსოფლიო 2009 წ. The World in 2009, გვ. 11.

¹⁹⁸ The Economist, October II, 2008. p. 12 (ციტატა ე. მექვაბიშვილის სტატიიდან, იხ. ქ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, 2010, გვ. 23).

ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ. მოლაპარაკებები ჩაიშალა. ისედაც მყიფე მსოფლიო ეკონომიკას ახლა ყველაზე ნაკლებად პროტექციონიზმის აყვავება სჭირდება¹⁹⁹.

ედუარდ ქარი აღნიშნავს, რომ 2008 წ. უმართავი პანიკის შემდეგ ბრძოლა რეგულირების ირგვლივ გაიმართება. 2008 წელს ქვეყნების მარეგულირებელმა უწყებებმა ყოველდღიური ფინანსების წესები თავდაყირა დააყენა. სისტემის გადარჩენის მიზნით მათ შეამცირეს საპროცენტო განაკვეთები და გააფართოვეს გარანტიის ფორმები, მათ სახელმწიფო სახსრები ბანკების სამსახურში ჩააყენეს და გასცეს დეპოზიტების და კრედიტორების უსაფრთხოების გარანტიები. მათ ზურგი გაუმაგრეს ფულის ბაზრებს და პირდაპირ გასცეს სესხები კომპანიებზე. ფინანსების გადარჩენის შემდეგ ხალხი მოისურვებს ამ ბანკირების თავიანთ ადგილზე დაბრუნებას და საზოგადოებას დასჭირდება, კვლავ გააავლოს ხაზი მთავრობასა და ბაზარს შორის. მსხნელები ფართო რეგულაციის უფლებას მოითხოვენ, ხოლო გადარჩენილები ყველაფერს იღონებენ ამისგან თავის დასაძკრენად. დღესდღეობით იქნებ მრავალი ადამიანი აკრიტიკებდეს რეგულირებას და მეტისმეტად დუნეს უწოდებდეს. მაგრამ გახსოვდეთ, რომ რეგულირება შეიძლება იყოს ძვირი და სიმახინჯეების შემომტანი. ვინ დაზარალებდა თუ ფინანსები ცუდად იმუშავებს? დაზარალებებით უკლებლივ ყველანი²⁰⁰.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე რეგულირების აუცილებლობის შესახებ მსჯელობს პროფ. ე. მექვაბიშვილი.²⁰¹ იგი აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული სტადია ის ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომლებიც თანამედროვე პირობებში განსაზღვრავს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკურ როლსა და ფუნქციებს. ეკონომიკაში მისი ჩარევის საზღვრებს, მასშტაბებსა, ფორმებსა და მეთოდებს. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, ისე, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტი, კი არ ქრება, არამედ სახეცვლილებას განიცდის. თანამედროვე სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის მიღმა, ან ბაზრის ზევით, არამედ ორგანულადაა ჩაშენებული საბაზრო სისტემაში და წარმოადგენს საბაზრო ძალთა თამაშის უმნიშვნელოვანეს მონაწილეს, რომელიც პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესთა

¹⁹⁹ რობინ ბიუ, შეიბნიეთ უსაფრთხოების ქამრები, მსოფლიო 2009. თქვე ჰორლდ ინ 2009, გვ. 11.

²⁰⁰ ე. ქარი, წესრიგის დამყარება მეტი რეგულაცია, მსოფლიო 2009 წ. თქვე ჰორლდ ინ 2009, გვ. 14.

²⁰¹ ე. მექვაბიშვილი, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გლობალურ-ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისის პირობებში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი, №2, 2010, გვ. 21.

რეალიზაციაზე²⁰².

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა თავს იკავებდა სახელწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევაზე, მათ მაინც მოუწიათ იძულებითი ნაბიჯის გადადგმა.²⁰³

ჯონ მიქლზუეთი აღნიშნავს, რომ „კრიზისის პირობებში კონგრესიდან იქნება პროტექციონისტული მოთხოვნები აშშ-შიც“²⁰⁴. აკი აშშ კონგრესმა ამ მიზნით გამოყო 787 მლრდ დოლარი. იაპონიამ – 270 მლრდ დოლარი, გერმანიამ – 150 მლრდ.

გრეგ იბი დარწმუნებულია, რომ „ფისკალური და მონეტარული სფეროს მარეგულირებლები შეძლებენ ფინანსური კრიზისის შეჩერებას“²⁰⁵.

მეთიუ ბიპოპის მიხედვით, ფინანსურმა სისტემამ მაღალრისკიანი ოპერაციების წარმართვის გამო უზარმაზარი ვალი დააგროვა და თავი ისეთ მდგომარეობაში ჩაიგდო, რომ მხოლოდ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობების ფისკალური დახმარების წყალობით გადაურჩა სრულ კრახს²⁰⁶.

რობინ ბიუ მიუთითებს, რომ „უმუშევრობის ზრდა მთავრობებს მოტივაციას აძლევს, საკუთარი სკამის შენარჩუნების მიზნით პოპულისტურ პროტექციონიზმს მიმართონ“²⁰⁷.

უდავოა, საქართველომ შემოქმედებითად უნდა გამოიყენოს მსოფლიო გამოცდილება.

მაკროეკონომიკის სექცია

ნაწილი არევაძე

უმუშევრობა და სამუშაო ძალის კვლავწარმოების პრობლემები საქართველოში

²⁰² ე. მექვაბიშვილი, ეკონომიკური გლობალიზაციის მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009, გვ. 144.

²⁰³ ს. პავლიაშვილი, საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გავლენა შედაგებით ნაკლებად იგრძნობა, გაზ. “24 საათი”, №225, 18.10.2009, გვ. 15.

²⁰⁴ ჯ. მიქლზუეთი, ამერიკის ახალი იმედი, მსოფლიო 2009 წ. The World in 2009, გვ. 9.

²⁰⁵ გ. იბი, აირჩიე სცენარი, მსოფლიო 2009. The World in 2009, გვ. 55.

²⁰⁶ მ. ბიპოპი, ახლა კი ხანგრძლივადიანი პერსპექტივის შესახებ, მსოფლიო 2010 წ. The World in 2010, გვ. 10.

²⁰⁷ რ. ბრიუ, ცოტა ნელა, მსოფლიო 2010. The World in 2010, გვ. 14.

ის დიდი სტრუქტურული ძვრები, რომელიც თან სდევს ძველი ეკონომიკური სისტემის ნგრევასა და ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას, ყოველთვის განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებას. ამ პროცესმა განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩინა თავი პოსტკომუნისტურ საქართველოში, რომელიც განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის მრავალი მიზეზით. ყველაზე ცუდი ამ სიტუაციაში არის ის, რომ მდგომარეობა გაუმჯობესებას ძნელად ექვემდებარება და, შესაძლოა, უარესდება კიდევ, რაც, დასაქმებულთა შემდგომ რაოდენობრივ შემცირებასა და უმუშევართა ზრდაში გამოიხატება. უმუშევრობა კი, როგორც ცნობილია, არის ძალზე მძიმე სოციალური უბედურება, რომელიც ადამიანებს აიძულებს, იცხოვრონ უკიდურეს სიღარიბეში, უარი თქვან საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეც კი, იარსებონ მიზეზიერი, შემთხვევითი შემოსავლებით და იზრუნონ მხოლოდ ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზე. ამ ადამიანებს არა აქვთ ნორმალური დასაქმების პერსპექტივა, ანუ მაღალი შემოსავლებისა და უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობა.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ხასიათდება აგრეთვე იმ მოსახლეობის ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდით, რომლებიც არასრული სამუშაო დღით (სამუშაო კვირით) არიან დასაქმებულები, რამდენადაც წვრილი საწარმოები ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი საწარმოო დანახარჯების მინიმიზაციას ეკონომიით შრომით ანაზღაურებაზე. ასეთი პრაქტიკა აუარესებს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პირობებს, აქვეითებს მის ხარისხს.

გარდამავალ პერიოდში ნეგატიური ცვლილებები ხდება განათლების სფეროშიც. ოპტიმიზაციის საბაბით შემცირებული სკოლების (შესაბამისად, მოსწავლე ახალგაზრდების) შედეგად, იზრდება უწიგნურობა სასკოლო ასაკის ბავშვებში, რაც ხელს უწყობს სოციალური ფენის შემდგომ გაუარესებას, უმუშევრობის პრობლემის გაღრმავებას, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, საერთოდ და კონკურენტუნარიანობის ამადლებაში კერძოდ, გადამწყვეტი სწორედ კადრებია, მათი მოტივაციის ხარისხი და შრომის ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფს საკადრო პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. ახლა საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ადამიანურ რესურსებში სახსრების დაბანდება არა მხოლოდ აუცილებელი დანახარჯია, არამედ ორგანიზაციის განვითარებისა და ეკონომიკური წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაც.

სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში განსაკუთრებული როლი მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას,

კვალიფიკაციისა და სოციალურ-კულტურული დონის ამდლებას განეკუთვნება. საკადრო პოტენციალის ნორმალურ კვლავწარმოებას აუცილებლად ესაჭიროება მათ მიერ მატერიალური დოვლათისა და კულტურული ფასეულობების ისეთი დონით მოხმარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომაში დახარჯული ენერჯის არა მხოლოდ სრული აღდგენა, არამედ უნარების შემდგომი განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებისა და შრომის ბაზარზე არსებული კონკურენციის შესაბამისად.

საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე, როცა ქვეყანამ სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში თავისი მონაწილეობა მინიმუმამდე შეამცირა, შესამჩნევად გაუარესდა სამუშაო ძალის კვლავწარმოების პირობები რეალური ხელფასის რეფორმამდე პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირების გამო. მშრომელთა უმეტესობა ვეღარ მოიხმარს საჭირო რაოდენობისა და ხარისხის დოვლათს, მიუხედავად იმისა, რომ აღარ იგრძნობა არც სასურსათო და არც არანაირი საქონლის დეფიციტი, მაღაზიები და ბაზრობები საკვება (უპირატესად იმპორტული) პროდუქციით, მაგრამ ბევრისათვის მიუწვდომელია მაღალი ფასების გამო. თუ წინათ ფული ნადირობდა საქონელზე, ახლა საქონელი ნადირობს ფულზე. არის საქონელი, მაგრამ აღარ არის ფული, აღარ არის მყიდველი. ყოველივე ამის გავლენით უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობა, იზრდება სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებულთა რიცხოვნობა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, უმთავაღყოფრო ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი, სიკვდილიანობა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში. მით უმეტეს, რომ ჯანმრთელობის დაცვის საქმეშიც მდგომარეობა არ უმჯობესდება როგორც მატერიალური ბაზის გაუარესების, ისე, განსაკუთრებით მედიკამენტებზე ფასების ზრდის პირობებში. ასეთ ვითარებაში ადგილი აქვს ყველაზე კვალიფიციური, ახალგაზრდა და ჯანმრთელი კადრების (მეცნიერებიდან, მრეწველობიდან) მასიურ სწრაფვას უფრო მაღალშემოსავლიანი დარგებისაკენ და სულაც საზღვარგარეთ. სწორედ ამიტომ, სამუშაო ძალის რიცხოვნობა 2000 წლის 2 051 ათასი კაციდან 2008 წლისათვის 1 917,8 ათას კაცამდე შემცირდა, მომუშავეთა რაოდენობა 1 601,9 ათას კაცამდე, უმუშევრობის დონე კი 6,5%-ით ამდლდა ოფიციალური მონაცემებით, თუმცა ექსპერტები ბევრად უფრო მაღალ ციფრს ასახელებენ.

უნდა ითქვას იმაზეც, რომ გაძლიერებული მიგრაციისა და გაუარესებული დემოგრაფიული სიტუაციის პირობებში, როცა ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის ბუნებრივი გზით მატება თითქმის აღარ ხდება, მომავალში უფრო გართულდება საკმარისი რაოდენობის სამუშაო ძალისა და სათანადო კვალიფიკაციის მუშახელის შენარჩუნება, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს დღეს არსებულ სიტუაციას.

მაშასადამე, სახეზეა სამუშაო ძალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესების ტენდენცია.

Nanuli Arevadze

UNEMPLOYMENT AND THE PROBLEMS OF LABOR FORCE REPRODUCTION IN GEORGIA

SUMMARY

The article discusses principle causes of unemployment growth in able bodied population of the country. The attention is paid to the worsening of labor reproduction because of decrease of income and social background, stipulating the decrease of competitiveness of labor force and worsening the tendencies of its quantitative and qualitative indices.

მადონა გელაშვილი

პირითადი მაკროეკონომიკური ლოქტრინები

მაკროეკონომიკა, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მსგავსად, წარმოადგენს ინგლისური ეკონომიკური აზრის პროდუქტს. როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური მეცნიერება, იგი აღმოცენდა XXს-ის 30-იან წლებში. მაკროეკონომიკის, როგორც ცალკე ეკონომიკური დისციპლინის ჩამოყალიბებას და დაფუძნებას უკავშირებენ დიდი ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მ. კეინზის მოღვაწეობას (1893-1946), და უპირველეს ყოვლისა, მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორიის“ გამოქვეყნებას (1936).

მრავალი ეკონომისტის შეფასებით, მოცემულ ნაშრომში განვითარებული აზრი იყო გადატრიალება XX საუკუნის ეკონომიკაში. პირველი რეაქცია მეცნიერთა წრეში არაერთგვაროვანი იყო. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი პოლ სამუელსონი წერდა, რომ ეს არის „საშინლად დაწერილი წიგნი, ის ცუდად არის ორგანიზებული, აღსავსეა ილუზიებით და გაურკვევლობით... როდესაც მას ბოლოს და ბოლოს დასძლევ, ცხადი გახდება, რომ წიგნში წარმოდგენილი ანალიზი ნათელია და ახალი, მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის გენიოსის ნაღვაწი“.

მართლაც, მაკროეკონომიკა ძალზედ წინააღმდეგობრივი მეცნიერებაა, სადაც საკმაოდ სადავო თემაა ეროვნული მეურნეობის ფუნქციონირება მაკროდონეზე. ეს წინააღმდეგობები არსებობდა და ალბათ ყოველთვის იარსებებს, იმიტომ, რომ მსოფლიო ეკონომიკა საკმაოდ მრავალფეროვანია: სხვადასხვა ეკონომიკურ რეგიონებში

ეკონომიკური კანონზომიერებები სხვადასხვაგვარად ვლინდება, ის, რაც კარგია აშშ-თვის, სულაც ანომალიურია ჩინეთისათვის და მიუღებელი საქართველოსთვის ან პირიქით.

მეორეც – მსოფლიო ეკონომიკა არაერთგვაროვანია დროით ჭრილშიც. მსოფლიო ცივილიზაციისათვის დამახასიათებელია სხვადასხვაგვარი რხევები, რომლებიც ზემოქმედებს როგორც მთელ ეკონომიკურ სივრცეზე, ასევე მის ცალკეულ რეგიონებზეც. ეს ნაწილობრივ განმარტავს თუ რატომ შეცვალა 30-იან წლებში აშშ-ში ნეოკლასიკოსების დოქტრინა კეინზიანურმა, 70-იან წლებში კი – რატომ გაბატონდა მონეტარისტული იდეოლოგია.

მესამე – ცალკეული ეკონომიკური იდეოლოგია გარკვეული კლასის, სოციალური ჯგუფის მსოფლმხედველობას ასახავს, რომლებიც მმართველ ელიტას, საშუალო ან დაბალ ფენას წარმოადგენენ. სხვადასხვა სოციალური ფენის მსოფლმხედველობა კი ფრიად განსხვავებულია როგორც თვით ქვეყანაში, ასევე სხვადასხვა ქვეყნებშიც. ასე მაგალითად, XIX ს-ის მეორე ნახევარში თუ ინგლისური მმართველი ელიტისათვის კლასიკური სკოლა წარმოადგენდა ეკონომიკურ იდეოლოგიას, გერმანიისათვის, იაპონიისათვის ამ როლს ისტორიული სკოლა ასრულებდა. ამიტომ, რომელიმე ქვეყნის ეკონომიკური იდეოლოგიის გადმოტანა ქვეყნის ეროვნული სულის, მენტალიტეტის, კულტურის, ისტორიის გათვალისწინების გარეშე, საკმაოდ მცდარი იქნებოდა. მონეტარიზმის იდეა საკმაოდ კარგად მუშაობს აშშ-ისა და ევროპის ქვეყნებისათვის. ამავე დროს, საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას მიადწია ჩინეთმა, რომელმაც უარყო მოცემული იდეა და ქვეყანაში განახორციელეს რეფორმებს, დაფუძნებულს კეინზიანური, ინსტიტუციური და მონეტარისტული იდეოლოგიების სინთეზზე. რეალობაში, მხოლოდ ის ეკონომიკური დოქტრინა და იდეოლოგია არის მოცემული ქვეყნისათვის მისაღები, რომელიც ზუსტად არის შერჩეული დროის განსაზღვრული პერიოდისათვის და ზუსტად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას. საქართველოსათვის ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ამოცანას წარმოადგენს.

ეკონომიკურ თეორიაში, მრავალი მიმდინარეობის ფონზე, ჩვენ შევეცადეთ, განგვეხილა იმ ეკონომიკური აზრის სკოლები, რომლებიც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენენ თანამედროვე მაკროეკონომიკაზე. კამათის ძირითად საკითხს წარმოადგენს საბაზრო მექანიზმების ფუნქციონირება. კონკრეტულად კი, რამდენად ეფექტურად ან არაეფექტურად უზრუნველყოფს თანამედროვე საბაზრო მექანიზმები ძირითად მაკროეკონომიკურ მიზნებსა და ამოცანებს, რეალიზაციის შესაძლებლობებს. ამავდროულად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ განსხვავება ძირითადად სამ საკითხშია: 1) ფასების ელასტიკურობის

დონე; 2) ერთობლივი მიწოდების ელასტიკურობა და 3) მოლოდინის როლი ეკონომიკაში. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ფასების ელასტიკურობისა და ხელფასის დონე.

მემარჯვენე პოლიტიკოსები ემხრობიან იმ ეკონომისტების აზრს, რომლებიც თვლიან, რომ ფასები და ხელფასი შედარებით ელასტიკურია და ამიტომ ძირითად ემყარებიან საბაზრო მექანიზმებს. უმუშევრობა არაწონასწორულ მდგომარეობაში დროებითი, მოკლევადიანი გამოვლინებაა. ხანგრძლივპერიოდის უმუშევრობა კი განიხილება, როგორც „ბუნებრივი უმუშევრობა“. მათი აზრით, უმუშევრობის დაძლევისათვის აუცილებელია ბაზრისა და საბაზრო მექანიზმების თავისუფალი ქმედება: სამუშაო ძალისა და ფირმების სწრაფი რეაქცია მოთხოვნა-მიწოდების ცვლილებაზე დაანქარებს რა ინფორმაციის გავრცელებას სამუშაო ადგილების ვაკანსირების შესახებ, უზრუნველყოფს მის როგორც გეოგრაფიულ, ასევე პროფესიულ მობილურობას.

ზოგიერთი მემარჯვენე პოლიტიკოსები კი უშვებენ, რომ მოკლევადიან პერიოდში ხელფასი შეიძლება არც იყოს ელასტიკური, თუ პროფკავშირები შეეცდებიან, შეინარჩუნონ ხელფასის დონე წონასწორობის დონეზე უფრო მაღლა. ეს გამოიწვევს დასაქმების დონის შემცირებას განსაზღვრული დროის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში კი, პოლიტიკოსები მოითხოვენ პროფკავშირების საქმიანობის შეზღუდვას, რათა ლიკვიდირებულ იქნეს არაწონასწორული უმუშევრობა.

მემარცხენე პოლიტიკოსები ემხრობიან იმ ეკონომისტებს, რომლებიც უარყოფენ აზრს ხელფასისა და ფასების მაღალი ელასტიკურობის შესახებ. მათი აზრით, ბაზარს არ შეუძლია ავტომატურად აღმოეხერას უმუშევრობა და უზრუნველყოს წონასწორობის დონე. ამიტომ აუცილებელია ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს ჩარევა.

ერთობლივი მიწოდების ელასტიკურობა.

საკითხის არსი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ რეაგირებს ეროვნული წარმოება (ანუ ერთობლივი მიწოდება) და, შესაბამისად, დასაქმება ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებაზე.


მემარჯვენე ეკონომისტები თვლიან, რომ ერთობლივი მიწოდება (გარდა მოკლევადიანი პერიოდისა) არ რეაგირებს ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებაზე. იგი დამოკიდებულია წარმოების ფაქტორების მოცულობასა და მწარმოებლურობაზე და არა ერთობლივ მოთხოვნაზე, ანუ ერთობლივი მიწოდება არსებობს ერთობლივი მოთხოვნის გარეშე.



ამიტომ ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა გამოიწვევს მოთხოვნის ინფლაციას და არა დასაქმების გაზრდასა და ხანგრძლივპერიოდის ეკონომიკურ ზრდას. საწინააღმდეგო შემთხვევაშიც, ანუ ერთობლივი მოთხოვნის შემცირებისას, დაიწვეს მხოლოდ ფასების და არა წარმოების დონე, უმუშევრობის გაზრდაც მოსალოდნელი არ არის. აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფოს სურს მიაღწიოს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ერთობლივ მიწოდებაზე, წაახალისოს წარმოება, კონკურენცია და ბაზრის მექანიზმები. ამ მიდგომას სწორედ ამიტომ უწოდებენ “მიწოდების ეკონომიკას”. ამ იდეის მატარებლები არიან კლასიკოსები, ნეოკლასიკოსები, ლიბერალები (სმიტი, ჰაიეკი).

მარცხენა ფრთის ეკონომისტები კი თვლიან, რომ ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა იწვევს ერთობლივი მიწოდების გაზრდას, შესაბამისად კი უმუშევრობის შემცირებას. ეს პროცესი შეიძლება შენარჩუნდეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თუ სახელმწიფო შეძლებს შეინარჩუნოს მაღალი ერთობლივი მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია მდგომარეობს ერთობლივი მოთხოვნის კონტროლში. ამ მიმართულების ეკონომისტებს უწოდებენ “ერთობლივი მოთხოვნის” თეორეტიკოსებს. მათ რიცხვს განეკუთვნება კეინზი. კეინზის აზრით, ეფექტური ერთობლივი მოთხოვნა განსაზღვრავს დასაქმებას. დასაქმების გაზრდისა და უმუშევრობის შემცირებისათვის აუცილებელია ერთობლივი მომხმარებლობითი, ანუ ინვესტიციური მოთხოვნის გაზრდა. თუ კერძო სექტორის მოთხოვნა საკმარისი არ არის, მაშინ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს იგი. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ჩარევა ეკონომიკურ სფეროში.

კლასიკოსებისა და კეინზიანელების თეორიული დაპირისპირება გამოწვეულია ერთობლივი მიწოდების წარმოშობის მრავალფეროვანი ბუნებით.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე გამოსახულია ერთობლივი მიწოდების 3 სახე.





ნახ. 2 ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების ეკონომიკური შედეგები.

პირველ ნახაზზე ჩანს, რომ AD_1 -ის AD_2 -ზე გადაადგილებისას წარმოების მოცულობა არ იცვლება, იცვლება მხოლოდ ფასები. აქ ყველაფერი დამოკიდებულია ერთობლივ მიწოდებაზე. შემარჯვენე ეკონომისტები (ნეოკლასიკოსები, ახალი კლასიკოსები) თვლიან, რომ ერთობლივი მიწოდება ვერტიკალურია.

მეორე ნახაზზე AD_1 -იდან AD_2 -ზე გადაადგილებისას მუდმივია ფასები, წარმოების მოცულობა კი იცვლება. შემარცხენე ეკონომისტები (კეინზიანელები) თვლიან, რომ ერთობლივი მიწოდება ჰორიზონტალურია.

მესამე ნახაზზე ერთობლივი მიწოდება მრუდის ფორმისაა, ამიტომ, ერთობლივი მოთხოვნის გადაადგილების შემთხვევაში, იცვლება როგორც ფასები, ასევე წარმოების მოცულობაც.

განსაკუთრებული ადგილი ეკონომიკურ თეორიებში უკავიათ მონეტარისტებს. ერთი მხრივ, კლასიკოსების მსგავსად, ისინი, უარყოფენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას ერთობლივ მოთხოვნაზე

ზემოქმედების გზით, მაგრამ მეორე მხრივ, კლასიკოსებისაგან განსხვავებით, შესაძლებლად მიიჩნევენ სახელმწიფოს ჩარევას ფულად სექტორში (აქედან მომდინარეობს ამ მიმართულების სახელწოდებაც – მონეტარისტული). ამ პროცესს მონეტარისტები განიხილავენ, როგორც იძულებით არჩევანს, რადგან ისინი ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის წინააღმდეგნი არიან. ისინი არ იზიარებენ კეინზიანელების აზრს ერთობლივ მოთხოვნასა და დასაქმებას შორის ურთიერთკავშირის შესახებ და მიაჩნიათ, რომ მხოლოდ თავისუფალ ბაზარს ძალუძს შექმნას პირობები ხელფასისა და ფასების ელასტიკურობისათვის და, შესაბამისად, სრული დასაქმებისა და ხელფასის დონის შემცირებისათვის. ამდენად, უმუშევრობის დონის შემცირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ხელფასის დონის შემცირებისათვის პირობების შექმნა, ანუ, მონეტარისტების აზრით, არსებობს კავშირი დასაქმებასა და ფასების დონეს შორის.

მონეტარისტები თვლიან, რომ სახელმწიფო მოთხოვნის გაზრდა დადებით ეფექტს გამოიღებს მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, რადგან სახელმწიფო ხარჯების გაზრდა აუცილებლად გამოიწვევს გადასახადების გაზრდასაც, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედებს კერძო სექტორის მოთხოვნაზე. შედეგად, კერძო სექტორის მოთხოვნას ჩაენაცვლება სახელმწიფო მოთხოვნა, ჯამური ეფექტი კი შეიძლება სავალალოც გამოდგეს.

მოლოდინის როლი ეკონომიკაში.

შევეცადოთ გავარკვიოთ როგორ ზემოქმედებს მოლოდინი ქვეყნის ეკონომიკაზე.

მემარჯვენე ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური აგენტების მოლოდინი საკმაოდ სწრაფად და ადეკვატურად ერგება მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებს, ამავე დროს ხაზი ესმება მოლოდინის როლს ფასების ცვლილებაში. მაგალითად, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდის შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები ფასების ზრდის მოლოდინში იქნებიან. ამდენად, მუშები „მიხვდებიან“, შედარებით მაღალი ხელფასი გაბათილდება ფასების მატებით. ამიტომ დასაქმების ზრდის მიდრეკილება არ გაიზრდება. მეწარმეებისათვისაც გასაკებია იქნება, რომ ერთობლივი მოთხოვნის ზრდა მხოლოდ ილუზიაა, რადგან ისინი იძულებულნი იქნებიან გაზარდონ მხოლოდ ფასები და არა რეალიზაციის მოცულობა. აქედან გამომდინარე, ვერ გაიზრდება წარმოების მოცულობა და დასაქმებაც ძველ დონეზე დარჩება. ზუსტად ამ პოზიციებზე დგას ახალი მაკროეკონომიკური სკოლა, ანუ რაციონალური მოლოდინის თეორია.

მემარჯვენეთა შეხედულებების ოპონენტები კი თვლიან, რომ მოლოდინის ფორმირება უფრო რთული და არაერთგვაროვანი

პროცესია. ადამიანები ხშირად უშეგებენ შეცდომებს და მათი მოლოდინი ზოგჯერ არაადეკვატურად იცვლება ეკონომიკურ კონიუნქტურასთან შედარებით.

რაც შეეხება ახალ მაკროეკონომიკურ (ახალ კლასიკურ) სკოლას, იგი წარმოადგენს მაკროეკონომიკურ თეორიას, რომელიც განვითარდა გასული საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან. ამ თეორიამ ფაქტობრივად უარყო ნეოკლასიკური სინთეზის იდეა (50-იანი წლების თეორია, რომელიც აერთიანებს კლასიკურ და კეინზიანურ სკოლებს) და, აგრეთვე, მონეტარიზმის გარკვეული იდეები. რაციონალური მოლოდინის თეორიის წარმოშობასთან ერთად კი დაიწყო საუბარი „ახალი მაკროეკონომიკის“, როგორც ახალი მიმდინარეობის, წარმოშობის შესახებ, რაც გარკვეულწილად „მონეტარიზმის ახალ სახეს“ წარმოადგენდა.

ამ შემთხვევაში მთავარია განვასხვავოთ ერთმანეთისაგან „კლასიკური სკოლა“, „ნეოკლასიკური სკოლა“ და „ახალი ეკონომიკური სკოლა“ („ახალი მაკროეკონომიკა“). ამოსავალი წერტილი ამ სკოლებისა საერთოა, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებობს. „კლასიკური სკოლის“ ეკონომიკური აზრის სათავეში იდგნენ ა. სმიტი და დ. რიკარდო, ჟ.ბ.სეი – ეს მოიცავს XVII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისს. „ნეოკლასიკური სკოლის“ წარმოშობა უკავშირდება კლასიკოსების მემკვიდრეების სახელებს. კერძოდ ა. მარშალის შრომებს და მის მიმდევრებს, რომელთა მოღვაწეობის პერიოდი მოიცავს XIX ს-ის მეორე ნახევარს დღემდე.

ხშირ შემთხვევაში კლასიკურ სკოლაზე საუბრობისას გულისხმობენ მის დღევანდელ ნეოკლასიკურ მიმდინარეობას. აქ დიდი შეცდომა დაშვებული არ არის, მაგრამ მაინც მიუღებლად მიგვაჩნია „ნეოკლასიკოსებისა“ და „ახალი კლასიკოსების“ გაიგივება.

უკანასკნელის მიმდევრები ფაქტობრივად ორ ნაწილად არიან გაყოფილნი: ახალი ნეოკლასიკოსები და ახალი კეინზიანელები. პირველი მიმდინარეობის მიმდევრები არიან: რობერტ ჯ. ბარო, რობერტ გ. ლუკასი (უმცროსი), ტომას ჯ. სერჯენტი, ნეილ უოლესი. ახალი ნეოკლასიკური სკოლის თეორია ეყრდნობა ნეოკლასიკურ სკოლას ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სფეროში. ამავე დროს, მათ დაასაბუთეს და ბევრი მონეტარისტული იდეის მოდიფიკაცია განახორციელეს (ამიტომაც მათ უწოდებენ „მონეტარისტების ახალ მიმდინარეობას“).

ახალ კეინზიანელებში გამოირჩევა: სტენლი ფიშერი (დორბუშთან ერთად შექმნა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელო მაკროეკონომიკაში), ედმუნდ ს. ფელპსი და ჯონ გ. თეილორი. თავიანთ ნაშრომებში აღნიშნული ავტორები და მათი მიდგომები, ისევე როგორც, ახალი ნეოკლასიკოსები, გამოდიან რაციონალური მოლოდინის ფონიდან, მაგრამ ცდილობენ,

დაუკავშირონ იგი ორთოდოქსალ კეინზიანელებს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **გელაშვილი მ.** საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობა. თბ., 2005.
2. **Кейнс Дж.М.** Общая теория занятости, процента и денег. М., 1992.
3. **Blanchard O.** Macroeconomics. 2nd edition, Prentice Hall, 2000.

Madona Gelashvili

MAIN MACROECONOMIC DOCTRINS

SUMMARY

Like a classical political economy, macroeconomics is thought product of English economy. It's formation and establishment a separate economic discipline is connected, with a famous English economist John M. Keynes's work. The Economic discipline is very controversial science, where is sufficiently controversial topic - National Economies operating on Macro Level. This resistance exists and probably always will exist.

In this article, we tried to discuss economical schools that influence on modern Macro Economics. The main issue of debate is operation of market structure.

ნინო გრიგალაშვილი

საკრედიტო პოლიტიკა და მისი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სრულყოფის გზები

საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განაპირობებს კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობა და ლიკვიდობა. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან ფულად-საკრედიტო ურთიერთობები ბაზრის სუბიექტებს შორის კომერციული ბანკების უშუალო მონაწილეობით და შუამავლობით ხორციელდება.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის როლი მდგომარეობს საკრედიტო რესურსების ინვესტირებისა და აკუმულაციის პროცესში საბანკო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრაში, საკრედიტო პროცესის განვითარებასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაში. ამასთან ერთად, მაკროეკონომიკურ დონეზე ხაზი უნდა გაესვას საკრედიტო პოლიტიკის უდიდეს მნიშვნელობას ეროვნული შემოსავლის ფორმირების, განაწილების და გადანაწილების პროცესებში, ფულადი ბრუნვის დაგეგმვასა და რეგულირების ორგანიზაციაში, ხოლო მაკროეკონომიკურ დონეზე –

კონკრეტული ბანკის დონეზე – ბანკის სტაბილურობისა და საიმედოობის უზრუნველყოფაში, რენტაბელობასა და ლიკვიდობაში, კლიენტების მოთხოვნებთან მისი საქმიანობის ადეკვატურობაში.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა ბანკის კომპლექსურ დონისძიებებს მოიცავს, რომელთა მიზანს საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრედიტო რისკის შემცირება წარმოადგენს. ბანკები შეიმუშავენ საკრედიტო პოლიტიკას პირველ რიგში იმისათვის, რომ ის საშუალებას იძლევა ბანკსა და კლიენტებს შორის ფულადი სახსრების დაბრუნებითი მოძრაობის შესაბამისი ურთიერთდამოკიდებულება იქნეს რეგულირებული, მართული და რაციონალურად ორგანიზებული. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების პროცესში აუცილებელია საზოგადოების, სახელმწიფოს საბანკო სისტემის და კონკრეტული ბანკის განვითარების დონის გათვალისწინება. ასეთი მიდგომა ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთოდ მიღებული მიდგომიდან იმით გამოირჩევა, რომ, პირველ რიგში, აღნიშნული მიდგომა განიხილავს საკრედიტო პოლიტიკას ფართო გეგმით ბანკის კრედიტორისა და მსესხებლის პოზიციიდან, ხოლო მეორე მხრივ, გულისხმობს მაკრო და მიკროეკონომიკურ დონეზე პოლიტიკის გამოყენების შესწავლას. მაკროეკონომიკურ დონეზე, ქვეყნის ბანკების მიერ გატარებული პოლიტიკის მიზნად ითვლება საბანკო სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა და მდგრადი წინსვლითი ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფა.

საკრედიტო პოლიტიკა განიხილება, როგორც საბანკო პოლიტიკის ელემენტი, ამიტომ საკრედიტო პოლიტიკის მიზნები ორგანულ კავშირშია ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებთან, თანხმობაშია რა საბანკო პოლიტიკის მიზნებთან. კომერციული ბანკის საბანკო პოლიტიკასა და საკრედიტო პოლიტიკას აქვს საერთო მიზანი – მოგების მიღება მეანაბრეთა ფულადი საშუალებების განთავსებიდან, ასევე ბანკის დინამიური განვითარება მომსახურების სპექტრისა და მოცულობის გაზრდის მიმართულებით, რაც ბანკის მოგების ზრდისა და სტაბილურობის გარანტიას იძლევა. აქედან გამომდინარე, საკრედიტო პოლიტიკის მიზანია მოზიდული სახსრების ეფექტური განთავსებისათვის პირობების შექმნა, ბანკის მოგების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა (საკრედიტო ოპერაციებიდან შემოსავლების ზრდის და დეპოზიტური ოპერაციების მიხედვით ხარჯების შემცირების პროცესში, ასევე დაბალი ხარისხის კრედიტების მომსახურებაზე ხარჯები).

ამრიგად, ბანკის მიზნები შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ საჭიროა მათი განსხვავება საქმიანობის საერთო სტრატეგიული მიმართულებების და საერთო საბოლოო მიზნების/ამოცანების განვითარების მიხედვით. ბანკის განვითარების კონკრეტულ, კერძო

მიზნებში შეიძლება ჩართულ იქნეს მაგალითად, კერძო კლიენტებზე შეთავაზებული მომსახურების სექტორის განვითარება; კლიენტებთან მუშაობის გაუმჯობესება მაღალი შემოსავლებით და ა.შ.

კონკრეტული კომერციული ბანკის დონეზე მისი პოლიტიკა გამოიხატება სტრატეგიისა და ტაქტიკის სახით საბანკო ოპერაციებისა და მომსახურების განხორციელებისა და ორგანიზაციის სფეროში ბანკის რენტაბელობის, საიმედოობის და ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბანკის სტრატეგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მისი რეალიზაციის მიზანი და მეთოდები, ხოლო ტაქტიკა, როგორც მიზნის მიღწევა კონკრეტული სახსრების, ხერხებისა და მეთოდების მთლიანობა. სტრატეგია და ტაქტიკა ერთმანეთთან ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული. ტაქტიკა ითვლება სტრატეგიის ცხოვრებაში ხორცშესხმის კონკრეტულ საშუალებად. ამრიგად, სტრატეგიული მიზნებისა და ოპერაციული ამოცანების შეთანაწყოება, სტრატეგიული და მიმდინარე დაგეგმვა კომერციულ ბანკს საშუალებას აძლევს, აიცილოს თავის საქმიანობაში ყოველგვარი წარუმატებლობა, სრულად მოახდინოს თავისი ინტერესების რეალიზაცია კომერციის სამყაროში.

საკრედიტო პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სრულადაა ხორცშესხმული ბანკის სტრატეგიისა და ტაქტიკის ყოველ ეტაპზე შემუშავებული მიზანდასახულობანი. კლიენტების დაკრედიტების სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხების გადაწყვეტა განსაზღვრავს ბანკის, როგორც კომერციული საწარმოს, განვითარებაში საკრედიტო პოლიტიკის როლს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნები შეიძლება იყოს: საკრედიტო ბაზრის ანალიზი და მიზნობრივი ბაზრების განსაზღვრა საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მიზნით; მოგების მაქსიმიზაცია დაკრედიტების პროცესში და დეპოზიტებში სახსრების მოზიდვა; ბანკის სადეპოზიტო და საკრედიტო პორტფელების მართვის ოპტიმიზაცია; პრობლემური ვალების წილის შემცირება; ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნება კრედიტების (სესხების და ვალების) მართვის პოზიციით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ არ არსებობს ერთიანი (ერთნაირი) საკრედიტო პოლიტიკა ყველა ბანკისათვის. ყოველი კონკრეტული ბანკი განსაზღვრავს თავის საკუთარ საკრედიტო პოლიტიკას, ითვალისწინებს რა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ პოლიტიკას მისი ფუნქციონირების რეგიონში ან რაც უფრო მართებულია, ყურადღებას აპყრობს იმ გარე და შიდა რისკების ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ გავლენას მოცემული ბანკის მუშაობაზე. ბანკის ერთობლივი (მთლიანი) რისკი იზრდება, თუ ამ ბანკს არ აქვს საკუთარი საკრედიტო პოლიტიკა, ან აქვს დაბალი ხარისხის (ერთიერთსაწინააღმდეგო, არაკონკრეტული) საკრედიტო

პოლიტიკა ანდა ვერ შეძლო, კონკრეტულ შემსრულებლამდე დაეყვანა მისი ძირითადი დებულებები, რაც ეჭვქვეშ აყენებს საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის შესაძლებლობას.

საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისას ბანკები აანალიზებენ იმ ფაქტორების უმრავლესობას, რომელსაც უშუალო გავლენა აქვს მათ საქმიანობაზე. მათ შორის უნდა გამოიყოს მაკროეკონომიკური ფაქტორები – ყველა ბანკზე მოქმედი და მიკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც კონკრეტული ბანკის მუშაობაზე ახდენენ გავლენას.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა, ასევე იმ რეგიონის, რომელშიც ბანკი თავის საქმიანობას ავითარებს. ბანკის საკრედიტო პოლიტიკას დიდწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკა.

- კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც სიდიდე ბანკში მობილიზებული სახსრების, მინუს ლიკვიდურობის რეზერვი. კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული სავალდებულო რეზერვის ნორმასა და თვით ბანკის მიერ დამოუკიდებლად განსაზღვრული ლიკვიდურობის რეზერვის დონეზე. ყოველი კომერციული ბანკი ისწრაფის შექმნას ლიკვიდური სახსრების მინიმალური რეზერვი და უზრუნველყოს მაქსიმალური საკრედიტო პოტენციალი, თავისი ლიკვიდობიდან, საიმედოობიდან მომგებიანობიდან გამომდინარე. კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის დონე თავის მხრივ განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: ბანკში მობილიზებული სახსრების საერთო სიდიდე; დეპოზიტების სტრუქტურა და სტაბილურობა; ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების დონე; მიმდინარე რეზერვების გამოყენების რეჟიმი მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის; ბანკის ვალდებულებების საერთო ჯამი და სტრუქტურა.

საკრედიტო პოტენციალის სახსრების განაწილებაში საბანკო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სახსრების წყაროების სტრუქტურისა და ბანკის აქტივების შეთანაწყოების უზრუნველყოფა. საბანკო საქმიანობის სპეციფიკურობა და ფულადი ნაკადების დინამიკა ქმნის რეალურ შესაძლებლობას, ბანკისათვის განახორციელოს საკრედიტო პოტენციალის სახსრების სასწრაფო ტრანსფორმაცია, ე.ი. გასცეს სესხები საშუალოდ უფრო გრძელვადიანი, ვიდრე საკრედიტო პოტენციალის სახსრების ვადაა.

აყალიბებენ რა საკრედიტო პოლიტიკას, კომერციულმა ბანკებმა უნდა გაითვალისწინონ დეპოზიტების სტაბილურობა, დეპოზიტების სახეები და მათი ცვლილება. საკრედიტო რისკების შემცირებისათვის მიზანშეწონილია დეპოზიტების სტაბილურობის კოეფიციენტების

გამოთვლა მოცემული ბანკის საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარე და საჭიროა იხელმძღვანელონ მიღებული მონაცემებით დეპოზიტების აქტივებში განთავსებისას. მნიშვნელოვანია ასევე საპროცენტო რისკის გავლენის გათვალისწინება, რომლებიც წარმოიშობა დეპოზიტების ფორმირებისას.

საბოლოოდ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა ატარებს ობიექტურ საწყისს (ე.ი. ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ცენტრალური ბანკის ერთიან ფულად-საკრედიტო პოლიტიკას) და, ამასთან, ერთდროულად ის განისაზღვრება კომერციული ბანკის საკუთარი სტრატეგიისა და ტაქტიკით, ე.ი. თავის თავში ატარებს სუბიექტურ საწყისს, რაც საშუალებას აძლევს, განსაზღვროს არსობრივად საკრედიტო პოლიტიკის დუალისტური ბუნება, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი და ინდივიდუალური პოლიტიკის გამოხატულება. კომერციული ბანკის ობიექტური და სუბიექტური მიდგომების ერთიანობა საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების პროცესში საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული ყველა ის ფაქტორი (საშინაო და საგარეო), რომლებიც ზემოქმედებს კომერციული ბანკის საქმიანობაზე და რომლებიც განაპირობებენ მის პოლიტიკას, და, როგორც შედეგი, შემუშავდეს ბანკის უფრო მეტად რაციონალური, ოპტიმალური, ეფექტიანი საკრედიტო პოლიტიკა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონი. თბ., 1998.
2. www.nbg.gov.ge (ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, სებ, 2008).
3. www.geplac.org (2009 წ. ოქტომბერი).
4. მონეტარული და ფისკალური მიმოხილვა. 2009.
5. www.nbg.gov.ge (მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. № 126. იანვარი-აგვისტო, 2009).

Nino Grigalashvili

GREDIT POLICY AND WAYS OF IMPROVEMENT OF ITS REGULATORY MECHANIZMS

SUMMARY

Banking system is one of the most complicated and important field of the market economy, that is distinguished with development characteristics on transient stage and defines efficiency of whole economic system.

The role of credit policy of the bank is provided in determination of first-priority directions of development and improvement of the banking sector, development of credit process and increase of its efficacy during the investment and accumulation process of credit resources. Herewith, great importance of credit policy in the processes of formation, allocation and reallocation of national incomes, organization of planning and regulation of monetary turnover should be stressed on the macroeconomic level, and in provision of stability and reliance, profitability and liquidity, adequacy of its activities according to the demand of customers – on microeconomic level – on the level of specific bank.

Success of the credit policy is depended upon how the commitment developed on each stage of strategy and tactic of the bank is realized. Decision of strategic and tactical issues of crediting of the clients defines the role of credit policy in development of the bank as the commercial enterprise.

*გიორგი დევიძე
მიხეილ მოისწრაფიშვილი
თინათინ თავბერიძე*

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე გამოწვევები და საქართველოს სახელმწიფო საბანკანათლებლო პოლიტიკა

თანამედროვე პოსტინდუსტრიული განვითარების პირობებში ყოველი სახელმწიფო დგას ახალი გამოწვევების წინაშე. განვითარებადი სახელმწიფო შეძლებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას, თუ გაითვალისწინებს განვითარებული ქვეყნების მაგალითს და ამის საფუძველზე წარმატებით უპასუხებს არსებულ გამოწვევებს, რისთვისაც აუცილებელია ქვეყანას გააჩნდეს მძლავრი ტექნიკური ბაზა და ადამიანური რესურსი.

შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსებით სახელმწიფოს უზრუნველყოფს განათლების სისტემა, რომელიც მნიშვნელოვანია იყოს გამართული და ითვალისწინებდეს თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებს. ამის მისაღწევად საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩართვა განათლების სისტემის ფორმირებასა და რეგულირებაში და შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის საგანმანათლებლო პოლიტიკა. გამართული განათლების სისტემა

უზრუნველყოფს სახელმწიფოს მომარაგებას კვალიფიციური კადრებით, რაც ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამდენად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე და სწორედ ამისაკენ უნდა მიმართოს თავისი საგანმანათლებლო პოლიტიკა.

სახელმწიფო, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის ფორმირების მეშვეობით, ეწევა განათლების სისტემის რეგულირებასა და ოპტიმიზაციას. ძალიან მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პოლიტიკის სწორი კურსის განსაზღვრა, რაც ითვალისწინებს იმ მიმართულებების დადგენას, თუ საით უნდა წარიმართოს საგანმანათლებლო პოლიტიკა.

სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა გამოიხატება მის მიერ გატარებულ რეფორმებსა და ინიციატივებში. შესაბამისად, სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შეფასება შესაძლებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზის, სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებისა და ინიციატივების და მათ მიერ მოტანილი შედეგების ძირეული ანალიზითა და შესწავლით.

საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმატების მინიმალური პირობა იმის გაცნობიერებაა, რომ ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას აუცილებელია წინასწარი რისკების გათვლა, შეფასება, ანალოგიური და ალტერნატიული პოლიტიკების შესწავლა, ანალიზი, პილოტირება, დანერგვა, შედეგების შესწავლა. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნებისა და საერთო მიზნების მქონე გუნდის არსებობა.

ჩვენი კვლევის საგანი უმაღლესი განათლების სფეროა და სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას ამ მიმართულებით განვიხილავთ.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რამდენად შედეგიანია საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკა, საკმარისია რამდენიმე ყველაზე მასშტაბური რეფორმისა და ინიციატივის განხილვა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს უმაღლესი განათლების სფეროზე.

ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც გატარდა 1990-2009 წლებში. ისინი ახდენენ გავლენას უმაღლეს განათლებაზე და კარგად ასახავენ სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის მიმართულებებს, კერძოდ: 1. პროგრამა „ირმის ნახტომი“ – სკოლების კომპიუტერიზაცია; 2. მასწავლებელთა გადამზადების პროგრამა; 3. ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა და 4. საქართველოს ჩართვა ბოლონის პროცესში, რისი მიზანიც არის საქართველოს განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მოქცევის ხელშეწყობა.

სასკოლო განათლებას დიდი ზეგავლენა გააჩნია უმაღლესი განათლების სფეროზე. ამიტომ, სასკოლო განათლების სისტემაში

მომხდარი ცვლილებები, გატარებული რეფორმები და მათი შედეგები უმაღლესი განათლების სფეროზეც აისახება იმდენად, რამდენადაც სასკოლო განათლება ამზადებს ინდივიდს უმაღლესი საგანმანათლებლო სექტორისათვის. აქედან გამომდინარე, სასკოლო განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმები და ინიციატივები ემსახურება როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი განათლების სფეროს გაუმჯობესებას. ზემოაღნიშნული ღონისძიებებიდან სასკოლო განათლების სფეროში გატარებული რეფორმები ორი პროგრამის – „ირმის ნახტომისა“ და „მასწავლებელთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო სექტორის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. მათი განხორციელება დადებით შედეგებს მოუტანს უმაღლესი განათლების სფეროს.

„ირმის ნახტომი“ – სკოლების კომპიუტერიზაციის პროგრამა. იგი 2005 წელს დაიწყო და ინვესტიციების რაოდენობამ 2005-2006 წელს 13 მილიონი ლარი შეადგინა; 2005 წლის დასაწყისისათვის სკოლებში 125 მოსწავლეზე 1 კომპიუტერი მოდიოდა, ხოლო 2006 წლის ოქტომბრიდან თანაფარდობა 58:1 შეადგენდა; 2007 წლის აგვისტოს მონაცემებით, 665 სკოლაში 7 332 კომპიუტერი შეიტანეს; ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრეინინგი გაიარა 5 868 მოსწავლემ. ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფილია 224 საჯარო სკოლა.

„ირმის ნახტომის“ მიზანია, საქართველოს ყველა სკოლა უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტკავშირით, მოახდინოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრირება მთელ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა საგნების სწავლებაში. პროგრამის განხორციელების შემდეგ ქართველი მოსწავლეების 100% და პედაგოგების 70% დაეუფლება ძირითად კომპიუტერულ ჩვევებს, შეიქმნება ახალი სასწავლო კომპიუტერული პროგრამები, განხორციელდება ახალი სასკოლო პროექტები. „ირმის ნახტომის“ დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

ამჟამად თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია ყველა საჯარო სკოლა, ინტერნეტიზებულია ქალაქებისა და დაბების სკოლები, სადაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის ნახევარი სწავლობს.

მივიჩნევთ, რომ ეს წარმატებული პროექტია და სათანადო ტექნიკურ ბაზას ქმნის საერთო საგანმანათლებლო ღონის ამღლებსათვის. თანამედროვე გარემოში საზოგადოების ცხოვრებაში გლობალური საინფორმაციო ტექნოლოგიები დიდ როლს ასრულებს და ინდივიდს ნაკლებად აქვს წარმატების შანსი, თუ ის საკმარისად კარგად ვერ ფლობს გლობალურ საინფორმაციო ქსელში მუშაობის სპეციფიკას. ამიტომ, მნიშვნელოვანია მომავალმა თაობამ დროულად აითვისოს კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევა. დღესდღეობით,

მსოფლიოში შემუშავდა და დაინერგა სწავლების თანამედროვე მეთოდები და მიდგომები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელება შეუძლებელია კომპიუტერის გამოყენების გარეშე. თუ საქართველოს სურს არ ჩამორჩეს წარმატებულ ქვეყნებს აღნიშნულ სფეროში ინოვაციური პროცესების განხორციელებაში და აღზარდოს მსოფლიოს მასშტაბით კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, მან უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობა ინტერნეტის საფუძვლიანი ცოდნით. თუმცა, საჭირო და აუცილებელია პროგრამა განხორციელდეს ისე, რომ არ მოხდეს წიგნის სრული ჩანაცვლება და მოიძებნოს წიგნსა და კომპიუტერთან გატარებული დროის რაციონალური თანაფარდობა სწავლის პროცესში.

საგანმანათლებლო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მასწავლებელთა გადამზადება. ბუნებრივია, შეუძლებელია წარმატების მიღწევა როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების სექტორში მაღალკვალიფიციური პედაგოგების გარეშე. სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში, მასწავლებლები იძენენ ზოგადპროფესიულ კომპეტენციებს, რაც აუცილებელია მაღალი აკადემიური სტანდარტის მისაღწევად. პროგრამა ეხმარება მასწავლებლებს ეზიარონ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ცოდნას, დაეუფლონ სათანადო უნარ-ჩვევებს თანამედროვე მეთოდების შესაბამისად, რათა შეძლონ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სწავლების პირობებში. მასწავლებელთა გადამზადების საჭიროება გამოწვეულია სასწავლო დაწესებულებებში დასაქმებულ მასწავლებელთა გარკვეული რაოდენობის არასათანადო პროფესიული დონით და მათი კვალიფიკაციის შეუსაბამობით თანამედროვე მეთოდებთან. ასევე, ეს პროგრამა საშუალებას იძლევა, მოხდეს ყველა მასწავლებლის ერთიან სისტემაში მოქცევა და მათი შეფასების ერთიანი კრიტერიუმების დადგენა, რაც გააადვილებს შეფასებისა და კვალიფიკაციის დადგენის პროცესს.

2005-2006 წელს 10400 მასწავლებელი გადამზადდა. დასრულდა მასწავლებლების პროფესიული სტანდარტის შექმნის პროცესი, რომელშიც 31 სკოლის 713 მასწავლებელი, 930 მოსწავლე და 775 მშობელი მონაწილეობდა. პროგრამის შიგნით განხორციელდება მიზნობრივად მიმართული სწავლება, რომელიც ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გაფართოებაზე, არამედ სასკოლო პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების უნარის განვითარებაზე. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მასწავლებლები თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მეთოდებში.

მასწავლებლები დაეუფლებიან განვითარების, სწავლისა და განათლების თეორიებს, პედაგოგიკის კვლევის რიგ თანამედროვე მეთოდებსა და მათ გამოყენებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების

მიზნით, თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს, გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე ზოგად პრინციპებს და სასწავლო პროცესში მათ ეფექტურ გამოყენებას, პედაგოგიკის ეთიკურ და სამართლებრივ ასპექტებს და მათი სასკოლო ურთიერთობებში დანერგვის თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა არის საქართველოს განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი. ერთიანი ეროვნული გამოცდების რეფორმა არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რეფორმა. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პოლიტიკა მუდმივი დებატების საგანია თანამედროვე განათლების პოლიტიკაში. ვფიქრობთ, რომ მას შემდეგ, რაც მისაღები გამოცდების 2004 წელს დაწესებულმა რეფორმამ მიაღწია მთავარ დასახულ მიზანს (ანუ კორუფციის აღმოფხვრას უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს), საქართველოს განათლების სისტემა მომწიფდა იმისთვის, რომ სხვა გამოწვევებზეც ვიფიქროთ და უმაღლეს სასწავლებლებში მიღების უფრო ეფექტიანი სისტემა შევქმნათ.

2004 წელს საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარების ახალი სისტემა იქნა წარმოდგენილი. რეფორმამდე მისაღები გამოცდების ადმინისტრირებას მოდიანად უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებდნენ. 2005 წლიდან ამუშავდა ახალი სტანდარტული და ზოგადი უნარების ტესტირებაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა. რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოში, რომლის მიხედვით ყოველი აბიტურიენტი ვალდებული იყო ჩაებარებინა სამი აუცილებელი ტესტი ქართულ ენაში, ზოგად უნარებსა და უცხო ენაში. მოგვიანებით დაემატა მეოთხე არჩევითი საგანი. უმაღლეს სასწავლებელს ან კონკრეტულ ფაკულტეტებს შეეძლოთ დამატებით მოეთხოვათ აბიტურიენტებისთვის მეოთხე საგნის ჩაბარება. სულ ახლახან კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. კერძოდ: 1. მისაღებ გამოცდებზე 4 სავალდებულო საგანი იქნება ჩასაბარებელი. ამჟამად არსებულ 3 სავალდებულო საგანს დაემატება 7 საგნიდან ასარჩევი 1 სავალდებულო საგანი; 2. მე-12 კლასის სასწავლო პროგრამას დაემატება ახალი სასწავლო კურსი ზოგადი უნარების სახით; 3. არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები ჩააბარებენ მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდას და მათთვის ცალკე კვორტები გამოიყოფა უმაღლეს სასწავლებლებში.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძირითადად შემდეგი არგუმენტებით იყო წარმოდგენილი: 1) ყველა აბიტურიენტი იქნება თანაბარ პირობებში – ცვლილების შემდეგ ყველა აბიტურიენტი ჩააბარებს ოთხ გამოცდას; 2) მეოთხე გამოცდის დამატება ხელს შეუწყობს აბიტურიენტების ცოდნის ამაღლებას და შედეგად, უმაღლესი სასწავლებლები მიიღებენ

უფრო მცოდნე სტუდენტებს; 3) მეოთხე საგნის დამატება გაზრდის სკოლის როლს, რადგან მოსწავლეები მეტ ყურადღებას დაუთმობენ სასკოლო განათლებას გაზრდილი მოთხოვნების პირობებში; 4) თავიდან იქნება აცილებული სტუდენტების მობილობის არასასურველი თანმდევი შედეგები.

აღნიშნული გადაწყვეტილების პოზიტიურ თუ ნეგატიურ პრაქტიკულ შედეგებს მისი იმპლემენტაციის პროცესი გამოაჩენს. დღეისათვის აღსანიშნავია, რომ ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა აამაღლა მოთხოვნები სასკოლო ცოდნის დონისადმი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სკოლათა უმრავლესობა ვერ პასუხობს ამ მოთხოვნებს და წინა პლანზე წამოიწია რეკეტივობა ინსტიტუტმა.

ზოგადად, შესაძლებელია ეროვნული გამოცდებით გამოწვეული ცვლილებების თეორიულად გაანალიზება გარკვეული კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, სოციალური სამართლიანობა და ინსენტივების შექმნა.

1) სოციალური სამართლიანობა არის უმაღლესი განათლების მისაღები სისტემის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. ამ თვალსაზრისით, თუ კომპლექსურად განვიხილავთ მიღებულ გადაწყვეტილებას, გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია ეთნიკური უმცირესობებთან მიმართებაში, რომლებიც კვოტირების შედეგად მოხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა თანაბარ პირობებში იქნება, ანუ ყველა ოთხ გამოცდას ჩააბარებს;

2) ინსენტივების შექმნა გულისხმობს როგორც ზოგადი განათლების, აგრეთვე უმაღლესი განათლების დაწესებულებების სტიმულირებას განათლების ხარისხის გაზრდასთან მიმართებაში და მათი როლის ზრდას უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პროცესში. გადაწყვეტილების ავტორებისა და მომხრეების აზრით, აღნიშნული ცვლილებების შედეგად უმაღლესი სასწავლებლები მიიღებენ უფრო მომზადებულ აკადემიურ კადრებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებას.

კვლევებსა და ანალიზზე დაყრდნობით იკვეთება 3 ძირითადი მიმართულება, რაც საერთოა მისაღები გამოცდების სისტემებისთვის: ა) სტუდენტთა რაოდენობის ზრდამ ხარისხის საკითხი მკვეთრად აქტუალური გახადა როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე საშუალო სკოლის საფეხურზეც; ბ) თანდათან მკვიდრდება ტენდენცია, რომ მისაღები გამოცდები ემყარებოდეს რამდენიმე კომპონენტს და არა მხოლოდ შეფასების ერთ ინსტრუმენტს; გ) ზოგად განათლებას და უმაღლეს განათლებას შორის კავშირი იყოს უფრო გამოკვეთილია.

აღნიშნული ტენდენციების და საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის სისტემის რეფორმირებაზე მსჯელობა.

აღნიშნული გამოცდები მთლიანად უნდა იყოს მიბმული სასწავლო გეგმაზე და მასში გაწერილ უნარებზე და მისი ადმინისტრირება უნდა მოხდეს სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ (შესაძლებელია განხორციელდეს გამოცდების ცენტრის მიერაც, თუ შეფასების კომპონენტი დაბრუნდება გამოცდების ცენტრის კომპეტენციაში); აღნიშნული სისტემის რეალიზება ხელს შეუწყობს სკოლის როლის ზრდას და, რეპეტიტორთა ინსტიტუტის შესუსტებას, რადგან შეუძლებელი იქნება ყველა საგანში მომზადება და შესაბამისად, სასკოლო განათლებას მიენიჭება უპირატესი მნიშვნელობა. რადგან:

ა) სკოლებში არსებული სწავლების დაბალმა ხარისხმა და რეპეტიტორობის ინსტიტუტის შესუსტებამ შეიძლება გამოიწვიოს უკუპროცესი და მოსწავლეებმა კარგი ცოდნა და განათლება ვეღარ მიიღონ ვერც სკოლაში და ვეღარც რეპეტიტორთან. აღნიშნული საფრთხის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია სკოლების აკრედიტაციის სისტემის დროულად და ეფექტიანად ამუშავება.

ბ) სხვადასხვა სკოლებში სწავლების სხვადასხვა დონე შეიძლება საფრთხედ იქცეს უნარიანი მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით რეგიონებში. მიუხედავად მათი უნარისა, მათ სკოლის გამო ვერ შეძლენ მაღალი შეფასებების მიღება, ხოლო სკოლის არჩევანი მათ პრაქტიკულად არ აქვთ.

ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა **საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა**. ამ მიზანს ემსახურება **საქართველოს ჩართვა ბოლონიის პროცესში**, რაც ქვეყანას ეხმარება საერთაშორისო სტანდარტების გაზიარებასა და თანამედროვე გამოწვევების დაკმაყოფილებაში.

2005 წლის მაისში, ბერგენის მინისტრიალზე საქართველო მიუერთდა ბოლონიის პროცესს. როგორც ამ პროცესის მონაწილე, საქართველო იზიარებს მის პრინციპებს, მიზნებს და ვალდებულებას იღებს დაიცვას ბოლონიის პროცესის პრიორიტეტები უმაღლესი განათლების სფეროში. ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს და ამიტომაც მან უნდა ითამაშოს გადაამწყვეტი როლი ბოლონიის პროცესის მექანიზმების გამოყენებაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში. დღესდღეობით კვალიფიციური კადრების ნაკლებობა არ არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არ არის შესაბამისად განვითარებული. ევროპის განვითარებული ქვეყნების უმაღლესი განათლების დაწესებულებების დახმარებას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში, გადაამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ აღნიშნული პრობლემის დაძლევაში.

თუმცა, მნიშვნელოვანია ამ პროცესის განხორციელებისას არ მოხდეს ეროვნული ფასეულობების დაკნინება და თავიდან იქნეს აცილებული საქართველოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური საფრთხეები.

ბოლო დროს საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები და გაუქმებული ინიციატივები ამკვიდრებს ქვეყანაში იმ პრინციპებს, რა პრინციპებითაც ხელმძღვანელობენ და დიდ წარმატებასაც აღწევენ განვითარებული ქვეყნები. მნიშვნელოვანია არ მოხდეს აღებული კურსიდან გადახვევა და ქვეყნის განათლების სისტემის გაუმჯობესების პროცესი მივიყვანოთ ბოლომდე. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა მოცემულ სფეროში განვითარებული ქვეყნების მანქნებლებს მიაღწიოს, რაც 90-იან წლებში ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის სავალალო მდგომარეობით არისგამოწვეული.

ამრიგად, დღეს მოქმედი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, საბოლოო ანგარიშით, მიმართულია საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებისაკენ, რის შედეგად ქვეყანამ თავად უნდა აღზარდოს მაღალი კვალიფიკაციის, თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებთან ადაპტირებული სპეციალისტი, რაც გახდება ქვეყნის განვითარების და წინსვლის საწინდარი.

თუმცა, ჩვენი აზრით, საჭიროა საქართველოს განათლების სისტემის დახვეწა და მოქნილობის გაზრდა, რაც შესაძლებელია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციური სწავლების მეთოდის დანერგვით.

დისტანციური სწავლება – სწავლების სახეა, რომელიც ხორციელდება შორ მანძილზე საკომუნიკაციო საშუალებების (რადიო, ტელევიზია, მიმოწერა, კომპიუტერი ან ვიდეო) მეშვეობით. ვინაიდან დაუსწრებელი სწავლების ფორმა გაუქმებულია, ამასთან, სულ უფრო ბევრ ახალგაზრდას სურს უმაღლესი განათლების მიღება, ზოგიერთს კი წარმოებიდან მოუწყვეტილად, ამის მიღწევა შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებელში დისტანციური სწავლების ფორმის დანერგვით. აღნიშნული კომპიუტერული პროგრამა სტუდენტს აწვდის იმდენად ღრმა და ვრცელ ინფორმაციას, გამდიდრებულს ეფექტური თვალსაჩინოებით, რაც მიუწვდომელია სწავლების ტრადიციული მეთოდისათვის. იგი მკვეთრად აფართოებს სწავლების შესაძლებლობებს. დისტანციური სწავლება არის ცოდნის მიღების ახალი მეთოდი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით: ტელეკომუნიკაცია, ტელევიზია, მულტიმედია, სატელიტური არხებით მონაცემთა გადაცემა და კომპიუტერული ქსელები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ყორღანაშვილი ლ. ინტელექტუალური კაპიტალი და ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემა, თბ., 2004
2. ზოგადი განათლება – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – <http://naec.ge/>, <http://mes.gov.ge/>

George Davidze

Mikheil Moistsrafishvili

Tinatin Tavberdize

MODERN ECONOMIC DEVELOPMENT CHALLENGES AND GEORGIA'S STATE EDUCATIONAL POLICY

SUMMARY

The article explores modern economic development challenges and Georgia's state educational policy. It discusses the reforms of 1990-2000 years, their goals and outcomes, which mainly correspond with each other. It means that the actions taken by the government proved to be effective. However, the shortcomings should also be considered, as they can considerably harm the educational system and the development of the country, as a whole. It is necessary that Georgia foresee the innovation advances and challenges of the modern world, which can promote integration into the international educational space. As a conclusion, the authors indicate that Georgia will have to make a great effort to reach the indicators of the developed countries in this field. The reason for this is the hard situation in the 1990s educational system of the country.

ლია დვალიშვილი

სოციალური პრობლემები, მათი გლობალური ხასიათი და საქართველო

ბრძოლა ძალაუფლებისათვის, წინააღმდეგობანი და კრიზისები კაცობრიობის განვითარების მთელ ისტორიას თან ახლავს, თუმცა, იმისათვის, რომ მათ ნიადაგზე გლობალური პრობლემები წარმოშობილიყო, საჭირო იყო, პირველ რიგში, მათი გაზრდა პლანეტარულ მასშტაბებამდე და, მეორე, მათი, როგორც გადასაწყვეტი პრობლემების გაცნობიერება მსოფლიო თანამეგობრობის მიერ.

სოციალური უთანაბრობა ობიექტურად მრავალი ფაქტორით ჩნდება. თავად ბუნება დებს ადამიანებში ამ უთანაბრობის საფუძვლებს, მაგ., სოციოლოგთა აზრით, ადამიანთა მხოლოდ 15%-ს გააჩნია კერძო მეწარმეობის უნარი და მზადაა თავის თავზე აიღოს მასთან დაკავშირებული რისკი. მოსახლეობის კიდევ უფრო ნაკლებ პროცენტს ძალუპს სისტემური პროგრამირება.

ადამიანს დაბადებისას უკვე გააჩნია სრულიად განსხვავებული ბუნებრივი და სოციალური მდგომარეობა. შემდეგ ეს ვლინდება სხვადასხვაგვარ აღზრდაში, განათლებასა და კვალიფიკაციაში, რომლებიც უკვე არსებულ ქონებრივ უთანასწორობას აძლიერებს.

ამგვარად, ხალხი იმთავითვე უთანასწორო და შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავებულ პირობებში იწყებს ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლას. ადამიანთა შრომას ანაზღაურებენ სხვადასხვაგვარად, რადგან მათი ტალანტი სხვადასხვანაირია, იმიტომ, რომ მათ უთანაბრო ინვესტიციები გააკეთეს თავის კვალიფიკაციებში; იმიტომ, რომ ისინი ერთნაირად არ არიან დაინტერესებულნი თავისი დრო და ყურადღება დაუთმონ სამუშაოს, ვინაიდან მათ არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ მათ ერთნაირად არ უმართლებთ.

თანამედროვე მსოფლიოში უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებამ შეცვალა ადამიანის როგორც კეთილდღეობის დონე, ისე მისი სოციალური მდგომარეობა საზოგადოებაში.

მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდით არსებობს ისეთი სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობა სიღარიბის ზღვარზეა. მათი დღიური შემოსავალი ერთ სულზე 2 დოლარია, ზოგის კი 1 დოლარზე ნაკლები. არსებობს ქვეყნები რომლებისთვის მუდმივი თანამგზავრია შიმშილი, სასმელი წყლისა და სანიტარული კეთილმოწყობის უქონლობა, სიცოცხლის ხანგრძლივობის დაბალი მაჩვენებელი, ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალი დონე, საშუალებების არარსებობა, ისარგებლოს ჯანდაცვის მისაღები სისტემით და ა.შ. დღეს მსოფლიოში 2,5 მილიარდზე მეტი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

ქონებრივი უთანასწორობა დროთა განმავლობაში მუდმივად იზრდება. მარტო აშშ-ში მილიარდელთა რიცხვი 1982 წელს 13 კაციდან 2007 წლისათვის 380-მდე გაიზარდა, მას შემდეგ კიდევ უფრო მეტად.

გაეროს 1999 წლის მსოფლიო განვითარების შესახებ მოხსენების თანახმად, მსოფლიოში სამი ყველაზე მდიდარი ადამიანი ფლობდა საშუალებებს, რომელიც 48 უღარიბესი განვითარებადი ქვეყნის ერთობლივ მშპ-ს აჭარბებდა; პლანეტის 15 უმდიდრესი ადამიანი ფლობდა იმაზე მეტ ქონებას, ვიდრე მთელი აფრიკული ქვეყნების მშპ, რომლებიც განლაგებულია საჰარიდან სამხრეთით; დედამიწის 84 უმდიდრესი ადამიანის ქონება აჭარბებდა ჩინეთის მშპ-ს, მისი 1,3 მილიარდიანი მოსახლეობით.

2000 წელს მსოფლიო მოსახლეობის უმდიდრესმა ერთმა მესუთედმა მსოფლიო შემოსავლის 86% მიიღო, ხოლო უღარიბესმა მესუთედმა ნაწილმა – მხოლოდ 1,3%. 1,3 მლნ ადამიანზე მეტი იძულებულია, იარსებოს დღეში 1 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით.

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა თითქმის ყველა ქვეყანაში შეამცირა მოსახლეობის ცხოვრების დონე და გაზარდა ღარიბების და დატაკების რიცხვი. მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპებმა ისეთ ნიშნულს მიაღწია, რომ მათმა შემდგომმა მატებამ, შესაძლებელია, კაცობრიობა ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებისა და რესურსული უკმარისობის პრობლემის წინაშე დააყენოს.

გლობალიზაციის პროცესი შეიჭრა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, რომელსაც, პოზიტიურთან ერთად, თან დაერთო ნეგატიური მოვლენებიც.

დაავადებათა გავრცელების პრობლემებმა და მათთან ბრძოლამ ასევე გლობალური ხასიათი შეიძინა. მაგრამ მარტო ინფექციები როდი გახდა გლობალური. მეგაეკონომიკამ სასიცოცხლო პირობების და მრავალ დაავადებათა მიზეზის მსგავსება დაბადა მთელ მსოფლიოში. პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში არსებობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების მსგავსი სტრესული მიზეზები, მსგავსი წანამძღვრები ფსიქიკურ დაავადებათა და ნარკომანიის გასავრცელებლად. ამიტომ ყველა დაავადებას თანამედროვე მსოფლიოში გლობალურად უნდა ვებრძოდ. გლობალურ საფრთხეებს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადეკვატური პასუხები.

თანამედროვეობის მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა გახდა ბიზნესის მანევრე ზეგავლენა გარემოზე. ბიზნესის ეთიკური ნორმები განსაკუთრებულად ამ სფეროში უნდა აისახოს, რათა ნაკლები ვნება მიადგეს გარემოს. გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება. ზემოგების მიღების მიზნით, კომპანიები არღვევენ ეკოლოგიურ წონასწორობას.

ქვეყნის მასშტაბით ყველა ეკონომიკური პრობლემა, საბოლოოდ, უმუშევარი ადამიანების ზრდით აისახება. უმუშევრობა თანამედროვეობის ძირითადი სოციალური პრობლემაა. მიუხედავად იმისა, რომ ის საბაზრო ეკონომიკის თანმდევია ეფექტია, არ შეიძლება მან გრანდიოზული მასშტაბები მიიღოს, თუმცა ვარაუდობენ, რომ 2010 წლისათვის დედამიწაზე 210 მილიონი ადამიანი იქნება უმუშევარი, ასევე შესაძლოა გაიზარდოს იმ ადამიანთა რიცხვიც, რომელთა შემოსავალი დღეში 1 დოლარზე ნაკლები იქნება.

თანამედროვე ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფენომენი გახდა ქალაქები 5 მლნ კაცზე მეტი მოსახლეობით. სწორედ ასეთ ქალაქებში ხდება დღეს ეკონომიკური მოღვაწეობის კონცენტრირება. საქმე ისაა, რომ დიდ ქალაქებში მოღვაწეობას და ცხოვრებას რიგი უპირატესობები გააჩნია. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ ქალაქის მოსახლეობის გაორმაგებისას მასში დაფუძნებული კომპანიების მწარმოებლურობა

და შემოსავალი 15%-ით იზრდება. აქ ხელფასები 2-ჯერ მეტია, ვიდრე პატარა ქალაქებში და 4-ჯერ მაღალია, ვიდრე სოფლად. თუმცა დიდ გამოჩენასთან ერთად, დიდი ქალაქები დიდ პრობლემებსაც აწყდება. მათ შორისაა საცხოვრებელი ბინების, ქალაქის ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის, დაავადებათა და ეკოლოგიის პრობლემები.

გლობალურ სოციალურ პრობლემათა მოკლე ჩამონათვალიდანაც ჩანს, რომ უთანაბრობა მსოფლიოში უდავოდ იზრდება, საზოგადოების პოლარიზაცია მატულობს. სიმდიდრე ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფებში იყრის თავს.

თუმცა ეკონომიკის და საზოგადოების სწორედ ამგვარი ორგანიზაცია იძლევა საშუალებას, რესურსების კონცენტრაცია ყველაზე პერსპექტიული და ხელსაყრელი მიმართულებით მოვახდინოთ. მთელი მისი ხილული უსამართლობის მიუხედავად, ეკონომიკური ძალაუფლებისათვის ბაზრის მიერ სტიმულირებულ ბრძოლას კაცობრიობა საერთო პროგრესისაკენ მიჰყავს. კაცობრიობის საერთო ეკონომიკური სიმძლავრე, აგრეთვე მსოფლიოში მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი მთლიანობაში სწორედ ძალაუფლებისათვის უკომპრომისო ბრძოლის წყალობით იზრდება.

ბაზრისათვის სოციალური პრობლემები უბრალოდ არ არსებობს, მაგრამ იმისათვის, რომ თავად საბაზრო სისტემა გადავარჩინოთ რეეოლუციური კატაკლიზმებისაგან, სახელმწიფოებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა თავის თავზე უნდა აიღონ საზოგადოების ყველა სოციალური და განსაკუთრებით, გლობალური სოციალური პრობლემის გადაწყვეტა.

მაინც რა არის ის უმთავრესი ღირებულებანი, რომლისკენაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფოდეთ და როგორია ის მეთოდები, გზები და უმთავრესი პრინციპები, რომლებსაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში უნდა ვიყენებდეთ ჩვენი მიზნების მისაღწევად.

ილია ჭავჭავაძის აზრით, თანამედროვე სამყარო, მისი შემადგენელი ნაწილები ისე მჭიდროდაა დაკავშირებული, ისეა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ ერთი ქვეყნის ჭეშმარიტი სარგებლობა იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც, სხვებიც კარგად იყვნენ. ქვეყანა მით უფრო მეტ სარგებელს ნახავს თვითონ, რაც უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს სხვებს. მისი მთავარი დასკვნა ასეთია: ზოგადად, მოწინავე სახელმწიფოებიდან ყველაფერი უნდა გადმოვიღოთ, რასაც მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება.

საქართველოს ეკონომიკა გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოსათვის ერთ-ერთი მოწინავე იყო მსოფლიოში. 1985 წელს საქართველოს მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტი შეადგენდა 22 მილიარდ მანეთს, ხოლო ძირითადი ფონდები 33 მილიარდ მანეთს. ჩვენი გაანგარიშებით, ეს ციფრები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში უტოლდება 150-160 მილიარდ ლარს, რაც შეესაბამება მაშინდელი

მსოფლიო მოწინავე სახელმწიფოების მანვენებელს. დღეს კი საქართველოს ეკონომიკა ჯერ კიდევ ძალიან შორსაა 30 წლის წინანდელი პარამეტრებისაგან.

ცხოვრების საერთო დონე საქართველოში დაბალია. თუ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში: აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანკეთი, და ა.შ. მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა ერთ კაცზე შეადგენს 45-46 ათ დოლარს, ჩვენთან ეს მანვენებელი 3 ათასი დოლარია (მსოფლიო ბანკის მონაცემები), ანუ ეკონომიკის სფეროში ცხოვრების დონე 15-ჯერ ჩამორჩენილია.

მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკის დამაიმედებელი მონაცემებისა, რომ საქართველოში უმუშევრობა 11-13%-ია, ჩვენთან დაქირავებული შრომით დასაქმებული 600 ათას კაცს არ ადგმატება. უმუშევრობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკის რიცხვები.

საქართველოში მოსახლეობა ღატაკება, დაბალ შემოსავლიან, ადამიანის რაოდენობამ 2,4 მლნ-ს მიაღწია, ქვეყნიდან გარბის უპირატესად რეპროდუქციულ ასაკში მყოფი სამუშაო ძალა, უკვე მიგრირებულია 1,2 მლნ საქართველოს მოქალაქე. სამაგიეროდ, სსფ-ის მისიის აზრით, საქართველომ წარმატებით შეასრულა სიღარიბის დაძლევის პროგრამა. ალბათ, ასეთი არაადეკვატური დასკვნების გაკეთებას საფუძვლად უდევს არაჯანსაღი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. ისე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ცნობილია, საქართველო, ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით, 2007 წელს მსოფლიოში 96-ე ადგილზე აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკას ისეთი არასტაბილური და არასაიმედო მდგომარეობა აქვს, ჯერჯერობით იმედს ვიტოვებთ, რომ ქვეყანას არ გააჩნია მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, არადა, პროგრამის არარსებობის პირობებში, რეალური ღონისძიებების გატარება შეუძლებელია.

გლობალიზაციის, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური განვითარების ზუსტად მიგნება ქვეყნის საერთო ინტერესების დაცვით, ხელისუფლების საყოველთაო ამოცანაა.

საქართველოში ხელი უნდა შეეწყოს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობას, საშუალო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას, ბიზნესის სამართლებრივი დაცვის ფუნქციონირებადი სისტემის უზრუნველყოფას. ეს ხელს შეუწყობს თვითოეული ოჯახის, თითოეული ეკონომიკური სუბიექტის საშემოსავლო მდგომარეობის გაუმჯობესებას. თუ რამდენად სწრაფად განხორციელდება ეს ყოველივე, დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე,

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე და სხვა.

დღეს საქართველოს სწრაფვა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ აქტუალურია როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მთელი მსოფლიოსათვის.

ეკონომიკური და სამართლებრივი ცხოვრების გლობალიზაციის ფონზე აუცილებელი ხდება კონკურენტული წესებისა და პოლიტიკის ერთიანი მიდგომებისა და ნორმების შექმნის აუცილებლობის საკითხი. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგმულია და ის პირველმა ევროკავშირმა გადადგა, რომლის შეთანხმების საფუძველზე მიღებულია გაერთიანების ყველა ქვეყნისთვის ერთიანი კონკურენტული წესები. ამ ნორმების და სტანდარტების დაცვა აუცილებელია საქართველოსთვისაც იმ შემთხვევაში, თუ მას სურს ევროკავშირში გაწევრიანება.

Lia Dvalishvili

SOCIAL PROBLEMS, THEIR GLOBAL CHARACTER AND GEORGIA

SUMMARY

In modern world the use of newest techniques and technologies has changed the level if welfare of people and its social position in the society.

It is evident even from a short list of global social problems that inequality in the world is undoubtedly growing, the polarization of society increases the wealth is concentrating in a considerable small groups of people.

Social problems do not exist for the market, but to save market system itself from revolutionary cataclysm, the states and international organizations should be responsible to solve all social and especially global social problems of the society.

*ეთერ კაკულია
თვა ლაზარაშვილი*

**ტექნოლოგია, როგორც ინოვაციის საფუძველი და მათი გავლენა
სამუშაოზე, დასაქმებულსა და უმუშევრობაზე**

ტექნოლოგია გავლენას ახდენს ბიზნესზე, საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, ეხება ხელმისაწვდომი ცოდნის გამოყენებას, ნედლეულის, მეთოდების და პროდუქციის შექმნის ხელოვნებას. ტექნოლოგიას ბიზნესში ხშირად წამყვანი როლი ენიჭება და განიხილება, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურისა და ინდივიდების შრომისადმი განწყობის განმსაზღვრელი.

კლასიკური შეხედულების მიხედვით, ტექნოლოგია გარემოზე ახდენს გავლენას და ყველა სფეროს ბიზნესისათვის ძირითადი მახასიათებელი ხდება. ფირმები იძულებული ხდებიან, იმოქმედონ ცალკეული ტექნოლოგიური იმპერატივების ფარგლებში, განახორციელონ არა მხოლოდ პროდუქციისა და მეთოდების, არამედ ორგანიზაციული სტრუქტურის, ადამიანთა შორის ურთიერთობების და ინდივიდთა სამსახურით უზრუნველყოფის ფორმირება. იგი განიხილება, როგორც ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურისა და შესაძლო სტრატეგიათა განმსაზღვრელი.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ინგლისში ჩატარებული კვლევების საფუძველზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ სამრეწველო საწარმოთა შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ტექნოლოგიასა და სტრუქტურას შორის ურთიერთშესაბამისობა წარმოადგენდა წარმატებული ბიზნესის გასაღებს.

ახალ ტექნოლოგიას – ელექტრონულ კომერციას გააჩნია ბიზნესის კეთების გზების შეცვლის პოტენციალი. ბიზნესში მისი გამოყენების პოპულარობის არსი ისაა, რომ იგი იძლევა: 1. კონკურენტუნარიანი უპირატესობის მიღწევის შესაძლებლობას; 2. მწარმოებლობისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას; 3. მიმდინარე და კადრებით უზრუნველყოფის ხარჯების შემცირების საშუალებით ეფექტიანობის ზრდას; 4. ადმინისტრაციული მართვის გაუმჯობესებას; 5. ხელმძღვანელობისა და ორგანიზების ახალი საშუალებების განვითარების შესაძლებლობას.

ახალი ტექნოლოგიით გამოწვეული ზემოაღნიშნული უპირატესობები ბიზნესს (ფირმის ხელმძღვანელობას) სთავაზობს, ხარჯების შემცირებას და მოგების ზრდას; სამუშაო ძალას სთავაზობს, სამუშაოთი დაკმაყოფილების შესაძლებლობას; ხოლო მომხმარებელს – საქონლისა და მომსახურების უკეთეს ხარისხს კონკურენტუნარიან ფასებში.

თანამედროვე უახლესი ტექნოლოგია – ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ბიზნესი გამორიცხავს სასაწყობო მეურნეობების არსებობას, ცვლის წარმოების სტრუქტურას და ამცირებს ხარჯებს: ინგლისში „ფორდ მტორ კომპან“-ში ელექტრონული კომერციის საშუალებით შეიქმნა კროსეროვნული (ეროვნებათაშორისი) ხელმძღვანელი გუნდი და არსებითი ფუნქციები. კომპანიამ აღნიშნული შედეგო საკუთარი ინტერნეტსისტემის განვითარებით. ასეთი სისტემის

დანერგვით შესაძლებელი ხდება ჩამოყალიბდეს ვიდეოკონფერენციის სისტემა, რაც სხვადასხვა ქვეყნებში დასაქმებული ჯგუფების ურთიერთთანამშრომლობის საშუალებას იძლევა მინიმალური დროის დანახარჯებით.

ახალი ტექნოლოგიამ – ელექტრონულმა კომერციამ და ელექტრონულ ბიზნესმა დასაბამი მისცა მსოფლიო გლობალური პროცესების განვითარებას. ტექნოლოგიამ და ტექნოლოგიით გამოწვეულმა ინოვაციებმა ჩამოაყალიბა ბიზნესის სრულიად ახალი ფორმა – გლობალური ბიზნესი, რომელიც არსებითად განსხვავდება თავისი მასშტაბებით, სტრუქტურითა და სტრატეგიით, ტრადიციული (მცირე, საშუალო, მსხვილი) ბიზნესისაგან.

განვითარებულ ქვეყნებში (ინგლისი, აშშ) აღიარებულია ინოვაცია, როგორც ტექნოლოგიის პროდუქტი. ინოვაციაში ტექნოლოგიის როლზე ყურადღების გამახვილება განიხილება, როგორც „ტექნოლოგიური ბიძგი“. მაგრამ არის განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, ინოვაციის სიდიდესა და მიმართულების განსაზღვრაში მთავარ როლს თამაშობს მოთხოვნილება და იგი განიხილება, როგორც „ხანგრძლივი მოთხოვნილების“ შედეგი [2].

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ „ტექნოლოგიური ბიძგი“ გამოწვეული ინოვაციები არსებითად ცვლის წარმოების მასშტაბებს, სტრატეგიას, სტრუქტურას, ორგანიზაციულ ფორმას.

უცხოელი მკვლევარების შეხედულებანი, ტექნოლოგიის – ინოვაციის, სამუშაო ძალის (დასაქმებულის) და უმუშევრობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ნაშრომში [2] მოცემულია სამ ჯგუფად: პირველი თვალსაზრისით, ინგლისში ჯერ კიდევ 1974 წელს ახალი ტექნოლოგია განიხილებოდა, როგორც არასასურველი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს სამუშაოს თავისუფალ არჩევანს და, ამავე დროს, ზრდის ადმინისტრაციულ კონტროლს სამუშაო პროცესსა და დასაქმებულზე. აღნიშნული თეორია ახალ ტექნოლოგიებს (მასთან დაკავშირებულ ინოვაციებს) უკავშირებს სამუშაოთა შემცირებასა და უმუშევრობის ზრდას.

მეორე თვალსაზრისით: ახალი ტექნოლოგია (ინოვაციები) სამუშაო ძალას ახლებურ შესაძლებლობებს აძლევს, კერძოდ, მუშაკთა (დასაქმებულთა) ახალი და განსხვავებული ტიპების ჩამოყალიბების აუცილებლობას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე ითხოვს, არსებულ მუშახელს (დასაქმებულს) სიახლეების შესწავლის საშუალება მიეცეს. უმუშევართა რიგებში გადადის პირი, რომელიც დროებით უმუშევრად რჩება სიახლეების ათვისებამდე, ე.ი. ფრაქციული (ანუ ფარული უმუშევარი) ან სტრუქტურული უმუშევარი ხდება.

მესამე თვალსაზრისის მიმდევრები ახალ ტექნოლოგიას (ინოვაციებს) განიხილავენ, როგორც განმათავისუფლებელ მექანიზმს,

რომელიც გამორიცხავს მუშახელის გამოყენებას სახიფათო და სიცოცხლისათვის საშიშ სფეროში. ათავისუფლებს ადამიანებს და აძლევს შესაძლებლობას, ჩაებას სოციალურად სასარგებლო შრომაში.

ზემოთ განხილული შეხედულებანი შეიძლება შეჯამდეს: ახალი ტექნოლოგია და ინოვაციები სამუშაო ძალის სტრუქტურაში ცვლილებას იწვევს რაოდენობის, სამუშაოთა ტიპის და სამუშაოთა შინაარსის მიხედვით.

ევროკავშირის 12 ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიის, ინოვაციების, სამუშაოს და დასაქმებულთა ურთიერთობის შესწავლისას გამოავლინეს, რომ სამუშაოს დაკარგვას ადგილი აქვს იმ ფორმებში, სადაც არ გამოიყენება ახალი ტექნოლოგია და, აქედან გამომდინარე, დაკარგეს კონკურენტული უპირატესობა და წილი ბაზარზე. სამუშაოთა ტიპების (სახეობების) მიხედვით ახალი ტექნოლოგიის გავლენა იწვევს კვალიფიციურ მუშაკთა გადანაცვლებას ერთი ჯგუფიდან მეორეში, მაგალითად, საწარმოთა აღჭურვილობის კომპიუტერული კონტროლის დანერგვამ ქარხანაში არსებული საამქროდან, სამუშაო კომპიუტერული პროგრამისტებისა და ანალიტიკოსების მიმართულებით გადანაცვლა. ასევე ტექნოლოგიების და ინოვაციების გავლენის შედეგად ითვლება ის რომ, თუ საუკუნის წინ, აშშ-ში ოთხი უდიდესი დარგი ითვლებოდა დამსაქმებლად, ესენი იყვნენ: ბამბის, მატყლის, მამაკაცის ტანსაცმლისა და ტყის მრეწველობა. დღეს კი სრულიად სხვა ოთხი ძირითადი დამსაქმებელია: საავტომობილო მრეწველობა, ავიაცია, კომუნიკაცია და ელექტრონიკა. ამ გადაადგილების შედეგად ზოგი ფირმის სამუშაო ადგილები გაუქმდა, ზოგის შეიქმნა. საბოლოოდ, მწარმოებლურობის მაღალი დონე და ცხოვრების გაცილებით მაღალი სტანდარტია მიღებული. დინამიკურად და გამართულად მომუშავე საბაზრო ეკონომიკაში სამუშაო ძალის ამგვარი მოძრაობა ნორმალური მოვლენაა, თუმცა ეს უკანასკნელი ფრიქციულ უმუშევრობას იწვევს.

ბრიტანეთსა და სხვა ინდუსტრიულ ქვეყანებში ახალი ტექნოლოგიის, ინოვაციების, სამუშაოს და დასაქმებულთა ურთიერთობების შესახებ შრომების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:

– ახალი ტექნოლოგიის, ინოვაციების გავლენის შედეგად, სანამ სამუშაოთა თავდაპირველი გადანაცვლება მიმდინარეობს, ადგილი აქვს სამუშაო ადგილების დაკარგვას;

– ახალი ტექნოლოგია დაკავშირებულია განვითარებულ (მზარდ) მრეწველობასთან. გარდა იმისა, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს დაკარგვა, შესაძლებელია, უფრო მეტად ადგილი ჰქონდეს სამუშაოთა მოპოვების უკმარისობას (ანუ სამუშაოს მოპოვების უუნარობას).

- ახალი ტექნოლოგიის, ინოვაციების გამო, სამუშაოთა დაკარგვის თვალსაზრისით, უპირატესი დაბალკვალიფიციური მუშაკებია.

- ახალი ტექნოლოგია, ინოვაციები წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ზრდის საფუძველსა და წინაპირობას.

- ახალი ტექნოლოგია, ინოვაციები აუმაღლებს სამუშაო პირობას. იწვევს „მსობრივი მუშახელის“ შეცვლას „ელიტარული მუშახელით“. იქმნება ცოდნაზე დამყარებული სამუშაო.

- ახალი ტექნოლოგიით გამოწვეული ინოვაციები არსებითად ცვლის რეალურ სექტორში წარმოების მასშტაბებს, სტრატეგიას, ორგანიზაციულ ფორმებს.

როგორც ეკონომიკაში, ისევე ინდივიდუალურ სექტორში, ახალი ტექნოლოგიით და ინოვაციით წარმოქმნილი პრობლემებიდან გამოვყოფდით ინოვაციასა და დასაქმებას შორის ურთიერთობის დადგენაში არსებულ უპირატეს სირთულეს, რომ დღემდე არ არის შემუშავებული საყოველთაოდ აღიარებული ინოვაციის ხარისხის მაჩვენებელი. მაჩვენებლები, როგორცაა: პატენტების რაოდენობა ყოველ მილიონ მოსახლეობაზე და საცდელ-საკონსტრუქტურ და სამეცნიერო (არი ენდ დი R&D) საქმიანობაში ინვესტიციების სიდიდე, შეიძლება შესანიშნავ მეგზურად გამოდგეს ინოვაციის შესაფასებლად, მაგრამ პატენტი შეიძლება რეგისტრირდეს და შემდეგ რაიმე ღირებული პროდუქტის შესაქმნელად აღარასოდეს იქნეს გამოყენებული. ასევე პროდუქციის და პროცესების გაუმჯობესება შეიძლება მოდიოდეს არა სამეცნიერო და საცდელ-საკვლევი (R&D) ჯგუფიდან, არამედ ინდივიდუალური გამოგონებლიდან. ე.ი. არა თეორიულ კვლევასა და ცოდნაზე (R&D) დაფუძნებული ინოვაცია, არამედ გამოცდილების, პრაქტიკის და დაკვირვების შედეგად ინდივიდის მიერ განხორციელებული გამოგონების საფუძველზე ხდება ახლის შექმნა და დანერგვა (ინოვაცია).

საქართველოში პატენტების გაცემის მიმართულებით არსებითი ნაბიჯია გადადგმული. 1992 წლის 1 მაისიდან ფუნქციონირებას შეუდგა საქართველოს საპატენტო სამსახური „საქპატენტი“.

„საქპატენტი“ პატენტის გაცემა ხდება გამოგონებებზე: სასარგებლო მოდელებზე, სამრეწველო და სასაქონლო ნიშნებზე. ცხრილებში მოყვანილი მონაცემები, თავის მხრივ, საინტერესოა, იგი წარმოადგენს გვიქმნის ქვეყანაში დაცულ როგორც უცხოურ, ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ინტელექტუალური პატენტების არსებობაზე და ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებზე ამ სფეროში.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს დაპატენტებული გამოგონებების და სამრეწველო ნიშნების დანერგვის და შემდგომ მათი პრაქტიკაში რეალიზაციის შესახებ რაიმე მონაცემები, რაც იმაზე

მეტყველებს, რომ „ინოვაციის პროცესი“ მიუღებლად დაბალ დონეზეა საქართველოში.

გამოგონებების შემდგომი დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოში უნდა შეიქმნას „ტექნოპარკი“, რომელმაც ხელი უნდა შეუწეოს ინოვაციას.

ნაშრომის [4] ავტორები აღნიშნავენ, რომ მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ადგილი მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ფირმებს გააჩნია ინოვაციური ქცევის მოტივაცია. ეკონომიკის ინოვაციის ხარისხის გასაზომად ისინი იყენებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორცაა კვლევისა და განვითარების (R&D) დანახარჯების პროცენტული ოდენობა მშპ-ს მიმართ.

ცხრილი 1

გამოგონებებსა და სამრეწველო ნიმუშებზე პატენტების რაოდენობა

	გამოგონებებზე პატენტის რაოდენობა						სამრეწველო ნიმუშებზე პატენტის რაოდენობა					
	1992-2002	2001	2005	2006	2007	2008	1992-2002	2001	2005	2006	2007	2008
ადგილობრივი	1357	136	190	142	130	141	81	27	21	10	16	36
უცხოური	-	11	7	145	25	28	-	11	15	7	20	14
საერთაშორისო	-	122	123	133	116	128	-	272	303	-	0	0
სულ	2616	269	320	287	271	297	119	310	339	26	36	50

ცხრილი 2

რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა 2004-2008 წლებში

	2004	2005	2006	2007	2008
გამოგონებები	269	320	287	271	297
სასარგებლო მოდელები	104	71	94	81	74
სამრეწველო ნიმუშები	310	339	26	36	50
სასაქონლო ნიმუშები	2276	2939	3220	4116	4406
სულ	2959	3669	3627	4504	4827

2006 წლის „კაცობრიობის განვითარების ანგარიშში“ – მოცემულია R&D-ს დანახარჯების პროცენტული ოდენობა, გაანგარიშებული მშპ-ს მიმართ. როგორც განვითარებულ, ისე

პოსტკომუნისტური ქვეყნების მონაცემების მიხედვით, საქართველო, განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, უმძიმეს მდგომარეობაშია. 2004 წელს საქართველოში ინოვაციებზე ძალზე მცირე სახსრები იხარჯებოდა, იგი 0,5%-საც არ უდრიდა. ეს მონაცემები დღესაც თითქმის არ გაუმჯობესებულა [4].

პატენტების რაოდენობა მილიონ სულ მოსახლეზე ძალიან მცირეა. 2008 წლის მონაცემებით ყველა მიმართულებით პატენტების საერთო რაოდენობამ შეადგინა 4827 მონაცემები (იხ. ცხ. 2). მილიონ სულ მოსახლეზე 965 პატენტი მოდის, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებლები 2005 წლის მონაცემებით სამხრეთ კორეაში 3500-ს აღწევს. ეს მონაცემები უჩვენებს, რომ ინოვაციის ხარისხის მხრივ საქართველო ძალზე ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. ეს ფაქტი მიუთითებს საქართველოში ბოლოდროინდელი ეკონომიკური განვითარების სუსტ კავშირზე ინოვაციებთან, ასევე შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე ტექნოლოგიით გამოწვეული ინოვაციის შედეგი არ უნდა იყოს, რამდენადაც, როგორც ჩანს, ინოვაციას მრეწველობის დარგებში თითქმის არ აქვს ადგილი საქართველოში. შეიძლება დავასკვნათ, რომ უმუშევრობის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი, ქვეყნის ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებით გამოწვეული სიძნელებიდან მომდინარეობდს. ეს სიძნელები დაკავშირებულია ეკონომიკაში ორგანოზაციულ-სტრუქტურულ და სხვა ტიპის ინოვაციებთან და არა ტექნოლოგიით გამოწვეულ ინოვაციებთან. ტექნოლოგიით განპირობებული ინოვაციის დადებითი მხარე ისაა, რომ იგი იწვევს შრომის თვისებრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც მთავრობის ხელშეწყობით, მცირე დროში უნდა გადაიჭრას, განათლების სისტემაში ჩარევით, ისე, რომ ამ ტიპის უმუშევრობამ (მოკლე დროის უმუშევრობამ) ხანგრძლივი დროის უმუშევრობის ფორმა არ მიიღოს. მაშინ, ცხადია, ინოვაცია დასაქმების შემცირებას და უმუშევრობის გაზრდას კი არა, არამედ იგი უმუშევრობის საგრძნობ შემცირებას გამოიწვევს.

მიგვაჩნია, რომ ინოვაციის ხარისხის მაჩვენებლად მისაღებია, გამოყენებულ იქნეს ინოვაციით (სიახლეების დანერგვით) გამოწვეული საქონლის (ანუ შედეგის) რაოდენობის პროცენტული ცვლილება შეფარდებული დანერგვაზე გაწეული ინვესტიციების პროცენტულ ცვლილებასთან (ან დასაქმებულთა რაოდენობის პროცენტულ ცვლილებასთან).

გასული საუკუნის 90-იანი წლიდან საქართველოს ეკონომიკა მოიცვა ახლის დანერგვის პროცესმა მის ნებისმიერ სფეროში, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყანა შეუდგა განსხვავებული და საბჭოთა ადამიანისათვის სრულიად ახალი (უცხო) საბაზრო ეკონომიკურ სისტემის ჩამოყალიბებას. ბუნებრივია, აღნიშნული მოვლენა მოითხოვდა სიახლეს, მართვის, ინსტიტუციურ, სტრუქტურულ,

საკუთრებით ფორმის თუ სხვა მიმართულებით. ამასთან, ისეთი ახალი ინსტიტუტების შემოღებას, როგორცაა შრომის ბაზარი და სხვა.

საბაზრო ტიპის ინსტიტუტის დანერგვა მისი წინამორბედი საბჭოთა ეკონომიკის წიაღში, ინოვაციური მოვლენა იყო. საქართველოს ეკონომიკაში კერძო სექტორის ფორმირების პროცესმა ეკონომიკის რეალური სექტორი განადგურებამდე მიიყვანა. 1991-1999 წლებში მრეწველობაში გამოთავისუფლდა დასაქმებულთა თითქმის 60%, 1996 წელს არ მუშაობდა 790 საწარმო, ანუ საერთო რიცხვის 33%. ამ წლებში მკვეთრად დაეცა ისეთი დარგები, როგორცაა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მსვლელობას ვერ მისდევდა მოსახლეობის დასაქმებით უზრუნველყოფის საელმწიფოებრივი პროგრამები, რომელიც უნდა განხორციელებულიყო საზოგადოებრივი სამუშაოების შექმნის უზრუნველყოფით.

ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით, 2000-2007 წლებში უმუშევრობის საერთო რაოდენობაში, ყველაზე დიდი ადგილი უკავია 25-დან 49 წლამდე უმუშევრებს. ე.ი. შრომის ყველაზე აქტიურ მოსახლეობას. ასაკობრივად ეს ის თაობაა, რომელმაც არ მოახერხა ქვეყანაში რეფორმების შედეგად გამოწვეული ახალი სპეციალობების ათვისება. ამის საშუალებას ჯერ კიდევ ვერ იძლევა ქვეყანაში არსებული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა.

საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორიდან შეიძლება უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, რაც ნათლად დაგვანახებს სამუშაო ძალის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებსა და უმუშევრობის მიზეზებს.

საქართველოში მუსირებს შეხედულება, თითქოს მშენებლობამ ხელი შეუწყო დასაქმებას. სინამდვილეში, დღეს ამ დარგში დანერგილი უახლესი ტექნიკის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, ნაკლებ დროში და ნაკლები მუშახელით შესრულდეს იგივე სამუშაო, რაც სრულდებოდა ტექნიკის დანერგვამდე.

შრომის თვისებრივი მხარის გაუმჯობესებამ გამოიწვია ერთეულ სამუშაოში დასაქმებულთა შემცირება. სამუშაოს რაოდენობის ზრდამ კი, მთლიანობაში, დასაქმებულების გაზრდა გამოიწვია.

ინოვაცია გავლენას ახდენს დასაქმებულთა როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ამდენად, იგი იწვევს როგორც ფრიქციულ, ისე სტრუქტურულ უმუშევრობას.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, დაჩქარებული ინოვაციური პროცესების (რომლის შედეგია ინოვაცია) გატარების მიზნით უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ინტერვენცია, რომელმაც უნდა მოიცვას: შესყიდვა, სუბსიდიები, განათლება და სწავლება; პატენტი და ლიცენზიები, მარეგულირებელი კანონები და იმპორტის კონტროლი.

სახელმწიფო ინტერვენციის ზემოთ ჩამოთვლილი ტიპებიდან სახელმწიფოს მიერ ინოვაციის პროცესებიდან ყველაზე მეტად დარეგულირებულია პატენტები და ლიცენზია, მაგრამ, როგორც საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, საქართველოში მიუძღვება დაბალ დონეზეა „ინოვაციური პროცესები“, გამოგონებების ინოვაცია. ხოლო, რაც შეეხება ტექნოლოგიით გამოწვეულ ინოვაციას, იგი საქონლის წარმოების სექტორში, შეიძლება ითქვას, თითქმის უგულებელყოფილია.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა.
2. ნიდლი დ. ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი, თბ., 2003.
3. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. „საქპატენტი“ 1992-2002; 2004; 2005; 2006; 2007 წლების „წლიური ანგარიში“. თბ., 2002; თბ., 2004; თბ., 2005; თბ., 2006; თბ., 2007“.
4. ბერულავა გ., მელქაძე ნ. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უსაფრთხოების ასპექტის გაძლიერება.
5. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. კვარტალური ბიულეტენი 2009 – I. თბ., 2009.
6. სტატისტიკური წელიწდეული 2008. თბ., 2008.

Eter Kakulia

Tea Lazarashvili

TECHNOLOGY AS A BASIS OF INNOVATION AND ITS IMPACT ON WORK, EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT

SUMMARY

Especially great is the role of new technologies, innovation in postcommunist transformation as they represent the most significant factor of unemployment decrease and generally of the growth of country economy as well as that of individual.

On the basis of experience of developed countries and the study of conditions existed in Georgia there are systemized the results of interdependence between innovation labor employment and unemployment.

Are discussed the indices of innovation level. Is estimated innovation level in Georgia according to the indices of per million human quantity of patents and is shown level of innovation quality and innovative process. Is proposed the opinion of the author of estimation determination of innovation quality on the improvement of indices.

ნათია კახნიაშვილი

ბლოგალიზაცია და სიღარიბე

1. გლობალიზაციის ზოგიერთი ჩანასახი ანტიკურ ეპოქაში შეიმჩნევა. **რომის იმპერია** ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ხმელთაშუა ზღვისპირეთში (ტერიტორია – 6,5 მლნ კვ. კმ) ამ ვრცელ ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა კულტურის დრმა გადახლართვა და შიდა ტერიტორიული შრომის დანაწილების წარმოშობა გამოიწვია. ამ ეპოქის მთავარი შინაარსი იყო ანტიკური სამყაროს ყოველმხრივი განვითარების პროცესი. რომის იმპერიის 65 მილიონიანი მოსახლეობა შეიძლება პირობითად სამ ჯგუფად წარმოვიდგინოთ: ა) ცხოვრების კარგი პირობების მქონე (2 მლნ კაცი); ბ) ცხოვრების რიგიან პირობებში სოციალური ჯგუფი (12,5 მლნ კაცი); გ) მინიმალურ პირობებში მცხოვრები სოციალური ჯგუფი (50 მლნ კაცი). ამ გაგებით, რომის სახელმწიფოში სიღარიბის დონე 77%-ს აღწევდა.

2. გლობალიზაციის სათავეები იმყოფება მე-16 მე-18 საუკუნეებში, როცა ევროპაში მყარი ეკონომიკური ზრდა შეხამებული იყო საზღვაო ნაოსნობის სწრაფ განვითარებასა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან. ფაქტობრივად ამ პერიოდში დაიწყო მსოფლიოს გაყოფა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებად. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გლობალიზაციის პროცესი ორმა მსოფლიო ომმა და 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შეაფერხა.

3. გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია განსხვავებულად ზემოქმედებს შემოსავალზე, საზოგადოებასა და გარემოზე. თუ სიტყვა ეხება გლობალიზაციის უპირატესობას, მაშინ განსაკუთრებული გავლენა ენიჭება მის გავლენას სიღარიბის მსოფლიო პრობლემაზე. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ საერთაშორისო ვაჭრობა და ინვესტიცია, უპირველეს ყოვლისა, ხელსაყრელია მდიდარი ქვეყნებისათვის, მაშინ სხვებისთვის ეს იქნებოდა საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის სტიმული. გლობალიზაცია შეიძლება სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტური საშუალება აღმოჩნდეს, მაგრამ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იგი უტყუარია ყველა შემთხვევაში. მას, დადებითთან ერთად უარყოფითი მომენტებიც აქვს.

4. საქართველოს წილი მსოფლიო ეკონომიკაში უმნიშვნელოა (0,01%), მაგრამ მსოფლიოს ეკონომიკური თუ პოლიტიკური მერყეობა მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახება. ეს აისხნება ქვეყნის ძლიერი დამოკიდებულებით ექსპორტზე და უცხოური კაპიტალის მაღალი წილით ეროვნულ ეკონომიკაში. სწორედ ამით შეიძლება აისხნას სიღარიბის ზრდის შენარჩუნების ტენდენცია, რომლის წილი საქართველოს მოსახლეობაში ოფიციალური მონაცემებითაც კი 50%-ს აღემატება.

Natia Kakhniashvili

GLOBALIZATION AND POVERTY

SUMMARY

Globalization might soften the problem of inequality but in the connection of poverty its influence is double. Georgia shall take into consideration world experience of interaction of globalization and poverty.

ზურაბ ლიპარტია

ნანა ჯღარკავა

საქართველოში სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტები თანამედროვე ეტაპზე

ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში არსებული ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ბოლო წლებში აშკარად გამოიკვეთა დადებითი ძვრები ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრეკტორიაზე გადასვლის პირობების მომზადების თვალსაზრისით. საქართველოს საერთაშორისო მიმზიდველობა დიდი სახელმწიფოებისა და დიდი ბიზნესისათვის უდავოდ მკვეთრად ამაღლდა, რაც ინვესტიციების ფართოდ მოზიდვის პერსპექტივებს აძლიერებს. ინფლაციის, ბიუჯეტის დეფიციტის, ლარის კურსის სფეროებში მიმდინარე დადებითი ტენდენციები ეკონომიკური ზრდის დაჩქარების კარგ პირობებს ქმნის. თუმცა, ეს გარემოება გამოუყენებელი რჩება ბოლო პერიოდში ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების ფაქტობრივად უგულებელყოფით.

გლობალიზაციის პირობებში მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრეკტორიაზე გადასვლა განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლას გულისხმობს. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ რიგში, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ოპტიმისტური ზღვრული სიდიდეების რეალიზაციაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომლის მიღწევაც მხოლოდ განვითარების დაჩქარებით, მეურნეობის ინსტიტუციური, სტრუქტურული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით შეიძლება. რეალურად, ეს პროცესი განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლით, ანუ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებით უნდა გამოიხატოს.

საქართველოს ეკონომიკური სუბიექტების ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორით არის განპირობებული. შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების **შესაძლო პროგნოზირება** შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთდროულად გათვალისწინებას უნდა ემყარებოდეს.

ნიშანდობლივია, რომ ამ ეტაპზე ფასებისა და სავალუტო კურსის შედარებითი სტაბილურობა ქვეყანაში უპირატესად ერთობლივი მოთხოვნის ადმინისტრაციულად შეზღუდვის საფუძველზე

ხორციელდება და არა რეალური წარმოების განვითარებით. ასეთ მექანიზმს პრობლემების მხოლოდ დროებითი გადაწყვეტა შეუძლია. ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასასვლელად ფუნდამენტური **სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა** და განვითარების **აქტიური სტრატეგიის** განხორციელებაა საჭირო.

ცნობილია, რომ **კეთილდღეობის სინთეზურ მაჩვენებლებთან** მჭიდროდაა დაკავშირებული ცხოვრების დონის პარამეტრები, რომელიც კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა. იგი ასახავს მოსახლეობის მატერიალური, სულიერი და **სოციალური მოთხოვნილებების** დაკმაყოფილების ხარისხს.

ცნობილია, რომ **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) კონცეფციის** თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს ისეთი ცხოვრების უფლება (საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და სოციალური მომსახურების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია მისი ოჯახის და ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. ასევე აქვს უფლება, უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ინვალიდობის ან საარსებო სახსრების სხვა სახით დაკარგვის შემთხვევაში. ამა თუ იმ ქვეყანაში აღნიშნული უფლებები რეალიზდება ცხოვრების დონის **ეროვნული კონცეფციით**, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამოსავალი იდეაა.


ცხოვრების დონის პარამეტრებიდან გამოყოფენ გაეროსა და შვედურ მოდელს, რომლებსაც აქვთ როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები.

გაეროს კონცეფციის თანახმად, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მისთვის კვების პროდუქტების ხელმისაწვდომობას. ამასთან, გასათვალისწინებელია: განათლების, დასაქმებისა და შრომის პირობები; საბინაო და სოციალური პირობები; დასვენება და სხვა ადამიანის უფლებები. მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დასაბუთებულია პირდაპირი კავშირი ცხოვრების დონეს, სრულფასოვან კვებასა და შრომის ეფექტიანობას შორის.

შვედური მოდელის თანახმად, ცხოვრების დონე უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია შრომის, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე, რომელიც „შრომითი ცხოვრების ხარისხის“ კონცეფციის სახელწოდებითაა ცნობილი.

ცხოვრების დონეზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია მოსახლეობის რეალური შემოსავლების, კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლისა და მომსახურების მოხმარების დონის სტრუქტურის, შრომის პირობების, სამუშაო და თავისუფალი დროის ხანგრძლივობის და სხვათა უზრუნველყოფის მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლა.

ჩვენს ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობის შემცირება ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემებად გვევლინება.



ნახ.1. ეკონომიკური განუვითარებლობისა და სიღარიბის სქემა.

დასაქმების დაბალი დონე განაპირობებს საოჯახო მეურნეობების შემოსავლების დაბალ დონეს და მრავალ ნეგატიურ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს უკავშირდება. საგულისხმოა, რომ დასაქმება და უმუშევრობა არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ განიხილება, როგორც ცალკე აღებული პრობლემა, იგი მთლიანი სოციალური და

ეკონომიკური საკითხების შემადგენელი ნაწილია და პრობლემის არსებითად გადაწყვეტაც ხანგრძლივი **კომპლექსური მიდგომის** საფუძველზე არის შესაძლებელი.

ანალიზიდან გამომდინარე ვასკენით, რომ საქართველოში უმუშევრობის ყველაზე მაქსიმალური დონე დაფიქსირდა 2005 წელს (13,8%), რაც 2000 წლის ანალოგიურ მანუვრებელზე 3,5%-ით მეტია. 2007 წელს და 2005 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე (0,5%-ით) და უმუშევართა რიცხოვნობა (18 ათასი კაცი) რამდენადმე შემცირდა, თუმცა ამ მანუვრებლის მიხედვით რთულია ცვლილების ტენდენცია დადებითად შეფასდეს, ვინაიდან უმუშევრობის პარალელურად დასაქმებულთა რიცხოვნობა 43,0 ათასი, ხოლო ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 56,6 ათასი კაცით შემცირდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში უმუშევრობის რიცხოვნობა და დონე იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პარალელურად. 2001-2007 წლებში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა საშუალოდ 8,4% შეადგინა, ხოლო 2007 წელს, ამავე წელთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 3249,1 მილიონი ლარით, ანუ 67,1%-ით გაიზარდა.

კეთილდღეობის სხვადასხვა მოდელების, ინდექსების და ტიპების კატეგორიებიდან ყველაზე აქტუალური **სასურსათო უსაფრთხოების საკითხია**, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კაცობრიობის ბიოლოგიურ არსებობას და ძირითადად განვითარებად და ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყნების მოსახლეობის პრობლემად გვევლინება, რომელთა ხვედრითი წილი მთელს მსოფლიოში დაახლოებით 70-75%-ს შეადგენს.

თანამედროვე მსოფლიოში არის ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს ეროვნული სასურსათო უშიშროების პრობლემა სურსათის „საკმარისობის“, სურსათზე „ხელმისაწვდომობის“ და სურსათით „უზრუნველყოფის“ თვალსაზრისით. ზოგიერთ მათგანში სურსათის ჭარბწარმოებაც კი შეინიშნება. ამასთან ერთად, ცალკეულ ქვეყნებში თავი იჩინა **ეკოლოგიური** ვითარების გამწვავებამ (მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების, განსაკუთრებით სხვადასხვა პესტიციდების და შხამ-ქიმიკატების ფართოდ გამოყენება). კერძოდ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში გამოიყენება 1 მილიონ ტონამდე 900 დასახელების შხამ-ქიმიკატი. რასაც მოსდევს პესტიციდების დაგროვება გარემოში, ბიოსფეროს ქიმიური სტრუქტურის შეცვლა და ეკოლოგიურად სხვა სახიფათო ცვლილებები. იგი გვხვდება წყალში, ნიადაგსა და საკვებ პროდუქტებში, რომელიც იწვევს ნერვულ დაავადებებს, ავთვისებიან სიმსივნეს და გენეტიკურად განპირობებულ დაავადებათა განვითარებას ემბრიონალურ და სხვა პერიოდებში.

ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად შხამ-ქიმიკატებით მოწამელის 500 000 შემთხვევაა აღრიცხული, მათგან 1%-ზე მეტი ლეტალური შედეგით მთავრდება.

ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის და სურსათის წარმოების გადიდებისათვის, რაც არა მარტო უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოების დანერგვას, არამედ მნიშვნელოვანი კრიტერიუმიცაა მასობრივი კეთილდღეობის დონის შეფასებისთვისაც, რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მოხმარება ცალკეულ ქვეყნებში არა მარტო ეკონომიკის განვითარების, არამედ განათლების, კულტურისა და ჰუმანიზმის დონეებზე მიუთითებს.

საქართველოში ექსპერტების შეფასებით, მოსახლეობის მიერ მოხმარებული ძირითადი კვების პროდუქტების მოცულობა ფულად გამოხატულებაში ქვეყნის აგრარულ ბაზარზე 2005 წელს 2,4 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც 45,5%-ით ნაკლებია საქართველოს მოსახლეობისათვის კვების ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებული ღირებულებებისა. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რომ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიური ნორმები (მაგალითად, საქართველოს მხოლოდ მარცვლეულის 1/3 მარაგი გააჩნია, დანარჩენი კი იმპორტით იყვება).

ცნობილია, რომ სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი რესურსი სახნავი მიწაა, რომლის ფართობი ყოველწლიურად კატასტროფულად მცირდება. მსოფლიოში სხვადასხვა მიზეზით (მიწების დეგრადაცია – წყლისმიერი, ქარისმიერი, ტექნიკური და ტექნოგენური ეროზია, ანთროპოგენური ჩარევა) ყოველწლიურად ერთი მილიონი ჰექტარი იკარგება, რაც უშუალოდ ახდენს გავლენას სურსათის შემცირებაზე.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მარცვლეულის ნათესი ფართობების და მოსავლის კატასტროფული შემცირება განსაკუთრებით-კი ხორბლის, რომელიც უშუალოდ უკავშირდება “სასურსათო კალათას”. თუ მისი ნათესი ფართობი 2003 წელს შეადგენდა 117,3 ათ. ჰა-ს და მოსავალი 225,4 ათას ტონას, ეს მაჩვენებელი 2007 წლისათვის შემცირებულია 74,9 ათას ტონამდე, ანუ 66,8%-ით.

ყველა ის პრობლემა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, სასურსათო თვითუზრუნველყოფასთან დაკავშირებით, უპირველესად განვითარებადი ქვეყნების პრობლემებია. ძნელი წარმოსადგენია, რომ დედამიწაზე უახლოეს პერიოდში გამოინახოს ამ პრობლემის გადაწყვეტის საერთაშორისო მექანიზმი. აქედან გამომდინარე, პრობლემის მოგვარების მთელი სიმძიმე ეროვნულ დონეზე გადის.

განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც კონცეპტუალურ დონეზე აქვთ დამუშავებული **ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია**, უდიდეს ყურადღებას უთმობენ სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს. მათ მიანიათ, რომ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა ყველა ქვეყნისათვის პოლიტიკური და **ეკონომიკური დამოუკიდებლობის** შენარჩუნების ტოლფასია და მომავალში, ვინც სურსათის მფლობელი იქნება, იგი პოლიტიკაშიც იბატონებს.

საქართველოში სასურსათო უზრუნველყოფა შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება, იხ. ცხრილი 1.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ერთ ზრდასრულ ადამიანზე წელიწადში უნდა მოდიოდეს 400-450 კგ ნედლი მარცვალის წარმოება, რათა დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნილება პურსა და პურპროდუქტებზე (საქართველოში აღნიშნული 10%-ითაც ვერ კმაყოფილება ადგილობრივი წარმოებით), ყველა რეზერვი უნდა იქნეს გონივრულად გამოყენებული მარცვლეულის წარმოების გასაზრდელად.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ერთ სულზე ნორმით გათვალისწინებული კვების ენერგეტიკული ფასეულობიდან – 2500-2600 კკალ, 1995 წლის მაჩვენებლებით, თითქმის ნახევარი (1060 კკალ) მარცვლეულზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ პურზე მოხმარებული კალორიები შემცირდა 2007 წელს და შეადგენს 930 კკალ-ს, მაინც იგი არ უნდა ჩაითვალოს დადებით მაჩვენებლად, რადგან ეს არ მომხდარა სხვა პროდუქტებიდან შევსებული კალორიების ხარჯზე. აღნიშნული სტატისტიკა სიღარიბის მაჩვენებელი უფროა და სურსათის „ხელმიუწვდომლობა“, ვიდრე უსაფრთხოების. ამავე ძირითად პროდუქტზე თუ ვიმსჯელებთ, იმპორტირებული მარცვლეული გაცილებით უფრო მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ვიდრე ადგილობრივი წარმოების, რომელიც შეადგენს ექსპორტის თითქმის 10%-ს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა **კარტოფილის** წარმოების მხრივ, სადაც იმპორტი 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა და შეადგენს მხოლოდ 4,7%-ს.

საინტერესო სტატისტიკა დაფიქსირდა ხორცის და ხორცის პროდუქტების ადგილობრივი წარმოების მხრივ, განსაკუთრებით ფრინველის ხორცის, იმპორტი 2007 წელს 2,3-ჯერ აღემატება ადგილობრივ წარმოებას. თანდათან იკლო რძის და რძის პროდუქტების იმპორტმა და 2007 წელს, 2000 წელთან შედარებით, შესაბამისად შემცირდა 56,9-დან 12,3%-მდე, თუმცა ამავე წლებში ადგილობრივი წარმოების უმნიშვნელო ზრდა შეინიშნებოდა.

ცხრილი 1

კვების ფიზიოლოგიური ნორმები და სასურსათო

უზრუნველყოფის მაჩვენებლები საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე

სურსათის სახეები	კვების ფიზიოლოგიური ნორმა	უზრუნველყოფა				
		1995	2000	2005	2007	ფიზიოლოგ. ნორმასთან შედარებით 2007 წელს (%)
პური და პურპროდუქტები (მარცვლეული, პარკოსანი და ბურღულეული) კგ. კკაღ	135 1060	125 1001	118 955	112 930	110 954	81,5
კარტოფილი კგ კკაღ	110	26,8 69	42 80	49 88	47 78	42,7
ბოსტნეული კგ კკაღ	130	84 53	75 47	90 57	58 38	44,6
ხილი(ციტრუსების ჩათვლით) კგ კკაღ	90	67 35	57 31	62 34	52 28	57,8
ხორცი კგ კკაღ	78	29 166	28 160	32 178	27 148	34,6
რძე ლ კკაღ	405	146 243	214 354	230 382	155 256	38,3
კვერცხი (ცალი) კკაღ	292	103 24	135 31	145 34	85 20	29,1
მცენარეული ზეთი ლ კკაღ.	9	10 239	9 221	8 194	8 203	88,8
შაქარი კგ კკაღ	44	22	28	36	40	90,9
თევზი კგ კკაღ	12	0,6	1,4	2,3	3,1	25,8

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობა, თბილისი 2008, გვ. 89.

ვეელაზე საუკეთესო მაჩვენებელი იმპორტის და ადგილობრივი პროდუქციის მხრივ ეხება კვერცხის წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ ერთ სულ მოსახლეზე მისი რაოდენობა შემცირებულია და შეადგენს 85 ცალს, რაც კვების ფიზიოლოგიური ნორმის მხოლოდ 29,1%-ს შეადგენს, 2000 წელთან შედარებით (კვერცხის იმპორტი თითქმის ნახევარი იყო), 2007 წელს 498 ათასი ცალი შეადგინა და იმპორტი 0%-მდე შემცირდა.

ზემოაღნიშნული სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შეინიშნება სურსათის როგორც უკმარისობა, ისე ხელმიუწვდომობა, რომ აღარაფერი ვთქვათ უსაფრთხოებაზე, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ექსპერტთა დასკვნით, საქართველოში არსებობს ის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს მოსახლეობა მთლიანად საკუთარი წარმოებით. ამასთან, გათვალისწინებულია საერთაშორისო ექსპერტთა გამოკვლევები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ 2015 წლისათვის მსოფლიოში მოსალოდნელია **მწვავე სასურსათო კრიზისი**, რასაც მოჰყვება სურსათზე ფასების კატასტროფული ზრდა, კერძოდ, საქართველოსთვის პრობლემური იქნება იმპორტულ პროდუქციაზე დაყრდნობა, ამიტომ საქართველომ აქედანვე უნდა აიღოს **ადგილობრივ წარმოებაზე** ორიენტირი და მთავრობამ მაქსიმალურად გაატაროს სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პოლიტიკა, რომლის ნიშნები ქვეყანაში უკვე შეინიშნება.

შესაბამისად, ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოება ისევე, როგორც ეკოლოგიური და სხვა ხასიათის გლობალური პრობლემები, განხილული უნდა იქნეს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ რეალობათა კონტექსტში, ერების თანაარსებობის და მათი შემდგომი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ საქართველო მდიდარი **აგრარული ტრადიციების ქვეყანაა** და სოფლის მეურნეობა ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებას, სამწუხაროდ, დღეს ეს დარგი მძიმე მდგომარეობაშია. რომლის ანალიზის ფონზე გამოიკვეთა შემდეგი **პრობლემები**:

- ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მოსავლის ხარისხი თანდათან უარესდება და ვერ უზრუნველყოფს მწარმოებლებს საკმარისი შემოსავლებით;

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ დაკარგა ტრადიციული ბაზარი;

- დამკვიდრებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს ხარისხიანი პროდუქციის მიღებას და ახალი ბაზრების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

- ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ დაკარგა კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზეც;

- რესურსების არარაციონალურმა მოხმარებამ და პესტიციდების უკონტროლო გამოყენებამ გამოიწვია გარემოს დაბინძურება და ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება (საქართველოში დეგრადირებულია მიწების 1/3);

• საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება საფრთხეშია – თანდათან იკარგება კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მდგრადობის საფუძველს წარმოადგენს;

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის პრიორიტეტული ღონისძიებანი:

სახელმწიფომ განახორციელოს ისეთი აგრარული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს:

*მდგრადი, გარემოსდამზოგავი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების დანერგვას;

* ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას;

*ბაზარზე ორიენტირებული აგროწარმოების ხელშეწყობას;

*აგრობიომრავალფეროვნების ხელშეწყობას;

* სასურსათო ეკონომიკურ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და სოფლად სიღარიბის დაძლევას;

*ბიოაგროწარმოების კანონისა და სასერტიფიკაციო ორგანოების აკრედიტაციის სისტემის დროულ ამოქმედებას;

*სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამების ამოქმედებას, შეღავათიანი კრედიტების და სუბსიდირების მექანიზმების შემოღებას ევროპული გამოცდილების შესაბამისად;

*საქართველოს პარლამენტმა დროულად მოახდინოს კარტახენას ოქმის რატიფიცირება და დაჩქარდეს „ბიოუსაფრთხოების კანონის“ მიღება;

*სამეცნიერო კვლევებისა და ამ კვლევების დანერგვის ხელშეწყობა;

*გენმოდირიცირებული კულტურების გამოყენების კატეგორიულად აკრძალვა ბიომეურნეობებში, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას;

* საქართველომ უნდა გაითვალისწინოს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, სადაც ბიომეურნეობს განსაკუთრებულ დახმარებებს უწევენ პროდუქციის გასაღების პროცესში;

* აგროეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლად დამატებით შემოსავლების ფორმირებას;

*ფერმერთა წახალისება აგრობიოწარმოების განსავითარებლად – ბიომადლაზიების, ბიობაზრობების შექმნა და სხვა.

ამრიგად, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მოსახლეობის კეთილდღეობასა და სიღარიბის დაძლევას, რომელიც უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის მომავლისათვის.

Zurab Lipartia

THE PRIORITIES OF SOLVING POVERTY PROBLEMS ON MODERN STAGE

SUMMARY

The thesis describes “The priorities of solving poverty problems on modern stage”. It describes the analysis of economical security spheres, criteria of living being levels, undeveloped economy and basic problems of solving poverty problems according expert assessment, also country’s food sector development. The thesis describes food problems in the country and the ways and priorities of solving them.

ცირა მიქატაძე

**დარბობრივი საბაზრო სტრუქტურები – ინტელექტუალური
მიზიდვების ობიექტი თუ სახელმწიფოს ეკონომიკური
პოლიტიკის დამაკვალიანებელი**

პროდუქციის წარმოების და მომსახურების ნორმალურ პირობებში საზოგადოება მეწარმისგან ელოდება მაღალ შედეგიანობას, რომელიც, თავის მხრივ მრავალგანზომილებიანია. იგი არ ნიშნავს მხოლოდ ხარისხიან პროდუქციას. ეფექტიანობა გულისხმობს რესურსების ყაირათიანად გამოყენებას, პროგრესულ ტექნიკა-ტექნოლოგიას.

მეისონის ცნობილი მოდელის მიხედვით, დარგის ან ბაზრის შედეგიანობა დამოკიდებულია მყიდველისა და გამყიდველის ქცევაზე ისეთ საკითხებში, როგორცაა: საფასო პოლიტიკა, დია და ფარული მოლაპარაკება, პროდუქტიული და სარეკლამო სტრატეგიები, ინვესტიციები საწარმოო დანადგარებში. ქცევა, თავის მხრივ, დამოკიდებულია ბაზრის სტრუქტურაზე.

კონკურენცია დიდი ხანია განიხილება, როგორც ძალა, რომელიც ეკონომიკური შედეგიანობის პრობლემის იდეალურ გადაწყვეტას უწყობს ხელს, ხოლო მონოპოლია ანგრევს მას.

შერეული ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნქციად მიიჩნევენ კონკურენციის დაცვას, ანუ კონკურენციის, როგორც ეკონომიკაში წარმყვანი მექანიზმის, შენარჩუნებას. იგი უპირველესად ანტიმონოპოლიური კანონებით (ანტიტრესტული კანონმდებლობა) გადაიჭრება.

კონკურენცია განაპირობებს მეწარმეთა პირადი ინტერესების განხორციელებას ანუ მოგების მაქსიმიზებას იმ გზებით და მეთოდებით, რომლებსაც ავტომატურად მოსდევს საზოგადოებრივი პროდუქტის

მაქსიმიზაცია (კონკურენტული ბაზრის მოგების მაქსიმიზაციის აუცილებელი პირობა არის წარმოების ხარჯის – ზღვრული ხარჯის იმ ფასთან ტოლობა, რომელსაც მომხმარებელი გადაიხდის ბოლო ერთეულისთვის). პროდუქტზე მოთხოვნის დამრეცი მრუდის გამო (განსხვავებით სრულყოფილი კონკურენციის ბაზრისგან, სადაც მოთხოვნის მრუდი ჰორიზონტალურია), მონოპოლიურმა ფირმამ იცის, რომ დამატებითი ერთეულის გასაყიდად ფასი უნდა შეამციროს და ამის თავიდან ასაცილებლად ან ზღუდავს წარმოებას, ან მიმართავს საფასო დისკრიმინაციას. მისი დამატებითი შემოსავალი – ამონაგები ფასზე ნაკლებია, ამიტომ მონოპოლიური ფასი აღემატება ზღვრულ დანახარჯებს.

სახელმწიფოს მხრიდან ბაზრის სტრუქტურასა და ფირმის ქცევაზე ზემოქმედების ორ ფორმას გამოყოფენ: რეგულირებას და ანტიტრესტულ პოლიტიკას. რეგულირება უკავშირდება ინფორმაციის ასიმეტრიულობის გარე ეფექტებს – კონტროლი გამონაბოლქვზე, ჯარიმების, ფასების რეგულირება.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სახელმწიფო რეგულირების კლასიკური გაგება ისეთ დარგებს უკავშირდება, როგორცაა კომუნალური მომსახურება, ელექტრო და გაზომომარაგება, სარკინიგზო მომსახურება, ნავთობის და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება. ეს ყოველივე გულისხმობს ბუნებრივი მონოპოლიების დაშვებას (ასეთ დარგებში, კაპიტალის დიდი ერთეულების გამო კონკურენციას დიდი დანახარჯები ექნებოდა). ანტიტრესტული რეგულირება განსაზღვრავს ფირმათა ქცევის წესებს, რომელთა ქმედება ხშირად დასჯადია, გამომდინარე მათი მხრიდან კონკურენციის შეზღუდვისა და მონოპოლიზაციის მცდელობიდან.

ამგვარი მოქმედებები მეწარმეთა, ფერმერების და მომხმარებელთა აღშფოთების საფუძველი გახდა ამერიკაში 1890 წელს, რომლის საპასუხოდ მთავრობამ შერმანის ანტიტრესტული კანონი გამოიყენა (მცირე ბიზნესის წარმომადგენლები და ფერმერები ითხოვდნენ ქვეყანაში სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში აღმოცენებული ტრესტების ქცევის შეზღუდვას და ეკონომიკური ძალის ბალანსის ცვლილებას). ამ კანონით ყოველი შეთანხმება, გაერთიანებული ტრესტის ან სხვა ფორმით, რომლის მიზანია წარმოების ან ვაჭრობის შეზღუდვა, ითვლებოდა უკანონოდ (I პარაგრაფი), ხოლო ის, ვინც დაარღვევდა I პარაგრაფის მოთხოვნებს, ითვლებოდა დამნაშავედ (II პარაგრაფი). დამნაშავე ფირმების საქმიანობა შეიძლებოდა აეკრძალათ სასამართლო წესით ან გამოეტანათ ფირმის დეცენტრალიზაციის განაჩენი, როგორც ეს მოხდა ცნობილი კონცერნის „ამერიკან ტელეფონ ენდ ტელეგრაფის“ (ATT) მიმართ, უფრო მოგვიანებით კი, „ჯენერალ მოტორსის“ მიმართ.

სასამართლოს ასევე შეეძლო დამნაშავე ფორმებისთვის დაეკისრებინა სამჯერადი კომპენსაცია მათგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

1914 წელს მიიღეს კლექტონის კანონი შერმანის კანონის ზოგიერთი განუსაზღვრელობის გამო. იგი კომპანიების შერწყმის წინააღმდეგ იქნა მიმართული, რომლითაც ვაჭრობით დაკავებულ არც ერთ კომპანიას არ ეძლეოდა უფლება პირდაპირ ან ირიბად, მთლიანად ან ნაწილობრივ შეეძინა სხვა კორპორაციების აქციები, თუ შედეგი კონკურენციის შემცირება იქნებოდა. 1936 წელს მიღებულ იქნა „რობინსონ-პატმანის აქტი“ და „1938 წლის უილერ-ლის აქტი“, რომლებიც, კონგრესმა საზოგადოებას გააცნო როგორც „მცირე ბიზნესის დიდი ქარტია“ იმ მცირე მეწარმეების ზეწოლით, რომლებიც მოითხოვდნენ ღონისძიებებს ფასების დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანი იყო 1950 წელს „სელლერ-კეფოვერის აქტი“, როგორც კლექტონის კანონის შესწორება. ხოლო 1952 წელს მიღებულ იქნა „მაკაიერის აქტი“ და სახელმწიფომ პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლი დაიწყო მონოპოლიებზე, რასაც მოჰყვა ეკონომიკის სახელმწიფო-მონოპოლიური რეგულირება. ადმინისტრაციულ დაწესებულებებს კონტროლი უნდა გაეწიათ კონცენტრაციის ხარისხზე სხვადასხვა დარგებში. ამას მოჰყვა მთელი დარგების ანტიტრესტული იურისდიქციიდან საერთო ადმინისტრაციულ სფეროში გადაცემა.

მეცნიერები თვლიან, რომ სახელმწიფოს მიერ ანტიტრესტულ რეგულირებას ეპიზოდური ხასიათი აქვს. იგი უფრო ქირურგიულ ჩარევას ჰგავს, ვიდრე მუდმივ სამედიცინო დახმარებას. ასეთი ქირურგიული ჩარევა სასწრაფოდ ესაჭიროება ჩვენს „ავადმოყოფ“ ეკონომიკას.

ამ წლებში ხელისუფლება აცხადებდა, რომ ქვეყანაში მონოპოლიები არ გვაქვს და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა არ გეჭირდება.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე რიგ ქვეყნებში სურსათზე ფასები შემცირდა (რომ არ ვთქვათ სხვა საქონელზე), თუმცა ჩვენთან სამომხმარებლო ფასები შეუქცევადად იზრდება. დღეს უკვე აშკარაა, რომ რამდენიმე პროდუქციის ბაზარი მონოპოლიზებულია (შაქრის, ბრინჯის, ასანთის, ფარმაცევტული პროდუქციის, მობილური კავშირების). გასული წლის დეკემბერში პრეზიდენტმა ფარმაცევტული კომპანიები გააკრიტიკა წამლებზე მაღალი ფასის გამო, აღიარა ამ დარგის მონოპოლიზაცია და ამ საკითხის კანონით დარეგულირებას შეჰპირდა საზოგადოებას, რომელზეც მუშაობს მთავრობა. ამის შემდგომ პერიოდში მედიკამენტები კიდევ უფრო გაძვირდა, ზოგიერთი დასახელება 100%-თაც კი.

ცნობილია, რომ მობილური კავშირების ბაზარს დიდხანს ინაწილებდა მაგთი და ჯეოსელი. ახლა კი არსებობს ეჭვი მაგთის,

ჯგოსელის და ბილაინის კარტელურ საფასო შეთანხმებაზე. ამ ეჭვს ამართლებს მობილური კავშირების მაღალი ფასები ჩვენს ქვეყანაში, რაზეც მეტყველებს ერთი გამოკვლევა – ინტერნეტკომპანია Inform Telecom Media-მ გამოაქვეყნა მსოფლიოში ყველაზე ძვირი ქვეყნების რეიტინგი მობილური კავშირების ფასების მიხედვით. შეფასების კრიტერიუმი იყო პაკეტის გასაშუალოებული ღირებულება (თვეში 25 ზარის და 30 ტექსტური შეტყობინების ფასად) და იგი შეადგენდა 12,25 დოლარს. რეიტინგის ლიდერი აღმოჩნდა ქუვეითი (სადაც კალათის ღირებულებაა 75,18 დოლარი). ყველა ქუვეითელი დასაქმებული სახელმწიფო აპარატში მუშაობს, სადაც საშუალო ხელფასი 12000 დოლარია, ამიტომ მათთვის 100 დოლარი ტვირთს არ უნდა წარმოადგენდეს; II ადგილზეა სიერა-ლეონე, III ადგილზეა საქართველო – ჩვენთან მობილური მომსახურების პაკეტი უფრო ძვირია, ვიდრე საფრანგეთში (მე-V ადგილზეა), შვეიცარიაში (მე-VI ადგილი), იაპონიაში (XXI ადგილი), უკრაინა (101-ე ადგილზეა), პოლონეთი (124-ე ადგილზეა). ძალიან საგანგაშო სტატისტიკაა!

დამაფიქრებელი ვითარებაა ფიქსირებული სატელეფონო ქსელის ოპერატორების ბაზარზეც. კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილი სატარიფო პოლიტიკა მობილური და ფიქსირებული კავშირების კომპანიებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. დარღვეულია ურთიერთნათვლის პარიტეტი იმდენად, რომ ვეღარ ახერხებენ მოქალაქეებისათვის რეალური ტარიფის შეთავაზებას, რითაც მომხმარებელი ზარაღდება. აქ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკასა და კონკურენტულ პრინციპებზეც კი ზედმეტია საუბარი. ჩნდება ეჭვი უკანონო ღობირების შესახებ.

თეორეტიკოსები ფიქრობენ, რომ დარგობრივი საბაზრო სტრუქტურებისადმი ეკონომისტების ინტერესი იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ კვლევა ამ სფეროში უშუალო გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაზე ისეთ საკითხებში, როგორცაა კონკურენციის მხარდაჭერა ანტიტრესტული პოლიტიკით, არჩევანი კერძო და სახელმწიფო საწარმოს შორის, ტექნოლოგიური პროცესების სტიმულირება სუბსიდიებით, გრანტებით. ასეთივე მიზეზად ითვლება ის, რომ დარგობრივი ეკონომიკის ფუნქციონირების ბევრი ასპექტი „საქმეში ჩახედულობის“ დაბალი დონითაა შეფასებული, რომ არაფერი ვთქვათ ეროვნულ ეკონომიკაზე. ამდენად, პრობლემათა გადასაჭრელად ინტელექტუალური მიზიდულობის დიდი ძალა ყველა კომპეტენტურ მკვლევარს მოუხმობს.

**FIELD MARKET STRUCTURES - INTELLECTUAL ATTRACTION UNIT
OR STATE ECONOMICAL POLICY GUIDE**

SUMMARY

Productivity of field and market is multidimensional depends on purchaser and seller's behaviour in such cases like open and hidden negotiation, price policy, productive and publicity strategies, investments in installations. Behaviour in its side depends on market structure. Productivity of field and market considers rational structure and when market is not able to be this kind it needs to have recommendations and regulations from the state. In this field the researches influence the state economical policy definition in such matters as support of rivalry with antitrust law, choice between the private and state enterprise, stimulation of the technological processes with subsidiary, grants. At the same time many aspects of the field economical functioning is estimated with the low level of business knowledge and needs the competent researches.

Antiterrorist regulation has episode character and defines the rules of the firm behaviour that is often to be punished.

It more resembles to the surgical involvements from the side of the state. The national economics needs this involvement due to the fact that many markets are monopolized and the prices increase on the background of the world economical crises.

ნინო მიქიაშვილი

**ურთიერთკავშირები უმუშევრობით
გამოწვეულ პრობლემებს შორის**

თანამედროვე მსოფლიოში უმუშევრობა უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათაგანია, რომელიც შესაბამის ნეგატიურ შედეგებს იწვევს. უმუშევრობის პრობლემატიკის შესწავლისა და ანალიზის დროს გასათვალისწინებელია: მისი გამომწვევი მიზეზები, ფორმები, სახეები, მასშტაბები და ა.შ., განსაკუთრებით კი ის თავისებურებანი, რომლებითაც ამა თუ იმ ქვეყნის შრომის ბაზრები ხასიათდება.

უმუშევრობა იწვევს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პრობლემათა მთელ სპექტრს. შესაბამისად, უმუშევრობის პრობლემის მოგვარება მინიმუმ შეანელებს და მაქსიმუმ აღმოფხვრის საზოგადოებისა და ინდივიდისთვის ერთობ მწვავე საკითხებს.

უმუშევრობა დაკავშირებულია ისეთ გლობალურ პრობლემასთან, როგორცაა სიღარიბე, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური და

სოციალური არასტაბილურობის მიზეზი ხდება, იზრდება მრავალმხრივი დანაკარგები.

ეკონომიკური დანაკარგების შეფასება შედარებით იოლია. სხვადასხვა სტატისტიკური კვლევების შედეგად შეიძლება დადგინდეს თუ რამდენად მცირდება: საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფო ბიუჯეტი, წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა. რაც შეეხება პოტენციურ მთლიან ეროვნულ შემოსავალსა და რეალურ ეროვნულ შემოსავალს შორის თანაფარდობას, იგი, ცხადია, უმუშევრობის მატეხის პირობებში გაიზრდება. ეკონომისტები ეკონომიკურ დანაკარგებს უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან აკავშირებენ და გამოჰყავთ გარკვეული თანაფარდობა უმუშევრობის პროცენტულ ცვლილებასა და პოტენციურ მთლიან ეროვნულ შემოსავალს შორის. მაგალითად, ივარაუდება, რომ, უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან შედარებით, ფაქტობრივი უმუშევრობის დონის პროცენტული ზრდა პოტენციურ მთლიან ეროვნულ შემოსავალს ოუკენის კანონის თანახმად 2,5%-ით ამცირებს, ზოგი მეცნიერის აზრით, მთლიანი ეროვნული შემოსავლის ჩამორჩენა უფრო მეტია (3 ან 3,5%-ით), ანუ ამ მიდგომით გამოითვლება უმუშევრობით გამოწვეული პროდუქციის აბსოლუტური დანაკარგები.

„უმუშევრობის დანაკარგების“ შეფასება ბუნებრივი უმუშევრობის ჰიპოთეზის საფუძველზე ხდება. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უმუშევრობის ბუნებრივ დონედ 4-7%-ს მიიჩნევენ. საქართველოში ბუნებრივი დონის განსაზღვრა ჯერჯერობით ექსპერტული შეფასებებითაა შესაძლებელი. შესაბამისად, უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების გამოთვლის შედეგი ერთობ მიახლოებითი იქნება.

სამწუხაროდ, საქართველოში მთელი სიმძაფრით იგრძნობა მასობრივი უმუშევრობის ნეგატიური ტენდენციები: მოსახლეობის შემოსავლების შემცირება და ცხოვრების დონის დაცემა, ამიტომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალური მონაცემებით როგორც სიღარიბის დონის პროცენტულ მაჩვენებლებში (2004 წელს იყო 24,6; 2005 წელს – 24,1; 2006 წელს – 23,3; 2007 წელს – 21,3; 2008 წელს – 22,1; 2009 წელს – 21,0), ასევე სიღარიბის სიღრმისა (2004 წელს იყო 8,1; 2005 წელს – 7,6; 2006 წელს – 7,2; 2007 წელს – 6,9; 2008 წელს – 7,0; 2009 წელს – 6,6) და სიმწვავის (2004 წელს იყო 4,0; 2005 წელს – 3,6; 2006 წელს – 3,3; 2007 წელს – 3,2; 2008 წელს – 3,2; 2009 წელს – 3,1) მაჩვენებლებში 2005 წლიდან კლება²⁰⁸ (გამონაკლისია 2008 წელი), რეალურ მდგომარეობას გაუმჯობესება დიდად არ ეტყობა. თუმცა აქვე უნდა

²⁰⁸ მაჩვენებლები მოცემულია მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ.

ადინიშნოს, რომ შრომის ბაზრის შესახებ რეალური ინფორმაციის მოპოვება კვლავ პრობლემურია, ექსპერტული შეფასებები თითქმის ყოველთვის აღემატება შესაბამის ოფიციალურ სტატისტიკურ მანკენებლებს. უმუშევრობას რაც შეეხება, იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. უმუშევრობის დონე 2004 წელს იყო 12,6 პროცენტი; 2005 წელს – 13,8; 2006 წელს – 13,6; 2007 წელს – 13,3; 2008 წელს – 16,5; 2009 წელს – 16,9 (გამონაკლისია 2006-07 წლები). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2009 წლებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის კლებაა დაფიქსირებული (გარდა 2009 წლისა).

სიღარიბისა და უმუშევრობის დონის მანკენებლების შედარებითა ანალიზმა აჩვენა, რომ უმუშევრობის ზრდასთან ერთად იკლებს სიღარიბის დონე, სიმწვავე და სიღრმე, რაც ერთობ უცნაურია. როგორც აღინიშნა, უმუშევრობის მაღალი დონის გამო დიდია ეკონომიკური და სხვა სახის დანაკარგები როგორც შიდა მეურნეობის დონეზე, ასევე მაკროეკონომიკურ ჭრილში, ამასთან ერთად, უდავოდ გასათვალისწინებელია სოციალური, მორალური, ფსიქოლოგიური დანაკარგები, რომელთა ღირებულებითი შეფასება შეუძლებელია. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ ათეულწლოვით ქვეყნის მოსახლეობა უკიდურესად მძიმე პირობებში იმყოფებოდა და, სურვილის შემთხვევაშიც კი, მნიშვნელოვანი დანაზოგი ვერ ექნებოდა უმუშევრობის დროს ცხოვრების წინანდელი დონის შესანარჩუნებლად უმეტეს შემთხვევებში უმუშევრობის პერიოდებიც ხანგრძლივობით ხასიათდებოდა. ამ ფონზე სიღარიბის მანკენებლების ზრდა უფრო ლოგიკური იქნებოდა.

უმუშევრობის პრობლემის სიმწვავის შენელება და სრული დასაქმებისკენ სწრაფვა თავისთავად გამოიწვევს სიღარიბის დაძლევას, რაც სახელმწიფო სტრუქტურების ზრუნვის საგანი უნდა იყოს. აპრობირებული მეთოდებით ისე უნდა მოხდეს ეკონომიკის რეგულირება, რომ საბაზრო მექანიზმმა შეძლოს სამუშაო ადგილების შექმნა და, რაც არანაკლებ აქტუალურია, მათი შენარჩუნება, ხანგრძლივი უმუშევრობის შემცირება, ეფექტიანი დასაქმება და სხვა პოზიტიური ქმედებანი, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავს ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ წინსვლას.

Nino Mikiashvili

INTERCONNECTIONS OF UNEMPLOYMENT CAUSED PROBLEMS

SUMMARY

Unemployment remains one of the most actual socio-economical problem in the modern world, which itself results the chain of problem and among them poverty is the first and most important, because it becomes the reason of unstable economical and social environment, are rising diversified loses. Unfortunately, Georgia isn't an exception and negative tendencies of unemployment effects country economic powerfully. In article is given comparative analysis of unemployment and poverty parameters and on this basis are made adequate conclusions.


Government structures are obligated to diminish the level of unemployment and consequently, the level of poverty. Country can come out from this difficult situation only with aimed, long termed economical policy.

თათია ჭელიძე

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის უძღვებო


საქართველოს ბევრი უცხოელი სავაჭრო პარტნიორი ჰყავს. თითოეულ მათგანთან ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ეკონომიკისათვის, მით უფრო, რომ ახლა ვიშვოფებით გარდამავალი ეკონომიკის პირობებში და ჩვენს ქვეყანას უდიდესი მხარდაჭერა სჭირდება უცხოელი პარტნიორების მხრიდან.

2009 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 5513,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი განისაზღვრა 1135,0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო იმპორტი – 4378,3 მლნ აშშ დოლარით. ეს მაჩვენებლები წინა წელთან შედარებით დაეცა, 2008 წელს მთლიანი ბრუნვა შეადგენდა 7555.8 მლნ აშშ დოლარს, ასევე 2007 წელსაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო, რომელიც შეადგენდა 6456.9 მლნ აშშ დოლარს. მაგრამ მიუხედავად ასეთი სურათისა, ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური ბრუნვა, 2001 წლიდან მოყოლებული, თანდათან იზრდებოდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია და მიუთითებს ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე და დიდ ინტერესზე საქართველოს მიმართ.



ის ფაქტი, რომ 2009 წლის მონაცემები 2008 წლის მონაცემებზე ნაკლებია, ადვილად ასახსნელია და ამის მიზეზად რუსეთ-საქართველოს შორის ომი სახელდება, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენ ქვეყანას. ამასთან, შეწყდა რუსეთთან ჩვენი სავაჭრო ურთიერთობები, არადა რუსეთი იყო საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი. გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტორისა, აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი და ყველას, თუნდაც მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებსაც კი პრობლემები შეექმნათ ამ პერიოდში. მსოფლიო ბაზარზე იყო საშინელი “ქაოსი”, ბევრი საწარმო დაიხურა, ბევრმა ფირმამ ხარჯების შემცირების მიზნით მუშახელი დაითხოვა სამსახურიდან და ა.შ. ყოველივე ამან კი, თითქმის ყველა ქვეყანაში, ეკონომიკის ვარდნა გამოიწვია.

ზემოთ მოყვანილ სტემაზე ჩვენთვის საკმაოდ საინტერესოა რა პროცენტი ეჭირა და უჭირავს საქართველოს ექსპორტს. რა თქმა უნდა სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ საქართველოში იმპორტი აჭარბებს ექსპორტს, ანუ ქვეყანას აქვს უარყოფითი სადღო, მაგრამ მაინც საინტერესოა დავინახოთ მისი ცვალებადობა წლების განმავლობაში:



განვიხილოთ საქართველოს უშუალო უმსხვილესი პარტნიორები, რომლებსაც უდიდესი ხვედრითი წილი უჭირავთ ზემოთ მოყვანილი სტემების ამგვარ ფორმირებაში.


2009 წლის იანვარ-ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, საქართველოს საგარეო ბრუნვაში 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, ესენია:

- თურქეთი – მთლიანი ბრუნვის 18.8 %


- აზერბაიჯანი – 10,1;
- უკრაინა – 8,8%;
- გერმანია – 5,9%;
- რუსეთი – 5,6%;
- აშშ – 5%;
- ბულგარეთი – 4,5%;
- ჩინეთი – 3%;
- იტალია – 2,7%;
- კანადა – 2,4%.

არანაკლებ საინტერესოა იმ საქონლის სია და ის პროცენტული მაჩვენებლები, რომლებიც საქართველოდან ექსპორტის სახით გადის და ასევე იმპორტის სახით შემოდის. ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს ექსპორტში



უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს იმპორტში



ამ მონაცემებით ნათლად ჩანს ის ძირითადი პროდუქტები, რის ექსპორტ-იმპორტსაც ახდენს საქართველო. ბუნებრივია, ფეროშენადნობების დიდი ნაწილი გადის იმპორტზე და, შესაბამისად, არც ისაა გასაკვირი, რომ საქართველოში იმპორტირებული საქონლის 37% არის ნავთობპროდუქტები, ვინაიდან ჩვენთან ამ სახის წიაღისეულის მოპოვება არ ხდება.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორებიდან როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია თურქეთს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, იანვარ-მარტში თურქეთთან სავაჭრო ბრუნვამ 211805000 აშშ. დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი შეადგენდა 53043800, ხოლო იმპორტი 158716200 აშშ დოლარს. საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით, პირველი ადგილი შავი ლითონების ჯართს უჭირავს, შემდეგ მოდის ფეროშენადნობები და აზოტოვანი სასუქები. იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით, დიდი რაოდენობით შემოდის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სამკურნალო საშუალებები, ქაღალდი და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ 2008 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოსა და თურქეთს შორის “თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება”. შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან გაუქმდა სამრეწველო პროდუქციის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფები, გარკვეული გამონაკლისებია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. ასევე ექსპორტზე საბაჟო გადასახადები შენარჩუნდა რამდენიმე სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, თუმცა გარკვეული სახის საქონელი შედავათებს იღებს კვოტების სახით, რომელთა განაწილებაზეც პასუხისმგებელია თურქეთის მხარე.

Before analyzing statistical data of 2009 when Lithuanian labour market figures started changing rapid, should highlight that period from 2004 up to 2007 can be introduced as example of minimum unemployment rates in Lithuania.

According to LR Darbo birza (2009) and Statistics Lithuania during the period from 2004 up to 2007 the Lithuanian economics was booming and all the main indicators of the level of living like GDP, consumer price indices, average monthly earnings in whole economy, minimum monthly earnings, basic pensions and old age pensions were growing consequent. The unemployment rate was declining and dropped up to 2.8 percent during 2007 09 (www.ldb.lt).

Situation in labour market changed from the unemployment rate 11,4 in 2004 up to 4,3 during 2007 and started growing up to 5,8 during 2008. Although during last year of this period unemployment figures started growing situation in the labour market was still very close to natural unemployment situation. This period can be described as labour force migration between existing and open work places period.

Lithuanian Republic law of The Unemployment Social Insurance (No.IX-1904) after some complements were made stated that the unemployed person can get unemployment social insurance always except if that person work contract in previous work place ended because of person's fault after which company could not do anything else except to stop the work contract of that person. The difference between Lithuanian labour market regulation and other states is that other states indicate as one of the factors to receive unemployment benefit – the job loss should be involuntary.

The decline of main economic indicators during 2008 also changed the situation in Lithuanian labour market critically. Unemployment rate for the 1st of January, 2010 reached 12,5 percent (www.ldb.lt). Situation at the end of 2009 can be called quite stabile comparing to changes during 2009. The state faced the problem called cyclical unemployment. Lithuanian government reviewed possibilities to pay unemployment insurance benefits and because of the shortages in fiscal budget reduced passive unemployment regulation tools expenditures per person. Labour Exchange office pays more attention towards active unemployment regulation tools. The unemployment regulation tools like special consulting for unemployed who are willing to become self-employed, discounts for business licenses for not longer then 6 months period

became more popular and effective during recent period. The Labour Exchange office is trying to find work places for registered unemployed people. The difference between 2009 and 2008 is that during 2009 were made more short-term work contracts (2.1 times) and long-term work contracts figure decreased by 15 percent that can be indentified as the result of economic decline when many companies close their businesses either are not sure about the future and prefer not to make long-term obligations.

There were 18,8 thousands of unemployed people occupied in various short-term employment programs that changed their unemployed status for a while. During 2009 there were 2,2 thousands of worker who's companies were facing economic problems and because of that they were working only half a day and the other part of the working time were employed by various employment programs. Those programs allowed keeping some work places.

There were 47,5 thousand unemployed people participating in various active unemployment regulation tools and programs which is about 30 percent more then during 2008. About 18 thousand unemployed were taking part in public works. 13.9 thousands unemployed were taking part in vocational training.

The passive tools like unemployment insurance benefits are supposed to smooth consumption for those who lost their workplaces but can be used for short time and also do not guarantee possibility to find vacancy. Paid financial grants for unemployed can cause the abuse of benefits and also in the same time can cause fiscal problems in budget.

Active unemployment regulation tools are more efficient and provide long-term effect. Vocational training, professional skills upgrading, consulting unemployed and employers can ensure work places in the future. The greatest attention should be paid towards entrepreneurship and support for small and medium business because that causes possibilities for some unemployed people to become self-employed and open some more new work places.

REFERENCES

1. Acs, G., Toder, E. (2007). Should we subsidize work? Welfare reform, the earned income tax credit and optimal transfers. *Int Tax Public Finan.* 327-343.
2. Alesina, A., Glaeser, E. (2004). *Fighting Poverty in the US and Europe A World of Difference.* Harvard University. ISBN-13: 978-0-19-926766-8
3. Bloemen, H. G., Stancanelli, E. G. F. (2005). Financial Wealth, Consumption Smoothing and Income Shocks Arising from Job Loss. *Economica*, (72), 431 – 452.
4. Cekanavicius, L. and G. Kasnauskiene (2009). "Too High or Just Right? Cost-Benefit Approach to Emigration Question." *Inzinerine Ekonomika-Engineering Economics*(1): 28-36.
5. Ciegis, R., R. Jurgaityte, et al. (2008). "The analysis of socio-economic progress and future perspectives in the new EU members." *Transformations in Business & Economics* 7(2): 34-54.

6. Clark, J. R., Dwight, R. Lee. (2008). Government Transfers and Inequality: an Anatomy of Political Failure. *Public Finance and Management*. Volume Eight, Number 2, 265-301.
7. Gallaway L., Vedder R. (2002). The Impact of Transfer Payments on Economic Growth: John Stuart Mill versus Ludwig von Mises. *The quarterly journal of Austrian economics*. Vol. 5, No. 1, pp. 57-65.
8. Gallie, D. (2007). *Employment Regimes and the Quality of Work*. University of Oxford. ISBN-13: 978-0-19-923010-5
9. Gottschalk, P. (1988). The Impact of Taxes and Transfer on Job Search. *Journal of Labour Economics*. 6 (3), 362-375.
10. Howell, D. (2005) *Fighting Unemployment The Limits of Free Market Orthodoxy*. Oxford Scholarship Online. ISBN-13: 978-0-19-516584-5
11. Klepinger, D. H., Johnson, T. R., Hoesch J. M. (2002). Effects of Unemployment Insurance Work Search Requirements: the Maryland Experiment. *Industrial and Labour Relations Review*. 56 (1), 3 – 22.
12. Marsden, D. (1999) *A Theory of Employment Systems*. London School of Economics. ISBN-13: 978-0-19-829422-1
13. Martinkus, B., S. Stoskus, et al. (2009). "Changes of Employment through the Segmentation of Labour Market in the Baltic States." *Inzinerine Ekonomika-Engineering Economics*(3): 41-48.
14. Olsson M. (2008) *Matching in the labour market: modelling spatial aspects of the Swedish unemployment benefit rules*, Springer-Verlag
15. Savaneviciene, A., D. Stukaite, et al. (2008). "Development of strategic individual competences." *Inzinerine Ekonomika-Engineering Economics*(3): 81-88.
16. The Law of Lithuanian Republic Unemployment Social Insurance // 2003 12 16, No. IX – 1904.
17. Ziliukas, P. and E. Katiliute (2008). "Writing and Using Learning Outcomes in Economic Programmes." *Inzinerine Ekonomika-Engineering Economics*(5): 72-77.
18. Weber Ch. E. (2000). Government purchases, government transfers, and the post-1970 slowdown un U.S. economic growth. *Contemporary Economic Policy*, Vol.18, No.1, pp. 107-123.
19. An official web page of the Lithuanian Labour Exchange office at the Ministry of Social Security and Labour. [opened 2010-01-20] internet source: www.ldb.lt

ՅՈՒՆԵՍԿՈՒՆ, ԵՎՐՈՊԱՅՄՈՒԿՈՒՄ ԵՎ ԿԵՆՏՐՈՆԻ ԵՄՅՅՈՅ

А.Г. Афонина

ФИНАНСИРОВАНИЕ ИНВЕСТИЦИОННЫХ ПРОЕКТОВ: РАЗЛИЧИЯ МЕЖДУ РЕГИОНАМИ РОССИИ

Для эффективного функционирования хозяйственных субъектов, действующих в рамках рыночной экономики, необходимо установление оптимальных пропорций инвестиций из различных источников финансирования. В целом, поиск источников денежных средств для инвестиционных проектов – сложная задача, стоящая перед компанией.

Как известно, можно выделить следующие источники финансирования:

- собственные (прибыль, амортизационные отчисления, суммы страховых возмещений);
- заемные (кредиты, лизинг, выпуск долговых ценных бумаг);
- привлеченные (средства от продажи акций, благотворительные взносы, государственное финансирование).

Согласно данным Росстата, в январе-сентябре 2009 г. основная часть инвестиций в основной капитал в России финансировались за счет привлеченных средств. На них приходилось 61,7% инвестиций, из них 18,7% - на бюджетные средства. Остальная часть инвестиций в основной капитал финансировалась за счет собственных средств (38,3%), причем примерно поровну приходилось на амортизацию (19,9%) и прибыль, оставшуюся в распоряжении предприятия (15,5%) [2].

В регионах доля собственных и привлеченных средств на инвестиции в основной капитал варьируется довольно значительно. Для анализа были выбраны регионы, относящиеся к Приволжскому и Уральскому федеральным округам, а также Московская и Ленинградская области (см. рис. 1).

Согласно представленным данным, среди анализируемых регионов Ленинградская область лидирует по финансированию инвестиций в основной капитал за счет привлеченных средств, на них приходится 80,9% инвестиций. В тоже время Пермский край, наоборот, лидирует по финансированию за счет собственных средств, на них приходится 65,7% инвестиций.

Следует отметить, что финансирование за счет собственных средств с точки зрения финансовой устойчивости является наиболее предпочтительным вариантом, поскольку компания не связывается с внешними источниками финансирования и поэтому никому не обязана. Однако часто собственных средств бывает недостаточно для финансирования инновационных проектов. Так, например, Бакеева Й.Р. отмечает, что использование прибыли в качестве источника инвестиций, как правило, ограничено финансовым состоянием предприятия... Оценивая возможность использования собственных средств как источника инвестиций, необходимо отметить их ограниченный характер, применимость только на финансово устойчивых предприятиях [1,86].




Рис.1 Источники финансирования инвестиций в основной капитал по регионам (источник: Федеральная служба государственной статистики, www.gks.ru)

Таким образом, можно сделать вывод, что компании в регионах, где инвестиции в основной капитал осуществляются большей частью за счет собственных средств, либо являются высокоприбыльными корпорациями и, следовательно, за счет собственных средств удовлетворяют свои потребности в инвестициях, либо модернизация основных средств и инновационные процессы

в компаниях в данных регионах намного отстают от тех, где преобладают заемные источники финансирования.

Для сравнения выбранных регионов по инвестиционной активности был рассчитан показатель инвестиций в основной капитал на одно предприятие (см. рис. 2).

Как видно из представленных данных, наибольшее значение показателя инвестиций в основной капитал на одно предприятие отмечается в Тюменской области (7,95 млн. руб.). Все оставшиеся регионы намного отстают по данному показателю, однако в лидеры входят также Ленинградская область и республика Татарстан. Наименьшее значение показателя у Кировской области (0,94 млн. руб.).

Также для проведения сравнительного анализа между регионами был рассчитан показатель сальдированного финансового результата на одно предприятие (см. рис.3).

Самый высокий показатель сальдированной чистой прибыли на одно предприятие наблюдается в Тюменской области, причем значение сильно превышает значение в других регионах. Самые низкие значения показателя наблюдаются в Саратовской, Пензенской и Кировской областях.




Рис.2. Инвестиции в основной капитал на одно предприятие в 2007 г (источник: Федеральная служба государственной статистики, www.gks.ru)




Рис. 3. Сальдированный финансовый результат на одно предприятие в 2007 г. (источник: Федеральная служба государственной статистики, www.gks.ru)

Данные, приведенные на рисунках 1-3, свидетельствуют о том, что прямой зависимости между источниками финансирования и объемами инвестиций на одно предприятие не прослеживается. Однако анализ данных финансовых результатов на одно предприятие показывает, что компании в регионах, где финансовые результаты на одно предприятие максимальны, осуществляют инвестиции в основной капитал преимущественно за счет собственных средств.

Таким образом, можно сделать вывод, что прямой зависимости между источниками финансирования и инвестиционной активностью компаний в регионе не прослеживается. Поэтому для повышения инвестиционной активности компаний в регионе необходим комплексный анализ деятельности предприятий и выработка оптимальных схем финансирования инвестиционных проектов. Так, например, для повышения инвестиционной активности в Пермском крае необходимо увеличение доли заемных средств в источниках финансирования инвестиций в основной капитал. Тогда как для Кировской, Саратовской, Самарской областей необходимо разрабатывать программы по улучшению финансового состояния предприятий с целью увеличения доли собственных средств в источниках финансирования инвестиционной деятельности предприятий.

ЛИТЕРАТУРА

1. **Бакеева Й.Р.** Финансовая основа модернизации предприятия // Российское предпринимательство, 2008 №11, выпуск 2.
2. www.gks.ru

Afonina A. G.

FINANCING OF INVESTMENT PROJEGTS: DIFFERENCES AMONG RUSSIAN REGIONS

SUMMARY

There should be an appropriate ratio of investment from the different sources for the effective operation of the companies in a market economy. The article is devoted to analyze regions of the Russian Federation by different sources of investment, investment activity and financial results of the companies in the regions. The author emphasizes principals of investment in the different regions and gives examples of improving financial activity of the regions.

ჯანა ბალახაშვილი

ჯამრთელობის დაზღვევის არსი და მისი ფორმები საქართველოში

საქართველოში სადაზღვევო პროდუქტების ოცამდე სახე არსებობს, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია სამედიცინო დაზღვევა.

საქართველოში 1997 წელს იქნა მიღებული კანონი “სამედიცინო დაზღვევის შესახებ”, სადაც 2005 წელს შეიტანეს გარკვეული ცვლილებები. ჯამრთელობის დაზღვევა ითვალისწინებს განსაზღვრულ ლიმიტებსა და ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას.

ჯამრთელობის დაზღვევა შეიძლება არსებობდეს როგორც ინდივიდუალური პირობებისათვის, ისე კორპორაციული კლიენტებისათვისაც.

ჯამრთელობის დაზღვევა სხვადასხვა სახის პოლისებს ითვალისწინებს, კერძოდ:

მასწავლებლების დაზღვევა; ახალშობილების დაზღვევა; მოსწავლეების სიცოცხლის დაზღვევა; უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა; უნივერსალური დაზღვევა.

ნებისმიერი სადაზღვევო კომპანია ვალდებულია, გააფორმოს ხელშეკრულება სამედიცინო კლინიკასთან, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის კლიენტების სამედიცინო მომსახურებას “ოჯახის კლინიკის” სტატუსით.

მაგალითად, “აღდავი ბისიას” პირველი კლინიკა 2006 წლის 6 თებერვალს გაიხსნა. 2008 წლიდან კი, ჩემი ოჯახის კლინიკის ქსელში, თბილისის სამი და ერთი (ბათუმის) რეგიონული ფილიალია გაერთიანებული, რომლებიც “აღდავი ბისიას” კლიენტებს ემსახურებიან შექმნილი პოლისის შესაბამისად. სამედიცინო მომსახურების მიღების შემდეგ კომპანია ახორციელებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, დაზღვეული თავისუფლდება გადახდის პროცედურისაგან ან იხდის მხოლოდ მინიმუმს.

უნივერსალური დაზღვევის დროს კლიენტს საშუალება ეძლევა, თავად აირჩიოს სასურველი სამედიცინო მომსახურებები და შექმნას ჯამრთელობის დაზღვევის პოლისი საკუთარი მოთხოვნების შესაბამისად.

მაგალითად, სადაზღვევო კომპანია “აღდავი ბისიაში” ჯამრთელობის დაზღვევის პოლისის შესაძენად საჭიროა განაცხადის შევსება და სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება 40 წელს ზემოთ პირებისათვის. გამოკვლევებს ატარებენ “აღდავი ბისიას” კუთვნილ ჩემი ოჯახის კლინიკაში. გამოკვლევების ჩატარების შემდეგ დაზღვეულს აღარ სჭირდება კლინიკაში ხელახალი ვიზიტი, რადგან გამოკვლევების პასუხები და ექიმის დასკვნა კლინიკიდან პირდაპირ სათავო ოფისში გადაიზიარდება; იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კლიენტის დაზღვევა “აღდავი ბისიაში”, მაშინ მას არ მოუწევს წინასწარი გამოკვლევების ხარჯების გადახდა.

სკოლის მოსწავლეებისათვის ჯანმრთელობის პოლისში გათვალისწინებულია ყველა ის სამედიცინო მომსახურება რომელიც მოზარდებს განსაკუთრებით სჭირდებათ. კერძოდ: სამკურნალო მასაჟი და სტომატოლოგიური მომსახურება, კბილების გასწორების ჩათვლით, სადაზღვევო პოლისი გაიცემა ერთწლიანი სადაზღვევო პერიოდით და მისი განახლება შესაძლებელია მოსწავლის სკოლის დამთავრებამდე.

მასწავლებლის დაზღვევა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის მსურველი 50 პედაგოგი იქნება ერთი სკოლიდან.

ჯამრთელობის დაზღვევაში “ჯიპიაი ჰოლდინგს” პირველი ადგილი უჭირავს საქართველოში მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს შორის. 2006 წელს თავისი დაზღვეულების სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების მიზნით, “ჯიპიაიმ” 6 მილიონ ლარზე მეტი გადაიხადა. 2008 წელს კი ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ადამიანი ანიჭებს უპირატესობას “ჯიპიაი ჰოლდინგში” ჯამრთელობის დაზღვევას. მათ არჩევანს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს.

მომსახურების მაღალი დონე; ანაზრაურების მარტივი და მოქნილი სისტემა; მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და კლინიკების ქსელი; მარტივი და ხელმისაწვდომი პირობები;

“ჯიპიაი ჰოლდინგის” ჯამრთელობის დაზღვევა მოიცავს შემდეგ მომსახურებას: 24 საათიანი სატელეფონო სამედიცინო კონსულტაცია; პირადი ექიმის მომსახურება; სასწრაფო სამედიცინო მომსახურება; პროფილაქტიკური შემოწმება (წელიწადში 2-ჯერ); იმუნოზაცია (წელიწადში 2-ჯერ); ამბულატორიული მომსახურება – სხვადასხვა პროფილის სპეციალისტის კონსულტაცია; ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები (ექოსკოპია, კარდიოგრამა, ანალიზები და ა.შ.); ექიმის მიერ მედიკამენტების დანიშვნა; ჰოსპიტალური მომსახურება – დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მედიკამენტები; მშობიარობა და ორსულობასთან დაკავშირებული ხარჯები; სტომატოლოგიური მომსახურება.

ჯამრთელობის დაზღვევაში შედის პირადი ექიმის მომსახურება, რომელიც კლიენტებს უწევს სხვადასხვა სახის სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციებსა და საჭირო დახმარებას მკურნალობის დაგეგმვის პროცესში.

ფიზიკურ პირებს ემსახურება შემდეგი პოლისებით: პოლისი პედაგოგი; იაფი დაზღვევის პროგრამა; პოლისი 60+; ხოლო კორპორაციულ დაზღვევას მიეკუთვნება “ჯამრთელობის პოლისი”.

სადაზღვევო კომპანია “ირაო” დაინტერესებულ პირებს ჯამრთელობის დაზღვევის კორპორაციულ პაკეტს სთავაზობს, სადაც შემდეგი პირობებია გათვალისწინებული:

ასისტანსი – ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო კონსულტაციას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას. ასისტანსის სამსახურის მეშვეობით მიიღებთ ინფორმაციას თქვენი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობისა და სარგებლობის წესების შესახებ.

პირადი ექიმის მომსახურება – ზოგადი პრაქტიკის ექიმის პირველადი კონსულტაციები, პროფილაქტიკური გამოკვლევები, სამედიცინო მომსახურების ორგანიზება.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარება – ითვალისწინებს სახელმწიფო გარანტიების დამატებით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ხარჯების ანაზღაურებას, დაზღვეულის რეანომობილით ტრანსპორტირებას რეგიონებიდან ცენტრში.

მშობიარობა/ორსულობა – ითვალისწინებს ორსულობის დროს ექიმის კონსულტაციის, ლაბორატორიული გამოკვლევების და სხვა აუცილებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. გარდა ამისა, ფიზიოლოგიური მშობიარობის (მათ შორის საკეისრო კვეთა) ხარჯების ანაზღაურებას.

მედიკამენტები – ითვალისწინებს “იროს” ოჯახის ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას.

სტომატოლოგია – ითვალისწინებს თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურების (სტომატოლოგის კონსულტაცია, კბილის თერაპიული მკურნალობა, დაბუნა, გაწმენდა, დიაგნოსტიკური რენტგენოლოგრაფია) და გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების (გაუტკივარება, ექსტარქცია, დიაგნოსტიკური რენტგენოგრაფია) ხარჯების ანაზღაურებას.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ სამედიცინო დაზღვევა ფინანსური ბაზრის უაღრესად მზარდი და განვითარებადი სეგმენტია, იგი სისტემატურად იხვეწება ჯანდაცვაზე საზოგადოებრივი მოთხოვნის შესაბამისად და ყოველწლიურად მოსახლეობას სთავაზობს ახალი მომსახურების პროდუქტს, რომელიც ზრდის კონკრეტულ გარემოს და შესაძლებლობას, ალტერნატიული გარემოს შესაქმნელად.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ყირიმიშვილი ნ. ფინანსები, თბილისი, 2005.
2. საქართველოს კანონი “დაზღვევის შესახებ” (02.05.1997).
3. არეშიძე ლ., შონია ნ., ღავთაძე გ. სადაზღვევო საქმე. ქუთაისი, 2005.
4. ფაჩულია რ. დაზღვევა, პრობლემები და მოსაზრებები. თბილისი, 1998.
5. ვეკუა დ. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეორგანიზაცია და საქართველოში მისი განხორციელების პერსპექტივა. თბილისი, 2003.
6. გველესიანი რ. საერთაშორისო მეწარმეობის რისკები და სადაზღვევო ბიზნესის პრინციპები. თბილისი, 2003.
7. შათირიშვილი ჯ., კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2008.
8. საქართველოს კანონი “არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ”, 1998.
9. ცერცვაძე ა., კალანდაძე ლ. “საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება”. თბილისი, 2002.
10. ცისკაძე მ. ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001.

Zhana Balakhashvili

THE ESSENCE AND FORMS OF THE INSURANCE OF HEALTH IN GEORGIA

SUMMARY

There are analyzed the essence of the insurance of health in the scientific work and the insurance service existed at present in Georgia. Medical insurance is the social guarantee of care of public health of population and it's aim is the compensating

of expenses of medical service, spent through the insurance dues and accumulated money means.

The analysis have shown that the medical insurance has been the exceptionally ingreasing and developing segment of the financial market, it has systematically improved on the care of public health conformable to public demand and it offers the product of new service to the population every year, which has been increasing the concrete environment and the possibility in order to create the alternative environment.

ხათუნა ბერიშვილი

**პოლიტიკური რისკების შეფასება მულტიეროვნული
კორპორაციების მიერ**

სამართლებრივი სისტემები საერთაშორისო ბიზნესში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რისკების შესაბამისად იცვლება. ეს ცვლილებები არსებით ზეგავლენას ახდენს მულტიეროვნული კორპორაციების მიერ განხორციელებულ ბიზნესპროცესებზე. როგორც წესი, მულტიეროვნული კორპორაციები კარგად იცნობენ საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ გარემოს. ამასთან, მათ უჭირთ იმ ქვეყნის შეფასება, სადაც საკუთარი კაპიტალის დაბანდებას აპირებენ. მიუხედავად ამისა, ასეთი პროგნოზირება შესაძლებელია და მას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ფირმისთვის. რა იგულისხმება პოლიტიკურ რისკებში? პოლიტიკური რისკი არის ხალხის გარკვეული ჯგუფების ან მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელსაც შეუძლია ფირმაზე ზეგავლენა მოახდინოს დაუყოვნებლივ ან გრძელვადიან პერიოდში. ამ განმარტებაში ერთიანდება პოლიტიკური რისკების ყველა ასპექტი, დაწვებული რეგულაციებით, დამთავრებული საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებით.

საერთაშორისო ბიზნესში იმ ფაქტორების გათვალისწინება, მით უმეტეს პროგნოზირება, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკურ რისკს, ექსპერტისთვისაც საკმაოდ რთულია, მაგალითად, ამ დარგის ბევრი ექსპერტის აზრით, იმის გამო, რომ პოლიტიკოსების ნაწილს სჯეროდა, 1990 წელს ერაყი არ დაარღვევდა ქუვეითის უფლებებს, მულტინაციონალურმა კორპორაციებმა ვერ გაითვალისწინეს ის ნეგატიური ეფექტი, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა ამ შეჭრას ერაყში მათი ბიზნესის წარმოებისთვის. ზოგადად, შუა აღმოსავლეთი ცნობილია, როგორც ინტენსიური ბიზნესრისკების ზონა, იქ კონცენტრირებულია რისკის ისეთი ფორმები, რომლებიც მსოფლიოს ბევრი ქვეყნისა და ადგილისთვის არ არის დამახასიათებელი. ამ მიზეზით რეგიონში ევროპის კავშირი მკაცრად კრძალავს იაპონური ავტომობილების იმპორტს, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული

შტატები მკაცრად აკონტროლებს უცხოურ ინვესტიციებს საბანკო და საპაერო ინდუსტრიაში. ასეთი შეზღუდვების მიზეზი შუა აღმოსავლეთში არსებული შიდა პოლიტიკური გარემოა.

რაც უფრო ძნელია ექსპერტების მიერ პოლიტიკური რისკების პროგნოზირება, მით უფრო რთული იქნება ბიზნესსტრუქტურებისათვის, განჭვრიტონ ის პოლიტიკური სირთულეები, რომლებიც ზეგავლენას მოახდენს მათ საერთაშორისო საქმიანობაზე. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, პოლიტიკური საქმიანობის პროგნოზირებისათვის, კომპანიის მენეჯმენტმა სულ მცირე ორი რამ უნდა გააკეთოს:

1. ბაზარზე შესვლამდე შეაფასოს პოლიტიკური რისკები;

2. მუდმივად მოახდინოს დაკვირვება იმ პოლიტიკურ ქმედებებზე, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ კომპანიის მიმდინარე საქმიანობაზე.

ამ მიზნით ზოგიერთი ფირმა პერიოდულად ატარებს პოლიტიკურ გარემოზე დაკვირვებას, რათა განსაზღვროს მისი ზეგავლენა თავის ბიზნესზე. საბოლოოდ, პოლიტიკური რისკის პრობლემა უარყოფითად აისახება მოცემულ ქვეყანაში კომპანიების მიერ ინვესტიციების დაბანდებაზე.

პოლიტიკური რისკები იყოფა რამდენიმე კატეგორიად. ესენია:

1. პოლიტიკურ გარემოში არსებული რისკები;

2. საშინაო ეკონომიკური მდგომარეობის რისკები;

3. საგარეო ეკონომიკური ურთერთობის შედეგად წარმოშობილი რისკები.

პირველ ცხრილში წარმოდგენილია ამ სამი მთავარი კატეგორიის რისკების შეფასების მაგალითი. სანამ მას თანმიმდევრულად განვიხილავთ, მანამ ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ცხრილში თითოეული რისკი დანომრილია. რისკების შეფასების წარმოდგენილ მეთოდს, რომელიც გვეხმარება შევაფასოთ მოცემულ ქვეყანაში ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული საფრთხე, აქვს ორი მთავარი მიზანი.

ცხრილი 1

ქვეყნებში პოლიტიკური რისკის შეფასების მეთოდი

რისკის ტიპები	მაგალითები	მინ. ქულა	მაქს. ქულა
---------------	------------	-----------	------------

პოლიტიკური/ეკონომიკური გარემო	1. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა	3	14
	2. შიდა კონფლიქტების შესაძლებლობა	0	14
	3. სტაბილურობის საგარეო საფრთხე	0	12
	4. ეკონომიკური კონტროლის ხარისხი	5	9
	5. თქვენი, როგორც სავაჭრო პარტნიორის, საიმედოობა	4	12
	6. კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა	2	12
	7. სახალხო სამინისტროს ეფექტიანობა	3	12
	8. მუშათა ურთიერთობის / საზოგადოებრივი წესრიგის ხარისხი	3	15
შიდა ეკონომიკური სიტუაცია	9. მოსახლეობის რაოდენობა	4	8
	10. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი უცხოელუბისათვის	2	10
	11. ეკონომიკური ზრდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში	2	7
	12. სამომავლო ზრდა, მომავალი 3 წლის განმავლობაში	3	10
	13. ინფლაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში	2	10
	14. რამდენად დიაა მარკეტი უცხოელებისთვის	3	7
	15. მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ყოლის შესაძლებლობა	2	8
	16. უცხოელების დაქირავების უნარი	2	8
	17. ენერგეტიკული რესურსების არსებობა	2	14
18. გარემოს/ დაბინძურების შესახებ კანონები	4	8	
19. ინფრასტრუქტურული განვითარების დონე	2	14	
საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები	20. საიმპორტო შეზღუდვები	2	10
	21. საექსპორტო შეზღუდვები	2	10
	22. უცხოურ ინვესტიციებზე შეზღუდვები	3	9
	23. ამხანაგობების ჩამოყალიბების უნარი	3	9
	24. ბრენდების, სავაჭრო ნიშნის დაცვა	3	9
	25. ფულად გადარიცხვებზე შეზღუდვები	2	8
	26. ფულადი მიმოქცევა წინა 5 წლის განმავლობაში	2	7
	27. ანგარიშსწორების ბალანსი	2	9
	28. ნავთობის/ენერჯის იმპორტის რაოდენობა	3	14
	29. საერთაშორისო ფინანსური მდგომარეობა	3	8
	30. სავალუტო კურსის შეზღუდვები	2	8

პირველ რიგში, თუ თითოეული ქვეყნისთვის შევაჯამებთ საერთო მონაცემებს, მივიღებთ საერთაშორისო დონეზე ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების შედეგების უტყუარ ინფორმაციას. მეორე რიგში, რისკების განსაკუთრებული ტიპების გაანალიზებით, კომპანიას შეუძლია ორიენტაცია მოახდინოს და იმუშაოს სპეციფიკურ საფრთხეებზე. მაგალითად, თუ არსებობს მოცემული ქვეყნიდან ფულად გადარიცხვაზე დაწესებული შეზღუდვები, ასეთ შემთხვევაში ფორმა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ორიენტირებულია ამ პრობლემის მოგვარებაზე. მაგალითად, შეგიძლია დადო შეთანხმება მთავრობასთან, რომელიც მოხსნიდა ამ შეზღუდვებს გარკვეული დროის განმავლობაში. დაწვრილებით განვიხილოთ

რისკების ის ტიპები, რომელსაც შეიძლება წააწყდეს კომპანია.

პირველ რიგში, არსებობს ბევრი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოება, რომელმაც შეიძლება გაზარდოს რისკების ფაქტორი. მაგალითად, ქვეყნის მთავრობისა და პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობა ასეთი ეჭვის მნიშვნელოვანი წყაროა. უახლოეს წლებში ვნახეთ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ სისტემებში დრამატული და ძალადობრივი ცვლილებების შედეგები, რომელმაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მოცემულ ქვეყანაში ბიზნესის მწარმოებელი მულტიეროვნული კომპანიების საქმიანობაზე.

ამ კატეგორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი რისკი, რომლის წინაშეც შეიძლება ფირმები დადგნენ, არის მათი საკუთრების ნაციონალიზაცია. ეს ხდება მაშინ, როდესაც მთავრობას კერძო საკუთრება ძალადობრივი გზით სახელმწიფო კონტროლის ქვეშ გადაჰყავს. ეს ქმედება განსაკუთრებით დიდი მასშტაბით 1960-1970 წლებში განხორციელდა, როდესაც მსოფლიოს 70 სხვადასხვა ქვეყანაში 1500 ფირმის ნაციონალიზაცია მოხდა. ნაციონალიზაცია ყველაზე მძიმედ განიცადეს ფირმებმა, რომელთა საქმიანობა ისეთ ადგილობრივ რესურსებს ეფუძნებოდა, როგორცაა: დაუშუშავებელი ნავთობის წარმოება, სამთო მრეწველობა და მეტალურგია. სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებს ინდუსტრიის ასეთი გარდაქმნისათვის ბევრი მიზეზი გააჩნია. ერთ-ერთი არის ის, რომ ახალ მთავრობას შეიძლება სურვილი ჰქონდეს, აჩვენოს, რომ მას შესწევს ძალა წინ აღუდგეს უცხოური კომპანიების ძალაუფლებას და ბიზნესს მის ქვეყანაში. მთავრობამ შეიძლება მოახდინოს კომპანიის ან ინდუსტრიის ნაციონალიზაცია მისი ღირებულების ან იმ ძალის გამო, რომლითაც გლობალურ დონეზე ცვლილების მოხდენა შეუძლია. ამ მიზეზის კარგი მაგალითია დაუშუშავებელი ნავთობი. საუკუნის დასაწყისში მთელ რიგ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში დაუშუშავებელი ნავთობის წარმოებას უცხოური კომპანიები განაგებდნენ. ათწლეულების გასვლასთან ერთად, განსაკუთრებით 1970 წელს, ამ დარგში მოხდა ნავთობის წარმოების ნაციონალიზაცია, რის შედეგადაც ნავთობის წარმოებისა და გადამუშავების ქარხნები ადგილობრივ მმართველობაში გადავიდა და ისინი ქვეყნის შიგნიდან იმართება.

თუ მთავრობა მოახდენს ინდუსტრიის ან კომპანიის ნაციონალიზაციას და დაზარალებულ მულტინაციონალურ საწარმოს მისცემს კომპენსაციას, ასეთ ქმედებას ექსპროპრიაცია ეწოდება. ბევრი ქვეყანა (ამერიკის ჩათვლით) ცნობს ქვეყნის უფლებას, მოახდინოს აქტივების ჩამორთმევა სუვერენული იმუნიტეტის გზით. ამ პრინციპის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს რომ, არც ერთ ერს არ აქვს უფლება, განსაჯოს სხვა სახელმწიფოს საშინაო ქმედებები, როცა ის მოცემული სახელმწიფოს სამართალს ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, სამართლიან ქმედებაზე წარმოდგენა კომპლექსურია და

საკუთრების ჩამორთმევა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის არ კმაყოფილდება შემდეგი სამი კრიტერიუმით:

1. ექსპროპრიაციას სარგებელი უნდა მოჰქონდეს საზოგადოებისთვის.

2. ეს მოქმედება მულტინაციონალური ცორპორაციებისათვის დისკრიმინაციულ ხასიათს არ უნდა ატარებდეს, უცხოელი ინვესტორები იმავე პირობებს უნდა დაექვემდებარონ, როგორც ადგილობრივები.

3. საკუთრებისთვის ინვესტორებს უნდა მიეცეთ სწრაფი, დაუყოვნებელი, ადეკვატური კომპენსაცია.

სასამართლომ დაამტკიცა რომ, იმ შემთხვევაში, თუ სუვენერული მთავრობა შეთანხმებულად იმოქმედებს ადგილობრივ და უცხოურ ფირმასთან, შეიძლება სრული კომპენსაცია არ იყოს საჭირო. 1970 წელს დაუშუშავებელი ნავთობის ინდუსტრიის მასობრივი ნაციონალიზაცია შუა აღმოსავლეთსა და სამხრეთ აფრიკაში არის შედარებით ლიბერალური ექსპროპრიაციის მაგალითი, რადგან უცხოურ და ადგილობრივ ფირმებს ზარალის დასაფარად მიეცათ კომპენსაცია. მიუხედავად ამისა, ქონების ჩამორთმევა გრძელვადიანი პერიოდით ქვეყანაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს, რაც გამოწვეულია უცხოური ინვესტიციების კლებით.

როდესაც ნაციონალიზაცია ახდენს უცხოური ფირმის დისკრიმინაციას, მისი დანაკარგებისთვის მცირე კომპენსაციის შეთავაზებით ან საერთოდ უგულვებელყოფით, ასეთ ქმედებას ეწოდება კონფისკაცია. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომ ქონების მფლობელებს მიეცემათ სრული კომპენსაცია. მიუხედავად სასამართლოების ასეთი გადაწყვეტილებისა, კონფისკაციამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს მულტინაციონალურ კომპანიას და ამის მრავალი თანამედროვე მაგალითი არსებობს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის მომდევნო წლებში ჩინეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებმა მოახდინეს დიდი რაოდენობის კერძო საკუთრების ჩამორთმევა უცხოელი ინვესტორებისთვის, მათ ან მცირე კომპენსაცია მისცეს, ან, საერთოდ, არაფერი. იგივე განმეორდა კუბაში 1959 წელს კომუნისტური რეჟიმის მოსვლის შემდეგ, ხოლო უფრო თანამედროვე მაგალითებია ჩილე, პერუ და ზიმბაბვე.

ექსპროპრიაცია და კონფისკაცია იშვიათი იყო 1990-სა და 2000 წლების დასაწყისში, მულტინაციონალური კორპორაციები უნდა უფრო ხილდებოდნენ ამ სახის რისკებს, რადგან მათ მიერ გამოწვეული ზარალი დიდია. მიუხედავად ამისა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბევრ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენას, როგორც ეს ცხრილშია ნაჩვენები, რომელიც აქტიურ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ბიზნესზე. ასე მაგალითად, ნაციონალიზმი, როგორც მოვლენა, დამახასიათებელია მთელი მსოფლიოსათვის. ამ მიზეზით

წარმოშობილი სამოქალაქო ომები მულტინაციონალური კომპანიებისათვის ბიზნესის წარმოების პროცესში ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ამის კარგი მაგალითია იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენები და უამრავი კონფლიქტი, რომლებსაც მომავალ წლებში შეიძლება იგივე ეფექტები ჰქონდეს. ნათელია, რომ სამოქალაქო ომმა შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კომპანიების წარმოების განადგურება, მათი პროდუქტიულობის შემცირება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათი მუშაკების დაღუპვა.

ცნობილია, რომ ისეთმა რადიკალურმა პოლიტიკურმა აქტივობამ, როგორიცაა ტერორიზმი და ძალადობის სხვა ფორმები, სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს. მულტინაციონალური კომპანიებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ადამიანების გატაცება. საინფორმაციო წყაროებში აღწერილია უცხოელი ადმინისტრატორების გატაცება ერაყში, კოლუმბიასა და მექსიკაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში. ლათინური ამერიკის ქვეყნები მსოფლიოში გატაცების ყველაზე დიდი მაჩვენებლით ხასიათდებიან, კოლუმბიაში, სადაც ყოველწლიურად 3000 გატაცება ხდება, ეს მოვლენა ფულის კეთების ბიზნესად იქცა. დადგენილია, რომ კოლუმბიაში მილიონობით დოლარი და ადმინისტრატორების დროის ერთი მესამედი უსაფრთხოების საკითხებსა და კოორდინაციაზე იხარჯება.

ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს პოლიტიკური რისკის სხვა ფორმებსაც. ისინი თავიანთი ეფექტებით ნაკლებად მნიშვნელოვანი, მაგრამ უფრო ფართოდ გავრცელებულნი არიან. მაგალითად მულტინაციონალური კომპანიებისათვის სასარგებლოა გაიგონ იმ რეგიონის სამუშაო კლიმატი, სადაც ბიზნესს იწყებენ. განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით შრომის კანონმდებლობა, ზოგიერთი მათგანი არ არის ბიზნესისთვის მოსახერხებელი. მნიშვნელოვანია ის, რომ პერიოდულად გადახედო ამ ურთიერთობებს იმ ქვეყნებში, სადაც კომპანია ბიზნესს აწარმოებს. პოლიტიკური საფრთხეებისა და რისკების მსგავსად, თითოეული მათგანი შეიძლება გამოიკვლიონ და შეაფასონ იმ კომპანიებმა, რომლებიც ამ საკითხებს ითვალისწინებენ.

ცხრილი წარმოგიდგენს იმ შიდა ეკონომიკურ კრიტერიუმებს, რომლებმაც შეიძლება შეამციროს ან გაზარდოს უცხოური ინვესტიციების რისკი. როგორც ჩანს, ისეთმა შიდა ეკონომიკურმა ფაქტორებმა, როგორებიცაა კაპიტალდაბანდებობა მოგება, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, გზების, აეროპორტების და კომუნიკაციების სისტემების არსებობა, შეიძლება გაზარდოს ან აღმოფხვრას ის რისკი, რომლებსაც შეიძლება კომპანიები წააწყდნენ. კარგი ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა ამცირებს ბიზნესის რისკს, მისი დახმარებით ბიზნესში ჩნდება ახალი შესაძლებლობები და ჩნდება გაფართოების პერსპექტივები. ამასთანავე, როგორც რისკი,

შეიძლება იყოს შესაძლებლობაც. მაგალითად, ავიღოთ ტელეფონის ინფრასტრუქტურა უნგრეთში, სადაც 1990-იან წლებში ყოველ 1000 ადამიანზე მხოლოდ 96 სატელეფონო ხაზი მოდიოდა (ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ 1000 ადამიანზე 545 ხაზი), ახალი ხაზების გაყვანას კი 5 წელი სჭირდებოდა. ამერიკულმა ფირმა Qwest-მა ამაში საკუთარი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობა დაინახა და უნგრეთის ბაზარზე შევიდა. ბიზნესმა სენსაცია მოახდინა. მათ მომსახურებაზე მოთხოვნა 10000-ზე მეტ მომხმარებელს ჰქონდა. მაშინ, როდესაც საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უნგრეთს აქვს ყველაზე ურისკო და მყარი ეკონომიკა, რისკის შეფასების სისტემა, ჩვენი აზრით, ამ ქვეყანაში მაინც უნდა იქნეს გამოყენებული.

სხვა საშინაო რისკის ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი ბაზა. ასეთი კანონების ზეგავლენამ შეიძლება შეზღუდოს მულტინაციონალის მოღვაწეობა უცხო ქვეყანაში. ეს შეზღუდვები ყოველთვის ზრდის კომპანიის მართვის ხარჯებს. მაგალითად გერმანიაში, კომპანიები საქონლის გადაზიდვისა და გაყიდვის დროს ვალდებული არიან, დაიცვან შეფუთვის მკაცრი კანონი. ეს “მწვანე ლაქის” კანონი ბიზნესისგან მოითხოვს: 1. მომხმარებლისგან უკან მიიღოს შესაფუთი მასალის ჭარბი რაოდენობა; 2. მოახდინონ მათი უტილიზაცია.

ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსად, გერმანიაშიც არსებობს გარემოს დაბინძურების შემზღუდველი კანონები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ინდუსტრიული ნარჩენების წარმოებასა და გაყიდვაზე. ზოგიერთ ქვეყანაში თითქმის არ არსებობს გარემოს დაცვის კანონები. ნაწილობრივ ამ კანონების არარსებობა გამოწვეულია იმით, რომ განვითარებადი ქვეყნები მისწრაფვიან ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ და ცდილობენ, არ გააკეთონ ისეთი რამ, რაც ცუდად იმოქმედებს უცხოურ ინვესტიციაზე. ამ პრობლემის გადასაწყვეტად, 50-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა Basel Convention-ის ხელშეკრულებას მავნე ნარჩენების საერთაშორისო ტრანსპორტირებაზე. ამ ხელშეკრულების არსი ისაა, რომ ტოქსიკური ნარჩენების გადაზიდვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ქვეყნები, სადაც მან უნდა გაიაროს, ამის ნებართვას გასცემენ. ექსპორტიორ ქვეყანას არ შეუძლია ნარჩენების გადატანა, სანამ ის არ მიიღებს წერილობით თანხმობას, ზარალის დაზღვევას და შიდა კანონთან არ შეთანხმდება, რომ ამ ხელშეკრულების დარღვევა დანაშაულად ჩაითვლება.

ბევრ ქვეყანას ძალიან აწუხებს ინდუსტრიის ზეგავლენა თავიანთ გარემოზე. ფირმის მიერ ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად არსებობს გარემოზე ზემოქმედების არაპირდაპირი ზეგავლენაც. ბუფალოში მომხდარის მსგავსი ბუნებრივი კატასტროფების შემდეგ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ზოგიერთ ქვეყანაში,

მაგალითად გერმანიაში, შექმნილია პოლიტიკური პარტიები, რომლებიც აგვარებენ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს. ამდენად, არსებობს ამ ფაქტორთან დაკავშირებული პირდაპირი და ირიბი რისკების ფორმები. ნათელია, რომ ეს ზეგავლენას ახდენს მულტინაციონალური კომპანიების მიერ ბიზნესში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სამომხმარებლო ნაწარმის კომპანიისთვის უკეთესია ქარხანა ააშენოს მექსიკაში ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან შეერთებულ შტატებში დაბინძურებაზე კონტროლი მოითხოვს ძვირადღირებულ დანადგარებსა და მონიტორინგს. ამის მსგავსად, ქიმიურ კომპანიას ურჩევნია, მოქმედებდეს ინდონეზიაში, ვიდრე გერმანიაში, სადაც არსებობს ბევრი ინდუსტრიული შეზღუდვები. ქვეყნების მიხედვით სამართლებრივი შეზღუდვა არსებობს თუ არარსებობს გათვალისწინებულია რისკის შეფასების სისტემებში, რომელიც ცხრილშია წარმოდგენილი.

Berishvili Khatuna

EVALUATION OF POLITICAL RISKS BY MULTINATIONAL CORPORATION

SUMMARY

Legal systems in the international business keep changing according to the political risks in any country. These changes exercise essential influence on business processes, implemented by multi-national corporations. The more difficult prognosis of political risks by the experts is, the more complicated it will be for the business structures to foresee the political difficulties, which will influence their international activities. For prognosis of political activity the company manager should do at least two things:

1. to evaluate the political risks before entering the market;
2. to permanently watch the political actions, which can have impact on the current activities of the company.

With this aim in view some companies periodically conduct observation of political environment to determine its impact on its business. Finally, the problem of political risks has negative influence on investments to be put into the country by the companies. Firstly, if we sum up the common data of each country, we'll get real information on evaluation of risks connected with making business at the international level. Secondly, by analyzing specific types of risks, the company can orient and work at specific threats.

ნიკო გუნიია

**თანამედიკოზო მსოფლიო ზინანსურ-ეკონომიკური
კრიზისი ლა-რუმ-ლაიბნიცის "ზინიკური
ეკონომიკის" შუქვა**

1. ლა-რუშ-ლაიბნიცის "ფიზიკური ეკონომიკის" გადასახედიდან, დღეს მიმდინარე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გამოძვევე მიზეზები ღრმაა. ამ და ყველა სხვა, ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში მიმდინარე, თითქმის ციკლური ბუნების კრიზისთა ფესვები საერთოა. ის სულაც არ არის ამჟამად სახელმძღვანელოდ მიღებულ ეკონომიკურ დოქტრინებისაგან გადაცდომების შედეგი. პირიქით, ეს კრიზისები ამ დოქტრინათა მცდარობის მაჩვენებელია, და არა მარტო მათი. შეიძლება ითქვას, ეს მიზეზები თავის ფესვებში ფილოსოფიურია და გამოწვეულია ადამიანის, როგორც მოვლენის, მცდარი გაგებით.

"ფიზიკური ეკონომიკის" შემქნელად ითვლება ამერიკელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ლინდონ ლა-რუში (*L.H. LaRouche, Jr*, თავად ის არ ეთანხმება ამ აზრს და პრიორიტეტს ლაიბნიცს უთმობს). ეს თეორია გადმოცემულია ლა-რუშის პუბლიკაციაში «ფიზიკური ეკონომიკა, როგორც ცოდნის საფუძველი» (1994წ.: შემოკლებით – «ფიზიკური ეკონომიკა», [1]; ქართ. თარგმ. იხ. ჩვენს საიტზე: niko-gunia.ge/)

ლა-რუშ-ლაიბნიცის "ფიზიკური ეკონომიკა" თავისი ბუნებით სულაც არ ჰგავს რომელიმე "ეკონომიკურ თეორიას", რომელთაც ეკონომიკის "პრაქტიკული მართვის" ამოსავალ წყაროდ გვთავაზობ(დნ)ენ პოლიტიკოსები, დიქტატორები თუ ისტორიულად ლეგიტიმური მმართველები; ის არც ამ "პრაქტიკული მართვის" ერთ-ერთი თეორიაა, მაგალითად "მეურნეობის ოპერატიული მართვის საფუძველების" ანდა "ეკონომიკური სტატისტიკის" მსგავსი (ამ და სხვა ასეთ დისციპლინებთან, "ფიზიკურ ეკონომიკას", პრინციპში, სადავო ბევრი არაფერი აქვს). ისიც უნდა ითქვას, რომ ტერმინ "ფიზიკური ეკონომიკას" არავითარი საერთო არ აქვს მის იმ გაგებასთან, რომელიც გვხვდება ზოგიერთ რუს ავტორთან (იხ. მაგ., პობისკ კუზნეცოვი). ამ ტერმინს შემდგომ განვიხილავთ მხოლოდ ლა-რუშის მიხედვით.

ფილოსოფიის გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ "ფიზიკური ეკონომიკა" *ეპისტემოლოგიაა – მოძღვრება ცოდნის ვალიდურობის შესახებ*. ხოლო, როგორც მეცნიერება, ლა-რუშის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, ის "მეცნიერების მეფეა", ამ სფეროს სუზერენი, "მეცნიერების დედოფალთან", *მათემატიკასთან* ერთად.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური ეკონომიკის გადასახედიდან მეცნიერულზე არანაკლები მნიშვნელობისაა აღმოჩენები მორალის სფეროში; ამ აღმოჩენებს აკეთებს *კლასიკური ხელოვნება*.

2. "ფიზიკური ეკონომიკის" მიხედვით, ცივილიზაციის პროგრესის წყარო მთლიანად ბუნებაში, საზოგადოებაში ანდა პიროვნების "ქვეცნობიერში" როდი ძეგს, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი რაიმე აგენტის სახით. ეს წყარო არის პიროვნების სუვერენულ კოგნიტიურ სფეროში,

მის წარმოსახვით უნარში, მის შემოქმედითობაში. ამ უკანასკნელის "პროდუქტია" აღმოჩენა, ბუნებისმეტყველებაში იქნება ეს თუ ხელოვნებაში. ვალიდური აღმოჩენები, თითოეული სუბიექტის უნარი, აკეთოს აღმოჩენა, არის ის რეალური ძალა, რომელიც ამოძრავებს "ისტორიის ლოკომოტივს" (და არა, მაგალითად, "კლასთა ბრძოლა" ანდა "მოგების წყურვილი").

ლა-რუშმა თავისი მოძღვრება დააფუძნა ფილოსოფიის, მეცნიერების, კლასიკური ხელოვნების, მათემატიკისა და "სახელმწიფოს მართვის ხელოვნების" (*statecraft*) ისტორიის ცოდნაზე, რომელიც მოიცავს ევროპული ცივილიზაციის ყველა ქრონოლოგიურ პერიოდს. შეიძლება ითქვას, "ფიზიკური ეკონომიკა" ანტიკური ეპოქის კლასიციზმში იღებს სათავეს და ეფუძნება პლატონის, დიდი ქრისტიანი ავტორების, ნეოპლატონიკოსების, ნეტარი ავგუსტინეს, ნიკოლას კუზანელის, კეპლერის, ლაიბნიცის, გაუსის, რიმანის, კანტორის, ვერნადსკის, აინშტაინის, გიოდელის და თავად ლა-რუშის შემოქმედებას, მაგრამ ეს სია არსებითად არასრულია. ვუწოდოთ აზროვნების ამ მიმართულებას "*პლატონის რეალისტური ხაზი*" (პლატონის რეალისტური ფილოსოფიიდან გამომდინარე).

ამის საპირისპიროა "არისტოტელეს ხაზი": აქ არიან სოფისტები, იმავე ანტიკური ეპოქიდან, თავად არისტოტელე, რომანტიკოსი ყაიღის მომდევნო ეპოქის ავტორები, აქეთ კი თომას ჰობსი, გალილეი და ნიუტონი, კანტორის მოძულე მათემატიკოსები XIX საუკუნიდან, ხოლო გასული საუკუნიდან ლოგიკოსი ბერტრან რასელი და მათემატიკოსი ჯონ ფონ ნეიმანი, რომლის ეკონომიკურ მოძღვრებას ლა-რუში "გაუარესებულ მარქსს" უწოდებს. ეს ჩამონათვალიც კიდევ უფრო შორსაა სისრულისაგან. მასში არაა ნახსენები ადამ სმიტი და მარქსი, არც დარვინი და ფროიდი, რადგან მათ, "არისტოტელეს ხაზის" მანამდე ნახსენებ ავტორებისგან განსხვავებით, რაიმე "უშუალოდ ღირებული", გარდა უარყოფითი გამოცდილების, არ მიუციათ საზოგადოებისათვის [2]. ადამ სმიტისა და მარქსის მოძღვრებებს ქვემოთ მაინც შევხებით, რადგან ისინი დღესაც არსებითად და, რაც მთავარია, დამანგრეველად, შემოქმედებს მთელი ჩვენი ცივილიზაციის ცხოვრებაზე.

თუ ამის შემდეგ ვინმეს წაკითხვის სურვილი აღარ ექნება, ეს ალბათ მოხდება არა მხოლოდ განსხვავებულ აზრთან შეუგუებლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ის შინაგანად ღრმადაა დარწმუნებული დღევანდელ ეკონომიკურ დოქტრინათა, მით უმეტეს "თანამედროვე" მეცნიერების შეუმცდარობაში. მეტიც, სამწუხაროდ, ბევრისათვის უცხოა *კრიტიკული აზროვნება* (სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს *ილია II*, დავუფლოთ ამ მეთოდს). ბევრი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ რაც საყოველთაოდ მიღებულია – მაგალითად, "თანამედროვე მეცნიერების"

უეჭველობა, კერძოდ კაპიტალიზმის "თანამედროვე მამათა ნააზრევები" – შეიძლება დაფაქტურდეს კრიტიკის ქვეშ.

ეს "უკრიტიკო" დამოკიდებულება სამყაროსადმი არასწორი განათლების შედეგია. საზოგადოებას ის თავს მოახვევს საკმაოდ დიდი ხნის წინათ. აი რას წერს ამის შესახებ ლინდონ ლა-რუში:

«აშშ-ს საგანმანათლებლო პოლიტიკის სულ უფრო მზარდ კატასტროფულ ჩავარდნათა ფესვები ბოლო 30 წლის განმავლობაში, შეიძლება შეჯამდეს შემდეგ ხუთპუნქტიან საბრალდებულ დასკვნაში: 1) შეგრძნებითი აღქმა ყოველთვის როდია ცოდნა; 2) რაც გვისწავლია ყველაფერი ცოდნა არ არის; 3) საყოველთაოდ მიღებული შეხედულება, აკადემიური იქნება იგი თუ სხვა, არაა ცოდნა; 4) *დღევანდელი მასწავლებლობა* არ არის მომართული მოსწავლეთა იმგვარი განათლებისაკენ, რომელიც შეეფერება ადამიანს, გარკვეული აზრით; 5) რადიკალურ რედაქციონისტა "ინფორმაციის თეორიის" სახელით ცნობილი ახირება... ამდენად, განათლების მეთოდი, რომელიც მორგებულია "ინფორმაციის თეორიას", როგორცაა მაგალითად, ე.წ. "*ახალი მათემატიკა*" (*New Math*), ასევე წარმოადგენს თვალთმაქცობას» [3] (ემფაზები დამატებულია; ნ.გ. *დამატებები* ამ საკითხებზე [8]).

3. ლინდონ ლა-რუში ცნობილია, როგორც "გრძელვადიანი პროგნოზების მკეთებელი" ეკონომისტი. ბოლო მისი ახდენილი პროგნოზი გაკეთდა 2007 წლის ზაფხულში, ვებტელევიზიით გადაცემულ ერთ-ერთ მის შეხვედრაზე. ლა-რუში წინასწარმეტყველებდა ფინანსური კრიზისის დაწყებას, რაც გამართლდა კიდევ. იქ დამატებით ნათქვამია: თუ პოლიტიკისა და ეკონომიკის მართვა, აგრეთვე მიდგომები მეცნიერებისა, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებისადმი გაგრძელდება იმავე აქსიომატურ საფუძველზე, მსოფლიო გადავა ისეთ კრიზისში, რომლის მსგავსი იყო მხოლოდ შუა საუკუნეთა ევროპაში— ლა-რუშის სიტყვებით, ეს იქნებოდა "ახალი ბნელი ხანა" (*The new Dark Age*).

პროგნოზის ამ ნაწილს ლა-რუში კარგა ხანია გამოთქვამს, მაგალითად «ფიზიკურ ეკონომიკაში». ის იწვება იმის დამტკიცებით, რომ ბოლო 40 წლის განმავლობაში მსოფლიო მეურნეობაში, "მოწინავე" ამერიკულის ჩათვლით, შეიმჩნევა ვარდნა, რომელმაც შეიძინა იმდენად სისტემატური ხასიათი, რომ გაჩნდა საშიშროება ახლო მომავალში ის გადაიზარდოს გლობალურ კატასტროფაში, ზემოხსენებულ "შუა საუკუნეთა ბნელეთში".

რუსეთის ამჟამინდელ მმართველ ელიტას მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევა გლობალური კატასტროფა იყო. ისინი ამ კოლაფსის მიზეზს ხედავენ "შეთქმულთა" სხვადასხვა ჯგუფებისა თუ პოლიტიკოსთა ქმედებებში. რეალური მიზეზი კი გაანალიზებული აქვს ლა-რუშს «ფიზიკურ ეკონომიკაში» (1994). აღსანიშნავია, რომ მან საბჭოთა კავშირის აღსასრული იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ 1979 და

1980 წ. გამოსულ წიგნში "იარსებებს საბჭოეთი 80-იანი წლების განმავლობაში?" [4].

«ფიზიკური ეკონომიკის» ფურცლებზე ლა-რუში აღწერს თუ როგორ მოხერხებულად მოახდინა "გამოყენებითი სისტემური ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტმა" (შვეიცარია) საბჭოთა კავშირში "კაღდორის სისტემური ანალიზის" (კემბრიჯი) იმპორტირება, რომელმაც საბოლოოდ გაანადგურა ამ ქვეყნის ისედაც მცდარ იდეებზე დაფუძნებული სუსტი ეკონომიკა და დაშალა სახელმწიფო.

ამ მოვლენაზე ლა-რუშს გული შესტკივა მხოლოდ იმიტომ, რომ საბოლოოდ ყველაფერი გადადის უბრალო ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობის კისერზე. მისთვის – «ქრისტიანული ეკონომიკის» [5] ავტორისათვის, ადამიანი "ღვთის ხატია" ბუნებაში, უმაღლესი ღირებულება ამ ფიზიკურ სამყაროში. ლა-რუშის აზრით, საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსი, შემდგომი ფინანსური კრიზისების ციკლებია, რომელიც ახლა გადადის ეკონომიკურ სირთულეებში მოსალოდნელ სირთულეთა ფონზე. ლა-რუშისათვის, ადამ სმიტი, მარქსი, ფონ-ნეიმანი, კეინზი და ჯ. სტ. მილი, აგრეთვე თითოეული ამათგანის თანამედროვე მიმდევარნი, აზროვნების ერთი და იმავე სტილის ეკონომისტებია – "ნულოვანი ზრდის" ეკონომისტები [1]. თანამედროვე კაპიტალიზმს, რომელსაც ლა-რუში უწოდებს "ანგლო-საქსურ" მოდელს (ლაიბნიცის "გერმანული მოდელისაგან" განსხვავებით), მისი ვარაუდით, იგივე მოელის:

"კოლაფსის ანგლო-ამერიკულ მხარეზე პირდაპირ იკვეთება ადამ სმიტის გავლენა. სმიტისეული დოგმის რადიკალური ვერსია აქსიომატურად ჩართულია პოლიტიკურ აზროვნებაში, რომელიც უკვე მალე მიიყვანს ანგლო-ამერიკულ ფინანსურ სისტემას სისტემურ კოლაფსამდე." [1]

ეს დაიწერა 1994 წელს (და მუდამ მეორდება ამ ავტორის შემდგომ ნაწერებში).

4. ბუნებრივია კითხვა: რაში ხედავს ლა-რუში გამოსავალს? ფაქტობრივად ამ კითხვაზე პასუხს ეძღვნება მისი ზემოსხენებული ნაშრომი «ფიზიკური ეკონომიკა», აგრეთვე ამ უაღრესად პროდუქტიული ავტორის მრავალი სხვა პუბლიკაცია თუ გამოსვლა, შეიძლება ითქვას, მთელი მისი მოღვაწეობაც.

"ფიზიკური ეკონომიკიდან" ერთ-ერთ დასკვნას, "სისტემურობის" კონტექსტში ნათქვამს, ვთავაზობთ მკითხველს:

"უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რომელიც მთლიანობაში უნდა გამოიტანოს ყოველმა წიგნიერმა ადამიანმა დღეს (1994) მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკის რღვევის პროცესიდან, მდგომარეობს იმაში რომ ყოველთვის, როცა ფიზიკურ პროცესს, როგორცაა ეკონომიკური, მართავს იდეები, რომელთა მათემატიკური წარმოდგენა ენტროპიულია, მაშინ შედეგი იქნება სისტემის მოშლა... ამგვარად, ... ჯონ ლოკის, ადამ

სმიტის და სხვათა იდეები... წარმოადგენს იმ გაჭირვებისა და ქაოსის მთავარ მიზეზს, რომელიც ვრცელდება შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში მეოცე საუკუნის ამ ბოლო მეოთხედის განმავლობაში." [1]

ყველაფერი ეს დღემდე გაგრძელდა და გაღრმავდა. მეტიც, ახლო მომავალში ამის დასასრული ნაკლებ მოსალოდნელია. ადამიანები, ვინც "თავს ახვევენ" მსოფლიოს ყველაფერ იმას, რაზეც ლა-რუში ლაპარაკობს, ასე უბრალოდ არ დანებდებიან. მაგრამ *მთავარი სირთულე* სულ სხვაა: ადამიანთა უმრავლესობის ქცევით სფეროში მრავალ თაობათა წინ ჩაინერგა აქსიომათა მთელი წყება, რომელიც მათ იოლად მიმნდობს ხდის:

"საშუალო ამერიკელი, თუ მას ჰორიზონტს დაუვიწროებ, შთაბეჭდილებიანი "პოპულისტური ტიპია", რომელიც იქამდე დაეშვა, რომ იოლად იღებს ნებისმიერ შეთავაზებას, როგორც უჩვეულ აქსიომას, რომელსაც მას აჩენებენ ... მის მოსაქცევად საზოგადოებრივი აზრის "პოლიტიკურად კორექტულ" ფორმებში, "სოციალურად მისაღები" სახის გამოსამუშავებლად". [1]

გლობალისტები მთელ მსოფლიოში ცდილობენ, ყველა დაამსგავსონ "საშუალო ამერიკელის" ამ ტიპს, ჯერჯერობით საკმაო წარმატებითაც, ვინაიდან ადგილებზე მათ ამისათვის ნოყიერი ნიადაგი ხვდებათ ბრიტანეთის იმპერიის მიერ მთელ ევროპულ ცივილიზაციაში ქცევის მცდარი აქსიომატური საფუძვლების ჩანერგვის გამო (იხ. ლა-რუშის სტატია: *"როცა მეცნიერებსაც კი გაურეცხეს ტვინი"* [6], აგრეთვე, მაიკლ მინიკინოს პუბლიკაცია «*ახალი ბნელეთის ხანა: ფრანკფურტის სკოლა და პოლიტიკური კორექტულობა*» [7].)

ფიზიკური ეკონომიკის ძირითადი კატეგორიებია "განსახლების კონცენტრაციის პოტენციალი" და "ვალიდური, რეველუციურ-აქსიომატური" აღმოჩენა. ლა-რუში სიამოვნებით შენიშნავს:

«... რაც გინდ იყოს, ბოლო ექვს საუკუნეში, 1967-1974 წლების პერიოდამდე, მოხდა შრომის ნაყოფიერების ისეთი ზრდა – მოსახლეობის ერთ სულზე და კვადრატულ კილომეტრზე – რომლის მსგავსი კაცობრიობას არ ახსოვს თავისი არსებობის ბოლო ორი მილიონი წლის განმავლობაში. ეს დაკავშირებულია *ბუნებისმეტყველებასა და ნატიფ ხელოვნებაში* რეველუციურ აღმოჩენათა ინტენსივობის სათანადო ტემპებთან, რომელთა შედარება შეუძლებელია წარსულში ცნობილ პერიოდებთან. იმის მიუხედავად, რომ ბზარი განათლებასა და ნატიფი ხელოვნების კლასიკური ფორმების პრაქტიკაში სულ უფრო ღრმავდებოდა ბოლო საუკუნის განმავლობაში – განსაკუთრებით უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში...» [1] (ემფაზები დამატებულია – ნ.გ.)

საქმეს კი ართულებს ის რომ,

«"სწავლების" ბიჰევიორული მოდელის დანერგვამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ღრმა ორიგინალური აღმოჩენის უნარის ნაცვლად,

აკადემიური და სხვა ფენათა წარმომადგენლებმა საერთოდ დაკარგეს დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევა» [1].

აქ კი წინა პლანზე გამოდის განათლების ხარისხის საკითხი:

«ახალგაზრდა კაცის კოგნიტიური განვითარება იმ ხარისხამდე, რომელიც დამახასიათებელია მეცნიერების მკაცრი სტილის დამოუკიდებელი მსჯელობისათვის, ჩვეულებრივ მიიღწევა მხოლოდ ისეთი სახის განათლებით, რომელიც იწყება *ბერძენი და მომდევნო კლასიკოსების* შესწავლით, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს *მათემატიკის, ბიოლოგიის და ფიზიკის* შესწავლას, რათა მოსწავლემ თუ სტუდენტმა ხელახლა განიცადოს ის აღმაფრენა, რაც თან ახლდა წინაპრების მიერ გაკეთებულ, თითოეულ მნიშვნელოვან რევოლუციურ-აქსიომატურ აღმოჩენას. მცადარმა ცვლილებებმა განათლებაში (კერძოდ, აღგებრული ფორმალიზმებისა და ისეთი სახელმძღვანელების გამოყენებამ, რომლებიც აგრძელებს კლასიკური და სხვა ორიგინალურ წყაროებთან ბრძოლას) წარმოშვა უმაღლესი განათლების მქონე ადამიანის ახალი ტიპი – ასეთები კი ჭარბობენ უმაღლესი სამეცნიერო ხარისხების მფლობელთა შორისაც, რომელთაც ფრიდრიხ შილერმა დამამცირებლად უწოდა *Brotgelehrte* – "პურის ნატეხისთვის მომუშავე მეცნიერი" (*bread scholars*). [1] (ემფაზები დამატებულია – ნ.გ.)

"პურის ნატეხისათვის" მომუშავე მეცნიერთა წილმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კი არ იკლო, პირიქით, შეუდარებლად იმატა. მაგალითად, ახლა უფრო თამამად იღებს მეცნიერ-ეკონომისტი მისთვის და ყველასთვის აშკარად საეჭვო სტატისტიკურ მონაცემებს, და ზედ დააშენებს ხოლმე მცდარ, მაგრამ "პოლიტკორექტულ" თეორიას, "პოზიციური" თუ ოპოზიციური გადასახედიდან. აქ არ გავაგრძელებთ საუბარს მსგავს "ინტელექტუალურ თადლითობებზე", ვინაიდან უფრო უარესი სხვაა: მსოფლმხედველობრივი სიბეცე: აბსოლუტური უმრავლესობა მეცნიერებისა, ერთ-ერთი ავტორის სიტყვებით, ე.წ. "ნიუტონის სქემის" ყურმოჭრილი მონაა, ხელმძღვანელობენ რა მათთვის წინასწარ შემუშავებული და მათდაუნებურად მათში ჩანერგილი "ნიუტონის სქემით". მოვიყვან ორ "აქსიომას" ამ სქემიდან:

«ბუნების ფენომენი უნდა აიხსნას *მექანიკურად*, როგორც თვით-მკმარ (self-evident) სხეულთა ურთიერთქმედება; ყოველგვარი ფილოსოფიური თუ "მეტაფიზიკური" ჰიპოთეზები უნდა განიღვენოს მეცნიერებიდან...

სამყაროში არ არსებობს რაიმე საბოლოო მიზანი, ჩანაფიქრი თუ მიმართულება. ამდენად, ვერც ერთ მსგავს ფილოსოფიურ ან მორალურ კონცეფციას არ უნდა ექნეს ადგილი მეცნიერებაში. რადგან ყველაფერი ვლინდება მექანიკურად...» [8].

ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ჭეშმარიტად დიდი მეცნიერები ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ, რომელთათვისაც

სრულიად უცხო იყო ამგვარი მსოფლგაგება. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა არაფერია "ფიზიკურ მარადისობასთან" შედარებით. მაგრამ, როგორც "ღვთის ხატი" ადამიანი თავის თავში ატარებს "ზედროით მარადისობას", რაც ხდის მას თანამონაწილეს ყველაფრისა – რაც იყო ადრე, არის ახლა და იქნება მომავალში. ჩვენში უდიდეს სიბრალულს უნდა იწვევდეს თითოეული ადამიანი, რომელმაც ვერ შეძლო თავისი თავის რაელიზება ავადმყოფობის, კატასტროფების, ომებისა თუ სოციალური უწესრიგობის გამო, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ადამიანი როდის ცხოვრობდა – წარსულში, აწმყოში თუ იცხოვრებს მომავალში. ნიუტონის მიმდევართა რწმენის საპირისპიროდ, "საბოლოო მიზანი" მეცნიერისათვის, საზოგადოდ თითოეული ადამიანისათვის, სწორედ ისეთი მსოფლიოს მიღწევა უნდა იყოს, რომელშიც ადამიანები სიყვარულით მოეპყრობიან ერთმანეთს – გარდასულებს, თანამედროვეებს თუ მომავალში ამ სამყაროში შემოსულებს, რადგან ყველას, ფიზიკური დრო-სივრცის მიუხედავად, საერთო აქვთ თანაზიარობა უზენაესთან. ის ეკონომიკური თეორიები, რომელნიც ეკონომიკური აქტივობის მთავარ მიზნად მოიაზრებენ მხოლოდ მოგებას, ფულს, ვერანაირად ვერ იქნებიან ადამიანისთვის ამგვარი "საბოლოო მიზნის" მომწოდებელი, რაგინდ ლიბერალურ სამოსელში იყოს შეფუთული. ჯერჯერობით არსებულთაგან ყველაზე ჰუმანურად გვესახება ლაიბნიც-ლარუშის ეკონომიკური თეორია, რომლის მიხედვით, ყოველგვარი აქტივობის, პირველ რიგში ეკონომიკურის, საფუძველი "ბედნიერებისკენ სწრაფვაა". დღეს უკვე მოგონებად ქცეული ამერიკული სასწაული – XIX ს. ამერიკული ეკონომიკის წარმატება, განხორციელდა ლაიბნიცის იდეების საფუძველზე და არა ადამ სმიტისა, როგორც ამას გეიკიუინებენ ამ უკანასკნელის თანამედროვე მიმდევარნი, როგორც "უადრესად სარწმუნო პარადიგმას" [1]. რაც მოუტანა მსოფლიოს სმიტის და მარქსის იდეებმა, დღეს უკვე აშკარაა.

5. თანამედროვე კრიზისიდან გამოსავალი გვესახება ყველაფერ ამის გათვალისწინებაში, პირველ რიგში, მეცნიერთა და პედაგოგთა მიერ. მაგრამ მათი აკადემიური თავისუფლება ჩვენშიც და მეტწილ ქვეყნებში სულ უფრო იზღუდება. ეს ხდება აკადემიურ თანამდებობზე გამიზნულად ხანმოკლე არჩევით და ამის შედეგად არაადეკვატურად გადაქცეული სამეცნიერო საბჭოებით, ამ უკანასკნელისადმი ქცევის წესების იძულებით თავს მოხვევით, სამეცნიერო თუ აკადემიური ხარისხების ე.წ. "იმპაქტ" ეურნალთა რედაქციათა შეხედულებებზე მიბმით და უამრავი სხვა ქმედებით. თვალთმაქცობაა ის, რომ ყველაფერი თითქოს ლოგიკურად დასაბუთებულია, ვინაიდან, როგორც წესი, გადაწყვეტილებების მიმდებები ავანსცენაზე არ ჩანან, ისინი კი გახლავან ჩინოვნიკები ზემოხსენებული "ქცევის აქსიომებით", და შილერის "პურის ნატეხისათვის მომუშავე მეციერები".

ცხადია, ადამიანთა უმრავლესობის მიერ პრობლემის არსის სწორი დანახვა გადამწყვეტია. თუ მეცნიერები და პედაგოგები მიუერთდებიან დასავლეთის ინტელექტუალთა იმ წრეს, რომელთა იდეების გაუღერებას ჩვენ აქ შევეცადეთ, მათ უეჭველად აიტაცებს ახალგაზრდობა, რომელიც, როგორც წესი, მუდამ გრძნობს რეალურსა და ნაღდს. შესანიშნავად აქვს ნათქვამი აბრაამ ლინკოლნს თავის სახელგანქმულ მიმართვაში:

ზოგჯერ შეიძლება ხალხი მთლიანად მოტყუდეს, შეიძლება მისი რაღაც ნაწილიც დიდხანს გააბრიყვონ, მაგრამ შეუძლებელია მისი სამუდამოდ გასულელება.

ამიტომ იმედია, (ა) პირველ რიგში ინტელიგენცია გაითავისებს "ფიზიკური ეკონომიკის" დასკვნებს, (ბ) გაააგებინებს მთელ საზოგადოებას, რომელიც აღმოჩნდა მიმდინარე ძალზე რთული კრიზისის წინ, რომლის ფესვები გადგმულია არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ევროპული ცივილიზაციის კულტურის მთელ სფეროში, და (გ) როცა ყველას ეცოდინება ადამიანის ჭეშმარიტი არსი, მშვენივრად ნათქვამი დიდ ქრისტიან ავტორთა ნაწერებში, შემდგომ ვერავინ გააბრიყვებს ქვეყანას ადამ სმიტის, დარვინის, მარქსისა თუ ფროიდის მოძღვრებათა მსგავსი, თაღლითური თუ, გნებავთ, გულწრფელი "თეორიებით".

დავასრულებთ ისევ ლა-რუშის სიტყვებით მისი მიმართვიდან, მისივე სახელობის "ინტერნაციონალური ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებისადმი", რომლის ადრესატთა წრე სინამდვილეში გაცილებით ფართოა:

«არ არსებობს რაიმე სხვა მორალი, გარდა შემდეგისა: უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ღვთის თვალი მუდამ გვიეყურებს...

... დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა მთელ მსოფლიოში, რომ არ არსებობს განათლების არც ერთი სისტემა, რომელიც ამ სახელის ღირსი იყოს. ... გახსოვდეთ: "თქვენ გჭირდებათ იმ იდეათა ცოდნა, რომლებიც აუცილებელია სამყაროში ევექტური ცხოვრებისათვის" [10]. (ემფაზები დამატებულია)

P.S. ჩვენ მიერ მოხმობილ წყაროთა ნაწილის ქართული თარგმანი განთავსებულია საიტზე <http://niko-gunia.ge/>.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Lyndon LaRouche**, "Physical Economy Is the Basis of Human Knowledge", *Executive Intelligence Review (EIR)*, Vol. 21, №9-11, 1994.
2. **Dino de Paoli**, Was Darwin an Evolutionist or Just a Social Reformner? 21st Century, *Science&Technology*; Fall 97, p.26-45 (qarT: <http://niko-gunia.ge/>).
3. **Lyndon LaRouche**, Believing Is Not Necessarily Knowing. January 17, 2003, *EIR* (citirebulia am statuis im fragmentidan, romelic CavrTeT [1]-is TargmanSi).
4. **Lyndon H. LaRouche**, Will the Soviets rule during the 1980's (1979; 1980).

5. **Lyndon H. LaRouche, Jr.**, The Science of Christian Economy, and other prison writings, 1991, 506 p.
6. **Lyndon LaRouche, Jr.** When Even Scientists were Brainwashed, 21st Century, Science&Tecnology, vol.17, No.2, Summer 2004; pp. 22-47. (an, EIR, vol.31, no.17, April 30, 2004). (qarT.: <http://niko-gunia.ge/>).
7. **Michael J. Minnicino**, New Dark Age: Frankfurt School and Political Correctness, Fidelio, vol.1, No1, 1992. (qarT.: <http://niko-gunia.ge/>).
8. **Lyndon LaRouche**, The Present Dark Age in Education, EIR, Nov. 11, 2005.
9. **Philip Valenti**, «The Leibniz Revolution In America, 1727-1752» EIR, Vol. 31, No. 32, Aug. 13 (citirebulia am statii im fragmentidan, romelic CavrTeT [1]-is TargmanSi).
10. «Editoria»l of magazine Fidelio Vol. XI, No.3-4 Summer/Fall, 2002, pp.2-3 (qarT.: <http://niko-gunia.ge/>).

Nikoloz Gunia

THE MODERN FINANCIAL AND ECONOMIC CRISIS FROM STANDPOINT OF “PHYSICAL ECONOMY” OF LAROCHE AND LEIBNIZ

SUMMARY

In this article is considered the question on a unique role of scientists, of pedagogues and people of art to overcome present world financial and economic crisis.

*მარიამ ედიშერეშვილი
ანა სულეიმანაშვილი*

**„პროკრედიტ ბანკი“ – ბანკოთარბაზაზე
ორიენტირებული უნივერსალური ბანკი**

თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს რთულ სისტემას, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო სექტორს. დღესდღეობით შეუძლებელია წარმოვიდგინოთ განვითარებული სახელმწიფო საბანკო ქსელების გარეშე, რადგან თანამედროვე ეკონომიკაში ბანკები „მრავალრიცხოვანი გულების“ როლს თამაშობს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეკონომიკისა და პოლიტიკის განვითარება და ჩამოყალიბება. საქართველოს საბანკო სისტემა, რომელიც 21 ბანკს (მათ შორის 19 ქართული და 2 უცხოური ბანკების ფილიალს) აერთიანებს, სულ უფრო მომხიბვლელი ხდება მისი განახლებული მენეჯმენტისა და მომსახურების ხარისხის გამო. მარტო ბოლო ერთი წლის მანძილზე საბანკო სექტორში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მილიარდ ლარს გადააჭარბა. იხსნება ახალი ბანკები უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. შესაბამისად იზრდება საბანკო

სექტორში დასაქმებული ადამიანების რიცხვიც. თუ 2005 წელს საბანკო სექტორში დასაქმებული 13 ათასი ადამიანი იყო, დღეს ამ მაჩვენებელმა 20 ათასს გადააჭარბა: საქართველოში მოქმედი ბანკებიდან საქართველოს მასშტაბით რეიტინგის სათავეში „თი-ბი-სი“ ბანკი დგას. შიდა ქართლის, კერძოდ კი ქ. გორის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად (100 ადამიანი), უმრავლესობამ თავისი არჩევანი „პროკრედიტ ბანკზე“ შეაჩერა. კითხვებზე: 1) ქ. გორში მოქმედი ბანკებიდან რომელი ბანკი იყო მათთვის ყველაზე მისაღები, პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1. „პროკრედიტ ბანკი“ – 26%
2. „თი ბი სი ბანკი“ – 19%
3. „საქართველოს ბანკი“ – 18%
4. „სახალხო ბანკი“ – 17%
5. „ბანკი კონსტანტა“ – 11%
6. „ბანკი ქართუ“ – 3,5%
7. „ტაოპრივატ ბანკი“ – 1,5%
8. „ბანკი რესპუბლიკა“ – 0,8%
9. „ფინკა ბანკი“ – 0,2%
10. კითხვაზე პასუხი არ აქვთ – 2%
11. არც ერთ ბანკს არ ენდობიან – 1%

რატომ აირჩიეთ ეს ბანკი? პასუხი იყო შემდეგი:

1. სტაბილურობა – 30%
2. მომსახურების მაღალი დონე – 38 %
3. მაღალი საპროცენტო განაკვეთი – 32 %

რადგან ქ. გორის მოსახლეობის დიდი ნაწილი პროკრედიტ ბანკს ანიჭებს უპირატესობას, ვიმსჯელებთ ამ ბანკის შესახებ.

იგი ფუნქციონირებს აღმოსავლეთ ევროპის 11, ლათინური ამერიკის 7 და აფრიკის 4 ქვეყანაში. პროკრედიტ ჯგუფს სათავეში უდგას სს პროკრედიტ ჰოლდინგი (მაინის ფრანკფურტი, გერმანია).

სს „ემ-ბი-ჯი“-მ საქართველოში ფუნქციონირება 1999 წლის 13 მაისს. ბანკმა მიზანდ დაისახა ფინანსური მომსახურების გაწევა მიკრო და მცირე საწარმოებისთვის. 2005 წელს კი შეიცვალა სახელწოდება და დღემდე „პროკრედიტ ბანკად“ არის წოდებული.

ბანკი საქართველოში შემოვიდა, რათა დაეარსებინა სრულიად ახალი ტიპის საბანკო დაწესებულება, რომელიც ჩვენი ქვეყნის საბანკო სექტორში მნიშვნელოვან ცვლილებას შეიტანდა: ბანკი უცხოური კაპიტალით დააფინანსებდა მცირე და საშუალო ბიზნესს და საქართველოს მოსახლეობას საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს შესთავაზებდა, მიუხედავად მისი კლიენტების საქმიანობის მასშტაბის, იურიდიული სტატუსისა და საზოგადოებრივი ან პირადი კავშირებისა. ბანკის ბიზნესმოდელი აქციონერების საერთო ხელვით შეიქმნა. ეს მოდელი ითვალისწინებდა სოციალური

პასუხისმგებლობის მატარებელ, გამჭვირვალე, ეფექტიან და მომგებიან საბანკო საქმიანობას, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე მოახდენდა ზეგავლენას. ერთი მხრივ განვითარებაზე ორიენტირებულობა, ხოლო მეორე მხრივ კომერციული მიდგომა, რომელიც საბანკო დაწესებულების გრძელვადიანი მდგრადობის გარანტია იქნებოდა, ის ფაქტორებია, რომელთა კომბინაციაც „პროკრედიტ ბანკს“ დღემდე უნიკალურს ხდის.

პროკრედიტ ჯგუფში შემავალი ბანკები 22 ქვეყანაში მოქმედებს, სადაც ისინი ტრადიციული კომერციული ბანკებისაგან გამოირჩევიან და ეს მათი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე, პირველ რიგში კი მიზნობრივ ჯგუფზე აისახება. როცა „პროკრედიტ ბანკი“ ათი წლის წინ საქართველოს ბაზარზე შემოვიდა, ძალიან მცირე და მცირე საწარმოებს საბანკო მომსახურებაზე, განსაკუთრებით კი კრედიტებზე, ხელი არ მიუწვდებოდათ. იმ დროისათვის საქართველოში „პროკრედიტ ბანკს“ ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა. მიუხედავად ამისა, თავისი ნაცადი და უნიკალური საკრედიტო ტექნოლოგიის წყალობით, რომელიც 25 წლის განმავლობაში მუშავდებოდა და იხვეწებოდა, ბანკი ამ საწარმოებს წარმატებით ემსახურებოდა. ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფი წამყვანი ბანკისათვის საინტერესო გახდა და ისინი პოტენციურ კლიენტებად აღიქმეს.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც „პროკრედიტ ბანკმა“ საქართველოს საბანკო სისტემის განვითარებაში შეიტანა ისაა, რომ „პროკრედიტ ბანკი“ არ მონაწილეობდა სამომხმარებლო დაკრედიტებისა და საკრედიტო ბარათების ბუმში, რომელმაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მთელი საქართველო მოიცვა. ამის ნაცვლად, „პროკრედიტ ბანკი“ საქართველოში, ხელს უწყობდა დაზოგვის კულტურის დამკვიდრებას და განვითარებას. ეს ხალხს საშუალებას აძლევდა, თავიანთი ფინანსური გეგმები ისე განეხორციელებინათ, რომ გადაჭარბებული ფინანსური ვალდებულებების რისკი არ დამუქრებოდათ. ამჟამად საქართველოში საკმაოდ ბევრი ადამიანი დგას ვალების გადახდის პრობლემის წინაშე. „პროკრედიტ ბანკი“ თავიდანვე შორს იყო გავრცელებული მიდგომისაგან – „მოიხმარე დღეს, გადაიხადე ხვალ“, რასაც საქართველოში ბანკების უმეტესობა მიმართავდა. გარდა ამისა, 2005 წელს „პროკრედიტ ბანკმა“ საქართველოში პირველმა შემოიღო შემნახველი ანაბარი, რომელზეც მხოლოდ 5 ლარიდან შეიძლებოდა დანაზოგის გაკეთება, რითაც მცირეშემოსავლიან ადამიანებსაც გაუღო კარი.

ამ წლების განმავლობაში „პროკრედიტ ბანკმა“ პასუხისმგებლობის მატარებელი, ადვილად გასაგები და გამჭვირვალე საბანკო დაწესებულების სახელი დაიმკვიდრა. „პროკრედიტ ბანკის“

თანამშრომლები თითოეულ კლიენტს თანამშრომლობის დასაწყისშივე განუმარტავენ ყველა პირობას და მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ამგვარი მიდგომა მკვეთრად განსხვავდება „0“-იანი კრედიტების რეკლამებისაგან, რომლებშიც კრედიტის ნამდვილი ღირებულება დაფარულია. მეანაბრეთათვის მოკლევადიანი წამახალისებელი ლატარიების ნაცვლად „პროკრედიტ ბანკი“ თავის კლიენტებთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებას ცდილობდა.

რაც შეეხება საკრედიტო ოპერაციებს, ბანკი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა საკრედიტო რისკებს როგორც ბანკის, ასევე კლიენტების პოზიციიდან. ასეთი ფრთხილი მიდგომის გამო ბანკზე მსოფლიო ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მხოლოდ მცირედი ზეგავლენა მოახდინა. ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში „პროკრედიტ ბანკმა“ საბაზრო წილი 8%-დან 10%-მდე გაზარდა როგორც ანაბრების, ასევე კრედიტების ნაწილში. ამავე დროს, ბანკი ინარჩუნებდა მომგებიანობის მაღალ მაჩვენებლებს. (2008 წელს IFRS სტანდარტებით, ბანკის წმინდა მოგება 8,1 მლნ აშშ დოლარი იყო, 2009 წლის პირველ 8 თვეში კი 6,3 მლნ აშშ დოლარი).

„პროკრედიტ ბანკი“ განვითარებაზე ორიენტირებული უნივერსალური ბანკია, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს საუკეთესო მომსახურებას და საბანკო პროდუქტების ფართო არჩევანს. იგი ორიენტირებული არ არის სამომხმარებლო სესხებზე. მისი უმთავრესი მიზანია, შექმნას საკრედიტო მომსახურება კლიენტებთან გრძელვადიანი პარტნიორობის დამყარებით. ბანკი ასევე მნიშვნელოვან ინვესტიციებს დებს კადრების მომზადებაში, რათა შექმნას სასიამოვნო და ეფექტიანი სამუშაო გარემო, ხოლო კლიენტებს შესთავაზოს მაქსიმალურად კეთილგანწყობილი და კონკურენტუნარიანი მომსახურება. „პროკრედიტ ბანკი“ ყველაზე ჭკვიანურ მათამაშედ უნდა მივიჩნიოთ, რადგან ამ ბანკმა იპოთეკურ სესხებზე უარი თქვა და მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება ამჯობინა, რადგან მათი თქმით, სწორედ ასეთი სახის საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ეკონომიკის განვითარებაში. ბანკი ფლობს აქტივების დაახლოებით 8%-ს, ფიზიკური პირებისა და ოჯახის დანაზოგების დაახლოებით – 14%. ბანკის მიერ მოზიდულმა კლიენტთა მთლიანმა სახსრებმა 2008 წლის მესამე კვარტალის ბოლოსათვის 191 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლის დასაწყისზე 18 მილიონით მეტია. ეს ციფრები „პროკრედიტ ბანკის“ მიმართ მომხმარებლის მიერ თანხის შეუფერხებლად გატანის შესაძლებლობამ განაპირობა. ყოველივე ეს კი მის საქმიანობაზე აისახა და 2008 წლის ბოლოსთვის მისმა წმინდა მოგებამ 13578000 დარი შეადგინა, რაც მის წინა წლის მონაცემებთან შედარებით

35%-ით მეტია. მისი აქტივები და ვალდებულებებიც გაიზარდა 24%-ით (684997000 და 592212000 ლარი), ხოლო კაპიტალი – 27,25%-ით. ეს იმის მანკენებელია, რომ ბანკის მიერ არჩეული სტრატეგია ძალზე წარმატებული აღმოჩნდა, რადგან მან განაპირობა ბანკის სტაბილურობა; ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, 2008 წელს „პროკრედიტ ბანკი“ ინარჩუნებდა ყველა მიმართულებით სწრაფად განვითარების ტენდენციას და ბანკის მიერ მოზიდულ კლიენტთა რაოდენობაც იზრდებოდა. 2008 წელს ბანკის მთლიანი საკრედიტო პორტფელი 36,3%-ით გაიზარდა და 526,1 მლნ ლარი შეადგინა, 2009 წელს, რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, პროკრედიტ ბანკის საკრედიტო პორტფელი 2,3%-ით მაინც გაიზარდა და 534 მლნ ლარი შეადგინა, წლის ბოლო თვეებში, მიუხედავად გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობისა, ბანკმა შეინარჩუნა საკრედიტო პორტფელის მაღალი ხარისხი. მისი საკრედიტო პორტფელი უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ანაბარი, ის მაინც ინარჩუნებს ლიკვიდურობას საერთაშორისო პარტნიორებისაგან (შვეიცარიის, პოლანდიის, ავსტრიის და გერმანიის განვითარების ბანკები და სხვა) მოზიდული გრძელვადიანი დაფინანსებით. საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა „პროკრედიტ ბანკს“ მიანიჭა „+“ რეიტინგი, ეს საქართველოში ყველაზე მაღალი რეიტინგია.

დღეისათვის „პროკრედიტ ბანკს“ 59 ფილიალი აქვს და ადგილობრივ საბანკო სექტორში ფილიალების ქსელის მიხედვით მესამე ადგილზეა. ფილიალების ქსელის სწრაფი ზრდის გამო, 2008 წელს ბანკმა 3000-ზე მეტი ახალი თანამშრომელი აიყვანა, რითაც თანამშრომელთა საერთო რაოდენობამ 1800-ს გადააჭარბა. ყველა ახალ თანამშრომელს გავლილი აქვს ინტენსიური მოსამზადებელი კურსი, რაც მათ საშუალებას აძლევს, ახალი ფილიალის გახსნის დღიდანვე კლიენტებს მაღალი დონის მომსახურება გაუწიონ.

გასული წლების ანალოგიურად, „პროკრედიტ ბანკი“ 2010 წელსაც აგრძელებს სიცოცხლისუნარიანი საწარმოების მხარდაჭერას და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად საგანგებო ყურადღებას დაუთმობს ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებელ ბიზნესებს. 2009 წელი განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა ძალიან მცირე მსესხებლებისთვის, რადგან ისინი ყველაზე მეტად დაზარადნენ ეკონომიკური დაღმავლობის შედეგად დანაზოგის არქონის გამო, რითაც სესხის დაფარვას შეძლებდნენ, და ასევე წინა წლების სამომხმარებლო სესხების ბუმიტ გამოწვეული დავალიანებების გამო. „პროკრედიტ ბანკის“ ძალიან მცირე სესხების პორტფელი ბოლო ორი წლის განმავლობაში მცირდებოდა. სწორედ ამიტომ, 2010 წელს ბანკი კიდევ უფრო მეტად იქნება ორიენტირებული იმ ბიზნესების დაფინანსებაზე, რომლებსაც ზრდის პოტენციალი გააჩნიათ, აქედან გამომდინარე, ქვეყნის

ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა შეუძლიათ და რომლებიც შედარებით მდგომარეობას ინარჩუნებენ ეკონომიკურ გარემოში მომხდარი ცვლილებებისადმი. ამ ბიზნესების მაღალ-პროფესიონალურად მხარდასაჭერად, მათთვის რეალური საბანკო პარტნიორების გასაწევად, „პროკრედიტ ბანკი“ შეეცდება, კიდევ უფრო გაიმყაროს პოზიცია, როგორც მცირე ბიზნესების პარტნიორმა ბანკმა. 2009 წლის ანალოგიურად, არც 2010 წლისთვისაა დაგეგმილი ფილიალების ქსელის ფართომაშტაბიანი გაფართოება. ასალი ფილიალები გაიხსნება იმ ქალაქებში, სადაც „პროკრედიტ ბანკი“ ჯერ არ არის წარმოდგენილი, ასევე, სერვისცენტრები გაიხსნება იმ ქალაქებში, სადაც ბანკს უკვე აქვს ფილიალები, რათა მისი მომსახურება კლიენტებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი კომერციული ბანკი დამოუკიდებლად უნდა ისწრაფოდეს, რომ გააუმჯობესოს თავისი საქმიანობა შემდეგი მიმართულებებით:

1. სტრატეგიული დაგეგმვის დანერგვა და სტრატეგიული ბიზნეს გეგმის მომზადება.
2. კაპიტალის სტრუქტურის გამაგრება, მათ შორის მისი რეაბილიტაციის გზით.
3. კომპლექსური პროგრამების დანერგვა, კადრების მომზადება.
4. გამჭვირვალობა მოსახლეობასთან ურთიერთობის, მუშაობის დროს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. bec.com.ge
2. procreditbank.ge
3. banksandfinance.ge/business/769-procredit-bank.html
4. medianews.ge/index.php/ka.content/24420
5. economy.ge/new/?category=4&lang=geo&=276

*Mariam Edisherashvili
Anna Suleimanashvili*

“PROCREDIT BANK” – UNIVERSAL BANK WHICH IS ORIENTED TO DEVELOPMENT

SUMMARY

The contemporary economics is a complicated system, where the banking sector has an important place. Nowadays no one can imagine a developed country

without banking webs. This is because the banks have the main role in the contemporary economics.

The top rating bank in Georgia is “TBC Bank” but according to the questionnaire in Shida Kartli, namely, in Gori, the majority of population (1000 people were questioned) has made their choice on “Procredit Bank”.

“MBG” is operating from May 13, 1999. The bank aims financing services of micro enterprises. In 2005 its name changed and now it is called “Procredit Bank”. “Procredit Bank” is an universal bank which is oriented to development. It offers the best service and variety of choices of banking operations to its customers.

ლია ელიავა

საბანკო კრიზისების წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორების შემუშავების შესახებ

მსოფლიო ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე მრავალი ქვეყნის ეკონომიკამ განიცადა ფინანსური და, მათ შორის, საბანკო კრიზისი, რომლებიც ხასითდებოდა წარმოების დაცემით, საგარეო ვალის ზრდით, სავალუტო გაცვლითი კურსის და ფასების რყევადობით, საბანკო სექტორის მოშლით, საანგარიშსწორებო სისტემის კრახით, უმუშევრობისა და სიღარიბის მკვეთრი ზრდით და ა. შ. ფინანსური კრიზისები ვითარდებოდა, როგორც საბანკო ან როგორც სავალუტო კრიზისები, ხოლო ხშირად კრიზისის ეს ორივე ფორმა ერთდროულად ვლინდებოდა. ასეთი სახის ორმაგი კრიზისები განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც საბანკო კრიზისს ხშირად თან სდევს სავალუტო კრიზისი, ხოლო გავრცელების მასშტაბების მიხედვით კრიზისი იღებს სისტემურ ხასიათს. ფინანსური კრიზისები, როგორც წესი, იწყება აქტივებზე ფასების მკვეთრი ცვლილების, საკრედიტო პორტფელის მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირების ან ქვეყნის ეროვნული ვალუტისა და საბანკო სისტემის მიმართ ნდობის უეცარი დაკარგვით, რისი გამომწვევი მიზეზია გარე ფინანსური ნაკადების შემცირება და მათი ქვეყნიდან გადინება. კრიზისის პერიოდში აშკარავდება სტრუქტურული ეკონომიკური და ფინანსური დაუბალანსებლობა. ხოლო, თუ შედეგები ძალიან მწვავეა და მისი დაძლევის კუთხით ხელისუფლების გადაწყვეტილებები არაეფექტური, კრიზისის თავიდან აცილება პრაქტიკულად ძალიან რთული ხდება.

სსფ-ს და მსოფლიო ბანკის მკვლევარებმა გააანალიზეს სავალუტო და საბანკო კრიზისები 70 ქვეყანაში 1975-1997 წლებისათვის. გამოყენებული მეთოდოლოგიით, ამ პერიოდისათვის დაფიქსირდა 158 სავალუტო კრიზისი, მათ შორის 55 სავალუტო კრახი და 54 საბანკო

კრიზისი²¹². უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად 1970-2007 წლებში დაფიქსირდა 124 სისტემური საბანკო კრიზისი²¹³. ამაში არ არის შესული ამ ბოლო პერიოდში წარმოქმნილი (2008-2010) საბანკო კრიზისები, რომლებიც განვითარდა მსოფლიოს უმეტეს განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და მიიღო ფართომასშტაბიანი გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის სახე.

საბანკო კრიზისების მსოფლიო გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ სხვადასხვა ქვეყანაში წარმოქმნილი საბანკო კრიზისები ხასიათდება თითქმის ერთმანეთის მსგავსი პრობლემებით, თუმცა მათი წარმოშობის მიზეზები და შედეგები განსხვავებულია. კრიზისები ძირითადად წარმოიქმნება არასათანადო საბანკო მენეჯმენტის ან სუსტი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად. შეიძლება დასახელდეს საბანკო კრიზისების წარმოქმნელი შემდეგი ყველაზე გავრცელებული ფაქტორები:

- კერძო სექტორზე გაცემული კრედიტების მკვეთრი ზრდა როგორც საინვესტიციო, ისე სამომხმარებლო მიზნებისათვის (საკრედიტო ინტერვენცია);

- საერთო ლიბერალიზაცია პროდენციული ზედამხედველობის სათანადო და ეფექტური სისტემის არარსებობის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიზისებმა გვერდი ვერ აუარა მაღალი დონის რეგულირების მქონე საბანკო სისტემებსაც კი;

- საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემების პირდაპირი ნეგატიური გავლენა საბანკო სისტემებზე, რასაც ადგილი აქვს ძირითადად განვითარებად ქვეყნებში;

- ჯაჭვური რეაქცია და მეორადი ეფექტები, როდესაც კრიზისი ერთ ქვეყანაში აიძულებს ეკონომიკურ სუბიექტებს, გადახედონ თავიანთ მოლოდინებს და, აქედან გამომდინარე, შეამცირონ თავიანთი ინვესტიციები სხვა ქვეყნებში, ანდა როდესაც ერთ ქვეყანაში მიმდინარე კრიზისული მოვლენები უშუალო გავლენას ახდენენ მეორე ან სხვა ქვეყნის, ან ქვეყანათა ჯგუფის ეკონომიკურ გარემოებებზე;

- შოკური მოვლენები სავაჭრო ურთიერთობებში და რეალური სავალუტო კურსების რყევები;

- პოლიტიკური არასტაბილურობა, სოციალური მღელვარებები და, ზოგ შემთხვევაში, სამოქალაქო კონფლიქტები.

²¹² **Caprio G., Klingebiel D.** “Eposodes of Systemic and Borderline Financial Crisis”, World Bank, January, 2003, www.worldbank.org

²¹³ **Laeven L., Valencia F.** Systemic Banking Crisis: A New Database. IMF Working Paper, WP/08/224, November 2008.

საბანკო კრიზისები ქვეყნის ეკონომიკაზე საკმაოდ მძიმე კვალს ტოვებს, რაც გამოიხატება მისი დაძლევისათვის აუცილებელი როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი საკმაოდ მსხვილი დანახარჯების გაწევის აუცილებლობით. ამის შედეგად ქვეყანა ებმება საგარეო ვალდების მახეში, უსარგებლო ხდება მრავალწლიანი გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიღწევები და სხვ. გამომდინარე აქედან, საბანკო კრიზისების პროგნოზირების საკითხი დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას მთელს მსოფლიოში. საქართველოში ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, კვლევები არ მიმდინარეობს, ამიტომ მიზანშეწონილია, ზოგადი სახით იქნეს განხილული ამ სფეროში მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება.

საბანკო კრიზისების დადგომის დროული გამოვლენის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორების სისტემა, რომელიც შემუშავებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ადგილობრივი სპეციფიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით. საბანკო კრიზისების წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორების სისტემა წარმოადგენს მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მაჩვენებლების კომპლექსურ ერთიანობას, რომლებიც მაღალი მგრძობიარობით ხასიათდებიან საბანკო კრიზისების დადგომისათვის დამახასიათებელი მოვლენების მიმართ.

საბანკო კრიზისების წინმსწრები ინდიკატორების სისტემის შემუშავების მსოფლიო გამოცდილება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება გაერთიანდეს სამი სახის მიდგომაში: *ხარისხობრივი ანალიზი, ეკონომეტრიკული მოდელირება, არაპარამეტრული შეფასება.*

ხარისხობრივი ანალიზი. მოცემული მიდგომა გულისხმობს ფუნდამენტური ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის გრაფიკული მახასიათებლების შედარებას საბანკო კრიზისის პერიოდსა და სტაბილურობის პერიოდში. ასეთი მიდგომის ფარგლებში შესაძლებელია აგრეთვე საბანკო კრიზისების წინმსწრები ზოგიერთი სტატისტიკური ინდიკატორის გაანგარიშება.

ეკონომეტრიკული მოდელირება. ასეთი მიდგომისას აიგება რეგრესიული მრავალფაქტორული მოდელები, რომლებიც საშუალებას იძლევიან, შეფასდეს მაჩვენებლების ურთიერთკავშირი სისტემური საბანკო კრიზისის დადგომის ალბათობასთან. გამოიყენება logit- და probit- ანალიზის მეთოდები, რომლის დროსაც აიგება საბანკო კრიზისის რიგი ეკონომიკურ ინდიკატორებზე დამოკიდებულების რეგრესიული მოდელი. შეფასებული მოდელი გამოიყენება პერსპექტივაში სისტემური საბანკო კრიზისის შესაძლებლობის პროგნოზირებისათვის.

არაპარამეტრული შეფასება. ამ მიდგომისას მუშავდება სხვადასხვა რიცხობრივი მახასიათებლები, რომლებიც საშუალებას

იდლევა, წინასწარ იქნეს გამოვლენილი ეკონომიკის მოწყველადობა სისტემური საბანკო კრიზისების მიმართ. აღნიშნული მიდგომის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მიმართულება: საბანკო კრიზისის წინმსწრები ინდიკატორების ზღვრული მნიშვნელობების აგება და საბანკო სტაბილურობის კრებსითი ინდექსების შემუშავება.

საბანკო კრიზისების წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორების ხარისხობრივი ანალიზი ცხადი და სისტემატიზებული სახით წარმოდგენილია *პატრიკ ჰონოჰანი*²¹⁴ ნაშრომში. ავტორის აზრით, საბანკო კრიზისებს გააჩნია წარმოშობის სამი წყარო: მაკროეკონომიკური ეპიდემიები; მიკროეკონომიკური ნაკლოვანებები; ადგილობრივი კრიზისები. გამომდინარე აქედან, სხვადასხვა წარმოშობის მქონე საბანკო კრიზისს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორები. საბანკო კრიზისების ეს იდენტიფიკაცია ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან საბანკო სექტორში წარმოქმნილი დისბალანსის დასარეგულირებლად აუცილებელია ადეკვატური მაკროეკონომიკური და საბანკო პოლიტიკის ფორმირება. საბანკო კრიზისების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე პოლიტიკური წყობის ან ხელისუფლების ცვლილებაზე ნეგატიური რეაქცია. შესაბამისად, ასეთი მოვლენების დადგომის შემდეგ საბანკო სექტორზე სათანადო კონტროლის დაწესება და რეგულირების ახალი მექანიზმების შემოღება გასაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მაკროეკონომიკური ეპიდემიის შედეგად წარმოქმნილი საბანკო კრიზისი მეტწილად დაკავშირებულია ენდოგენური საკრედიტო ბუშისა და საქმიანი აქტივობის მკვეთრ დაცემასთან. მიუხედავად ამისა, საკრედიტო ბუმი, ჩვეულებრივ, მოითხოვს და მას თან სდევს ლიკვიდობის ექსპანსიის თავისუფალი პოლიტიკა, ანუ საკრედიტო ბუმი განაპირობებს გარკვეული მაკროეკონომიკურ არაეფექტურობას, რაც გამოიხატება კაპიტალის მოჭარბებულ უკონტროლო შემოდინებაში. მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში მკვეთრმა ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს დაუბრუნებელი სესხების მოცულობის ზრდა. კრიზისის წარმოქმნელ მიკროეკონომიკურ ნაკლოვანებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბანკების მიერ საკუთარ თავზე ჭარბი (მაღალი) რისკის აღება, შიდა საბანკო თაღლითობა და ინსაიდერული სესხების დიდი მოცულობა. ადგილობრივი საბანკო კრიზისები დაკავშირებულია სახელმწიფოს შეღწევასთან საბანკო სისტემაში კვაზიფინანსური მექანიზმების, პირდაპირი კრედიტებისა და სარეზერვო მოთხოვნების მეშვეობით. და, ბოლოს, ხელისუფლების ცვლამ შეიძლება გაზარდოს საბანკო სისტემის მოწყველადობა სტიმულების შეცვლის, შეჯიბრებადობის შედეგად ჭარბი რისკის აღების, ახალი ფინანსური

²¹⁴ **Honohan, Patrick.** 1997. "Banking System Failures in Developing and Transition Countries: Diagnosis and Prediction." BIS WP N°39.

შესაძლებლობების გაჩენის, ახალი მოთამაშეების შემოსვლით საბანკო ბიზნესში, მემკვიდრეობით მიღებული გადაუხადელი სესხების გზით. ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება წარმოქმნას ასევე საბანკო სისტემის პრობლემების შემქმნელი ისეთი მნიშვნელოვანი გარემოებები, როგორცაა ფინანსური რეპრესიები, ჭარბი ფინანსური ლიბერალიზაცია, მკვეთრი მაკროეკონომიკური ცვლილებები (მაგალითად, ვალუტის გაცვლის კურსის მკვეთრი ცვლილება), სტრუქტურული ეკონომიკური ცვლილებები და პრივატიზაცია.

პ. პონოპანმა განსაზღვრა ზღვრული მნიშვნელობები ინდიკატორების გარკვეული ნაწილისათვის და აჩვენა, რომ მათი საშუალებით შესაძლებელია მოსალოდნელი საბანკო პრობლემების გამოვლენა საბანკო კრიზისების დაწყების ეტაპზე. თუმცა ამგვარი მიდგომა ინდიკატორებისადმი მეტწილად დამოკიდებულია ადამიანის სუბიექტურ დასკვნაზე და მოითხოვს გარკვეული ინტუიციის ქონას, ანუ იმის უნარს, დაადგინოს თუ როგორია გამაფრთხილებელი სიგნალის ინფორმაციული დატვირთვა. ასეთი მიდგომა ფართოდ გამოიყენება ინვესტორების საქმიანობის პრაქტიკაში.

დაფუძნებული, *ფ. დაიბოლდისა და გ. რუდებუშის*, *ჯ. სტოკისა და მ. უოტსონის*²¹⁵ მიერ შემუშავებული, წინმსწრები ინდიკატორების მეთოდოლოგიის საფუძველზე *გ. კამინსკიმ და კ. რეინჰარტმა*²¹⁶ შეიმუშავეს წინმსწრები ინდიკატორების სასიგნალო მიდგომა საბანკო და სავალუტო კრიზისებისათვის. მათი ნაშრომი წარმოადგენს ფუნდამენტურ გამოკვლევას საბანკო და სავალუტო კრიზისების წინაპირობების განსაზღვრაში. გამოყენებულმა ინოვაციურმა მეთოდოლოგიამ საფუძველი ჩაუყარა შემდგომ მეცნიერულ კვლევებს ფინანსური კრიზისების გამოვლენის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე.

გ. კამინსკის და კ. რეინჰარტის ნაშრომებში გამოკვლეულია საბანკო და სავალუტო კრიზისები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რიც ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყანაში 1970-1995 წლებში. ინდექსი, რომლის მეშვეობითაც დგინდებოდა სავალუტო კრიზისი, წარმოადგენს ვალუტის გაცვლითი კურსის და ოქროსა და სავალუტო რეზერვების ცვლილების საშუალო შეწონილ მნიშვნელობას. საბანკო კრიზისის დასაწყისად ითვლებოდა სიტუაცია, როდესაც ანაბრების მასიური

²¹⁵ **Diebold, F. and G. Rudebusch** (1989). "Scoring the Leading Indicators." *Journal of Business* 62(3): 369-391, **Stock, J. H. and M. Watson** (1989). "New Indices of Coincident and Leading Economic Indicators." National Bureau of Economic Research *Macroeconomics Annual* 1989. Cambridge, MA: National Bureau of Economic Research.

²¹⁶ **Kaminsky, Graciela and Carmen Reinhart** (1999). "The Twin Crises: The Causes of Banking and Balance-of Payments Problems", *American Economic Review* 89(3), June 1999, p. 473-500.

ამოღება იწვევდა ბანკების დახურვას, მათ შერწყმას ან შთანთქმას სახელმწიფო სექტორის მიერ.

ავტორებმა შეისწავლეს კავშირის ხასიათი სავალუტო და საბანკო კრიზისებს შორის, აგრეთვე, ორმაგი კრიზისების წარმოქმნის მიზეზები და გააკეთეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ხასიათის დასკვნა: ორმაგი კრიზისების წარმოქმნა და მათი ძლიერი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ფინანსური ლიბერალიზაციის შედეგია; საბანკო კრიზისები წინ უსწრებს სავალუტო კრიზისებს და ააშკარავებს სავალუტო კრიზისების წარმოქმნის ძირითად მიზეზებს; პრაქტიკა ადასტურებს, რომ სავალუტო კრიზისები აღრმავენ საბანკო კრიზისებს; კრიზისების ორივე ტიპს გააჩნია თავისი მიზეზები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შენელებული ეკონომიკური ზრდა შიდა ვალუტის გაუმართლებელი გამყარების ფონზე, ვაჭრობის პირობების და კრედიტის ღირებულების ცვლილება, საერთაშორისო შოკების ზეგავლენა, აგრეთვე, ეკონომიკური ზრდისა და დეპრესიის ციკლური მოვლენები; კრიზისებს საფუძვლად უდევს მთელი ეკონომიკის განვითარების დაბალი ტემპები და სისუსტე.

გარდა ზემოხსენებული მკვლევარებისა, შეიძლება დასახელდეს ბ. ეიჟენგრინის და ა. როუზის²¹⁷, გ. კამინსკის²¹⁸, მ. ვოლდშტეინის, გ. კამინსკისა და კ. რეინჰარტის²¹⁹, ა. დემირგუჯ-კუნტისა და ე. დეტრაგიახის²²⁰ ნაშრომები, მიძღვნილი საბანკო კრიზისების წინმსწრები გამაფრთხილებელი ინდიკატორების გამოვლენისა და მათ საფუძველზე ქმედითი საპროგნოზო მოდელების შემუშავებისადმი. ამ და სხვა ნაშრომებში შეიმჩნევა წინმსწრები ინდიკატორების მრავალრიცხოვნობა და მრავალფეროვნება, რაც იმით აიხსნება, რომ, მიუხედავად საბანკო კრიზისების მსგავსი მიმდინარეობისა, მათი წარმოქმნილი ფაქტორები განსხვავებულია. ძირითად პარამეტრებად გამოიყენება მაჩვენებლების ფართო სპექტრი, მაგალითად, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, საბიუჯეტო ხარჯები, სახელმწიფო ვალი, კრედიტების ზრდა, მოკლევადიანი დავალიანების ფარდობა სახელმწიფო რეზერვებთან (*გრინსპენ-გვიდოტის წესი*), რეალური გაცვლითი კურსი, საგარეო საპროცენტო განაკვეთები და სხვა. მნიშვნელოვანია ასევე

²¹⁷ **Eichengreen, Barry and Rose, Andrew K.** (1998). "Staying Afloat When the Wind Shifts: External Factors and Emerging-Market Banking Crises," NBER Working Papers 6370, National Bureau of Economic Research, Inc.

²¹⁸ **Kaminsky, Graciela L.** (1999). "Currency and Banking Crises: The Early Warnings of Distress". FRB.

²¹⁹ **Goldstein, Morris, Graciela Kaminsky, and Carmen Reinhart** (1999) "Assessing Financial Vulnerability: An early warning system for emerging markets." Unpublished manuscript, Washington, DC: Institute for International Economics.

²²⁰ **Demirgüç-Kunt, Asli and Enrica Detragiache** (1998a). "The Determinants of Banking Crises in Developing and Developed Countries." IMF Staff Papers, March 1998, Vol. 45, N. 1.

რეალური სექტორის მანვენებლები, როგორცაა სამრეწველო წარმოების ზრდა, უმუშევრობა, აგრეთვე პოლიტიკური ფაქტორები.

Lia Eliava

EARLY WARNING SYSTEM OF BANKING CRISES

SUMMARY

The article shows that banking crises systematically shaken the economy of different countries and left a heavy footprint, not only on the financial condition of the country, but also at the level of living. Analyzed the global experience predicting the onset of banking crises through early warning systems. Solved likely reasons for the onset of crises and methods for modeling of macro and microeconomic indicators that most effectively respond to the alleged attack the banking crisis.

თამარ თავლაძე

საქართველოს იმპორტი კონსტრუქციულ კრიზისში

საქართველოში ექსპორტი, ტრადიციულად, სანედლეულოა. საზღვარგარეთ გადის ფეროშენადნობები, შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ცემენტი, დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქრო, მინერალური ან ქიმიური აზოტოვანი სასუქები, მსუბუქი ავტომობილები და სხვა.

ექსპორტს რაოდენობრივად ბევრად ჭარბობს იმპორტი. დეფიციტი ქრონიკული და წლიდან წლამდე მზარდია. 2007 წლის წმინდა ექსპორტის მანვენებელმა შეადგინა 3983 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 2742 მლნ, 2005 წ. – 1624 მლნ, 2004 წ. – 1197 მლნ, 2003 წ. – 680 მლნ აშშ დოლარი.

ცნობილი ფაქტია, რომ ექსპორტის აუცილებლობა ნაკარნახევია, ერთი მხრივ, მოხმარების მეტობით წარმოებაზე და, მეორე მხრივ, იმპორტის აუცილებლობით, რადგან იმპორტზე გაწეული ხარჯები უნდა დაფაროს ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა. საქართველოში ორივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. წარმოება ნელი ტემპით ვითარდება, ეს კი განაპირობებს სამომხმარებლო იმპორტის სანედლეულო ექსპორტით ჩანაცვლებას. სანედლეულო ექსპორტი და სამომხმარებლო იმპორტი ყველაზე არასასურველი წყვილია საქართველოსნაირ ქვეყანაში. ისმის კითხვა: როდემდე გაგრძელდება ასე? – ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება. პრობლემა მხოლოდ ქვეყნის შიდა პრობლემაა. საქართველო პატარა ქვეყანაა. მას არ შეუძლია ვაჭრობის პირობის

შეცვლა და, ამდენად, სასაქონლო ნაკადების მოძრაობა მასში მობილურია.

საგარეო ვაჭრობის ოპერაციებიდან საქართველოში უმნიშვნელოვანესია რექსპორტის ოპერაცია. მას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სატრანსპორტო დერეფანი. თავისი პერსპექტივითა და მნიშვნელობით აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბადებს საგარეო ვაჭრობის თვისებრივი განვითარების პერსპექტივას. კერძოდ, განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველია; გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა; საქონელის ექსპორტსა და იმპორტს ჩაენაცვლება მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ საქართველოში ექსპორტი, როგორც რაოდენობრივად, ისე სტრუქტურულად, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შედეგსაც და სტაბილურობის დამოუკიდებელ ფაქტორსაც.

განსაკუთრებული განსჯის საგანია პოსტკომუნისტური საქართველოს ექსპორტის გეოგრაფია და პარტნიორთა წრე. 2008 წლის მონაცემებით, საქართველო თანამშრომლობს 150-ზე მეტ ქვეყანასთან, მ.შ. 134-ში ახორციელებს ექსპორტს. ჩვენი ქვეყნის მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, აშშ, არაბთა გაერთიანებული ემირატები და სხვა ქვეყნები. აქედან უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა თურქეთი. ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობა მეზობელ თურქეთთან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გააქტიურდა ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების შექმნის, რეგიონული და სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებში. საზღვრების გახსნისთანავე საქონელგაცვლითი ოპერაციები საქართველოს ძირითადად თურქეთთან ჰქონდა. გადიოდა: ლითონები, ხეცე, ჯართი, ელექტროენერგია და სხვა სანედლეულო საქონელი. შემოდიოდა ერთჯერადი მოხმარების საქონელი ფართო ასორტიმენტით. თურქი პარტნიორების თანამონაწილეობით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია გაიარა უამრავმა ერთობლივმა საწარმომ. საქართველოს თურქეთთან აკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან საქართველოს პარტნიორები არიან აზერბაიჯანი, უკრაინა და სომხეთი. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ორი ერთნაირ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის თანამშრომლობაა. მათ ერთნაირად ეხებათ კავკასიის რეგიონული პრობლემები. ორივე გარდამავალი ეკონომიკის, მცირე ღია ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანაა. ტერიტორიული სიახლოვე ამ

ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ TRASECA-ს პროექტში. ამ პროექტიდან მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები ორივე ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-სუფსა საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული თანამშრომლობის პროექტებია.

განვითარებული ქვეყნებიდან საქართველოს პარტნიორებს შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთნება აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. კვლავ აქტუალურია TRASECA. აშშ-მა ამ პროგრამის ფარგლებში თავის თავზე აიღო აზია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოების დაცვა. საქართველოს მხარისთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების ფინანსური დახმარება არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის რეგულირებასა და მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფაში.

გარდა ცალკე აღებული ქვეყნებისა, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის, შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან (სავაჭრო კავშირების გაფართოების ხაზით), დსთ-ს ქვეყნებთან (სავაჭრო კავშირების გადახედვის კუთხით საქართველო-რუსეთის გამწვავებული ურთიერთობების გამო).

2003-2007 წლებში საქართველოს ექსპორტის მანევრებლები მზარდია ქვეყნების ოთხივე ჯგუფის მიხედვით: ა) ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 269 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 158 მლნ, 2005 წ. – 165 მლნ, 2004 წ. – 111 მლნ, 2003 წ. – 81 მლნ აშშ დოლარი; 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 232%-ით, ბ) შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 635 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 499 მლნ, 2005 წ. – 499 მლნ, 2004 წ. – 343 მლნ, 2003 წ. – 250 მლნ, 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 154%-ით. გ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 612 მლნ, 2006 წ. – 390 მლნ, 2005 წ. – 360 მლნ, 2004 წ. – 272 მლნ, 2003 წ. – 212 მლნ, 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 18,9%-ით, იმპორტი – 277,8%-ით, დ) დსთ-ს ქვეყნებთან ექსპორტმა შეადგინა – 2007 წ. – 462 მლნ აშშ დოლარი, 2006 წ. – 391 მლნ, 2005 წ. – 407 მლნ, 2004 წ. – 328 მლნ, 2003 წ. – 224 მლნ აშშ დოლარი; 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 10,6%-ით.

სტატისტიკა მეტყველებს საქართველოს სავაჭრო თანამშრომლობის ევროპულ ორიენტაციაზე. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გადაუტრეფ

პრობლემად რჩება ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურული ოპტიმიზაციის საკითხი.

რაც შეეხება დსთ-ს ქვეყნებს, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართულ-რუსული ურთიერთობები, სავაჭრო ეკონომიკური კავშირების ჩათვლით. 2004 წლამდე, ათეულობით წლის განმავლობაში, საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთთან თანამშრომლობას. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები – პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური... ატარებდა ისტორიულ ხასიათს. საქართველო და რუსეთი, როგორც ორი მეზობელი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, წლების მანძილზე ვითარდებოდა ერთიანი, ტერიტორიულად დიდი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის – სსრკ-ს შემადგენლობაში. ორივე ქვეყანას მინიჭებული აქვს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი და მსგავსი სასტარტო პირობებით ორიენტირებული იყო ღია ეკონომიკური სისტემების შექმნაზე, საქართველო – მცირე ღია ეკონომიკური სისტემის, რუსეთი კი – დიდი ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე. საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხი მაღალი იყო 2004 წლამდე. 1998-2004 წლებში რუსეთზე მოდიოდა საქართველოს სავაჭრო სავაჭრო ბრუნვის 19,46%, ექსპორტის საერთო მოცულობის 22,89% და იმპორტის საერთო მოცულობის 18,08%. ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ხორციელდებოდა 97 სასაქონლო პოზიციის მიხედვით. ექსპორტში დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით წარმოდგენილი იყო მინერალური წყლები, ღვინო, სპირტიანი სასმელები, კაკალი, მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები და სხვ. 2002-2004 წლებში რუსეთთან როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდა აღინიშნებოდა. ექსპორტის ზრდის ტემპმა 2003 წელს, 2002 წელთან შედარებით, შეადგინა 144%, 2004 წელს – 138,3% 2003 წელთან შედარებით და – 199,2% 2002 წელთან შედარებით. იმპორტის შესაბამისი მაჩვენებლები ტოლი იყო: 136%-ის, 172%-ის და 234%-ის. წლიური ზრდის ტემპები მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთიდან იმპორტი საქართველოში იზრდებოდა უფრო სწრაფად ვიდრე საქართველოს ექსპორტი რუსეთში. 2005 წლიდან დაწყებული, რუსეთთან საქართველოს როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის კლების ტენდენცია გააჩნია. 2007 წელს, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულში (თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, აშშ, ბულგარეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, ჩინეთი და თურქმენეთი) მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

Tamar Tapladze

GEORGIAN EXPORT IN POSTSOCOMMUNIST PERIOD

SUMMARY

The article analyses quantitative and structural indices of export, of postcommunist Georgia geography and the tendencies of their change; there are researched the possibilities of export optimization in our country and stated the quality of its influence on the increase of country competitiveness.

ეკატერინე მეყანწიშვილი **გლობალიზაცია და კონსტრუქციული ქვეყნების ეკონომიკის განვითარების პრობლემა**

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოებს, ეროვნული ეკონომიკის გარე სამყაროსთან იზოლირებითა და სხვა ქვეყნებთან მხოლოდ მინიმალური ეკონომიკური კონტაქტების დამყარებით, შეუძლიათ უზრუნველყონ საკუთარი მოსახლეობისთვის ნორმალური ცხოვრების დონე. მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები ფართოდ განვითარდა. სულ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ. ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების დაჩქარებული ტემპებით განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორი გახდა სახელმწიფოთა ტექნოლოგიური განვითარების ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ერთიანი ძალისხმევით, სხვა გამოსავალი არც ერთ დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყანას არ გააჩნდა.

იმის გამო, რომ 21-ე საუკუნეში ქვეყნები ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებიან, მათ არ შეუძლიათ და არც უნდა განახორციელონ თანაბარზომიერად ღია კარის პოლიტიკა. ამასთან, არ შეიძლება გლობალიზაციის პროცესისგან იზოლირება. აუცილებელია, თანდათანობით ეტაპობრივად წარიმართოს აღნიშნულ პროცესში ეროვნული ეკონომიკის ჩართვა. მით უმეტეს, თანამედროვე მსოფლიოს გააჩნია გლობალიზაციაზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი ტექნიკური არსენალი. გლობალიზაციის განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, რამდენიმე ფაქტორია, რომელიც უბიძგებს ეროვნული ეკონომიკის ჩართვას გლობალიზაციის პროცესში, ესენია: საქონლისა და მომსახურების მოძრაობა ქვეყნებსა და ეკონომიკის სექტორებს შორის; ადამიანების გადაადგილება ქვეყნებს შორის, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური ფუნქციონირების საჭიროებიდან გამომდინარე; ინტელექტუალური პროდუქციისა და იდეების მოძრაობა კვლევითი და სასწავლო ცენტრებს შორის.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები მრავალფეროვანია. საგარეო-ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი და წამყვანია ვაჭრობა. თავისუფალი ვაჭრობის იდეა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების

ეკონომიკური აზროვნებიდან მოდის ინტელექტუალურ დონეზე. ეს იდეა გამომდინარეობს შედარებითი უპირატესობის პრინციპიდან – თითოეული ქვეყანა სპეციალდება ეკონომიკური საქმიანობის იმ სფეროში, რომელიც მას საერთაშორისო კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობას მიანიჭებს. როდესაც ასეთი სპეციალიზაცია არ არსებობს და ქვეყნები უპირატესობის მისაღწევად ადაპტაციურ ნაბიჯებს დგამენ, ისინი, როგორც მინიმუმ, ამ დონისძიებების შედეგად არ უნდა დაზარალებდნენ. ამასთან, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

ეკონომიკური განვითარების ისტორიამ შემოგვინახა იმის მრავალი მაგალითი, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნები ცდილობდნენ, იმპორტის სამამულო პროდუქციით შეცვლის პოლიტიკა გაეტარებინათ, მაგრამ შედეგები არასასურველი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზები გააჩნდა. ჯერ ერთი, აღნიშნულ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევდა დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების პროდუქციას; მეორე, ნელი ტემპით მიმდინარეობდა ძირითადი კაპიტალის განახლება, რაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საშუალებას არ იძლევა, მესამე, პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან საერთაშორისო ვაჭრობა მოითხოვს ნედლეულს, განსაკუთრებით სამთამადნო მრეწველობის პროდუქციას; მეოთხე, აღნიშნული ქვეყნების უმეტესობა ძირითადად აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, რომლის ბაზარი მსოფლიოში გაჯერებულია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარტნიორები მსოფლიო ვაჭრობაში წუხან სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფაქტორის არსებობით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის წვერი ქვეყნებისათვის დაწესდა მყარი სავალუტო პარიტეტები. ეკონომიკის გლობალიზაცია ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ სავალუტო კურსის მერყეობით შექმნილი პრობლემებიდან თავის დაღწევის მიზნით, შემოღებულ იქნა ერთიანი ვალუტა – ევრო. სწორედ ევროპული ვარიანტი იძლევა საშუალებას, ლიკვიდირებულ იქნეს სავალუტო კურსების გაურკვევლობა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც შეუერთდნენ ევროპულ სავალუტო კავშირს. სავალუტო კურსების მერყეობა ევროპული და სხვა ქვეყნების ვალუტებს შორის შენარჩუნდა.

გლობალიზაციის პროცესში თავისუფალი ვაჭრობის კონცეფცია არსებითად ფართოვდება. ლიბერალიზაციის შემდგომი ეტაპი გავრცელდა მომსახურების, მათ შორის ფინანსური მომსახურებისა და ინტელექტუალური პროდუქციის სფეროზე. ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა გლობალიზაციის მიმართულებით – კაპიტალისა და ფინანსური ინსტრუმენტების თავისუფალი მოძრაობის სფეროში.

კაპიტალის ნაკადები, რა თქმა უნდა, დადებით როლს ასრულებს მათი საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დაფარვის საქმეში, მაგრამ სესხებით გამოწვეული დავალიანების მართვის ინსტიტუციური სტრუქტურების მოწესრიგებელი საქმიანობის შედეგად ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისამდე მივიდნენ. 21-ე საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო ფინანსურმა ბაზარმა ღრმა ტექნიკური ცვლილებები განიცადა ფინანსური ინსტრუმენტებისა და მეთოდების შემუშავებით, რომელმაც ფინანსური ბაზარი მიიყვანა რისკების მართვის ახალი მეთოდების ფორმირებამდე. იმისათვის, რომ ეკონომიკის გლობალიზაციისაგან მივიდოთ მაღალი ეფექტიანობა, აუცილებელია დაცული იყოს საერთაშორისო ქცევების განსაზღვრული ნორმები. ჯერ ერთი, მიღწეული უნდა იქნეს ინფორმაციის გახსნილობა და გამჭვირვალობა, მეორე, ლიკვიდირებული უნდა იქნეს უკანონო ვაჭრობა და მფარველობა ფარული კავშირების მეშვეობით, აღმოსაფხვრელია ყველა დანარჩენი ფორმის კორუფცია.

იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ეკონომიკის გლობალიზაციამ მსოფლიოს მოსახლეობას მნიშვნელოვანი წარმატება მოუტანა, რომელთაგან ყველაზე მეტი ხელშესახებია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მაღალი მწარმოებლურობა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა – გავრცელება. გარდა ამისა, გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მსოფლიოში კონფლიქტების მასშტაბების შემცირებას და საერთაშორისო კოორდინაციის გაძლიერებას. გლობალიზაციის პროცესი არ ნიშნავს თამაშს ნულოვანი შედეგით: მას შეუძლია ყველა ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს, თუმცა ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, იმისდა მიხედვით თუ როგორი ეფექტიანობით გამოიყენებენ ისინი გლობალიზაციის შესაძლებლობებს. ამასთან, გლობალიზაციას შინაგანად გააჩნია რისკის მრავალმხრივი შესაძლებლობები, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის არამდგრადობასა და უთანაბრო განვითარებასთან.

გლობალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა არ იქნება სრულყოფილი, თუ არ შევეხებით იმ მკვეთრ განსხვავებულობას, რომელიც არსებობს კონიუნქტურის არამდგრადობასა და ეკონომიკურ არასტაბილურობას შორის. ჩვეულებრივ, არასტაბილურობა ასოცირდება საფინანსო-საბიუჯეტო სტაბილიზაციისა და ინფლაციის შემცირების პრობლემასთან, არამდგრადობა დაკავშირებულია ძირითადი მაკრო-ეკონომიკური პარამეტრების (მშპ, სავალუტო კურსი, საპროცენტო განაკვეთი, ვაჭრობის პირობები და ა.შ.) გაუთვალისწინებელ და მოულოდნელ ცვალებადობასთან. თუ ამ ცვლილებებს თან არ ახლავს განსაზღვრული მოდელი, ეკონომიკური აგენტები უძლურნი არიან განვითარების ტენდენციის პროგნოზირებაში, რაც ეკონომიკაში გაურკვეველობას იწვევს. ასეთ პირობებში მცირდება ინვესტიციები და საფრთხეში ვარდება გრძელვადიანი ზრდის შესაძლებლობები. გლობალიზაციით გამოწვეული ეკონომიკის არამდგრადობის მიზეზებია:

კაპიტალის უფრო სწრაფი მოძრაობა, ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მცდარი გადაწყვეტილებების ნეგატიური შედეგების გაძლიერება.

რაც შეეხება განვითარების უთანაბრობას, იგი გამოწვეულია პოსტკომუნისტური ქვეყნების არადამაკმაყოფილებელი მონაწილეობით საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური პირობები გააჩნია. კერძოდ, სუსტია ან სრულებითაც არ არსებობს გლობალიზაციისათვის აუცილებელი ინსტიტუტები, ეკონომიკა დახურულია და არსებობს პროტექციონიზმი. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ეფექტიანი გამოყენება. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აღნიშნულ ქვეყნებში, შეწონილი მაკროეკონომიკური პროგრამისა და სტაბილური ეკონომიკური ზრდის პირობებში, შემოდის უცხოელი ინვესტორი. სწორედ ასეთი პირობების დაცვით გათავისუფლებული კაპიტალი არის ეფექტიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც გვყავს კრედიტორები და არა პარტნიორები, ქვეყანა ვერ გამოვა სიღატაკიდან და ვალებიდან. მსოფლიო ეკონომიკა ურთულეს პერიოდს განიცდის. ჩვენ ვცხოვრობთ მაღალი რისკისა და გაურკვევლობის ხანაში. ბანკები, საფინანსო დაწესებულებები და ინვესტორები შეწუხებულნი არიან იმით, რომ, ერთი მხრივ, გაძნელებულია ფინანსური რესურსების მობილიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, მათი გამოყენების რისკი მეტად საშიშ ნიშნულამდეა მისული. სწორედ გლობალიზაციას გააჩნია სარგებლიანობის მნიშვნელოვანი რეზერვები, რომელთა რაციონალური გამოყენება შესაბამის უკუგებას მისცემს მსოფლიო ეკონომიკას.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკაში ნეოლიბერალურმა ექსპერიმენტებმა მარცხი განიცადა. ამ უკანასკნელის ბაზარზე ეკონომიკის წარმატებული განვითარება დამახასიათებელია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებსაც გააჩნია ძლიერი მთავრობა, შერეული ეკონომიკა სუსტად განვითარებული კაპიტალის ბაზრით. აუცილებელია პრინციპი „ნღობა ინვესტორს“, შეიცვალოს ისეთი სახელმწიფო პოლიტიკით, რომელიც მიმართულია ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ ცნობილი სახელმწიფო დოქტრინა, თავისი იმანენტური ხასიათით, გლობალიზაციის რწმენის რაღაც სიმბოლოს სახით იყო წარმოდგენილი. მასში მოცემული იყო მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ბაზრები ეფექტიანად ფუნქციონირებენ და იმის აუცილებლობა არ არის, რომ ისინი სახელმწიფომ მართოს, რომ ღარიბებსა და მდიდრებს შორის არ არსებობს კონფლიქტური ინტერესები, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის, თუ მასში არ ერევიან. ამ დოქტრინის შესაბამისად პრივატიზაცია და დერეგულირება, აგრეთვე კაპიტალის ბაზრების გახსნილობა, ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო ხელისუფლებამ უნდა

შედლოს დაბალანსებული ბიუჯეტის შექმნა და იბრძოლოს ინფლაციის წინააღმდეგ.

სინამდვილეში, კორუფციულმა ბრძოლამ, დერეგულირებამ, პრივატიზაციამ და კაპიტალის ღია ბაზარმა ძირი გამოუთხარა მსოფლიოში მილიონობით ღარიბი და უღარიბესი ადამიანის ეკონომიკურ პერსპექტივებს. „ასე რომ, ასეთი პოლიტიკა – უბრალოდ მიაბიჭური სამართალზომიერი კამპანიაა. იგი კვლავინდებურად ემუქრება უსაფრთხოებას და სტაბილურობას მსოფლიოში, იმდენად, რამდენადაც ძირს უთხრის „პურის არსობის“ უზრუნველყოფის საფუძვლებს. ამ მხრივ მეტად საშიში სიმპტომები შეიმჩნევა რუსეთში, რომელიც იძლევა თავისუფალი ბაზრის დოქტრინის ნგრევის კატასტროფულ მაგალითს. სერიოზული საფრთხის წინაშეა ასევე აზიისა და ლათინოამერიკის ქვეყნები“ [3, გვ.1-2].

„ვაშინგტონის კონსენსუსის“ კრიზისი დადასტურდა მექსიკაში, სამხრეთ კორეაში, ტაილანდსა და ინდონეზიაში, სადაც ფართო განვითარება პოვა კორუფციამ და კლანური ტიპის კაპიტალიზმმა. ყოველივე ამის შემდეგ კრიზისი განვითარდა რუსეთში, რომლის მიზეზად დასახელდა საბჭოთა ეკონომიკის გადმონაშთები, რომლებიც ძირშივე სპობენ თავისუფალ ბაზარსა და მის სტიმულებს. რა თქმა უნდა, ცენტრალიზებულ მბრძანებლურ-კლანურ ეკონომიკაში საფუძველშივე ჩადებულია საბაზრო ეკონომიკის სიძულვილი, მაგრამ უკანასკნელი 10-11 წლის განმავლობაში პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ხომ შენდება საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, დერეგულირება, ფულის მიმოქცევის სტაბილურობა.

სამწუხაროდ, პოსტკომუნისტური ქვეყნების მსგავსად, საქართველოში პრივატიზაციამ და დერეგულირებამ ხელი ვერ შეუწყო ეფექტიანი კონკურენტული ბაზრების ფორმირებას, მის ნაცვლად შეიქმნა მსხვილი კერძო მონოპოლიები, რომლებიც აკონტროლებენ ცალკეულ დარგებს და სფეროებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარკვეულ ნაწილს. მათ ხელშია მოქცეული უმსხვილესი ბანკები, რომლებიც უპირატესად დასაქმებული არიან სპეციალურ ოპერაციებში და ფაქტობრივად არ ასრულებენ კომერციული ბანკების ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების ძირითად ფუნქციებს. ფაქტობრივად, განვითარებადი ქვეყნები მსოფლიოს სასაქონლო ბაზარზე მონაწილეობენ სამთამადნო და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციით. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაში ნეოლიბერალური მეთოდების გამოყენება სერიოზულ სრულყოფას მოითხოვს. საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციების ძალისხმევა, ეკონომიკური კრიზისიდან გამოიყვანონ განვითარებადი ქვეყნები, მარცხს განიცდის.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკური ბიულეტენი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2008.
2. **Merton Robert C.** Financial Innovation and the Management and Regulation of financial Institutions, Presented at the Warton School, University of Pennsylvania, March 1994.
3. **Некирелов А. И.** Глобализация как вызов национальным экономикам. Понятие глобализации, ж.: «Свободная мысль», №1, 2001.
4. **Эльянов А.М.** Глобализация и расслоение развивающихся стран. Ж. «МО и МЕ», №6, 2006.
5. **Гелбрейт Д.К.** Кризис глобализации. Ж. «Проблемы теории и практики управления», №5, 2008.

Mekantsishvili Ekaterine

GLOBALIZATION AND THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF POSTCOMMUNIST COUNTRIES ECONOMY

SUMMARY

World countries build up their relationships in the process of international exchange, services and information. Market assists the wiping off the borders between the countries. The whole world turned into one „ big village”. Globalization of production and markets became slightly progressing. Its results are notable, but not always optimistic.

Given article provides the analysis of the globalization problems and also includes the relevant conclusion, which goes as follows: Neo-liberal experiment suffered the defeat in the world economy and the reason for that is a systemic weakness, that became more and more characteristic. Time has come, when serious changes in the world financial practice should be introduced. National governments should direct these changes towards reestablishment of the stability and strengthening of the state regulation and planning functions. The world should return to the development policy aimed at the people welfare, which is of vital importance at a long run.

იზა ნათელაური

საქართველოს საერთაშორისო
კონკურენტუნარიანობა (2009-2010)

კონკურენტუნარიანობის თემა მთელ მსოფლიოში, მ.შ.
საქართველოშიც, განსაკუთრებული აქტუალურობით გამოირჩევა. იგი
განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: გლობალური

კონკურენტუნარიანობის კვლევას ახორციელებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მსოფლიო ბანკი, განვითარებისა და მენეჯმენტის საერთაშორისო ინსტიტუტი, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტი; ამ ორგანიზაციებისადმი საზოგადოების ნდობის ფაქტორი დღითი დღე იზრდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ მიერ გაკეთებული დასკვნები ეფუძნება რეალურ ინფორმაციას (პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში), გამოირჩევა საიმედოობის მაღალი ხარისხით, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეროვნული სახელმწიფოების მიერ წარმატებით გამოიყენება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2009-2010 წლების ანგარიშებში, დანარჩენი ქვეყნების მსგავსად, წარმოდგენილია გლობალური კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსებით, ამ ინდექსების შესაბამისი ქვეინდექსებითა და სუბინდექსებით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საანალიზო პერიოდში, ჩვენი ქვეყანა 133 ქვეყანას შორის 90-ე ადგილზეა 3,81-ის ტოლი ინდექსით. 2010 წლის რეიტინგს ლიდერობენ: 1. შვეიცარია (ინდექსით 5,60), 2. აშშ (ინდექსით 5,59), 3. სინგაპური (ინდექსით 5,55), 4. შვეცია (ინდექსით 5,51) 5. დანია (ინდექსით 5,46), 6. ფინეთი (ინდექსით 5,43), 7. გერმანია (ინდექსით 5,37), 8. იაპონია (ინდექსით 5,37), 9. კანადა (ინდექსით 5,33), 10. ნიდერლანდები (ინდექსით 5,32).

ქვეყანა აუტსაიდერების რიცხვში შევიდნენ ჩადი (ადგილი 131, ინდექსი 2,87), ზიმბაბვე (ადგილი 132, ინდექსი 2,77) და ბურუნდი (ადგილი 133, ინდექსი 2,58). ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა ესტონეთი (35-ე ადგილი 2010 წელს, 32-ე ადგილი 2009 წელს, ინდექსი 4,56); ყველაზე უარესი რეიტინგი აქვთ ტაჯიკეთს (122-ე ადგილი 2010 წელს, 116-ე ადგილი 2009 წელს, ინდექსი 3,38) და ყირგიზეთს (123-ე ადგილი 2010 წელს, 122-ე ადგილი 2009 წელს, ინდექსი 3,36). საქართველოს პარტნიორი ქვეყნებიდან, აზერბაიჯანი 51-ე ადგილზე გადავიდა 69-ე ადგილიდან ინდექსით 4,30, უკრაინამ 72-ე ადგილიდან ჩამოინაცვლა 82-ე ადგილზე ინდექსით 3,95, თურქეთი 63-ე ადგილიდან გადავიდა 61-ე ადგილზე ინდექსით 4,16, სომხეთი 97-ე ადგილზეა ინდექსით 3,71. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, მისი მდგომარეობა გაუარესდა; მან 51-ე ადგილიდან 63-ე ადგილზე გადაინაცვლა ინდექსით 4,15.

საქართველო, ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების მიხედვით, ლიდერთა შორისაა. ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით მე-11 ადგილზეა მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის, სინგაპურის, ახალი ზელანდიის, ჰონკონგის, აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოს, დანიის,

ირლანდიის, კანადის, ავსტრალიის და ნორვეგიის შემდეგ. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ლიტვა 26-ე ადგილზეა, ლატვია 27-ზე, აზერბაიჯანი 38-ზე, ყირგიზეთი 50-ზე, სომხეთი 53-ზე, ყაზახეთი 63-ზე, მოლდოვა 94-ზე, რუსეთი 120-ზე, უკრაინა 142-ზე, უზბეკეთი 150-ზე, ტაჯიკეთი 152-ზე.

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსში თანაბარი წონებით გაერთიანებულია 10 ინდიკატორი: 1. საწარმოების რეგისტრაცია (ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველო მე-5 ადგილზეა ახალი ზელანდიის, კანადის, ავსტრალიისა და სინგაპურის შემდეგ), 2. მშენებლობის ნებართვის მიღება (საქართველო მე-7 ადგილზეა), 3. სამუშაო ძალის დაქირავება (მე-9 ადგილზე ვართ), 4. ქონების რეგისტრაცია (მე-2 ადგილზე ვართ საუდის არაბეთის შემდეგ), 5. დაკრედიტება (30-ე ადგილი გვიკავია), 6. ინვესტიციების დაცვა (41-ე ადგილი გვიკავია), 7. დაბეგვრა (64-ე ადგილი გვიკავია), 8. საერთაშორისო ვაჭრობა (30-ე ადგილი გვიკავია), 9. კონტრაქტების შესრულების უზრუნველყოფა (41-ე ადგილი გვიკავია), 10. საწარმოების ლიკვიდაცია (95-ე ადგილი გვიკავია).

ბიზნესის რეგულირების მანქნებლებში ეროვნული სახელმწიფოები დიფერენცირებულია მოსახლეობის სიმჭიდროვის, შემოსავლებისა და რეგიონების მიხედვით. საქართველო წარმოადგენს მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვისა და საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყანას; მიეკუთვნება ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონს,

იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც მოსახლეობის სიმჭიდროვე არის საშუალო, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით საქართველოს რეიტინგი არის უმაღლესი. ზემოჩამოთვლილი ინდიკატორების მიხედვით ვართ მესამე, მეოთხე, მესამე, პირველ, მეთხუთმეტე, მეოთხმეტე, მეთვრამეტე, მეცამეტე, მეწვიდმეტე და ოცდამეათე ადგილებზე, შესაბამისად. ასევე საუკეთესო ვართ საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორისაც. ინდიკატორების მიხედვით გვიკავია პირველი, მესამე, მეორე, პირველი, მეოთხე, მეშვიდე, მეოთხმეტე, მეცამეტე, მერვე და ოცდამეორე ადგილები. რაც შეეხება რეგიონებს, საქართველო საუკეთესოა ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ამ რეიტინგში პირველი ოთხი ინდიკატორის მიხედვით გვიკავია პირველი ადგილი, მეხუთე ინდიკატორის მიხედვით მეცხრე ადგილი, მეექვსე ინდიკატორის მიხედვით მეშვიდე ადგილი, მეშვიდე ინდიკატორის მიხედვით მეცხრე ადგილი, მერვე ინდიკატორის მიხედვით მეხუთე ადგილი, მეცხრე ინდიკატორის მიხედვით მეათე ადგილი და მეათე ინდიკატორის მიხედვით მეცხრამეტე ადგილი.

ჩამოთვლილი ათივე ინდიკატორიდან, თითოეული აერთიანებს ინდიკატორთა საკუთარ ჯგუფს. ასე მაგალითად, საწარმოების რეგისტრაციის ინდიკატორი მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს: 1.

პროცედურების რაოდენობა (საქართველოსთვის იგი ტოლია 3-ის, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის – საშუალოდ 6,7-ის), 2. რეგისტრაციის პერიოდი დღეებში (საქართველოსთვის იგი ტოლია 3-ის, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის საშუალოდ 17,4-ის), 3. ღირებულება (შემოსავლის % ერთ სულ მოსახლეზე, საქართველოსთვის იგი ტოლია 3,7-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის საშუალოდ 8,3-ის), 4. საწესდებო კაპიტალის მინიმალური მოცულობა (საქართველოსთვის იგი ტოლია 0-ის, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის საშუალოდ 21,5-ის); საქართველოსთვის დანარჩენი ინდიკატორების მნიშვნელობებიც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის შესაბამის მაჩვენებლებზე გაცილებით უკეთესია.

საქართველო რეფორმატორი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. ამ რეიტინგში იგი 107-ე ადგილზეა 131 ქვეყანას შორის. რეგიონებიდან საუკეთესოა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი. რეფორმატორი ქვეყნების ხვედრითი წილი ამ რეგიონში 2005 წელს შეადგენდა 74%-ს, 2006 წელს – 85%-ს, 2007 წელს – 62%-ს, 2008 წელს – 78%-ს, 2009 წელს – 85%-ს, 2010 წელს – 96%-ს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და მსოფლიო ბანკის კვლევები, ეროვნული სახელმწიფოების განვითარების შედარებითი ანალიზი, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტენდენციებისა და სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების ობიექტური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ჩვენს ქვეყანას შეუძლია, მიადწიოს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას, დასაქმების დონის ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას.

Iza Natelauri

THE INTERNATIONAL COMPETITIVENESS OF GEORGIA (2009-2010)

SUMMARY

On the basis of Reports of the World Economic Forum and the World Bank, for 2009-2010 years, the international rating, of Georgia on index of Global Competitiveness and on index of Regulation of Business, is analysed.

Ia Natsvlishvili

IMPACT OF FOREIGN DIRECT INVESTMENTS ON NATIONAL ECONOMY

The paper states the hypothesis that service industry can benefit more than industrial sector from inward Foreign Direct Investment spillover effects through

both horizontal and vertical channels. To test the hypothesis author brings supportive arguments and empirical evidences from the recent researches that were done in different countries. The paper addresses debate about the broader impact of inward FDI on local firms. Theory offers two competing effects. It reviews the literature on the impact of inward FDI on host country firms and, subsequently, generates competing hypotheses. The paper discusses the findings and presents the conclusions. In theory of foreign direct investments one line of reasoning suggests that inward FDI ought to lead to beneficial outcomes for local firms. The purported effect is driven by knowledge spillovers from foreign entrants to local firms, and/or through incentives for local firms to improve in order to compete with better-endowed foreign competitors. Another line of research casts doubt on the positive impact of inward FDI on local firms, suggesting instead that inward FDI might adversely affect outcomes for local firms. The paper presents the result of researches that emphasize how increased competition generated by foreign entry negatively impacts the profitability of local firms, thereby crowding domestic competitors out of the market. Paper discusses how firms' innovative output is impacted by industry- and firm- level FDI inflows and emphasizes that inward FDI generally decreases the innovative productivity of firms. This result could be interpreted as evidence that the potential for knowledge spillovers from inward FDI is offset by a negative competition effect that ultimately limits the ability of local firms to innovate.

Valuable conclusion about the impact of inward FDI also can be drawn from the research conducted about the entrepreneurship in transition economies. Results of several research about entrepreneurship show that foreign presence generates significant positive spillovers on the entry of domestic firms (positive effect on entrepreneurship and domestic firm formation). The existence of entry spillovers varies greatly with the type of industry. The service industries benefit from huge FDI spillover effects through both horizontal and vertical channels, manufacturing industries do not experience any significant positive spillovers from FDI, suggesting a higher entry barrier effect in manufacturing. Thus, tourism sector in Georgia as one of the services sector industries can benefit from FDI spillover effects through both horizontal and vertical channels. Scholars from a variety of disciplines have examined the motivations to engage in FDI. Studies document the antecedents to foreign expansion. The earliest research demonstrated that firms expand from a position of domestic strength, transferring advantages developed in their domestic market. Most recently scholars have suggested that firms may expand abroad in an effort to access knowledge embedded in the host country market. Research has also addressed the performance consequences of such expansion. Scholars have examined how the knowledge composition of firms impacts the effectiveness of internationalization, how foreign expansion affects the profitability of firms, whether (and how) subsidiaries benefit from the transfer of knowledge from the parent, how multinationals acquire knowledge that resides in host countries, and how multinationality impacts innovative productivity.

Despite the extensive theoretical and empirical study of FDI, surprisingly, research in international strategy has centered almost exclusively on the antecedents and consequences of FDI for the firms making the investments. Relatively little research (with a few notable exceptions) has been directed at the impact of FDI on firms in the country receiving those investments. It generally addresses the impact of inward FDI on the productivity of local firms. Previous researchers discuss relatively little about how inward FDI affects innovativeness, a measure of learning that is vital to understanding the growth of economies. Because FDI is often viewed as a catalyst for economic development, and because countries increasingly compete to attract FDI, it is important for managers and policymakers to understand the impact of inward FDI not just on productivity, but also on innovation. Quite few recent studies have been done to examine the impact of inward FDI on the innovativeness of domestic firms (Robert Solomon, Byungchae Jin, Francisco Garcia Perez, 2010). Recent research by Robert Solomon, Byungchae Jin, Francisco Garcia Perez highlights the deleterious consequences to host country firms resulting from increased competition. It finds that FDI inflows at both the industry- and firm- levels negatively influence innovation of local firms. They use primary data from a yearly survey conducted by the Fundación SEPI (-Sociedad Estatal de Participaciones Industriales or National Bureau of Industrial Activity) with the support of the Spanish Ministry of Industry. The first survey was conducted in 1990, and they were able to gain access to data gathered through 2002. The initial survey year (1990) included information on 2,188 firms from 20 industries. When a firm drops from the sample in any given year, the Fundación replaces it with another of similar size from the same industry. This led to an initial sample consisting of an unbalanced panel of 3,462 firms from 1990-2002. Conclusions of the paper are based also on data with industry-level data on inward FDI flows from the OECD Foreign Direct Investment Statistics (FDIS) database. The FDIS publishes yearly FDI inflows by industry for the 30 OECD member countries.

According to the results of recent research by Robert Solomon, Byungchae Jin, Francisco Garcia Perez persistence in patent behavior exist. Firms that applied for patents in the prior year are more likely to apply for patents in the current year. And these effects diminish with increasing lags. Consistent with prior studies, firm size is positive and significantly associated with patent applications. Larger firms are more likely to file for patents. Similarly, the effect of advertising intensity is positive and significant. However, recent research failed to find a positive and significant effect of R&D intensity on patent applications. It also failed to find a significant effect of FDI into industry on subsequent firm patent productivity. However, it does find a negative and significant effect of FDI into firm, suggesting that foreign ownership has deleterious consequences for the patent productivity of foreign-owned Spanish firms. This suggests that foreign entrants into Spain concentrate their innovative efforts in, and shift innovative activity to, the home country of the parent firm. The Spanish affiliates become implementers that execute strategies developed in the home country. Robert Solomon, Byungchae Jin, Francisco Garcia Perez in the article "Does Inward Foreign Direct Investment Increase the Innovative Productivity of Local

Firms?" consider the same specifications using product innovations as an alternative to patent innovations. They do not find a statistically significant relationship between FDI into firm and production innovation. But they do find a negative and significant effect of the two- and three- year lags of FDI into firm on production innovation. The magnitude of the effect becomes larger as the lags increase. This result indicates that industry-level FDI inflows negatively impact the innovations of Spanish firms, especially the purely domestic firms. Taken together, the results indicate that industry- and firm- level inward FDI inflows decrease the *ex post* innovative productivity of local firms. Foreign investment into Spain crowds out domestic innovation.

There has been a great deal of other research examining whether foreign affiliates exhibit higher levels of productivity in general than local firms (Aitken and Harrison, 1999). Empirical research supports the view that firms with foreign equity participation outperform firms that are entirely locally-owned (Blomstrom and Kokko, 1998). Impact from FDI on the performance of host country industry is that the presence of TNCs generates spillovers to other firms (Caves, 1974). These are known as productivity or technological spillovers (Kokko, 1996; Aitken and Harrison, 1999). Studies in this vein investigate the extent to which the presence of technologically-advanced foreign affiliates stimulates growth in the performance of local firms. To date, most studies find that spillovers benefit the productivity of local firms. However, little attention has been given to the investigation of the conditions under which non-existent or indeed negative.

Recent study by Buckley, Peter J.; Clegg, Jeremy; Wang, Chengqi described in the article "Inward FDI and Host Country Productivity: Evidence from China's Electronics Industry" published in 2006 pursue the idea that the overall productivity effects of FDI may neither be as uniform, nor as high, as many studies suggest. In examining the productivity impacts of foreign ownership in China's electronics industry. Research addressed two questions. First, do the productivity spillover effects tend to diminish over time, following the establishment of foreign affiliates? Second, does FDI affect all market segments within an industry, or only certain segments? The results of the research is based on existing studies that use China's data for a number of industries taken as a whole. It examines the impact of inward FDI on overall productivity, that is the combined productivity of local and foreign-owned firms, whilst explicitly controlling for industry specific effects. The previous literature typically focuses on either the impact of FDI on GDP growth or on domestic firms alone. Recent study by Buckley, Peter J.; Clegg, Jeremy; Wang, Chengqi focuses on a single sub-sector to investigate whether more robust findings can be discerned, and whether spillovers decline over time. Data for China's electronics industry for 41 sub-sectors for the years 1996, 1998, 2000 and 2001 are employed. The key finding is evidence that spillover benefits to China's domestic industry decline over the period. This suggests that host productivity gains via learning from FDI have a life cycle. However, there findings suggest that joint ventures with foreign affiliates may be an effective long term route to embed local firms in the learning network of transnational

corporations. This study also finds that transnational corporations are attracted to higher productivity sub-sectors, implying that a bias exists towards findings of positive spillover effects.

Valuable conclusion about the impact of inward FDI can be drawn from the research conducted about the entrepreneurship in transition economies. Many studies have analyzed the impact of FDI presence on domestic firm productivity. Several examine how FDI presence affects domestic firm formation in a transitional country. Meghana Ayyagari and Renáta Kosová in the paper “Does FDI facilitate Domestic Entrepreneurship? Evidence from the Czech Republic” in 2006 analyze the impact of FDI presence on domestic firm formation.

Researchers were seeking answers to the following questions: Does FDI generate positive entry spillovers that stimulate domestic entry or does it raise the barriers to entry for domestic firms? What is the nature of FDI entry spillovers? Are these spillovers primarily “horizontal” (intra-industry) or “vertical” (inter-industry)? Does the extent of FDI entry spillovers vary across industries? To answer the questions above, they use an extensive firm-level panel dataset of 9979 domestic and foreign firms in the Czech Republic, during 1994-2000. The Czech Republic serves as a natural experiment environment because unlike other transition countries (e.g. Hungary and Poland), it was virtually closed to foreign competition until the very beginning of transition in 1989. Presence of foreign firms in an industry can have a negative impact on the entry of domestic firms by raising the technological barriers to entry (the *entry barrier effect*). Alternatively, foreign presence can generate demand for local products and services, bring new or higher quality inputs, and generate new business opportunities in the local market, thus encouraging the entry of domestic firms (the *demand creation effect*). While multinational firms might want to prevent loss of proprietary technology to potential competitors within the same industry and therefore raise the barriers to entry, they might also want to encourage the entry of new suppliers and customers in vertically related industries. Thus it is important to analyze both the intra-industry impact of FDI as well as the inter-industry impact of FDI via vertical linkages between industries. It is important to analyze the existence of vertical entry spillovers, to distinguish between backward (i.e. when domestic firms *supply* their output to foreign firms) and forward linkages (i.e. when domestic firms *buy* inputs from foreign suppliers).

Results of research done by Meghana Ayyagari and Renáta Kosová show that foreign presence generates significant positive spillovers on the entry of domestic firms (positive effect on entrepreneurship and domestic firm formation). 10% increase in foreign market share increases the horizontal entry rates of Czech firms on average by 1.6%. However, FDI spillovers via vertical linkages (both forward and backward) are of a much higher magnitude than horizontal spillovers. A 10% increase in foreign presence across all downstream industries increases the average domestic entry rate in the supplying industry by 9.4%. An even stronger impact is registered through forward linkages. A 10% increase in foreign presence across upstream industries increases the entry rate on average by 13.1%. The existence of entry spillovers varies greatly with

the type of industry. The service industries benefit from huge FDI spillover effects through both horizontal and vertical channels, manufacturing industries do not experience any significant positive spillovers from FDI, suggesting a higher entry barrier effect in manufacturing.

REFERENCES

1. **Aitken, B. J. & Harrison, A. E.** 1999. Do Domestic Firms Benefit from Direct Foreign Investment? Evidence from Venezuela. *American Economic Review*, 89(3): 605-618;
2. **Blalock, G. & Gertler, P. J.** 2008. Welfare Gains from Foreign Direct Investment through Technology Transfer to Local Suppliers. *Journal of International Economics*, 74(2): 402-421;
3. **Blalock, G. & Simon, D. H.** 2009. Do All Firms Benefit Equally from Downstream FDI the Moderating Effect of Local Suppliers Capabilities on Productivity Gains. *Journal of International Business Studies*, 40(7): 1095-1112;
4. **Blomström, M. & Kokko, A.** 1998. Multinational Corporations and Spillovers. *Journal of Economic Surveys*, 12(3): 247-277;
5. **Buckley, P. J., Dunning, J. H., & Pearce, R. D.** 1977. The Influence of Firm Size, Industry, Nationality, and Degree of Multinationality on the Growth and Profitability of the World's Largest Firms, 1962–1972. *Weltwirtschaftliches Archiv (Review of World Economics)*, 114(2): 243-257;
6. **Buckley, Peter J.;** Clegg, Jeremy; Wang, Chengqi. 2006. Inward FDI and Host Country Productivity: Evidence from China's Electronics Industry. <http://www.accessmylibrary.com/article> last access February 5, 2010
7. **Caves, R. E.** 1974. Multinational Firms, Competition, and Productivity in Host-Country Markets. *Economica*, 41(162): 176-193;
8. **Caves, R. E.** 1996. *Multinational Enterprise and Economic Analysis*. New York: Cambridge University Press;
9. **De Backer, K. and Leo Sleuwaegen.** 2003. Does Foreign Direct Investment Crowd out Domestic Entrepreneurship? *Review of Industrial Organization*, 22: 97-84;
10. European Patent Office. 2009. Facts and Figures. www.epo.org . Last access February 2010;
11. **Görg, H. and Eric Strobl.** 2001. Multinational Companies and Productivity Spillovers: A Meta-Analysis with a Test for Publication Bias. *Economic Journal*, 111 (475): 723-739;
12. **Haskel, J. E., Pereira, S. C., & Slaughter, M. J.** 2007. Does Inward Foreign Direct Investment Boost the Productivity of Domestic Firms? *Review of Economics and Statistics*, 89(3): 482-496;
13. **Javorcik, B. and Marianna Spatareanu.** 2005. Disentangling FDI Spillover Effects: What Do Firm Perceptions Tell Us? Published in *Does Foreign Direct Investment Promote Development?* T.Moran, E.Graham and M.Blomström, eds. Institute for International Economics, Washington, DC;
14. **Keller, W. & Yeaple, S. R.** 2009. Multinational Enterprises, International Trade, and Productivity Growth: Firm-Level Evidence from the United States. *Review of Economics and Statistics*, 91(4): 821-831;

15. **Konings, J.** 2001. The Effects of Foreign Direct Investment on Domestic Firms: Evidence from Firm-Level Panel Data in Emerging Economies. *Economics of Transition*, 9(3): 619;
16. **Meghana Ayyagari, Renáta Kosová,** 2006. Does FDI facilitate Domestic Entrepreneurship? Evidence from the Czech Republic; <http://www.ibusdept.com> . Last access March 17, 2010;
17. **OECD.** 2009. Foreign Direct Investment Statistics. <http://stats.oecd.org>; Last access 3 March, 2010;
18. **Solomon Robert, Byungchae Jin, Francisco Garcia Perez,** 2010. “Does Inward Foreign Direct Investment Increase the Innovative Productivity of Local Firms?” ; <http://www.ibusdept.com> . Last access April 5, 2010;
19. **Salomon, R. M. & Shaver, J. M.** 2005. Learning by Exporting: New Insights from Examining Firm Innovation. *Journal of Economics & Management Strategy*, 14(2): 431-460;
20. **Salomon, R. M.** 2006. Spillovers to Foreign Market Participants: Assessing the Impact of Export Strategies on Innovative Productivity. *Strategic Organization*, 4(2): 135-164;
21. **Salomon, R. & Jin, B.** 2008. Does Knowledge Spill to Leaders or Laggards? Exploring Industry Heterogeneity in Learning by Exporting. *Journal of International Business Studies*, 39(1): 132-150;
22. **Salomon, R. & Martin, X.** 2008. Learning, Knowledge Transfer and Technology Implementation Performance: A Study of Time-to-Build in the Global Semiconductor Industry. *Management Science*, 54 (7): 1266-1280.

ია ნაცვლიშვილი

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბავშვნა
ეროვნულ ეკონომიკაზე**

რეზიუმე

სტატიაში ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზა, რომ საქართველოში მომსახურების სფეროში მოქმედი კომპანიები შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანხმსლები “გადადინების” დადებითი გარე ეფექტებისაგან უფრო მეტ სარგებლობას მიიღებს როგორც პორიზონტალური (დარგის შიგნით), ასევე ვერტიკალური (დარგთაშორისი) კავშირების მიმართულებით მრეწველობის დარგთან შედარებით. ამ ჰიპოთეზის მართებულობის დასასაბუთებლად ავტორი განიხილავს ჰიპოთეზის მთავარი დებულების მხარდამჭერ არგუმენტებს და ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული თანამედროვე კვლევების შედეგებზე. სტატიაში განხილულია შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილობრივ ფირმებზე გავლენის შესახებ არსებული განსხვავებული თვალსაზრისები და სამეცნიერო წრეებში მიმდინარე დებატები. სტატიაში გადმოცემულია უცხოელი ავტორების მიერ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა, რომელთა შედეგებიც ადასტურებენ, რომ შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ზოგადად ამცირებენ ადგილობრივი ფირმების ინოვაციურ პროდუქტიულობას როგორც ფირმის, ასევე დარგის დონეზე. სტატისტიკური მასალის ანალიზისა და სათანადო ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენების შედეგად მკვლევარებმა ვერ აღმოაჩინეს დადებითი და მნიშვნელოვანი კავშირი შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ადგილობრივ ბაზარზე მოქმედი ფირმების ინოვაციურ პროდუქტიულობას შორის. ადგილობრივ ბაზარზე შემოსული უცხოური ფირმები ადგილობრივი ბაზრებიდან თავისი ინოვაციური საქმიანობის “გადაგზავნასა” და კონცენტრაციას ახდენენ საზღვარგარეთ არსებულ სათაო კომპანიებში. ადგილობრივ ბაზარზე არსებული შვილობილი კომპანიები კი უცხოეთში არსებული სათაო კომპანიების მიერ შექმნილი ინოვაციური პროდუქტების მხოლოდ “იმპლემენტატორები” არიან. შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ადგილობრივი ფირმების ინოვაციურ საქმიანობას შორის უარყოფითი კავშირის მიუხედავად შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზემოქმედება ზოგადად მეწარმეობაზე დადებითია. ამ მიმართულებით ჩატარებული მრავალი კვლევის შედეგი ადასტურებს, რომ შემოსულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების თანმხლებ “გადადინების” გარე ეფექტებს დადებითი ზეგავლენა აქვთ დარგში ფირმათა შესვლის დონეზე. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ჩეხეთში ბაზარზე უცხოური ფირმების წილის 10%-იან ზრდას თან ახლდა ვერტიკალურად დაკავშირებულ (მიმწოდებელ) დარგებში ადგილობრივ ფირმათა შესვლის დონის 9.4%-ით ზრდა, მაშინ როცა ბაზარზე ჰორიზონტალური (იმავე დარგში) შესვლის დონე იყო მხოლოდ 1.6%. შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეწარმეობაზე და ახალი ფირმების წარმოშობაზე ასეთი დადებითი ეფექტი განსხვავებულია დარგების მიხედვით. განსაკუთრებით მაღალია მომსახურების სექტორში როგორც ჰორიზონტალური (დარგის შიგნით), ასევე ვერტიკალური (დარგთაშორის) კავშირების მიმართულებით. სამრეწველო დარგებში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეწარმეობაზე დადებითი ზეგავლენა შედარებით ნაკლებია, რაც აიხსნება სამრეწველო სექტორში ბაზარზე შესვლის უფრო მაღალი ბარიერების არსებობით. არსებული გამოკვლევების შედეგების ანალიზით გამოვლენილ კანონზომიერებებზე დაყრდნობით საბუთდება, რომ საქართველოში მომსახურების სექტორი შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანმხლები “გადადინების” დადებითი გარე ეფექტებისაგან უფრო მეტ სარგებლობას მიიღებს როგორც ჰორიზონტალური (დარგის შიგნით), ასევე ვერტიკალური (დარგთაშორის) კავშირების მიმართულებით მრეწველობის დარგთან შედარებით.

**მსოფლიო კრიზისი და საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური
სისტემის თანამედროვე პრობლემები**

წელიწადნახევარზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მთელმა მსოფლიომ განიცადა გლობალური საფინანსო კრიზისის უძძიმესი ზეგავლენა. 2007 წელს დაწყებულმა საფინანსო კრიზისმა 2008 წლის შემოდგომას თავის პიკს მიაღწია და მსოფლიო საფინანსო სისტემის პარალიზებაც მოახდინა. 2009 წელს, მსოფლიო საფინანსო სისტემის რისკებმა დაიწია. თუმცა, სამწუხაროდ, მოხდა მათი გადანაცვლება რეალურ სექტორში და, შედეგად, კრიზისი, რომელიც დაიწყო, როგორც საფინანსო, გარდაიქმნა მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკურ კრიზისად. საერთაშორისო ექსპერტები აღიარებენ, რომ ის ბოლო 100 წლის მანძილზე ერთ-ერთი უძძიმესი იყო. მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, 2009 წელს მსოფლიო კრიზისის გავლენით გლობალური ეკონომიკის აქტივობა, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ე.ი. ბოლო 65 წლის განმავლობაში, მკვეთრ შემცირებას განიცდის.

დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკვე მსოფლიოში პოსტკრიზისული პერიოდის პერსპექტივებზე საუბრობს. თუმცა, გლობალური კრიზისის ეფექტი დღესაც უძძიმესია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. მან უკვე წარმოშვა ეკონომიკური ცხოვრების უამრავი ცვლილება, გაადრმავეა არსებული სირთულეები ევროკავშირის და დანარჩენი მსოფლიოს მრავალ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში. კრიზისით წარმოქმნილი სირთულეების ეფექტური გადალახვა და მისი განვითარების პროგნოზირება მნიშვნელოვან საერთაშორისო ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კავშირები მსოფლიო საფინანსო ბაზრებთან მწირია, კრიზისმა ძლიერი გავლენა მოახდინა ასევე ჩვენი ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობასა და, მთლიანობაში, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც: 2008 წლის მეორე ნახევრის დასაწყისში საქართველოს ეკონომიკის როგორც რეალური, ისე ფინანსური სექტორები უდიდესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ბოლო 10 წლის მაკროეკონომიკური მიღწევები სერიოზულ პრობლემებს განიცდის. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში უკვე 2008 წელს განსხვავებული და ძალზე რთული ვითარება შეიქმნა, როდესაც მოხდა აგვისტოს კონფლიქტისა და ამავე წლის შემოდგომაზე გლობალური კრიზისის უძლიერესი ტალღის რეზონირება. 2010 წლის აპრილისათვის საქართველოში კრიზისის ყველაზე მძიმე ეტაპი

დაძლეულია. საშუალოვადიან პერიოდში ქვეყანაში ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება. თანამედროვე ეტაპზე საქართველოსთვის მთავარი ამოცანა არის რაც შეიძლება სწრაფად აღვადგინოთ ის ზრდის ტემპები, რომლებიც იყო საქართველოში 2007 წელს და 2008 წლის პირველ ნახევარში.

მთლიანობაში, საქართველოს 2008 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის აპრილამდე პერიოდის მაკროეკონომიკური შედეგები მეტად დამაფიქრებელია. საქართველოს ეკონომიკა, რომელიც ეყრდნობა უცხოეთიდან დიდი მოცულობით შემოდინებად კაპიტალს, განიცდის ეკონომიკური აქტივობის მკვეთრ დაცემას. 2008 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის ოქტომბრამდე პერიოდის განმავლობაში საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინება მნიშვნელოვნად შემცირდა. უცხოეთიდან წლების განმავლობაში მუდმივად მზარდი ფულადი გზავნილების მოცულობამ მკვეთრად მოიკლო: რუსეთიდან მათი ნაკადები შემცირდა დაახლოებით 30%-ით; უკრაინიდან – 20-25%-ით; სომხეთიდან – 60%-ით; გაერთიანებული სამეფოდან – 25%-ით. 2009 წლის სექტემბერში ეს მაჩვენებელი ზრდისკენ წავიდა და წლის მანძილზე მაქსიმუმს მიაღწია. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 2008 წელს 1,5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა პროგნოზირებადი 2,5 მლრდ აშშ დოლარის მაგივრად, ხოლო 2009 წელს კი დაახლოებით მხოლოდ 759 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც თითქმის 5 წლით უკან გვაბრუნებს. საქართველოში მსოფლიო-საფინანსო ეკონომიკურმა კრიზისმა საგარეო ვაჭრობის არხებითაც შემოაღწია. საერთაშორისო ბაზრებზე დაცემულმა ფასებმა მადნებსა და ლითონებზე მნიშვნელოვნად შეამცირა საქართველოს საექსპორტო შემოსავლები (უკანასკნელ წლებში მადნები, ლითონშენადნობები და ლითონის ჯართი საქართველოს მთავარ საექსპორტო მუხლს წარმოადგენდა). ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა დასკვნების მიხედვით, საშუალოვადიან პერსპექტივაში, მსოფლიო კრიზისის ეფექტები საგრძნობლად შეეხება საქართველოს, როგორც მცირე ზომის და დაბალი შემოსავლების ეკონომიკას, საექსპორტო დარგების გარდა, კრიზისი ასევე დაახარალებს ქვეყნის ეკონომიკისათვის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორებიცაა ტრანსპორტი, ვაჭრობა და ტურიზმი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ეკონომიკის ზრდის ტემპები 2008 წელს 2007 წელთან შედარებით 10%-ით შემცირდა და 2% შეადგინა. ხოლო 2009 წელს ეს ნიშნული -4%-მდე დაეცა. აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის ზრდის ასეთი დაბალი და უარყოფითი მაჩვენებლები საქართველოში არ შეიმჩნეოდა უკვე ბოლო 10 წლის განმავლობაში.

საქართველოს საბანკო სექტორი საქართველოს მთლიანი ფინანსური სექტორის 90%-ზე მეტს შეადგენს და ამიტომ ის

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი სისტემური მნიშვნელობის გამო. თანამედროვე საბანკო სექტორში არსებული მაღალი ლიკვიდურობის მიუხედავად, რისკები მკვეთრად გაზრდილია. 2009 წლის დასაწყისისათვის ქართულმა საბანკო სისტემამ პირველად იზარალა ბოლო 11 წლის განმავლობაში, თანაც მნიშვნელოვნად – 215 მლნ ლარით. რაც შეეხება ვადაგადაცილებულ სესხებს, მათი მოცულობა 2008 წელს ინტენსიურად იზრდებოდა და წლის ბოლოსათვის თავის მაქსიმალურ ნიშნულს – 209 მლნ ლარს მიაღწია. მთლიანობაში, 2008 წელს მაკროეკონომიკური სიტუაციის გაუარესებამ და ეკონომიკაში რისკების ზრდამ აიძულა ბანკები, გაეზარდათ სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით რეზერვები, რამაც უარყოფითად იმოქმედა ბანკების მომგებიანობაზე. თუმცა, დადებითია ის ფაქტი, რომ 2009 წლის სექტემბრის თვე კომერციული ბანკების კონსოლიდირებული მოგებით დასრულდა. რთული საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის მიუხედავად, 2010 წლის აპრილისათვის ქვეყნის საბანკო სექტორში მდგომარეობა გაუმჯობესებულია, რაც ქვეყანაში განხორციელებული საფინანსო და კერძოდ, მონეტარული პოლიტიკის შედეგია. 2008 წლის მეორე ნახევრიდან 2009 წლის პირველ ნახევრამდე პერიოდის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკის აქცენტები ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებაზე მიიმართა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა განახორციელა საბანკო სექტორისათვის მოკლე და საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების მიწოდების პოლიტიკა და, ასევე, ზომები, რომელთა მიზანს შეადგენდა გაცვლითი კურსის კონტროლი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ძალისხმევით, საფინანსო სისტემაში სისტემური პრობლემები თავიდან იქნა აცილებული და დღეს საბანკო სექტორი მინიმალური შეფერხებებით აგრძელებს საქმიანობას.

თანამედროვე ეტაპზე სერიოზული საფრთხეა შექმნილი ქვეყნის საბიუჯეტო სტაბილურობისათვის. მკვეთრად გაიზარდა საგარეო ვალის ზრდის რისკები. 2008 წლის დასაწყისიდან საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალი 18,2%-ით (1329 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 8631,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 80,3% შეადგენს.

საქართველოში თანამედროვე საფინანსო-ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა ასევე ხასიათდება ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გაღრმავებით. 2010 წლისათვის ქვეყანაში უმუშევრობის დონის მაჩვენებელმა 2007 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად მოიმატა და 16%-ზე მეტი შეადგინა. დღეს საქართველოში როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორები განიცდის გარკვეულ სიძნელეებს. მსოფლიო კრიზისის გამო მთელ საქართველოში პრობლემები შეექმნა კერძო

ბიზნესის საქმიანობას. დღეს მცირე და საშუალო ბიზნესი სერიოზულ პრობლემებს განიცდის: შეფერხდა სხვადასხვა ბიზნესსტრუქტურების ურთიერთობა უცხოელ ინვესტორებთან, მომწოდებლებსა და მყიდველებთან, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობაზე. სხვადასხვა პროფილის მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ბიზნესის დიდი ნაწილი მუშაობს წარსულში აღებული საბანკო კრედიტების დახმარებით, რომელთა გადახდასაც ის ვეღარ ახერხებს, და, ასევე, ვერ აკეთებს გარკვეულ დანაზოგს მომავალში საქმიანობის გასაგრძელებლად. დღეს ბიზნესის ეფექტური წარმართვისათვის აუცილებელია მეტი საფინანსო რესურსების მიწოდება და გასაღების ახალი ბაზრების მოძიება.

ყოველივე ზემოაღწერილი გვიჩვენებს, თუ რა ძირითადი პრობლემები ახასიათებს საქართველოს საფინანსო-ეკონომიკურ სისტემას თანამედროვე ეტაპზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზების თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 2010 წელს ზრდის ტემპებს მოიმატებს და 2% მიაღწევს, ხოლო 2011 წლისათვის კი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 4% შეადგენს. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღნიშნავს, რომ ზრდის ტემპების პროგნოზების გადაცილების პოტენციალიც არსებობს და ის პირდაპირ არის დამოკიდებული ხელისუფლების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის დროული ზომების მიღებასთან. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიო კრიზისით დაზარალებულ ქვეყნებს ურჩევს: საფინანსო სექტორში გამაჯანსაღებელი მარეგულირებელი ღონისძიებების ჩატარებას; ლიბერალური ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას; გათვითცნობიერებული და გამოზომილ-გაწონასწორებული მაკროეკონომიკური მართვის გამოყენებას და დაგეგმარებას ქვეყანაში გაუთვალისწინებელი ვითარებების შექმნის შემთხვევაში; საზოგადოების აქტიურ ინფორმირებას მისაღები ზომების შესახებ, რაც წარმოადგენს ქვეყანაში ნდობის და კრიზისზე ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას.

ბოლოს კი უნდა ითქვას, რომ, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო კრიზისით წარმოშობილი საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზების ძიება წარმოადგენს არა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლებისა და მთავრობის, არამედ, ჩვენი ბიზნესწრეების წარმომადგენლების და მთლიანად ჩვენი ქართული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ საკითხს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, 2009.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. მარტი, 2010.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2009.
4. World Economic Outlook (WEO), April, 2010 - International Monetary Fund.
5. Regional Economic Outlook: Middle East and Central Asia, October 2009 - International Monetary Fund.
6. <http://www.geostat.ge> - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი.
7. <http://www.nbg.ge> - საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდი.

Tamila Nutsubidze
Khatuna Nutsubidze

GLOBAL CRISIS AND THE PROBLEMS OF FINANCIAL-ECONOMIC SYSTEM IN GEORGIA

SUMMARY

The Georgian economy has been hit hard by the Global crisis. The Global crisis has hit the Georgian economy through the following four main transmission channels – reduction of FDI, shrinkage of remittances, collapse in export demand, and a sharp contraction in bank lending. FDI inflows have fallen sharply to \$759 million in 2009. Workers’ remittances have declined by about 20 percent in the first six month of 2009 compared to the same period in 2008. Exports declined sharply in 2009. And in the first six month of 2009, banks’ total assets, loans and deposits, have fallen while NPLs have risen.

Recovery in 2010 will be slow, despite the government’s macroeconomic policy and fiscal stimulus aimed at counterbalancing the sharp drop in FDI and bank lending. In 2011 GDP is expected to grow by 4 percent. The recovery prospects for Georgia will depend on the strong international support and the success of the sound domestic polices.

ლალი ოსაძე
სოფიო ცეცხლაძე

სასურსათო ბაზრის ზოგიერთი პრობლემა და გლობალური ეკონომიკური კრიზისი

ომმა, კრიზისმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ თავისი კვალი საქართველოს სასურსათო საქონლის ბაზარსაც დაამჩნია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოთხოვნამ თითქმის ყველა სახის საქონელსა და მომსახურებაზე იკლო. მინიმუმამდე დაეცა ავტომობილებისა და ბინების გაყიდვა, მოთხოვნა შემცირდა ავეჯზე, ტექნიკასა და ფუფუნების საგნებზე, რაც გარკვეულწილად სამომხმარებლო კრედიტის შეზღუდვამაც გამოიწვია. ყველაზე ნაკლებად კრიზისმა პირველადი მოხმარებისა და კვების პროდუქტების სეგმენტი დააზარალა, რადგან ადამიანები კვებასა და ჰიგიენაზე უარს ვერ იტყვიან. თუმცა მოგების შემცირებას ისინიც უჩივიან. ამ სეგმენტში ძვირადღირებულმა ბრენდებმა ადგილი იაფ პროდუქციას დაუთმო. მოხმარებელს უარი არ უთქვამს პურზე, ყავაზე, შაქარზე, ჩაიზე, შამპუნზე, სარეცხის საშუალებებსა და სხვა პირველადი მოხმარების საქონელზე. მაგრამ დახლებზე ძვირფასი სასმელებისა და დელიკატესების ასორტიმენტმა შესამჩნევად იკლო. უპირატესობა აშკარად იაფი პროდუქციისაკენ გადაიხარა. ძვირიანი სივარტიდან და ლუდიდან ბევრი შედარებით დაბალფასიანს დაუბრუნდა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ასეთ დროს მოიგებს ის, ვინც მოხმარებელს ფასდაკლებებს შესთავაზებს.

კრიზისის და აგვისტოს ომის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა უფრო მეტი პრობლემის წინაშე დადგა. სახელმწიფო მოხელეები ბიუჯეტის შესავსებად ადმინისტრირების მკაცრ ზომებს მიმართავენ, რამაც შეიძლება მეწარმეობას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს. მცირე ბიზნესი მოგების ნაცვლად თავის გადარჩენაზე ფიქრობს. მეწარმეებს წვრლმანი დარღვევისთვისაც კი მაქსიმალურ სანქციებს უწესებენ, არიცხავენ საურავებს. მთავრობა არ ითვალისწინებს, რომ, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, უფრო მნიშვნელოვანია ბიზნესის გადარჩენა, ვიდრე ბიუჯეტის შევსება. თუ ბიზნესი გადარჩა, ის ხვალ-ზეგ ისევ გადაიხდის გადასახადებს. ფირმები მკაცრ ადმინისტრირებას ვერ უძლებენ და კოტრდებიან ან დროებით აჩერებენ საქმიანობას. მაგალითად, ომის შემდგომ, მხოლოდ ხორცპროდუქტების კომპანია „ნიკორას“ სახელმწიფო 16 მლნ ლარს ედავებოდა. მეწარმეების აზრით, ორაზროვან საგადასახადო მუხლებს საგადასახადო მოხელეები ბიუჯეტის სასარგებლოდ იყენებენ.

ფასების ზრდა და სურსათის პრობლემა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აქტუალურია, გაერო გვაფრთხილებს, რომ სურსათზე ფასების შემდგომი ზრდის გამო მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები შეექმნა. ჯერჯერობით საქართველოში ფასების ზრდა კვლავაც გრძელდება. ჩვენი ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობა უკვე დიდი ხანია რაც

ინფლაციასა და ფასების დიდი სისწრაფით ზრდას შეეჩვია. 2008 წლის ნოემბერში პერუში გამართულ აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორუმზე ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ვარდნა კიდევ 6 თვეს გაგრძელდებოდა, თუმცა ფასების ზრდა დღესაც გრძელდება.

ცნობილია, რომ ბევრ ქვეყანაში ანტიკრიზისული პროგრამები უკვე ამოქმედებულია, მაგრამ რეალური შედეგებს მხოლოდ 2010 წლის ბოლოსათვის უნდა ველოდოთ.

დღეს, დოლარის გაძვირების გამო, მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა ნავთობის ფასი, საწვავის გაძვირებას კი ყოველთვის პროდუქციის გაძვირება მოსდევს. როგორც სუპერმარკეტების მეპატრონეები აღნიშნავენ, ფასებმა მოიმატა უმრავლეს საქონელზე, მაგ., გაძვირდა გაყინული ხორცპროდუქტები, ყავა, თევზი, კონსერვები, შაქარი, ბურღულეული, ტომატპასტა, შოკოლადი, ჩიპსები და სხვა. ვარაუდობენ, რომ სურსათზე კიდევ 10%-ით გაიზრდება ფასები, რადგან როცა ძველი მარაგები გამოილევა, ახალი პარტიების შემოტანა მოუწევთ უკრაინიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, სადაც საქონელს დოლარით ყიდულობენ.

საქართველოში ეკონომიკური პრობლემების ძირითად მიზეზად ეკონომიკური კრიზისი და აგვისტოს ომი სახელდება. მაგრამ პრობლემები აგვისტოს ომამდეც მწვავედებოდა, რასაც, საბაზრო მიზეზების გარდა, ბიზნესის შევიწროვებაც დაედო საფუძვლად. ქართველ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მთავრობასა და ხალხის ურთიერთობაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული. გაა ხუხაშვილის (ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში) აზრით, ქართული ეკონომიკა არ არის ისე ინტეგრირებული გლობალურ ეკონომიკაში, რომ მსოფლიო ფინანსურ კრიზისს მყისიერად მოეხდინა მასზე გავლენა. თუმცა, საქართველოს ეკონომიკას სხვა პრობლემებიც აქვს, სისტემური სახის არაჯანსაღი, არაკონკურენტული გარემო ხელს არ უწყობს ეკონომიკის განვითარებას, რაც მეტ-ნაკლებად სასურსათო ბაზრის მდგომარეობაზეც აისახება.

ხორბლის გადამუშავება აქამდე ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ დარგად ითვლებოდა. მისმა მოცულობამ ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 650-700 ათას ტონას მიაღწია. ფქვილს დღეს 60-მდე წისქვილ-ქარხანა აწარმოებს და ამ სექტორში 20 ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ტურიზმის ინდუსტრია მოიცავს მცირე ბიზნესის მრავალრიცხოვან საწარმოებს, ტურიზმიდან მიღებული ამონაგები ნაწილდება მიმღები რეგიონის მოსახლეობის ფართო ფენებზე და ამრიგად მთელი საზოგადოება იღებს ეკონომიკურ სარგებელს.

ქვეყანას შეუძლია დამატებითი შემოსავლების გენერირება მოახდინოს ტურისტებისაგან ფისკალური სისტემის საშუალებით ისე, რომ არ დაანგრის ტურიზმის საკუთარი ინდუსტრია. ეს მიიღწევა ტურისტების შემოსავლებზე პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადების დაწესებით. ასეთ პირობებში საერთაშორისო ტურიზმის ზემოქმედება სახელმწიფო ბიუჯეტზე, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ და ფინანსურ

სიტუაციაზე. ძირითადი სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ ძნელდება ინფრასტრუქტურის დანახარჯების ზუსტი პროგნოზირება და იმის შესაძლებლობა, რომ ქვეყანა მიიღებს უცხოურ სესხებს.

ქვეყნებს შორის საერთაშორისო ტურიზმის მომსახურების გაცვლა, ისევე, როგორც საქონელთა გაცვლა, წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ნაწილს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე.

საერთაშორისო ტურიზმი ასრულებს ასევე აქტიური გენერატორის როლს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებისა და ეკონომიკის სხვა სფეროების მომსახურებისათვის. ასე მაგალითად, ბევრი ქვეყანა უცხოელი ტურისტების მოთხოვნას აკმაყოფილებს პროდუქტებისა და მომსახურების იმპორტის საშუალებით. ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაც ასტიმულირებს სხვადასხვა სამშენებლო მასალების, ნედლეულისა და ტექნოლოგიების იმპორტს.

ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე საერთაშორისო ტურიზმის წვლილი გამოიხატება სხვაობით: ქვეყანაში შემოსული უცხოელი ტურისტების დანახარჯებსა და ამ ქვეყნის რეზიდენტების დანახარჯებს შორის საზღვარგარეთ. საერთაშორისო ტურიზმს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს სახელმწიფოს მიერ საგადასახადო ბალანსის სტაბილიზაციის პოლიტიკაზე.

ტურიზმი მიეკუთვნება შრომატევად დარგთა რიცხვს. ამ სფეროში დასაქმებული შრომითი რესურსების ნაწილის საქმიანობა ნაკლებადაა დაკავშირებული მაღალკვალიფიციურ, მაღალინტელექტუალურ ან შემოქმედებით შრომასთან. შესაბამისად, მათთვის სავალდებულო არაა მრავალწლიანი სპეციალური განათლების მიღება. ამიტომ, ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონისას, ტურიზმმა შეიძლება დადებითი როლი შეასრულოს სოციალური პრობლემის დროებით გადაჭრის საქმეში მოსახლეობის შედარებით ადვილად დასაქმების გზით.

საქართველოში ტურიზმის განვითარების საერთო ეკონომიკური მიზანი არის ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას მათი დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის მეშვეობით. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ტურისტების რიცხოვნობისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდით.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი ტურიზმის მდგრადი ეკონომიკური ზრდის იდეალური საფუძველია. თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში ტურისტების არსებული რაოდენობა, მის პოტენციალთან შედარებით, კვლავაც მცირეა და მათი ზრდის პროგნოზი ამ დონიდან უნდა დაიწყოს.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ტურიზმის სფეროში

განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა მაღალი არ არის. საერთაშორისო სტანდარტების მქონე ტურისტულ ინფრასტრუქტურაზე მოთხოვნა, ექსპერტთა დასკვნით, მილიონი დოლარით უნდა განისაზღვროს.

Naira Gvedashvili

THE INFLUENCE OF INTERNATIONAL TOURISM ON COUNTRY ECONOMY

SUMMARY

International tourism is the economical complex which development is mainly stipulated by the global economical processes and relationships and not by internal reasons; however, at the same time tourism is an important catalyst of economical rise of many quickly developable countries as it plays a role of a distributive channel for the national products within the countries.

ღეილა ღუდუშაური

საბანკო რისკმენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციები

საკრედიტო ორგანიზაციებში რისკმენეჯმენტის საერთაშორისო და სამამულო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს რისკების შეფასების მარტივი და ეფექტიანი მეთოდოლოგიის შექმნის აქტუალობასა და აუცილებლობას. გარდა ამისა, აღნიშნული პრობლემის კვლევის მნიშვნელობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- კომერციულ ბანკებში რისკმენეჯმენტის ორგანიზაცია და განხორციელება საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებით;
- ბანკების ზედამხედველობისა და კაპიტალის საკმარისობის შეფასება ბაზელის კომიტეტის შეთანხმებითა და მიდგომებით;
- საქართველოს საკრედიტო დაწესებულებებში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობის აუცილებლობა;
- საკრედიტო დაწესებულებების კაპიტალისა და მოსალოდნელი დანაკარგების შეფასების საყოველთაოდ მიღებული კონცეფციისა და საკმარისად ფორმალიზებული მეთოდოლოგიის არარსებობით.

თანამედროვე ეტაპზე საკრედიტო ორგანიზაციები თავიანთი მოსალოდნელი დანაკარგების ანალიზისათვის ძირითადად იყენებენ ერთფაქტორულ მოდელებს, რაც, ხშირად, მოცემულ სიტუაციაში არაადეკვატური და გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს. საბანკო

რისკმენეჯმენტის კვლევის მეთოდოლოგია ემყარება საკრედიტო დაწესებულებების მიერ შესაძლო დანაკარგების შეფასების ერთიანი მიდგომების შემუშავებას საბანკო პორტფელების **VAR** მაჩვენებლების შეფასებისა და სტრესტესტირების პროცედურების გამოყენებით და ითვალისწინებს რისკ-ფაქტორთა შეუზღუდავი რაოდენობის ერთდროულად გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ასეთი შეფასების ხარისხსა და ეფექტიანობას.

რისკ-მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. საბანკო პორტფელის შეფასება სტრესტესტირებისა და VAR მაჩვენებლების საფუძველზე

რისკების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს ერთდროულად წარმოშობილი დიდი მოცულობის ზარალის თავიდან აცილება, რომელმაც შეიძლება კატასტროფული შედეგი მოუტანოს საკრედიტო ორგანიზაციას. ასეთი რისკების შესაფასებლად გათვალისწინებულია **VAR**-ანალიზის კონცეფციაზე დამყარებული მეთოდების, აგრეთვე სტრესტესტირების სხვადასხვა პროცედურების გამოყენება. **VAR**-ანალიზის კონცეფციაზე დამყარებული რისკის შეფასების მეთოდები საშუალებას იძლევა, განისაზღვროს საბანკო პორტფელის მაქსიმალურად მოსალოდნელი ზარალი დადგენილი ალბათობით, მომავალში მიმდინარე საბაზრო ტენდენციების შენარჩუნების პირობით.

VAR-ანალიზის კონცეფციისაგან განსხვავებით, სტრესტესტირების პროცედურები საშუალებას იძლევა, შეფასდეს მოსალოდნელი ზარალის მაქსიმალური ოდენობა ისეთი ალბათური შემთხვევებისთვის, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციებს და ამიტომ პროგნოზირებასაც ნაკლებად ემორჩილება.

საერთაშორისო და სამამულო პრაქტიკაში გამოიყენება საბანკო პორტფელების შეფასების **VAR**-მაჩვენებლებისა და სტრესტესტირების სხვადასხვა მეთოდები. ანალიტიკოს-ბანკირთა ძირითადი მასა იყენებს ან ერთფაქტორულ მოდელებს, ან მსგავსი ტიპის რისკფაქტორულ მოდელებს. საბანკო პრაქტიკაში საკრედიტო და საბაზრო რისკების ფაქტორთა ერთდროული ანალიზის მოდელები იშვიათად გვხვდება. ასეთი სიტუაციის დროს საკრედიტო ორგანიზაციებს უჭირთ ადეკვატურად შეაფასონ (ან ხშირად საერთოდ ვერ აფასებენ) თავიანთი ფინანსური პორტფელის დანაკარგები სრულად, ვინაიდან ერთფაქტორული მოდელები რისკის რამდენიმე ფაქტორის ერთდროული ცვლილების გათვალისწინების საშუალებას არ იძლევა.

2. რისკფაქტორთა იდენტიფიკაცია, ანალიზი და შეფასების მეთოდები

რისკების შეფასების მეთოდები ემყარება საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე მოქმედი სხვადასხვა რისკფაქტორთა შესაძლო ცვლილებების დეტალურ და ფუნდამენტურ ანალიზს. როგორც წესი, საკრედიტო ორგანიზაციის რისკმენეჯმენტი რისკების საიდენტიფიკაციოდ საბანკო პორტფელის სტრუქტურის დეტალურ ანალიზს ახორციელებს. ამ დროს ვლინდება რისკების ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ როგორც მთელს საბანკო პორტფელზე, ასევე მის ცალკეულ შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილზე. ასეთი ფაქტორები, ჩვეულებრივ, მოიცავს საკრედიტო და საბაზრო რისკების სხვადასხვა კომპონენტს.

საკრედიტო რისკის ფაქტორის სახით, როგორც წესი, გამოიყენება უცხოური სარეიტინგო სააგენტოების შეფასება ან საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ბანკის ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის კონტრაგენტების (შიდა რეიტინგების) შიდასისტემური ანალიზის საფუძველზე მიღებული შეფასებები. თავის მხრივ, საბაზრო რისკის ფაქტორის ქვეშ იგულისხმება საფონდო, სავალუტო და საპროცენტო რისკების სხვადასხვა ფაქტორები (ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის კურსები, საპროცენტო განაკვეთები და ა. შ.). ფინანსურ ინსტრუმენტზე რისკ ფაქტორების გავლენის შესაფასებლად გამოიყენება სიდიდე, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტის ფარდობით ცვლილებას (ღირებულების ზრდას), გამოწვეულს შესაბამისი რისკფაქტორის მნიშვნელობის ცვლილებით, რასაც ხანდახან არითმეტიკულ „შემოსავლიანობას“ უწოდებენ და განსაზღვრავენ შემდეგი ფორმულით:

$$r = \frac{At+1 - At}{At}, \quad \text{სადაც}$$

- A_t – ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება t დროისათვის;
- A_{t+1} – ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება $t+1$ დროისათვის;

3. VAR-მაჩვენებელთა შეფასება

VAR-მაჩვენებელი, გამოხატული საბაზო ვალუტაში, წარმოადგენს ზარალის შეფასების მაჩვენებელს, რომელიც განსაზღვრული ალბათობით (ნდობის ალბათობით) არ გადააჭარბებს საბანკო პორტფელის მოსალოდნელ ზარალს გარკვეული პერიოდის (დროითი ჰორიზონტის) განმავლობაში, საბაზრო კონიუნქტურის არსებული მაკრო- და მიკროეკონომიკური ტენდენციების შენარჩუნების პირობებში. ნდობის ალბათობა, ჩვეულებრივ, რისკმენეჯმენტის მიერ შეირჩევა რისკის მიმართ დამოკიდებულების ხარისხის მიხედვით, რომელიც ასახულია საზედამხედველო ორგანოების

მარეგლამენტირებელ დოკუმენტებში ან მიღებულია კორპორაციულ პრაქტიკაში. მაგალითად, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი რეკომენდაციას უწევს, გამოყენებულ იქნეს ნდობის ალბათობის 99%-იანი დონე. **VAR**-მაჩვენებელთა ანალიზის დროითი ჰორიზონტი განისაზღვრება დროის ისეთი პერიოდით, რომლის განმავლობაში საბანკო პორტფელი მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის.

VAR-მაჩვენებელთა შეფასებისას გათვალისწინებულია ორი ძირითადი მიდგომა. *პირველი* მათგანი ეფუძნება რისკვაქტორების მნიშვნელობათა გამოთვლის *ანალიტიკური აპროქსიმაციის ფუნქციას*, რაც ანალიზის გამარტივებული მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მიდგომის ჩარჩოში გამოიყენება **VAR**-მაჩვენებელთა შეფასების *დელტა-ნორმალური მეთოდი*. *მეორე* მიდგომა ემყარება რისკ ფაქტორების მნიშვნელობათა უშუალო გაანგარიშებას. ამ მიდგომის ჩარჩოში გამოიყენება *ისტორიული მოდელირების მეთოდი (Backtesting)* წინა პერიოდებში რისკვაქტორების მნიშვნელობათა გათვალისწინების საფუძველზე, აგრეთვე, *სტოქასტიკური მოდელირების მეთოდები (მონტე-კარლო)*, რომელშიც რისკვაქტორების მნიშვნელობების მოდელირება შემთხვევითი რიცხვების გადამცემის საშუალებით ხორციელდება.

4. სტრეს-ტესტირება

სტრეს-ტესტირების პროცედურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე რისკ ფაქტორებში მიმდინარე მთელი რიგი ცვლილებების პოტენციური ზემოქმედების შეფასება, რომლებიც შეესაბამება განსაკუთრებულ, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ რეალურ შემთხვევებს და, რომელთა პროგნოზირებაც შეუძლებელია ისე, როგორც მაგალითად, **VAR**-მეთოდოლოგია ითვალისწინებს. ერთ-ერთ ძირითად ანალიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც გათვალისწინებულია საკრედიტო ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური კონიუნქტურის შესაძლო მოულოდნელი ცვლილებებით გამოწვეული პოტენციური დანაკარგების შესაფასებლად, წარმოადგენს საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგების სტრესტესტირება, რომელმაც საერთაშორისო საფინანსო პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვა.

საბანკო პრაქტიკაში სტრესტესტირების სხვადასხვა მეთოდიკა გამოიყენება. თანამედროვე ეტაპზე ყველაზე გავრცელებულ მეთოდიკას *სცენარების ანალიზები* წარმოადგენს. ის საშუალებას იძლევა, შეფასდეს საკრედიტო ორგანიზაციაზე რიგი რისკ ფაქტორების ერთდროული ზემოქმედების პოტენციური შედეგები. ამ მიდგომის დროს რისკვაქტორთა შესაძლო ერთდროული ცვლილებების სცენარები ფორმირდება ან უკვე წარსულში მომხდარი ისტორიული მოვლენების

საფუძველზე, ან ჰიპოთეზური მოვლენების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება მომავალში წარმოიშვას. მაქსიმალური დანაკარგების შეფასებისას განისაზღვრება რისკფაქტორთა რამდენიმე მნიშვნელობის შესაძლო კომბინაციები, მათი დინამიკის ნეგატიური მიმართულებანი, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ მაქსიმალური ზარალი მიაყენონ საკრედიტო ორგანიზაციას.

სცენარების ანალიზი საშუალებას იძლევა, შეფასდეს არა მარტო მაქსიმალურად შესაძლო დანაკარგები, არამედ ჩატარდეს საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგების მგრძობელობის ანალიზი რისკ ფაქტორთა მნიშვნელობების ცვლილებების მიმართ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ანალიზის შედეგები ძირითადად მოკლევადიანი ხასიათისაა. მგრძობელობის ანალიზით ფასდება საკრედიტო ორგანიზაციის პორტფელზე იმ მოვლენების ზემოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია ერთ-ერთი კონკრეტული რისკფაქტორის მნიშვნელობის ცვლილებასთან (მაგალითად, ვალუტის კურსის ზრდა/შემცირება; საპროცენტო განაკვეთების ზრდა/შემცირება; საბაზრო ინდექსების ზრდა/შემცირება და ა. შ.).

ამრიგად, საბანკო რისკმენეჯმენტის კვლევის მეთოდოლოგია ორიენტირებულია საბანკო პორტფელის შესაძლო დანაკარგების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტაზე, სახელდობრ:

➤ რისკფაქტორების ცვლილებების შეფასება და მათი სტატისტიკური ურთიერთკავშირის გამოვლენა-დადგენა. რისკის მოცემული ფაქტორების ცვლილებებისადმი საბანკო პორტფელის ფინანსური მგრძობელობის ანალიზის განხორციელება;

➤ საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგების **VAR-** მანვენებლების შეფასება, როგორც მისი ცალკეული ინსტრუმენტების, ასევე მთელი პორტფელის მიხედვით. **VAR** მანვენებლების შესაფასებლად ანალიზის სამი ძირითადი მეთოდის: **დელტა-ნორმალური, ისტორიული მოდელირების და სტოქასტიკური მოდელირების (მონტე-კარლო)** გამოყენება;

➤ ბეკ-ტესტირების ჩატარება საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგებისა და მისი შემადგენელი ნაწილების **VAR-**მანვენებლების შეფასების საფუძველზე;

➤ საბანკო პორტფელის ფინანსური შედეგებისა და მისი შემადგენელი ნაწილების სტრეს-ტესტირების სხვადასხვა პროცედურების ჩატარება სცენარების ანალიზის ან სხვა ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენებით.

შემოთავაზებული მეთოდოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს საკრედიტო, საფონდო, სავალუტო და საპროცენტო რისკფაქტორების საკმაოდ ეფექტიანი, ინტუიციურად ჩამოყალიბებული მოდელები, აგრეთვე მათი ერთდროული აღრიცხვის შესაძლებლობა საბანკო

პორტუგელში მისი სტრუქტურის ნებისმიერი ხარისხის დეკალიზაციის გათვალისწინებით.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Джозеф Синки.** Финансовый менеджмент в коммерческом банке и в индустрии финансовых услуг. Перевод с английского. ИНЕС-Альпина Бизнес Букс. Москва, 2007.
2. **Фаррахов И.Т.** Методическое пособие «ОЦЕНКА показателя VaR и стресс-тестирование банковских портфелей». МОСКВА, 2004.
3. Энциклопедия финансового риск-менеджмента. Под ред. **А.А.Лобанова и А.Е.Чугунова.** Альпина паблишер. Москва, 2003.
4. Principle for the management and supervision of interest rate risk. Consultative document. Basel Committee on Banking Supervision. 2001 January.

Leila Gudushauri

MODERN TRENDS OF BANK RISK MANAGEMENT

SUMMARY

One of the main objectives of risk management is the prevention of recurrent significant in magnitude of losses that could have disastrous consequences for the lending institutions. To assess these risks using methods based on the concept of VAR-analysis, as well as the various procedures stress-testing bank portfolios. Methods of risk assessment based on the concept of VAR can be calculated with a given probability the maximum expected loss of the banking portfolio while maintaining the current market trends in the future.

**ФОРМИРОВАНИЕ ИННОВАЦИОННОГО ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВА
В ПОСТСОВЕТСКИХ СТРАНАХ, В ЧАСТНОСТИ В ГРУЗИИ**

В постсоветских странах, в частности в Грузии, в условиях реформ на предприятиях произошло сокращение объемов и товарной номенклатуры производства вследствие падения платежеспособного спроса традиционных клиентов внутри и за пределами этих стран. Рост цен на сырье и энергию поставил предприятия перед необходимостью технологической модернизации производства с целью снижения издержек и перехода к выпуску более качественной продукции и т.д. Следовательно, предприятия постсоветских стран, в том числе и Грузии, в настоящее время стоят перед необходимостью реструктуризации для достижения стабилизации и расширения объемов реализации продукции в краткосрочный период, а также для повышения прибыльности функционирования на средне - и долгосрочную перспективу.

В сфере осуществления этих целей важное место занимает разработка вопросов правильного раскрытия сущностей таких экономических процессов как предпринимательство вообще и инновационное предпринимательство в частности.

Предпринимательство, будучи экономическим явлением и процессом, одновременно представляет собой творческую деятельность деловых людей и направлено, как известно, на: поиск новых сфер вложения капитала; создание новых и совершенствование имеющихся продуктов, производств, организаций; развитие собственных преимуществ; эффективное использование различных возможностей для получения прибыли.

Предпринимательство в качестве экономического явления выражает всю систему отношений, возникающих между предпринимателем и потребителями в процессе реализации товаров (работ, услуг), с поставщиками, другими хозяйствующими субъектами, наемными работниками, а также государственными и иными органами управления. Следовательно, очевидно, что предпринимательство как экономическое явление выступает в форме производственных отношений по поводу производства и реализации потребителям конкурентных товаров (работ, услуг) необходимого качества и получения запланированного заранее результата, скажем, прибыли или дохода [3,4].

Предпринимательство в качестве процесса выступает как сложная цепочка действий, начиная с поиска (зарождения) предпринимательской идеи и включая воплощение в конкретный проект предприятия, организации, фирмы, позволяющий производить необходимые потребителям товары, выполнять

работу и оказывать услуги. Оно как разовый акт заканчивается получением дохода и извлечением прибыли. Поэтому предпринимательство как процесс является целесообразной деятельностью, направленной на удовлетворение потребностей субъектов рынка и получение определенных объемов дохода и прибыли [3,4].

В процессе предпринимательства осуществляются следующие действия:

- определение целей, проблем, задач, стоящих перед фирмой;
- рациональное размещение капитала и средств фирмы;
- эффективное использование материальных, трудовых, финансовых ресурсов;
- создание условий, способствующих достижению намеченных результатов;
- контроль за использованием вложенных средств;
- преодоление косности и рутинности во внешней среде предпринимательства;
- творческое решение нестандартных ситуаций;
- организация рекламы;
- формирование имиджа фирмы;
- контроль за осуществлением сделок и другие [3,4].

Предпринимательство как экономическая форма деятельности может осуществляться в следующих основных видах:

- путем реализации непосредственных производственных функций (то есть посредством производства товара, продукции и услуг).
- путем применения посреднических функций, что подразумевает оказание услуг с помощью продвижения товара от непосредственного производителя до его потребителя.

В специальной литературе выделяют две модели предпринимательства: классическую и инновационную.

Классическая модель соответствует традиционному, репродуктивному, рутинному предпринимательству, а следующая модель – инновационному предпринимательству.

Инновационная модель предполагает поиск новых путей развития предприятия, что позволяет говорить о принципах управления его ростом.

Результатом организации производства, полностью основывающегося на инновациях, выступает новый товар или же товар с принципиально новыми свойствами, характеристиками.

Инновационное предпринимательство является особым новаторским процессом создания чего-то нового. Оно представляет собой процесс хозяйствования, в основе которого лежит постоянный поиск новых возможностей, ориентация на инновации.

Понятие инновационного предпринимательства в научный оборот, как известно, вошло в середине прошлого века, когда сложилось современное пони-

вание предпринимателя как новатора (т.е. когда признание новаторства и новизны вообще стало неотъемлемой чертой предпринимательства).

Инновационное предпринимательство подразумевает процесс создания и коммерческого использования технико-технологических нововведений. Известно, что в основе такой предпринимательской деятельности, как правило, лежит нововведение в области продукции или услуг, позволяющее формировать новую рыночную сферу, удовлетворять новые потребности и т.д. Инновационное предпринимательство является высшей стадией предпринимательской деятельности, которая представляет клиентам новые решения их проблем путем выявления и применения новых инновационных возможностей.

Нынешние условия и уровень развития предпринимательства в постсоветских странах, в том числе в Грузии, требуют форсированного развития процессов именно инновационного предпринимательства. Необходимость формирования и развития такого предпринимательства в вышеуказанных странах обусловлена следующими основными обстоятельствами:

- усилением интенсивных факторов развития производства, способствующих использованию результатов научно-технического прогресса во всех сферах экономической деятельности;

- определяющей ролью научных исследований в повышении эффективности разработки и внедрения новой техники;

- необходимостью существенного сокращения сроков создания и освоения новой техники;

- повышением технического уровня производства;

- потребностью развития массового творчества изобретателей и рационализаторов;

- спецификой процесса научно-технического производства, подразумевающей неопределенность затрат и результатов, ярко выраженную многовариантность исследований, риск и возможность отрицательных результатов;

- увеличением затрат и ухудшением экономических показателей предприятий при освоении новой продукции;

- быстрым моральным старением применяемых технических средств и технологии;

- объективной необходимостью ускоренного внедрения новой техники и технологии и т.д.

Анализ данных, отражающих опыт реструктуризации инновационных предприятий в постсоветских странах, в том числе в Грузии, позволяет выделить существенные особенности инновационного процесса на сегодняшнем этапе развития этих стран. Среди них основными являются следующие:

- каждое внедрение инновации имеет признаки уникальности;

- не существует изолированных инноваций;

- одни инновации порождают серии последующих (так, например, экономические, технические, социальные и психологические инновации тесно связаны между собой и взаимно продвигают друг друга);

- инновации являются необходимым элементом самоорганизации и активного развития предприятий;
- инновации требуют повышенных усилий и чем выше степень ее радикальности, тем большая подготовка и более высокие затраты ресурсов требуются для ее реализации;
- инновации, имеющие спрос, осуществляются быстрее, чем вводимые административно;
- для эффективного осуществления инновации являются необходимыми новая идея, инициативный предприниматель и достаточные инвестиции;
- степень экономического эффекта от реализации инноваций адекватна степени риска (т.е. чем выше риски, тем выше потенциальные эффекты от распространения инновации);
- чем выше порядок инновации, тем выше требования к управлению инновационными процессами;
- для успешной реализации инноваций необходимо достижение критической массы ее составляющих (т.е. людей-новаторов, предложений, идей, изобретений и ноу-хау для перехода к новым поколениям технологий, продуктов, структур и форм хозяйствования);
- инновации успешнее внедряются предприятиями-лидерами, организациями, ожидающими ухудшения ситуации и находящимися в состоянии кризиса;
- инновационно активные предприятия не достигают результата в случае, если не занимают лидирующего положения в увеличении удельного веса принципиально новой продукции в общем объеме отгруженной продукции.

ЛИТЕРАТУРА

1. Глухов В., Коробко С. Б., Маринина Т. В. Экономика знаний. Москва, 2003.
2. Инновационный менеджмент. Москва, "ИНФРА-М", 2003.
3. Медынский В. Г., Ильдеменов С. В. Реинжиниринг инновационного предпринимательства. Москва, "ЮНИТИ", 1999.
4. Медынский В. Г., Шаршуква Л. Г. Инновационное предпринимательство. Москва, "ИНФРА-М", 1996.
5. Хойер В. Как делать бизнес в Европе. Москва, "Прогресс", 1990.
6. Hemmer M., Champy J. Reengineering the corporation. A Manifesto for Business Revolution. N. Y. Harper Business, 1994.
7. Pinchot G., Pichot E. The Intelligent Organization San-Fransisko: Berret-Kochler, 1996.

Nana Bibilashvili

FORMATION OF INNOVATIVE ENTREPRENEURSHIP IN POSTSOVIET COUNTRIES PARTICULARLY OF GEORGIA

SUMMARY

On modern stage of development of postsoviet countries, including Georgia, great importance is attached to the study of problematic issues of formation and functioning of innovative entrepreneurship in these countries.

In this connection the given article is dedicated to the study and statement of principle issues of formation and development of innovative entrepreneurship in the countries being in postsoviet area, including Georgia as well. The work shows the essence of innovative entrepreneurship, there is substantiated the necessity of its formation and development in the above mentioned countries, there are stated special features of formation and functioning of innovative entrepreneurship in postsoviet countries particularly in Georgia etc.

თამარ გამსახურდია

**კომპანიის ღირებულების შეფასებისა და
მართვის ახალი მეთოდები**

ფინანსების მართვა – ეს არის: აქტივების შექმნას, დაფინანსებასა და მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია განსაზღვრული მიზნის რელიზაციისაკენ, კერძოდ, გაკორტების და დიდი ფინანსური დანაკარგების (მოგების, შემოსავლისა და კაპიტალის) თავიდან აცილებაზე; “ფორმის ფასის” მაქსიმიზაცია აქციათა საკურსო ღირებულების ზრდის მეშვეობით; წარმოებისა და გაყიდვების მოცულობის ზრდა; მოგების მაქსიმიზაცია და ხარჯების მინიმიზაცია და ა.შ.

უკანასკნელ წლებში ყველაზე დიდი გავრცელება პოვა “ფორმის ფასის მაქსიმიზაციის თეორიამ”, რომლის ავტორები გამოძინარეობდნენ წინაპირობებიდან, რომ არც ერთი კრიტერიუმი: გაყიდვათა მოცულობა, მოგება, რენტაბელობა და სხვა – არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ფინანსური და საინვესტიციო ხასიათის მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტურობის საზომი. ასარჩევი კრიტერიუმი უნდა იყოს: დასაბუთებული; შემოსავლების პროგნოზირებაზე დაფუძნებული; ხელსაყრელი საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მისაღებად, დივიდენდების გასაცემად და კორპორაციის განვითარების პროგრამების დასაფინანსებლად საკუთარ საშუალებათა წყაროების ძიების ჩათვლით.

ცნობილია, რომ ამ პირობებს პასუხობს საკუთარი კაპიტალის ღირებულების, ე.ი. კორპორაციის აქციათა საბაზრო ფასის მაქსიმიზაციის კრიტერიუმი. მენეჯერების მიერ აქციონერთა კაპიტალის მაქსიმიზაციაზე ვაღდებულების აღებისას, აუცილებელია შეირჩეს შესაბამისი საზომი, რომელიც დაეხმარება მათ ქონების სიდიდის უწყვეტ შეფასებაში. ცნობილია, რომ აქციონერთა კაპიტალის შემოსავლიანობის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს ტრადიციული მიდგომებით, ანუ ბუღალტრული მოგების ან ბუღალტრულ მოგებაზე დაფუძნებული

ისეთი კოეფიციენტების გამოყენებით, როგორცაა აქციონერთა კაპიტალის რენტაბელობა ან აქციაზე შემოსავლის სიდიდე.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ამ კოეფიციენტების გამოყენებასთან, არის ის, რომ მოგება განისაზღვრება დროის შედარებით მოკლე პერიოდში (ერთ წლამდე). მაგრამ, როდესაც ვსაუბრობთ აქციონერთა მიერ დაბანდებული კაპიტალის შემოსავლიანობის მაქსიმუმაციაზე, ჩვენ გვინტერესებს შედარებით უფრო ხანგრძლივი დროის პერიოდი (გრძელვადიანი პერიოდი). მეორე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ისინი არ ითვალისწინებენ რისკფაქტორებს. მესამე პრობლემა არის ის, რომ არ ითვალისწინებენ ბიზნესში ინვესტირებული კაპიტალის მოზიდვის ყველა დანახარჯს. და ბოლოს, დეკლარირებული ბუღალტრული მოგების სიდიდე შეიძლება შესამჩნევად შეიცვალოს არჩეული სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე.

ცნობილია, რომ საინვესტიციო პროექტის შეფასებისას აქციონერთა კეთილდღეობა მაქსიმალური იქნება იმ შემთხვევაში, თუ წმინდა მიმდინარე ღირებულება V იქნება მაქსიმალური. ამ მიდგომის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანისას ბიზნესი შეიძლება განიხილოს, როგორც საინვესტიციო პროექტების პორტფელი, რომელიც მიმართულია აქციონერთა სიმდიდრის ზრდისკენ. სწორედ ამ იდეაზეა დაფუძნებული სააქციო ღირებულების ანალიზი (Shareholder value analysis-SVA).

SVA-ს მიდგომა ითვალისწინებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების შეფასებას აქციონერთა სიმდიდრის მაქსიმუმაციის შესაბამისად. ამ შეფასების შესასრულებლად იყენებენ შესაბამის საზომებს, რომლებიც ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ბიზნესის დაფინანსება ძირითადად ნასესხები და სააქციო კაპიტალის კომბინაციის ხარჯზე ხდება. ამიტომ კრედიტორები გამოთქვამენ პრეტენზიას ბიზნესის საერთო ღირებულების ნაწილზე. ბიზნესის ის ნაწილი, რომლის მიღებაც შეუძლიათ ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს, შეიძლება გამოითვალოს შემდეგნაირად: ბიზნესის მთლიან ღირებულებას (NPV ჯამი) გამოკლებული გადაუხდელი მთლიანი ვალდებულებების საბაზრო ღირებულება.

სააქციო ღირებულება = ბიზნესის საერთო ღირებულებას - მთლიანი ვალდებულებების საბაზრო ღირებულება.

ბიზნესის საერთო ღირებულების განსასაზღვრად გამოიყენება თავისუფალი ფულადი ნაკადები (free cash flows), რომელიც წარმოადგენს ბიზნესის მიერ გენერირებულ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებაც შეუძლიათ ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს და კრედიტორებს გრძელვადიანი სესხებისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის უდრის წმინდა საოპერაციო ფულად ნაკადებს გადასახადების და დამატებითი ინვესტიციებისათვის განკუთვნილი სახსრების გამოკლებით. ამ

გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ მოგება-ზარალის და ბუღალტრული ბალანსის უწყისებიდან.

თავისუფალი ფულადი ნაკადები გამოითვლება ბიზნესის არსებობის მთელ პერიოდზე. თუმცა ამ პერიოდის განსაზღვრა ძალზე ძნელი ამოცანაა. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა, მომავალი ფულადი ნაკადები ორ კატეგორიად გავყოთ: დაგეგმვის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ფულადი ნაკადები პროგნოზირებული უნდა იყოს მისაღები სიზუსტის დონით; ფულადი ნაკადები დაგეგმვას დაქვემდებარებული პერიოდის მიღმა. დაგეგმვის შემდგომ პერიოდში სააქციო ღირებულების გამოსათვლელად საერთოდ იყენებენ სიტუაციის გასამარტივებელ რიგ დაშვებებს. კერძოდ, დაგეგმვის პერიოდის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლები ითვლება მუდმივად (და შეიძლება მიღებულ იქნეს დაგეგმილი პერიოდის ბოლო წლის დონეზე). პერპეტუიტეტის ფორმულის გამოყენებით, სააქციო ღირებულება ანუ ბიზნესის ღირებულება შემდეგნაირად:

$$TV=C_1/r$$

სადაც C_1 არის თავისუფალი ფულადი ნაკადი დაგეგმილი პერიოდი შემდგომ წელიწადში; r - ინვესტორების მიერ მოთხოვნილი შემოსავლიანობის განაკვეთი.

ამრიგად, ღირებულების მართვის ხუთი ფაქტორი (გაყიდვების მოცულობა, საოპერაციო შემოსავალი, გადასახადები, ძირითადი აქტივები და საბრუნავი კაპიტალი) განსაზღვრავს თავისუფალ ფულად ნაკადებს. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ბიზნესის საერთო ფასეულობა, ამ ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება ინვესტორთა მიერ მოთხოვნილი შემოსავლიანობის ნორმების გამოყენებით. თუ ამ სიდიდეს შევამცირებთ სასესხო კაპიტალის საბაზრო ღირებულებით, მაშინ მივიღებთ ბიზნესის ფასეულობას აქციონერებისათვის.

ზევით ჩატარებული გამოთვლები ნათელყოფს, რომ SVA ნამდვილად რადიკალურად განსხვავდება ბიზნესის ღირებულების განსაზღვრის ტრადიციული მიდგომებისაგან. ის მოითხოვს კომპანიის მდგომარეობის ამსახველი განსხვავებული: ინდიკატორების; ფინანსური ანგარიშებისა და სტიმულირების სისტემების და მართვის მეთოდების გამოყენებას. მას შეუძლია მოითხოვოს ბიზნესის მართვის კულტურის შეცვლა, რომ შეესაბამებოდეს აქციონერთა ქონების მატების ფილოსოფიას. თუმცა, კომპანიის ყველა თანამშრომლის საქმიანობა როდია მიმართული აქციონერთა სიმდიდრის მაქსიმიზაციისაკენ.

შემდეგი მიდგომა, რომელიც ფინანსების მართვის ეფექტურობის განისაზღვროს საშუალებას იძლევა, არის ეკონომიკური დამატებული ღირებულება (economic value added-EVA®). მართალია, ეს მეთოდი შეიმუშავა ამერიკულმა კონსალტინგურმა ფირმა Stern Stewart-მა იგი დაფუძნებულია ეკონომიკური მოგების იდეაზე, რომელიც უკვე დიდი ხანია ცნობილია. ეს კონცეფცია ასახავს დიდი ხნის წინ აღმოცენებულ

აზრს, რომ ბიზნესი ეკონომიკურად მომგებიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ახდენს ინვესტორების მიერ მოთხოვნილი შემოსავლების ნორმაზე მაღალი შემოსავლების გენერირებას. ეს არ ემთხვევა ბუღალტრული მოგების ცნებას, რადგან ეს უკანასკნელი სრულად არ ითვალისწინებს ინვესტორების მიერ მოთხოვნილ შემოსავლიანობას. EVA® გვიჩვენებს, არის თუ არა ბიზნესის მიერ გენერირებული თანხები ინვესტორების მიერ მოთხოვნილ შემოსავლიანობაზე მაღალი და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$EVA \text{®} = \text{NOPAT} - (R \times C)$$

სადაც NOPAT არის წმინდა საოპერაციო შემოსავალი გადასახადებით დაბეგვრის შემდეგ (net operating profit after tax); R- ინვესტორების მიერ მოთხოვნილი შემოსავლიანობა; C- ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე (ე.ი. ბიზნესის სუფთა აქტივები);

მხოლოდ მაშინ, როდესაც EVA® სიდიდე დადებითია, შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი ზრდის აქციონერების სიმდიდრეს. საინტერესოა რომელი მეთოდი EVA® თუ SVA ასახავს უფრო ზუსტად აქციონერთა ქონების მაქსიმიზაციას. აღსანიშნავია, რომ ორივე მიდგომა დაფუძნებულია დისკონტირებულ ფულად ნაკადებზე, ამიტომ თეორიულად უნდა მიგვიყვანონ ერთნაირ შედეგებამდე.

ბიზნესის საერთო ღირებულების მიღება შეიძლება, როგორც თავისუფალი ნაკადების დისკონტირებით, ასევე EVA ®-ს ნაკადების დისკონტირებით გარკვეული დროის განმავლობაში და ინვესტირებული კაპიტალის დამატებით. მიუხედავად იმისა, რა მიდგომა გამოიყენება, აქციონერთა ბიზნესის ფასეულობის განსასაზღვრად სასესხო კაპიტალის საბაზრო ღირებულება ყოველთვის უნდა გამოაკლდეს მიღებულ სიდიდეს.

ფირმა Stern Stewart-მა სრულყო EVA® და შედეგად აქციონერებს ბიზნესის ფასეულობათა ცვლილებაზე დაკვირვებისათვის ახალი – **საბაზრო დამატებული ღირებულების (market value added-MVA)** მეთოდი შესთავაზა. MVA განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბიზნესის ღირებულებასა და ინვესტირებულ კაპიტალს შორის, კერძოდ:

$$MVA = \text{ბიზნესის ფასეულობა} - \text{ინვესტირებული კაპიტალი}$$

გამომდინარე იქიდან, რომ MVA ასახავს ბიზნესის მომავალში მოსალოდნელ EVA®, ინვესტორებს ამ მაჩვენებლის გამოყენებით საშუალება ეძლევათ, დაინახონ, შეძლებს თუ არა ბიზნესი ისეთი შემოსავლიანობის გენერირებას, რომელიც აღემატება ინვესტირებული კაპიტალის ღირებულებას. თუკი ბიზნესს მართავენ ისე, რომ უზრუნველყოფს შემოსავლებს მხოლოდ კაპიტალის ღირებულების დონეზე, მაშინ EVA® გაუტოლდება ნულს, ე.ი. არ იქნება ასევე MVA-ც, ამიტომ MVA შეიძლება იყოს გამოყენებული მენეჯერების საქმიანობის მიზნის განსაზღვრისათვის, ისევე, როგორც EVA ®-ც. ისევე, როგორც

EVA® შემთხვევაში, MVA იყენებს აქციების საბაზრო ღირებულებას, ამიტომ ის გამოითვლება მხოლოდ იმ კომპანიებისთვის, რომელთა აქციების კოტირდება ხდება საფონდო ბირჟაზე.

აქციონერთა ქონების შესაფასებლად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება აქციების ერთობლივი შემოსავლიანობა (**total shareholder return-TSR**). აქციონერების ერთობლივი შემოსავალი შედგება ორი კომპონენტისაგან: აქციების საბაზრო ღირებულების ნამატისა (ან შემცირებისგან) და დივიდენდების სახით მიღებული თანხისგან განსაზღვრული დროის პერიოდში. აქციების ერთობლივი შემოსავლიანობის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$TSR = \frac{d_1 + (P_1 - P_0)}{P_0} * 100\%$$

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ კონცეფცია ბიზნესის ღირებულება აქციონერთათვის. დავრწუნდით, რომ კომპანიისათვის აქციონერთა ბიზნესის ღირებულება ნიშნავს უპირველესად მათი ინტერესების პრიორიტეტს. ბიზნესის ორიენტირება აქციონერთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ღირებულებების ახალი საზომების გამოყენების აუცილებლობას ქმნის, ვინაიდან ტრადიციული მეთოდები რეალურად არ ასახავს ბიზნესის ფასეულობას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Коупленд Т., Коллер Т., Муррин Дж. Стоимость компании: оценка и управление. /Пер. с англ. - М.,Олимп-Бизнес , 1999, 578 стр (серия "Мастерство").
2. Мими Джеймс и Тимоти Коллер . Формирующиеся рынки: особенности оценки компаний. Вестник МакКинси (" The McKinsey Quarterly , 2000,N4, p . 7-11).
3. Corporate Financial Management, Arnold, G.,2nd edn, Financial Times Prentice Hall, 2002,Chapters 2,3,and 4
4. Shareholder Value, Cornelius, I. and davies, M, FT Financial Publishing 1997
5. Investment Appraisal and Financial Decisions, Lumby, S. and Jones,C, 6th edn, Chapman and Hall, 1999, Chapters 3, 5 and 6.
6. Business Finance: Theory and Practice, McLaney, E., 5th edn, Financial Times Prentice Hall, 2002, Chapter 4, 5 and 6.
7. The EVA Challenge , Stem , J , and Shielly , J , John Wiley , 2001.
8. <http://www.appraiser.ru/default.aspx?SectionID=73&ProductID=73>

NEW METHODS OF AN ESTIMATION AND MANAGEMENT IN COST THE COMPANIES

SUMMARY

In article company estimation of cost as an objective indicator of results of its activity is considered. Company estimation of cost includes the profound financial, organizational and technological analysis of current activity and prospects of the estimated enterprise.

The special place in article is given to a question on that that company estimation of cost is made by calculation of cost with use of several methods therefore as much as possible authentic result is reached. Estimation of cost of the company for an estimation of efficiency of acceptance of the administrative decisions which criterion of a choice is the increase in cost of the company in interests of shareholders is extremely important

ნინო დარსაველიძე

საწარმოში ანტიკრიზისული რეაბირების მიქანიზმი მისი ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფის საშუალებად

სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგები განსაკუთრებით მწვავედ აისახა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საწარმოების სიცოცხლისუნარიანობაზე. მრავალ მათგანში აღმოცენდა ახალი სპეციფიკური პრობლემა – სისტემაში ჰარმონიზაცია – საწარმოს გადარჩენის პრობლემა, რომელთანაც დაკავშირებულია პირობების შექმნის აუცილებლობა მეურნეობის წარმართვისათვის სისტემაში წონასწორობის მინიმალურად დასაშვებ დონეზე, რომლის დარღვევის შემთხვევაში სისტემა საერთოდ წყვეტს არსებობას. ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ ამ სფეროში წარმატების მიღწევა შეიძლება მხოლოდ არსებული რეზერვების სისტემური მობილიზაციით. საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებით „მტიკივრულ წერტილებში“ რეზერვების ქვეშ, ფართო გაგებით მოიაზრება „მარაგი საჭიროების შემთხვევაში“. „წყარო, საიდანაც მოდის საჭირო ძალები“ (Словарь русского языка под ред. С.И. Ожегова, М., “Русский язык”, 1984).

საწარმოს საიმედოობის მარაგის (გადარჩენის) შექმნის იდეა ჩადებულია საწარმოს ეკონომიკური წარმატებულობის აღდგენისა და შენარჩუნების შემუშავებულ სტრატეგიაში, ამასთან ერთად, აქცენტი კეთდება უმეტესწილად განსახორციელებელ ღონისძიებათა პრევენციულობაზე, რომლებიც ადასტურებენ ანტიკრიზისული ქმედებების ხასიათს. მაგ., ერთ-ერთი ღონისძიებაა „საწარმოს რეფორმირების

ტიპური პროგრამის“ შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანია საწარმოთა წარმატებული საქმიანობის უზრუნველყოფა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. რეფორმირების პროგრამით გათვალისწინებულია საწარმოს მიერ განვითარების საკუთარი სტრატეგიების შემუშავება – რაც მისი სიცოცხლისუნარიანობის გენერალური ხაზია. სტრატეგიის შემუშავება უნდა განხორციელდეს გამოშვებული პროდუქციის ბაზრის განვითარების შედგენილი პროგნოზების საფუძველზე, პოტენციური შეფასების, ფინანსურ-სამეურნეო მდგომარეობის ანალიზისა და საწარმოს ეფექტიანი მართვის საფუძველზე. ეს არის მოცემული პროგრამის დადებითი მხარე. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, რეფორმირების ტიპურ პროგრამას აქვს მინუსი და ეს მეტად არსებითია. პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოთა უმეტესობის ფაქტობრივად კრიზისულ ანდა წინაკრიზისულ მდგომარეობას, რომელიც მოითხოვს საწარმოს ბაზრის სივრცეში შესვლამდე სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელი და საკმარისი დონის მიღწევას. როგორც ჩანს, საწარმოთა რეფორმირების პროგრამების შემუშავებლები ამოდიოდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ საწარმოს აუცილებელი სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის პრობლემა არის ერთიანი, მთელი მისი საბაზრო განვითარების სტრატეგიასთან ერთად. ამისთვის ყალიბდება და გამოიყენება კომპლექსური პროგრამა „ანტიკრიზისული პროგრამის ბანკი“ (აპბ), რომელიც არის აუცილებელი სარეგლამენტაციო საფუძველი საწარმოში ანტიკრიზისული პროცესების სტრატეგიული მართვისთვის. ძირითადი განსხვავება აპბ-ის პროგრამისა და საწარმოს წარუმატებლობის გადალახვის სხვა საშუალებათა შორის არის ის, რომ ამ საწარმოების ანტიკრიზისული მართვა რეალიზდება მიზნობრივი ანტიკრიზისული პროგრამების კომპლექსის შემუშავებისა და განხორციელების გზით. ასეთი ანტიკრიზისული მართვა მკვეთრად გამოყოფს მოცემული ორიენტირების მიღწევის ამოცანებსა და ხერხებს, ხელთ არსებული რესურსების არსებული ზღვრის მითითებით. ცნობილია, რომ ბევრს არაფერს ნიშნავს სწორი მიზნის დასახვა – აუცილებელია, ასევე გამოინახოს სწორი გზა მის მისაღწევად. იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სწორი და გასაგები სურათი სიტუაციის განვითარებისათვის, აუცილებელია განხორციელდეს ანალიზის რამდენიმე ეტაპი ერთ მთლიანობაში. ესენია:

– მაკროგარემოს ანალიზი (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ტექნოლოგიური გარემოცვა);

– კონკრეტული გარემოს ანალიზი მისი ძირითადი ხუთი შემადგენლის მიხედვით: მყიდველები, მომწოდებლები, კონკურენტები, დარგის შიგნით, პოტენციურად ახალი კონკურენტები, საქონელშემცველები;

– საწარმოს ეკონომიკური წარმატებულობის შეფასების შედეგები.


საწარმოს შიდა და გარე გარემოს შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაციის მიღებისას, იგი შეიძლება სინთეზირდეს სცენარების შექმნის მეთოდით. ტერმინი „სცენარი“ პირველად გამოყენებული იქნა 1960 წელს, ფუტოროლოგ ხ. კანის მიერ მომავლის სურათების შემუშავებისას, რაც საჭირო იყო სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტისას სამხედრო სფეროში. ბოლო ათწლეულში ამ მეთოდმა მაღალი პოპულარობა მოიპოვა ეკონომიკაში – დარგის, მთლიანად ორგანიზაციის, მისი სტრატეგიული სამეურნეო ქვედანაყოფის, მოქმედების ფუნქციონალური ზონების, გარემოს მნიშვნელოვანი ფაქტორების სტრატეგიების შემუშავების. სცენარი – ეს არის მომავლის სურათების აღწერა, რომელიც შედგება შეთანხმებული, ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული მოვლენებისა და თანმიმდევრული სვლებისაგან [Уткин Э.А., Бинецкий А.Э. Аудит и управление несостоятельными предприятиями. М., Тандем, 2000; Поринев А.Г. Управление организациями. М., ИНФРА-М., 2000].

სცენარული მოდელირება ანტიკრიზისული მართვის ჩარჩოებში ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ წარუმატებელი საწარმოების გაჯანსაღების პროცესი წარმოადგენს ერთიან ღონისძიებათა მიზნობრივ პროგრამულ კომპლექსს, რომელიც გათვლილია დროის რომელიმე ეტაპზე, მოიცავს შემსრულებელთა და სტრუქტურული რგოლების ფართო სპექტრს. ამასთან, საწარმოებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს სანაციის პროცესის განვითარების შემდეგ ვარიანტებს (იხ. ნახაზი). როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, გაშლადი ძაბრისებრი ორმო ჩნდება დეტერმინირებული სიდიდეების შემცირებული გავლენის შედეგად, რაც ახასიათებს სისტემის დღევანდელ მდგომარეობას.

განვითარების შესაძლო ვარიანტების არეალი იზღუდება M_1 და M_2 ექსტრემალური სცენარებით. ძაბრისებრი ორმოს ცენტრში განთავსებულია A_1 და A_2 ალტერნატიული სცენარები. ცენტრში განთავსებულია სცენარი B, რომელიც დაფუძნებულია რაოდენობრივი მახასიათებლების (ფაქტების) მკაცრ (მაქსიმალურ) ურთიერთკავშირთან. A_1 სცენარი ახასიათებს მოვლენების განვითარების უფრო თავისუფალ მსვლელობას. დაბრკოლების წარმოქმნა t_1 წერტილში გულისხმობს მასზე რეაგირებას t_2 მოვლენით და როგორც შემდეგი პროცესის განვითარება A_2 სცენარით. ე.ი. თუკი საწარმო იღებს კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის კურსს აქტიური შეგუების სტილით, რომლის საფუძველია დამოუკიდებლად გადარჩენის სტრატეგია და უპირატესი ფილოსოფია, მაშინ იგი ირჩევს M_1 ექსტრემალურ სცენარს, რომელიც ხასიათდება საკუთარი ანტიკრიზისული პოტენციალის მაქსიმალური კონცენტრაციით და არ ელოდება გარე დახმარებას. ამასთან,

მოსალოდნელია უმაღლესი შედეგის V_{max} მიღება. ამ შემთხვევაში სამეურნეო პოლიტიკა აიგება საწარმოს გაჯანსაღების შემუშავებული სცენარის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ყველა რესურსის – მატერიალურის, ფინანსურის და შრომით, ტექნიკურის და ტექნოლოგიურის – ეფექტიანად განაწილებისა და გამოყენების უზრუნველყოფას და ამის საფუძველზე მყარი წონასწორობითი მდგომარეობის მიღწევას.

უპირატესად გამოიყენება მართვა ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველზე. გაჯანსაღების სტრატეგიის შემუშავება ემყარება გასაღების ბაზრის განვითარების პროგნოზებს, სავარაუდო რისკების შეფასებას, საწარმოს სუსტი და ძლიერი მხარეების კომპლექსურ ანალიზს, მის ეკონომიკურ წარმატებას და მართვის ეფექტიანობას. მოვლენების განვითარება B სცენარის მიხედვით უმეტესწილად ფორმალური ხასიათისაა, როცა ანტიკრიზისული პროცესის პერსპექტივა განისაზღვრება მკაცრად, ფაქტობრივ ციფრობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, მათი იმ ქმედებების გამოყენების შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად, რაც ეყრდნობა ინტუიციას, შანსს და რისკს. A_1 და A_2 სცენარები ასახავს პროცესის უფრო თავისუფალ სიტუაციურ ხედვას. სცენარის განვითარება ამა თუ იმ ვარიანტის მიხედვით აღწერილია ქსელური გრაფიკით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ანტიკრიზისული ქმედებები



ნახ. 2. წარუმატებელი საწარმოების გაჯანსაღების სცენარების განვითარების მოდელი

წარმოდგენილ იქნეს მოვლენათა ნაკრების სახით, რომლებიც განისაზღვრება გარკვეული საბოლოო შედეგებით (დანახარჯების

შემცირება, ფონდუკუგების გადიდება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და ა.შ.).

Nino Darsavelidze

MECHANIZM OF ANTI-CRISIS RESPONSE AT THE PLACE OF PRODUCTION ON THE BASIS OF ESTIMATION OF ITS ECONOMIC EFFICIENCY

SUMMARY

Enterprises should always be ready to face up to expected crises. That's why estimation of their success must be dynamic. Must be estimated both internal, and external ambient and technical and economic parameters. For expected crises should be elaborated several versions of possible scenario.

გულნაზ ერქომაიშვილი ბიზნესი და ქველმოქმედება

დღეს ნებისმიერი ბიზნესისთვის მხოლოდ იმიჯი და პოპულარობა საკმარისი არარის. უმრავლესობას გათავისებული აქვს საზოგადოების მიმართ სოციალური პასუხისმგებლობა. სწორედ ამიტომ, ბიზნესმენთა საქმიანობაში უდიდესი ნაწილი საზოგადოებასთან ინტეგრაციას, ფასეულობების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას და თანამედროვეობის ყოველდღიურ ყოფაში უშუალო მონაწილეობას, ქველმოქმედებას ეთმობა.

თანამედროვე ამერიკული ქველმოქმედების იდეის მამად მილიონერი ენდრიუ კარნეგი ითვლება. 1889 წელს მან გამოაქვეყნა ესეე „The Gospel of Wealth“ (სიმდიდრის ქადაგება), რომელშიც ასაბუთებდა, რომ მდიდარი ადამიანები ვალდებული არიან, დაეხმარონ ღარიბებს. ქველმოქმედება უფრო ქმედითი არანაკლებ ცნობილმა მილიონერმა ჯონ როკფელერმა გახადა. 1891 წელს მან პირველად დაიქირავა თანამშრომლები ქველმოქმედებისთვის გამოყოფილი თანხების სამართავად. 1913 წელს შეიქმნა მსოფლიოში უდიდესი საქველმოქმედო ფონდი – როკფელერის ფონდი („Rockefeller Foundation“), რომელიც დღესაც მოქმედებს.

ქველმოქმედებას საქართველოშიც დიდი ხნის ისტორია აქვს. კერძოდ, 1870 წლებიდან საქართველოში ჩნდებიან ახალი ფორმაციის ვაჭრები და მეწარმეები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ მომგებიან სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო დარგების ორგანიზაციას, მაგრამ უმოთავრესი, რითაც მათი უმრავლესობა საქართველოს ისტორიას შემორჩა – ქველმოქმედება იყო [3].

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძმები ზუბალაშვილები. ზუბალაშვილების გვარი ოდიტგანვე ცნობილი ყოფილა საქართველოში, როგორც წარმატებული მოვაჭრეებისა და მოგვიანებით – როგორც მეწარმეებისა. ისინი წარმატებულ სამეწარმეო საქმიანობასთან ერთად, პირველ რიგში, დიდი ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ.

„ვინც ღირსია შველისა, მოვალენი ვართ ვუშველოთ“ – სტეფანე ზუბალაშვილის მიერ მავანის მადლობის პასუხად თქმული ეს სიტყვები მისი საგვარეულოს ცხოვრებისეულ კრედილ შეიძლება მივიჩნიოთ. არც ერთ ზუბალაშვილს მემკვიდრე არ დარჩენია, სამაგიეროდ დარჩა თბილისის უნივერსიტეტი და კონსერვატორია, ბათუმის, ქუთაისის, გორისა და ახალციხის ეკლესიები, „ივერია“ და „ჯეჯილი“, ქართველი ახალგაზრდების მიერ ევროპიდან „ჩამოტანილი“ ინტელექტი – ყველაფერი, რამაც დიდ მოღვაწეთა სახელი დაუმკვიდრა ზუბალაშვილების გვარს. მათ დინასტიას „სიკეთის მეწარმეებს“ უწოდებდნენ.

ქველმოქმედებით გამოირჩეოდა ცნობილი მეწარმე დავით სარაჯიშვილი. მას დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობაში, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს რუსეთსა და საზღვარგარეთ სასწავლებლად უშვებდა და სტიპენდიებსაც უნიშნავდა. მეცენატი დახმარებას უწევდა თბილისში სახალხო თეატრის მშენებლობას. სოლიდური ფულადი სახსრები გაიღო ავლაბრის სახალხო თეატრის ასაგებად.

ქუთაისში სარაჯიშვილს ახალგაზრდა კაცი წარუდგინეს და გაასინჯეს მის მიერ წარმოებული ლიმონათი. მას სასმელი ძალიან მოსწონებია და უკითხავს, რატომ არ გააფართოებ წარმოებასო, რაზეც ახალგაზრდამ უპასუხა – უსახსრობა მიშლის ხელს და თუ დამეხმარებით, კარგი იქნებოდა. დავითი უყოყმანოდ დაეხმარა. ეს ახალგაზრდა კაცი მიტროფანე ლალიძე იყო [5].

ალ. ხახანაშვილი 1911 წელს გაზეთ „თემში“ წერდა: „არც ერთი საქვეყნო საქმე არ დაწყებულა ამ 30 წლის განმავლობაში, რომ დავით ზაქარიას ძეს თავისი წვლილი არ შეეტანოს, მატერიალური დახმარება არ გაეწიოს, ჟურნალ-გაზეთის, წიგნის გამოცემა, სცენის მოყვარულთა, მომღერალთა, მემუსიკეთა და მეცნიერთა აღზრდა, სკოლის დამშვენება, ღარიბ-უძღურთა გაკითხვა, უცხოელ და შინაურ მოღვაწეთა გამასპინძლება და მათი ერთმანეთთან დაახლოება – ყველა ეს შეადგენდა საზრუნავ საგანს დავით სარაჯიშვილისა“ [3].

ქველმოქმედი, მეცენატი, უანგარო ადამიანი. სწორედ ასეთი ეპიტეტებით შეიძლება შევამკოთ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ბიზნესმენი **ბიძინა ივანიშვილი**. ადამიანი, რომელიც არასოდეს ჩნდება საზოგადოებაში, არ ჩანს პრესაში, ტელევიზიაში და არ ამბობს, რამდენი სიკეთე გაუკეთა ადამიანებს, რამდენს გადაუხადა ხელფასი,

რამდენი ადამიანი განიკურნა მისი სიკეთის წყალობით, რამდენი ოჯახი გადაურჩა შიმშილსა და სიცივეს, რამდენ ძველ საზოგადოებრივ შენობას გაუკეთდა რეკონსტრუქცია (ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამჟამადაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები), მის მიერ გაწეული ქველმოქმედების შესახებ თითქმის ყველა ყურმოკვრით ვიგებთ.

ქველმოქმედებას ეწევიან საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ჩვენი ქართველი თანამემამულეები: ბადრი კაკაბაძე (ფონდ „იავნანასთან“ ერთად არაერთ უსახლკარო ოჯახს გაუწია დახმარება), თამაზ მჭედლიძე (დახმარება ტუბერკულოზითა და შიდსით დაავადებულებს, სტიპენდიები სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს) და სხვ.

საქართველოში არის კომპანიები, რომლებიც უამრავ სოციალურ, საგანმანათლებლო და კულტურულ პროექტებს ახორციელებენ. ეს კომპანიები ძირითადად თბილისში ფუნქციონირებენ (90%). ბიზნესკომპანიები დღეს თავიანთი უშუალო საქმიანობის გარდა, აქტიურად (35%) ან მეტ-ნაკლებად (52%) მონაწილეობენ საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

განსხვავებულია საქველმოქმედო საქმიანობის მასშტაბები და მიმართულებები: კომპანიების ნაწილი წინასწარ გეგმავს საქველმოქმედო საქმიანობის პრიორიტეტებს; ნაწილს განსაზღვრული აქვს წლის განმავლობაში საქველმოქმედო საქმიანობისთვის განკუთვნილი თანხა, მაგრამ არ აქვთ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები და სფეროები; კომპანიების ნაწილი კი ქველმოქმედებას ეწევა სპონტანურად, რაიმე წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტის, სტრატეგიის ან საქველმოქმედო საქმიანობისთვის წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტის გარეშე.

რაც შეეხება ქველმოქმედების ფორმებს, საქველმოქმედო საქმიანობას, უმეტესწილად, ფულადი დახმარების ხასიათი აქვს. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში კომპანიები ქველმოქმედების სახით არაფინანსურ დახმარებასაც გაიღებენ ხოლმე. ასეთ შემთხვევაში კომპანია ცდილობს ქველმოქმედება საკუთარი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გასწიოს, დაეხმაროს ადამიანებს იმ მომსახურებით ან პროდუქციით, რომელსაც თავად აწარმოებს.

საქართველოში ცნობილი ქველმოქმედი კომპანიებია: „ავერსი“, პე-ეს-პე ჯგუფი, „მაგთი“, „ჯეოსელი“, გაერთიანებული ტელეკომი, თიბისი ბანკი და სხვ. თითოეულ მათგანს ქველმოქმედების სხვადასხვა ფორმა აქვს არჩეული.

მაგ., „ავერსის“ ქველმოქმედების პრიორიტეტული მიმართულებაა ბავშვებზე ზრუნვა. ფარმაცევტულმა კომპანიამ უკვე არაერთ საბავშვო ბაღს, ბავშვთა სახლსა და სკოლა-ინტერნატს გაუმართა ხელი.

პე-ეს-პე ჯგუფის მიერ ფინანსდება ძირითადად სოციალური პროექტები: სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის მედიკამენტებით დახმარება; სოციალური პროექტი პენსიონერებს, დევნილებსა და პედაგოგებს; კარდიოლოგიური აქციები თბილისსა და რეგიონებში; საქველმოქმედო აფთიაქი ზემო აფხაზეთში და სხვ.

ქველმოქმედება ჯეოსელის სავიზიტო ბარათია. ეს კომპანია არაერთ საქველმოქმედო აქციაშია ჩართული. იგი ეხმარება ათიათასობით სმენდაქვეითებულ ადამიანს, ზრუნავს ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ასობით პატარაზე, უპატრონო მოხუცებზე. 2008 წელს აქტიურად ჩაერთო იძულებით გადაადგილებულთა დახმარების პროცესში, აფინანსებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და სხვ.

გაერთიანებული ტელეკომი გიორგობის კვირეულში ასოციაცია „კათარზისის“ წევრებს სადილით უმასპინძლებს. ასევე მონაწილეობას იღებს სოციალურ აქციებში. სოციალურად დაუცველი 5600 აბონენტი განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობს. იგი არის საქვეყნოდ ცნობილი ფონდის – „იავენანას“ მხარდამჭერი, რომლის მეშვეობითაც არაერთ უსახლკარო ოჯახებს გაეწია დახმარება.

კომპანიების ნაწილზე დიდი გავლენა მოახდინა ფინანსურმა კრიზისმა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ბევრი მათგანის წვლილი ქველმოქმედების კუთხით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოსაყოფია კომპანია „ელიტელექტრონიკის“, რომელმაც უამრავი საგანმანათლებლო და სოციალური პროექტი დააფინანსა („საუკუნის ავტოგრაფი“, სტუდენტური ოლიმპიადა „ერთად ვაშენოთ ქვეყანა“, მოზარდთა ლიტერატურული კონკურსი „ალუბლობა“, აქცია „სადილი ყველას“ და სხვ.).

საერთოდ, ბიზნესის უმნიშვნელოვანესი თვისებაა ქველმოქმედება. იგი ნებაყოფლობით უნდა ხდებოდეს. ქველმოქმედება მეწარმის სულიერ სიმდიდრეზე უნდა იყოს დამოკიდებული.

ქველმოქმედი ადამიანი თუ კომპანია არ არის აუცილებელი იყოს ძალიან მდიდარი. მას უნდა შეეძლოს თუნდაც მცირედით დაეხმაროს სხვა ადამიანებს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **გაგნიძე ი.** მართლმადიდებლობა და ეკონომიკა. თბილისი, „უნივერსალი“, 2007.
2. **გოგინაიშვილი ფ.** ხელოსნობა საქართველოში. თბილისი, თსუ, 1996.
3. **გუგუშვილი პ.** კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბილისი, 1941.
4. **ერქიანიშვილი გ.** ბიზნესი – ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2007.
5. **ვანნაძე რ., თურქია გ., ლომსაძე პ.** ბიზნესი. ტ. 1. 2006.

BUSINESS AND CHARITY

SUMMARY

Charity in Georgia has a long history. The article discusses those philanthropists, patrons of industry and charitable companies that have been occupied with public charities since the XIX century till today. In spite of business activity, the main for entrepreneurs is charity owing to which they stayed in history. Philanthropist should not be necessarily very rich, he must be able to help other people even a little.

Еспергенова Л. Р.

ОСНОВНЫЕ ПРОЦЕДУРЫ ПРОЦЕССА БЮДЖЕТИРОВАНИЯ НА ПРЕДПРИЯТИЯХ ПРОМЫШЛЕННОСТИ

Произошедшие в последние годы структурные, имущественные и правовые изменения в отечественной промышленности неизбежно вызывают необходимость стратегически ориентированные программы развития промышленных предприятий дополнять бюджетированием которое, представляя собой, специфический подход к организации управления хозяйственно-финансовой деятельностью предприятия, обеспечивает полное участие всех подразделений предприятия в процессах становления комплексных планов на основе своевременной и достоверной информации о состоянии разработки и внедрения бюджетных систем планирования и отчетности.

Бюджетирование, то есть создание технологии планирования, учета и контроля денег и финансовых результатов – это первый экзамен на зрелость для каждой компании, в случае неудачи которого, она перестает расти или начинает разоряться. Построение бюджетов помогает понять, что и почему происходит с фирмой на рынке, и учит экономить на затратах. Бюджетирование связано, с одной стороны, с предотвращением ошибочных действий в области финансов, с другой – с уменьшением числа неиспользованных возможностей. Разработка бюджета является процессом планирования.

Бюджетирование – это процесс составления бюджетов и последующего, по возможности, точного их соблюдения. Бюджеты являются ключевым инструментом системы управленческого контроля. Практически все компании, за исключением самых мелких, составляют бюджеты. Многие предприятия в качестве годового бюджета рассматривают план прибыли, который показывает планируемую деятельность компании по центрам ответственности для

получения прибыли. Почти все неприбыльные организации также составляют бюджеты.

Процедуры бюджетирования:

- составление прогноза продаж;
- составление прогноза производства;
- составление прогноза капиталовложений;
- составление прогнозов подразделений;
- бюджетному комитету передаются прогнозы;
- бюджетный комитет составляет основной бюджет;
- бюджетный комитет утверждает отдельные бюджеты;
- бюджетным комитетом регулярно составляются отчеты об отклонениях;
- определяются корректирующие действия;
- выполняются корректирующие действия.

Таким образом, бюджет представляет собой финансовый документ, созданный до того, как предполагаемые действия выполняются. Его также часто называют финансовым (в данном контексте следует понимать как выраженный в стоимостном измерении) планом действий. Ключом к пониманию термина «бюджет» является осознание того, что это есть нечто большее, как лист бумаги, на котором представлены финансовые и другие данные. Эти данные планируют серию событий, которые свершатся в будущем. Это есть прогноз будущих финансовых операций.

Первоначальные стадии процесса составления бюджетов – это изучение того, какую цель ставится перед предприятием, какие типы бюджетов бывают, как подготавливаются и составляются бюджеты.

Бюджет – это финансовый план, в котором показываются ожидаемые доходы и оцениваемые расходы на предстоящий период, обычно на один год.

Бюджеты классифицируются на следующие типы:

- 1) по срокам планирования:
 - оперативный (в пределах квартала);
 - краткосрочный (до 1 года);
 - среднесрочный (до 3-5 лет);
 - долгосрочный (свыше 5 лет);
- 2) по целевой ориентации:
 - стратегический (план достижения долгосрочных целей);
 - тактический (нацелен на контроль текущих денежных потоков);
- 3) по периоду охватываемого времени:
 - дискретный (привязанный к определенному периоду времени, например календарный год);
 - скользящий (постоянно сдвигающимся);
- 4) по возможности корректировки:
 - жесткий (составленный на один уровень производства);

- гибкий (посредством разграничения постоянных и переменных затрат, подвергающийся изменениям, в ответ на изменения уровня производства);

5) по развитию сценариев:

- оптимистический;
- пессимистический;
- реальный;

6) по функциям:

- операционный бюджет;
- финансовый бюджет.

Для предприятий промышленности большое значение имеют операционные и финансовые бюджеты. В связи с этим рассмотрим виды этих бюджетов.

К операционному бюджету относятся следующие виды бюджетов:

- бюджет продаж;
- бюджет производства;
- бюджет производственных запасов;
- бюджет прямых затрат на материалы;
- бюджет прямых затрат на оплату труда;
- бюджет прямых производственных (операционных) затрат;
- бюджет производственных накладных расходов;
- бюджет управленческих расходов;
- бюджет коммерческих расходов;
- бюджет накладных расходов.

К финансовому бюджету относятся:

- инвестиционный бюджет или бюджет капиталовложений;
- кредитный план;
- бюджет доходов и расходов (БДР);
- бюджет движения денежных средств (БДДС);
- прогнозный баланс.

Операционные бюджеты обычно составляются в виде двух таблиц:

- планов – графиков начисления затрат (их распределения в соответствии с объемом продаж внутри бюджетного периода);

- графиком оплаты, в которых отражается порядок поступлений и списаний денежных средств за поставленные товары, готовую продукцию (график погашения дебиторской задолженности) или понесенных затрат (график погашения кредиторской задолженности).

При составлении бюджетов важно обратить внимание на их заголовки. Конечно здесь не существует строгих и твердых правил, и многое зависит от личных предпочтений. Однако лучше всего, когда заголовки и подзаголовки одинаковы, по возможности по всему предприятию и во всех бюджетных прогнозах. Например, в одном из бюджетов подразделения или отдела имеется один подзаголовок «почтовые расходы/ канцтовары», а в другом бюджете

имеются разные подзаголовки – «почтовые расходы», «ручки и карандаши», «бумага» и т.д. далее, тогда составление основного бюджета становится слишком сложным и отнимает много времени. Необходимо также подумать над тем, насколько легким будет сбор информации под этими заголовками после составления бюджета при осуществлении текущего контроля.

Также при составлении бюджета надо обратить внимание на наличие ограничивающих факторов. Чаще всего ограничивающим фактором для многих бюджетов подразделений и отделов будет негласный фактор ожидания того, что их бюджеты не превысят прошлогодние (или не более чем на определенный процент), дополняют другие, уже представленные бюджеты и в целом будут соответствовать друг другу. Прежде чем готовить бюджетный прогноз, целесообразно выяснить заранее, какие именно ограничения относятся к вашей ситуации и почему. Можно утверждать, что такое негласное давление (когда ожидается соответствие предыдущим показателям, а обстоятельства возможно, резко изменились) является неразумным. Кроме этого необходимо также учесть влияние на бюджеты тех факторов, как внешних, так и внутренних, которые не были заранее выявлены, не были приняты во внимание при прогнозировании. Потому что на бюджет могут повлиять помимо таких факторов, как заказчики, конкуренты, поставщики, родственные бюджеты могут оказывать влияние любой другой фактор, если он не был учтен заранее.

Учитывая основные процедуры бюджетирования необходимо рассмотреть их преимущества и недостатки.

Преимущества бюджетирования:

- побуждает к планированию;
- выполняет координирующую роль;
- выполняет организующую роль;
- способствует инициативе;
- предоставляет средство контроля.

Недостатки бюджетирования:

- увеличивает объем бумажной работы;
- требует затрат времени;
- может быть лишним гибкости;
- вызывает недовольство сотрудников;
- зачастую продвигается медленно.

Бюджетный процесс в организации имеет циклический характер с периодом, равным временному интервалу, на котором осуществляется бюджетирование и для которого разрабатывается бюджет. Этот интервал называется бюджетным периодом. В большинстве случаев он составляет один год. В течении бюджетного периода основные вопросы планирования решаются бюджетным комитетом на своих регулярных совещаниях.

Бюджетирование, однако, касается не только периода, к которому относится план. Очевидно, что разработка плана должна начаться еще до начала бюджетного периода, а процедуры контроля – завершиться после него. Все эти

составляющие формируют бюджетный цикл, который включают в себя следующие этапы:

1. постановка целей на бюджетный период;
2. сбор информации для разработки проекта бюджета;
3. анализ и обобщение собранной информации, формирование проекта бюджета;
4. оценка проекта бюджета и корректировка его при необходимости;
5. утверждение бюджета;
6. исполнение бюджета и текущая корректировка показателей;
7. текущий и итоговый анализ отклонений;
8. представление отчета о выполнении бюджета и анализ достижения целей организации за отчетный период;
9. выработка рекомендаций для корректировки бюджета текущего периода и разработки будущих бюджетов.

Все эти этапы объединяются в три основные фазы, четко разграниченные по времени. До начала бюджетного периода этапы подготовки бюджета объединены в *фазу планирования*. С началом бюджетного периода начинается *фаза реализации*, которая включает помимо исполнения бюджета все текущие аналитические процедуры. Подготовка итоговых отчетов и анализ ex-post формируют *завершающую фазу* бюджетного цикла. Таким образом, бюджетный цикл, соответствующий одному бюджетному периоду, длится гораздо дольше, чем сам бюджетный период, поскольку начинается задолго до его начала и заканчивается после его завершения, когда уже длится фаза реализации следующего цикла.

Сколько бюджетов должно быть составлено на предприятии зависит от конкретных обстоятельств, в частности структуры, традиций и подходов отдельного предприятия. Например, крупные и многопрофильные компании обычно составляют много бюджетов – обычно для каждого подразделения и даже отдела, отвечающего за получение доходов и контролирование расходов. Мелкие предприятия могут составлять только один бюджет, в сущности, их основной бюджет. Таким же образом централизованные организации, стремящиеся ограничить круг лиц, имеющих доступ к процессам принятия решений и контроля, только руководящими сотрудниками, могут сократить количество составляемых бюджетов, в то время как предприятия, предпочитающие делегировать полномочия до самых низких уровней организации, могут составлять больше бюджетов.

В сущности можно утверждать, что, сколько бы бюджетов ни составили, должны происходить одни и те же основные процессы – сбор информации, разработка ориентировочных показателей доходов и расходов, их согласование, проверка фактических показателей доходов и расходов и тог далее. Выполняются ли эти задачи неофициально служащими или более формально менеджерами, отвечающими за бюджет, не имеет такого большого значения, как тот факт, что они выполняются и выполняются регулярно и тщательно.

Как только бюджетные прогнозы составлены, их обычно представляют бюджетному комитету для включения в основной бюджет и внесения некоторых возможных поправок (для полного соответствия друг другу) и их последующего утверждения. Роль бюджетного комитета имеет свои существенные отличия и в разных предприятиях по разному. В некоторых компаниях комитет играет доминирующую роль: издает точные инструкции о том, как и когда должны составляться бюджетные прогнозы, изучает прогнозы и на их основе составляет основной бюджет, повторно издает бюджеты с множеством поправок, которые необходимо исполнять. В других компаниях финансовый директор выполняет роль инспектора и координатора, доверяя принятие многих решений по вопросам бюджетирования руководителям подразделений и отделов, действующим вместе и в согласии с друг с другом.

С уверенностью можно утверждать, что чем выше степень контроля, осуществляемого бюджетным комитетом, тем легче не финансовым менеджерам составлять и контролировать приемлемые бюджеты, когда менеджеры должны строго следовать директивам, убеждать комитет в обоснованности конкретного бюджета и отвечать перед ним за отклонения фактических результатов от сметных, то, вероятно, в процессе бюджетирования будет допущено меньше ошибок и досадных промахов. Конечно, когда составитель приобретает опыт, такая система может стать органичивающей и вызывать недовольство.

Фактически руководство по составлению бюджета – это просто письменный комплект инструкций, в точности указывающий всем руководителям подразделений и отделов, ответственным за составление и контроль над бюджетами, как это делать. Очень важно, например, чтобы все бюджетные прогнозы составлялись в стандартном формате с использованием одинаковых заголовков, подзаголовков и т.д. далее, для того, чтобы их можно было легко толковать и быстро выбирать из них информацию для основного бюджета. Такие инструкции должны соблюдаться точно.

Основной бюджет является:

- во-первых, завершает стадию планирования, эффективно собирая и соединяя многочисленные бюджетные прогнозы;
- во-вторых, показывает, будет ли предприятие и ее предстоящая деятельность в дефиците в отношении прибылей, движения денежных средств, активов и пассивов;
- в-третьих, является началом стадии контроля, обеспечивая всю деятельность предприятия финансовой основой, для выполнения которой и в рамках которой она будет работать.

Сам основной бюджет содержит три разных документа, таких как:

1. бюджет доходов и расходов – план финансовых результатов, демонстрирующий соотношение всех доходов от реализации (выручки) в плановый период со всеми видами расходов, которые предполагается понести в этот же период;

2. бюджет движения денежных средств – это план, отражающий все прогнозируемые поступления и списания денежных средств в результате хозяйственной деятельности;
3. прогнозный баланс – это прогноз соотношения всего, чем располагает бизнес в данный момент (имущество, обязательства потребителей), то есть активов, с тем, что бизнес должен другим, то есть пассивов (обязательств самого предприятия) перед поставщиками, бюджетом, банками и инвесторами.

Они необходимы, чтобы предоставить предприятиям достаточно широкое и подробное понимание ее финансового состояния в целом. Некоторые предприятия называют бюджет доходов и расходов своим основным бюджетом и не составляют бюджет денежных средств и предварительную годовую отчетность. Это серьезный недостаток, так как дает неполную финансовую картину дальнейшей деятельности. Возможно, это и является одной из причин многочисленных финансовых трудностей предприятий.

Таким образом, составление бюджетов дает возможность предприятиям и сотрудникам добиваться поставленных задач.

Espergenova L.R.

MAIN PROCEDURES OF BUDGETING IN INDUSTRIAL PRODUCTION

SUMMARY

In the given article processes and procedures of budgeting are considered. Budgetary process in the organization has cyclic character with the period equal to a time interval on which budgeting is carried out and for which the budget is developed. The budget represents the financial document created before prospective actions are carried out. In this connection the article is written on a vital topic.

გულიკო ზარნაძე

პრივატიზაციის თავისებურებანი საქართველოში

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში განხორციელებულ პრივატიზების პროცესებს ანალოგი არ მოეპოვება. შედარებით ხანმოკლე პერიოდში გარდაქმნები უდიდესი მასშტაბით განხორციელდა. პრივატიზების აუცილებლობა, როგორც წესი, გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: სახელმწიფო საწარმოთა შედარებით დაბალი ეფექტიანობითა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური საჭიროებით, კერძო საკუთების დამკვიდრების მოთხოვნით, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ცალკეული ინდივიდისა და ეკონომიკური აგენტის თავისუფლების

უზრუნველყოფა, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებით, რის გარეშეც შეუძლებელია პოლიტიკური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების აშენება.

საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს და ისტორიულ შედეგს კერძო სექტორის ჩამოყალიბება და მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს.

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო მეტად რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში. მას დაემთხვა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გარდაქმნის უადრესად რთული პროცესი, ძველი სამეურნეო სისტემების მოშლა და ამის საფუძველზე დაწყებული ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის დასაწყისისათვის ყველა პოსტსოციალისტური სახელმწიფო მოიცვა. გარდა აღნიშნულისა, საქართველო 90-იანი წლების პირველ ნახევარში ეთნოკონფლიქტებსა და სამოქალაქო ომში ჩართული აღმოჩნდა.

ამ ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქმედითი საშუალება იყო ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რომლის განხორციელების აუცილებელ პირობას სწორედ პრივატიზაცია წარმოადგენდა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში პრივატიზაცია ტრადიციული სქემებისაგან განსხვავებით განხორციელდა. სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის სირთულეს განაპირობებდა ისიც, რომ უნდა შეცვლილიყო ქონების არა მარტო კონკრეტული მესაკუთრე, არამედ თვით პოლიტიკური წყობაც. შესაბამისი საკუთრებითი ურთიერთობებით. 1991 წლის 9 აგვისტოს მიიღეს კანონი "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ", რომლის შედეგადაც იწყება სახელმწიფო ქონების ტრანსფორმაცია.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით შეირჩა სახელმწიფო ქონების პრივატიზების შემდეგი გზები:

1. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ დარიგება;
2. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა;
3. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივების მიერ გამოსყიდვა (არენდა-გამოსყიდვის უფლებით);
4. პრივატიზაციას დაქვემდებარებული სახელმწიფო ქონების უშუალო გაყიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრივატიზების პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, სახელმწიფომ უკვე არაერთი საწარმო გაასხვისა უცხოელ თუ ადგილობრივ ინვესტორებს, ეს

პროცესი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. მსხვილი საწარმოების პრივატიზება ამ ეტაპზეც მიმდინარეობს (ენერგეტიკის, მრეწველობის სექტორებში) და საგარეოა, რომ რესტრუქტურისაციის შედეგად ახალი მცირე საწარმოები წარმოიშვება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „მცირე პრივატიზების“ პროცესი 1993 წლის პირველი ნახევრიდან დაიწყო მეტად რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში არ იყო სათანადო გამოცდილება და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა. მძიმე კრიზისოვანი ვითარება და საომარი მოქმედებები, ინდუსტრიისა და ტრანსპორტის პარალიზება, მწვავე ენერგეტიკული კრიზისი, მოშლილი საბანკო და საფინანსო სისტემა, ბუნებრივია, უარყოფითად ზემოქმედებდა პრივატიზაციის პროცესზე, რამაც შეცდომები და ნაკლოვანებები განაპირობა.

ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომელიც პროცესს ეწინააღმდეგებოდა, ეს იყო საზოგადოების მენტალიტეტი, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა მოსალოდნელ დადებით შედეგებს, თუმცა მოსახლეობის უმრავლესობამ ეკონომიკური რეფორმებისა და პრივატიზებისადმი მხარდაჭერა გამოხატა.

საწარმოთა ყველაზე დიდი რაოდენობა პრივატიზებულ იქნა 1995 წელს, როდესაც დაიწყო საქართველოს ეკონომიკის სტაბილიზაცია, და 1998 წელს, როდესაც ჩატარდა ყველაზე მსხვილი აუქციონები ნულოვანი საწყისი ფასით. უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზებული ობიექტების 40-45% კვლავ უმოქმედოა და ზოგიერთის ამოქმედების პერსპექტივები არც ჩანს, ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა “გაკოტრების შესახებ”, რომელსაც ჯერჯერობით რეალური შედეგები არ მოუტანია. უფრო მეტიც, სახეზეა საწარმოო სიმძლავრეების შემცირება მათი დემონტაჟის და საზღვარგარეთ ჯართად გატანის სახით. მაგალითად, გაუქმდა თბილისის ჩარხმშენებელი საწარმოო გაერთიანება და ყოფილი წარმატებული ქარხნების ტერიტორიაზე დღეისათვის მხოლოდ სამშენებლო მასალების საწყობებია. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა დღეში საშუალოდ 80 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილს აწარმოებდა, უკანასკნელ წლებში კი იგი სრულიად განადგურდა და დღეისათვის ქარხნის ტერიტორიის ნაწილზე არაბული კაპიტალის გამოყენებით მიმდინარეობს გაზქურების და საყოფაცხოვრებო მაცივრების აწყობა. ასე დაემართა ქვეყანაში არსებულ მანქანათმშენებელი საწარმოების უმეტესობას. ასეთივე მდგომარეობაა კვების მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორცაა საკონსერვო წარმოება. გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ყველა რაიონში ერთი საკონსერვო საწარმო მაინც ფუნქციონირებდა. დღეისათვის კი მთელ საქართველოში მხოლოდ ორიოდე ასეთი წარმოება არსებობს.

პრივატიზების დინამიკა უკანასკნელ წლებში ნაჩვენებია ცხრილში.

ცხრილი

საქართველოს პრივატიზაციის დინამიკა

წლები	2003	2004	2005	2006	2007	2008
პრივატიზებული ობიექტები (ცალი)	761	267	776	411	595	769
პრივატიზაც. შემოსავლები	23.6	72.7	419.4	564.5	643.8	697.8

¹ წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2009. თბ., 2010, გვ. 136.

მონაცემებიდან ჩანს, რომ პრივატიზებულმა ობიექტთა რაოდენობამ და შემოსავლებმაც 2003-2008 წწ-ში დინამიური ზრდა განიცადა, მაგრამ ეს მონაცემები 2009 წელს საგრძნობლად შემცირდა და მიმდინარე წელსაც არ უნდა ველოდოთ უკეთეს შედეგს. აღნიშნულს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან ძირითადად მიგვაჩნია:

- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და შედეგად ინვესტორთა შემოდინების შემცირება;
- საქართველოს არამიმზიდველი საინვესტიციო გარემო;
- საპრივატიზაციო ობიექტთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუარესება და სხვა.

პრივატიზების პროცესის განხორციელებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს ეფექტიანი მესაკუთრისა და საშუალო კლასის ჩამოყალიბება, სხვანაირად მას აზრი ეკარგება.

პრივატიზაციის და მისი შედეგების ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროა ქვეყანამ განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, კერძოდ: უზრუნველყოს სამართლიანობის დაცვის ოპერატიულობის ამაღლება და სასამართლო სისტემის გაუმჯობესება; მოაწესრიგოს საფინანსო-საკრედიტო სისტემა; შექმნას პირობები საბირჟო საქმიანობის გასააქტიურებლად; აღმოფხვრას მონოპოლიზმი და პროტექციონიზმი ეკონომიკაში და ა.შ.

**PECULIARITIES OF PRIVATIZATION
IN GEORGIA**

SUMMARY

There are considered by-past and current processes. Are separated negative, accompanied to privatization, processes that were stipulated basically by: unattractive investment environment, oppressive taxes, imperfect market economy and disadvantages of monetary (money-and-credit) policy.

ეთერ კაკულია

**სახელმწიფოს, კერძო სექტორის (ბიზნესის) და საზოგადოების
როლი სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებაში გარდამავალი
ეკონომიკის საქართველოში**

გასული საუკუნის 90-იანი წლების გარდამავალი ეკონომიკის საქართველოში ფორმირებადი საბაზრო ურთიერთობების პროცესმა (პრივატიზაცია, განსახელმწიფოებრიობა, ლიბერალიზაცია და სხვა.) გამოიწვია უარყოფითი სოციალური შედეგები გამოიწვია. თავიდანვე ნათელი იყო, რომ გარდამავალი პერიოდი მძიმე დასაძლვეი იქნებოდა, თუმცა, ისეთი უარყოფითი ეკონომიკური და განსაკუთრებით სოციალური შედეგები, რაც დღევანდელი მდგომარეობით გვაქვს, არ იყო ნაგარაუდვეი.

დღეს აღიარებულია ის ფაქტი, რომ ეს მდგომარეობა, სხვა აუცილებელ ობიექტურ მოვლენებთან ერთად, გამოწვეულია ძირითადად იმ შეცდომებით რაც დაშვებულ იქნა საბაზრო სისტემაზე გარდამავალი ეკონომიკური სტრატეგიის შერჩევასა და მის პრაქტიკულ რეალიზებაში. აღნიშნულ სტრატეგიას დღემდე ყურადღების მიღმა დარჩა უმთავრესი – ადამიანი. ბუნებრივია, ყოველგვარი ეკონომიკური რეფორმის მიზანი უნდა იყოს ადამიანთა სოციალური ყოფის გაუმჯობესება.

გარდამავალი ეკონომიკის საწყისი 14 წლიანი პერიოდი ხასიათდება ეკონომიკური სუბიექტების სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენით, ხდებოდა სამართლებრივი აქტების, ნორმების და რეგულირების პრინციპების შეცვლა საკუთარი ბიზნესის უპირატესი პირობების შესაქმნელად. აღნიშნული, კორუმპირებულ ადმინისტრაციასთან (მთავრობასთან) ერთად, იმის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდა, რომ ასე გაძნელდა საბაზრო პრინციპზე აგებული ეკონომიკის შექმნა და შესაბამისი ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის

შემცირების ამოცანების დასმა და გადაჭრა. დღეს ქვეყანაში მნიშვნელოვნადაა შეფერხებული კორუფცია, გატარდა რიგი ღონისძიებების ბიზნესგარემოს გაუმჯობესების კუთხით, კერძოდ, „ბიზნესის კეთების“ მიმართულებით. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ 2007 წელს, მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველომ 178 ქვეყანას შორის 112-ე ადგილიდან 35-ე, ხოლო 2008 წლის შეფასებით კი – მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა [1] და ამით მსოფლიოში ბიზნესგარემოს სწრაფად გაუმჯობესების უნარის მქონე ქვეყნის სტატუსი დაიმსახურა.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ბიზნესის ადმინისტრირების გარემოს რეგულირება (ანუ „ბიზნესის კეთების“ დაწყების გამარტივება, რეგისტრაციის პროცედურული ციკლის შემცირება და ა.შ.) ვერ უზრუნველყოფს ბიზნესის გაძლიერებას.

დღეს ქართული ბიზნესი ძირითადად ორიენტირებულია საკუთარი მოგების გადიდებაზე. ასეთ ბიზნესს მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნესს უწოდებდნენ აშშ-ში მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამერიკის იმდროინდელი გამოცდილების შესწავლა დაგვეხმარება იმის გარკვევაში, რაოდენ აუცილებელია სოციალური და ეთიკური ბუნების მატარებელი კერძო სექტორის ჩამოყალიბება. აღნიშნულ პერიოდში აშშ-ს მთავრობის და საზოგადოების მიერ თვითრეგულირებადი ეკონომიკის მიმართ ბრძაღ მინდობამ ამერიკის ეკონომიკა 1929 წელს სრულ კრიზისამდე მიიყვანა, როცა უმუშევრობის დონემ მიაღწია 25%-ს სამუშაო ძალის საერთო რაოდენობაში. ხალხმა დაკარგა რწმენა უმართვად (თვითრეგულირებად) კაპიტალიზმზე და გააძლიერეს ზეწოლა მთავრობაზე წესრიგის დამყარების მოთხოვნით. აღნიშნულ წლებში მოხდა საკანონმდებლო სისტემის ჩამოყალიბება, მიღებულ იქნა კანონები ადამიანების, მომხმარებლების და ინვესტორების დაცვის შესახებ. შეიქმნა იქნა სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, შემოღებულ იქნა მინიმალური ხელფასი და შეზღუდვები შრომის ხანგრძლივობაზე. ასევე, მიღებულ იქნა კანონები კონკურენტულ ბრძოლაში უსინდისო მეთოდების გამოყენებაზე და არაკეთილსინდისიერ რეკლამასა; ინვესტორის დაცვისათვის შეიქმნა კომისია ფასიან ქაღალდებზე და ა.შ.

სახელმწიფოს მარეგულირებელმა პოლიტიკამ ამერიკის ეკონომიკა სამ წელიწადში აღმავლობის გზაზე დააყენა.

არა მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება, არამედ გამოცდილებაც და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ საბაზრო ეკონომიკა, რომლის ცენტრალურ ფიგურა წარმოადგენს ბიზნესი (მეწარმოება), წარმატებულად ფუნქციონირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ქვეყნაში, სადაც სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ორმხრივი ურთიერთობაა, სადაც სახელმწიფო გვევლინება ეკონომიკის რეგულატორის როლში. ეკონომიკა წარმოგვიდგენია, როგორც კერძო ინსტიტუტების (ბიზნესის) საქმიანი აქტივობის შედეგი (პროდუქტი).

ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის (სრულყოფილი სოციალური დაცვის მექანიზმის ფორმირების და ფუნქციონირების) გატარების უზრუნველყოფას უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკის სამი ინსტიტუტი: 1. სახელმწიფო (მთავრობა); 2. საზოგადოება (ხალხი ქვეყნის მოსახლეობა); 3. ბიზნესი (მეწარმეობა);

აქ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის რეგულირება და სტიმულირება. საზოგადოება თავის მხრივ აკვლიანებს სახელმწიფოს მარეგულირებელი სტრატეგიის, ხოლო ბიზნესს კი – განვითარების მიზნებისა და ამოცანების შემუშავებაში. ბიზნესი არის ინდივიდების ორგანიზებული მცდელობა, უზრუნველყოს საზოგადოება საქონლითა და მომსახურებით მისი მოთხოვნილების შესაბამისად.

დღეს მსოფლიოში აღიარებულია ბიზნესის ოთხი ფორმა: მცირე, საშუალო, მსხვილი, გლობალური (საერთაშორისო ბიზნესი). ბიზნესის ამ ფორმებს შეესაბამება: მცირე, საშუალო, მსხვილი საწარმოები და ტრანსნაციონალური კორპორაციები.

საერთაშორისო ბიზნესი რთული და მაღალი რისკების შემცველი პროცესია, იგი საჭიროებს დიდ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას. საქართველოს საერთაშორისო ბიზნესში ჩართვა მოითხოვს სიფრთხილეს. ნაადრევი პარლამენტის მიერ ისეთი კანონების მიღება, რომელიც ლეგალურს ხდის უცხოელის საქმიანობას ჩვენს ქვეყანაში. კანონით რეგულაციონირებული უნდა იყოს ის, რომ საერთაშორისო კომპანიებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებენ, სამუშაო ადგილების არანაკლებ 95% დაკომპლექტდეს ადგილობრივი კადრებით.

საქართველომ საერთაშორისო ბიზნესში წინა პლანზე უნდა წამოწიოს თავისი უნიკალური გეოპოლიტიკური მდგომარეობა და საკმაოდ იშვიათი და მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები და ამით, შეიძლება, მნიშვნელოვანი ბიზნესსუბიექტი გახდეს მსოფლიოში. ბუნებრივია, საქართველოს მხრიდან ასეთი სტრატეგიის არჩევა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მდგრადი ეკონომიკის ფორმირებაში, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ბიზნესის სამი ფორმა – მცირე, საშუალო და მსხვილი – შიდა ეროვნული წარმონაქმნებია. აქედან მცირე ბიზნესი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უშუალო რგოლია სოციალური დაცვის ერთიან მექანიზმში. იგი უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში.

მცირე ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში აღიარებულია, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, მასზე მოდის თანამედროვე მსოფლიო წარმოების თითქმის ნახევარი. იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დასაქმების პრობლემის გადაჭრაში, ახალი ტექნოლოგიების და მომსახურების (ინოვაციის) დანერგვაში, მსხვილი კორპორაციების საჭიროებათა დაკმაყოფილებაში, ეკონომიკის სპეციალიზებული

საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში, საზოგადოების საშაულო ფენის ფორმირებაში, საერთოდ, სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ეკონომიკის განვითარებაში. ამით არის განპირობებული ის, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მხრიდან არსებითი ყურადღება ეთმობა მას.

თუ განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის მიმართ არსებულ სახელმწიფო პოლიტიკას გავეცნობით, შევნიშნავთ რომ საქართველოში მცირე ბიზნესი სრულიად უყურადღებოდაა დატოვებული. მცირე და საშუალო საწარმოები დასაქმების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. აშშ-ში ბოლო სამ წელიწადში შექმნილი 7 მილიონიანი საშუალო ადგილიდან 2/3 მცირე ბიზნესზე მოდის. გერმანიაში კერძო სექტორში დასაქმებულთა 70%-ზე მეტი მცირე ბიზნესზე მოდის. 2006 წელს ბრიტანეთის კერძო კომპანოებში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობიდან მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებული იყო 52%, მხოლოდ მცირე ბიზნესში კი - 47,1% [2,3].

თითქმის მთელ მსოფლიოში მცირე ბიზნესი მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს. მარტო აშშ-ის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 4 მილიარდი დოლარი გამოიყოფა მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდურებისათვის [2].

საქართველოში ბიზნესის სიმჭიდროვის მაჩვენებელი (ყოველ 1000 კაცზე მცირე საწარმოთა რაოდენობა), 2007 წლის მონაცემებით, ყოველ 1000 მცხოვრებზე 4 მცირე საწარმოა, მაშინ, როდესაც, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე ნორმალური კონკურენტული გარემოსათვის მცირე საწარმოთა სიმჭიდროვის ინდიკატორად მიღებულია 30-50 მცხოვრებზე ერთი მცირე საწარმო, ანუ 30-20 მცირე საწარმო ყოველ 1000 მცხოვრებზე, ამდენად, ამ მიმართულებით ქვეყანას დიდი პოტენციალი გააჩნია.

გადასახადების შემცირების პოლიტიკა, რასაც დღევანდელი მთავრობა ეწევა, დადებითად მოქმედებს როგორც კერძო სექტორზე (ბიზნესზე) ისე საზოგადოებაზე; დაქირავებულსა და დამქირავებელზე; მომხმარებელზე თუ მიმწოდებელზე. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ გადასახადის 1%-ით შემცირებას მიყვავართ ფირმის რაოდენობის 3,7%-ით, პროდუქციის კი - 0,9%-ით და დასაქმების 1,3-ით ზრდასთან [5].

ბიზნეს (მეწარმეების) სექტორიდან მცირე ბიზნესი უნდა განვიხილოთ როგორც სოციალური დანიშნულების მქონე და ნაკლებად უნდა მიენიჭოს მას ფისკალური დატვირთვა, უფრო მეტიც, საგადასახადო კოდექსში ცალკე უნდა გამოიყოს კარი „გადასახადები მცირე ბიზნესში“, “სადაც უნდა ჩამოყალიბდეს მცირე ბიზნესის შეღავათიანი საგადასახადო სისტემა.

მსხვილი საწარმოების მონაწილეობა სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებაში უამრავი გზით ხდება. დღეს მსოფლიო

პრაქტიკა ორიენტირებულია სოციალური და ეთიკური ორიენტაციის ბიზნესზე, რომელიც პასუხისმგებელია გარემოს დაცვაზე. დასაქმებულების ჯანმრთელობასა და მოხუცებულობაში მათი ცხოვრების უზრუნველყოფაზე, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი, ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე და ა.შ.

სოციალური და ეთიკური ორიენტაციის ბიზნესის ფორმირებას ხელი უნდა შეუწეოს სახელმწიფომ. კანონით უნდა იყოს დარეგულირებული ბიზნესის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა. მეწარმეს (ბიზნესმენს) არ უნდა ჰქონდეს დარეგისტრირების უფლება, თუ მას ბიზნესგეგმასთან ერთად არ ექნება წარმოდგენილი სოციალური და ეთიკური პროგრამები. ამასთან, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კანონით უნდა იყოს დარეგულირებული მინიმალური შემოსავალი, რომლის ზემოთ შემოსავლის მქონე ბიზნესზე უნდა დადგინდეს საკველმოქმედო საქმიანობის აუცილებლობა.

დღეს მსოფლიოში გავრცელებული სიღარიბის დაძლევის სამთავრობო პროგრამებიდან – მინიმალური ხელფასი (მინიმალური ხელფასის კანონი), სოციალური დახვეწვა, უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი, ნატურალური დახმარება, საქართველოში სრული ფორმით არც ერთი არ მუშაობს, უფრო მეტიც, არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს სამთავრობო პოლიტიკის ძირითად პროგრამას. უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა საზოგადოებისათვის სრულიად სხვადასხვა ფენომენია. შეიძლება ადამიანი მუშაობდეს და იყოს ღარიბი.

ქართველი ადამიანის ბუნებაში დევს მეცენატობა, საკველმოქმედო საქმიანობას დღესაც ბევრი ბიზნესმენი ეწევა, მაგრამ ერთჯერადი ნატურით გაცემული დახმარება თრგუნავს ადამიანის მორალურ მხარეს. ამდენად, ვფიქრობთ, შეჭირვებულ ოჯახებს უნდა გაეწიოს არა ნატურით, არამედ, სჯობს ქველმოქმედი ბიზნესმენი, ყოველთვიურ ფულად დახმარებას, თუნდაც ძალიან მცირეს, უწევდეს, რასაც ის უფრო ეფექტიანად, თავისი პირველადი საჭიროებისათვის გამოიყენებს.

სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებაში სახელმწიფოს, საზოგადოების და კერძო სექტორის თანაბარი მონაწილეობის რეგულირება შესაძლებელია სწორი, ანუ რაციონალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებით. ასეთად გვესახება აშშ-ს საგადასახადო სისტემა. აშშ-ში მთავრობის შემოსავლის და ხარჯვის მუხლები ისეა აგებული, რომ თითოეული ინდივიდუალური ადამიანიდან დაწყებული, ფირმებით დამთავრებული, გადასახადის საშუალებით ავსებს ფედერალური მთავრობის შემოსავალს. აშშ-ში გადასახადის პროგრესული ფორმა გამოიყენება. ფედერალური მთავრობის შემოსავლები ეს არის: ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი,

სოციალური დაზღვევის გადასახადი, კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი ასევე, კატეგორია „სხვა“.

ინდივიდუალურ საშემოსავლო გადასახადს იხდის აშშ-ს ყველა მოქალაქე. 2004 წლის მონაცემებით, დაუქორწინებელი პირების საგადასახადო განაკვეთი იწყება 10%-დან და აღწევს 35%-ს შემოსავლების ცვლილების მიხედვით. დასაბეგრი შემოსავლების მინიმალური სიდიდე \$7150-მდე (იბეგრება 10%). მაქსიმალური კი \$ 319 100-ზე მეტი (იბეგრება 35%0. ე.ი. თუ ადამიანს აქვს \$ 25 000, მაშინ პირველ \$ 7150-ზე იხდის 10%, ხოლო დანარჩენზე 15%-ს).

ფედერალური მთავრობის შემოსავლების ყველაზე დიდი წყაროა ინდივიდუალური შემოსავლები. 15 აპრილს თითქმის ყველა ამერიკელი ოჯახი საგადასახადო დეკლარაციას ავსებს. ოჯახის საგადასახადო ვალდებულება მის მთლიან შემოსავალს ემყარება. შემოსავალი, რომელიც დაბეგრას ექვემდებარება, გამოითვლება მთლიანი შემოსავლიდან ხარჯების და იმ თანხის განოკლებით, რომელიც დამოკიდებულია ოჯახის კმაყოფაზე მყოფი პირების (ძირითადად ბავშვების) რაოდენობაზე. ამის შემდეგ გამოითვლება გადასახადი რეგრესიული ცხრილის გამოყენებით.

აშშ-ს მთავრობის საგადასახადო შემოსავლის ხარჯების კატეგორიაში ყველაზე დიდი წილი მიდის სოციალურ უზრუნველყოფაზე, რომელიც ასახავს ძირითადად მოხუცებზე გაცემულ ტრანსფერულ გადასახადებს. ხარჯების მეორე კატეგორიაა სახელმწიფო თავდაცვა. ხარჯების მესამე კატეგორია – ეს არის შემოსავლების უსაფრთხოება, რომელიც ღარიბი ოჯახებისთვის გადასახდელ ტრანსფერულ გადასახადებს შეიცავს. არსებობს ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელსაც ხშირად „კეთილდღეობას“ უწოდებენ. ამით გაიცემა სახურსათო ბარათების პროგრამა, რომელიც ღარიბ ოჯახებს კვების პროდუქტების შესაძენად კუპონებს აძლევს.

ხარჯების მომდევნო კატეგორია ითვალისწინებს სამედიცინო დაზღვევასა და ჯანდაცვაზე სამთავრობო პროგრამების განხორციელებას. ჯანმრთელობის ხარჯებში შედის სამედიცინო დახმარება, ღარიბების დასახმარებლად გამოიწველი სახელმწიფო პროგრამა. ამ ხარჯებში შედის კვლევის ხარჯები, მაგალითად, როგორცაა ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის შენახვა.

ხარჯების კატეგორია „წმინდა სარგებელი“ – აქ გათვალისწინებულია სამთავრობო ხარჯები. ეს მუხლი მით დიდ სახსრებს შეიცავს, რაც მეტ ფულს სესხულობს მთავრობა საზოგადოებისგან.

ხარჯების კატეგორია „სხვა“ შეიცავს ფედერალურ სასამართლო სისტემაზე ხარჯებს, კოსმოსურ პროგრამაზე, ფერმერთა დახმარების პროგრამაზე, კონგრესისა და პრეზიდენტის ხელფასებზე გაღებულ ხარჯებს [6].

ცხადია, ზემოთ მოცემული სახით გადასახადების აკრეფა და ხარჯვა ხელს შეუწყობს მეწარმის, მთავრობის და საზოგადოების თანაბარზომიერ დამოკიდებულებას სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების საქმეში. უფრო მეტიც, ასეთი საგადასახადო სისტემის დროს როგორც მთავრობა, ისე მეწარმე და საზოგადოება თანაბრად მონაწილეობს სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში.

გარდამავალი ეკონომიკის საქართველოში უნდა შეიქმნას სოციალური დაცვის ისეთი მექანიზმი, რომელშიც უნდა აისახოს ყველა ის რგოლი, რომელიც კი ხელს შეუწყობს საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებასა და ფუნქციონირებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ნიდლი დ.** ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი, თბ., 2003.
2. Overview & History/<http://www.sba.gov/history/index.html> 19.11.2008.
3. At: <http://www.dtistates.net/ad/sme.smestates> 2006-ksp pdf, Retrieved on 20.06.2008.
4. **აბესაძე რ., კაკულია ე.** მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2008.
5. Proekt "Doing Business", Bissines 2005, "Ves Mir". M. 2005.
6. **მენჭიუ გრ.** ეკონომიკის პრინციპები. „ლიოგენე“, 2008.
7. **ჩიქოვანი ე., ბასიაშვილი დ., კაკულია ე., მურადაშვილი ზ.** სოციალური რეფორმები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საქართველოში. თბ., 2009.

Eter Kakulia

THE ROLE OF STATE, PRIVATE (BUSINESS) AND SOCIETY IN THE FORMATION OF SOCIAL DEFENCE SYSTEM IN TRANSITION ECONOMY OF GEORGIA

SUMMARY

The process of formation of market relations (privatization, denationalization, liberalization etc.) have resulted negative social outcomes.

The article shows positive and negative sides of social system formation of transition economy.

Is settled the role of business in the formation of social defence system.

On the case of developed countries there are shown the place and role of small business and payment system in the formation of social defence system. Are shown the possibilities of Georgia in this direction.

ტურისტული ბიზნესის გეოგრაფიული პრინციპები

მასობრივი ტურიზმის სწრაფმა ზრდამ გარკვეული შეუსაბამობა გამოიწვია რეკრეაციულ საქმიანობასა და არსებულ ტერიტორიულ-რეკრეაციულ სისტემებს შორის. ტურიზმისა და რეკრეაციის ორგანიზება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს რესურსებს. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი არის ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული სისტემები და მათი ელემენტები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ტურინდუსტრიაში. ხშირად იგი ტურისტულ პოტენციალად მოიაზრება, რომელიც ყველა სტრუქტურულ და ფუნქციონალურ რესურსს მოიცავს, რაც გარკვეულ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებას განსაზღვრავს. ტურიზმი, როგორც ბუნებათსარგებლობის მრავალდარგოვანი სახეობა, სხვადასხვა ფორმით აკმაყოფილებს განსხვავებული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მოთხოვნებს.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კლასიფიკაციაში პირველი რიგის ელემენტებად მიჩნეულია ტურისტული ატრაქციები (ღირსშესანიშნაობანი). მასში იგულისხმება ყველაფერი, რაც ტურისტში კონკრეტული ადგილის მონახულების სურვილს აღძრავს. რეკრეაციული რესურსების ერთიან კომპლექსში შეიძლება გამოვყოთ:

ა). ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ყველა მიმზიდველი ელემენტი: კლიმატი, რელიეფი, წყალი, ფლორა, ფაუნა. იშვიათი ტიპის ლანდშაფტები, უნიკალური ბუნებრივი ობიექტები, ანუ ყველაფერი, რაც ბუნებრივი პროცესებისა და მათი ურთიერთქმედების შედეგია.

ბ). კულტურულ-ისტორიული (ანთროპოგენური), ანუ ყველაფერი, რაც ადამიანის შრომის შედეგია: ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, სასახლეები, მუზეუმები, ეროვნული პარკები, გალერეები, ნაკრძალები, ისტორიული მემკვიდრეობა, ფოლკლორი, გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.

გ). სოციალურ-ეკონომიკური: ტურრეგიონის (ობიექტების) გეოგრაფიული მდებარეობა, განსახლების არეალი და ტიპები, ეკონომიკური განვითარების დონე, ინფრასტრუქტურა და სხვ.

ყოველივე აღნიშნული განაპირობებს ტურისტის არჩევანს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ტურპროდუქტის შექმნაში.

ტურისტულ-რეკრეაციული სისტემა (ტრს) არის მართვადი ან ნაწილობრივ თვითმართვადი ტერიტორია (არეალი), რომელიც შედგება ურთიერთდამაკავშირებელი რამდენიმე სისტემისაგან: დამსვენებლები (ტურისტული კონტინგენტი), ბუნებრივი კომპლექსები, ტექნიკური და სხვა შენობა-ნაგებობანი, მომსახურე პერსონალი. ტრს-ის განვითარების დონე გვიჩვენებს ტერიტორიის სამეურნეო ათვისების ხარისხს,

ტერიტორიული სამეურნეო (ეკონომიკური) სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი სამომავლო სპეციალიზაციის პერსპექტივებს.

თანამედროვე ტურიზმისათვის დამახასიათებელია ფუნქციონირებადი და ახალი ტურისტული რაიონების ინტენსიური ათვისება-განვითარება, რაც ტურბაზრის სეგმენტებისა და ტურისტული ნაკადების განუხრელი ზრდის მზარდ მოტივაციას იწვევს. ეს მოვლენა კი თავისთავად კავშირშია ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სახეცვლილების საფრთხევითან, მათ გადატვირთვასა და გამტარუნარიანობასთან. თითოეულ ტერიტორიას თავისი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომლის ეფექტიანი გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის შერჩეული რეკრეაციული საქმიანობის სახეები. რეკრეაციული სერვისის ბაზარი გამორჩეული ნიშნით ხასიათდება. რეკრეაციული პროდუქტის წარმოება და მისი მოხმარება ხდება ადგილზე დროის გარკვეულ ციკლში. ამიტომ, ბაზარზე მისი პოზიტიურობისა და კონკურენტუნარიანობის დონის შესანარჩუნებლად, საჭიროა მიწოდება-მოთხოვნის ხანგრძლივი დეტალური შესწავლა, ბაზრის მიზნობრივი ტერიტორიული სეგმენტების განსაზღვრა.

მსოფლიოში ცნობილი საკურორტო-რეკრეაციული და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსებიდან უმრავლესობა საქართველოშიცაა წარმოდგენილი. თუ ამ რესურსებს შევაფარდებთ საქართველოს ფარდობს, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს უმდიდრეს და უნიკალურ ქვეყნად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოში ყველაფერია: მრავალფეროვანი ლანდშაფტი, კონტრასტებით მდიდარი ბუნება, სამას თხუთმეტკილომეტრიანი შავი ზღვისპირა სანაპირო ზოლი, ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, სამკურნალო და მინერალური წყლები, მარადიული თოვლითა და მყინვარებით დაფარული მთები და სხვ. ამიტომ, საქართველოს რეალური შესაძლებლობა აქვს, გახდეს მაღალგან-ვითარებული ტურიზმისა და რეკრეაციული მეურნეობის ქვეყანა.

საქართველოში რამდენიმე კარგად გამოხატული საკურორტო-რეკრეაციული ზონა გამოიყოფა:

1. ზღვისპირა საკურორტო ზონა (გაგრიდან ბათუმამდე);
2. ბალნეოლოგიურ-სამკურნალო კურორტების (ნაბეღლავი, ტყვარჩელი, მდინარე ნუნისი და სხვ.) ზონა. იგი ზღვის დონიდან 700 მ სიმაღლეზე ვრცელდება
3. ბალნეო-კლიმატური კურორტების (ბორჯომი, საირმე, სურამი, თბილისის შემოგარენი და სხვ) და საგარეუბნო ტურისტული მარშრუტების ზონა ზღ. დ. 700-1000 მ-ის ფარგლებში;
4. სამთო-კლიმატური კურორტების ზონა (აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, კოჯორი, კიკეთი და სხვ.) ზღ. დ. 1000-1500 მ-ის ფარგლებში;

5. სამთო-კლიმატური კურორტებისა (შოვი, ბახმარო, ლებარდე, ავაღხარა, ბაკურიანი და სხვ.) სამთო-ტურისტული მარშრუტების ზონა ზღ. დ. 1500-2000 მ-ს შორის;

6. სამთო ტურიზმის, სამთო-სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის ზონა ზღ. დ. 2000 მ-ზე მაღლა.

ცალკეული ზონის ქვეზონისათვის განისაზღვრება ტურიზმის ამა თუ იმ სახეობის მიზანშეწონილობა. შემდეგი ეტაპი უნდა იყოს სახელმწიფო პროგრამების დამუშავება, ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება. ამ მხრივ სასურველი იქნება, თუ ტურისტული ზონის განვითარებაში მონაწილეობისათვის სახელმწიფო კერძო სექტორს გარკვეული სახის შეღავათებს შესთავაზებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის პროცესში გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახის მიდგომები და პრინციპები:

1. ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ფორმების განსაზღვრა მოცემულ ტერიტორიულ არეალში. ამ პრინციპის საფუძველზე შეიძლება გავმიჯნოთ (გამოვყოთ):

ა) ყოველდღიური ტურისტულ-რეკრეაციული ინტერესების ზონა.

იგი მოიცავს ძირითადი ქალაქების მიმდებარე ტერიტორიებს მოკლევადიანი დასვენებისათვის (ტყეებს, ტყუპარკებს, ჰიდროპარკებს, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ადგილებს და სხვ.).

ბ) მოკლევადიანი დასვენების ტურები და მისი ორგანიზება (1-3 დღე), მოიცავს საცხოვრებელი ადგილის ახლომდებარე ტურისტულ ობიექტებს.

გ) ხანგრძლივი და შერეული ტურისტულ-რეკრეაციული ინტერესების ზონა. იგი ძირითადად მოიცავს ე.წ. „მეორე საცხოვრებლის“ ტერიტორიებს, მოკლე ტურებისა და გრძელვადიანი დასვენების ადგილებს;

2. ტერიტორიის რეკრეაციული ვარჯისიანობა, ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება, კონცენტრაცია და ადგილმდებარეობა. ამ პრინციპის მიხედვით გამოიყოფა:

ა) ტურისტულ-რეკრეაციული ზონა. მოიცავს ტერიტორიებს თავისი ინფრასტრუქტურით;

ბ) ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების ზონა. მოიცავს არეალს „ლანდშაფტოთერაპიისათვის“ (ველური ან ნაკლებად სახეშეცვლილი ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ადგილები, ბუნებრივი პარკები, ნაკრძალები, რეზერვატები, აღკვეთილები, სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები და ასევე ადგილები, რომლებსაც ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის კარგი პოტენციალი აქვს).

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ბირუკოვი მ. ტურიზმის თეორია. თბ., 2004.
2. მეტრეველი მ. ტურიზმი. თბ., 2003.
3. მაისურაძე გ. ტურიზმმცოდნეობის პრინციპები. თბ., 2010.
4. Быстров С.А., Воронцова М.Г. Туризм – макроэкономика и микроэкономика. М., 2007.
5. Berry S., Ladkin A. Sustainable Tourism: a regional prospective. Tourism Management, 1997.

Giga Maisuradze

THE GEOGRAPHICAL PRINCIPLES OF TOURISM BUSINESS

SUMMARY

The article analyzes the functioning mechanism of basically geographical principles and new organizational-economic structure of tourism business

Georgia is a country of tourism-recreation resources diversity (6 zones). The regions differ according to natural-climate conditions, natural resources potential, productive and social specialization, demographic situation, traditions etc.

Considerations about elaboration of proper tourism policy and the ways of reasonable use of resources are given.

Ioseb Masurashvili

MANAGEMENT OF INNOVATIVE BUSINESS MODELS

In a broad sense, innovation is understood as the end result of innovation in the form of new or improved products sold in the market, new or improved manufacturing process used in practice.

Advances in science, aimed at commercial success, becoming a source of additional revenue. Innovation coupled with professional management form the basis to increase the competitiveness of products of corporations.

According to various estimates, from 75 to 100% increase in production in industrialized countries is now provided through the use of the very innovation. Moreover, the revival of production in regions emerging from economic crises, there is usually due to the intensification of innovative processes.

Analysis of the global economy indicates that the most profitable sectors are now focused on the production of information technology, computers and semiconductors, communications and telecommunications, pharmaceuticals and medical equipment. Their success is based primarily on the use of previously acquired scientific knowledge and new technical and technological solutions, rather than on increasing production capacity.

For instance, in the past two years contributed high-tech enterprises in the economic potential of the United States exceeds 40%. The capitalization of only one American company "Intel", produces chips, three times more than all the automotive companies in Europe combined.

In recent decades in developed countries, the structure of the fundamental and applied science transformed: decreasing the proportion of studies in "technical" sciences and the increasing proportion of research complex in the life sciences - Biology, Genetics, and all branches of medicine. Research and innovation are increasingly oriented to addressing systemic human and social problems. In other words, innovation priorities in the field of industrial technologies are transferred to the technologies associated with satisfaction the reasonable needs of a person without a conflict with nature (the scheme).

Apparently, the most promising in the coming decade will be research in biotechnology. Modern biological science is often likened to nuclear physics of 40-ies. It sold extremely capital-intensive projects, which are essentially a sort of "developing" among the many developments in parallel sectors. And in the course of their implementation is not so much "invented" something new, how is the process of unification of existing scientific data, translate them from the stage of opening to the stage of technological innovation.

Gaining wider acceptance in the West, the motto "from industry" hi-tech "industries to" hi-hum "- quite clearly describes the tendency of changes in the innovation business.

Region, where science is seen as an important national priority, in the past decade has become the South-East Asia. Newly industrializing countries (South Korea, Singapore, Hong Kong) has increased their innovation capabilities and a half to two times and close to that of European countries. This trend manifests itself in China.

Small business and innovation worldwide experience also shows that a considerable role in the development of innovative businesses are small businesses. And while their tax "return" to the State is much smaller than the large industrial corporations, development of new technological developments is almost impossible without the active participation of small businesses.

In the 80 ies in industrialized countries were experiencing rapid growth of small high-tech business, which contributed to the purposeful policy of supporting the governments of these countries: direct - grants and contracts, indirect - improvement of legal regulation, attracting innovative companies as subcontractors to carry out major research technical projects. Moreover, a scheme of cultivation and support of small innovative firms. The mechanism is as follows: in the first stage after the examination on a draft issued budgetary subsidy - up to 50 thousand dollars, a second stage of detailed design project also funded from the budget but the amount allocated funds for the order above - 500 thousand dollars. The third phase - completion project development, marketing and deployment of production and output it to market - attracted investment interest corporations. This scheme was followed by the European

countries and Japan. In the 80ies investment in small innovative businesses in the U.S. amounted to about \$ 30 billion, in Western Europe - roughly the same.

According to the National Science Foundation project development, small firms spend several times less resources than large corporations. At a unit cost of innovation in small firms compared with the average of four, but with big - 24 times more. In addition, small businesses almost a third ahead of major in the speed of the innovation cycle.

Small and medium-sized enterprises provide 66% of jobs and 65% of the turnover in the EU. In the late 90-s increase in the number of jobs in small and medium-sized enterprises in Europe over job cuts at major companies, and the overall increase in the number of jobs (about 260 thousand jobs per year) actually provides businesses with less than 100 people.

In Germany, for example, are about 3 million small and medium-sized enterprises and associations of the liberal professions. They represent 99,6% of all firms subject to sales tax, providing nearly half of GDP, approximately 50% of gross investment of the country and 2/3 the total number of jobs. And, most importantly, they represent today 75% of all patents granted.

In the USA, small firms produce more than 45% of GDP and more than half the GDP of the private sector. A similar provision is in EU countries and Japan. The role of small business structures in the economic system of these countries is steadily growing.

The concept of "venture capital" in the Baltic appeared recently, but this type of financing comes from the first days of independence. After all, venture capital investments almost done buying shares or shares. That is the way of the privatization. Historically, venture capital financing based on the principle – money for the implementation of ideas.

Example, in Latvia the term "venture capital" came with the program of the European Union to support small and medium-sized businesses through venture financing. The first were government officials, who, by studying the program of the European Union, read: "venture capital". After some time had been established first three venture capital fund for small and medium businesses. These were local private foundations, local private managers. And the European Union and Latvia were subordinated investors with less than 70% of the total specific fund. With the development of these funds and related public appearance of the concept of "venture capital" and its further popularization.

A new generation of venture structures only gets to his feet, but its role in the development of parent companies today is very significant. Recently, the desire of large corporations to increase forced them to change the views of the prospective units, developing a new business venture (NBV). These units are "grown" from scratch various companies to occupy a niche in the emerging markets, to try and implement all kinds of innovations. This business is created inside the corporation - and what is the difference between NBV models from affiliated venture firms investing in companies engaged in the search and entrepreneurial ideas outside

the parent structure. This model is not a discovery: many of its variants were used back in the 1970's. However, the unit recently set up in Coca-Cola, First Data, JP Morgan Chase, McDonald's, Mellon Financial, Nokia and other companies differ from their predecessors as the principles of organization and administration, and nature activities. They are completely separate from the core business, so they can focus on the venture business as such, without feeling the pressure from other units. In addition, the parent company provide "chicks" NBV good start, giving them the opportunity to use corporate resources, for example by providing access to customers and infrastructure. This theory. But to justify it in practice, NBV-unit up to expectations? In the end, they were created, as a rule, during recovery, when venture capital firms have been widely publicized, and the cost of new firms, and separated from the big corporations, business units has grown rapidly. Now, however, spell the pioneers lost their power and serious risks become unacceptable for beginners market.

Not all of NBV-unit work equally well. Whereas some of them become leaders in the group, others stagnate or even fail. Note that the hallmarks of the first is the ability to concentrate on limited number of directions and the use of certain principles of management of business processes. Managers can choose from three kinds of business venture - an entirely new for the parent corporation, extending the range of proposals that are designed core unit, or a business based on the new features and technologies that use the parent structures. But if they will do everything in a row, then eventually they will have to deal with mixed business portfolio, and it is possible that the requirements for management of its components will be controversial. Globalization promotes the formation of a single global market for goods, capital and labor. Therefore, the position of any country in the geopolitical competition in the XXI century. will determine the level of education and health of the nation, the possibility of development of the information environment, and key industrial and technological systems of the latest technological structure, as well as the ability of an economic mechanism to generate a high innovative activity.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. მასურაშვილი ს. ინოვაციები და ბიზნესი. I ნაწილი. თსუ, 2007.
2. <http://deals.venturebeat.com/2010/04/15/venture-investing-moneytree-q1/>.

იოსებ მასურაშვილი

ბიზნესის ინოვაციური მოდელის მართვა

რეზიუმე

ინოვაციების განხორციელების მიზანი ყოველთვის არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება – საკუთრებით

სახსრების გაზრდა ინოვაციური შემოსავლების კაპიტალიზაციის ხარჯზე. საწარმოს დონეზე გარანტირებული ფინანსური უზრუნველყოფა წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების განხორციელების წინაპირობას. დივერსიფიცირებული დაბანდების პირობებში, საწარმოს საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფის მიზნით, სხვადასხვა წყაროებიდან სახსრების ფორმირება თვით ინოვაციური საქმიანობის მრავალი მიმართულების მომსახურების საშუალებას იძლევა, რაც ყველაზე მეტად პასუხობს ინოვაციურ პროდუქტებზე გადახდისუნარიანობის მოთხოვნებს.

Мирзоев Аяз Низами оглу

ПРИРОДА ПРОИЗВОДСТВЕННОЙ ИНФРАСТРУКТУРЫ И ЕЕ МЕСТО В СИСТЕМЕ ОБЩЕСТВЕННОГО ВОСПРОИЗВОДСТВА

В современной экономической теории анализ инфраструктуры – неизменно актуальная тема. Впервые понятие “инфраструктура” появилось в буржуазной политэкономии в конце 40-х годов прошлого столетия. Причины, побудившие рассматривать ее как самостоятельный элемент в экономической системе, были обусловлены: с одной стороны, процессами углубления общественного разделения труда; с другой стороны, невозможностью полноценного развития инфраструктуры только через рыночный механизм. Это позволило сформировать два основных подхода к исследованию проблем инфраструктуры. Первый подход предполагает анализ инфраструктуры с точки зрения углубления общественного разделения труда, а второй – с точки зрения хозяйственной практики и необходимости увеличения роли государства в регулировании развития инфраструктуры [7, с. 896].

Изучение вопросов организации экономических систем способствовало появлению множества направлений, в основе разнообразия которых лежат различные определения понятия инфраструктуры. Один из распространенных подходов заключается в рассмотрении инфраструктуры как “накладных издержек общества”, которые не дают непосредственного результата в форме товаров, готовых к реализации, и не приносят непосредственно прибыли производителю. Другая точка зрения заключается в представлении данной категории как комплекса условий (дорожная сеть, транспортные средства, землеустройство и т.д.), которые сокращают накладные расходы капиталистических предприятий, облегчая процесс обращения капитала и помогая достижению не только первичной цели – “увеличению глобального спроса и занятости”, но и повышая норму прибыли в капиталистическом секторе. В современной западной учебной литературе (Макконэл К. Р. и Брю С. Л.) определяют инфраструктуру для всей экономики как “капитальные сооружения, использование которых гражданами и фирмами обычно

обеспечивается государством (автомагистрали, мосты, городские транспортные системы, водоочистные сооружения, муниципальные системы водоснабжения, аэропорты), для фирмы это службы и сооружения, необходимые для производства продукции, создание которых собственными силами обошлось бы ей слишком дорого, и поэтому обеспечивается государством или другими фирмами (водоснабжение, электроэнергия, вывоз производственных отходов, перевозки грузов, научно-исследовательские и проектно-конструкторские работы, финансовое и банковское обслуживание)».

В отечественной экономической литературе, также как и в зарубежной, относительно понятия инфраструктуры нет единого мнения. Наиболее обобщенным определением инфраструктуры в отечественной экономической науке, на наш взгляд, можно считать следующее: «Инфраструктура – это совокупность вспомогательных отраслей (подотраслей) производственной и непроизводственной (социальной) сферы»[1]. В большинстве определений авторы стараются перечислить необходимый на их взгляд набор отраслей, а различия в составе отраслевых наборов приводят к неоднозначному пониманию этого определения. Примером одной из таких дефиниций служит определение Чернявского И.Ф.: «Инфраструктура – это комплекс отраслей хозяйства, обслуживающих промышленное и сельскохозяйственное производство: строительство шоссеиных дорог, каналов, водохранилищ, портов, мостов, аэродромов, складов, энергетическое хозяйство, железнодорожный транспорт, связь, водоснабжение и канализация, общее и профессиональное образование, расходы на науку, здравоохранение и т.д.». Попытки перечислить множество отраслей, как правило, приводят к «размытости» определения, в результате которой теряется сущность самой категории. Некоторые авторы, избегая громоздких перечислений отраслевого состава, рассматривают инфраструктуру как «вспомогательный вид деятельности, направленный на обслуживание главного объекта», хотя в этом случае теряется конкретизация субъектно-объектной структуры и не понятно, что является главным объектом. Другие представляют инфраструктуру как «систему отраслей и служб, удовлетворяющих нужды производства и населения (дороги, склады, транспорт, коммунальное, бытовое обслуживание и т.д.)». [2, с. 111] Такое определение в большей степени отражает структурные и функциональные аспекты данной категории. Несмотря на преимущества и недостатки выше приведенных дефиниций многие из них ограничены включением элементов производственной и социальной сфер, что не отражает в полной мере экономических функций инфраструктуры в целом и таких важных элементов макроэкономической системы, как институциональной, финансовой инфраструктур и др. С нашей точки зрения, инфраструктура в рыночной экономике представляет собой специфическую подсистему взаимосвязанных институтов, целевой функцией которой является создание общих условий для функционирования экономических субъектов на различных рынках, что позволяет рассматривать ее как комплекс производственной, кредитно-

финансовой, институциональной, коммерческой, социальной, экологической и информационной инфраструктур [3, с. 572]

Для исследования сущности производственной инфраструктуры целесообразно рассмотреть ее природу и специфику организации. Природа появления производственной инфраструктуры заложена во взаимодействии факторов производства. “Кроме вещей, посредством которых труд воздействует на предмет труда и которые поэтому так или иначе служат проводниками его деятельности, – подчеркивал К. Маркс, – в более широком смысле к средствам процесса труда относятся все материальные условия, необходимые вообще для того, чтобы процесс мог совершаться. Прямо они не входят в него, но без них он или совсем невозможен или может происходить в несовершенном виде”.

Общей причиной, способствующей обособлению производственной инфраструктуры в самостоятельную сферу экономики, явилось общественное разделение труда. “Общественное разделение труда – это объективный процесс развития производительных сил, при котором происходят обособление различных видов трудовой деятельности, специализация производственных единиц и обмен между ними продуктами своей деятельности” [5, с. 464]. Зарождение производственной инфраструктуры можно наблюдать уже в трудовом процессе, в котором происходит разделение на основные и вспомогательные действия, хотя в этом случае она еще не относится непосредственно к продукту. Отношения в данном случае складываются внутри деятельности одного производителя. С развитием кооперации и появлением различных форм предприятий происходит отделение вспомогательных функций, которые затем персонифицируются. В этом случае можно рассматривать не сами действия, а деятельность по отношению к продукту. Дальнейшее развитие рынка, расширение границ товарно-денежных отношений привело к выделению производства вспомогательных услуг из рамок компаний-потребителей в специализированные фирмы. “...Трудовая операция, бывшая еще вчера одной из многих функций одного и того же товаропроизводителя, сегодня, быть может, ... обособляется как нечто самостоятельное и именно поэтому посылает на рынок свой частичный продукт как самостоятельный товар”. Таким образом, образовалась внешняя и внутренняя производственная инфраструктура. Первая состоит из независимых специализированных предприятий, а вторая из производителей вспомогательных услуг в рамках основного производства [6, с. 896].

По мере развития производства и увеличения объемов готовой продукции и товарных запасов, которые составляют часть совокупного общественного продукта в виде средств труда и предметов потребления, которые вышли из процесса производства, но не вступили еще в процесс потребления, возникла потребность выделять значительную часть живого и овеществленного труда для хранения и перемещения запасов. Процесс обращения продукта соединяет последовательные звенья производства, возникающие благодаря общественному разделению труда, становится его необходимым условием [4, с. 43-57]. При

этом, “какова бы ни была общественная форма запаса продуктов, его сохранение требует издержек: построек, тары и т.д. для хранения продукта; оно требует также, в зависимости от природы продукта, больше или меньше труда и средств производства, которые приходится затрачивать для предотвращения вредных влияний. Чем выше общественная концентрация запасов, тем относительно меньше становятся эти издержки”. Вследствие этого стали образовываться целые отрасли экономики, где создаются условия функционирования предприятий.

Таким образом, с начала происходит деление функций на основные и вспомогательные на уровне действий, затем внутри предприятия, потом выделение субъектов, оказывающих вспомогательные услуги, в отдельные предприятия, которые постепенно формируются в отрасли. Их продукт становится самостоятельным, услуга продается как товар, но смысл остается прежний - это обеспечение условий функционирования основного производства. Обобщая выше сказанное, можно сделать вывод о том, что при общественном разделении труда происходит персонификация отдельных функций, в процессе выделения основного и вспомогательного производства, между которыми возникают отношения. Каждое из предприятий основного и вспомогательного производства является субъектом. Субъекты вспомогательной производственной деятельности выступают агентами субъектов основной производственной деятельности, потому что они отделяются от основного производства. Целью товаропроизводителя является продукт как результат основного производства, поэтому, исходя из рационального построения процессов производства, он делегирует часть своих функций, которые непосредственно не участвуют в достижении цели, вспомогательным субъектам. Следовательно, субъекты производственной инфраструктуры выступают агентами, обеспечивающими достижение цели товаропроизводителя [2, с. 111].

Основопологающим фактором разделения труда является возможность обмена. “Так как именно возможность обмена ведет к разделению труда, то степень последнего всегда должна ограничиваться пределами этой возможности, или, другими словами, размерами рынка. Когда рынок незначителен, ни у кого не может быть побуждения посвятить себя целиком какому-либо одному занятию за неимением возможности обменять весь избыток продукта своего труда сверх собственного потребления на необходимые продукты труда других людей”. Следовательно, чем шире границы обмена, и тем больше экономическое пространство, тем более развита должна быть производственная инфраструктура.

Как уже отмечалось, одной из причин обособления производственной инфраструктуры явилась невозможность полноценного ее развития только через рыночный механизм. На основе частнокапиталистической собственности не могут быть сооружены дороги, дамбы, мосты, каналы и др. Поэтому на определенной стадии развития капитализма стал остро вопрос о вмешательстве государства в развитие инфраструктурных отраслей, что и послужило причиной

того, что именно в 40-е годы прошлого столетия стали говорить об инфраструктуре. Согласно мнению многих авторов, именно инфраструктура в условиях капитализма усилила проблему централизованного управления экономикой, поскольку чем сложнее процесс обобществления производства, тем очевиднее становится воздействие на рост производительных сил общества общих условий производства .

Производственная инфраструктура характеризуется тем, что она оказывает материальные и нематериальные производственные услуги, которые носят вспомогательный характер. Определяя понятие услуги, К. Маркс писал, что услуга “означает вообще не что иное, как ту особую потребительную стоимость, которую доставляет этот труд, подобно всякому другому товару; но особая потребительная стоимость этого труда получила здесь специфическое название “услуги” потому, что труд оказывает услуги не в качестве вещи, а в качестве деятельности, – что, однако, нисколько не отличает его, скажем, от какой-нибудь машины...”. Согласно такому определению услуги, можно сделать вывод, что для предприятия потребительную стоимость создают не только услуги технических средств, которые имеют материальный характер, но и услуги, обладающие нематериальным характером, такие как реклама, маркетинговое обслуживание, консультирование по вопросам управления, инвестиционной политики, инжиниринг и другие. Данные услуги, так же как и услуги материально-технического снабжения и производственно-технического обслуживания, имеют вспомогательный характер и косвенно или непосредственно влияют на конечный продукт основного производства. Особенностью многих производственных услуг является, как правило, совпадение места и времени их производства и потребления [4, с. 43-57].

Рыночная экономика предъявляет особые требования к производству услуг производственной инфраструктуры региона, поскольку от этого непосредственно зависит экономическая деятельность всех предприятий и организаций региона, а косвенным образом и уровень жизни населения. Для нормально функционирующей рыночной экономики необходимы резервы всех видов ресурсов, и инфраструктурные мощности тоже не являются исключением. Согласно мнению многих специалистов, резерв мощностей производственной инфраструктуры должен находиться на уровне 30-35% от потребляемой мощности, в противном случае нарушаются взаимодействия субъектов воспроизводственного процесса, ритмичность снабжения предприятий, срываются сроки поставок грузов по контрактам, затрудняется исполнение хозяйственных договоров .

Производственные услуги имеют стоимость, поскольку для их реализации требуются ресурсы, и потребительную стоимость, как способность удовлетворять потребности основного производства. Для оказания услуг инфраструктуры используются ограниченные ресурсы, соответственно и сами услуги являются редкими, их недостаточно для того, чтобы обеспечить неограниченные потребности каждого субъекта хозяйствования.

ЛИТЕРАТУРА

1. **Абалкин Л.И.** Экономические функции государства и методы его воздействия на рыночную экономику. Москва. Экономические науки. 1990. № 1.
2. **Аббасов А.М., Кулиев Т.А.** Экономика в условиях неопределенности. Б, Дом сказки. 2002.
3. Академия рынка: Маркетинг. Пер. с франц. Москва, Экономика, 1993.
4. **Бабаев А.П.** Приватизация - фактор перехода Азербайджана к рыночной экономике. Известия А.Н.Азербайджана, серия экономики, 1998 №2, 43-57 с.
5. **Голубков Е.П.** Маркетинговые исследования: теория, методология и практика. М., «Финпресс», 2000, 464 с.
6. **Дмитриева О.Г.** Региональная экономическая диагностика. СПб, Питер ком, 1992, 273 с.
7. **Котлер Ф.** Маркетинг и менеджмент. СПб, Питер Ком, 1999, 896 с.

Mirzoyev Ayaz Nizami oglu

THE NATURE OF AN INDUSTRIAL INFRASTRUCTURE AND ITS PLACE IN THE SYSTEM OF PUBLIC REPRODUCTION

SUMMARY

Matters of building economic development strategy of the country including the perspectives of industrial and scientific-technical potential are analyzed in the article. The author confirms that the development of enterprise in the industry, the formation of consistent tendency to innovations in economics, strengthening the competitiveness of azerbaijani product in the world market is only possible with the help of active industrial policy.

დებიტრი მოლაშვილი

მართვის ინფრასტრუქტურის სისტემაში

მართვა – ეს არის დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის და კონტროლის პროცესი, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის მიზნების ჩამოყალიბებისა და შესრულების მისაღწევად.

პიტერ ფ. დუკერი, რომელსაც ბევრი წამყვან თეორიკოსად მიიჩნევს მსოფლიოში მართვისა და ორგანიზაციის სფეროში, სხვადასხვა განსაზღვრას იძლევა.

მართვა – არის საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რომელიც არაორგანიზებული ხალხის მასას ხდის ეფექტურ, მიზანმიმართულ და მწარმოებლურ ჯგუფად. მართვა, როგორც ასეთი, გვევლინება

სოციალური ცვლილებების მასტიმულირებელ ელემენტად და მნიშვნელოვანი სოციალური გარდაქმნების მკაფიო მაგალითად.

როდესაც ვსაუბრობთ მართვაზე, საჭიროა განვასხვაოთ ერთმანეთისგან მეწარმე და მენეჯერი. ტერმინი “მეწარმე” შემოიღო ფრანკმა ეკონომისტმა რისერ კონტილონიმ XVIII საუკუნის დასაწყისში. მას შემდეგ ეს ტერმინი აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც თავის თავზე იღებს რისკს, რომელიც დაკავშირებულია ახალი წარმოების ორგანიზაციასთან ან ახალი იდეის შემუშავებასთან. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინები “მეწარმე” და “მენეჯერი” სინონიმებად არ გვევლინება.

მეწარმეობა კონცეფციის თვალთახედვიდან, არ შემოიფარგლება ბიზნესით. იმდენად, რამდენადაც ყველა მეწარმე აქტიურად მონაწილეობს საწარმოს მიზნების ფორმირებაში და მართავენ ამ ორგანიზაციას საქმიანობის დასაწყისში, ისინი შეიძლება მივიჩნიოთ მენეჯერებად. ზოგიერთი მათგანი წარმატებით ართმევს თავს ფირმის მართვას და გონივრულ მენეჯერებად გვევლინებიან, ზოგნი კი პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ ფირმის ყველა ხელმძღვანელი გარკვეულ როლსა და ფუნქციებს ასრულებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მრავალი ხელმძღვანელი მსხვილ კომპანიებში ერთსა და იმავე სამუშაოს ასრულებს. ორგანიზაციები იმდენად განსხვავებულია, რომ შეგვიძლია ხელმძღვანელებისა და არახელმძღვანელების მუშაობაში მკაფიო გამოიჯნა უზრუნველყოთ. მმართველობითი შრომის დაყოფის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მართვის ჰორიზონტალური ხასიათი, რომელიც ე. წ. მართვის დონეს ქმნის.

ყოველთვის, ნებისმიერ, საკმაოდ დიდ საორგანიზაციო სისტემებში (სახელმწიფო, საწარმოო და ა.შ.) ჩვენ ვხვდებით იერარქიულ სტრუქტურებს, ანუ მართვის რამდენიმე დონის არსებობას. მართვის სისტემების მრავალდონიანობა – ეს არის ეფექტური ორგანიზაციის ინვარიანტული თვისება. რატომ არის ერთიანი ცენტრიდან მართვა ძლიერი კომპიუტერული საინფორმაციო სისტემის საფუძველზეც კი ნაკლებად ეფექტური, ვიდრე დეცენტრალიზებული მართვა, როცა ცენტრი ქვედა დონეების ხელმძღვანელებს რიგი გადაწყვეტილებების მიღების უფლებებს დელეგირებას უკეთებს. სპეციალისტების ერთი ნაწილი თვითს, რომ საქმე გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანის სწრაფ ზრდაშია, როდესაც ორგანიზაციის ზომა იზრდება, რაც განსაზღვრავს ამ ზრდის საზღვრებს, ასეა თუ არა ეს?

ავტორის აზრით, ეფექტურად მომუშავე ორგანიზაციების იერარქიული წყობის მიზეზი არის არა მხოლოდ ცალკეული ადამიანების შეზღუდულ შესაძლებლობებში ეფექტურად გადაჭრას დიდი ორგანიზაციის პრობლემები, არამედ იერარქიულ სისტემებში არსებულ სპეციფიკურ ფორმებში, ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების პრობლემებში, უფლებამოსილებათა განაწილებაში, დაგეგმარებაში, მოტივაციაში და ა.შ. აქედან გამომდინარეობს, რომ

ყოველმა ხელმძღვანელმა უნდა მართოს მხოლოდ დაქვემდებარებულთა მცირე ჯგუფი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდი ორგანიზაციების ასეთი დაყოფა გარდაუვალია. ამდენად, მთავარი საკითხი ისაა, როგორ ავაგოთ უფრო ეფექტური იერარქია.

მრავალდონიანი აქტიური სისტემების სტრუქტურის და შემადგენლობის სინთეზის ამოცანებთან ერთად, მათი შემდგომი გამოკვლევების მიმართულებათა პერსპექტივებად უნდა გამოვყოთ შემდეგი ამოცანები:

- მართვის მექანიზმების სინთეზი მონაწილეთა კოალიციის წარმოქმნის შესაძლებლობათა პირობებში.

- მრავალდონიან აქტიურ სისტემებში დაგეგმარების მექანიზმების შესწავლა, რომელშიც შუალედური დონის ცენტრებს თავისი ინტერესი აქვს.

- გამოკვლევები მართვის სისტემის ვექტორული სტრუქტურებით – განაწილებული კონტროლით, ვექტორული უპირატესობით და ა. შ.

- რეალური იერარქიული სისტემების შესწავლა რაციონალური ცენტრალიზაციის პრინციპის თვალსაზრისით. მათ შორის უკვე არსებული ფორმალური მოდელების იდენტიფიკაციის ამოცანათა ანალიზი.

- მრავალდონიანი საორგანიზაციო სისტემების მართვის მექანიზმების და სტრუქტურების დანართი.

- მოდელების კომპლექსების შემუშავება და სხვა.

იმისგან დამოუკიდებლად მართვის რამდენიმე დონე არსებობს, ხელმძღვანელებს ყოფენ სამ კატეგორიად. სოციოლოგი ტალკოტ პარსონსი ამ სამ კატეგორიას განიხილავს იმ ფუნქციათა თვალთახედვიდან, რომელსაც ორგანიზაციაში ასრულებს ხელმძღვანელი. პარსონსის განმარტების შესაბამისად, პირები, ტექნიკურ დონეზე, ძირითადად დაკავებულნი არიან ყოველდღიური ოპერაციებითა და იმ ქმედებებით, რომლებიც აუცილებელია ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად, ისე, რომ არ მოხდეს პროდუქციის წარმოების ან მომსახურების აწვევის შეფერხება. პირები, რომლებიც სამმართველო დონეზე იმყოფებიან, ძირითადად დაკავებულნი არიან ორგანიზაციის შიდა მმართველობით და კოორდინაციით. ხელმძღვანელები ინსტიტუციურ დონეზე, ძირითადად დაკავებულნი არიან გრძელვადიანი (პერსპექტიული) გეგმების შემუშავებით, მიზნების ფორმულირებით აგრეთვე იმ საზოგადოებასთან ურთიერთობით, რომელშიც არსებობს და ფუნქციონირებს აღნიშნული ორგანიზაცია, ორგანიზაციის ადაპტაციის სხვადასხვა სახის გარდაქმნებთან, ორგანიზაციათა შორის ურთიერთდამოკიდებულების მიმართ.

ხემდგომი დონის ხელმძღვანელი გადაწყვეტილებათა მიღებაში დელეგირებას უკეთებს შედარებით ქვემდგომი დონის მმართველებს, ის მეტნაკლებად დამოკიდებული ხდება მათზე. ჯერ ერთი, ის კარგავს

თავის ძალაუფლების გარკვეულ ნაწილს, მეორეც ის ხდება ინფორმაციულად დამოკიდებული ქვედა დონის ხელმძღვანელებზე, რამდენადაც სწორედ მათგან იღებს ინფორმაციას ორგანიზაციაში არსებული საქმეების მდგომარეობის შესახებ. მთავარ პრობლემას წარმოადგენს მთელი ორგანიზაციის მმართველთა ინტერესების შეთანხმება იერარქიის ყველა დონეზე.

მარტივ მოდელებზე ხდება სხვადასხვა ეფექტების დემონსტრირება, რომლებიც წარმოიშობა მრავალდონიან სისტემებში (შეკრების ეფექტი, საორგანიზაციო ეფექტი, საინფორმაციო ეფექტი და სხვა). სწორედ ამით შეიძლება ამაღლდეს ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტები ამ ფაქტორების გონივრული გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ იერარქია, როგორც ორგანიზაციებში ფუნქციონირება, განაწილება, წარმოადგენს სპეციალიზაციათა გამოვლენის აუცილებლობას, რომელიც აკონკრეტებს ყოველი ელემენტის ფუნქციას და რომელიც უფლებას აძლევს რაციონალურად გამოიყენოს მისი ობიექტურად შეზღუდული შესაძლებლობები. ამდენად, კითხვას იერარქიის მიზანშეწონილობაზე შეიძლება ვუპასუხოთ მხოლოდ მათი არსებობის მიზეზის ახსნით თვით სისტემის მონაწილეთა თვალსაზრისით, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი ინტერესების.

Molashvili Dmitry

HIERARCHICAL MANAGEMENT SYSTEMS

SUMMARY

Management of hierarchical models of management and ultimately depends on the firm's efficiency. Is taken into account in accordance with management mechanisms synthesis, multilevel systems in the planning mechanism, centralization, and so on system management functions in ierarkieb distribution so as not to make a success of the UFC - the basis for

ბაბუღია (დოდო) მღებრიშვილი
მარკეტინგი და კრიზისული სიტუაციების
მართვა

კრიზისი ჩვეულებრივი მოვლენაა ეკონომიკის განვითარებაში. ის კვლავწარმოების ციკლის ერთ-ერთი ფაზა და საბაზრო ეკონომიკის

თვითრეგულირების მნიშვნელოვანი ელემენტია. ადრე თუ გვიან, კრიზისი ყველა კომპანიას შეეხება. ის შეიძლება იყოს დარგობრივი, სტრუქტურული, ეროვნული, რეგიონული ან მსოფლიო (გლობალური). ყველა შემთხვევაში კომპანიებს უწევთ ამა თუ იმ სიძლიერის კრიზისულ სიტუაციებში მუშაობა და მდგომარეობიდან გამოსვლის გზების ძიება. ამ პროცესის დასაჩქარებლად აუცილებელია კრიზისული სიტუაციების მართვა, რაც მოითხოვს მარკეტინგული საქმიანობის გააქტიურებას. კრიზისიდან გამოსვლა კომპანიებში შექმნილ არახელსაყრელ სიტუაციებზე ზემოქმედების სისწრაფეზე დამოკიდებული, ვინაიდან კრიზისულ მოვლენებს, გაფართოებისა და გაღრმავების ტენდენციასთან ერთად, ახასიათებს სხვა არახელსაყრელი სიტუაციების წარმოშობაც. ამიტომ, რაც უფრო ადრე გატარდება ანტიკრიზისული ღონისძიებები, მით მეტი შესაძლებლობები ექნება კომპანიას მდგომარეობიდან გამოსასვლელად [1].

მხოლოდ მარკეტინგული მიდგომით, ე.ი. მომხმარებელზე ორიენტიაციით, არის შესაძლებელი კომპანიების კრიზისიდან გამოყვანა. ამისთვის საჭიროა მარკეტინგული სტრატეგიის დროულად კორექტირება ახალი პირობების შესაბამისად. კრიზისის პერიოდში მარკეტინგული საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობა, ახალი მარკეტინგული მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა ბიზნესში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს ზრდის. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ცოდნის ღონის ამადლების ახალი გზებისა და შესაძლებლობების გამოძიებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების პროგრესული განვითარებისთვის. კვალიფიციური კადრები ხელს უწყობენ კომპანიების კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანას, რადგან ახალი პირობების შესაბამისად გადამზადებულ სპეციალისტებს კრიზისული სიტუაციების მართვისა და კომპანიების კრიზისიდან გამოყვანის მეტი შესაძლებლობები აქვთ. კრიზისი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს კომპანიებში პანიკის საფუძველი [2]. კომპანიათა მენეჯერებმა კრიზისი უნდა განიხილონ ახალი შესაძლებლობების გამოვლენისა და გამოყენების ეტაპად, რისთვისაც საჭიროა მენეჯმენტის გააქტიურება. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კომპანიათა მუშაობის „იდეოლოგია“ კრიზისის პერიოდში უნდა იყოს „გადარჩენა-განვითარება-ზრდა“ [3]. ეს მოსაზრება სწორია. ასეთი მიდგომით შესაძლებელია არა მარტო კრიზისიდან გამოსვლა, არამედ შემდგომი წინსვლაც.

მენეჯერებმა უნდა გააცნობიერონ ის ფაქტი, რომ, სწორად, მხოლოდ ერთი იდეაა საკმარისი კრიზისული სიტუაციების დასაძლევად და კომპანიის გადარჩენად. ასეთი იდეის გამოსავლენად უნდა იზრუნოს კომპანიის ხელმძღვანელობამ. ეს იდეა კომპანიის მომხმარებელთა მოთხოვნილებების უკეთესად დაკმაყოფილებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ახალმა იდეებმა თავისი ასახვა უნდა

პოვოს ანტიკრიზისულ გეგმაში, რომელიც აუცილებლად დროულად უნდა შედგეს და ამოქმედდეს.

მაინც რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი ანტიკრიზისული გეგმის შექმნის პროცესში და ვინ უნდა იაქტიუროს კომპანიებში ამ მიმართულებით?

ანტიკრიზისული გეგმის დროულად შექმნა შეუძლიათ იმ კომპანიებს, რომელთა ხელმძღვანელობაც მოქნილი იქნება და ბიზნესის მართვას ახალი ინსტრუმენტების, ახალი მეთოდებისა და ხერხების დროულად გამოძებნით შეძლებს. ახალ ინსტრუმენტებში, ახალ მეთოდებსა და ხერხებში იგულისხმება ის ინსტრუმენტები, მეთოდები და ხერხები, რომლებიც უფრო ეფექტიანი და ეკონომიურია და მუშაობს ახალ ბაზრებზე ან “ახალ მომხმარებლებთან [4]. მათზე დაყრდნობით დადგინდება მოახლოებული საშიშროებები და გამოიძებნება გადარჩენის გზები. ამ პროცესში წამყვანი როლი უნდა შეასრულოს კომპანიის მარკეტინგის სამსახურმა, ვინაიდან სწორედ მას ეკისრება ბაზრის გამოკვლევა და პროგნოზირება, საპროდუქტო, საფასო საქონელმომძრაობისა და ბაზარზე საქონლის წინ წაწევის სტრატეგიების დამუშავება. კრიზისის დროს ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება, მაგრამ ყველაფერი იწყება მარკეტინგიდან, შემდეგ მოდის რეკლამა, შემდეგ მენეჯმენტი, შემდეგ ფინანსები [5]. მაშასადამე, ანტიკრიზისულ მარკეტინგს წამყვანი როლი ეკისრება კრიზისის დაძლევაში. გლობალური კრიზისის პერიოდში ანტიკრიზისული მარკეტინგი გულისხმობს სტრატეგიული და ტაქტიკური მარკეტინგული გადაწყვეტილებების დამუშავებას და ოპერატიულად დანერგვას [6]. მაგრამ მარკეტინგის სამსახურმა ეს სამუშაო უნდა შეასრულოს კომპანიის დანარჩენ ქვედანაყოფებთან მჭიდრო კავშირში. მაშასადამე, ანტიკრიზისული გეგმა აუცილებლად უნდა დამუშავდეს კომპანიის ყველა სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით და მარკეტინგის სამსახურის აქტიური მონაწილეობით.

მარკეტინგის სამსახურს შეუძლია (და უნდა შეძლოს), გამოიძებნოს საშუალებები კომპანიის გადარჩენისა და ზრდისთვისაც კი [7]. საგულისხმოა, რომ კრიზისი ჩინურ ენაში ორი იეროგლიფით იწერება. ერთი ნიშნავს „საშიშროებას“ და მეორე „შესაძლებლობას“. მაშასადამე, კრიზისი საშიშროებებსაც შეიცავს და შესაძლებლობებსაც. ეს სათანადოდ უნდა გააცნობიერონ ბიზნესში დასაქმებულმა ადამიანებმა, მათ შორის მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლებმაც. მარკეტინგის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ახალი მომხმარებლების გამოძებნა. მას ეკისრება გადაამწყვეტი სიტყვის თქმა ახალი პროდუქტების ბაზრისთვის შეთავაზების პროცესშიც. მარკეტინგის სამსახურმა უნდა დაარწმუნოს კომპანიის დანარჩენი სამსახურები, რომ ძველი ტექნოლოგიებით, ძველი პროდუქტებით, ძველი ინსტრუმენტებით ახალი მომხმარებლების გამოძებნა ძნელი და, უფრო ხშირად, საერთოდ

შეუძლებელია. ყველა სამსახური და კომპანიის მთელი ხელმძღვანელობა უნდა მიხვდეს, რომ კომპანიებში კრიზისული სიტუაციები იქმნება მაშინ, როცა ის ბაზრის მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს, ე. ი. ვეღარ აწარმოებს კონკურენტუნარიან პროდუქტებს ან ვერ ასერხებს კონკურენტუნარიანი პროდუქტების ბაზრისთვის შეთავაზებას კონკურენტებთან შედარებით ეფექტიანი მეთოდებითა და ხერხებით. თუ კომპანიები კრიზისს განიხილავენ ბუნებრივ გადარჩევად, რომლის დროსაც გაიმარჯვებს ის დარგი, ის კომპანია, რომელიც ყველაზე სწავად შექმნის და შესთავაზებს ბაზარს მისი მოთხოვნილებების შესაბამის პროდუქტებს, პრობლემები ადვილად მოგვარდება.

ანტიკრიზისული გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მარკეტინგის გეგმა, რომელიც, სასურველია, მოიცავდეს შემდეგ ქვედანაყოფებს:

- კომპანიის მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და კრიზისის შესაძლო შედეგების განსაზღვრა;
- კონკურენტებთან შედარებით კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;
- ტრადიციული მყიდველების შესწავლა ახალ პირობებში მათი შენარჩუნების მიზნით დამატებითი გზების გამოსაძებნად;
- მარკეტინგულ საქმიანობაში სუსტი ადგილების დადგენა და მუშაობა მათი, ან, კომპენსაციის მიზნით, სხვა მხარეების გაძლიერების მიმართულებით;
- პოტენციური კლიენტების განსაზღვრა და მათ მოსაზიდად ღონისძიებების შემუშავება;
- მყიდველთა მოზიდვის პროცესის გასააქტიურებლად პროდუქტის გასამაგრებელი და მომხმარებლებისთვის დამატებით შესთავაზებელი საქონლისა და მომსახურების შექმნის პროგრამის დამუშავება;
- ახალი პირობების შესაბამისი სარეკლამო საქმიანობის პროგრამის შედგენა;
- ჰორიზონტალური მარკეტინგული სისტემის გამოყენების შესაძლებლობების დადგენა;
- საქონლისა და მომსახურების მყიდველისთვის შეთავაზების ადგილზე მოხერხებული პირობების შესაქმნელად გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- კომპანიის იმიჯის შენარჩუნებისა და შემდგომი განმტკიცებისთვის ოპტიმალური გზების დადგენა.

როგორც წესი, კრიზისი კომპანიაში ორ ეტაპად მიმდინარეობს. თავდაპირველად, მკვეთრად უარესდება სიტუაცია, შემდეგ კი, კომპანიის

ხელმძღვანელობა ეგუება რა ახალ პირობებში მუშაობას, მდგომარეობა თანდათანობით სტაბილური ხდება. ამის საშუალებას კრიზისის მოსალოდნელი შედეგების დადგენა იძლევა, რაც, თავის მხრივ, არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. რაც უფრო სრულად ფლობს ხელმძღვანელობა ინფორმაციას კომპანიაში შექნილი მდგომარეობის შესახებ, მით უფრო სწორად განსაზღვრავს ის მოსალოდნელ ცვლილებებს და იღებს გადაწყვეტილებებს მდგომარეობის დასარეგულირებლად.

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკურენტებთან შედარებით ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა. ბენჩმარკინგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დროულად გააძლიეროს კომპანიამ თავისი საქმიანობის სუსტი მხარეები და, თუ ეს შესაძლებელია, აქცენტი გადაიტანოს ძლიერი მხარეების კიდევ უფრო გაძლიერებაზე.

კრიზისის დაძლევაში კომპანიებს, უპირველესად, ტრადიციული მყიდველები ეხმარებიან. მათი შენარჩუნების მიზნით, კრიზისის პერიოდში მუშაობა უნდა გააქტიურდეს. საჭიროა ტრადიციული მყიდველების შესწავლა სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით, კერძოდ, უნდა დადგინდეს: მათი დემოგრაფიული მონაცემები; ფაქტორები, რომელთა გამოც ანიჭებენ ისინი უპირატესობას კომპანიას; მოლოდინის გამართლების დონე; პრეტენზიები კომპანიის მიმართ. მიღებული შედეგების საფუძველზე უნდა განისაზღვროს დონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ტრადიციული კლიენტების შენარჩუნებას და, პარალელურად, დაეხმარება კომპანიას კონკურენტი კომპანიების კლიენტების გადაბირებაში.

როგორც ტრადიციული კლიენტების შესანარჩუნებლად, ისე ახალი კლიენტების მოსაზიდად მეტად მნიშვნელოვანია ბაზარზე გამოტანილი საქონლის გამაგრება სხვა საქონლითა და მომსახურებით. ტრადიციულ პროდუქტთან ერთად ახალი სარგებლის შეთავაზება ზრდის კონკურენტი კომპანიების კლიენტების გადაბირების ალბათობას. ცხადია, თუ კომპანიამ მომხმარებელს შესთავაზა კონკურენტებთან შედარებით უფრო მაღალი ხარისხის მომსახურება, სავაჭრო ობიექტის მუშაობის უფრო მოსახერხებელი გრაფიკი, უფრო სრულფასოვანი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, ის არა მარტო შეინარჩუნებს თავის კლიენტებს, არამედ გადმოიბირებს კონკურენტების კლიენტებსაც.

როგორც პრაქტიკული გამოცდილება უჩვენებს, კრიზისის პერიოდში, პირველ რიგში, რეკლამის ხარჯებს ამცირებენ. ეს იძულებითი ნაბიჯია. მის გასანეიტრალებლად უნდა გამოიძებნოს რეკლამირების უფრო იაფი და ხელმისაწვდომი წყაროები. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს გარე რეკლამა და ინტერნეტის აქტიურად გამოყენება. რეკლამირების პროცესში კომპანიათა ხელმძღვანელობამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ რეკლამირებაზე უარის თქმა

კომპანიებს კრიზისიდან ვერ გამოიყვანს. თუ კომპანიამ ვერ შეძლო რეკლამირებისთვის იაფი საშუალებების გამოძებნა, გაუჭირდება კრიზისიდან გამოსვლა. საჭიროა, რეკლამირების ტრადიციული ინსტრუმენტებიდან მარკეტინგულმა აქტიურობამ ინტერნეტ-მარკეტინგში გადაინაცვლოს [4]. გამოკვლევები უჩვენებს, რომ ის კომპანიები, რომლებიც რეკლამის ხარჯებს ამცირებენ, გაცილებით მეტ დროს ანდომებენ კრიზისიდან გამოსვლას, რადგან რეკლამის გარეშე პროდუქტის დისტრიბუცია გაცილებით რთულია [8].

ჰორიზონტალური მარკეტინგული სისტემის შესაძლებლობების გამოყენებასაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია კომპანიებისთვის კრიზისის პერიოდში. მთავარია, სწორად შეირჩეს პარტნიორები. მათთან ერთად განხორციელებული ღონისძიებები მკვეთრად შეამცირებს პროდუქტის ბაზარზე წინ წაწევის ხარჯებს და დაეხმარება კომპანიას ახალ პირობებთან ადაპტაციაში.

კრიზისის პერიოდში კომპანიამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგოს მომხმარებლის ნდობა, არ უნდა დაუშვას მომხმარებლისთვის დაპირებული პროდუქტის მიუწოდებლობის ფაქტები. ასეთი მიდგომით ის შეინარჩუნებს რეკუტაციას მომხმარებლის თვალში. იმიჯის შენარჩუნება-განმტკიცებაში მას დაეხმარება, აგრეთვე, შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის მოწესრიგება. ეს ის ადგილია, სადაც მყიდველი და გამყიდველი პირველად ხვდება ერთმანეთს და რომლის მიხედვითაც, მყიდველს პირველი შთაბეჭდილება ექმნება კომპანიაზე.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისი ჩვეულებრივი მოვლენაა კომპანიათა საქმიანობაში. ის წარმატებული საქმიანობის დასაწყებად საუკეთესო დროა [6]. მთავარია ანტიკრიზისული მარკეტინგული გეგმის სწორად დამუშავება და განხორციელება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. <http://sproc.ru/marketing/artikles/121-antikrshyjj-marketing.html>
2. http://www.marketingpro.ru/plan_b.html
3. <http://www.treko.ru/show-mer-40433/>
4. [http://www.marketingpro.ru/journal/11_2008/texts/4410\(4409,4430,4432,4433,4398\).html](http://www.marketingpro.ru/journal/11_2008/texts/4410(4409,4430,4432,4433,4398).html)
5. http://www.marketingpro.ru/journal/11_2008/texts/4429.html
6. <http://www.profit.kr/calendar/000489>
7. <http://plahetahr.ru/publication/2889>
8. <http://www.delovoyimir/pir/ru/articles/view/?did=879>

Babulia (Dodo) Mgebrishvili

MARKETING AND MANAGEMENT OF THE CRISIS SITUATION

SUMMARY

The author of the article considers the crisis as usual phenomenon while developing of the economy. According to the author opinion it may concern any company at any times, and should not cause the panic. The company leaders should review exposure and usage of the new opportunities by stages. It is only necessary to create and activate the anti-crisis plan.

The author of the article considers the marketing plan as the leading subdivision of anti-crisis plan, which at its own side covers the following sectors: definition of expected results, revealing the weak and the strong sides of the company in comparison with competitors; survey over traditional buyers; to fix the weak sides in the marketing activities; definition of potential buyers and elaboration of procedures to attract them; elaboration of the program for creation of additional offered goods and service; compilation of advertising program according of new conditions; statement of opportunities on utilization of horizontal marketing system; definition of activities in order to establish useful condition on the spot of sale for customers; in order to retain the company image and further consolidation to fix the optimal ways.

Finally the author concludes that the crisis is the best moment to undertake the successful business.

*თამარ როსტიაშვილი
მაია სოსელია*

**ინვესტიციების მართვა საქართველოს მცირე და
საშუალო ბიზნესში**

მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, ბიზნესში კვლავ არსებობს პრობლემები: არასაკმარისადაა განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა, იგრძნობა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. მაგრამ, ყველა დროში, ბიზნესის მთავარი პრობლემა სასტარტო კაპიტალის უკმარისობაა. ბოლო წლებში ამ მხრივ მდგომარეობა სასიკეთოდ იცვლება. ჩვენი ქვეყნის კომერციულ ბანკებთან ერთად, კონკრეტული პროექტების დაფინანსების საქმეში მხარდაჭერის და მონაწილეობის სურვილს ამჟღავნებენ უცხოელი ინვესტორებიც.

პოტენციური ინვესტორისათვის პროექტების წარდგენა დაფინანსებისათვის გულისხმობს ისეთი ბიზნესგეგმების დამუშავებას, რომლებიც პასუხობს, ერთი მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებს, მეორე მხრივ – საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების ინტერესებს.

ფინანსები ბიზნესში იგივეა, რაც ცოცხალი ორგანიზმისთვის ჰაერი. მომგებიანი საქმის დასაწყებად აუცილებელია საწყისი კაპიტალი. ფუნქციონირებადი ფირმები მუდმივად საჭიროებენ საბრუნავ კაპიტალს. მეწარმე მუდმივად ეწევა მიმდინარე ხარჯებს ნედლეულის, მასალების, ენერგოშემცველების და საგადასახადო ვალდებულებების ასანაზღაურებლად. შედეგად, იგი უნდა ერკვეოდეს საფინანსო მენეჯმენტის საწყისებში. შეეძლოს მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების პროგნოზირება. ჯამური დანახარჯებისა და შემოსავლების განსაზღვრა. შეეძლოს ძირითადი საფინანსო დოკუმენტაციის, ბალანსების, მოგება-ზარალის უწყისის, ანგარიშფაქტურების წაკითხვა.

საინვესტიციო პროექტის რეალიზაცია დამოკიდებულია ღონისძიებათა მთელ კომპლექსზე, რომელიც საჭიროებს სათანადო კავშირების არსებობას საინვესტიციო ციკლის ყველა სტადიაზე – სახელშეკრულებო ბაზის მოწესრიგებას, დაფინანსების ყველა შესაძლო წყაროების მოზიდვას და ა.შ.

ინვესტიციური პროექტი შეიძლება განხორციელდეს სრული დაფინანსებით, ნაწილობრივი მონაწილეობით და მთლიანად დაბრუნებად საფუძველზე. გამოყოფილი სახსრების ანაზღაურება ხდება კრედიტზე პროცენტის გადახდის პრინციპით. შესაბამისად, თანხა ინვესტორს საერთოდ არ უბრუნდება, ნაწილობრივ უბრუნდება, უბრუნდება სრული მოცულობით ან მეტი ოდენობით, სარგებლის პროცენტთან ერთად.

ინვესტიციების მოსაპოვებლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება საწარმოს საკუთრების ფორმას. უცხოური ინვესტორები პროექტზე საიმედო კონტროლის განსახორციელებლად უპირატესობას ანიჭებენ კერძო ფირმებს ან ისეთ ფირმებს, რომლებშიც სახელმწიფო საკუთრების წილი მინიმალურია.

ფინანსური სტრუქტურები (ბანკები) ამჯობინებენ, დააფინანსონ მაღალშემოსავლიანი პროექტები უკუგების შედარებით მოკლე ვადებით. ინტერესს იმსახურებს მაღალტექნოლოგიური პროექტები, რომლებიც გარანტირებულია უნიკალური შედეგების მიღებით. შედეგად, დასავლური პრაქტიკისაგან განსხვავებით, ბევრი, ტექნოლოგიური თვალსაზრისით პროგრესული და სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტი, ვერ პოულობს ინვესტორს. ბანკების მიერ ინვესტირება ხორციელდება ძირითადად კრედიტების სახით, რაც სხვადასხვა მიზეზით ხშირად მიუღებელია.

ინვესტიციური პროექტის დაფინანსების წყარო შეიძლება გახდეს: ქვეყნის და ადგილობრივი ბიუჯეტები; საკუთარი და მოზიდული სახსრები ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისაგან (სახელმწიფოებრივი და კერძო), საფინანსო ინსტიტუტებიდან და სხვა სპეციალიზებული ორგანიზაციებიდან; კერძო პირების სახსრები და ა.შ.

ბიზნესგეგმა პრინციპულად ახალი დოკუმენტი გახდა ქართველი მეწარმეების ფართო წრისათვის, რომლებიც სერიოზულ პრობლემებს წააწყდნენ მისი შემუშავებისას სათანადო გამოცდილების და ცოდნის უქონლობის გამო. წარმატებული ბიზნესის მქონე ბევრი მეწარმე ნაკლებად ერკვევა ფინანსურ საკითხებში.

საქართველოში ამჟამად არ არებობს სპეციალიზებული სტრუქტურა, რომელიც დაკავებულია სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების ექსპერტიზით მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში. ამასთან, ბიზნესგეგმების შემუშავების, არსებული მეთოდები შემდგომ დახვეწას და საქართველოს პირობებთან ადაპტაციას მოითხოვს.

შედეგად, მრავალი პესპექტიული პროექტი, რომელიც ფორმალურად არ პასუხობს მიღებულ კრიტერიუმებს, მაგრამ ტექნოლოგიურად და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია, ხშირად დაიწუნება და რჩება ფინანსირების გარეშე. ამიტომ, საინვესტიციო პოლიტიკის ფარგლებში უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომელიც ერთ მთლიანობაში მოაქცევს საინვესტიციო პროცესის ყველა სტადიას – დაწყებული ინვესტიციური პროექტის დამუშავებიდან, დამთავრებული მისი ფინანსირების წყაროებით.

სისტემატურ ხასიათს უნდა ატარებდეს ინვესტიციური პროექტების შერჩევა და ექსპერტიზა, მათი დაყვანა იმ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფს ივესტორების დაკმაყოფილებას.

დღეს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დამწყები ფირმები და საწარმოები, რომლებიც არ ფლობენ სოლიდურ სასტატრო კაპიტალს, ქონებას, შესაძლებლობას, მიიღონ მძლავრი საწარმოებისა და ფინანსური ორგანიზაციების თავდებობა. მცირე ფირმების განვითარებას დამატებით ამუხრუჭებს მოწყობილობაზე საბაზრო ფასების განუხრელი ზრდა, რაც, თავის მხრივ, ზღუდავს მათზე მოთხოვნას.

სამრეწველო სფეროში ინვესტიციების ზრდის უქონლობამ შესაძლებელია, რეალურად, ეჭვს ქვეშ დააყენოს ქვეყნის ეკონომიკის საერთო გაჯანსაღების საქმეც.

საქართველოში ზოგიერთი კომერციული სტრუქტურის კუთვნილებაში მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსური სახსრების არსებობის მიუხედავად, რომლებიც შეიძლებოდა საინვესტიციო რესურსებად ყოფილიყო გამოყენებული, შეიმჩნევა ქვეყნის შიგნით თავისუფალი კაპიტალის უკმარისობა. ყველაზე მეტად ინვესტიციების დეფიციტი იგრძნობა წარმოებაში, გადამამუშავებელ დარგებში,

რომელთა სწრაფად აღორძინების საუკეთესო პოტენციური შესაძლებლობებია საქართველოში და, ამასთან, წარმოების აღნიშნული სფერო საკმაოდ მიმზიდველია მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.

საინვესტიციო კლიმატის ზოგადი შეფასება, მიუხედავად ქვეყანაში სწრაფად ცვალებადი ეკონომიკური და ფინანსური სიტუაციისა, საშუალებას იძლევა ვილაპარაკოთ ამ სფეროში შენარჩუნებულ შემდეგ ძირითად ტენდენციასზე. მომავლის მიმართ ეკონომიკური პროგნოზირების განუსაზღვრელობის შედეგად, პოტენციური ინვესტორები ამჯობინებენ, არსებული თავისუფალი ფინანსური რესურსები ან მოზიდული თანხები ჩადონ სწრაფად გამოსყიდვისუნარიან კონიუნქტურიან პროექტებსა და ოპერაციებში, უმეტესწილად სავაჭრო-შემსყიდველ და ფინანსურ-საშუამავლო სფეროებში.

მცირე მეწარმეობის საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას შეიძლება ხელი შეეწყოს: საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებით, რომელიც უზრუნველყოფდა მცირე საწარმოთა განვითარებისათვის ხელშემწყობი რეჟიმის შექმნას; მცირე მეწარმეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერებას ისეთი ინვესტიციებით, რომლებიც ფორმირდებიან გეგმიური საბიუჯეტო ანარიცხებით და რეალიზდებიან მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო ფონდების სისტემის ხაზით ცენტრალური და რეგიონული ქსელით. ამასთან, როგორც წესი, დაბრუნებად საფუძვლებზე. საინვესტიციო რეგიონული პროგრამებისა და კონკრეტული სამეწარმეო პროექტების ფინანსირების მექანიზმების დანერგვას, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო სტრუქტურებისა და კომერციული ინსტიტუტების წილობრივ მონაწილეობას (ბანკების, სხვადასხვა ფონდების და ა.შ.); მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის ელემენტების შექმნას.

ცივილურ ქვეყნებში სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს მცირე ფირმების ფინანსური პრობლემების გადაწყვეტაში. კარგი იქნება თუ საქართველოშიც შეიქმნება მხარდაჭერის მსგავსი სისტემა. მაგალითად, „მეწარმეობის მხარდაჭერისა და კონკურენციის განვითარების სრულიად საქართველოს ფონდი“, რომელიც განახორციელებს ურთიერთთანამშრომლობას შესაბამის ფონდებსა და მათ რეგიონულ ფილიალებთან. ფონდები იმოქმედებენ მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პრიორიტეტების საზღვრებში, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი რესურსების ანაზღაურებისა (შეღვათიანი პროცენტით) და დაბრუნებადობის პრინციპებით.

ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს საქართველოს მიერ ტრანსეროვნული ბაზრების განვითარების ტენდენციებისათვის ფეხის აწყობა. შედეგად, საზღვარგარეთული ინვესტიციური პროექტების განხორციელება საშუალებას მოგვცემს, საქართველოს ეკონომიკაში შეიქმნას

მაღალტექნოლოგიური სფეროები, რაც ჩვენი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გარანტიაა.

ეკონომიკური განვითარების მეორე წყარო დაკავშირებულია ინვესტიციების შინაგანი ბაზის გააქტიურებასთან, მათ ეფექტურ გამოყენებასთან.

ხელისუფლებამ ხანგრძლივადიანი ნაციონალური ინტერესების უზრუნველყოფაზე უნდა აიღოს კურსი. ინვესტირების მიმართულებათა არჩევა უნდა განხორციელდეს ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივი ციკლების გათვალისწინებით და ორიენტირება უნდა მოხდეს პერსპექტიული დარგების მხარდაჭერაზე.

აქცენტი უნდა გაკეთდეს საქართველოსთვის ტრადიციულ სფეროებზე – მეღვინეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და მათ ბაზაზე საკონსერვო მრეწველობის განვითარება. ინვესტიციებისათვის მხარდაჭერა და ეკონომიკის ამ სექტორში საგადასახადო შეღავათების დაწესება სახელმწიფოს უკან დაუბრუნდება განვითარებულ, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სფეროებით.

ინოვაციური განვითარების საწყის ეტაპზე, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება მაღალტექნოლოგიური სექტორის ლიზინგური და საიჯარო მექანიზმების გამოყენება. სწორედ ამ სფეროშია ხანგრძლივადიანი მდგრადი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

აუცილებელია მსოფლიო წარმოების წამყვანი ფორმების ბიზნესორგანიზაციისა და ბიზნესმექანიზმების კვლევა-მონიტორინგი და ქვეყანაში არსებული ბიზნესის ეფექტური ფორმების ელიტური შერჩევა. ახალ მენეჯმენტში ინვესტიციები – ესაა ინვესტიციები ადამიანურ რესურსებში, რომლებსაც პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია.

სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ისეთ პროექტებს, რომლებიც პასუხობს და შეესაბამება წარმოებისა და მომსახურების სფეროს სოციალურად მნიშვნელოვან მიმართულებებს (კვების პროდუქტების წარმოება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება და ა.შ.). ამასთან, ასეთი მხარდაჭერის აქცენტები შესაძლებელია განსხვავებულად იქნეს გამოყენებული რეგიონულ ასპექტში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ვაჩნაძე ზ., ნიკაშვილი რ.** ბიზნესის საწყისები. თბ., 2005.
2. **ერქომაიშვილი გ.** ბიზნესის აღმოცენა და განვითარება საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №4, 2003.
3. **ერქომაიშვილი გ.,** მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბ., 2004.

4. მეწარმეობა საქართველოში 2006 წ. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2006.
5. **სამადაშვილი უ.** ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2007.
6. **სისვაძე ა.** როგორ გავხდეთ წარმატებული მეწარმე. ქ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. №6, 2004.
7. **შურღაია თ.** მცირე ბიზნესის გაძღვლის თავისებურებანი. ეკონომიკა, №3-4, 2002.
8. **Шишин С.,** Малое предпринимательство: сущность место и роль. М., 2002.
9. Small business in transition economies. Editid by jacob Levitsk, 1996.
10. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საიტი www.statistics.ge/

Maia Soselia

Tamar Rostiasvili

INVESTMENT MANAGEMENT IN SMALL AND MIDDLE BUSINESS

SUMMARY

Finances in the business are similar to air for the live organism. For launching of the profitable business initial capital is required. Operating firms permanently need the working capital and the entrepreneur permanently pays to cover some costs and therefore, he/she should be aware in the elementary financial management; be able to estimate current and future demand, calculation of total costs and incomes;

Keeping step with the trends of development of the transnational markets by Georgia is one of the most significant sources for economic development. This requires formation of he relevant infrastructure. Some part of the functions will be vested on the transnational structures and the country will gain good opportunity of inflow of the finances. And such investments, as a rule, are directly related to imports of the state-of-the-art technologies and equipment;

Activation of the internal market of investments and their effective use is the source of economic development; orientation towards internal growth implies basically support to those businesses and investment projects, which ensure the mass demand with the high price elasticity. In the conditions of low inflation such projects can ensure rapid growth of production with the high and medium technologies oriented towers the cheap markets;

Poor development of the market infrastructure hinders development of he small-scale business. Well-developed business infrastructure allows for compensation of the controversies between the state governance and self-development of the market;

Formation of the infrastructure should be provided through development of the problems-resources map. This would allow us to clarify the available data and identify the directions for development, which could combine the interests of the partners-investors and capacities of the small business;

Specific forms of infrastructure, degree of their internal competitiveness depend on the specific features of local market. The resources should be studied and based on the obtained results the required organizational forms should be established – exhibition complex, innovations center, mutual credit association, nongovernmental pension fund for small business

*ტყეშელაშვილი გოდერძი
ბოჭორიძე ლელა*

ინვესტიციების ეფექტიანობის ბამოთვლის საკითხისათვის

საქართველოს ეკონომიკა არასახარბიელოდ გამოიყურება როგორც ინდუსტრიულ სახელმწიფოთა ეკონომიკებთან მიმართებაში, ასევე მისი 20-25 წლის წინანდელ მდგომარეობასთანაც კი. ეკონომიკური ჩამორჩენილობის დასაძლევად აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა როგორც უცხოეთიდან, ასევე ადგილობრივი წყაროებიდან. ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების მოსაზიდად წარდგენილი წინადადებების და პროექტების ეკონომიკურ დასაბუთებას და მის შესაბამისობას რეალურ მდგომარეობასთან. ამიტომ, პროექტების ეკონომიკური დასაბუთების პარამეტრები, ერთი მხრივ, მიმზიდველი უნდა იყოს პოტენციური ინვესტორისათვის და, მეორე მხრივ, რაც შეიძლება მიახლოებული უნდა იყოს მოსალოდნელ ფაქტობრივ ეკონომიკურ ეფექტიანობასთან.

ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისათვის პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება აბსოლუტური და შეფარდებითი ეკონომიკური ეფექტის მაჩვენებლები. ისინი ზოგადი მახასიათებლებია და ამომწურავად ვერ ასახავენ ამა თუ იმ პროექტის უპირატესობებს სხვა ანალოგიურ პროექტებთან მიმართებაში. ამიტომ, კვალიფიციური დახასიათებისათვის გამოიყენება ე.წ. პირობით-წლიური ეკონომიკური ეფექტი. მას აქვს შემდეგი სახე [1,2]:

$$E_{\text{პ.წ.}} = W_{\text{წ}} - W_{\text{კ}} = (C_{\text{წ}} - C_{\text{კ}}) - E_N (K_{\text{წ}} - K_{\text{კ}}) = \Delta C - E_N \cdot \Delta K$$

სადაც, $W_{\text{წ}}$ და $W_{\text{კ}}$ არის შესაბამისად დაყვანილი დანახარჯები საბაზო-შესადარი და ახალი საინვესტიციო ვარიანტებისათვის;

$C_{\text{წ}}$ და $C_{\text{კ}}$ – პროდუქციის თვითღირებულებები, შესაბამისად საბაზო-შესადარი და ახალი საინვესტიციო ვარიანტებისათვის;

$K_{\text{წ}}$ და $K_{\text{კ}}$ – ინვესტიციების მოცულობები იმავე ვარიანტებისათვის;

ΔC – თვითღირებულების (დანახარჯების) ეკონომიის სიდიდე;

ΔK – დამატებითი ინვესტირების მოცულობა;

E_N – ეფექტიანობის ე.წ. ნორმატიული კოეფიციენტი [1].

აღნიშნულ ტოლობაში წინააღმდეგობრივია ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი – E_N , რამდენადაც ის დგინდება დარგობრივად. მშენებლობაში და მეტალურგიაში ტოლია 0.12-ის, მანქანათმშენებლობაში – 0.15-ის, მსუბუქ და კვების მრეწველობაში – 0.20-ის და ა.შ. ასეთი მიდგომა გამართლებული იყო ეკონომიკის ცენტრალიზებული, მართვის პირობებში და კოეფიციენტიც ცენტრალიზებულად დგინდებოდა. დღეისათვის კი თავისუფალი ეკონომიკის და თავისუფალი სამეწარმეო აქტივობის გამო, ამ კოეფიციენტის ცენტრალიზებულმა-ნორმატიული წესით დადგენამ აზრი დაკარგა, თუმცა აღნიშნული კოეფიციენტის სიდიდეები ინერციით ძალიან ხშირად გამოიყენება პროექტების ეკონომიკური დასაბუთებისას და შემოქმედ ინჟინერთა ნამუშევრების ეკონომიკური ეფექტიანობის საილუსტრაციოდაც.

“ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტის” დანიშნულებაა დანახარჯების სიდიდის პირობითად გაზრდა იმ დოზით, რომლებსაც ინვესტიცია, იგივე კაპიტალი, მოუტანდა მის მფლობელს, თუ მოცემულ ინვესტიციას არ განახორციელებდა. ამიტომ აქ ამოსავალი უნდა იყოს იმ საბანკო ანაბრის პროცენტის მინიმალური მოცულობა, რომელსაც ადგილი აქვს მოცემული ქვეყნის, ან რეგიონისათვის და სადაც დეპოზიტზე თანხის განთავსება მაქსიმალურად დაზღვეული იქნება. საქართველოში დღეისათვის ვადიანი ანაბრის საპროცენტო განაკვეთი 8-12 პროცენტით განისაზღვრება. შესაბამისად, საქართველოს პირობებისათვის ეფექტიანობის ნორმატიული კოეფიციენტი $E_N = 0.08 \div 0.12$ -ს. ასეთი მიდგომა სამართლიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინვესტირების წყარო ქართული წარმომავლობისაა.

უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად კი გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ქვეყნებში არსებული საბანკო დეპოზიტის განაკვეთები. ევროკავშირის, აშშ-ს, იაპონიის და სხვა განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოების ანაბრების პროცენტული სარგო გაცილებით დაბალია. მაგალითად, ევროკავშირის სახელმწიფოებში იგი მერყეობს 2-4 პროცენტის ფარგლებში, ხოლო აშშ-სა და იაპონიაში – 1-2 პროცენტის ფარგლებში. ასეთი დაბალი პროცენტი მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და მისი დაძლევისათვის სახელმწიფოების მხრიდან გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიწვია. მაგალითისათვის, აშშ-ს ბანკების სარეზერვო სისტემამ კომერციულ ბანკებზე გასაცემი კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დაწია 0.25%-მდე, ბუნებრივია, ამან გამოიწვია კომერციულ სტრუქტურებზე გასაცემი სესხების საპროცენტო განაკვეთის დაწვევაც.

რამდენადაც საქართველოში კრედიტების საპროცენტო განაკვეთები რამდენჯერმე აღემატება განვითარებულ სახელმწიფოებში ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო პირობით-წლიური ეფექტის სიდიდე პირდაპირპროპორციულად იცვლება (მცირდება) საპროცენტო

განაკვეთის შესაბამისად, უცხოელი ინვესტორებისათვის ამ გზით გამოთვლილი ეფექტი ნაკლები იქნება სხვა თანაბარ პირობებში განვითარებულ სახელმწიფოებში ანალოგიურ მაჩვენებლებზე. ამიტომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საპროცენტო განაკვეთის დაწვევისათვის პირობების შექმნაზე, კერძოდ, გაატაროს ინდუსტრიულ სახელმწიფოებში არსებული მსგავსი ღონისძიებები.

ასეთი მიდგომა ეფექტიანობის დასაბუთებისათვის ქართველ მეწარმეებს შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, რადგანაც აიოლებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ეკონომიკური დასაბუთების პროცესს.

წინააღმდეგობრივი ხასიათისაა ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში დანახარჯების მიყვანის კოეფიციენტიც, რომელიც განისაზღვრება ტოლობით [3,4]:

$$K_{მოყ.} = (K + E_N)^T,$$

სადაც K არის ინვესტიციის მოცულობა;

T – იმ დროის პერიოდი წლებში, რომელიც საჭიროა ინვესტიციების გამოყოფიდან მიზნის მიღწევამდე, ანუ პროექტის სრულად ამოქმედებამდე.

ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ დანახარჯების, თუნდაც უკვე კორექტირებულის T წლების მიხედვით, ხარისხში აყვანა არასწორ შედეგს იძლევა და იგი უნდა გამოიხატოს წლების მიხედვით გამოყოფილი ინვესტიციების უქმად დაყოვნების ჯამის სახით, ანუ გვექნება ტოლობა:

$$K = \sum_{i=1}^T (K_i + E_N K_i) = \sum_{i=1}^T K_i (1 + E_N)$$

აღნიშნულ ტოლობაში K_i – ინვესტიციების გამოყოფის i -ური წელია, ხოლო T – საინვესტიციო პროექტების სრულად ამოქმედების პერიოდი წლებში. ასეთი მიდგომა უფრო აზუსტებს ინვესტიციების განხორციელებით მიღებული ეფექტიანობის სიდიდეს და შედარებით ზუსტად ასახავს პროექტში ჩადებული ინვესტიციების უმოქმედობით მიღებულ ზარალს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მრავალწლიანი, მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხორციელება რამდენიმე წელს მოითხოვს და საქართველოსთვის ასეთი ინვესტიციები უაღრესად საჭიროა, რამდენადაც ჩვენთან პრობლემაა ინვესტირება სამეწარმეო ბიზნესში, მათ შორის მანქანათმშენებელ დარგებში.

1. Методика определения экономической эффективности новой техники. М., 1967.
2. **Ковалев А.П.** Экономическая эффективность новой техники в машиностроении. М., 1978.
3. **Смирницкий Е.К.** Экономические показатели промышленности М., 1980.
4. **Бачурин А.В.** и др. Экономика и организация промышленного производства. М., 1987.

Goderdzi Tkeshelashvili
Lela Bochoidze

TO A QUESTION OF CALCULATION OF EFFICIENCY

SUMMARY

In article considered one out of important problem adjectives economics effectiveness tangent normative coefficient efficiency and bringing expenditure to single moment time. Offer substitute normative coefficient percentage rate deposits and investment costs correct by properly summation size investment to years.

ნინო ფარესაშვილი

გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე ტექნოლოგიები

გადაწყვეტილების მიღება სამმართველო შრომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა. თანამედროვე ორგანიზაციებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რაც შეიძლება მართებული და ეფექტიანი იყოს. ეს საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, მიაღწიონ თავიანთ მიზნებს, შეიმუშაონ და დააფუძნონ საქმიანობისა და კონტროლის მოქნილი სისტემები. გადაწყვეტილების მიღება არის მეთოდი, გზა, რომელმაც მიზნის განხორციელებასთან უნდა მიგვიყვანოს. მართვის ცნობილი სპეციალისტი ჰარისონი გადაწყვეტილებას განსაზღვრავს, როგორც ალტერნატივების შეფასების მიმდინარე პროცესის სპეციფიკურ მომენტს, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, ე. ი. გადაწყვეტილება შეიძლება განვიხილოთ, როგორც შერჩევის პროცესის მომენტი.

განუზომელია ინფორმაციის როლი მეცნიერების ნებისმიერ დარგში, მაგრამ მას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მენეჯმენტში. როგორც ცნობილია, მართვა არის ინფორმაციული პროცესი, ე. ი. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი დანიშნულების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ობიექტების მართვა.

ზოგადი სახით მართვა – ეს არის მმართველი სისტემის სამართავ სისტემაზე მიზანდასახული ზემოქმედების პროცესი, რომლის დროსაც წარმოებს სამართავი სისტემის გადაყვანა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, წინასწარ შემუშავებული მიზნების შესაბამისად, მართვის კრიტერიუმებიდან გამომდინარე. სამართავ და მმართველ სისტემათა ერთობლიობა ქმნის მართვის სისტემას. მართვის სისტემის ნორმალური ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ საკმარისი ინფორმაციული უზრუნველყოფის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ტექნიკური საშუალებების საფუძველზე დამუშავებულ შეტყობინებათა ერთობლიობას, გამოხატულს მაჩვენებლებში ან სხვა სახის ინფორმაციულ ერთეულებში. მართვის სისტემის ინფორმაციული უზრუნველყოფის მოთხოვნილების საფუძველს წარმოადგენს სამართავი სისტემის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დროული შეგროვება, გადაცემა და დამუშავება. ამ შემთხვევაში წინასწარ განისაზღვრება დროის ინტერვალი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს მონაცემების შეგროვება, დამუშავება და საშედეგო ინფორმაციის მმართველი სისტემისადმი მიწოდება. მმართველი სისტემა მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოიმუშავებს მმართველობით გადაწყვეტილებას და დაიყვანს მას უშუალო შემსრულებლამდე. რამდენადაც მმართველი სისტემისადმი მიწოდებული ინფორმაცია სამართავი ობიექტის პარამეტრების მდგომარეობის შესახებ არის რეალური, იმდენად მმართველი სისტემის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება ოპტიმალური.

ყველაზე მარტივი გადაწყვეტილების მიღებაც კი გარკვეული ინფორმაციის მიღებას, გადამუშავებას, შენახვასა და გადაცემას ემყარება. ცნობილი მეცნიერის რობერტ ვინერის სიტყვებით, ყოველი ორგანიზმი თავის მთლიანობას იმის წყალობით ინარჩუნებს, რომ აქვს ინფორმაციის მიღების, გამოყენების, შენახვისა და გადაცემის საშუალებები.

მართვის პროცესში მიღებული და გადამუშავებული ინფორმაცია შეიძლება დახასიათდეს ხარისხით, რაოდენობით და ნაკადით. ინფორმაციის ხარისხი მის სიზუსტეს, დეტალურობასა და სანდოობას ნიშნავს.

ინფორმაციის რაოდენობა მონაცემთა ის რაოდენობრივი, მოცულობითი ოპტიმუშია, რომელიც აუცილებელია მართვის ამა თუ იმ ფუნქციის განსახორციელებლად.

ინფორმაციის ნაკადი ორგანიზაციული სისტემის ცალკეულ რგოლებსა და ქვედანაყოფებში მისი გავლის განსაზღვრული თანმიმდევრობაა ინფორმაციის ფორმირებიდან და მისი დამუშავებიდან, მოცემული ორგანიზაციის გარეთ გადაცემამდე.

მენეჯმენტის სისტემაში მოძრავი ინფორმაციის სისტემატიზაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: წარმოების წესის მიხედვით

განასხვავებენ პირველად და წარმოებულ ინფორმაციას. პირველადი ინფორმაციაა, რომელიც ან მოცემულ სისტემაშია წარმოშობილი, ანდა გარედანაა მიღებული და ამოსავალ მონაცემებს შეიცავს მუშაობის შემდგომი ეტაპებისათვის. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფირმაში შექმნილი ნახაზები, ტექნოლოგიური რუკები, გარედან მიღებული წერილები, ცნობარები და სხვა. რაც შეეხება წარმოებულს, ესაა სხვადასხვა მიზნით პირველადი ინფორმაციის გამოყენება-გადამუშავებით მიღებული ინფორმაცია. ინფორმაციის მოცულობას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ წარმოებულ ინფორმაცია ზრდის.

ინფორმაციის ყოველ სახეს თავისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეები აქვს. მაგალითად, დაწერილი ან დაბეჭდილი ინფორმაცია აზრს უფრო მოკლედ და ზუსტად გამოხატავს, მაგრამ აქ მხოლოდ ერთმხრივ კავშირთან გვაქვს საქმე. ზეპირი ინფორმაცია მის მიმღებს საშუალებას აძლევს, დასვას შეკითხვები, კომენტარი გაუკეთოს ინფორმაციას, იმსჯელოს მის ცალკეულ ასპექტებზე და სხვა.

ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია ინფორმირებულობის დონე, მით უფრო ეფექტიანი და ხარისხიანია მიღებული გადაწყვეტილებები, მთელი სამართველო შრომის პროცესი. ამასთან, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ წერილობითი და ზეპირი ინფორმაციის ზომაზე მეტი რაოდენობა კომუნიკაციის გადატვირთვას, აქედან გამომდინარე, შეფერხებებსა და ხარისხის რაოდენობით შეცვლას იწვევს.

სწორედ ამიტომ, ყველა ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს მიღებული და გადასაცემი ინფორმაციის აუცილებელი, ოპტიმალური რაოდენობა და რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს უახლესი ტექნიკური საშუალებები.

ნებისმიერი სისტემა, მათ შორის ეკონომიკური ხასიათის, საჭიროებს მართვას. ამდენად, ასეთ სისტემებს მართვის სისტემები ეწოდება. ნებისმიერი მართვის სისტემა ზოგადად შეიძლება განვიხილოთ, როგორც მმართველი და სამართავ ქვესისტემათა ერთობლიობა. ვინაიდან მართვა არის ინფორმაციული პროცესი და გულისხმობს მმართველი სისტემის სამართავ ქვესისტემაზე მიზანდასახულ ზემოქმედებას, ამიტომ მმართველ სისტემას მართვის განხორციელება შეუძლია მხოლოდ უკუკავშირის საშუალებით, სამართავი ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

მმართველ და სამართავ ქვესისტემებს შორის კავშირის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციული სისტემის საშუალებით. ამრიგად, მართვის პროცესი გულისხმობს მონაცემების მიღებას სამართავი ობიექტის შესახებ, მისი დამუშავებისა და დამუშავებული მონაცემების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას.

მართვის სისტემას უნდა გააჩნდეს შესაბამისი ინფორმაციული უზრუნველყოფა, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მმართველი სისტემის მოთხოვნილება.

ნებისმიერი დანიშნულების სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განხორციელება შეუძლებელია ამ სისტემის მას-ის შექმნის გარეშე, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა მართვის სისტემის უზრუნველყოფა ინფორმაციული ბაზით, რომელიც საინფორმაციო სისტემის შემადგენელი ნაწილია. საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება არა მარტო სასურველი ინფორმაციის მოძებნა (საინფორმაციო-საძიებო სისტემა), არამედ მონაცემების დამუშავება და საოპტიმიზაციო ამოცანების ამოხსნა. ამრიგად, საინფორმაციო სისტემამ უნდა მოიცვას როგორც საინფორმაციო საძიებო, ასევე საცნობარო გამომთვლელი სისტემები.

ისეთ სისტემებში, სადაც მართვა წარმოებს ხელით, ინფორმაციის მოძებნა და დამუშავებაც ხორციელდება ხელით, ასეთ სისტემებში მართვის პროცესი არ ატარებს ოპტიმალურ ხასიათს. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანის შესაძლებლობანი ინფორმაციის აღქმისა და დამუშავების სფეროში შემოსაზღვრულია. ამდენად, დასამუშავებელი რჩება ინფორმაციის დიდი ნაწილი. არასრული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება არ არის ოპტიმალური. სწორედ აღნიშნული ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ეგმ-ის ბაზაზე იქმნება მართვის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც წარმოადგენს ეგმ-ის ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების, ინფორმაციის მოხსნის, რეგისტრაციის, გადაცემის, შენახვის, მოძებნისა და გამარაგების მოწინავე ტექნიკურ საშუალებათა ერთობლიობას, რომლის დროსაც მიიღწევა ოპტიმალური მართვა.

თუ საინფორმაციო სისტემაში გათვალისწინებულია მხოლოდ ინფორმაციის მოძებნა, მაშინ ასეთ სისტემას საინფორმაციო საძიებო სისტემა ეწოდება. ხოლო, თუ ამ სისტემაში დამატებით წარმოებს ინფორმაციის დამუშავებაც, მაშინ – საცნობარო გამომთვლელი. გარდა ზემოთ აღნიშნული კომპონენტებისა, საინფორმაციო სისტემა მოიცავს სხვადასხვა პროცედურებს (მართვის, შექმნის, განახლების, მოძებნის, გამომთვლებისა და სხვა). საინფორმაციო სისტემები, მასში დაფიქსირებული ინფორმაციის მოძებნის წესის მიხედვით, იყოფა: მექანიკურ, ელექტრო-მექანიკურ და ელექტრონულ, ანუ ავტომატიზებულ სისტემებად.

მართვის ავტომატიზებული სისტემები წარმოადგენს მაღალი დონის საინფორმაციო სისტემებს. აღნიშნულ საინფორმაციო სისტემას გააჩნია შემდეგი სახის უზრუნველყოფილი ქვესისტემები: ინფორმაციული, ტექნიკური, პროგრამული, მათემატიკური, სამართლებრივი, ლინგვისტური და ორგანიზაციულ-ერგონომიკური.

ინფორმაციული უზრუნველყოფის ქვესისტემა მოიცავს: ობიექტის მართვისათვის საჭირო მანვენებლებს; საწყისი და საშედეგო ინფორმაციის მატარებლებს; ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის კლასიფიკატორებს და კოდოფიკატორებს; ინფორმაციული მასივების ერთობლიობას და სხვადასხვა დანიშნულების საინსტრუქციო-მეთოდოლოგიურ მასალებს.

ტექნიკური უზრუნველყოფა მოიცავს: ინფორმაციის შეგროვების, რეგისტრაციის, გადაცემის, გამრავლების და დამუშავების ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსს, რომელთა შორის ცენტრალური და განმსაზღვრელი ადგილი უკავია ეგმ-ს.

მართვის ავტომატიზებული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა მოიცავს: საერთო სისტემურ და სპეციალური დანიშნულების პროგრამებს. საერთო სისტემურ პროგრამებს მიეკუთვნება ისეთი პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს გამოთვლითი პროცესების ორგანიზაციას ან გამოიყენება ხშირად განმეორებადი ამოცანების გადასაწყვეტად. მათი დანიშნულებაა ეგმ-ის ფუნქციური დანიშნულების გაფართოება, მონაცემთა დამუშავებისა და კონტროლის პროცესების მართვა, სამუშაოთა შესრულების რივის დაგეგმვის ავტომატიზაცია და პროგრამათა შემუშავების ავტომატიზაცია.

სპეციალური პროგრამები წარმოადგენს იმ პროგრამათა ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფს კონკრეტული მართვის ავტომატიზებული სისტემების ფუნქციური ქვესისტემების ამოცანათა კომპლექსების გადაწყვეტას. სპეციალურ პროგრამებში შეიტანება აგრეთვე გამოყენებით პროგრამათა პაკეტები.

მათემატიკური უზრუნველყოფა მოიცავს ინფორმაციის დასამუშავებლად გამოყენებულ მათემატიკურ მეთოდებს, მოდელებსა და ალგორითმებს.

მართვის ავტომატიზებული სისტემების სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც რეგლამენტირებს მართვის ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონირების იურიდიულ სტატუსსა და სამართლებრივ ურთიერთობებს.

ლინგვისტური უზრუნველყოფა მოიცავს: მონაცემთა ბაზის ინფორმაციის ერთეულების (დოკუმენტი, მანვენებელი, რეკვიზიტი და სხვა) სტრუქტურის აღწერისათვის გამოყენებულ ენებს, საინფორმაციო-საძიებო სისტემების ენობრივ საშუალებებს, სპეციალური დანიშნულების დიალოგურ ენებს და მართვის ავტომატიზებული სისტემების შემუშავებისას გამოყენებული ტერმინებისა და განსაზღვრებების სისტემას.

მართვის ავტომატიზებული სისტემების ორგანიზაციული უზრუნველყოფა მოიცავს: მართვის ამოცანების დასმას, დასმულ

ამოცანათა გადასაწყვეტად გამოყენებული ტექნიკური საშუალებებისადმი წაყენებულ მოთხოვნათა ჩამოყალიბებას, მართვის სისტემების ანალიზსა და მისი ეფექტიანობის ამოღების მიმართულებების ჩამოყალიბებას, იმ დოკუმენტთა ერთობლიობას, რომელთა საფუძველზედაც წარმოებს მართვის ავტომატიზებული სისტემის პერსონალის საქმიანობის რეგლამენტირება და სხვა.

მართვის ავტომატიზებული სისტემების ერგონომიკური უზრუნველყოფა წარმოადგენს იმ მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობას, რომელთა დანიშნულებაა მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ადამიანს შეუქმნას ოპტიმალური პირობები მაღალეფექტიანი და უშეცდომო საქმიანობისათვის.

ინფორმაციული უზრუნველყოფის მნიშვნელოვან საშუალებას თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოადგენს. დიდი ხანია რაც პერსონალური კომპიუტერი ინფორმაციის აკუმულაციისა და შემდგომი გავრცელების საშუალებად იქცა. თანამედროვე საქმიან სამყაროში ელექტრონული ფოსტა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ახალი სატელეფონო ხელსაწყოები და მოწყობილობები საშუალებას იძლევა მრავალ რესპონდენტთან დამყარდეს ერთდროულად კავშირი. ვიდეოკონფერენცია სხვადასხვა კონტინენტებზე მოღვაწე ადამიანის დაკავშირების საშუალებას იძლევა.

ჩვენ მიერ განხილული გადაწყვეტილების მიღების მოდელი ასახავს ფართო კლასის ეკონომიკური შინაარსის მატარებელ მიწოდებათა თავისებურებებს. მათი თავისებურებები, ალტერნატივათა მრავალი შეფასებებიდან (კრიტერიუმებიდან), შესაძლებელია დაიყვანოთ სამამდე: ალტერნატივის არჩევის პოზიტიური შედეგები; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ასეთ არჩევანთან და საანგარიშო შედეგების მიღწევის ალბათობა. ამგვარი ამოცანებისათვის წარმოდგენილია ანალიზისა და შემოთავაზებული ალტერნატივების მოწესრიგების სქემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ ისეთი ფაქტორები, როგორცაა სუბიექტის რისკისადმი მიდრეკილება, მისი წარმოდგენა არჩევანის პირობებსა და ხარჯების „რენტაბელობაზე“ და დავალაგოთ ეს ფაქტორები იმის მიხედვით, თუ რომელს ანიჭებს პიროვნება უპირატესობას. შემოთავაზებული სქემა, გავრცელებული მიდგომებისგან განსხვავებით, საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ის კრიტერიუმები, რომლებსაც უპირატესობას ვანიჭებთ და ხშირად ვიყენებთ არჩევანის პრაქტიკულ ამოცანებში. რეკომენდებულია, რომ არჩევანის ამოცანის ფორმირებისას, ალტერნატივათა ციფრობრივი შეფასებებიდან გადავიდეთ კრიტერიუმების არსის სარგებლიანობის შეფასებებზე. ეს გვაწვდის დამატებით ინფორმაციას თავისებურებების თანაფარდობასა და ალტერნატივების უპირატესობებზე წარმოდგენების შესახებ.

აღტერნატივების არჩევისა და მოწესრიგების შემოთავაზებული საერთო სქემა რეალიზებულია კონსტრუქციული პროცედურის სახით, რომელიც ეკონომიკური ამოცანებისათვის ისეთ ბუნებრივ განსაზღვრებებს იყენებს, როგორცაა: საანგარიშო შედეგების, ხარჯების ან აქტივების მიღების ალბათობის საბოლოო შედეგების შეფასება; პოზიტიური შედეგები და ხარჯების რენტაბელობა.

აღტერნატივების არჩევანის (მოწესრიგების) მოცემულ პროცედურაში გამოიყენება მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის თეორიათა ინსტრუმენტები: ვექტორული კრიტერიუმების „შეხვევის“ (შედეგების) მეთოდები, პარეტოპტიმალური გადაწყვეტილებები, „მრუდე გულგრილობანი.“ უკანასკნელნი პირველად გამოიყენება პარეტო-ოპტიმალური გადაწყვეტილებების უპირატესობის მიხედვით მოწესრიგებაში. გადაწყვეტილების უპირატესი ვარიანტების გამოყოფის ალგორითმის არსი გამოიყენება აღტერნატიული ინვესტიციური პროექტების (სახსრების ჩადების მიმართულება) არჩევისას. მეცნიერების მიერ წამოყენებულია თეზისი იმის შესახებ, რომ მოულოდნელობის ფაქტორთა მოქმედება, კერძოდ კი აღტერნატივების შეფასების უზუსტობა, ნაპოვნი გადაწყვეტილებების სიმტკიცის ანალიზს აუცილებელსა და მნიშვნელოვანს ხდის. ამ მეთოდის გამოყენება, მომწოდებელთა რაციონალური არჩევის ხარჯზე, საშუალებას მისცემს საწარმოს, მიიღოს ეკონომიკური ეფექტი

Paresashvili Nino

STATE OF THE ART TECHNOLOGIES OF DECISION MAKING

SUMMARY

The article considers the state-of-the-art technologies of decision-making, allowing the organizations to achieve of their goals, develop and establish flexible systems of operation and control.

Role of information in any branch of science is indeed great and it is of special significance in management. Proper operation of the management systems is possible only on the basis of availability of adequate information, what implies set of notifications, processed on the basis of technical means, expressed in indicators or other information units.

Work is focused on both, positive and negative aspects of information required for decision-making. It emphasizes the role of the state-of-the-art technologies, mainly personal computers, e-mail, new telephone facilities and videoconferences in collection of information.

**საწარმო საბრუნავი კაპიტალის შიშვალბენლობა, მართვის
სტრუქტურა და ლობისტური სისტემები**

საბაზრო ეკონომიკა დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის ყველაზე ეფექტიანია. საქართველოში ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევა ვერა და ვერ მოხერხდა, ამის ერთ-ერთ არსებით მიზეზად უნდა მივიჩნიოთ იმ ნაცადი ინსტრუმენტების იგნორირება, რომლის რეალიზაციის დიდი გამოცდილება გააჩნიათ განვითარებულ ქვეყნებს, სადაც ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სამეცნიერო კვლევით სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ პროცესზე. ისეთ მაღალგანვითარებულ ბიზნესის ქვეყანაშიც კი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, მთავრობამ შექმნა სპეციალური ორგანიზაცია, მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (U.S. Small Business Administration), რომელიც ახლად შექმნილ ფირმებს ეხმარება სიძნელეების დაძლევაში. ამ ორგანიზაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს სასწავლო-საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარება ახალბედა თუ უკვე ფუნქციონირებელი ბიზნესმენებისათვის.

ამერიკაში გაგრძელებული გამონათქვამების მიხედვით, ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმოადგენს, მის კუნთებს მცირე ფირმები ქმნის. უკანასკნელ წლებში მცირე ბიზნესის ფირმებს ამერიკული ეკონომიკის ტრენსაც კი ადარებენ.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმის მნიშვნელოვან ასპექტს უნდა წარმოადგენდეს წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებთან შეგუების მიზნით და ამის საფუძველზე, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამრეწველო პოლიტიკის და სხვა ამოცანების გატარება.

საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციების დადგენის საფუძველზე, მისი ძირითადი მიმართულების შემუშავება განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს ჩართვის ხარისხს, რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს აწმყოცა და მომავალიც.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელი პრიორიტეტების განსაზღვრისას ამოსავალი უნდა იყოს მრეწველობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა; საექსპორტო პროდუქციის შექმნა და გასაღება; სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი;

კვალიფიციური მუშახელის გამოყენება; ინოვაციური მიმართულებების – მარკეტინგის, მენეჯმენტის, ლოჯისტიკური სისტემების დანერგვა მცირე საწარმოებსა და მსხვილ კომპანიებში.

განვითარებული ქვეყნების არც ერთი საწარმო, წინასწარი პროგნოზირებისა და დაგეგმვის გარეშე მუშაობას არ დაიწყებს, თანაც მონაცემები მრავალჯერ არის შესწავლილი და შემოწმებული (ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი პირუკუ ხდება).

ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია საწარმოების ეფექტიანად დაგეგმვა და ფუნქციონირება. საწარმოს ეფექტიანი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფის ხარისხზე. არასაკმარისი მოცულობის საბრუნავი საშუალებების პირობებში შეუძლებელია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგების საკმარის რაოდენობით შექმნა, ეს თავის მხრივ, ამცირებს წარმოების მოცულობას და, პირიქით, ზედმეტი მარაგების პირობებში წარმოების პროცესში მათი არაეფექტიანი ხარჯვა ხდება, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბრუნავი საშუალებების სწორად განსაზღვრას, ნორმირებას.

საქმის დაწყებამდე, აუცილებელია, ზუსტად მოიფიქრო თუ რა, როგორი მეთოდით, რა ვადით, რა საბრუნავი საშუალებების დახმარებით არის შესაძლებელი ამის გაკეთება. ნებისმიერი სახეობის საქმიანობისათვის მთავარი არის მიზნის მიღწევა და საქმიანობის შესრულების მეთოდები, ზუსტად ასეთ სტადიას შეიძლება მივაკუთვნოთ საწარმოს საბრუნავი აქტივების დაგეგმვა. საბრუნავი აქტივების მიზანმიმართული მართვა განსაზღვრავს მისი წინასწარი კლასიფიკაციის აუცილებლობას, რომელიც აიგება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: ფინანსური წყაროების ფორმირება; საბრუნავი აქტივების სახეები; საოპერაციო პროცესში მონაწილეობა; საბრუნავი აქტივების ფუნქციონირება პერიოდების მიხედვით.

საბრუნავი საშუალებები წარმოადგენს უფრო მოძრავი აქტივების ნაწილს. ყოველ წლებრუნვაში საბრუნავი საშუალებები სამ სტადიას გადის – ფულად, წარმოებითსა და სასაქონლოს. პირველ სტადიაზე წარმოების ფულადი საშუალებები საწარმოში იხარჯება ნედლეულის, მასალებისა და საწვავის შესაძენად, მეორე სტადიაზე წარმოების მარაგები იცვლება არასრული წარმოებითა და მზა პროდუქციით. მესამე სტადიაზე ხდება პროდუქციის რეალიზაციის პროცესი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბრუნავი კაპიტალის სიდიდე და შემადგენლობა დარგთან დამოკიდებულებით განისაზღვრება, ზოგიერთი სახეობის ბიზნესში საბრუნავი კაპიტალის ინვესტიციები შეიძლება იყოს საგრძნობლად მნიშვნელოვანი, მაგ., მრეწველობაში დიდი თანხები ჩაიდება ნედლეულში, დაუმთავრებელ წარმოებასა და მზა პროდუქციის მასალებში. ხშირად ხორციელდება პროდუქციის

გაყიდვა კრედიტით, რაც განაპირობებს დიდი როდენობის დებიტორული დავალიანების წარმოქმნას.

საბრუნავი კაპიტალის მარაგების მოცულობის განსაზღვრისა და შენარჩუნებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია გაყიდვების მოცულობის პროგნოზირება. პროგნოზი უნდა დაამუშავდეს კომპანიის თითოეული სახეობის პროდუქციაზე. კლასიფიკაციებისა და ლოგისტიკური სისტემის ანალიზის საფუძველზე. ვარაუდი უნდა იყოს, რაც შეიძლება ზუსტი, რადგანაც ის განსაზღვრავს მომავალ შეკვეთებსა და წარმოების მოცულობას.

ჩვენს ქვეყანაში ლოგისტიკის ცალკეული კვლევები და მართვის მეთოდები მწირი ოდენობით წარმოებს. ლოგისტიკა ახალი მეცნიერული მიმართულებაა, რომლის კვლევის საგანია მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების მართვა. აუცილებელია აღინიშნოს რომ ლოგისტიკის თეორიის კომპლექსური, სრულყოფილი გამოყენება მიიღწევა მხოლოდ ეკონომიკური განვითარებისა და აზროვნებითი პროგრესის გარკვეულ სტადიაზე. ლოგისტიკის განვითარება ქვეყნის სხვადასხვა დარგებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. თანამედროვე პირობებში როგორც საწარმოს მენეჯერთა, ასევე მეცნიერთა მხრიდან დიდ ინტერესს იწვევს ლოგისტიკის განვითარების დანერგვა. თუ გავითვალისწინებთ მომარაგების, წარმოების, გასაღების ფაქტებს, მათი კომპლექსური გაანალიზებით მიიღწევა ერთიანი სისტემა, რომელიც სრულიად პასუხობს ლოგისტიკურ მოთხოვნებს.

საწარმოო ლოგისტიკა მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური რესურსების მართვის ორგანიზაციასთან (საბრუნავი საშუალებებიდან მზა პროდუქციამდე). ლოგისტიკური სისტემის ნებისმიერი ფორმა გამოსადეგია მხოლოდ განსაზღვრულ სიტუაციაში და შესაბამისი მიზნების მისაღწევად. საწარმოებში, სადაც ლოგისტიკური სისტემებით ხდება საბრუნავი კაპიტალის დაგეგმვა, პროდუქციის წარმოება, საქონლის თვითღირებულება ნაკლებია, ვიდრე მის გარეშე. ზუსტად ამიტომ, ლოგისტიკის გამოყენება დაიწვეს ნაკადების უფრო ეფექტური მოხმარებისათვის.

ლოგისტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასახავს სუბიექტების საერთო სტრატეგიას და ტაქტიკას, ამასთან, ფირმებისა და საწარმოების სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს მომხმარებელზე. მისი მთავარი მიზანი არის შესაბამისი ხარისხის და როდენობის პროდუქციის მიწოდება ზუსტად დროზე, მომარაგების, დასაწყობების, წარმოების, შეფუთვის, ტრანსპორტირების, გასაღების, ინფორმაციის მიღების, გადაცემის, დანახარჯების მინიმიზაციის პირობებში.

რეალური ლოგისტიკური სისტემის ფუნქციონირება ხასიათდება რთული ეკონომიკური კავშირების არსებობით, როგორც სისტემის

შიგნით, ასევე მისი დამოკიდებულებით გარე გარემოსთან. ამ შემთხვევაში ნაწილობრივი გადაწყვეტილებების მიღება, სისტემის ფუნქციონირების საერთო მიზნებსა და მასზე წაყენებული მოთხოვნების გარეშე, შეიძლება აღმოჩნდეს არასაკმარისი და მცდარიც კი. ლოგისტიკური სისტემის ფორმირებისას გასათვალისწინებელია როგორც სისტემის შიდა – მიკროგარემო, აგრეთვე გარე – მაკროგარემოს ფაქტორები. ძირფესვიანი და ხარისხიანი ლოგისტიკური ანალიზი ეფექტურად არკვევს მიზანსა და ამოცანებს. აქედან გამომდინარე, სისტემური ანალიზი გამოიყენება, როგორც მარკეტინგული იარაღი, რომელიც გვრთავს ნებას, ავირჩიოთ და დავეყრდნოთ ბაზრის მომხმარებელთა ინტერესებს. მოგება არის ერთი პარამეტრი, რომელსაც შეუძლია შეკრას მთელი ლოგისტიკური სისტემა, ყველა ცვალებადობა, ნიუანსები და სიტუაციები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სამრეწველო უსაფრთხოების თანამედროვე ეტაპზე სერიოზულია შემდეგი საშიშროებანი: წარმოების დაცემა და ბაზრების დაკარგვა; საგარეო ვალის ზრდა; ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა; მონოპოლიზაციის მაღალი დონე; მოსახლეობის მასიური ემიგრაცია; შიდა ბაზრიდან მეწარმეთა გამოდევნა უცხოური ფირმების მიერ; ექსპორტის ჩამორჩენა და სხვ.

ყოველივე ეს ქვეყნის ეკონომიკაში ზრდის რისკის ფაქტორს. სახელმწიფოს მხრიდან ყველა დონე და საშუალება უნდა იქნეს გამოყენებული მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების ასამუშაებლად, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ის, რომ კერძო და სახელმწიფო მეწარმეებმა თავისუფლად შეძლონ საქმის კეთება. ორგანიზაციებმა კი უნდა მოახერხონ საწარმოების სწორად, ეფექტურად დაგეგმვა და მართვა.

მიმდინარე ეტაპზე საჭიროა ისეთი დონის მიღწევა, რომელიც მინიმალურად მაინც უზრუნველყოფს მოსახლეობის ფიზიკური და გონებრივი პოტენციალის განვითარებას.

ძალიან ბევრი ორგანიზაცია შეცდომით ფიქრობს, რომ ეფექტური ფუნქციონირებისათვის საკმარისია გქონდეს კარგი სტრუქტურული დაგეგმვის სისტემა, სინამდვილეში კი სტრუქტურული სამმართველოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სტრუქტურული დაგეგმვის რეალიზაცია.

Prangishvili Inga

COMPOSITION OF PRODUCTION'S CURRENT CAPITAL, MANAGEMENT STRUCTURE AND LOGISTICAL SYSTEMS

SUMMARY

Effectiveness of production's current capital is to a considerable degree determined by used logistical systems, in which is necessary forecast and planning of value of reserves, incomplete production and sales of end products. Especially noteworthy is the accomplishment with minor expenses of tasks of transport logistics, which is an integral part of logistical system.

ჩინხვალაძე მაია

**მიწვევების მართვით სექტორში გუნდების
ფორმირების ზომიერითი მოდელი**

ერთი პირის მიერ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას გუნდების ფორმირების, ფუნქციონირებისა და სტიმულირების ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია, თუ ცნობილია მიზნობრივ ფუნქციათა სახე, ქცევათა სახესხვაობანი და შეზღუდვანი. კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნა არ არის გამორიცხული, თუ ორგანიზაციას ერთდროულად რამდენიმე პირი მართავს. ამიტომ, საჭიროა ეკონომიკური ობიექტების ფუნქციონირების ძირითადი თავისებურებების კვლევა ეკონომიკური მოდელების გამოყენებით. ცენტრი, მართავს რა კოლექტივს, მოითხოვს მოვლენების ამსახველი ადეკვატური მათემატიკური მოდელის შექმნას კონფლიქტებისა და მხარეთა ინტერესების, ფაქტორების, ქცევის სტრატეგიის გათვალისწინებით. ქცევითი თამაშების მათემატიკური მოდელების საშუალებით ხდება ობიექტის შესაძლო ქცევის პროგნოზირება, სტიმულირების სახის დადგენა, მაშინაც კი, როდესაც ხელმძღვანელი ორგანო არ ფლობს ინფორმაციას აგენტთა ინდივიდუალური საქმიანობის შესახებ და გადაწყვეტილების მიღების უპირატესობას თავად აგენტს ანიჭებს. თუ ქმედებები სეპარაბელურია, შესაძლებელია სტიმულირების პერსონიფიცირება, ხოლო, თუ ცენტრი აკვირდება მხოლოდ აგრეგირებულ შედეგებს, ერთ მთლიანობაში აღიქვამს კოლექტივს, იძულებულია, თითოეული წევრი შეაფასოს სამუშაოს შესრულების ერთობლივი შედეგების მიხედვით. ამგვარი კოლექტიური სტიმულირებისას დღის წესრიგში დგება "ინდივიდუალური აგრეგირების", ცენტრისთვის მისაღები სტიმულირების სისტემის შექმნის საკითხი. ეს სისტემა ეფექტურია ცენტრის მიერ არაკონტროლირებად გუნდებშიც კი. ჰოლმსტორმის მიერ შექმნილი მოდელი არ მოითხოვს აგენტთა ინდივიდუალურ ქცევებზე დაკვირვებას და მხოლოდ საბოლოო შედეგით არის დაინტერესებული. ამ მოდელის მიხედვით, შეუძლებელია აგენტების და ცენტრის მიზნობრივი ფუნქციების მაქსიმიზება, ქცევები სეპარაბელურია და ცენტრი, ამოცანის გადაუჭრელობის შემთხვევაში, ყველა აგენტს აჯარიმებს. რეპუტაციულ მოდელებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგენტისგან მოსალოდნელი ქცევის პროგნოზირებას. აგენტთა ქმედითი ნორმა: ინდივიდუალური თუ კოლექტიური, განსაზღვრავს აგენტის ქცევას, რომელიც, ამ მოდელის

ფარგლებში, არასრულად დაკვირვებადია. დამსაქმებელნი ორიენტირდებიან მთელი გუნდის რეპუტაციაზე. ეს არის მოდელი "მესხიერებით". ცენტრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, გათვალისწინოს არა მარტო აუდიტის ალბათობა, არამედ – ანაზღაურებაც, ქცევის ნორმა – მოდელის დადგენით ცენტრი კოლექტივის წევრებში კეთილსინდისიერი ქცევის მოთხოვნილებას აღძრავს. ეს მოდელი ცნობილია შაპირო-სტივლიცის სახელით. გუნდის წევრთა წახალისების გამათანაბრებელი თუ იერარქიული მექანიზმები ოპორტუნისტული ხასიათისაა და ეგოისტურ მიზნებს ისახავს. აგენტი ცდილობს, სხვის ხარჯზე მიიღოს დამსახურებულზე მეტი. თუ ცენტრი აგენტს წახალისებს იერარქიული სტრუქტურის შესაბამისად და გაითვალისწინებს ლიდერის აზრს, შედეგად მიიღებს მთელი გუნდის ფუნქციონირების ეფექტურობის ზრდას. აგენტები დაინტერესებულნი არიან "სამართლიანობის ეფექტით," კოლეგების შრომის ანაზღაურების ადეკვატურობით. ფაქტორები: "სტატუსის ამადლებსადმი სწრაფვა", "შურისა" და "დანაშაულის გრძნობა," გვეხმარება აგენტის ინდივიდუალური საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრასა და გუნდის წევრთა შორის მოცემული დავალების ოპტიმალურ გადანაწილებაში. გავითვალისწინოთ: აგენტი ახდენს ოპონენტთა ქცევათა მოდელირებას, ცენტრი, ხელმძღვანელობს რა კოლექტივს, ახორციელებს მოტივაციურ მართვას. დავუშვათ, i -ური აგენტის სტრატეგიაა, აირჩიოს ქცევის ტიპი – X_i . დანახარჯებია – $C_i(X_i, r_i)$. სადაც r_i – აგენტის ტიპია, ქცევითი კვადრატული ფუნქცია კობა- დუგლასის ტიპისაა. $C_i(X_i, r_i) = (x_i)^2/2 r_i$. აგენტებს ერთიანი მიზანი აქვთ და "ჯამური ქმედება" ასეთ სახეს მიიღებს: $R = \sum x_i$. მინიმალური დანახარჯები – $c(x, r) = \sum C_i(X_i, r_i)$. თუ აგენტთა მიზნობრივი ფუნქციები ერთმანეთს ემთხვევა, $R=1$ პირობითი ოპტიმიზაციით, ამოცანა ასე ჩაიწერება – $\sum X_i^2/2 r_i$. ყველა აგენტისთვის მოქმედების ოპტიმალური ვექტორია $x^*(r) = (x_1^*(r), x_2^*(r), \dots, x_n^*(r))$,

სადაც $x_i^*(r) = r_i / \sum r_j$ ცენტრს შეუძლია თავად აკონტროლოს ინფორმაციული ნაკადების კოორდინირება, გაზარდოს ან შეამციროს ინფორმაციული დატვირთვა. აგენტიც თვლის ინდივიდუალური ქცევის შედეგებს. ეს პროცესი მრავალჯერ განმეორებადია, კორექტირების გზით ყალიბდება "სუბიექტური" შეხედულებები. აგენტთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების სტატიკური სახე $\{r_{ij}\}$ ინფორმირებულობის და $x_i^* \{r_{ij}\} = r_i / \sum r_{ij}$ - ქცევის პროცედურის შემთხვევაში: $x_{ij}^* \{r_{ij}\} = 1 - \sum r_{ij} \sum r_{ij}$, i, j . ინფორმაციული მართვა, ანუ, გადაწყვეტილება, თუ რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს ესა თუ ის აგენტი, საშუალებას აძლევს ცენტრს, მართოს აგენტის ქცევები. თანამედროვე ორგანიზაციათა უმეტესობისთვის მეტად მნიშვნელოვანია პრობლემა, რომელიც შეეხება ხაზოვან და საპროექტო სტრუქტურებს შორის ბალანსის დამყარებას.

ხაზოვანი სტრუქტურა ხისებრია, და იყოფა იერარქიული დონის, ფუნქციონალური, ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. ფუნქციონალური სპეციალიზაციით შექმნილი ხაზობრივი სტრუქტურა ეფექტურია შედარებით არამდგრადი სისტემის ფუნქციებში. პროექტული სტრუქტურის შემთხვევაში, სისტემის ელემენტები დამოკიდებულნი არიან არა ფუნქციაზე, არამედ მთლიანად პროექტზე. ხაზობრივ-ფუნქციონალური და ხაზობრივ-პროექტული სტრუქტურების ერთგვარი კიბრიდია მატრიცული სტრუქტურა, სადაც თითოეული შემსრულებელი ექვემდებარება რამდენიმე ხელმძღვანელს ერთდროულად. თითოეული აგენტი დაკავშირებულია რამდენიმე ცენტრთან. ამ შემთხვევას შეესაბამება მართვის მატრიცული სტრუქტურა, რომლის ეფექტურობაც დამოკიდებულია სამუშაოს მოცულობასა და აგენტთა ტიპებზე. ალტერნატიულია ხაზოვანი სტრუქტურა, სადაც თითოეული აგენტი ექვემდებარება მხოლოდ ერთ ცენტრს. იგი მინიმალურ დანახარჯებს მოითხოვს მართვისას, მაგრამ აგენტთა შორის სამუშაოს არაეფექტური განაწილების ერთ-ერთი მიზეზიცაა. მეორე მხრივ, მატრიცული სტრუქტურა, მეტად ეფექტური დატვირთვის განაწილებისას, მართვისას მეტ დანახარჯებს მოითხოვს. ამრიგად, სტრუქტურული ფორმის არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ ორივე ფაქტორი: დანახარჯები მართვისას და სამუშაოს შესრულების ეფექტურობა. გასათვალისწინებელია სიტუაცია, როდესაც, ინფორმირებულობა არასრულია ან დავალების მოცულობა დროის განმავლობაში იცვლება. ზემოთქმული მოსაზრებანი შეესაბამება მენეჯმენტის დარგში დაგროვილ გამოცდილებებსა და თეორიულ მოდელებსაც, სადაც ნაჩვენებია, რომ სტაციონარულ პირობებში ოპტიმალურია ხაზოვანი იერარქიული საორგანიზაციო სტრუქტურა სპეციალიზაციის მაღალი დონით. ცვალებად გარემოში მეტად ეფექტური აღმოჩნდა მატრიცული სტრუქტურა. დასკვნა ასეთია: ამ მოდელების შესაბამისად, აგენტთა კვალიფიკაცია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის პროპორციული უნდა იყოს. ამრიგად, არსებობს მჭიდრო კავშირი სპეციალიზაციის დონესა და ორგანიზაციულ სტრუქტურათა სახეობებს შორის და ამა თუ იმ სტრუქტურის ეფექტურობა განისაზღვრება, როგორც მთელი სამუშაოს შესრულებისთვის გაწეული დანახარჯების ჯამი, გათვლილი გარკვეული დროის გათვალისწინებით.

Maia Chinchaladze

SOME MODELS OF TEAM FORMATION IN MATRIX SCHEME OF MANAGEMENT

SUMMARY

In the process of accomplishment of tasks faced the production, company management often creates working groups – teams. In the process of teams formation for achievement of best results are offered mathematical models, where objective function is the task faced the team, while constraining factors are personnel qualification, working time, remuneration, management structure and experience.

კა ჩოხელი

ბლოგალური სტრატეგიების ფორმირება ბიზნესში

კომპანიები გამუდმებით ზრუნავენ შემოსავლებისა და მოგების გაზრდაზე და, შესაბამისად, ლიდერის პოზიციის დაკავებაზე, თავდაპირველად ეროვნულ, შემდეგ საერთაშორისო თუ მსოფლიო ბაზარზე. ამისათვის, განსაკუთრებულად ამბიციური, საკუთარი ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული ფირმები ყველაფერს აკეთებენ, რათა დაიკავონ კონკურენტულად მომგებიანი პოზიციები სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებზე. როცა კომპანიები ცდილობენ უცხო ქვეყნების ბაზრებზე დამკვიდრებას, ითვალისწინებენ თითოეული ქვეყნისთვის (რეგიონისთვის) დამახასიათებელ კონკურენტულ თავისებურებებს და ისე ახდენენ სტრატეგიის ფორმირებას. უცხოურ ბაზრებზე შესვლისთვის კომპანიები უმეტესად იყენებენ გლობალურ სტრატეგიებს და ცდილობენ:

- მყიდველთა რაოდენობის გაზრდას. ეს მაშინ, როცა საკუთარი ქვეყნის ბაზარი თითქმის გაჯერებულია;
- დანახარჯების შემცირებას. მისი მიღწევა ახალი ბაზრების დაფუძნების ხარჯზე ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც გლობალური კომპანიები მიისწრაფიან სხვა ქვეყნების ბაზარზე, მათ შორის ადგილობრივი კომპანიების შექმნის ხარჯზე. წარმოების დიდი მოცულობა იწვევს დანახარჯების შემცირებას, ამალღებს მოწყობილობების გამოყენების ეფექტიანობას, მასშტაბისა და გამოცდილების ეფექტის გამოყენების შესაძლებლობას. ახალ ეროვნულ ბაზრებზე შესვლა ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ ეს უზრუნველყოფს ეკონომიას წარმოება-განაწილება-გავრცელების ჯაჭვში და მუდმივი ხარჯების გადანაწილებას, რაც შეიძლება მეტი რაოდენობის რეალიზებული პროდუქციის ერთეულზე;
- რისკების შემცირებას. უცხოურ ბაზრებზე გასვლა ამცირებს სამეწარმეო რისკს შიდა ბაზრის ოპერაციებზე დამოკიდებულების შემცირებით. მაშინ, როცა აზიის ქვეყნების ბაზარზე იწყება შემცირება, დანაკარგები შეიძლება კომპენსირდეს ევროპაში ან ლათინურ ამერიკაში გაყიდვების აქტივობის ხარჯზე.

მსოფლიოში მიმდინარეობს ისეთმა პროცესებმა, როგორცაა: პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება, როცა მომხმარებელს უჭირს არჩევანის გაკეთება რომელიმე პროდუქციის სასარგებლოდ; გლობალური კონკურენციის გაღრმავება, როცა კონკურენტი კომპანიები აგრესიულად იკავებენ ერთმანეთის ბაზრებს; ელექტრონული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის აქტიური გამოყენება, რომელმაც გამოიწვია კონკურენტულ გარემოში მკვეთრი ცვლილებები, დარგის ტრადიციული გაგების ტრანსფორმაცია, შეცვალა გეოგრაფიული საზღვრების დანიშნულება. ფირმას შეუძლია მოხვდეს მსოფლიო ბაზრის ნებისმიერ ადგილას, ამ პირობებში კიდევ უფრო აქტუალური გახდა გლობალური სტრატეგიის გამოყენება.

გლობალური სტრატეგია ერთნაირია ყველა ქვეყნისათვის. შეიძლება არსებობდეს მცირედი განსხვავებები ქვეყნების სტრატეგიებს შორის, თუმცა საერთო კონკურენტული მიდგომა ყველა ქვეყნისათვის უცვლელი რჩება. მეტიც, გლობალური სტრატეგიისთვის დამახასიათებელია:

- კომპანიების სტრატეგიების კოორდინაცია და ინტეგრაცია მსოფლიო მასშტაბით;
- გაყიდვების განხორციელება მსოფლიოს უმეტეს ან ყველა ქვეყანაში;
- მსოფლიოში გასაყიდი მაღალი ხარისხის სტანდარტული პროდუქცია;
- საწარმოების განლაგება მაქსიმალური კონკურენტული უპირატესობის (დაბალი დანახარჯების ქვეყნებში, ძირითად ბაზრებთან ახლოს, გეოგრაფიულად სატრანსპორტო დანახარჯების მინიმუმამდე შემცირებით) პრინციპის გათვალისწინებით;
- ხელსაყრელი მომწოდებლების შერჩევა მსოფლიოს ნებისმიერი ბაზრიდან;
- აუცილებლობის შემთხვევაში, ადაპტირება იმ ქვეყნის პირობებთან, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას;
- გლობალური ორგანიზაციული სტრუქტურის გამოყენება ოპერაციების უნიფიცირებისათვის, რომლებიც სრულდება თითოეულ ქვეყანაში.

იმისათვის, რომ გლობალურმა კომპანიებმა მიაღწიონ წარმატებას მსოფლიო ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით, აუცილებელია გლობალური სტრატეგიის ფორმირებისას გაითვალისწინონ და შეაფასონ ისეთი მახასიათებლები, როგორცაა:

- ბიზნესის არეალი – გეოგრაფიული არეალი, სადაც კომპანია აპირებს შესვლას; აღნიშნულ არეალში შესასვლელი არხები და სხვ.;

- მამოძრავებლები – კომპანიის ბაზარზე შესვლის ხერხები: ახალი კომპანიის შექმნა, ადგილობრივი ფორმის ყიდვა, ალიანსის შექმნა და ა.შ.;

- განმასხვავებლები – კომპანიის მიერ საკუთარი პროდუქციის მიმზიდველობის მახასიათებლების გამოკვეთა ადგილობრივთან შედარებით;

- საფეხურები – უცხო ბაზრებზე შესვლის დრო; სხვა უცხო ქვეყნის ბაზრების ათვისების სისწრაფე, თანამიმდევრობა და ტაქტიკა;

- ეკონომიკური ლოგიკა – გლობალური სტრატეგიით დაბალი და-ნახარჯების მიღწევის მეთოდები, გავლენა ფასებზე და ა.შ.

გლობალური სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია კომპანიების მხრიდან მოითხოვს უფრო მეტ ძალისხმევას, ვიდრე შიდა ბაზრებზე ადგილობრივი სტრატეგიების ფორმირებაა. ცნობილია, რომ ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციო-კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა პირობებით. ამიტომ, გლობალური სტრატეგიის ფორმირებამდე, კომპანია პირველ რიგში აფასებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (იმ ქვეყნებში, სადაც შესვლას აპირებს) არსებულ სიტუაციას და ცდილობს საკუთარი ბიზნესის ადაპტირებას კონკრეტული ქვეყნის სიტუაციასთან. გარემო ფაქტორების შეფასების შემდეგ კომპანია იწყებს გლობალური სტრატეგიების ალტერნატიული ვარიანტების შემუშავებას და შერჩევას. ზოგადად, კომპანიები მსოფლიო ბაზარზე წარმატების მისაღწევად იყენებენ შემდეგ საბაზისო გლობალურ კონკურენტულ სტრატეგიებს:

- გლობალური დაბალი დანახარჯების სტრატეგია. ამ სტრატეგიას კომპანია იყენებს მაშინ, როცა მიისწრაფის, უზრუნველყოს დაბალი საწარმოო დანახარჯები მსოფლიოს უმეტეს ან ყველა სტრატეგიულად საჭირო ბაზარზე. ამ გზით კომპანია მთელ თავის ძალას მიმართავს, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტებთან შედარებით მიაღწიოს დანახარჯებში უპირატესობას. დანახარჯებში ლიდერობა კომპანიას საშუალებას აძლევს, ერთი მხრივ, შეამციროს ფასები პროდუქციაზე და გაყიდვების მოცულობის გაზრდით უზრუნველყოს შემოსავლების გაზრდა; მეორე მხრივ, არ შეცვალოს ფასი და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებით უზრუნველყოს შემოსავალის გადიდება.

- გლობალური დიფერენციაციის სტრატეგია. ამ დროს კომპანია მიმართავს საქონლის დიფერენციაციას ერთი და იმავე მახასიათებლებით სხვადასხვა ქვეყანაში, ფორმის მუდმივი იმიჯის შექმნისა და უპირატესი კონკურენტული პოზიციების მოპოვებისთვის მსოფლიო ბაზარზე.

- გლობალური ფოკუსირებული სტრატეგიები. ამ სტრატეგიას კომპანია მიმართავს, როცა მის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ეროვნულ ბაზრებზე სტრატეგიულად საჭირო იდენტური ნიშის მომსა-

ხურება. კომპანიის სტრატეგიული მოქმედება კოორდინირებულია მსოფლიო ბაზრის საზღვრებში მუდმივი კონკურენტული უპირატესობის მიღწევისკენ მიზნობრივ ნიშაზე და იგი დაფუძნებულია დაბალ დანახარჯებზე ან დიფერენციაციაციაზე.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, კომპანიებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება გლობალურ სტრატეგიებზე ორიენტაცია. მათი გამოყენება საშუალებას აძლევს კომპანიებს, რეაგირება მოახდინონ გლობალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე, უზრუნველყონ კონკურენტული უპირატესობის შექმნა და გრძელვადიან პერიოდში წარმატების მიღწევა.

Eka Chokheli

FORMATION OF GLOBAL STRATEGIES IN BUSINESS

SUMMARY

Companies always (continuously) take care (look after) to increase incomes and profit. At first, they are trying to establish in nation markets and then in international and world one. For to achieve this goal, companies especially help formation of a global strategy, which is based on companies strategies world wide coordination and integration; implementation of sales in most or all of the world's countries.; creation of high-quality standard products (selling around the world); use global organizational structure for operations unify and etc. Although, (however) formation and realization of global strategy require more efforts. That's why, before formation of Global Strategy, the company must estimate the situation in different countries and try to occurred his own business adaptation to specific country's business situation, than company must work out alternative versions of Global Strategy (Global low-expenditures strategy, differentatin, or focussed strategies) and at last choose the most optimal version. Finally, Global Strategies give chance the companies to react upon the changes in Global environment, provide with create competitive advantage and to achieve success in long-term period.

მარინე ცუცქერიძე

საწარმოთა პრივატიზების და სიღარიბის დაკლევახე მისი გავლენის საკითხისათვის

თანამედროვე პირობებში საწარმოთა პრივატიზება, ძირითადად, ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების ზრდის აუცილებლობას უკავშირდება. საბაზრო ურთიერთობების ვითარებაში, როგორც ცნობილია, საწარმოთა პრივატიზების შედეგად, გარდაიქმნება და ვითარდება ეკონომიკის დარგობრივი საწარმოო და საბაზრო

ურთიერთკავშირები, ხორციელდება წარმოებისა და მომსახურების სისტემის გაფართოება, მისი კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლება. ამასთან ერთად, წარმოქმნილი საწარმოო დანახარჯების შემცირების აუცილებლობა განაპირობებს პრივატიზებულ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის შეზღუდვისა და უმუშევრობის ზრდის, სიღარიბის წარმოქმნილი ფაქტორების გააქტიურებას. სიღარიბესთან დაკავშირებული ფაქტორების გაძლიერება მოქმედებს წარმოებაში დასაქმებულთა ცხოვრების დონეზეც. პრივატიზების ამ შედეგების დაძლევის მიმართულებით, ძირითად პრობლემას წარმოადგენს წარმოების, მომსახურებისა და სოციალური დაცვის ობიექტების პრივატიზების თანამედროვე, პროგრესული ფორმებისა და მეთოდების შერჩევა და გამოყენება, რაც პოსტსაბჭოთა სისტემის ერთ-ერთი მთავარი სოციალურ-ეკონომიკური მიზნის – სიღარიბის დაძლევის და ცხოვრების დონის მაქსიმუმის კრიტერიუმის მისაღწევ საშუალებად გვევლინება.

საწარმოთა პრივატიზების ერთ-ერთ ძირითად შედეგს წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის გარდაქმნა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ მიმართულებით პრივატიზების პროცესის შედეგად წარმოიქმნება: 1. საწარმოები (ფირმები) და სააქციო საზოგადოებები, კომპანიები, მათ შორის, სახელმწიფო საწარმოები; 2. მათი მომსახურებისათვის საჭირო სადაზღვევო კომპანიები და საფინანსო სისტემები; 3. სავაჭრო ბიზნესის ობიექტები; 4. თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფილი პროდუქტებითა და სხვადასხვა სახის მომსახურების სისტემები; 5. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციები და კომპანიები.

ამ მიმართულებით საწარმოთა პრივატიზება და წარმოების ორგანიზაციული სისტემის გაუმჯობესება საქართველოში თანამედროვე რეფორმის ერთ-ერთი აქტუალურ პრობლემაა. ამას ისიც განაპირობებს, რომ წარმოებისა და მომსახურების სისტემის კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლება საწარმოო და მომსახურების ობიექტების პრივატიზების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. იგი ცხოვრების დონის ამაღლების და წარმოებაში დასაქმებულთა სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზანს სიღარიბის ზღვრაზე მყოფთა სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელება წარმოადგენს. ამასთან, მნიშვნელოვანია სიღარიბის დონის პრობლემისა და კრიტერიუმების ფორმირება სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკისა და პრივატიზების შედეგების საფუძველზე. ეკონომიკურ სისტემათა პრივატიზების მნიშვნელოვან შედეგებს დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის პროცესთა ფინანსური უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეს განპირობებულია იმით, რომ სიღარიბის დონეს ძირითადად განსაზღვრავს მოცემულ სახელმწიფოში

არსებული: 1. ცხოვრების დონე; 2. სოციალური უზრუნველყოფის დონე; 3. ინდივიდუალური მეურნეობიდან ან მეწარმეობიდან მიღებული შემოსავალი; 4. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსება.

ცხოვრების დონის ამაღლება საწარმოთა პრივატიზების პროცესის მიზანს და სიღარიბის დასაძლევად აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს, რადგან იგი მოიცავს მის შედეგად წარმოქმნილი წარმოებისა და მომსახურების სისტემაში დასაქმებულთა რეალურ და საბოლოო შემოსავლებს. ამასთან დაკავშირებით, სიღარიბის დონე განისაზღვრება საბიუჯეტო და სხვა გადასახადების სიდიდით, საფინანსო სისტემიდან და პირადი მეურნეობიდან მიღებული შემოსავლებით. იგი შედგება 1. ფულადი შემოსავლებისაგან, რომლებიც საქონლისა და მომსახურების მოხმარებისათვისაა აუცილებელი; 2. სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული ნატურალური შემოსავლებისაგან და 3. სოციალური მოთხოვნილებებისათვის საჭირო დანახარჯებისაგან. ცხოვრების დონის ფაქტორის საფუძველზე სიღარიბის შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მისი ძირითადი მახასიათებლები: 1. ეროვნული შემოსავლის, ანუ რეალური შემოსავლისა და მოხმარების მოცულობა; 2. ნატურალური მაჩვენებლები, როგორცაა კვების პროდუქტებისა და პირადი მოხმარების საგნების მოცულობა; 3. დასაქმების დონე და უშუშეკვართა ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფისათვის აუცილებელ დახმარებათა მოცულობა. ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო დაფინანსების სიდიდე. რაც უფრო მაღალია ამ მაჩვენებელთა მნიშვნელობა, მით უფრო დიდია სიღარიბის დაძლევის რეალური შესაძლებლობა საწარმოთა პრივატიზებით მიღებული სახელმწიფო შემოსავლების ზრდის შედეგად.

თანამედროვე საწარმოო და საბაზრო სისტემების ჩამოყალიბების პროცესში სიღარიბის დასაძლევ საშუალებად გვევლინება სასაქონლო და ნატურალური პროდუქტების მოხმარების ზრდის დონე, რომელზეც მოქმედებს და განაპირობებს ეროვნული და კლიმატურ-ფიზიოლოგიური ფაქტორები. ესენია: 1. ერთ სულზე სასაქონლო და ნატურალური პროდუქტების მოხმარების დონე; 2. პროდუქტების მოხმარების რაციონალური (ფიზიოლოგიური) ნორმები. სიღარიბის დაძლევის მიზანს ემსახურება აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის დონის – პენსიების და დახმარებების ზრდა; 3. ინდივიდუალური ბიუჯეტის სიდიდის – ხელფასის და სხვა შემოსავლების ზრდა; ინდივიდუალური ბიუჯეტის ელემენტებს შეადგენს საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მიღებული ხელფასი, ფერმერული მეურნეობებიდან მიღებული ფულადი შემოსავლები, ინდივიდუალური მეწარმეობიდან ან შინამეურნეობებიდან მიღებული შემოსავლები.

სიღარიბის დასაძლევად და დასაქმების პროგრამის არეალის გასაფართოებლად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სიღარიბის ზღვართან მყოფი მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებას. ამ მიზნით გამოიყენება ძირითადად კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური სახსრები. ძირითადს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა შორის წარმოადგენს 1. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება; 2. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სამედიცინო დაზღვევის პროგრამის განხორციელება, რომელიც მოიცავს ასაკობრივი ზღვარის დადგენას და შესაბამის ღონისძიებათა ფინანსურ უზრუნველყოფას; 3. სიღარიბის ზღვართან მყოფთათვის პრიორიტეტული ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტის დაგეგმვას.

სიღარიბის ღონის დაძლევის პრობლემებისა და კრიტერიუმების ფორმირება აქტიურ როლს ასრულებს მისი ფინანსური უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია დასაქმების პროცესის საბაზრო რეგულირებისა და უმუშევრობის შემცირების პრობლემათა გადაწყვეტა საქართველოში, რომელიც შესაძლებელია: დასაქმების საბაზრო პოლიტიკის გარდაქმნით პრივატიზების შედეგებთან შესაბამისობაში; უმუშევრობის შემცირება დასაქმების სტიმულირებისა და შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესებით; პრივატიზაციის შედეგად წარმოშობილ მცირე ფირმებში საბაზრო სტრატეგიის საფუძველზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებით და წარმოების საბოლოო შედეგების ზრდით; ბიზნესის გაუმჯობესებით და დასაქმების ეფექტიან საშუალებათა გამოყენებით.

ეკონომიკური განვითარებისა და გლობალიზაციის მიზნების რეალიზაცია პოსტსაბჭოთა სისტემის საშუალებით მოითხოვს წარმოებისა და მომსახურების ობიექტების პრივატიზების ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, რომელთა შორის ერთ-ერთ ძირითადს მცირე ფირმების საბაზრო ორგანიზაცია და სერვისული მომსახურების სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენს. იგი პოსტსაბჭოთა ეკონომიკის ფარგლებში დასაქმების პროცესის მოწესრიგებისა და თვითრეგულირების, სიღარიბის დასაძლევი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ფინანსური უზრუნველყოფის როლის გაძლიერებას განაპირობებს.

ეკონომიკური რეფორმისა და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პერიოდში, წარმოების მართვის სისტემის გარდაქმნის შედეგად, წარმოქმნილია სხვადასხვა სახის ფირმები, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში. პრივატიზება სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. პრივატიზების

შედეგად წარმოებისა და მომსახურების სისტემის წარმოქმნა და გაუმჯობესება სიღარიბის დაძლევის პრობლემას უკავშირდება, რომლის ძირითად საკითხებს წარმოადგენს 1. პრივატიზების აქტიური გავლენა სიღარიბის დონეზე; 2. პრივატიზების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე; 3. დასაქმების საბაზრო პროცესზე პრივატიზების შედეგების გავლენა; 4. პრივატიზების პროცესის გავლენა ინფლაციისა და უმუშევრობის დონეებზე.

მათ შორის სიღარიბის დონეზე უდიდეს გავლენას ახდენს საწარმოებისა და მომსახურების სისტემის ობიექტების პრივატიზება. მისი შედეგებიდან მთავარი ეკონომიკის ეფექტიანად წარმართვაა, სოციალური განვითარების საშუალებათა შექმნა და სამრეწველო ფირმების და აგრობიზნესის, საწარმოო ინფრასტრუქტურის, ასევე მეწარმეობის სხვადასხვა სახეობათა წარმოქმნა; ეკონომიკის ორგანიზაციული სისტემის, საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებაა. იგი შრომისუნარიანთა დასაქმების, მათი შემოსავლების ზრდის, სოციალური განვითარების დონისძიებათა დაფინანსების აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს. პრივატიზების შედეგად ჩამოყალიბდება და ვითარდება სამეურნეო სისტემა, რომლის მიზანია ცხოვრების დონის ამაღლების, შრომის ანაზღაურების ზრდის და უმუშევართა სოციალური დაცვის, სიღარიბის დაძლევის დონისძიებათა დაფინანსება. იგი ხორციელდება წარმოებისა და მომსახურების სისტემის საბოლოო შედეგების საფუძველზე.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესზე პრივატიზაცია აქტიურად ზემოქმედებს. პრივატიზების შედეგად წარმოიქმნება საწარმოო, დარგობრივი და საბაზრო სისტემები და იქმნება ბიზნესის განვითარების აუცილებელი გარემო პირობები. ამით შეიძლება ეკონომიკის განვითარების დონის ამაღლება, რაც განაპირობებს სიღარიბის დასაძლევი სახსრების შექმნასა და გამოყენებას.

შრომის ბაზრის ფუნქციონირების პროცესში დასაქმების პრობლემათა შორის მთავარია პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ საწარმოთა უზრუნველყოფა კვალიფიკაციის მაღალი დონის მქონე შრომითი რესურსებით. დასაქმების საკითხების გადაწყვეტა ფირმის მართვის სისტემის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს და ხორციელდება შრომის ბაზარზე ფირმის მოთხოვნათა საფუძველზე. საწარმოთა პრივატიზებით შექმნილი ფირმის მოთხოვნა შრომით რესურსებზე უკავშირდება მისი კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობას. ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან ერთად, იზრდება დაუსაქმებელთა საბაზრო მიწოდება და მათი შრომითი შემოსავლები. პრივატიზაციის პროცესის შედეგები, მისი საბაზრო რეგულირების გზით, ზემოქმედებს პროდუქტებისა და მომსახურების ფასების ზრდაზე.

კორპორაციებსა და კომპანიებში ფირმათა გაერთიანებების წარმოქმნის შედეგს უმუშევართა დასაქმების ზრდა წარმოადგენს, რაც სიღარიბის დასაძლევი მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ამ მიმართულებით პრივატიზების გავლენა სიღარიბის დონეზე იმ დადებითი შედეგებით აისახება, რომელსაც იგი აღწევს კონკურენტუნარიანი და მაღალი ეფექტიანობის მქონე ფირმებისა და მათ გაერთიანებათა საფუძველზე, ამით სიღარიბის დონის შემცირება დაკავშირებულია შემდეგი საკითხების მოგვარებასთან: 1. პრივატიზების ეფექტიანი მეთოდების გამოყენება, წარმოების შესაძლო დარგობრივი და ტერიტორიული ორგანიზაციის არსებული სისტემის გათვალისწინება. 2. სოციალური დაზღვევის პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანს წარმოადგენს სიღარიბის ზღვართან მყოფების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო დაფინანსება, ფულადი დახმარება და სხვა. 3. შემოსავლების განაწილების მოწესრიგება და ეკონომიკური მობილურობის ამაღლება პრივატიზებულ საწარმოებში; 4. საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება პროგრესული საშემოსავლო გადასახადების საშუალებით.

ამ დონისძიებათა გატარების შედეგად შესაძლებელია სიღარიბის დაძლევა, რომელიც გამოწვეულია უმუშევრობის ზრდის, ჯანმრთელობის გაუარესების ან სხვა მიზეზით წარმოქმნილი შრომისუუნარობით.

წარმოებისა და მომსახურების ობიექტების პრივატიზების შედეგების გავლენა სიღარიბის დონეზე სხვადასხვა ასპექტით აისახება. ერთის მიხედვით, პრივატიზების შედეგად წარმოქმნილი ფირმებისა და მათი გაერთიანებების საშუალებით ხორციელდება უმუშევართა დასაქმებისა და შრომითი შემოსავლების ზრდის პოლიტიკის გატარება. მეორე ასპექტის მიხედვით, პრივატიზების გზით წარმოქმნილი ფირმების კონკურენტუნარიანობა მოითხოვს დასაქმებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სტიმულების გამოყენებას, ახალი დარგებისა და წარმოებათა ჩამოყალიბებას პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების, უმუშევრებისა და ღარიბთა სოციალური დაცვის მიზნით. მესამე ასპექტის მიხედვით, პრივატიზების შედეგად ხორციელდება წარმოებისა და მომსახურების ისეთი სისტემის წარმოქმნა, რომელიც განაპირობებს შრომისუნარიან უმუშევართა დასაქმებისა და სიღარიბის ზღვართან მყოფ მომუშავეთა შემოსავლების ზრდის სტიმულების გამოყენებას.

პრივატიზების გავლენა სიღარიბის დონეზე აისახება წარმოების გაფართოებისა და დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის ტემპებით, ბიზნესის მასშტაბის გაფართოების სიდიდით, უმუშევრობისა და სიღარიბის ზღვართან მყოფთა სოციალური დაცვისათვის გაწეული სახელმწიფო დანახარჯების სიდიდით, საწარმოთა პრივატიზების ინტენსივობით და სხვა.

საწარმოთა პრივატიზება წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და შრომისუნარიანთა სოციალური დაცვის მიზნების შესასრულებლად მიმართულ მნიშვნელოვან საშუალებას. იგი საბაზრო ურთიერთობათა განვითარების და ამით სიღარიბის დაძლევის, ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელი საფუძველია პოსტსაბჭოთა პერიოდში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** უმუშევრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი განმარტების შესახებ. სამეცნიერო შრ. კრებული. ტ. II, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
2. **ბერულავა გ.** საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის შესახებ. სამეცნიერო შრ. კრებული. ტ. II, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.
3. **პაპავა გ.** სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ტ. II, თბილისი, „სამშობლო“, 1998.
4. **წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ.** უმუშევრობისა და მისი დონის შემცირების ძირითადი გზები პოსტკომუნისტურ საქართველოში. სამეცნიერო შრ. კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. IV, თბილისი, „მეცნიერება“, 2004.
5. **ცუცქირიძე მ.** მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირების მოდელის შესახებ. სამეცნიერო შრ. კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. III, თბილისი, „მეცნიერება“, 2003.

Tsutskiridze Marina

ON THE ISSUE OF ENTERPRISE PRIVATIZATION AND ITS INFLUENCE ON POVERTY OVERCOMING

SUMMARY

The article discusses actual issues of influence of the results of enterprise privatization on poverty level. There are given the characteristics of factors influencing poverty level and necessary measures to overcome the poverty.

მანანა ხარხელი

დეპიტიორ-კრედიტორული დავალიანებების მართვა ფირმაში

ყველასთვის ცნობილია, რომ ფირმაში საბრუნავი სახსრების ბრუნვადობის აჩქარებით მიიღწევა საფინანსო ციკლის ხანგრძლივობის შემცირება. მისი ანგარიშის ალგორითმი ასეთია [1, გვ. 689]:

$$D_{oc} = I_{nrd} + AR_d - AP_d$$

ფორმულაში D_{oc} არის საფინანსო ციკლის ხანგრძლივობა;

I_{nrd} – მარაგების ბრუნვადობა დღეებში;

AR_d – დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა დღეებში;

AP_d – კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი.

როგორც ფორმულიდან ჩანს, საფინანსო ციკლის სიდიდე დამოკიდებულია საწარმოო მარაგებში „გაყინული“ სახსრების ბრუნვადობასა და დებიტორ-კრედიტორული ვალის ბრუნვადობასა. საფინანსო ციკლის შემცირება დინამიკაში დადებით ტენდენციად ითვლება.

მარაგების ბრუნვადობის აჩქარებით საფინანსო ციკლის შემცირება ფირმაზე დამოკიდებული, რაც შეეხება დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის შემცირებას, იგი ფირმის საქონლის მყიდველებზე დამოკიდებული. როგორც წესი, ფირმიდან საქონელი იყიდება 30, 60, 90 და 120 და მეტდღიანი გადახდის ვადებით. ცხადია, ფირმისთვის უფრო ხელსაყრელია, რომ გაყიდული საქონლის განაღდება დროულად (ან უფრო ადრე) მოხდეს, რადგან ფულს დროში აქვს ფასი.

დებიტორული დავალიანების მართვა ფირმაში გულისხმობს [2, გვ. 82]:

1. დებიტორებთან ანგარიშსწორების კონტროლს ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე;
2. მყიდველთა ანალიზს და რანჟირებას შესყიდვების მოცულობის და ანგარიშსწორების პირობების მიხედვით;
3. დავალიანების დაბრუნების დაჩქარების მეთოდების შემუშავებას;
4. მყიდველებისთვის გაყიდვის ისეთი პირობების შექმნა-შეთავაზებას, რომელიც უზრუნველყოფს ფირმაში ფულადი სახსრების გარანტირებულ შემოსვლას და ა.შ.

დებიტორული დავალიანების მართვის მეთოდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვადამდე ადრე ანგარიშსწორებისთვის ფასდათმობის კონკრეტული სიდიდის განსაზღვრა და მისი შეთავაზება მყიდველისთვის. ეს საჭიროა იმისთვის, რომ 30, 60, 90, 120 და კიდევ მეტი დღის შემდეგ მყიდველებიდან მიღებულ ფულს ის ფასი არა აქვს, რაც აქვს დღეს. მისი რეალური ღირებულება გაცილებით მცირეა. ამიტომ ფირმამ ყოველთვის გარკვეული ფასდათმობის შეთავაზებით უნდა დააინტერესოს მყიდველი, რათა მან დროზე ადრე გადაიხადოს ნაყიდი საქონლის ღირებულება. მეთოდს, რომელიც ამ მიზნით გამოიყენება, საზღვარგარეთ „d/k net n“ ეწოდება [1, გვ. 683]. ეს არის

ფირმის მიერ საქონლის ვადაზე ადრე განაღდებათვის პროდუქციის მყიდველებზე ფასდათმობის მიცემა. მისი სქემა ასეთია:

1. თუ მყიდველი საქონლის გადმოცირთვის (ან მიღების) მომენტიდან k დღეების განმავლობაში გაუსწორებს ანგარიშს მომწოდებელ ფირმას, მაშინ იგი მიიღებს $d\%$ ფასდათმობას;
2. თუ საქონლის მყიდველი ანგარიშსწორებას მოახდენს საკრედიტო პერიოდის ბოლოსათვის, ე.ი. $(k+1)$ -დან n დროის პერიოდში, მაშინ მას ევალება ნაყიდი საქონლის სრული ღირებულების გადახდა, ანუ ვალის გაწმენდა (net);
3. თუ საქონლის მყიდველი n პერიოდში ვერ უხდის მომწოდებელს საქონლის ღირებულებას, მაშინ იგი იხდის ჯარიმას.

მაშასადამე, უცხოეთის პრაქტიკაში დიდი ხანია დანერგილია ვალის ვადაზე ადრე გადახდისათვის ფასდათმობის შეთავაზება. თვით ფასდათმობის სიდიდეს ფირმები საკუთარი თვალთახედვით ადგენენ. ამ მაჩვენებლის უნიფიცირებული და, ამასთან, ოპტიმალური განაკვეთი, ანუ ისეთი, რომელიც უდირს საქონლის გამყიდველს, დათმოს, ხოლო საქონლის მყიდველს – მიიღოს, არ არსებობს.

საქონლის გამყიდველი ფირმიდან დებიტორებთან განზიდული ფულადი სახსრები ამ საწარმოს მოგებას არ აძლევს. ამასთან, ინფლაციის პირობებში, საქონლის გამყიდველ საწარმოში მვეალიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაბრუნებული ფული, ცხადია, რაღაც ზომით გაუფასურებული იქნება. ამის გარდა, დებიტორული ვალი საწარმოსათვის ერთ-ერთი აქტივია და როცა დებიტორი ანგარიშსწორებას აგვიანებს, მაშინ საწარმო იძულებულია, ბანკს მიმართოს და სესხი აიღოს, რაც ფინანსურ ხარჯებს იწვევს. მაშასადამე, არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რაც აიძულებს პროდუქციის გამყიდველ საწარმოებს იმუშაონ დებიტორებთან მათთან განზიდული (იმობილიზებული) ფულადი სახსრების ამოღების მიზნით. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა დასაველეთში „ d/k net n “ სქემის შემუშავება და დებიტორებისთვის შეთავაზება. ეს სქემა უნდა გამოიყენონ საქართველოს საწარმოებმაც, რომელთა დებიტორული ვალების 75% პრობლემურია.

დებიტორებისადმი შეთავაზებული ფასდათმობის სიდიდის გამოანგარიშებას საფუძვლად უდევს ფულადი ერთეულის მყიდველობითი უნარის დაცემა ($K_{ppd} = I^1_p$). ფასების ინდექსი მართლაც გვინჩვენებს ფულის გაუფასურებას. მაგალითად, თუ ჩვენ გვაქვს 900 ლარი და თუ მიმდინარე წელს ერთი კილოგრამი ხორცი ღირს 9 ლარი, ამ ფულით ჩვენ ვიყიდით 100 კილოგრამს, ხოლო თუ მომავალ წელს მოსალოდნელია ერთი კილოგრამი ხორცის ფასის 30%-ით ზრდა (11,7 ლარი), ეს ნიშნავს, რომ მომავალ წელს ამ 900 ლარით ჩვენ ვიყიდით 30%-ით ნაკლებს, ანუ მხოლოდ $900:11,7=77$ კილოგრამს, ე.ი. ხორცის

ფასის 30%-ით გაზრდის გამო ჩვენი 900 ლარი გაუფასურდა 1,3-ჯერ, [$\frac{100}{77} = 1,3$], ანუ 30%-ით. მისი ყოველი ერთი ლარის რეალური ღირებულება მომავალ წელს იქნება არა ერთი ლარი, არამედ მხოლოდ

77 თეთრი [$K_{ppd} = \frac{1}{1,3} = 0,77$]. ამის შედეგად ყოველ ერთ ლარზე

დანაკარგი იქნება 23 თეთრი, 100 ლარზე – 23 ლარი (100–77), ხოლო 1000 ლარზე 230 ლარი (1000–770). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ რეალობას, რომ დებიტორებთან საქართველოში ხშირად მილიონობით ლარია განზიდული, რომელიც ყოველდღე უფასურდება, ღირს ამ საკითხზე მუშაობა და პრაქტიკაში მისი საჩქაროდ დანერგვა.

ასე რომ, ინფლაციის პირობებში პროდუქციის გამყიდველსა და მყიდველს შორის ანგარიშსწორების ყოველგვარი გადავადება იწვევს არაპირდაპირ დანაკარგებს, რაც, პირველ რიგში, იმაში გამოიხატება, რომ ის ფული, რომელსაც პროდუქციის გამყიდველს დებიტორი გადმოურიცხავს საანგარიშსწორებო ვადის დასასრულს, ინფლაციის გავლენით აღარ იქნება იმ მყიდველობითი უნარის, რაც მას გარიგების საწყის ეტაპზე ჰქონდა. ამიტომ საქონლის გამყიდველი საწარმო ყოველი ზომით უნდა შეეცადოს დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის შემცირებას.

დებიტორული დავალიანების სიდიდე საწარმოს ბუღალტრულ ბალანსის აქტივშია ასახული. ისე, როგორც დებიტორული დავალიანების მოცულობა, ასევე მისი ბრუნვის ხანგრძლივობა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი შემფასებელი მაჩვენებელია. მისი ნორმატივი არ არსებობს, მაგრამ ყოველთვის სასურველია, იგი ხანმოკლე იყოს, რადგან ადრე დაბრუნებული ფულადი სახსრები კვლავ ჩაირთვება ბრუნვაში და დამატებით მოგებას მოუტანს მის მეპატრონეს. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასურველია, საქართველოს ფირმებმა იანგარიშონ და დებიტორული ვადის ვადაზე ადრე გადმორიცხვისთვის საქონლის მყიდველებს შესთავაზონ ზღვრული ფასდათმობები. გაანგარიშების სირთულის თავიდან ასაცილებლად, ასევე სასურველია, ისარგებლონ ინფლაციის სხვადასხვა დონის პირობებში, ფულადი ერთეულის მყიდველობითი უნარის დაცემის კოეფიციენტებით (ცხრილი 1). ამ ცხრილის მონაცემების გამოყენებით და იმის ცოდნით, თუ როგორია ინფლაციის ტემპის ზრდის პროგნოზი მომავალ თვეში, ფირმის ფინანსურ მენეჯერებს ყოველთვის შეუძლიათ იანგარიშონ რამდენად შეუმცირდათ დანაკარგი, თუ საქონლის მყიდველი მათ ანგარიშს გაუსწორებს 5, 10, 15, 20 ან უფრო მეტი დღით ვადაზე ადრე.

მითითებული ცხრილის გამოყენებით, ჩვენ ვიანგარიშეთ 1000 ლარ დებიტორულ ვალზე დანაკარგის შემცირება. თუ ანგარიშსწორების ვადა არის 90 დღე, ხოლო ინფლაცია 10% :

1. 5 დღით ანგარიშსწორების ვადის შემცირებისას 0,763 – 0,751 = 0,012 ანუ 12 ლარი
2. 10 დღით ანგარიშსწორების ვადის შემცირებისას 0,776 – 0,751 = 0,025 ანუ 25 ლარი
3. 20 დღით ანგარიშსწორების ვადის შემცირებისას 0,801 – 0,751 = 0,05 ანუ 50 ლარი

მოცემული გაანგარიშებიდან გამომდინარე, ასეთივე ინფლაციის ტემპებისა და ანგარიშსწორების ასეთივე ვადის პირობებში, დებიტორული ვალის ამოღების დასაჩქარებლად დებიტორისათვის შესათავაზებელი ფასდათმობის ზღვრული სიდიდეებია: 5 დღით დაჩქარებისათვის 1,2%. 10 დღით დაჩქარებისათვის 2,5%, 20 დღით დაჩქარებისათვის 5%. ეს არის პროდუქციის გამყიდველი ფირმიდან მყიდველი ფირმისთვის მისაცემი ფასდათმობის ზღვრული სიდიდე. როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, იგი დამოკიდებულია ინფლაციის დონეზე, ანგარიშსწორების დაჩქარების დღეებზე და ფულის ერთეულის გაუფასურების კოეფიციენტებზე.

საქართველოს ფირმებს თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში წარმატებით შეუძლიათ ამ მეთოდის გამოყენება და დებიტორული ვალების დროზე ადრე ამოღება. თუ ეს მეთოდი მასიურად გავრცელდება, იგი გამოიწვევს კრედიტორული დავალიანებების შემცირებასაც, რადგან ის, რაც ერთი ფირმისთვის არის დებიტორული ვალი, მისი კონტრაგენტისთვის კრედიტორული ვალია.

ცხრილი 1

ფულის ერთეულის უნარის დაცემის კოეფიციენტების დინამიკა [1, გვ. 1007]

ანგარიშსწორების პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში	ინფლაციის ტემპი თვეში %-ში (ფრჩხილებში – დღეში)								
	1% (0,03 3%)	2,5% (0,082 %)	5% (0,16 3%)	7,5% (0,24 1%)	10% (0,39 3%)	12,5% % (0,03 3%)	15% (0,467 %)	17,5% (0,53 9%)	20% (0,61 0%)
10	0,997	0,992	0,984	0,976	0,969	0,962	0,954	0,948	0,941
15	0,995	0,988	0,976	0,965	0,953	0,943	0,932	0,923	0,913
20	0,993	0,984	0,968	0,953	0,938	0,925	0,911	0,898	0,885
25	0,992	0,980	0,960	0,942	0,924	0,907	0,890	0,874	0,859
30	0,990	0,976	0,952	0,930	0,909	0,889	0,870	0,851	0,833
35	0,989	0,972	0,945	0,919	0,895	0,872	0,850	0,828	0,808
40	0,987	0,968	0,937	0,908	0,881	0,855	0,830	0,807	0,784
45	0,985	0,964	0,929	0,897	0,867	0,838	0,811	0,785	0,761
50	0,984	0,960	0,922	0,887	0,853	0,822	0,792	0,764	0,738

55	0,982	0,956	0,914	0,876	0,840	0,806	0,774	0,744	0,716
60	0,980	0,952	0,907	0,866	0,827	0,790	0,756	0,724	0,694
65	0,979	0,948	0,900	0,855	0,814	0,775	0,739	0,705	0,673
70	0,977	0,944	0,892	0,845	0,801	0,760	0,722	0,686	0,653
75	0,976	0,940	0,885	0,835	0,788	0,745	0,705	0,668	0,634
80	0,974	0,937	0,878	0,825	0,776	0,731	0,689	0,650	0,615
85	0,972	0,933	0,871	0,815	0,763	0,716	0,673	0,633	0,596
90	0,971	0,929	0,864	0,805	0,751	0,703	0,657	0,616	0,578
95	0,969	0,925	0,857	0,796	0,740	0,689	0,642	0,600	0,561
100	0,968	0,921	0,850	0,786	0,728	0,676	0,628	0,584	0,544

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Ковалёв В. В.** Финансовый менеджмент. М., 2007, с. 207, 689, 1007.
2. **ღუდუშაური ზ.** ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2007, გვ. 82.

Manana Kharkheli

**MANAGEMENT OF DEBIT AND CREDIT LIABILITIES
IN THE FIRMS**

SUMMARY

The article discusses the issue of use of incentive mechanism of debt withdrawal before the appointed time in Georgian firms. Is calculated the value of maximum price abatement and proposed to the firms to withdraw debts before the appointed time. The significance of the problem is stipulated by great volume of debts existed in the country and the fact that the real price of money returned after a while is smaller than to-day.

დავით ჯაფარიძე

**ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების
მართვის საკითხისათვის**

ინვესტირების პროცესის სიჩქარესა და დინამიურობაზე დამოკიდებულია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება. ბუნებრივია, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობაც ინვესტიციების მოცულობასა და მის მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული. ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. ბოლო წლებში ძალიან შეიცვალა

ინვესტიციურ-ინოვაციური პოლიტიკის შინაარსი, იგი მოითხოვს იმ გარკვეული ბარიერების მომავლის ხედვას, განსაზღვრას და დაზუსტებას, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ინვესტიციურ-ინოვაციურ პროცესებს.

ინვესტიცია – ესაა ფინანსური, მატერიალური და ინტელექტუალური ფასეულობების ყველა სახეობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი საქმიანობის სფეროში, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ მაღალი მოგების მიღების მიზნით. ამ პროცესში ორი კომპონენტია გასათვალისწინებელი: დანახარჯები, ანუ საინვესტიციო დაბანდებები და შედეგები, ანუ ის შემოსავლები, რასაც ინვესტორი საინვესტიციო პროექტის განხორციელების შემდეგ იღებს. ინვესტიცია არა მხოლოდ კაპიტალის გლობალური დანერგვის წყაროა, არამედ ეკონომიკაში მართვისა და მარკეტინგის მოწინავე მეთოდების დანერგვაცაა, მრეწველობისა და აგრარული სფეროს გამოცოცხლებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ექსპორტის ზრდის კვალობაზე საგარეო ვაჭრობის გაფართოებისა და საბოლოოდ მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის ეფექტურად ინტეგრირების საშუალებაა [1].

მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები გონივრული ინოვაციური პოლიტიკის მეშვეობით აღწვევენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთი დარგი რეკონსტრუქციას და მოდერნიზაციას, ზოგიც მთლიანად განახლებას საჭიროებს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინოვაციური პროცესების აქტივაციაზე ეკონომიკის ყველა სფეროში. საჭიროა, კაპიტალის მფლობელმა სექტორებმა ინვესტიციები ჩაღოს ინოვაციური სფეროს განვითარებაში, ვინაიდან ინვესტიციები ინოვაციაში – ეს მომავლის ინვესტიციაა. ეს ის ინვესტიციებია, რომელიც გარკვეული პერიოდის, გარკვეული წლების შემდეგ მოგვცემს შედეგს და მიღებული შედეგი მრავალჯერ გადაწონის მასზე გაწეულ დანახარჯებს. ამიტომაც, ამ პროცესის მართვა სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ინვესტიციურ-ინოვაციური კლიმატის შექმნას. უნდა ჩამოყალიბდეს მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ინოვაციურ ეკონომიკის განვითარებაში; უნდა შეიქმნას სამეწარმეო კლიმატი ინოვაციური საქმიანობის გაფართოებისა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით; განხორციელდეს ინოვაციური პროექტის საკონკურსო წესით დაფინანსება; შეიქმნას ინოვაციური სფეროს მარეგულირებელი ბაზა; განხორციელდეს სამხედრო და სამოქალაქო წარმოების ინტეგრაცია; აუცილებელია, ყურადღება მიექცეს ისეთ სფეროებს, როგორცაა საგადასახადო, საკრედიტო, სალიცენზიო, ექსპორტ-იმპორტი და კიდევ სხვა სფეროები.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ინოვაციური სფეროს სუბიექტების დინამიურ განვითარებას [2].

ინოვაციაში ჩადებული ინვესტიციების შედეგი – ეს არის მიღებული პროდუქცია, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია მოვიზიდოთ კიდევ სხვა ახალი ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციები. ინვესტიციების მოზიდვის სფეროში უდიდესი როლი ენიჭება საინვესტიციო კლიმატს, რომელიც დიდი შინაარსობრივი ტევადობისაა. იგი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული პირობების ერთობლიობაა, რომელიც ხელსაყრელია საინვესტიციო პროცესისათვის. როდესაც ინვესტორი ქვეყანაში ინვესტიციას ახორციელებს, მას აინტერესებს ამ ქვეყნის კულტურა, ეკონომიკა, იდეოლოგია, პოლიტიკა, სტაბილურობა. სიტუაციის ანალიზის დროს ინვესტორი შეისწავლის საინვესტიციო რისკის მაჩვენებელს. საინვესტიციო საქმიანობას შეიძლება დაემუქროს სოციალურ-პოლიტიკური, ეკოლოგიური, სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებასთან დაკავშირებული კონიუნქტურული და სხვა რისკები, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ფინანსური კაპიტალის შემოსავლის და მოგების დაკარგვის საფრთხეებთან. აქ უკვე საუბარია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე [3].

საინვესტიციო კლიმატის შინაარსი რთული და კომპლექსურია, ამიტომ მისი განხილვა შეიძლება სხვადასხვა დონეებზე – მაკრო და მიკროდონეებზე.

მარკოდონეზე განხილვის დროს ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში არსებული რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციები, სოციალური კლიმატი, საერთაშორისო შეთანხმებათა დაცვის ტენდენცია, მყარი სახელმწიფო ინსტიტუტები, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ხარისხი, გადამწვევტ როლს თამაშობს სახელმწიფო პოლიტიკა საზღვარგარეთულ ინვესტიციებთან დამოკიდებულებაში. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია საქართველოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარება ისეთ სექტორში, როგორცაა ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქტების წარმოება და სხვა.

მიკროდონეზე საინვესტიციო კლიმატი მულავენდება ორმხრივ ურთიერთობაში. ინვესტორ ფირმებსა და სახელმწიფოს კონკრეტულ ორგანოებს, სამეურნეო სუბიექტებს შორის, მომწოდებლის, მყიდველის, ბანკებისა და, აგრეთვე, ინვესტიციების მიმღები ქვეყნის შრომით კოლექტივებს შორის. ამ დონეზე ხდება საინვესტიციო კლიმატის განზოგადებული შეფასების კონკრეტიზაცია, ქვეყნის რეალურ-ეკონომიკური, იურიდიული და სოციალურ-კულტურული მდგომარეობის შესაბამისად. ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური, სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური სიტუაციების სტაბილურობა სტიმულს აძლევს ინვესტორს, მონაწილეობა მიიღოს ახალი

საწარმოების შექმნაში, აწარმოოს პროდუქცია და გაიტანოს ბაზარზე. ყურადღება ექცევა საგადასახადო შეღავათებს, მეწარმეობის განვითარებისთვის შექმნილ გარემოს – არსებობს თუ არა კეთილსასურველი პირობები ამ პროცესის გააქტიურებისათვის, არის თუ არა სიტუაცია სტაბილური, სახელმწიფოს მიერ დაცულია თუ არა ინვესტიციები და აქვს თუ არა ინვესტორს მყარი გარანტია საქმიანობისათვის.

დღეისთვის, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ საშუალებად, ადგილობრივთან ერთად, უცხოური ინვესტიციები გვესახება. ახლო პერსპექტივაში კიდევ უნდა გაააქტიურონ თანამშრომლობა და ერთობლივი საქმიანობა კონსორციუმებმა, საინვესტიციო ფირმებმა, ბანკებმა, თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ქვეყანაში ინვესტიციების დასაბანდებლად. ინვესტირების შესაძლებლობების გააქტიურების მიზნით, პირველ რიგში, აუცილებელია მსოფლიო არენაზე საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება, ეფექტიანი პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, ინვესტორთა მომსახურების ამადღება, საინვესტიციო-ტექნოლოგიური გამოყენების ხელ შეწყობა, ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობა და სხვა. ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის განვითარების სტიმულად უნდა იქცეს და საქართველომ, განვითარებული ეკონომიკით, მყარი ადგილი უნდა დაიკავოს მსოფლიო თანამეგობრობაში და მტკიცედ ჩაერთოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **დათუნაშვილი ლ.** ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო – ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საფუძველი. წიგნში „ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.).
2. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა, თბ., 2006.
3. **ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ნ.** საინვესტიციო პოექტები, თეორია, ანალიზი, მართვა. თბილისი, 2009.

Japaridze David

TO A MANAGEMENT QUESTION OF INVESTITION-INOVATIVE PROJECTS

SUMMARY

The article presents an analysis of the content of the investment-innovative projects management. It considers different points of view and gives the author's opinions according to which the investment-innovative projects are the investments

that lead to technical and technological improvement and rationalization. Moreover, managing such projects is distinguished with peculiarity caused by the superior intellect of the innovative process participants. In projects management high emphasis is placed on the local and foreign investment environment of the country.

Nguyen Thi Hai Hang

KNOWLEDGE MANAGEMENT AS A TOOL TO PROMOTE THE INTEGRATION OF ENTERPRISES INTO THE GLOBAL MARKET

The 21st century is the beginning of Knowledge Era, when natural resources, capital and labor are being replaced by knowledge as the basic resource from which socio-economic wealth would be generated (Halawi, Aronson, and Mccarthy). The 21st century also has started with the appearance of the concept “globalization”. Globalization is considered indispensable trend in development. Globalization makes a lot of changes, especially in doing business. Going from the local market to the global market is a tough journey for businesses, especially for enterprises in developing countries. Being able to integrate into the ever-changing global market has become the most important task for business management nowadays. This task is tougher for enterprises in developing countries as they have to meet higher demanding requirements and have to compete not only with local suppliers but also with international competitors who seem to have more advantages. To gain the competitive advantages to be sustainable in the global market, Knowledge Management may be the suitable solution for enterprises when they lack of financial resource, natural privileges, etc. This paper discusses the possibility for enterprises to harness the competitiveness by applying Knowledge Management as a strategic management tool to promote the integration into the global market.

Globalization is “a widely-used term that can be defined in a number of different ways. When used in an economic context, it refers to the reduction and removal of barriers between national borders to facilitate the flow of goods, capital, and services and labor...” (The United National ESCWA). In the last few decades, it’s believed that globalization is the powerful force for poverty reduction all over the world, and it can make the world unified, integrated to become more stable and richer one. But since 2008, when the global economic crisis has started, many issues relating to globalization have been re-considered. It was said that globalization itself is reversing and the poor countries are more and more suffering disadvantages, etc. However, most of us have recognized that globalization has been ‘flattening’ our world, and became an indispensable and irreversible trend in economic development to the extent of trading integration. Nowadays, business has to position itself in the global market as local one has become a part of it. There are many examples to make this statement more understandable, such as one household chopstick maker in a remote village of

Vietnam has to compete with Chinese chopstick maker, or the traditional decorative lantern makers in Egypt has to compete with industrial lantern producers made in China, etc. No body can ensure about his position in local market. Globalization opens a new opportunity for many people as well as pushes many others out of their traditional businesses. Being sustainable has been becoming the toughest task than ever for company management.

Resource-based view emphasizes the critical role of knowledge as a special resource of enterprise what can help business create the sustainable competitive advantage (3) to be able to position well in the global market today. When integrated into the global market, business has to follow the different rules (formal and informal) which are applied to 'the game players' in this big pool. As the new comers, enterprises need to learn and to adapt as quickly as possible to the new business environment of global market. Knowledge Management (KM) is an appropriate strategic tool for enterprises in this case. One of the most basic processes of KM is the creation of new knowledge, what includes learning/absorbing sub-processes.


This paper focuses on the issue how enterprises use KM as the strategic tool to promote the integration into the global market. In the first part, some basic concepts and fundamentals relating to knowledge and KM are defined. Then, the use of the strategic network management for facilitating the learning process in order to enhance the capability to access to the external knowledge resources for enterprise's benefit is discussed. Finally, the paper discusses how to foster the integration of businesses from developing countries into the global market.

1. Knowledge Management

Knowledge Management (KM) is not new for scholars and practitioners all over the world, but it has become the most discussed management issue since the last decade. People asserted that the 21st Century is the era of Knowledge, where natural resources, capital and labor are being replaced by knowledge as the basic resource from which socio-economic wealth would be generated - Knowledge management will represent the most important competitive advantage factor for organization (Halaw, Aroson, and McCarthy). Knowledge management is considered the most advanced tool in this knowledge-based economy. But practices have showed that application of KM is a big challenge of businesses all over the world.

Everyone has his own definition of knowledge, and accordingly, own definition of KM. This paper adopts the definition of M.Zeleny (2004), basing on the point of view that Knowledge is not one of the component of product, but the process of product, "knowledge is coordination itself (Zeleny, 2004). This point of view focuses on the real value of knowledge – what is done for business purpose is knowledge (low level and high level). And accordingly, KM is managing knowledge in all the business

related activities (indirect and direct, short term and long term). KM is not only about existing knowledge (experiences, skills, wisdoms) but also about creating new knowledge to become smarter and more effective in the market. One of KM's functions is facilitating the creation of new knowledge by learning from all resources (internal resources and external resources) as showing in figure 1.



IK: Individual Knowledge
OK: Organizational Knowledge
KA: Knowledge from Authorities
KB: Knowledge from Business Partners;
KC: Knowledge from Customers
KCo: Knowledge from Competitors

Figure 1: The formation of Organizational Knowledge and the Overview of KM

KM needs to be a dynamic and interactive management system, which can at the same time manage the existing knowledge as well as facilitate the creation of new knowledge (in the meaning of action – innovation). Existing knowledge is the reason to establish the business, and new knowledge is the driving force, what helps enterprises adapt with ever-changing business environment today. The figure 1 provides an overview of the ‘holistic continuous mechanism’ to create new organizational knowledge from the interaction of individual knowledge (internal sources) and from other sources (external sources). As a living organism, organization/enterprise has its own knowledge (not information only) and its ability to absorb knowledge, to learn from interaction with any kind of internal and external sources. These processes help organization enrich its knowledge, what decides its behaviors. People can become successful because they are knowledgeable (to the extent of being capable of taking suitable actions). Similar with organization, it would

be successful if it's knowledgeable enough to adapt effectively with the endless changing world, where the only thing can be sure is the uncertainty. KM in organization is managing these flows to facilitate the individual knowledge become the organizational one, to have more new knowledge, to facilitate people utilizes the existing organizational knowledge in performing their job. And people continuously create new knowledge by taking action... Knowledge itself has the *auto-poetic system*. From different sources (inter-organizational networks, intra-organizational networks) new knowledge has been created according to the certain context, under the certain circumstances. This ability is the most important capability of organization nowadays. Moreover, it can help organization to find out the smartest way to survive in today's chaotic and demanding world. We can say that by managing these cycles well, KM contributes to the sustainability and competitiveness of organization/enterprise.

There are various kinds of knowledge that an organization has to be 'equipped' such as knowledge about its core products and services, knowledge about the related products and services, knowledge about market, knowledge about customers, knowledge about the operation of business, etc. As described in figure 1, KM is to manage all these existing knowledge (from all resources) and to facilitate the creation new knowledge to ensure the sustainability of organization.

2. Strategic network management and knowledge creation process of enterprises

In long term competitiveness, the absolute advantage belongs to one who is the best learner, that means can absorb knowledge from outside resources to create new knowledge in the new context. Involving in networks nowadays is the most effective method to learn at all levels, from individual level to organizational level, and up to national level. At individual level, from early in childhood, we are members of networks like family, school classes, sport clubs and many more. This may be a bit far from the official network definition of social network analysis, where networks are described as a defined sum of nodes or elements and the sum of the edges/ties between them (Jansen, 2006); but it is the very basic form of social network. At the organizational level, network can be distinguished into intra-organizational and inter-organizational network. In the framework of the first one are the relations between employees, while in the framework of the latter one are relations between shareholders, suppliers, customers, competitors, and authorities. Inter-organizational networks can be further distinguished into local/global, simple/complex, obligatory/promotional, open/closed, symmetric/asymmetric networks (Sydow, 2006).

Both formal and informal networks are impact factors to company's success and their usage clearly shows various advantages as company can gain the business opportunities as well as can learn the new knowledge from these networks. In other words, at organizational level, networks need to be managed in the good way to harness the advantages for the development of company. Network management is in

charge of choosing the right network members, ensuring knowledge transfer and target orientation and acting as a moderator and promoter within the team and as a communicator outside the network. Strategic networking management adapts the model of Sydow and Windeler, and puts the target in the centre followed by network analysis as can be seen in figure 2. Strategic networking is the strategic and target – oriented analysis, development, fostering and control of networks on the basis of trust, with the intention to reach certain goals (Eckenhof, 2008). The core of strategic networking is a certain strategic target. This target could be a new market, a new customer or the implementation of a new product, etc. The networking management helps to visualize the network and achieve knowledge about the company's network while being focused on the target all the time.

For KM's purpose, especially for learning and knowledge creation processes, strategic networking management is very important tool. The active participation into the right networks ensure the right sources from those enter prices can get most usable knowledge. Nowadays, people can get information from many different resources, among them internet is the most powerful one. But information is not knowledge, especially for doing business. Networks play the most crucial role in doing business all over the world, and its role becomes much more important for enterprises in developing countries, while the official institutions are still not strong enough (Peng).

3. Knowledge Management as the strategic tool to promote the integration of enterprises into the global market

There are a lot of challenges for enterprises in developing countries when integrating into the global market. Participating into the international market is un-avoidable for business all over the world. And who can not do that will be the loser. Global market is regulated by laws and regulations which all business has to follow strictly. Lack of knowledge would cause a lot of problems and serious losses. The case of Vietnam, a developing country in Southeast Asia, is an obvious example for this symptom.

Since 1998, Vietnam has been implementing the open policy, it means the national economy has been transferring from the centralized planning mechanism to free market orientation. International trading activities have become busier and busier. And as the consequence of the lack of good preparation, Vietnamese enterprises have to pay a lot for the lack of knowledge about the trade law, about how to behave in international market, about the business partner, etc. Number of lawsuits that Vietnamese Exporters have to face with is increasing rapidly. They are facing accusations that its exporters are 'dumping' tra, basa, shrimp and now even plastic bags into the world market. Government and businesses have focused on criticizing anti-dumping tax decisions against products, but don't know that in fact the World Trade Organization (WTO) does not prohibit dumping goods, that is, selling them in other countries below their cost of production. Enterprises of the US, EU, Japan and

Canada, which are the four 'key players' in world trade, dump their products regularly. The difference is that they do it with clear goals and plans that assure them a profit. What businesses in Vietnam should realize is that they can 'dump' in ways that will not trigger an antidumping investigation and imposition of penalties. Another example about the disadvantage of lack of knowledge about international trade is the lawsuit against the imported chicken from USA to Vietnam market. US chicken is very cheap, imported at less than \$1 per kilo. When Vietnam established the rules on import of US chicken to Vietnam by setting a high phytosanitary standard on bacteria in the US chicken. The US then made a survey in Vietnam and proved that the Vietnamese-raised chicken have bacteria levels much higher than the level set for US chicken. Citing the principle of no discrimination on goods, the US successfully demanded modification of the standard. Raising antidumping lawsuits is a market measure that is used regularly. Vietnamese businesses as well as businesses in transition economies have no other choice than getting used to the world's rules.

Knowledge always brings benefit. Countries and enterprises that understand the rules of world trade can take full advantage of their knowledge to protect their interests. The question here is how to get the necessary knowledge? It is the function of knowledge management. To be sustainable in business when integrating into the global market, enterprises need to have various kinds of knowledge such as professional knowledge (core products/services: what/how to produce/supply), industrial knowledge (advanced technology: What and how competitors are doing), knowledge about target customer (how to meet the demand of customers), knowledge about market (Which market to enter), knowledge about the institution (the environment where the enterprise is operating), knowledge about international trade (international rules, regulations, practices), etc. Strategic social network management plays very important role that can help business focus on the specific targets – in this case, getting knowledge for the integration into global market. For KM, strategic network management is important tool to help enterprise manage knowledge sources. In the newest orientation survey conducted in small sized enterprises in Vietnam of the author, it seems businesses are working in the isolated environment. A big percentage of businesses doesn't participate in any formal (local and international) business association (Hang et al, 2010). Businesses rely basically on personal informal relationship. This is the popular weakness of businesses (despite the size) of enterprises in developing countries (including Vietnam). Reasons may be vary and at many levels, from the owner of the business up to government's policy and strategy as analyzed below:

- Business owners level: Lack of background, lack of skills to build and maintain the strategic networks, lack of trust (in the effectiveness of networks and in the relationship from the networks).
- Enterprise level: immature management system, lack of orientation, and don't perceive the importance of strategic networks management as well as knowledge management.

- Government level: Lack of strategy to support enterprises to set up the networks. This must be the national program to involve enterprises in business associations or organizations where they can get necessary information as well as learn new knowledge by exchanging experiences with each others, etc.

Enterprises can have many advantages from the networks such as the business opportunities, and the sources for new knowledge to update and learn (new technology, best practices in management, etc.), but not many enterprises can manage it effectively. Strategic network management and knowledge management can be combined to become the effective tool for this purpose. Integration into global market is the demand of today business. The ability of learning to adapt with this ever-changing world is the most valuable property of enterprise. It is the challenge for business all over the world, and is much tougher for business in developing countries. To foster the integration of business into the global market, it requires the great efforts from all levels: business owner, local government, authorized organizations, and central government. Academic scholars have to conduct specific researches to provide more theoretical foundations for business and government as well as make it be aware of what and how position well in the global market.

REFERENCES

1. Alawi L, Aronson J, and McCarthy R., *The Electronic Journal of Knowledge Management* , Volume 3, Issue 2, pp 75-86
2. Eva Eckenhofer, (2008) *The Structure of Social Networks and the impact on the effects*, Conference's proceeding, 2008.
3. *Globalization, Growth, and Poverty: Building an Inclusive World Economy report* – World Bank, 2001.
4. [Http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/NEWS/0,contentMDK:20035371~menuPK:34476~pagePK:34370~piPK:34424~theSitePK:4607,00.html](http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/NEWS/0,contentMDK:20035371~menuPK:34476~pagePK:34370~piPK:34424~theSitePK:4607,00.html)
5. Hang, N. T., H; Molnar Z, Cuong P. L (2010), *Knowledge Management (KM) for Small and Medium Sized Enterprises (SMEs) in Developing countries – How feasible is it?*, ECKM 11th's Proceeding
6. Jansen, D. (2006) *Einführung in die Netzwerkanalyse*. 3. Auflage, Wiesbaden: VS Verlag.
7. Peng, M.W., Wang, D. YL., and Jiang, Y. *An institution-based view of international business strategy: A focus on emerging economies*. Journal of International Business Studies, Vol.39, 920-936.
8. Sysdow, J. (2006) *Management von Netzwerkorganisationen*, 4. Auflage. Wiesaden: Gabler Verlag.

სემტორული ეკონომიკის სექტორი

სალომე აბაშიძე

ზაზა თაბაგარი

განათლების სემტორი: საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების SWOT ანალიზი

ნებისმიერი დარგის განვითარების საფუძველია დარგში ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის მაღალი დონე, რაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. კვალიფიციური კადრების მიწოდებას კი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა უზრუნველყოფს.

თანამედროვე ეტაპზე, განვითარებულ ქვეყნებში, განათლება გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სახელმწიფო დოქტრინის სავალდებულო ნაწილად იქცა, რომელსაც დიდი სარგებელი და კონკურენტული უპირატესობა მოაქვს. განათლების სექტორის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც არ გამოირჩევიან მატერიალური რესურსების სიუხვით. სწორედ ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველო.

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას, მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე დღითი დღე იზრდება, რაც იწვევს უმაღლესი განათლების დარგის მიმზიდველობას ახალი ფირმებისთვის და განაპირობებს დარგში კონკურენციის გამძაფრებას.

სტუდენტის არჩევანს, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელში მიიღოს განათლება, განაპირობებს სწავლის ღირებულება და უნივერსიტეტის პრესტიჟი. ამ კრიტერიუმების მიხედვით მნიშვნელოვნად

განსხვავდებიან სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არსებობს განსხვავება როგორც ცალკეულ კერძო უნივერსიტეტებს, ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის, მაგრამ ძირეული მახასიათებლები მათთვის საერთოა, ამიტომ არ მოვახდენთ მათ დიფერენცირებას და წარმოვიდგინოთ ზოგად სურათს.

ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების (შტ თ) გამოვლენა. კონკურენტებად მოცემულ შემთხვევაში განვიხილავთ კერძო უნივერსიტეტებს. კვლევის ამოცანები კი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

1. სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ერთმანეთისგან გამიჯნულად, კონკურენტებად განხილვა და SWOT ანალიზი;
2. სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების არსებული მდგომარეობისა და პერპექტივების შეფასება;
3. რეკომენდაციების შემუშავება.

სახელმწიფო უნივერსიტეტების SWOT ანალიზი მოცემულია ცხრილის სახით:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ტრადიციები; • სახელმწიფოს მხარდაჭერა; • სპეციალობების სიმრავლე; • მაღალი მოთხოვნა; • ხელმისაწვდომი ფასი; • უპირატესობა სასწავლო უნივერსიტეტებთან შედარებით. 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლების მოძველებული მეთოდები და თეორიის პრაქტიკაში გატარების შეზღუდულობა; • მოძველებული ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურის დაბალი დონე; • სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული შეფერხებები; • სტუდენტთა დასაქმების სუსტი მხარდაჭერა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მოპოვება კადრების მომზადებაში; • უცხოელი სტუდენტების მოზიდვა; • ფუნდამენტური კვლევების ტრადიციების ბაზაზე შემდგომი კვლევების განხორციელების შესაძლებლობა; • თეორიულ კვლევებში სახელმწიფოს დაკვეთების შესრულების შესაძლებლობა; • სახელმწიფო სასწავლებლებსა და 	<ul style="list-style-type: none"> • კერძო უნივერსიტეტების მხრიდან კონკურენციის გაძლიერება (ძირითადად ისინი ბაზარზე არიან ორიენტირებულნი); • მომხმარებელთა მოთხოვნილებების გაუთვალისწინებელი ცვლილება; • იმიჯის დაცემა; • პოლიტიკური ფონის ცვლილებები; • ეკონომიკური სტაგნაცია.

სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის კავშირების გადრმავება (პრაქტიკა, სახელმწიფოსთვის კადრების მომზადება).	
--	--

კლიმრი მხარეაპი

ტრადიციები. სახელმწიფო უნივერსიტეტებს მრავალი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული კულტურა და ტრადიციები გააჩნიათ.

1918 წლის 26 იანვარს საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

თსუ-ის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს გრანტების, ციტირების ინდექსის, იმპაქტ-ფაქტორის მხრივ. უნივერსიტეტი ინარჩუნებს ტრადიციულ, ფუნდამენტურ დარგებს და, ამავე დროს, ნერგავს და ავითარებს ახალ სპეციალობებს, რომლებიც თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს ითვალისწინებენ.

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“ 2006 წელს დაარსდა ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბაზაზე. უნივერსიტეტის მიზანია, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოში მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისა და უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვაში.


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დაარსდა 1922 წლის 16 იანვარს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის სახით. უნივერსიტეტი, როგორც ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი, ხელმძღვანელობს ევროპის უნივერსიტეტთა დიდი ქარტიის პრინციპებით.

ასევე მნიშვნელოვანი კულტურითა და ტრადიციებით გამოირჩევიან შემდეგი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ): აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია და სხვ.

სახელმწიფოს მხარდაჭერა. სახელმწიფო დიდ გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების სისტემის ფორმირებასა და რეგულირებაზე,

რაც გამოიხატება აკრედიტაციის მინიჭებით, საგრანტო პროგრამით, თუ ერთიანი ეროვნული საგამოცდო სისტემის დანერგვით.

2008 წლის მონაცემებით, უმაღლეს განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი ნაერთ ბიუჯეტში 0,9%-ია. ოფიციალური სტატისტიკით, 2008 წელს სახელმწიფოს 1 სტუდენტის შენახვა, 1 წლის განმავლობაში, საშუალოდ 607.4 ლარი დაუჯდა. სტატისტიკა წლების მიხედვით ასეთია:



სპეციალობების სიმრავლე. სახელმწიფო უნივერსიტეტები სტუდენტებს უფრო მეტ ფაკულტეტს და შესაბამისად, მეტ სპეციალობას სთავაზობენ, ვიდრე კერძო უნივერსიტეტები. კერძო უნივერსიტეტები ძირითადად სპეციალიზებული არიან ეკონომიკურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე, სახელმწიფო უსდ-ებში კი, გარდა ამ ორი ფაკულტეტისა, წარმოდგენილია: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტრულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მედიცინის ფაკულტეტი და სხვ.

მაღალი მოთხოვნა. გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, 2009 წლის საბაკალავრო აკადემიურ პროგრამებზე პირველი არჩევანის მიხედვით 51 უმაღლეს სასწავლებელს შორის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე მაღალი კონკურსი იყო (3.1 აბიტურიენტი ერთ ადგილზე).

განცხადებების საერთო რაოდენობის მიხედვით, ექვსივე არჩევანის გათვალისწინებით, პირველ ადგილზეა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (34725 განაცხადი), მეორე ადგილზეა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი (22788 განაცხადი), ხოლო მესამე ადგილზე – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (20311 განაცხადი).

როგორც აბიტურიენტების რეგისტრაციის პირველადი შედეგებიდან ჩანს, წელსაც უფრო პრიორიტეტული სახელმწიფო უნივერსიტეტებია.

კერძო უნივერსიტეტებში, 2009 წელთან შედარებით, სიტუაცია თითქმის არ შეცვლილა. ფასების კლების ტენდენციის მიუხედავად, ამ უნივერსიტეტებში ჩაბარების მსურველთა რიცხვი თითქმის არ გაზარდილა.

ხელმისაწვდომი ფასი. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლის საფასური 1500-დან 3000 ლარამდე მერყეობს. მაშინ, როცა კერძო უმაღლეს სასწავლებლებში 3000-დან 8000 ლარამდეა გადასახადი. როგორც ვხედავთ, სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფასები ბევრად დაბალი და ხელმისაწვდომია, რითაც ის მნიშვნელოვან საფასო კონკურენციას უწევს კერძო უმაღლეს სასწავლებლებს.

უპირატესობა კერძო უნივერსიტეტებთან შედარებით. როგორც ცნობილია, კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა არსებობს სასწავლო უნივერსიტეტის ფორმით, ანუ მათ არა აქვთ სადოქტორო პროგრამები. სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კი უმეტესობა უნივერსიტეტია, რაც მათ უპირატესობას ანიჭებთ. აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებებისათვის კადრებს ძირითადად სახელმწიფო უნივერსიტეტები ამზადებენ, თუ უცხოეთში მომზადებულ კადრებს არ ჩავთვლით.

სუსტი მხარეები

სწავლების მოძველებული მეთოდები და თეორიის პრაქტიკაში გატარების შეზღუდულობა. სწავლების ახალი მეთოდები სახელმწიფო უსდ-ებში ძირითადად არ გამოიყენება. არ ტარდება ტესტური გამოკითხვები და თითქმის არ გამოიყენება სიტუაციური ამოცანები, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტთა პროფესიული თვისებების განვითარებას. აგრეთვე მცირეა სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დონე. ყურადღება გამახვილებულია თეორიული ცოდნის მიღებაზე და ხშირად სტუდენტებს არ შეუძლიათ ნასწავლი თეორიის პრაქტიკაში გამოყენება, რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, შემდგომ საჭიროებენ გადამზადებას.

მოძველებული ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურის დაბალი დონე. მართალია, ამ კუთხით განათლების სამინისტროს აქვს სპეციალური პროგრამები და მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარება, მაგრამ სახელმწიფო უსდ-ების უმეტეს ნაწილში ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა და ტექნოლოგიები მოძველებულია.

სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული შეფერხებები.

სახელმძღვანელოები ხშირ შემთხვევაში არ არის ხელმისაწვდომი, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებში მოიპოვება მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი, რაც არაა საკმარისი. ასევე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოების უმეტესობა ნათარგმნია უცხოური ლიტერატურიდან, თარგმანი კი დაბალი ხარისხისაა.

სტუდენტთა დასაქმების სუსტი მხარდაჭერა. მაშინ, როცა კერძო უნივერსიტეტები გამოირჩევიან სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებთან, სტუდენტთა პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო კავშირით და სტუდენტთათვის დასაქმების აქტიური მხარდაჭერით, სახელმწიფო უნივერსიტეტები თითქმის არაფერს აკეთებენ მათი სტუდენტების დასაქმების უზრუნველსაყოფად. იშვიათ შემთხვევებში არის შემთავაზებები სხვადასხვა კომპანიებისა და ორგანიზაციების მხრიდან სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების შესახებ, თუმცა სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას თვითონ უწევს სტაჟირებასა და დასაქმებაზე ზრუნვა.

შესაძლებლობები

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მოპოვება კადრების მომზადებაში. განათლების სისტემის მიმდინარე რეფორმა ცდილობს, შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოში უმაღლესი განათლება საერთო ევროპულ სტანდარტებთან. საქართველო 2005 წლიდან ჩართულია ბოლონიის პროცესში, რომლის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

უცხოელი სტუდენტების მოზიდვა. დღეისათვის უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა სახელმწიფო სასწავლებლებში არის 452 (შედარებისათვის, კერძოებში, მიუხედავად სტუდენტთა გაცილებით მცირე კონტიგენტისა, უცხოელ სტუდენტთა რაოდენობაა 380). მათგან უმეტესობა, ძირითადად ინდოელები, სწავლობს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. მათთვის ქართული განათლება ხელმისაწვდომი აღმოჩნდა დაბალი ფასისა და შედარებით მაღალი ხარისხის გამო. ასევე, უცხოელებისათვის შედარებით გამარტივებულია მისაღები გამოცდები. ამის მსგავსად, საქართველოს სხვა უნივერსიტეტებსაც აქვთ შესაძლებლობა, მოიზიდონ სტუდენტები სხვა ქვეყნებიდან, მაგალითად, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, მონღოლეთიდან, ყირგიზეთიდან, უზბეკეთიდან, ინდოეთიდან და სხვ. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სახელმწიფო უნივერსიტეტების ხელმისაწვდომი ფასი.

უცხოელი სტუდენტების მოზიდვა მნიშვნელოვანია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისათვის. ასევე ეს გაზრდის კონკურენტციას და დადებითად აისახება სწავლის ხარისხზე. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფო უნივერსიტეტების ფაკულტეტებზე

განვითარდეს უცხოენოვანი სექტორი, შეიქმნას შესაბამისი პროგრამები, შესაძლებელია მოიწვიონ უცხოელი ლექტორები. ასევე მნიშვნელოვანია თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებზე და ა.შ.

ფუნდამენტური კვლევების ტრადიციების ბაზაზე შემდგომი კვლევების განხორციელების შესაძლებლობა. მაშინ, როცა კერძო უნივერსიტეტების უმრავლესობას დოქტორანტურაც არ აქვს, სახელმწიფო სასწავლებლებში ტრადიციულად მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები, სამეცნიერო მუშაობა და შესაბამისად მათ მეტ-ნაკლებად გააჩნიათ ფუნდამენტური კვლევების და სამეცნიერო მოღვაწეობის შემდგომი გაგრძელების ბაზა, ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს ხელშეწყობა, დაფინანსება, გრანტების გაცემა და ა.შ.

თეორიულ კვლევებში სახელმწიფოს დაკვეთების შესრულების შესაძლებლობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერები ძირითადად სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე მოღვაწეობენ და, შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლებლებს აქვთ მეტი შესაძლებლობა, შეასრულონ სახელმწიფოს დაკვეთები თეორიულ კვლევებში.

სახელმწიფო სასწავლებლებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის კავშირების გაღრმავება (პრაქტიკა, სახელმწიფოსთვის კადრების მომზადება). სახელმწიფო სასწავლებლებსა და კავშირების გაღრმავება შესაძლებელია ურთიერთთანამშრომლობის გზით. შესაძლებელია გაფორმდეს რეალური შეთანხმებები სახელმწიფო დაწესებულებებში სტუდენტების პრაქტიკის გავლაზე. ამასთან, შეიძლება სახელმწიფო მართვის მოხელეთა მომზადების დონის ამაღლება სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რომელიც, ვფიქრობთ, საკმაოდ მოთხოვნადი იქნება, თუმცა, ამისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა და სასწავლო პროგრამების შედგენა იქნება აუცილებელი.

საზროსხეობა

კერძო უნივერსიტეტების მხრიდან კონკურენციის გაძლიერება. სახელმწიფო უნივერსიტეტები თუ არ იზრუნებენ თავიანთი სუსტი მხარეების გამოსწორებისთვის, ეს გამოიწვევს მათზე მოთხოვნის შემცირებას და სტუდენტთა გადადინებას კერძო უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით გამწვავდება სიტუაცია, თუ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში გაგრძელდება ფასის დაკლება, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტებში კიდევ აიწვევს ფასები.

მომხმარებელთა მოთხოვნილებების გაუთვალისწინებელი ცვლილება. მომხმარებელთა მოთხოვნილება მიბმულია ქვეყანაში მოთხოვნად პროფესიებთან. იმ შემთხვევაში, თუ დღეს მოთხოვნადი პროფესიები მომავალში აღარ იქნება ისეთი პრესტიჟული და მომხმარებლებში გაჩნდება მოთხოვნა სხვა „საჭირო“ პროფესიებზე, ამ

ცვლილებებს უნივერსიტეტებშიც უნდა აუწეონ ფეხი და შესაბამისი ცვლილებები განახორციელონ.

იმიჯის დაცემა. იმიჯის დაცემის მიზეზი შეიძლება გახდეს სახელმწიფო უნივერსიტეტების კუსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მანკეზე. იმ შემთხვევაში, თუ იგი პროცენტულად სულ უფრო და უფრო დაბლა დაიწვეს კერძო უნივერსიტეტებთან მიმართებაში, ეს გამოიწვევს მათი იმიჯის დაცემას და აბიტურიენტები არჩევანის გაკეთებისას კერძო უნივერსიტეტებისაკენ გადაიხრებიან.

პოლიტიკური ფონის ცვლილებები. პოლიტიკური არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის როგორც მთლიანად ქვეყანას, ასევე მის ცალკეულ სფეროებს, მათ შორის განათლების სისტემას. ქვეყნის განათლების სისტემის გამართული ფუნქციონირება დამოკიდებულია სახელმწიფოს მხარდაჭერაზე, გრძელვადიანი პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაზე. პოლიტიკურმა ცვლილებებმა შეიძლება შეაფერხოს ეს პროცესი, ახალმა მთავრობამ უარი თქვას ძველი გეგმების შესრულებაზე, შეცვალოს მისი პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები, რაც უარყოფითად აისახება განათლების სისტემის განვითარების პროცესზე.

ეკონომიკური სტაგნაცია. ერთი მხრივ, ეკონომიკური სტაგნაცია ამცირებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, რაც თავისთავად ამცირებს განათლებაზე მოთხოვნას. მეორე მხრივ, ეკონომიკური არასტაბილურობის დროს ქვეყანა ვერ გამოყოფს საჭირო თანხებს განათლების სისტემის განსავითარებლად, რაც აფერხებს ამ პროცესს და აუარესებს როგორც მთლიანად განათლების სისტემის, ასევე მისი ცალკეული სუბიექტის მდგომარეობას.

კვლევის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის:

რეკომენდაციები სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისათვის:

- სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა;
- ლექტორთა გადამზადების სისტემის განვითარება;
- გაცვლითი პროგრამების სისტემის გაუმჯობესება;
- სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების ხელშეწყობა;
- უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად აუცილებელი ღონისძიებების გატარება;
- საბიბლიოთეკო ფონდების გაფართოება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
- მენეჯმენტის გაუმჯობესება;
- ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერა;

- გლობალურ ბაზარზე გასვლის და წინ წაწევის სტრატეგიის შემუშავება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებები თბ., ნეკერი, 2002.
2. **Mason A. Carpenter, Wm. Gerard Sanders.** Strategic Management: Concepts and Cases. Pearson Education, Inc., 2007.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
<http://www.mes.gov.ge/>
4. გამოცდების ეროვნული ცენტრი – <http://www.naec.ge>
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <http://www.geostat.ge/>
6. <http://www.tsu.edu.ge/ge/about/history/>
7. http://www.iliauni.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3
8. http://www.gtu.edu.ge/New_history.php

*Salome Abashidze
Zaza Tabagari*

EDUCATIONAL SECTOR: SWOT ANALYSIS OF GEORGIA'S HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS

SUMMARY

High level of qualification of human resources is the basis of the development of any sector. The educational system of a country serves the very goal. Therefore, smooth operation of the educational sector is of great importance for any country.

Based on SWOT analysis the article evaluates the situation in Georgia's educational sector. The strengths and weaknesses, opportunities and threats of the higher educational institutions are studied.

As a result of the analysis the problems are revealed and the recommendations to resolve them and make an efficient use of the opportunities are provided.

Bobrivnyk L.D.

HELIANTHUS TUBEROSUS L. – BIORESOURCE IN SOLUTION OF ECOLOGICAL, ECONOMIC AND SOCIAL PROBLEMS OF HUMANITY

Nowadays the humanity experiences world economic crisis, aggravated by ecological, energetic, and food problems. UN dedicated much attention to the problem of global warming, recommending to limit burning of hydrocarbons and coal,

using untraditional source of energy for decreasing of green-house gas, thrown into the atmosphere. UN is worried as well by the problem of deficit of food-staff and people hunger in many countries of Africa and Asia. According to information of General director of food and agricultural organization of UN, 1,020 billions of people are suffering from hunger. In such situation *Helianthus tuberosus* L. (topinambur or earth pear) can be recommended as one of the bioresources, which can be useful in solution of some above-mentioned problems. Topinambur is the plant of North American origin (Cape Cod). According to historic notes (Lescarbo) it was brought in Europe from New World in 1605 by French navigators, and it quickly spread on many European countries, and later spread in Asiatic countries. Outstanding botanist and selective N.I. Vavilov attributed topinambur to one of more productive earth plant, naming it “the plant – bogatir”, and foretold its great future importance for the humanity. Today it is possible to confirm the prophetic forecast of the great naturalist, characterizing four main directions of topinambur use [1]: 1. Topinambur – a powerful remedy in struggle against progress acceleration of “greenhouse effect”. 2. Topinambur – renewal source of energy as motor fuel. 3. Topinambur – inexhaustible source of manufacture of therapeutic remedies and food-stuffs of prophylactic-curative meaning. 4. Topinambur – the source of value forage for stock-breeding.

Let us characterize shortly every of above-mentioned directions of topinambur using in the country economics.

1. Topinambur – powerful remedy in struggle against progress acceleration of “green-house effect”.


Nowadays the humanity is upset by possibility of global warming development of our planet, concerning technique-genetic factor, which carries an essential contribution in “greenhouse effect”. The greenhouse effect – the result of accumulation in the atmosphere “greenhouse gases”, which are composed by carbon dioxide (CO_2), methane (CH_4), nitrogen oxide (NO), fluohydrocarbons, difluorides-sulfur dioxide (SO_2F_2). But carbon dioxide composes the main part of greenhouse gases – the result of burning of all kind of fuel: coal, hydrocarbons (petroleum, gases), peat and others. There are many opponents against conception, that global warming was caused by human activity. The main argument of such opponents is the reference on the fact, that humanity during its existence experienced both coldness and warming, that is why in their opinion the warming can not be caused by industrial human activity. However the reference to the history of humanity life doesn't take into consideration that obvious fact, that the humanity burnt for all past millenniums till end of XIX century only scanty part of that fuel, which was burnt in XX century due universal industrialization of economy of the majority countries, and unprecedented development of transport means. That is why on the appraisal of geologists more than a half of all founded out underground energy-carriers were burnt in XX century. Nowadays the world burn 12 billions ton of fuel yearly, and throws 8.4 billions ton of CO_2 into atmosphere [2]. Just such intensive burning of energy-carriers the

concentration of CO₂ in atmosphere increased, and the temperature of atmosphere and planet surface increased in the same time by 0.6⁰C for the last 100 years. The ecologists suppose, that it is possible the increasing of temperature by 2⁰C for the following 50 years [3]. In the consequence of this phenomenon the acceleration of greenhouse effect development will lead to the rise of average world ocean level by 9 cm. This rise of the ocean level will lead to flood not only thousands of villages, towns, among which near 22 megalopolises, but hundred thousands hectares of agricultural grounds can be lost as well, provoking the large deficit of food.

Nowadays many propositions of scientists from different countries propose methods for elimination of CO₂ from atmosphere [4]. There is no necessity to characterize them, because they in the majority are fantastic, firstly, they demand to spend astronomic expenses, which any country can not spend; secondly, the carrying out these propositions (just this is the main deficiency of these propositions !) is connected with extremely dangerous secondary consequences, about which genius philosopher F. Engels warned the humanity. Besides, the majority of these impracticable methods don't foresee the usage CO₂, absorbed from atmosphere, moreover, they propose to concentrate CO₂ under thickness of ocean waters or direct it into underground emptiness, which the nature before had filled by gas, petroleum, and coal.

That is why the proposition to use the unique, created by Nature, photosynthetic reaction in the struggle against greenhouse effect development can be more productive and realized.

The simplified scheme of this reaction can be presented so:



This unique reaction permits not only to remove CO₂ from the Earth atmosphere, but it saturats the atmosphere by oxygen as well. The formula C₆H₁₂O₆ describes qualitative and quantitative composition of monosaccharides – ones of the first products of photosynthesis. Monosaccharides condense into oligosaccharides and finally - into polysaccharides (glucans, fructans etc.). These last substances are often named as “store substances”, for example starch, cellular tissue, inulin, which can be transformed into ethanol (motor fuel) by well known technologies.

So, photosynthesis permits to remove CO₂ from atmosphere in considerable measure and transform it into energetic raw material. Such particularity of transformation of atmosphere dioxide carbon into substance useful for mankind (fuel, food-staff, feeds) it's profitable difference this method from others.

That is why it is necessary to green more and more territories, creating green belts around towns, enterprises of metallurgy, coke-chemistry, chemistry of organic syntheses, especially near thermo-centrals, which use hydrocarbons and coal as a fuel. This concerns such regions, as for example, south-eastern regions of Ukraine extremely technique-genetic super-loaded with greenhouse gases, in particularly, because in that region there is no traditionally forest massifs. It is well known method

to plant forests and parks is necessary, but it is insufficient. Why? Because according to conformation of well known climatologists the humanity has already lost the time for planting forest, and the problem of saving of planet Earth from approaching catastrophe demands any emergency measures for 10 coming years (the statement of leading American climatologist J. Hanson from Goddard Institute of Space Studies [3]). That is why it is necessary to resort to grow plants, which posses the following particularities: high (no less than forest) capability to photosynthesis; high rate of vegetation and reproduction (for no more than one year); capability to grow in all latitudes, where industry-developed countries are located (from 65⁰ of North latitude till 60⁰ of south latitude); capability to grow on the unused by agriculture lands (fields of filtration of communal and industrial enterprises waste waters, on the slag of thermo-centrals, gurbich stores, terricons etc.).

Such plant, which corresponds to above-mentioned requirements, in opinion the paper author, is topinambur: many studies, carried out by agricultural specialists, confirmed this conclusion.

The outstanding Russian botanist K.A. Timiriasev considered, that topinambur is “one of the most intensive field cultures” [6, 7]. The scientist confirmed this thesis by such facts. One hectare of topinambur is capable to absorb 6 tones of carbon (from CO₂ of atmosphere), and one hectare of forest – only 3-4 tones, that is, topinambur surpasses forest plantation on the photosynthesis in 1.5 – 2 times. However the growing of forest demands minimum 10-15 years, and topinambur - only one year. Besides, at the same time, it is possible to use both the green mass and tubers of topinambur for manufacture of ethanol on dependence, in which climatic zone topinambur is cultivated. But no less important particularity of this wonderful plant is the possibility to use this raw material not only for manufacture fuel, but for production of inulin (therapeutic remedy) [8], and production of large quantity of kinds of food-staff prophylactic-curative meaning. Many such technologies were elaborated in Problem scientific-research laboratory of National University of Food Technology under leading of the paper author [9,10, 11, 12, 13, 14, 15, 16].

2. Topinambur – the renewal source of energy (as motor-fuel).

As it was above shown, topinambur, possessing high photosynthetic capability, is accumulating fructans during the vegetation, which can be transformed into ethanol by more effective and simple technologies, than glucans can [17]. Ethanol can be used directly as motor fuel or in the mixture with traditional fuel. The use ethanol in the mixture (benzene-ethanol – 12.5%) gives the following advantages: ethanol, mixed with benzene, increases calorific capacity of the last and decreases super-heating of engines; anti - detonative capability of ethanol in the mixture 10-15% ethanol/ 90-85% benzene permits to eliminate from motor fuel tetraethyl-lead (plumbane). The last, as it is well known, is a very toxic substance for people and for all alive; engines, which are supplied by mixture benzene-ethanol at the same degree of compression, function

better, than on the pure benzene: expenditure of fuel decreases and the power of engine increases. Moreover it is very important to emphasize, that transition engines for use mixed fuel don't require any its reconstruction.

There is already the experience of topinambur use as a source of manufacture of ethanol both from green masse and from tubers of it. It is possible to obtain 83.2 l of ethanol from every ton of green masse and 105.8 l ethanol from tubers [5]. It was calculated that it is necessary to plant 4000 hectares of topinambur for supplying an ethanol-mill of the average productivity. Studies, carried out in the state Iowa, have shown that 90% of carbohydrates of plant are fermentable. According to the French scientists' data [18] ethanol outcome from one hectare of topinambur forms 42-49 hectoliters; sugar beet, potatoes, grown on one hectare, form only near 30 hectoliters of ethanol. In the National University of Food Technologies (Ukraine, Kiev), new technologies of ethanol on the base of both green masse and tubers are elaborated, and average outcome of ethanol put together 80-87 l from one ton of raw material [17].

In opinion of the paper author, in the case, when topinambur is growing for ethanol manufacture, it is necessary to grow the hybrids of topinambur with sunflower ("topinsunflower"), as for example, well-known sort "News Vira". According to M.Pasko's information [19] this sort is characterized by such harvest: on the irrigated fields it is possible to obtain 87.9 t/hectare of green mass and 47.7 t/hectare.

3. Topinambur – an inexhaustible source for manufacture of therapeutic remedy and food-staffs of prophylactic-curative meaning.

It is well-known that radionuclides, which incorporate into human organism, provoke hard illness of endocrine system, cardiovascular system, lead to a marked degree to weakening of immunity, and as result to cancerous illnesses. According to Internet information in Ukraine, every of 50 citizens suffers by one of the kind of cancer, and every years dozens thousands of Ukrainians dead due this terrible illness. According to Professor A. Yablukov's calculations 900,000 citizens of Ukraine, Byelorussia, and Russia have died for the last 15 years after Chernobyl catastrophe in consequence of radiation influence. Yablukov considers, that "raying of people doesn't decrease, but contrary increases, and its affect on people will continue more for seven generations. In fact, the superficial radiation gradually is decreasing, but radionuclids go deep into soil, reaching the level of roots of different plants, which lift they on the surface again". That is why the elaboration of measures, which would decrease the pernicious affect of radiation on the human health, remains extremely important.

It is impossible to resist above-mentioned challenge, using only medicines because systematic usage of synthetic medicines provokes side-effects, which stipulate damage for health. That is why it is necessary to appeal to advice of Hypocrat, famous doctor of antiquity: **"Our medicines have to be our food, and our food has to be our medicines"**. That genius thought contents an important thesis, that the chronic illnesses demand systematic (chronic) cure, which can provide only nutrition, because it is really systemic, like unfortunately raying is chronic too on the territories,

contaminated by radionuclides. So, a conclusion follows, that it is necessary to treat the consequences of radiation by such food-stuffs, which are capable to inhibit affect of radiation. In author opinion, it is necessary to pay attention as a kind of raw material for production of food-stuffs of prophylactic-curative meaning and food additives, which are able to resist against affect of small doze of radiation. Such raw material can be topinambur tubers. This proposition is based on knowledge of unique chemical composition of topinambur, which provides high biological activity of food-stuffs, manufactured from its tubers. Besides high content of inulin (10-18 %), which is acknowledged today in whole world as a food additive of functional effect, tubers content considerable quantity of valuable micro- and macro-elements, such as among the last potassium, calcium, magnesium, and in composition of micro-elements such rare and important as silicon, zinc and others. Topinambur tubers content whole irreplaceable amino-acids (lysine, histidine, arginine, threonine, valine, methionine, isoleucine, leucine, phenylalanine), much vitamin C, and practically whole composition of group vitamins B (B₁, B₂, pantothenic acid, niacin, adermin, biotin acid, folic acid). There are among organic acid: citric acid, malic acid, fumaric acid, succinic acid, which together with ascorbinic acid possess antioxidant properties.

But the main physiological active component of topinambur is inulin. Nowadays such positive affect of inulin on the human organism is generally accepted: prophylactic measure and cure of cardio-vascular diseases (IDH), arteriosclerosis, (decrease of cholesterol level particularly LDL, phospholipids, triglycerides); prophylactic of diabetes complications such as angio-and retinopathy; modification of micro flora of intestines, promoting to development of Bifid bacteria and Lactobacilli and inhibition of pathogenic micro flora; prophylactic measure of obesity development; increasing of absorption and accumulation of Calcium in bones; strengthening of immune system and inhibition of cancerous illness, especially rectal and breast; radio- and hepatic-protective. Recently it was proved [20], that inulin possesses immunity-modeling capacity. That is why it can be used for correction of damaged immunity by affect of small radiation doze. It was shown the affect on the cytogenetic indexes of patients, which have been living on the territories with high radiation background. In such conditions the diabetics suffered the inhibition of suppressive activity of T –lymphocytes. After long consumption of inulin it was observed the increase of T- lymphocytes content and increase of their suppressive activity. It was observed as well evenness of percentage of suppressions, and increase of immunity – compensative potential of blood. In that study for the first time the obvious anti-mutable effect was observed after 2 months of daily inulin consumption. The significant decreases of chromosomal and chromatize breakages ware observed, and sometimes the complete elimination of markers of radiation affect was found. So the wide cultivation of topinambur would promote not only improvement of ecological condition of countries, but it would promote energy ensuring, and assist the people sanitation.

4. Topinambur is the source of value forage

for stock-breeding.

Topinambur and its hybrids with sunflower surpass the majority of forage cultures. The harvest of the topinambur is more high, than others well-known cultures (maize, clover) in 1.5 – 3.5 times at the same conditions of growing, and expenditures for manufacture of feed unit are less in 1.5-15 times. Topinambur is good forage practically for all species of agriculture animals, and promotes increasing of growth and reproduction of them. It is known that in farms, which use topinambur forage, the loss of cattle decreases and reproduction of them increases, especially pigs.

There are 0.25 – 0.31 feed units in one kilogram of green mass and 15 – 18 gram digestive proteins, more than one kilogram of maize green mass contents.

The famous selectologist of topinambur and its hybrids N.M. Pasko (Russia) have carried out the economic appraisal of some feed-cultures for period 1982 –1986, quoting the following data [21]:

Cultivations	From 1 hectare, 100kg		Profit from 1 hectare, rouble	Level of profitability, %
	feed units	protein		
Topinambur	227.9	12.5	7,081.7	364.2
Hybrid of J. ar.	536.8	13.7	4,213.0	304.8
Maize	78.5	4.6	219.1	44.3
Clover	56.8	7.6	132.5	58.3
Feed beet	40.0	3.0	104.5	-
Potato	50.5	2.3	1,260.7	17.0

The chemistry composition and relative feed-value of silage feed from different feed cultivations, carried out by the All- Union institute of feed (Russia), are practically the same both topinambur and maize. However topinambur surpasses maize on the digestive proteins by 30 %. The forage from topinambur is especially useful for dairy-cattle (increasing yield of milk), for pig-breeding and rabbit-breeding.

REFERENCES

1. **Бобрівник Л.Д., Гулий І.С., Лезенко Г.О., Ремесло Н.В.** Топінамбур – сонячний корінь. – Київ: Урожай, 1995. – 69 с.
2. **Вольпин А.** Величайший самообман. Новое русское словою 2007. –В. 68. - #33. - С.11.
3. Global warming: fictions, facts, paradoxes. Magazine “Metro”. -2007. -# 157. –Р 26-30.
4. Безумные методы лечения планеты. Газета “Новый Меридиан”.- 2008.- № 732. – С. 44.
5. **Люшинский В.В.** Возделывание топинамбура. Сельское хозяйство за рубежом. - 1983.- № 12. – С.16.
6. **Тимирязев К.А.** Земледение и физиология растений, М –Л. - 1941.- 206 с.
7. **Тимирязев К.А.** Жизнь растений. Сельхозиздат.- Москва.- 325 с.

8. Патент України, №10573 А. Способ одержання інуліну. 1994. Оубл. 25.12.1996. Бюл. № 4, 1996.
9. Авторское свидетельство № 1392105. Способ получения фруктозного сиропа из инулинсодержащего сырья. 12.10. 1985.
10. Авторское свидетельство № 1578872. производство инулиносодержащих продуктов из топинамбура. 06.04. 1987.
11. Авторское свидетельство № 4899829.13. Способ производства пшеничного хлеба. 03.01.1992.
12. Авторское свидетельство № .5015931. Способ производства мучных изделий. 27.05.1992.
13. Патент України № 98063343. Способ виробництва порошкоподібного розчинного топинамбура. 26.06.1998.
14. Патент України № 10539. Способ отримання концентрату із бульб топинамбура.
15. Патент України №23568 А. Склад для сухого сніданку. Оубл. 31.08.1998. Бюл. № 4.
16. Патент України №30733 А. Способ одержання сухого порошку із топинамбура. Оубл. 15.12.2000. Бюл. № 7.
17. Патент України № 15126 А. Спосіб одержання етилового спирту із коренеплодів інуліновмісної сировини. Опбл. 30.06.1997. Бл. № 3.
18. Перспективы зелёной энергетики // За рубежом: еженедельник. – 1982. № 43 (1164). – С.20 – 21.
19. **Пасько Н.М.** Перспективные кормовые культуры. Адыгейское правление НТО сельского хозяйства: Майкоп. -1980. – 42 с.
20. **Ванюрихина Л.Т.** Заключение КИУВиевского института усовершенствования врачей Минздрава Украины (кафедра медицинской генетики). 1994. – 2 с.
21. **Пасько Н.М.** Экономическая целесообразность культивирования топинамбура и топинсолнечника. Майкоп.- 1988. – 203 с.

ლინა დათუნაშვილი
მაია დათუნაშვილი

**მეცხოველეობის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი
საქართველოს რეგიონებში**

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოსთვის, რომელიც ნელა, მაგრამ მაინც გარკვეულ ნაბიჯებს დგამს საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, სულ უფრო აქტუალური ხდება მეცნიერულად დასაბუთებული რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბება. უკანასკნელ პერიოდში გარკვეული ეკონომიკური ცვლილებები მიმდინარეობს როგორც ქვეყნის, ისე კონკრეტული რეგიონების ფარგლებში. ამ ტენდენციამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის დღეს არსებული დისპროპორციების შერბილების პროცესს, რომელიც აუცილებლად უნდა დაემყაროს ახლებურად გააზრებული და დასაბუთებული რეგიონული ეკონომიკური პროგრამის

რეალიზაციას, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული რეგიონების განვითარების შესაძლებლობები და პარამეტრები.

საქართველოს რეგიონებში მეცხოველეობა, მემცენარეობასთან ერთად, სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს. მეცხოველეობის წილი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოშვებაში 2000-2008 წლებში 51%-დან 56%-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, საანალიზო პერიოდში ქვეყანაში 131,9 ათასი სულით შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (კამეჩის ჩათვლით). არსებული მონაცემებით, პირუტყვის სულადობა გაიზარდა სამეგრელო და ზემო სვანეთის (11,8 ათასი სული) და ქვემო ქართლის (57,2 ათასი სული) რეგიონებში, ხოლო პირუტყვის სულადობის შემცირება დაფიქსირდა აჭარის არ (36,5 ათასი სული), სამცხე-ჯავახეთსა (10,0 ათასი სული) და დანარჩენ რეგიონებში (144,2 ათასი სული).

გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ, თუ სოციალიზმის პერიოდში არ შეიძლებოდა თითოეულ ოჯახს პირუტყვის განსაზღვრულ სულადობაზე მეტი ჰყოლოდა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ეს პრობლემა აღარ არსებობს. სოფლად ფერმერს შეუძლია იყოლიოს იმდენი სული პირუტყვი, რამდენის მოვლასაც შეძლებს. თუ ადრე სოფლად პირუტყვს ჰყავდა მეთვალყურე, რომ საქონელი არ გადასულიყო საზოგადოებრივი მეურნეობების ან გლეხის პირად დამხმარე მეურნეობაში, რისთვისაც პირუტყვის პატრონს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, ამჟამად ეს პრობლემაც მოხსნილია. აღნიშნული შეზღუდვების არარსებობა, ვფიქრობთ, დადებითად იმოქმედებს სოფლად პირუტყვის სულადობის ზრდაზე. მიუხედავად 2000-2008 წლებში პირუტყვის სულადობის შემცირებისა, ქვეყნის რეგიონებში რძის წარმოება 75,7 ათასი ტონით გადიდდა. რძის წარმოება გაიზარდა იმერეთის (11,5 ათასი ტონით), შიდა ქართლის (8,7 ათასი ტონით), ქვემო ქართლის (97,9 ათასი ტონით) და სამცხე-ჯავახეთის (16,4 ათასი ტონით) რეგიონებში, შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა აჭარის არ (10,5 ათასი ტონით), სამეგრელო და ზემო სვანეთის (14,1 ათასი ტონით) და კახეთის (16,9 ათასი ტონით) რეგიონებში. უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად მცხოვრებთა ძირითად საკვებს რძე და რძის ნაწარმი წარმოადგენს, ხოლო მეცხოველეობის ნამეტი სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციით ფერმერი გარკვეულ შემოსავალს იღებს. საანალიზო პერიოდში ერთი ლიტრი ახალი რძის ფასი 95 თეთრიდან 1,77 ლარამდე, ხოლო ერთი კგ იმერული ყველის ფასი 3,22 ლარიდან 6,27 ლარამდე გაიზარდა. 2000-2008 წლებში რძისა და რძის პროდუქტებზე საშუალო წლიური ფასების მატება ინფლაციური პროცესის გააქტიურებით უნდა აიხსნას, რომელიც ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებლის ოჯახურ ბიუჯეტზე.

საანალიზო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა (357,0 ათასი სულით) ღორის სულადობა. საქართველოში მეღორეობას მისდევენ იმერეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და დანარჩენ რეგიონებში. აღნიშნულ პერიოდში ღორის სულადობა შემცირდა იმერეთის (66,1 ათასი სულით), სამეგრელო და ზემო სვანეთის (106,2 ათასი სულით), კახეთის (69,9 ათასი სულით), ქვემო ქართლის (16,5 ათასი სულით) და დანარჩენ რეგიონებში (97,3 ათასი სულით). უკანასკნელ პერიოდში ღორის სულადობის ასეთი მკვეთრი შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ღორის დაავადება, რომელიც "ღორის ცხელებით" არის ცნობილი. ამ დაავადების გარკვეული კერები დაფიქსირდა კახეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონებში, რის გამოც ამ რეგიონებში გაწყდა ათასობით სული ღორი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სოფლად აღარ ფუნქციონირებს ვეტერინალური სამსახურები, არ ხდება ღორის სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ აცრები, რაც ქმნის იმის საშიშროებას, რომ მომავალშიც არ ვართ დაზღვეული ასეთი სახის დაავადების გავრცელებისგან.

2000-2008 წლებში ქვეყანაში შემცირდა ცხვრის სულადობა 22,7 ათასი სულით. მეცხვარეობა ერთ-ერთ ძირითად და განვითარებულ დარგს წარმოადგენს კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. საანალიზო პერიოდში ცხვრის სულადობა გაიზარდა ქვემო ქართლის (34,5 ათასი სულით), კახეთის (21,3 ათასი სულით) და მცხეთა-მთიანეთის (4,1 ათასი სულით) რეგიონებში, ცხვრის სულადობა შემცირდა სამცხე-ჯავახეთის (68,0 ათასი სულით) და დანარჩენ (16,6 ათასი სულით) რეგიონებში. მეცხვარეობა სოციალიზმის პერიოდში ერთ-ერთ განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. მეცხვარეობის ცალკეულ რაიონს გააჩნდა როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის საძოვრები და მეცხვარეები საზოგადოებრივი მეურნეობის ცხვარს (საკუთარ ცხვართან ერთად) სეზონის მიხედვით ერეკებოდნენ ხან ზამთრის და ხან ზაფხულის საძოვრებზე. მიწის პრივატიზაციამ, სხვადასხვა რაიონისა და სოფლის საზღვრების გამოყოფამ, ზამთრის საძოვრების შემცირებამ გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყანაში მეცხვარეობის განვითარებაზე.

მეფრინველეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი განვითარებული დარგია, მიუხედავად ამისა, საანალიზო პერიოდში ყველა სახის ფრინველის რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემცირდა 1143,3 ათასი ფრთით. შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა იმერეთის (448,1 ათასი ფრთით), სამეგრელო და ზემო სვანეთის (452,8 ათასი ფრთით), შიდა ქართლის (101,7 ათასი ფრთით), კახეთის (7,5 ათასი ფრთით) და დანარჩენ (902,9 ათასი ფრთით) რეგიონებში. ყველა სახის ფრინველის რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ ქვემო ქართლის (872,7 ათასი სულით) რეგიონში. უკანასკნელ წლებში გავრცელებულმა ფრინველის ვირუსულმა დაავადებამ აჭარის არ, იმერეთისა და კახეთის

რეგიონებში ათეულ ათასობით ფრთა ფრინველი გაანადგურა. დაავადების გავრცელების შიშით მოსახლეობამ ათასობით ფრთა ფრინველი თავიანთი ინიციატივით დაკლა. ამ მოვლენამ უარყოფითად იმოქმედა დარგის განვითარებაზე. საქართველოში ეს დარგი ეკონომიკურად მომგებიანია. ამიტომ მეფრინველეობაში დასაქმებულ ფერმერებსა და ბიზნესმენებს გააჩნიათ როგორც გამოცდილება, ისე შესაძლებლობა, რომ მეფრინველეობა ისევ განვითარებულ დარგად იქცეს.

მეფუტკრეობა საქართველოში მეცხოველეობის ერთ-ერთ ტრადიციულ დარგს წარმოადგენს. 2000-2008 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფუტკრის ოჯახების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 97,6 ათასი სკი-დან 206,9 ათას სკამდე. ფუტკრის ოჯახების რაოდენობა გადიდა აჭარის არ (1,3 ათასი სკა), იმერეთის (4,2 ათასი სკა), სამეგრელო და ზემო სვანეთის (41,0 ათასი სკა), კახეთის (39,7 ათასი სკა), სამცხე-ჯავახეთსა (1,9 ათასი სკა) და დანარჩენ რეგიონებში (19,6 ათასი სკა). ფუტკრის ოჯახების რაოდენობის ზრდამ განაპირობა რეგიონების მიხედვით თაფლის წარმოების გადიდება 1,2 ათასი ტონით. თაფლის წარმოების ზრდა შეინიშნება თითქმის ყველა რეგიონში. ეს დარგი შემოსავლიანია. სოფლად ფერმერები თაფლს აწარმოებენ როგორც პირადი მოხმარებისათვის, ისე სარეალიზაციოდ. ქართული ნატურალური თაფლი, როგორც ქართული ფუტკარი, ერთ-ერთი საუკეთესოა, ამიტომ ამ დარგის განვითარებით უფრო მეტი ფერმერი უნდა დაინტერესდეს.

საანალიზო პერიოდში შემცირდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ასევე ყველა სახის ფრინველის ხორცის წარმოება (დაკლულ წონაში ათასი ტონა) შესაბამისად: 23,2; 25,5; 5,0; 0,8; გაიზარდა ძროხის, ფურისა და ფურკამების რძის წარმოება 75,7 და 83,4 ათასი ტონით; ასევე ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა კვერცხის (76,1 მლნ ცალით) და თაფლის წარმოებაში (1,2 ათასი ტონით).

2000-2008 წლებში მაღალია დაცემული პირუტყვის – ღორის, ცხვრის და ფრინველის რაოდენობა. აღნიშნულ წლებში გაიზარდა დაცემული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 46,3 ათასი სულით. ამ მაჩვენებლის მეტ-ნაკლები ზომით ზრდა შეინიშნება ყველა რეგიონში. ამ პერიოდში გადიდა დაცემული ღორის რაოდენობა, რომელმაც შეადგინა 10,0 ათასი სული. ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია სამეგრელო და ზემო სვანეთის, იმერეთისა და გურიის რეგიონებში. ღორის დაცემის შემთხვევები შემცირდა რაჭა-ლეჩხუმის, კახეთის, ქვემო ქართლისა და დანარჩენ რეგიონებში.

საანალიზო პერიოდში საქართველოში მკვეთრად იმატა ცხვრისა და თხის, ასევე ყველა სახის ფრინველის დაცემის შემთხვევებმა – 117,5

ათასი სულით და 2066,1 ათასი ფრთით. ამ მაჩვენებლების ზრდა სხვადასხვა ზომით დაფიქსირდა თითქმის ყველა რეგიონში.

მეცხოველეობის დარგში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის და თხის, ასევე ყველა სახის ფრინველის დაცემა ასეთი რაოდენობით მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ძალზე დაბალია ვეტერინალური მომსახურება ან, სწორ შემთხვევაში, სრულიად არ ფუნქციონირებს სოფლად ვეტერინალური სამსახურები. საბჭოთა პერიოდში აგრარული სფეროს ინფრასტრუქტურა საკმარის დონეზე იყო განვითარებული. ეს სამსახურები ათეული წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა და მომსახურებას უწევდა ამ სფეროს. უკანასკნელ წლებში ისინი გაუქმებულია, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამგვარი სამსახურები ვერ დაფინანსდებიან, ამიტომ, ვფიქრობთ, მათი ფუნქცია უნდა იკისრონ აგრარული სფეროს მომსახურების კოოპერატივებმა, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ორი-სამი სოფლის ბაზაზე. ასეთი კოოპერატივები მომავალში ამ სფეროს განვითარების ერთ-ერთი გარანტი უნდა გახდეს.

მეცხოველეობის განვითარების ტრადიცია და ამ დარგში გამოუყენებელი რეზერვის არსებობა გვინფიცებს, რომ საქართველოში მეცხოველეობას განვითარების მაღალი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია, რაც გამოყენებული უნდა იქნეს იმ მიმართულებით, რომ დარგის შემდგომი განვითარებით მოსახლეობის მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკმაყოფილდეს მეცხოველეობის ძირითადი სახეობის პროდუქციაზე.

Lina Datunashvili

Maia Datunashvili

SOME ISSUES OF LIVE STOCK ECONOMY IN GEORGIAN REGIONS

SUMMARY

The article studies and analyses the situation existing in livestock branch in Georgia, the change of cattle and poultry number, also that of bee families in 2000-2008.

The attention is focused on shortcomings existing in all categories of rural farms producing meat, milk, egg and honey and are planned out the ways of their eradication.

შზია ზუბიაშვილი

კონკურენციის სახეობები სატრანსპორტო

ინფრასტრუქტურაში

რკინიგზის ტრანსპორტი არის ეკონომიკის ინფრასტრუქტურული დარგი. მგზავრების და ტვირთების ამ ტრანსპორტით გადაზიდვების მომსახურება ტექნოლოგიურად დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასთან და წარმოადგენს დამოუკიდებელ ბიზნესს.

რკინიგზის ტრანსპორტის სხვადასხვა დონეზე მომსახურება ყველა ქვეყანაში პირდაპირი ან ირიბი სახელმწიფო რეგულირების საგანია. მსოფლიო პრაქტიკაში ინფრასტრუქტურის დარგის მიმართ, პოტენციურად კონკურენტულ სექტორებში, ბოლო წლებში შეიმჩნევა კონკურენციის დარეგულირების და განვითარების ტენდენცია. ამასთან, არ არსებობს უნივერსალური რეკომენდაცია ბუნებრივ-მონოპოლიური და პოტენციურად კონკურენტული სექტორების საზღვრების გასაყოფად; ცალკე აღებულ ყოველ ქვეყანაში საჭიროა გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებების, მოთხოვნის დონის და ხასიათის, ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციის შესაძლო შემცველების არსებობის გათვალისწინება. ბუნებრივი მონოპოლიის დანახარჯების საინფორმაციო შეზღუდვის გამო, დეტალური ეკონომიკური ანალიზი ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. მსოფლიო პრაქტიკაში რკინიგზის ტრანსპორტზე პოტენციური კონკურენციის სფეროს მიაკუთვნებენ სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების ოპერაციებს და, აგრეთვე, მოძრავი შემადგენლობის შეკეთებას. მათი სპექტრის გაფართოების დროს ამ სექტორებში კონკურენციის არ არსებობა პირველ რიგში ასრულებს ეფექტურობის გაზრდის სტიმულირებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების როლს. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, კონკურენცია შეიძლება გახდეს უფრო ხელსაყრელ, ალტერნატიულ ინსტრუმენტად, რამდენადაც იგი (როგორც საზოგადოებრივი დანაკარგების შემცირების ხერხი „ბაზრის ჩავარდნის“ შედეგად), საინფორმაციო და პოლიტიკური შეზღუდვის პირობებში არ წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტს.

საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურის დარგებში კონკურენციის განვითარება არ უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებელ მიზანს. იგი მიმართული უნდა იყოს მთელი დარგის ფუნქციონირების ამაღლებისაკენ. კონკურენციის როლი და რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ეფექტურობის ამაღლების საკითხი წარმოადგენს საკმაოდ რთულ ცალკე პრობლემას და ჩვენი ამჟამინდელი კვლევის ჩარჩოებს მიღმაა.

რკინიგზის ტრანსპორტის დარგის კონკრეტული სტრუქტურული ორგანიზაციისაგან დამოუკიდებლად, შეიძლება პოტენციურად შესაძლებელი სამი სახის გამოყოფა: „სახეობათაშორისი“, „შიდასახეობრივი“ და „ბაზარს გარე“ კონკურენცია.

„სახეობათაშორის“ კონკურენციას ადგილი აქვს, მაგალითად, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტს შორის.

„შიდასახეობრივი“ კონკურენცია ხორციელდება ისეთ სიტუაციაში, როდესაც ბაზრის შიგნით ერთმანეთს შორის კონკურენციას უწევს რამდენიმე სარკინიგზო გადაამზიდავი.

„ბაზრის გარე“ კონკურენცია უზრუნველყოფილია არა დარგის სტრუქტურით, არამედ შესვლის პირობებით. ამ მიზნით, ბიზნესის წამოწყებისათვის ორგანიზებულია ე.წ. სავაჭროები (აუქციონი) ფრანშიზისათვის, რაც უზრუნველყოფს კონკურენციას საქმიანი სფეროსათვის. ამ საქმიანობით ინფრასტრუქტურის მომსახურება ან სარკინიგზო გადაზიდვების განხორციელება შესაძლებელია ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიის ჩარჩოებში.

სარკინიგზო ტრანსპორტზე კონკურენციის ორგანიზაციის მოცემული ხერხი ცალკე ყურადღების ღირსია, რამდენადაც, ერთი მხრივ, სულ უფრო ხშირად გამოიყენება მსოფლიო პრაქტიკაში, ხოლო მეორე მხრივ – საკმაოდ რთულია ორგანიზაციული თვალსაზრისით. ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით შეეხერხებით.

კონკურსის მონაწილეებს შორის დაპირისპირებამ შეიძლება თავიდან აგვაცილოს მონოპოლიური ფასები, რამდენადაც აუქციონის გამარჯვებულს, რომელიც გეთავაზობს მომსახურების უმცირეს კუთრ ფასს, წართმეული ექნება თავისი დანახარჯების გაზრდის სტიმული. გარდა ამისა, ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში ის დაინტერესებული იქნება რესურსების ოპტიმალური განთავსებით, რაც მიგვიყვანს ტრანს-აქციური დანახარჯების შემცირებამდეც.

რამდენადაც გრძელვადიან პერსპექტივაში მონოპოლიური პროდუქციის წარმოების დანახარჯებს აქვს შემცირების ტენდენცია, ამიტომ ბუნებრივი მონოპოლიის პროდუქციასა და ხარჯების დონეზე ფასების ცვლილების დინამიკის შესათანხმებლად აუცილებელია, პერიოდულად ჩატარდეს აუქციონები. გამარჯვებულს ეძლევა შესაძლებლობა, არენდის ან კონცესიის უფლებით განახორციელოს სამეურნეო საქმიანობა.

ფრანშიზის, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის და კონკურენციის განვითარების სახელწიფო რეგულირების ფორმის ვაჭრობის უპირატესობა შეიძლება იყოს: პირველ რიგში, მათი საქმიანობის მომხმარებლების შეკვეთებისადმი და არა მარეგულირებელი ორგანოსადმი დაქვემდებარება; მეორე, ამ უკანასკნელის როლის მინიმუმამდე შემცირება; მესამე, კომპანია-მწარმოებლების კერძო ინფორმაციის მარტივი და ეფექტური გახსნა.

ამასთან, ეს უპირატესობები უფრო სასურველია, ვიდრე რეალური. დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მეთოდოლოგიურად და შინაარსობრივად, მარეგულირებელი ორგანოების მიერ კონკურსის ჩატარების პირობების და თვითონ პროცედურის დამუშავება საკმაოდ

რთული ამოცანაა. მისი როლი და კომპანიის მიზანზე ზემოქმედების ხარისხი სრულიად არ არის იმაზე უკეთესი, ვიდრე რეგულირების სხვა ფორმების დროს. გარდა ამისა, დანახარჯების დიდი რაოდენობის და დაუბრუნებლობის ხასიათის გამო, კონკურსში მონაწილეობისათვის ყოველთვის არ არის შესაძლებელი ეფექტური კონკურენციის მოწყობა, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ კომპენსაციას გაუწევს სახელმწიფოს. ანლოგიური ხერხით ორგანიზებული კონკურენცია ასევე არ ითვალისწინებს კონტრაქტში გაუთვალისწინებელ გარემოებებთან ბიზნესგამარჯვებულის ადაპტაციის მექანიზმს, რომელთა აღძვრის ალბათობა საკმაოდ დიდია. ამის მიზეზია ის, რომ გამარჯვებულის აუქციონს მოქმედება უწევს განსახლვრულ პირობებში, ხოლო მოქმედების განვითარების ყველა შესაძლო ვარიანტი ვერ იქნება გათვალისწინებული კონტრაქტის ჩარჩოებში. შეცვლილ გარემოებებთან ადაპტაციის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება გახდეს კონტრაქტის მოქმედების ხანგრძლივობის გადახედვის და მისი შემცირების მიზეზი. ეს, ერთი მხრივ, შეამცირებს გამარჯვებულის სწრაფვას, ინვესტიცია ჩადოს ისეთ მაღალსპეციალიზებულ ინფრასტრუქტურაში, რომელიც ითვალისწინებს გრძელვადიან აქტივებს. მეორე მხრივ, ის შეეცდება „დაარწმუნოს“ მარეგულირებელი ორგანო, რომ აუცილებელია გადახედოს და გაზარდოს მიწოდების მომსახურების კუთრი ფასი.

ამგვარად, სახელმწიფოს, როგორც მარაგულირებელი ორგანოს, როლი კი არ იხდლება აუქციონის მომზადებითა და ჩატარებით და კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვის კონტროლის ღონისძიებებით, არამედ, გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში, გულისხმობს აგრეთვე დისკრეტულ ჩარევას.

გამარჯვებულის გამოვლენის ერთადერთ კრიტერიუმად მიწოდების კუთრი ფასის გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს ფასზე პირდაპირ დამოკიდებულებაში მყოფი ხარისხის გაუარესებამდე. ამასთან დაკავშირებით დეგბა ფორმალიზებული მეთოდის საფუძველზე გადაუჭრელი ფასისა და ხარისხის დაპირისპირების პრობლემა. ეს აფართოვებს ფრანჩაიზისათვის მინიჭებული ადმინისტრაციული ორგანოების უფლებებს, რაც არასასურველია, რამდენადაც აღნიშნული ხელს უწყობს ჩინოვნიკების მიერ სამომსახურეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მიღებული მომსახურების ხარისხის ვაჭრობის წესების ფიქსირებით, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს წარმოების სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით (უფრო თანამედროვე ძვირადღირებული დანადგარები ან მაღალკვალიფიციური პერსონალი), რომელთა შეფასების ამოცანა უბრალო მოდელის ჩარჩოებს მიღმაა.

ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ფრა-ნშეიზის სამართლიანი ანუღირების პროცედურასთან დაკავშირებული ტრანსაქციური ხარჯების არსებობა ფრანშეიზის გამცემ ორგანოს

აძლევს სტიმულს, რათა მან მიმართოს სასამართლოს. გარდა ამისა, აუქციონების ფორმა-გამარჯვებულის მარეგულირებელი ორგანოების ჩინოვნიკებთან მუდმივი კონტაქტი ხელს უწყობს მათთან არაფორმალური დამოკიდებულების შექმნას, რომელშიც ზოგჯერ „პოლიტიკური“ მოსაზრებები საკმაოდ დიდ როლს თამაშობს, რაც საფრთხეს უქმნის ფრანში-ზისათვის აუქციონის შემდგომ სამართლიან ჩატარებას. ამიტომ, პრაქტიკაში განმეორებითი კონკურსები, ჩვეულებრივ, არ იწვევს მოიჯარეების შეცვლას, რამდენადაც მათ აქვთ არსებითი, ზოგიერთ შემთხვევაში გაუმართლებელი უპირატესობა კონკურენტების წინაშე.

მითითებული ფაქტორებიდან ნებისმიერის გავლენის სრულად აღკვეთა შეუძლებელია. ფრანში-ზისათვის სავაჭროების მოდელი გულისხმობს სახელმწიფოს გავლენის არსებითად მცირე მასშტაბს, ვიდრე კერძო მარეგულირებელი მონოპოლიის მოდელი, ე.ი. – ნაკლებ ნეგატიურ შედეგებსაც. რეკომენდაციის სახით შეიძლება ორი სხვადასხვა: აუქციონის მომწეობი და ფრანში-ზის პირობების შესრულების სისწორეზე დამკვირვებელი მარეგულირებელი ორგანოს შექმნის შემოთავაზება.

Zubiashvili Mzia

COMPETITION TYPES IN TRANSPORT INFRASTRUCTURE

SUMMARY

Dependence of railway's difficult infrastructure from road operation is considered. Forms of competition between branches, as well as intragroup and extra-market competitions are selected. Attention is focused on franchises and auctions, as well as on the forms of competition during their activity.

ზუგ ზარ თოდუა

დინარა ლომინაძე

სამედიცინო მომსახურების ბაზრის ბანკოთარების

ტენდენციები საქართველოში

თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა მომსახურების სფერო. დღეისათვის განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 80% მოდის მომსახურების სექტორზე [1]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემებით, 2008 წლისათვის მსოფლიო მომსახურების ექსპორტმა 3.7 ტრლნ დოლარი შეადგინა [2]. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომსახურების ბაზრის

შესწავლა მეცნიერთა დიდ დაინტერესებას იწვევს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა მომსახურების მარკეტინგის აღიარებული ავტორიტეტების დ. კოუელის [3], კ. გრენროსის [4], ე. გამესონის [5], მ. ბიტნერის [6] და სხვათა შრომები. მომსახურების სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანდაცვას. სამედიცინო მომსახურების ბაზარი საქართველოში ფორმირების სტადიაშია. ამიტომ საინტერესოა მარკეტინგული კვლევების საფუძველზე სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარების ტენდენციები შესწავლა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში მოცემულია ავტორების მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგები.

მარკეტინგული კვლევისათვის გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. სულ გამოიკითხა 570 რესპონდენტი სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (83,7%) ფასიან სამედიცინო მომსახურებას ანიჭებს უპირატესობას. ამასთან, რესპონდენტთა მესამედი მხოლოდ ფასიანი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობს, ყოველი მეოთხე გამოკითხული, გამოუვალი სიტუაციების დროს, მიმართავს ფასიან მომსახურებას, ძირითადად იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული საჭიროებისთვის უფასო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის საშუალება შეზღუდულია. ფასიანი სამედიცინო მომსახურების არჩევანის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ხარისხიანი მომსახურება, რომლის შეფასებაში რესპონდენტები, პირველ რიგში, მიღებული დახმარების შედეგებს და გაწეული მომსახურების მაღალ დონეს გულისხმობენ. მნიშვნელოვანია, რომ მომსახურების მაღალ დონეში რესპონდენტები სამედიცინო პერსონალის მიდგომას მოიაზრებენ. რესპონდენტთა 13,9% – სამედიცინო აპარატურით აღჭურვას, ხოლო 8,1% მომსახურების სისწრაფეს თვლის ფასიანი მომსახურების იმდენად დიდ უპირატესობად, რომ მათი მომსახურების მაღალი დონისგან ცალკეც კი გამოყოფს.

გამოკითხულთა უმრავლესობა (77%) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისას ყველაზე მნიშვნელოვნად ექიმის კონსულტაციას მიიჩნევს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი პრობლემების წარმოქმნისას, რესპონდენტთა ნაწილი (15,8%) ექიმის კონსულტაციაზე მეტად საკუთარ გამოცდილებასა და ახლობლების რჩევებს ეყრდნობა. გამოკითხულთა მცირე რაოდენობა (4,6%) კი სამედიცინო ლიტერატურის გაცნობით ცდილობს პრობლემების მოგვარებას, რაც მსუბუქი დაავადებების შემთხვევებს ეხება. მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა (2,6%) ვერ ახერხებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად უპირატესობის მინიჭებას. აღსანიშნავია, რომ ქართველი მომხმარებლები ჯანმრთელობის გაუმჯობესებას სხვადასხვა საშუალებებითა და

ხერხებით ცდილობენ და იშვიათად, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ ექიმს. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ავადმყოფობისას ახლობლების ჩარევა და მათი კონსულტაცია რესპონდენტების ჩვევად შეიძლება ჩაითვალოს.

რესპონდენტთა უმრავლესობა (67%) თვლის, რომ სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციას მეტ-ნაკლებად ფლობს. გამოკითხულთა მეხუთედზე მეტს კი ამის თაობაზე ძალზე მწირი ინფორმაცია აქვს. სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოცულობაზე მხოლოდ 6% აფიქსირებს კმაყოფილებას, ხოლო 11% საერთოდ ვერ აფასებს მოცემულ სიტუაციას. ფასიანი სამედიცინო დაწესებულების არჩევისას რესპონდენტები ისევ ახლობლებისა და ოჯახის წევრების ერთგულნი რჩებიან და მათ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროდ ასახელებენ, თუმცა, სამედიცინო კლინიკის შერჩევისას მედიცინის მუშაკების მიერ გაწეულ რჩევებსაც სანდოდ მიიხნევენ.

სამედიცინო დაწესებულებების შერჩევისას, სარეკლამო საშუალებებიდან უპირატესობა (34,1%) სატელევიზიო რეკლამას ენიჭება. მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვს ბეჭდურ რეკლამასაც (25,9%), რადიოში განთავსებულ რეკლამას უპირატესობას ანიჭებს 15,4%, გარე რეკლამას – 12,5%, ხოლო სტენდებსა და ფირნიშებზე განლაგებულ რეკლამას – 8,6%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (3,5%) ტრანსპორტზე განთავსებულ რეკლამას ხვდა წილად.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ სამედიცინო დაწესებულებების უმეტესობა მოგებაზეა უფრო ორიენტირებული და არა პაციენტების კეთილგანწყობის მოპოვებაზე. რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებებში არსებული მომსახურების ხარისხს, მისი შეფასება რესპონდენტებს უჭირთ. გამოკითხულთა 35,6% სამედიცინო სფეროს მიმართ არაკეთილგანწყობილია, იხენს უიმედო განწყობას და თვლის, რომ მომსახურების ხარისხი სულ უფრო უარესდება. 18% მომსახურების დონეს საერთოდ უარყოფითად აფასებს, ხოლო 41,4% თვლის, რომ მომსახურება საშუალო დონისაა. მხოლოდ 5%-ს მიაჩნია, რომ დღეს სამედიცინო დაწესებულებაში მოსახურების დონე კომფორტულია

რესპონდენტთა გადმოცემით, სამედიცინო დაწესებულების შერჩევისას ყველაზე მნიშვნელოვანი მომსახურების ხარისხი და ექიმების პროფესიონალიზმია, რაც მათთვის, ზოგადად, შეთავაზებული მომსახურების უნიკალურობას გულისხმობს. რესპონდენტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო დაწესებულების რეპუტაციასა და პროფესიონალიზმს. იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული ფაქტორები მისაღებია, გამოკითხულები მომსახურების ფასებით ან შესაძლებელი ფასდაკლებების სისტემით ინტერესდებიან.

კლინიკის ადგილმდებარეობა, გადახდის ფორმები და მომსახურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, ქართველი მომხმარებლებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.

სამედიცინო მომსახურების შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებნი, უმეტესწილად (58,4%) თვითონ რესპონდენტები არიან. იშვიათ შემთხვევაში, ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიმღებად მეუღლეები (11,8%) ან მშობლები (12,6%) სახელდებიან. ასევე, გამოკითხულთა მცირე ნაწილის (13%-ის) აზრით, ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებლად კლინიკის შერჩევასა, ოჯახის ყველა წევრის მოსაზრება შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი.

მარკეტინგული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტები ყველაზე დადებითად საკონსულტაციო-დიაგნოსტიკურ ცენტრებს ახასიათებენ. ასეთი ცენტრების მიმართ სრულ კმაყოფილებას გამოთქვამს მომხმარებელთა 62,5%. საკმაოდ სოლიდური რაოდენობა (45,3%) მადლიერებას გამოხატავს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიმართ. ასევე, მნიშვნელოვანი ნაწილი (20,9%) საუბრობს სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრების მომსახურებით კმაყოფილებაზე. პოლიკლინიკებისა და საცხოვრებელ ბინაზე ექიმის გამოძახებით რესპონდენტები უკმაყოფილებას არ იჩენენ, თუმცა, მათ მომსახურების შესაძლებლობის მაქსიმუმზე პრეტენზიები მაინც აქვთ. მართალია, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მომსახურებას გამოკითხულთა ნახევარი მისაღებად თვლის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მესამედი ნაწილი კატეგორიულ უკმაყოფილებას აფიქსირებს. რესპონდენტთა უკმაყოფილება ბავშვთა საავადმყოფოებზეც ვრცელდება და ასეთ შეფასებას ყოველი მეხუთე რესპონდენტი იძლევა, რაც, ჩვენი აზრით, კლინიკის მომსახურებისთვის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

სამედიცინო მომსახურებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის შეფასებებშიც აისახა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა პრეტენზიები, ძირითადად, პაციენტის პრობლემით დაინტერესებასა და ოპერატიულობას ეხება. მთლიანობაში, ყველა მაჩვენებლის მიხედვით, რესპონდენტები საშუალოდ აფასებენ მედიცინის მუშაკებს. ამასთან, ქართველი მომხმარებლების აზრით, ექიმების პროფესიონალიზმს ყველაზე მეტად წარმოაჩენს მათი პროფესიული ჩვევები და პაციენტისადმი დამოკიდებულება.

გამოკითხულთა შორის მცირე რაოდენობა, მხოლოდ მეხუთედი, სარგებლობს საოჯახო სამედიცინო მომსახურებით. თუმცა, მათი დამოკიდებულება საოჯახო მომსახურების მიმართ საკმაოდ პოზიტიურია. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ უბნის პოლიკლინიკის მომსახურება ქართველი მომხმარებლებისათვის მეტ-ნაკლებად მისაღებია. რესპონდენტთა უკმაყოფილება, ძირითადად, ექიმების

კვალიფიკაციას ეხება, რაც მკურნალობის ხარისხზეც აისახება. კერძოდ, ქართველი მომხმარებლების ნახევარი უარყოფითად აფასებს უბნის პოლიკლინიკების ექიმების კვალიფიკაციას, ხოლო ორი მესუთედი – მკურნალობის ხარისხს. ქართველი მომხმარებლები ასევე დაბალ შეფასებებს აძლევენ დამხმარე პერსონალის საქმიანობას, თუმცა, კვლევიდან გამომდინარე, ექიმებთან შედარებით მათ ნაკლებ პრეტენზიებს უყენებენ.

გამოკითხულთა მცირე ნაწილი სარგებლობს სადაზღვევო პაკეტით. მათთვის პაკეტის ფლობა ერთგვარი კომფორტია. სადაზღვევო კომპანიებისადმი უნდობლობას, ძირითადად, დაზღვევის თანხის აუნაზღაურებლობის შიში ან, უბრალოდ, ინფორმაციის დეფიციტი განაპირობებს.

ამრიგად, ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ფასიანი სამედიცინო მომსახურება საქართველოში ჯერ კიდევ ახალი ხილია. მისი დადებითი მხარეების გაცნობიერება რესპონდენტებს უჭირთ და, შესაბამისად, არც სასიცოცხლო საჭიროებად თვლიან. რესპონდენტების აზრით, ფასიანი სამედიცინო კლინიკების არსებობა აუცილებელია, თუმცა, მომსახურებაზე ფასების დაწესება მაღალი და ხარისხიანი მომსახურების გარანტია უნდა იყოს. სამედიცინო დაწესებულებებში ქართველი მომხმარებლების მიმართვიანობის მაჩვენებელი მაღალი არარის, რაც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მკურნალობის ტრადიციული მეთოდებისადმი მიჯაჭვულობისა და ქვეყანაში არსებული მჭიდრო სოციალური ურთიერთობებით შეიძლება აიხსნას. ასეთი ურთიერთობები ხშირად არა მხოლოდ მკურნალობის დილეტანტურ კურსს, არამედ კლინიკის მიმართ გაწეულ რეკომენდაციასაც გულისხმობს. ქართველი მომხმარებლების მიერ სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვიანობის ძირითად მიზეზად უმეტესწილად გადაუღებელი საჭიროება სახელდება. პროფილაქტიკური გამოკვლევებისთვის კლინიკაში ვიზიტი ქართველ პაციენტებში კვლავ არაპოპულარულად რჩება. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო მომსახურების ბაზარი საქართველოში განვითარებას განიცდის და ქართველი მომხმარებლების ქცევა ასეთ ბაზარზე საკმაო თავისებურებით ხასიათდება, რაც სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ კონკურენციულ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. www.grebennikon.ru/article-e6cW-113.html
2. www.wto.org/english/news_e/pres09_e/pr554_e.htm
3. Cowell, D. (1884). The Marketing of Services, London: Heinemann
4. Gronroos C. Services Management and Marketing-West Sussex, 2000.
5. Gummesson, E. The Marketing and Purchasing of Professional Services, Stockholm.- Marketing Technology Center, 1977

*Nugzar Todua
Dinara Lominadze*

**MEDICAL SERVICE MARKET DEVELOPMENT
TENDENCIES IN GEORGIA**

SUMMARY

Service sphere is one of the perspective directions of modern economics; Health care took a special place in the mentioned field. Medical service market is under the formation stage in Georgia. Therefore understanding of the medical service market development tendencies on the basis of marketing survey is significant. Taking under consideration the abovementioned the results of marketing research conducting by the authors are given in the work.

Survey showed that most of Georgian consumers prefer payable medical service; the main determinative factor of their choice is qualitative service. Most of the respondents consider that more or less they hold information about the medical service. TV advertisements are preferred from the advertisement means. According to the Georgian consumers while selecting medical establishment the most important are service quality and doctors' professionalism. Doctors' professionalism is most obviously revealed by their professional habits and attitude towards patients. Decision makers regarding the purchasing medical service for the most part are respondents themselves. Only the small part of the surveyed utilizes insurance package and family medical service, although attitude towards such kind of service is quite positive. Principally, we can say that the medical service market in Georgia is in progress and Georgian consumers' behavior on such market characterized by peculiarities, medical establishments should take it under consideration to achieve success in competitive struggle.

Келенджеридзе М.Б.

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ ЭФФЕКТИВНОСТЬ ПРОИЗВОДСТВА БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ ПРОДУКЦИИ В ГРУЗИИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ АГРО/БИО И ОРГАНИЧЕСКИХ ОТХОДОВ

Стратегия топливно-энергетического комплекса/сектора в Грузии направлена на создание условий, гармоничного существования каждого гражданина страны в его природной и социальной среде, которые обеспечивают развитие нации, соответствующее её духовным устремлениям, сохранения самобытности культурного творчества и природной среды для будущих поколений.

Следовательно, одна из основных целей этой стратегии – обеспечение населения страны объектами социального и стратегического значения – электроэнергией и энергоресурсами в приемлемых количествах и ценах.

В период структурных изменений Грузинской действительности, задача социальной политики заключается в нейтрализации негативного воздействия процесса преобразования на ряд субъектов экономических групп – таких как социально незащищённые слои населения и объекты стратегического назначения.

Реализация данной задачи заключается в сведении к минимуму указанных последствий созданием действенных организационных и экономических механизмов, предусматривающих:

- формирование эффективной и целенаправленной системы защиты социальных слоёв населения.
- научно обоснованная разработка и фактическая реализация целевых программ, учитывающих социально-экономическое положение в регионах страны – Грузия.
- проведение комплексных мероприятий, учитывающих создание доселе неизведанных и новейших направлений, с учётом специфики страны.
- Грузия как сельскохозяйственная страна имеет колоссально- потенциально увеличивающий объём экологического сырья - всех видов отходов Агро/Био и органического происхождения. В том числе: Отходов Лиственных пород – Дуб, Бук, Орех, Ильм, Букс, Липа, Каштан, Акация, Отходов Хвойных пород: Сосна, Ель, Пихта, Осина, кожуры- Ореха и Фундука, отходов Виноградной Лозы (Цалами, Чача, Пустая гроздь без виногадины, Косточки виногадины), отходы Виноводочного производства, Лузга Подсолнечника, отходы чая его производства и др. разновидности отходов, которые теоретически увеличивают - на 15-20% теплотворную способность БИО-Энергетической продукции, а длительность горения на 2-3 академических часа, не говоря об увеличении его - ценовой политики в мировом масштабе.
- Производственный процесс БИОЭНЕРГТИЧЕСКИХ БРИКЕТОВ основан на технологии Организации Объединённых Наций (ООН) - «REGIONAL WOOD

DEVELOPMENT PROGRAMME IN ASIA GCP\154\NET-FOOD AGRICULTURAL ORGANIZATION OF THE UNITED NATIONS. BIOMASS BRIQUETTING: TECHNOLOGY AND PRACTICES.» Field Document №46 – разработанная структурными подразделениями: FAO (пищевая и сельскохозяйственная структура) совместно с UNIDO (развитие промышленности), которая была прислана персонально мне из США, как бывшему руководителю центра содействия UNIDO в Грузии за 1988-1994 гг.

- Именно наличие данной технологии и определил создание в Российской Федерации – Международной Компании «Топливо Энергетический Брикет - Т.Э.Б», а в последствии его Грузинского Представительства / Филиала «ГРУЗБИОЭНЕРГЕТИКА», которая в праве решать все основные Технич, Экономически и Социально-Финансовые вопросы на фоне стратегического развития системы в целом.

- Качественно-потребительским показателем БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ продукции является - Прерогативный Международный Патент № M18344 торговой марки /Логотип/ - “GEOBIOENERGETIC” , выданный Национальным Центром ИНТЕЛЕКТУАЛЬНОЙ СОБСТВЕННОСТИ «ГРУЗПАТЕНТ» и утверждённый МАДРИДСКИМ протоколом, которое повышает ПЕРИОГАТИВУ Энергетической Продукции и выражается в увеличении ценовой политики на международном рынке, в пределах 10-15%.

Из существующих альтернативных видов Энергии, возобновляемым энергоресурсам относится - БИОМАССОВАЯ ЭНЕРГИЯ, получаемая из всех видов - Агро/Био и Органических отходов которые в колоссальном количестве присутствуют в любом регионе Грузии, загрязняя флору Грузии, внося этим отрицательную лепту в экологической защите территории. БИОЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ ВОЗОБНОВЛЯЕМАЯ ЭНЕРГЕТИКА в виде: БИОБРИКЕТОВ, БИОПЕЛЕТОВ и БИОГРАНУЛ, занимают достойное место по отдаче человечеству той экономическо целесообразной энергии, к которому человечество стремится с покон веков. Однако БИО-ПЕЛЕТЫ и БИО- ГРАНУЛИ, социально-потребительский рынок оценивает менее приемлемо из за усложнённости его использования где, требуются специальные печи и агрегаты. Соответственно их стоимостная цена, весьма ощутимо отражается на семейный бюджет, тем паче, что место для их хранения занимает около 30 м³ объёма жилого комплекса и требуя специальных приспособлении для подачи Био-Продукции в обособленный печь-агрегат.

Касательно БИОБРИКЕТОВ – для них используются уже существующие традиционные агрегаты, которые ранее работали на твёрдом топливе - (Каминь, Сауны, Печки, Ж/дорожные вагонные отопительные печные устройства, «Печи-буржуйки» и мн. др), которые не требуют никаких капиталовложения от семейного бюджета.

БИОБРИКЕТЫ - имеют товарный вид, занимают мало место для хранения, являются – Экологический чистой продукцией, дают максимум теплоотдачи в очаге и горят от 4 до 7 часов. От семейного бюджета, суммарных вложении

требует – минимальную, а отдачу даёт – максимальную. Европейская биржевая цена на 10 – 15% больше, чем БИО-ПЕЛЕТЫ и БИО-ГРАНУЛИ.

Усовершенствование основной технологии с добавлением органических отходов Грузинского происхождения, позволяет увеличивать такие параметры БИОБРИКЕТОВ/БИОТОПЛИВА как :

- Плотность 1100 – 1300 и более кг/м³
- Влажность.....8 – 15 % и более на +3%
- Теплотворная способность18 и более МДж/кг
(по сравнению с брикетами из Бурого угля – 19,5. Дровесиной – 6,5)
- Зольность1,5 %
- Зольность Брикетов из бурого/каменного угля4 – 10 %
- Длительность горения единицы Брикета4 – 7 часов
- Даёт высокую температуру в очаге.....15 ° - 20° и более
- Занимает мало места, насыпная масса.....460 кг/м³
- Сгорает полностью с малым образованием золы0,5 – 2,0 %
- Зола используется для сельского хозяйства в виде удобрения.

Для длительного хранения и транспортировки БИОБРИКЕТА, требуется упаковка, позволяющее его хранение неограниченное время – упаковка должна оберегать Брикет от проникновения влаги. Для Грузии - создаются все предпосылки, занять на Международном Рынке ту необходимую нишу которую занимают – страны производители БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ продукции, имеющую потенциальный имидж - Производителя/Поставщика

Ориентировочная Социально-Экономическая Эффективность производства БИО энергетической продукции в Грузии – выражается:

1. Очисткой от Био/Агро накопившихся отходов - всех регионов Грузии
2. Доселе не имеющая цены Био/Агро отходы - преобретают потенциальную цену
3. Био/Агро отходы – становятся, основным сырьём для БиоЭнергетической продукции
4. БиоЭнергетическая продукция – относится, весьма востребованной категории Энергетической продукции в мировом масштабе.
5. БиоЭнергетическая продукция - становится, новизной в мировом ракурсе под статусом НОУ-ХАУ.
6. Создаётся доселе неизведаная новизна в сфере Энергетики.
7. Создаются новые рабочие места т.е. решение социальной проблемы населения - на лицо.
8. Производимая БиоЭнергетическая продукция в Грузии, занимает соответственную нишу на мировом торговом рынке, повышая прерогативу собственным Патентом международного значения.
9. В сельско-хозяйственной стране ГРУЗИЯ – характерные для страны, АГРО/БИО отходы, преобретают статус ПОТЕНЦИАЛЬНО необходимых

сырьевых придатков, не только для местного рынка так и для Международного значения.

10. Производимая из них БИОЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ продукция – Экологически Чистая Характеризуется максимализацией по – Теплоотдаче и Сроку горения.

11. Транспортировка БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ продукции , приемлемо-упрощённая.

12. Стоимостная цена, БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ продукции по экономическим показателям – супер Рентабельна.

13. БИОЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ продукция является – Новым поколением Экологической Чистой Альтернативной Энергетики.

14. Экономической стоимостью - минимальная в сравнении с традиционными –энергетическими видами топлива.

15. Социально – потребительские условия - максимально удовлетворены для всех стран мира

16. БИОЭНЕРГЕТИЧЕСКАЯ продукция, легко – производимая и сверх упрощённая – в эксплуатации а ценовая политика - весьма приемлемая.

Merab Kelenjeridze

SOCIAL – ECONOMICAL EFFICIENCY OF PRODUCTION OF BIOENERGETIC GOODS IN GEORGIA WITH THE HELP OF AGRO/BIO AND ORGANIC WASTE

SUMMARY

The aim of which is:to study it scientifically,make analyses and in practice aprobate alternative Energetics in Bio/Agro and Organic production, in such agricultural country which is Georgia.

The work has many – sided geographic range, it includes not only Georgia, but as “Geobioenergetic” is Georgian branch of International

Company of “Fuel Energetical Briquete – F.E.B”

It’s most important and valuable approach is:

- Yaving made the market analyses of Fgro/Bio waste, which has potential possibility to produce the goods that haven’t produced before and which is in great social-consumer demand.
- Working spere of this scientific – practical approach are those fields and trends, as:
 1. Prevention of tree – cutting in Georgia – that meets requirements of tourism, which is basis and prior trend of the country.
 2. Production of Bioenergete is a new generation in acologically clean-pure alternative energy in the world.

3. Creation of new working places-making despite: age, professional and other.
4. Producing export goods, applied with International Patent Prerogativity, pricing policy, which ensure stable and long – term profitability on high rentable background.

Work has both scientific and practical means. Accordingly the recommendation is based on the economic effects which will be practically realized in reality and will be efficient.

*თამარ კვინიკაძე
ნინო უგულავა*

ბანათლების როლი საქართველოს ინოვაციურ ბანკითარებაში

გასულ საუკუნეებში ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და მიმართულება განისაზღვრებოდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. მათი როლი დღესაც ძნელი შესაფასებელია, მაგრამ მოსახლეობის ზრდის შესაბამისად, ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში სულ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი.

განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე – ინოვაციურობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სიახლეთა გამოყენების პროცესი ხდება გააზრებული, მიზანდასახული, ხოლო თვით ინოვაციები განიხილება საზოგადოებაში პრობლემის გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად.

ტერმინი „ინოვაცია“, როგორც ახალი ეკონომიკური კატეგორია, სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ავსტრიელმა მეცნიერმა ი. შუმპეტერმა XX საუკუნის დასაწყისში. თავის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ მან განიხილა განვითარებაში ცვლილებების შეტანის (ინოვაციის) საკითხები. ამ ცვლილებებიდან მან გამოყო:

- ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესების ან წარმოების ახალი, საბაზრო უზრუნველყოფის გამოყენება;
- ახალი თვისებების მქონე პროდუქციის დანერგვა;
- ახალი ნედლეულის გამოყენება;
- ცვლილებები წარმოების ორგანიზაციაში და მის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში;

- გასაღების ახალი ბაზრების პოვნა;

- შუშპეტერის აზრით, ინოვაცია არის მოგების მთავარი წყარო: „განვითარების გარეშე არ არის მოგება, მოგების გარეშე არ არის განვითარება“.

გარდა ამისა, გამოყოფენ ინოვაციების განვითარების 3 საბაზო მოდელს:

„ტრადიციული“ მოდელი, ანუ სრული საინოვაციო ციკლი – ინოვაციური იდეის ფორმირებიდან მზა პროდუქტის მასიურ წარმოებამდე. ამ მოდელის მიმდევრები არიან ძირითადად ევროატლანტიკური რეგიონის ქვეყნები: აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვ.

მოდელი ორიენტირებული მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტზე:

ამ მოდელს მისდევენ ძირითადად აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები: იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ჩინეთი. ამასთან, ისინი იყენებენ „ტრადიციული მოდელის“ ქვეყნების ტექნოლოგიებს.

ალტერნატიული მოდელი – როდესაც საინოვაციო პოლიტიკა მიმართულია არა ახალი ტექნოლოგიების შექმნაზე, არამედ მის გადმოღებასა და გავრცელებაზე, ეკონომიკის, მენეჯმენტის, სოციოლოგიისა და შრომის ფსიქოლოგიის დარგებში განათლების ამადღებაზე, ფინანსებისა და საბანკო სფეროებში კადრების მომზადებაზე.

ამ მოდელს იყენებენ ისეთი ქვეყნები, რომელთაც არ გააჩნიათ ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების მნიშვნელოვანი პოტენციალი, არ გამოირჩევიან ნედლეულის დიდი მარაგით, კერძოდ: ტაილანდი, თურქეთი, პორტუგალია, ჩილი, იორდანია.

დღესდღეობით ცოდნისა და ინტელექტუალური კაპიტალის როლი ეკონომიკაში განუზომელია. მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმოება უკავშირდება არა იმდენად ფიზიკურ აქტივებს, რამდენადაც ცოდნას, ნოუ-ჰაუსს, პატენტებს.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ეყრდნობა მომსახურებასა და საინფორმაციო სექტორებს, ხოლო კონკურენტული წარმატების საფუძველი ახალი ცოდნა და ინოვაციებია, ამიტომ ყოველი ქვეყანის წინაშე დგას ცოდნის შექმნის და ეფექტიანდ მართვის სტრატეგიული ამოცანა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (oecd) მიხედვით, წარმატებული ცოდნის ეკონომიკა ეყრდნობა ინოვაციების 4 წყაროს:

- 1) სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნა;

- 2) ინოვაციების შექმნელებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთქმედება და სტიმულები ინოვაციურობისთვის;

3) კოორდინირებული სისტემის ფარგლებში ინოვაციების დეცენტრალიზებული სტრუქტურა;

4) ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, მათ შორის განათლებაში.

მეცნიერები გამოყოფენ ფაქტორებს, რომლებიც ქმნიან ინოვაციის ეკოსისტემას.

ინოვაციის ეკოსისტემა



როგორც ვხედავთ, მასში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლებას. ინოვაციური განვითარებისათვის ფაქტორების მიწოდება სწორედ მისი საშუალებით ხდება. მსოფლიო რეალობაც ამაზე

მეტყველებს. თანამედროვე ეტაპზე განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად განვითარებას განიხილავენ დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

განვითარებადმა ქვეყნებმა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე, მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შექმნის, მისი ათვისების და გადაცემის მექანიზმი. ცოდნის შექმნის ამოცანები უნდა მოიცავდეს მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემის გადასაწყვეტად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სალიცენზიო ხელშეკრულებების, პატენტების შექმნას და სხვა.

შექმნილი ცოდნის ათვისების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საყოველთაო განათლების ხელმისაწვდომობა, მათ შორის უმაღლესი განათლების მიღება და უწყვეტი განათლების სისტემის არსებობა.

სახელმწიფოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ პროცესში, კერძოდ:

- ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბება ტექნოლოგიური ჩამორჩენის დასაძლევად;
- სწავლების უზრუნველყოფა მთელი სიცოცხლის მანძილზე;
- ნორმატიული და სამართლებრივი გარემოს შექმნა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
- საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციის ხარისხის

საინოვაციო გარემოზე მოქმედი ინსტიტუტების სისტემა: კანონები, ნორმები, წესები, სტანდარტები;

მეცნიერების და ინოვაციების სახელმწიფო მართვის ორგანოები;

კვლევების საბიუჯეტო დაფინანსება;

სახელმწიფო სამეცნიერო ცენტრები, აკადემიები, ლაბორატორიები;

კონსალტინგური სააგენტოები;

ინჟინერინგული კომპანიები;

დამოუკიდებელი ექსპერტისა;

მეცნიერებისა და ინოვაციების კერძო დაფინანსების სისტემა;

საფონდო ბაზარი;

საინოვაციო ბირჟები;

უზრუნველყოფა

ოფა;


ჩვენ შეგვიძლია

სისტემა. ეს არის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც აწარმოებენ სამეცნიერო კვლევებსა და სამუშაოებს, ინოვაციური პროდუქციის შექმნასა და რეალიზაციას, აგრეთვე საინოვაციო საქმიანობის მართვასა და დაფინანსებას.

უნივერსიტეტები და აკადემიები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საინოვაციო-ტექნოლოგიური ცენტრები, ტექნოლოგიური ინკუბატორები, ტექნოპარკები უზრუნველყოფენ ქვეყნის ინოვაციურ განვითარებას.

საქართველო ინტელექტუალური კაპიტალით მდიდარი ქვეყანაა. მას განვითარებული ქვეყნების შესაფერისი მეცნიერული ელიტა გააჩნია. შესაბამისად, საქართველოს აქვს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსი.

**საინოვაციო სისტემის სტრუქტურა (ზოგადი სქემა)
სახელმწიფო სექტორი კერძო სექტორი**



დღეს ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება არა მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის შექმნა, არამედ უკვე არსებულის განვითარება და ამისათვის სახელმწიფოს დიდი მხარდაჭერა.

საქართველომ უნდა გაიზიაროს სხვა ქვეყნების (იაპონია, კორეა, ჩინეთი და სხვა) პრაქტიკაში არსებული გამოცდილება. მან ორიენტაცია უნდა აიღოს მეცნიერებატევად პროდუქციაზე, განახორციელოს საპატენტო და სალიცენზიო პროგრამები (ამ მხრივ განსაკუთრებით სამაგალითოა იაპონია, სადაც მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარება განხორციელდა დასავლეთ ევროპიდან და ამერიკიდან პატენტებისა და ლიცენზიების შექმნის გზით. არსებული მდგომარეობის დრმა მეცნიერული ანალიზის შემდეგ აქ მოხდა ახალი და ძველი ტრადიციული დარგების თვისებრივად უნივერსალური სტრუქტურული სინთეზი, რამაც წარმოშვა ახალი მაღალტექნოლოგიური დარგები).

სათანადოდ უნდა განვითარდეს კვლევისა და დამუშავების ინფრასტრუქტურა, საუნივერსიტეტო და აკადემიური მეცნიერების სისტემა. არასაკმარისია კარგად აღჭურვილი ლაბორატორიების რაოდენობა. სამეცნიერო კვლევების დაფინანსების პირობებში, ყურადღება უნდა მიექცეს პრიორიტეტების განსაზღვრას და შესაბამისი კვლევების ჩატარებას. აქცენტი უნდა გაკეთდეს სამეცნიერო კადრების შენარჩუნებაზე.

ამრიგად, მნიშვნელოვანია რომ ინვესტირება მოხდეს ინტელექტუალურ კაპიტალში, ინოვაციებში. ეს მომავლის ინვესტიციაა. მათგან მიღებული შედეგი მრავალჯერ გადაწონის მათზე გაწეულ ხარჯებს. ამიტომაც ამ პროცესის მართვა სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში და მაქსიმალურად დააინტერესოს და ჩართოს მასში კერძო სექტორი. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ინოვაციური სფეროს სუბიექტების დინამიურ განვითარებას, არამედ მთლიანად მთელი ქვეყნის განვითარებას და წინსვლას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ.** და სხვ. ინოვაციების მენეჯმენტი, თბ., 2008.
2. **ქისტაური ნ., მელაშვილი მ.** სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა საქართველოში, ჟ. ეკონომისტი, №4, თბ., 2009.
3. **ყორდანაშვილი ღ.** ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები „ეკონომიკა“, თბ., 2002.
4. **კოპალაიშვილი მ.** ეროვნული საინოვაციო სისტემები, თბ., 2008.
5. NII_Innovate_America – national innovation initiative summit and report, 2004.

**THE ROLR OF EDUCATION IN GEORGIA'S INNOVATION
DEVELOPMENT**

SUMMARY

The article studies the role of education in Georgia's innovation development. Current innovation activity in Georgia is presented and the need for more active innovation activity management, directed at the rational use of the material, labour and financial resources is argued to achieve the innovation goals. The management process should be undertaken by the government, which should support for the maximal active participation of the private sector in it. This will enhance not only dynamic development of the innovation field agents, but also development and success of the country as a whole.

თამარ ლაზარიაშვილი

**ღვინის სამეცნიერო კოტენციის განვითარების ტენდენციები
საქართველოში**

ნებისმიერი ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე გასვლა და მისი საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან გამომდინარეობს, რასაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ქვეყნის შედარებითი უპირატესობები სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. საქართველოს ოდითგანვე აქტიური საგარეო-ეკონომიკური, უმთავრესად სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა როგორც ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, ისე ევროპისა და აზიის ქვეყნებთან²²⁷. დღეს, მას, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა ეფექტიანი

²²⁷ ჯავახიშვილი ი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნაწ. II, თბილისი, "ფედერაცია", გვ. 708, 1935.

შანსი, აქტიურად ჩაებას თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და მრავალგვარი პოტენციური შესაძლებლობებით, რაც მთავარია, ეროვნული ინტერესების მაქსიმალური შენარჩუნებით. ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს საექსპორტო დანიშნულების პროდუქციის წარმოება და როგორც ძველ ტრადიციულ ბაზარზე პოზიციების აღდგენა, ასევე გასაღების ახალი ბაზრების მოძებნა. ღვინო საქართველოსათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქტია.

პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და, მაშასადამე, ბაზარზე მეტი ხვედრითი წილის მოპოვებისათვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სფეროში სასურსათო საქონლის მარკეტინგული სამსახურის განვითარება. რაც მეტი იქნება ბაზრის ხვედრითი წილი, მით მეტი იქნება ეკონომიკური ეფექტიანობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამამულო პროდუქციის მწარმოებლებისათვის სასურველია ხარჯების გადიდება მასობრივ მარკეტინგზე, რადგან დღევანდელი წარმოების მოცულობები და არსებული მოთხოვნები არ საჭიროებს ბაზრის დაყოფას ტერიტორიული ნიშნისა და მომხმარებელთა მიხედვით. უცხოელ იმპორტიორებზე დამყარებული ბაზარი ვერ შეასრულებს სურსათის განაწილებისა და მართლზომიერი გამოყენების როლს, თუნდაც დაბალ ფასებში იყიდებოდეს პროდუქტია. ამიტომ რეგორმების გაგრძელების სტრატეგია უნდა იყოს აგროსასურსათო სფეროს პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება კერძო სექტორის გააქტიურების, საკუთრების და მეურნეობრიობის ფორმების ოპტიმალური შეთანაწყობის, წარმოების მასშტაბების გაზრდისა და სხვათა გზით, ასევე საზღვარგარეთული პროდუქტების იმპორტზე ტარიფებისა და კვოტების გამოყენებით. საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული აგროსასურსათო სექტორის განვითარების საფუძველი უნდა იყოს ორი მთავარი პრინციპის გათვალისწინება: 1. საშინაო ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრება; 2. ღია საერთაშორისო ბაზრის რეჟიმის მტკიცე დაცვა²²⁸.

ქვეყნის უახლეს ისტორიაში განვითარებულმა მოვლენებმა თავისი გავლენა იქონია ქვეყნაში წარმოებული პროდუქციის ექსპორტზეც. 2009 წელს საქართველოდან ღვინის ექსპორტი, 2008 წელთან შედარებით, 10%-ით შემცირდა. უცხოეთის რიგი ქვეყნების გარდა, ღვინის ექსპორტის მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა უკრაინაშიც, რომელიც რუსეთის ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინის მთავარი ბაზარია. 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, უკრაინაში ქართული ღვინის

²²⁸ **ლაზარიაშვილი თ.** მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პრობლემები კახეთის მხარეში. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2007, გვ. 74.

ექსპორტმა 32%-ით იკლო. სომელიეთა ასოციაციაში ამის მიზეზად ქართული ღვინის ფალსიფიკაციის მაღალ დონეს ასახელებენ. ექსპორტის დაცემის ერთ-ერთი ფაქტორი ისიც არის, რომ ქართული ღვინო საზღვარგარეთის ქვეყნებში საკმაოდ ძვირია და, მაღალი ფასის გამო, ჩილესა და არგენტინის ღვინოებს კონკურენციას ვერ უწევს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 2009 წელს ქართული ღვინო ექსპორტზე 46 ქვეყანაში გაიგზავნა. საერთო ჯამში, ექსპორტირებულმა ღვინომ 10 015 392 ბოთლი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ მანქვანებელთან შედარებით, ეს რიცხვი 10%-ით ნაკლებია. პროდუქციის დიდი ნაწილი უკრაინაში, ყაზახეთში, ბელორუსიაში, ამერიკაში, პოლონეთში, ლატვიაში, გერმანიაში და ისრაელში გაიგზავნა. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში ბევრად ნაკლები ღვინის ექსპორტი განხორციელდა, ვიდრე 2008 წელს. მაგალითად, თუ 2008 წელს უკრაინაში 6 421 000 ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდა, 2009 წელს ეს მანქვანებელი 23%-ით შემცირდა. ასევე საგრძობლად შემცირდა ღვინის ექსპორტი ამერიკაში. 2008 წელს აშშ-ში 460 690 ბოთლი ქართული ღვინო გავიდა, 2009 წელს კი იქ ექსპორტირებული ქართული ღვინის რაოდენობამ 369 832 ბოთლი შეადგინა. 443 257 ბოთლით შემცირდა ღვინის ექსპორტი ლატვიაშიც. სამაგიეროდ, ექსპორტი ყაზახეთში თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. ღვინის ექსპორტი 2,1-ჯერ გაიზარდა ბელორუსიაშიც.

2009 წელს ღვინის ექსპორტისთვის ახალი ბაზრების მოძიებაც მოხერხდა. კერძოდ, 2009 წელს ღვინის ექსპორტი განხორციელდა დანიაში, ლუქსემბურგსა და უზბეკეთში. მოძიების პარალელურად მოხდა ბაზრების დაკარგვაც. “დაკარგულთა“ შორის აღმოჩნდნენ კამბოჯა, კოტ დიუარი და თურქმენეთი. სულ ქართული ღვინის ექსპორტის ყველაზე დიდი მოცულობა უკრაინაზე მოდის, მეორე ადგილზეა ყაზახეთი, ხოლო მესამეზე – ლატვია. მეოთხე და მესუთე ადგილებზეა პოლონეთი და ამერიკა. 2009 წელს საქართველოდან უცხოეთში ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში სპირტსა და სპირტიან სასმელებს 5.4% (27.8 მილიონი დოლარი) უკავია.

2009 წელს კიდევ უფრო მაღალი იყო ღვინის იმპორტის კლება 37.7% (4.5 მილიონი დოლარი), მაგრამ, ქართულმა ღვინომ ადგილობრივი ბაზრიდან ჯერ კიდევ ვერ გამოდევნა მნიშვნელოვნად უცხოეთის ღვინოები²²⁹.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში სულ 218 ალკოჰოლური სასმელების კომპანიაა რეგისტრირებული. პროდუქციის ექსპორტს 35 კომპანია ეწევა და ქართული ღვინო 38 ქვეყანაში გადის²³⁰. ბუნებრივია, ექსპორტის მოცულობის ვარდნა ამ

²²⁹ <http://docs.google.com/>

²³⁰ www.geostat.ge.

სევმენტში რუსეთის მიერ ამ პროდუქტებზე განხორციელებულმა ემბარგომ განაპირობა. ექსპერტთა შეფასებით, ქართულ ღვინოს ევროპის ბაზარზე სოლიდური ნიშის დაკავების შანსი აქვს, რადგან ბოლო დროს იქ ბიოპროდუქტებზე, კერძოდ, ბიოღვინოზე მოთხოვნა დაახლოებით 200 %-ით გაიზარდა. ქართველი მეღვინეების 50%-ს გაკეთებული აქვს განაცხადი, რომ მათი მეურნეობები ბიოღვინის მწარმოებლები გახდებიან. ბიოღვინო ჯერჯერობით ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. თუმცა, მცირე რაოდენობით უკვე გავიდა გერმანიაში. ღღვისათვის ბიოღვინოს დიდი რაოდენობით აწარმოებს ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, საფრანგეთი, ამერიკა. მსოფლიო ბაზარზე ბიოპროდუქციაზე მოთხოვნა ჯერ კიდევ აჭარბებს მიწოდებას. საქართველოს, როგორც ბიოღვინის მწარმოებელ ქვეყანას, შეუძლია მსოფლიო ბაზარზე შესვლა და დამკვიდრება. საჭიროა ამ პროდუქციის კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაცია.

ბოლო პერიოდში დარგის განვითარებისათვის ქვეყანაში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რამაც ხელი შეუწყო ქართული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. დაიწყო ვენახების გაშენება, ღვინის მრეწველობა აღიჭურვა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, განახლდა უნიკალური ქართული ღვინოების წარმოება, შემუშავდა ექსპორტის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც ასევე გულისხმობს ღვინოების გამოფენას ღვინის საერთაშორისო გამოფენებზე. საქართველოს შეუძლია მაღალხარისხოვანი სუფრის სამარკო და უნიკალური ნახევრადტკბილი ღვინოები მსოფლიო ბაზარს მიაწოდოს. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სამარკო შამპანურსა და კონიაკზეც. არსებობს ღვინო პროდუქტების საექსპორტო გატანის შესაძლებლობებიც. მსოფლიოში, ძირითადად, წითელ და ვარდისფერ ღვინოებზეა მოთხოვნილება, საქართველოში კი ამ ღვინოების ხარისხი მეტად მაღალია. ამიტომ, აუცილებელია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ფერმერებისათვის ყურძნის წითელი და ვარდისფერი ჯიშების საწარმოებლად. მაშასადამე, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

საქართველოში საფუძველი ეყრება ქართული ღვინოების მწარმოებელთა ისეთ ფენას, რომელთაც აქვთ მცირე სიმძლავრის, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ღვინის ქარხნები შესაბამისი სანედლეულო ბაზით. ამჟამად ასეთი მცირე საწარმოების რაოდენობა 20-ზე მეტია და უახლოეს მომავალში ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

ამრიგად, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის განვითარების სტრატეგია უზრუნველყოფს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზრებზე. საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის ყოველმხრივი სტიმულირება, მეწარმოების

აღორძინება, ფერმერული და მეურნეობრიობის სხვა ორგანიზაციული ფორმების განვითარება. ადგილობრივი და უცხოელი ფერმების გამოცდილების შესწავლა ხელს შეუწყობს პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას.

Tamar Lazariashvili

TENDENCIES OF DEVELOPMENT OF WINE EXPORT POTENTIAL IN GEORGIA

SUMMARY

The article focuses the tendencies of development of viticulture wine-making export potential therefore were justified the necessity of development of wine and wine raw material marketing service in order to obtain raising of the product competitive ability and more specific weight.

Furthermore was defined usage in maximum the export potential of viticulture and wine-making sector through optimal conformity of property and facility forms by expansion of industrial scale and etc. Has been defined necessity of popularization of this product in order to introduct bio-wine in the world market.

Overall encouragement of the small and average business, raising of entrepreneurship, expanding of farming and other organization facilities will promote improvement of production assortment, will upgrade the competitive ability of production and the export potential.

*დავით მამუკელაშვილი
პაატა კოლუაშვილი*

**ქართული სოფლის აღორძინების სტრატეგია,
თემის სამეწარმეო მობილიზაცია – საზოგადოების სწრაფი
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმანიშვი**

საქართველოში ბოლო წლებში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ არ განხორციელდა მიზანმიმართული ეკონომიკური და სოციალური რეფორმები. ყველაზე დიდი რეზერვი, რომლის ამოქმედება მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესების საფუძველი უნდა გამხდარიყო, უწყურადღებოდ იქნა მიტოვებული.

ეს რეზერვი საზოგადოების თითოეული წევრის მოქალაქეობრივ და სამეწარმეო გააქტიურებაში, პრობლემების საერთო ძალისხმევით

მოგვარებასა და სახელმწიფოს მხრიდან ამ პროცესების ხელშეწყობაში ძვეს.

დღეს, როდესაც აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურისათვის დახმარების გაწევა, მოსახლეობის რეალური შესაძლებლობების გამოკვეთას და რეალიზაციას განსაკუთრებული ადგილი ენიჭება. სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ორგანულად შერწყმულ სათემო ორგანიზაციებს ხელეწიფებათ თემის (სოფლის) მოსახლეობის თანამონაწილეობის ღრმად გააზრებული პროექტების საშუალებით მოახდინონ ადგილებზე რეალურად არსებული ინტელექტუალური, ორგანიზაციული და სამეურნეო რესურსების მთლიანი წარმოჩენა და გამოყენება, რის შედეგადაც გარედან ფინანსურ დახმარებასა და სხვა სახის ღონისძიებებს შეეკმნებათ წარმატებით განხორციელების ობიექტური საფუძველი.

სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ, უფრო მეტად გაააქტიურონ საზოგადოებრივი აქტივობა იმ სფეროებში, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის და სადაც ამგვარი აქტივობის ინტენსიური განვითარება, სხვადასხვა პირობების გამო, ბუნებრივად ჯერჯერობით არ არის მოსალოდნელი. მათი მუშაობის სტილი მოქნილია და დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა, როგორც რეალურად მოქმედი ძლიერი ელემენტი და სანდო პარტნიორი მწვავე პრობლემების გადაჭრაში.

თემის მობილიზაციის მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი ენიჭება ეკონომიკურ ნაწილს, რადგან სწორედ ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპზე დამყარებულ პროექტებს გააჩნიათ რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ძლიერი გარანტიები. აქ თემის მობილიზაცია შეიძლება გახდეს ტრადიციული ეკონომიკური დარგების ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მათი ეფექტურობის ამაღლებისა და, შესაბამისად, თემის წევრთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს. ამის თვალსაჩინო მაგალითია სოფლის მეურნეობის ის დარგები, სადაც არსებობს აგროპროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავების ჩამოყალიბებული ტრადიციები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ. ასეთებია მევენახეობა-მეღვინეობა, ხილის (მ.შ. ციტრუსი), ბოსტნეულის, ჩაისა და საკონსერვო პროდუქციის წარმოება და სხვა. დღეისათვის ისინი განიცდიან მწვავე კრიზისს, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, პროდუქციის რეალიზაციისა და ამ დარგებში დაგროვილ სხვა პრობლემებთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა ინტერესების გათიშულობა წარმოადგენს, რომლის გამომწვევეი მიზეზები სიღრმისეულ ანალიზს საჭიროებს.

სასოფლო-სამეურნეო დარგები წარმოადგენს მთლიანობით სისტემას, რომლის ეფექტურობა დამოკიდებულია როგორც მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტების იმანენტურ თვისებებზე, ასევე ამ რგოლებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებზე. რაც უფრო მჭიდროა (ორგანულია) ეს ურთიერთკავშირები, მით მეტად სრულყოფილი და ეფექტურია ეს სისტემა. შესაბამისად, ამ კავშირების დარღვევა ხდება იმ დარგების პარალიზების მიზეზი, რომლის შედეგებიც სახეზე გვაქვს.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია ორ ძირითად ჯგუფად იყოფა:

ა) პროდუქცია (ნედლეული), რომელსაც გადამამუშავების გარეშე გააჩნია სასაქონლო სახე. იგი ფერმერის მიერ უშუალოდ მიწოდება ბაზარს ან მოიხმარება პირადი ინტერესებისთვის. ასეთებია: ხილი, ბაღეული, ბოსტნეული, ციტრუსი, ნაწილობრივ – ხორცისა და რძის პროდუქტები და სხვა. ამ ტიპის პროდუქციის წარმოება, მრავალი სირთულის მიუხედავად, შედარებით მოწესრიგებულია და ამას ძირითადად ის გარემოება განაპირობებს, რომ გლეხი უშუალოდაა დაკავშირებული სარეალიზაციო ბაზრებთან და კონტროლს უწევს საკუთარი პროდუქციის რეალიზაციიდან სასურველი კომერციული შედეგის მიღებას.

ბ) ნედლეული, რომელიც განკუთვნილია გადამამუშავებისთვის. ასეთებია: ჩაი (ჩაის ფაბრიკებისთვის), ყურძენი (ღვინის ქარხნებისთვის), ხილი, ბოსტნეული, ბაღეული (საკონსერვო წარმოებისთვის), ხორცი და რძე (ხორცისა და რძის კომბინატებისათვის) და სხვა. სწორედ ეს არის ის სფერო, სადაც ფერმერი იზოლირებულია სარეალიზაციო ბაზრისაგან, რადგან ასეთი პროდუქციის ერთადერთი მომხმარებელია შესაბამისი გადამამუშავებელი საწარმო. ამდენად, ამ ტიპის პროდუქციის წარმოება მთლიანად დამოკიდებულია გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობაზე. აღსანიშნავია, რომ დარგებზე მოდიოდა ქვეყნის შიდა ეროვნული პროდუქტის ძირითადი ნაწილი და ამიტომ ისინი ეკონომიკის მთავარ ბაზისს წარმოადგენდნენ.

მათი მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში ხასიათდება, როგორც კრიზისული, რომლის გამომწვევე მიზეზებს შორის ძირითადია:

1. არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და სარეალიზაციო ბაზრების დაკარგვა.

2. ინტერესთა კონფლიქტი გადამამუშავებელ საწარმოსა და პროდუქციის (ნედლეულის) მწარმოებლებს (ფერმერებს) შორის.

ბოლო წლებში განვითარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გადამამუშავებელ საწარმოებს ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე დააკისრა “წამყვანის” როლი აგროსასურსათო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საწარმოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულია ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და შემოსავლები, გადამამუშავებელ საწარმოთა მესაკუთრენი, როგორც კერძო იურიდიული პირები, ამ საწარმოთა მუშა-

ობის გაჩერებისა და, შესაბამისად, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო დარგის პარალიზების შემთხვევაში, პასუხს აგებენ არა ამ დარგებში დასაქმებული ათასობით ადამიანის, არამედ მხოლოდ თავიანთი ბიზნესის წინაშე. სწორედ ეს არის სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელ საწარმოთა გათიშულობისა და ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი მიზეზი.

გადამამუშავებელი საწარმოები საკუთარი დანახარჯების შემცირების მიზნით ახდენენ ფერმერებისაგან პროდუქციის შესყიდვას რაც შეიძლება დაბალი ფასებით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ვერ ანაზღაურებს ამ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებსაც კი. ფერმერი, თავის მხრივ, დაინტერესებულია, რომ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციით დაფაროს დანახარჯები და მიიღოს გარკვეული მოგება კვლავწარმოებისა და პირადი მოხმარების მიზნით, მაგრამ იმის გამო, რომ მისი პროდუქციის ჩაბარება მხოლოდ შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოშია შესაძლებელი, იგი იძულებულია, დათანხმდეს პროდუქციის შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასს. ეს კი იწვევს ფერმერების ინტერესის (მოტივაციის) დაკარგვასა და მათ გაუცხოებას ძირითადი პროდუქციის წარმოების მიმართ, რომელიც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი დარგების განადგურების საფუძველი ხდება, რის შედეგებიც სახეზე გვაქვს: პრაქტიკულად აღარ არსებობს საკონსერვო წარმოება, თითქმის განახევრდა ვენახებისა და ხეხილის ფართობი, ჩაის პლანტაციებით გაშენებული ათასობით ჰექტარი ტყედ არის ქცეული და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ გადამამუშავებელი საწარმოების მესაკუთრეთა შორის არსებობა ერთეული გამონაკლისი, რომლებმაც ნაწილობრივ შეძლეს წარმატებების მიღწევა, უნდა ითქვას, რომ მათი წილი უმნიშვნელოა და ქვეყნისათვის საჭირო ეს დარგები გაჩერებულია, რაც ავტომატურად იწვევს აგრარულ სექტორში დასაქმებული ასიათასობით ადამიანის სამეურნეო საქმიანობის პარალიზებას. ისინი იძულებულნი ხდებიან, ეძებონ შემოსავლის მიღების ალტერნატიული გზები, წყდებიან მიწას, სოფელს, ოჯახს და ძირითადად (უკეთეს შემთხვევაში) ეძალებიან დიდ ქალაქებში არსებულ წვრილ ვაჭრობას, რისი გამოცდილებაც მათ არ გააჩნიათ, ამიტომ მათი პერსპექტივა სრულიად არაპროგნოზირებადი და ბუნდოვანია ასეთი “ახალი საქმიანობა” უმრავლეს შემთხვევაში კრახით მთავრდება.

როგორია ამ პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტური გზა:

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განვლილმა პერიოდმა უკვე აშკარა გახადა, რომ ქვეყნის არსებული ბიუჯეტის შესრულებაზე ზრუნვა მხოლოდ ადმინისტრირების გამკაცრებით და საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციით (რასაც, თავის მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება) ვერ გახდება სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველი. აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის

დამხმარე კომპლექსური და მიზნობრივი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, რის თვალსაჩინო მაგალითსაც სწორედ თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამა წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ეფექტური ფუნქციონირების, ბალანსირებული განვითარების, მათ შორის ინტერსთა კონფლიქტის მოგვარებისა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელ ფაქტორებს შორის ძირითადია:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მიზნით სოფლის მოსახლეობის (თემის) წევრთა კოოპერირება;

2. სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინტეგრაცია, რაც პირდაპირ კავშირშია შესაბამისი დარგების ახლებურ ორგანიზაციულ მოწყობასთან თემის სამეწარმეო მობილიზაციის საფუძველზე.

3. გადამამუშავებელ საწარმოთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოდერნიზაცია, რაც უნდა განხორციელდეს თვით ამ საწარმოთა ახლებური საკუთრებითი და ორგანიზაციული მოწყობით.

4. მზა პროდუქციის რეალიზაცია.

სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა მათი ინტეგრაციაა. ინტეგრირების ოპტიმალური ფორმისა და მასზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელის ძიებას, საბოლოო ანგარიშით, თემის სამეწარმეო მობილიზაციის აუცილებლობასთან მიყვავართ. იქ, სადაც მოსახლეობა პრიორიტეტად აირჩევს სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგის განვითარებას, სწორედ თემის სამეწარმეო მობილიზაცია გახდება მათი ინტეგრირების ეფექტური მექანიზმი. სათემო ორგანიზაციის ეგიდით მოსახლეობა (თემი) აწარმოებს პროდუქციას, რომელსაც, ხელშეკრულების საფუძველზე, გადასამუშავებლად აძლევს გადამამუშავებელ საწარმოს. გადამამუშავებელი პროდუქცია თემის საკუთრებაა. მისი რეალიზაცია და კომერციული შედეგის მიღება თემის პრეროგატივას წარმოადგენს. მიღებული მოგებიდან კი ფერმერები ერთობლივად განსაზღვრავენ შესაბამისი სახსრების სოციალურ ღონისძიებებზე მიმართვის საკითხს.

თემის მობილიზაციის სამეწარმეო ინიციატივაზე დამყარებული შესაბამისი დარგების შიდაორგანიზაციული მოწყობის ახლებურად გააზრებული მოდელი პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის საფუძველი გახდება, სადაც თითოეული სამეწარმეო რგოლი წარმოადგენს დანარჩენებთან ორგანულად ინტეგრირებულ ნაწილს. თემის თითოეული წევრი შემოსავლების გაზრდის მიზნით დაინტერესებული იქნება, აწარმოოს უფრო მეტი რაოდენობისა და მაღალი ხარისხის პროდუქცია და, ამავე დროს, თავისი წარმომადგენლების საშუალებით აქტიურად ჩაერთოს

გადამამუშავებელი წარმოების პროცესის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სრულყოფასა და საბოლოო პროდუქციის რეალიზაციაში.

გადამამუშავებელ საწარმოთა ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოდერნიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული ამ საწარმოთა ახლებურ საკუთრებით და ორგანიზაციულ მოწყობასთან. აღსანიშნავია, რომ, ინტერესთა გათიშულობის ფონზე, აგრარული სისტემის არაეფექტური ორგანიზაციული მოწყობა განაპირობებს იმას, რომ ყველა ინვესტიცია თუ დახმარება, გაწეული ცალკე სოფლის მეურნეობაზე და ცალკე გადამამუშავებელ საწარმოზე, არაეფექტურია. ახლებური საკუთრებითი და ორგანიზაციული მოწყობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადამამუშავებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიების შეტანა ხდებოდა მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რგოლის – სათემო კავშირის მიერ, რომელიც აწვდის მას ძირითად ნედლეულს. ამ მეთოდით გადამამუშავებელი საწარმოების ბაზაზე ან მისგან დამოუკიდებლად შეიქმნება ახალ საკუთრებით ურთიერთობაზე დამყარებული ტექნოლოგიურად განახლებული ახალი სამეწარმეო სუბიექტი, სადაც თემი, როგორც იურიდიული პირი, გახდება გადამამუშავებელი საწარმოს თანამესაკუთრე. მისი წილი საწესდებო ფონდში მასში შეტანილი ტექნიკური აღჭურვილობის ღირებულების შესაბამისი იქნება.

ეს პროცესი გამოიწვევს:

1. თემის წევრთა შემოსავლების ზრდას უშუალოდ გადამამუშავებელი საწარმოს მოგებიდან;

2. გადამამუშავებელი საწარმო პასუხისმგებელი ხდება მასთან ფუნქციონალურად დაკავშირებული რგოლის – თემის წინაშე, რომელიც თავისი წარმომადგენლების საშუალებით კონტროლს გაუწევს როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ნედლეულის) წარმოების, ასევე მისი გადამამუშავებისა და რეალიზაციის პროცესს.

დღეს გადამამუშავებელ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილის ძირითადი საშუალებები მოცდენილია, მოძველებულია და, ხშირ შემთხვევაში, მათ მეპატრონეებს არ გააჩნიათ ან სახსრები, ან ინტერესი როგორც მათი ტექნიკური განახლების, ასევე ნედლეულის, ენერგომატარებლების და სხვა კომპონენტების შესაძენად. ისინი თანახმანი იქნებიან ასეთ პროექტებში მონაწილეობის მიღებაზე, თუ:

– მათგან დამოუკიდებელი ან ერთობლივად მოპოვებული სახსრებით მოხდება მათი საწარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიური გადაიარაღება, საბრუნავი საშუალებების მოპოვება, კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება, სარეალიზაციო ბაზრების მონახვა და, შესაბამისად, მაღალი კომერციული შედეგის მიღება;

– ისინი მიიღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას (ნედლეულს) ღირებულების ანაზღაურების გარეშე, რადგან თემი თავის შემოსავალს მიიღებს საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მის მიერ

წარმოებული ნედლეულის ღირებულებისა და გადამამუშავებელი საწარმოს საწესდებო ფონდში მისი საკუთარი წილის შესაბამისად. საწყის ეტაპზე აუცილებელი იქნება აგრომწარმოებლებზე ნედლეულის გარკვეული ნაწილის (30-50%) ღირებულების ანაზღაურება, რაც სათემო კავშირისათვის ავანსის სახით დამატებითი სახსრების მოზიდვასთან არის დაკავშირებული და პროექტის დაფინანსების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს.

– თემის სამეწარმეო მობილიზაციისა და გადამამუშავებელ საწარმოთა ახალი ორგანიზაციული და საკუთრებითი (თემის საკუთრება, შერეული ტიპის საკუთრება) მოწყობის გამო გაიზრდება ფერმერების დინტერესება აგროპროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც გადამამუშავებელ საწარმოთა წარმადობას, ასევე მათ მესაკუთრეთა მოგებასაც.

საქართველო ოდითგან აგრარული ქვეყანა იყო და სწორედ ქართველი ხალხის ისტორიულმა ორგანულმა კავშირმა მიწასთან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი ეთნოფსიქოლოგიური და ეთნოკულტურული საფუძვლების შექმნა და განვითარება. **მიწა გლეხკაცისთვის არა მარტო საწარმოო საშუალებაა, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელი ორგანული ნაწილია.** შესაბამისად, მიწისაგან გლეხის მოწყვეტა გამოიწვევს მისი, არა მარტო, როგორც მეწარმე ინდივიდის, ფუნქციის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის, როგორც ეროვნული კულტურის საფუძვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც.

ამ პროგრამის განხორციელებით მიიღება ე.წ. „სინერგიული ეფექტი“ შემდეგი ძირითადი კომპონენტების (ეფექტების) ერთობლიობის საფუძველზე:

1. **ეკონომიკური ეფექტი** – მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული დარგების ინტენსიური და ბალანსირებული განვითარება.
2. **სოციალური ეფექტი** – სოციალური სოლიდარობა და სამართლიანობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება.
3. **მოსახლეობის დასაქმება** – მოხდება სოფლების მოსახლეობის მასიური დასაქმება, სადაც დაფინანსების მოცულობა ერთ დასაქმებულ პირზე შეადგენს საშუალოდ 1000 ლარს, რაც 8-10-ჯერ აღემატება ამ კუთხით კერძო ბიზნესპროექტებში განთავსებული ინვესტიციების ეფექტიანობას, რომელიც შეადგენს დაახლოებით 50 000 აშშ დოლარს (85 000 ლარი) ერთ დასაქმებულ პირზე.
4. **ეკონომიკური თვითმმართველობა** – თვითანაზღაურება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი.

საქართველოში თემის სამეწარმეო მობილიზაციის განხორციელების მიზნები და მოსალოდნელი შედეგებია:

- თემის მოსახლეობის თითოეული წევრის შრომითი და სამეურნეო რესურსების შერწყმა ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამეწარმეო სექტორში დაგროვილ შესაბამისი დარგების კვლევისა და განვითარების მდიდარ გამოცდილებასთან და მათი კაპიტალიზაცია.

- თემის თითოეული წევრის სამეწარმეო ინიციატივის განვითარებაზე და არა დაქირავებულ შრომაზე ორიენტირებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირება;

- მოსახლეობის რეალური შესაძლებლობებისა და პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა და ამ ფონზე სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გასაწევი ხელშემწყობი ღონისძიებების ქმედუნარიანობის ამაღლება;

- სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ფუნქციონირების ცივილური ფორმების დანერგვა და განვითარება;

- თემის წევრების მიერ რეალური თვითმმართველობის ყველა კომპონენტის: თვითანაზღაურების, თვითრეგულირებისა და თვითკონტროლის განხორციელება;

- მოსახლეობის მასობრივი დასაქმება;

- საქართველოს მხარეების ეკონომიკური და სოციალური განვითარება;

- საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პოლარიზაციის დონის შემცირება;

- თემის წევრთა კოოპერირება საერთო აგროპროდუქციის წარმოების მიზნით;

- თემის მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა და აქედან გამომდინარე მათი საერთო სოციალური პრობლემის მოგვარება;

- პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ინტეგრირებული სისტემების შექმნა;

- მოსახლეობის სამეწარმეო კულტურისა და განათლების დონის ამაღლება;

- კერძო მეწარმის და თავისუფალი მოქალაქის შესაბამისი აზროვნებისა და ქცევის ლოგიკის დამკვიდრება.

თემის სამეწარმეო მობილიზაციის განხორციელების შედეგად მოხდება ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების მკვეთრი ზრდა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამიტომ ამ პროექტებს ექნება მაგალითის ძალა სხვა თემებისთვისაც. თავის მხრივ, სათემო ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირება განისაზღვრება იმ მატერიალური რესურსებით, რომელიც წარმოიშობა კონკრეტული სამეურნეო პროექტების განხორციელებით. სწორედ ამიტომ, თემის სამეწარმეო მობილიზაციის

პროექტებს შეექმნება რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ობიექტური საფუძვლები.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუტი საზოგადოებრივი (კორპორაციული) ბიზნესის განვითარების მიმართულებებს მხოლოდ კერძო ინიციატივითა ჭრილში განიხილავს, რაც უადრესად აკნინებს ასეთი პროექტების რეალურ მნიშვნელობას მიმდინარე პერიოდის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი გაჯანსაღებისთვის. არსებულ ვითარებაში ისევე, როგორც აუცილებელია მკვეთრად იყოს გამოიწვლილი სახელმწიფო და კერძო სექტორის ფუნქციები, არც საზოგადოებრივი (კოოპერაციული) სექტორის ცალსახად მოაზრებაა მართებული, მარტოდენ საკუთრივ კერძო ბიზნესის ჭრილში. რა თქმა უნდა, კერძო ბიზნესის განვითარებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას აქვს უდიდესი მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ, თუ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა, უფრო ძლიერი მოტივები და, შესაბამისად, პროგრამები, რომლებიც მოქმედებს საზოგადოების მრავალრიცხოვანი წევრების, როგორც სამეწარმეო სუბიექტების, განვითარებაზე და, მით უმეტეს, თუ ეს ხდება ჩვენი ქვეყნის ტრადიციული დარგების რეაბილიტაციის საფუძველზე, მაშინ სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებათა იგნორირება ან მათი განხილვა ტიპური კერძო ბიზნესპროექტების პარიტეტულად, სერიოზულ მეთოდოლოგიურ შეცდომად, უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი პოზიცია არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს ეკონომიკურ პროექტებში სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის წინა პლანზე წამოწევით რამდენადმე ვზღუდავდეთ სამეურნეო სისტემის განვითარების წმინდა ეკონომიკურ ასპექტს. პირიქით, სწორედ ეკონომიკური მექანიზმების პრიორიტეტი იძლევა მატერიალური დოვლათის განაწილების ორი ძირითადი პრინციპის – ეკონომიკურისა და ეთიკურის – ოპტიმალური სინთეზის საშუალებას. ამიტომ, ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გააცნობიეროს, რომ სოციალური პოლიტიკის ყველაზე ძლიერ ფუნდამენტს სწორედ ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს და მხოლოდ საზოგადოების თითოეული წევრის კერძო სამეწარმეო ინიციატივის განვითარებასა და სამეურნეო სისტემის სრულყოფაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება გახდეს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და საშუალო ფენის ჩამოყალიბების ერთადერთი მყარი საფუძველი.

ვინაიდან საქმე ეხება ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას დარგების ორგანიზაციული მოწყობის ცვლილებათა საფუძველზე, ქვეყანაში თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელება გახდება ეკონომიკური რეფორმა, რომელიც განუზომლად დიდ წვლილს შეიტანს საქართველოში უმუშევრობის

შემცირების, სიღარიბის დაძლევისა და სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ეროვნულ საქმეში.

Mamukelashvili David
Koguashvili Paata

STRATEGY OF REVIVAL OF GEORGIAN RURAL AREAS
“COMMUNITY ENTREPRENEURIAL MOBILIZATION” – A MECHANISM
OF ACCELERATED SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT

SUMMARY

“The Community Entrepreneurial Mobilization Program” concerns the development of cooperative relations and inter-branch integration in rural areas. Under the aegis of the community unions, the most important locally available resources of the intellectual, economic and organizational arrangement will be fully highlighted as well as a single cycle of production, processing and marketing of agricultural products will be created. The community population will be in full ownership of the income from sales of the final product and it will itself decide on earmarking the respective funds for reproduction and/or handling of common social problems. Implementation of the Community Entrepreneurial Mobilization Program will bring forth a substantial growth of incomes of the major portion of the country’s population and dynamic improvement of its socio-economic situation.

ზურაბ ნოზაძე

ტყის რესურსების გამოყენებისა და მისი პროდუქტიულობის
გაზიარების ზოგიერთი საკითხი

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფართო მასშტაბებმა გარკვეული გავლენა იქონია გარემო ფაქტორებზე. საზოგადოებრივი წარმოების მკვეთრმა აღმავლობამ, სამრეწველო ცენტრების სწრაფმა განვითარებამ, მოსახლეობის ზრდამ და სხვა მოვლენებმა გარემო ფაქტორებსა და ბუნებრივ რესურსებს შორის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული კანონზომიერების დარღვევა განაპირობა. ამ კანონზომიერების დარღვევის შედეგად გამოწვეული მოვლენები გარკვეულ შემთხვევებს იწვევს პროგრესულ საზოგადოებაში. უდიდესი შესაძლებლობა არსებობს ბუნებრივი რესურსების გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

ბუნებრივ რესურსებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტყეს. მას, მრავალი სახის პროდუქტით და გარემოზე მოქმედების უნარით, დიდი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის. თანამედროვე ეტაპზე

არ არის დარგი, სადაც არ იყენებდნენ ტყის პროდუქტებს. ორგანულ ნივთიერებათა შორის მერქანი, ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებებით და დამუშავების სიადვილით, საუკეთესო ნედლეულია მრეწველობის მთელი რიგი დარგებისათვის. მერქანი ძირითად ნედლეულად ითვლება და დიდი მოცულობით გამოიყენება საავეჯო, საფანერო, ცელულოზა-ქაღალდის, მუყაოს, ხელოვნური ბოჭკოს, საფეიქრო და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

ტყის ფონდის მიწებზე მრავლად მოიპოვება მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტები, განსაკუთრებით აღსანიშნავია გარეული ხილი: მაყალო, პანტა, თხილი, მაყვალი, მარწყვი, შინდი, მოცივი, წაბლი, ზღმარტლი, წიწიბო და სხვა. ტყის ფართობზე მოთავსებულ საძოვრებს და სათიბებს დიდი მიშენელობა აქვს მეცხოველეობისათვის. აქ გავრცელებული ყვავილოვანი მცენარეები საუკეთესო ბაზას წარმოადგენს მეფუტკრეობის განვითარებისათვის, ხოლო მრავალი სახის მცენარეულობა გამოიყენება სხვადასხვა სახის სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად და ტექნიკური მიზნებისათვის.

ტყე თავისი გარემოთი საუკეთესო ბაზას წარმოადგენს გარეული ფრინველების და ცხოველების გამრავლება-მოშენებისათვის. იგი ბიოსფეროს სტაბილიზატორადაც ითვლება. ნიადაგს იცავს ეროზიისაგან, არეგულირებს კლიმატს და ჰიდრორეგულაციას.

ტყე გავლენას ახდენს ჰაერის გეოფიზიკურ შემადგენლობაზე, ცვლის ტემპერატურას, ტენიანობას და ჰაერის მასების მოძრაობას. ამ ელემენტების შეცვლით კლიმატი დისკომფორტულიდან კომფორტულ ზონაში გადადის. ტყე ფილტრაციას უკეთებს ჰაერს, ასუფთავებს მას მექანიკური შედგენილობისაგან, სპობს ადამიანისათვის მავნე ზოგიერთ მიკრობს და ბაქტერიებს, ჰაერიდან ნახშირორჟანგს ითვისებს და მისი გადამუშავების შედეგად გამოყოფს ჟანგბადს და ოზონს. ჰაერში ნახშირორჟანგის მომატებამ შეიძლება გამოიწვიოს ტემპერატურის აწევა, რასაც მოჰყვება ყინულის დნობა, წყლის დონის ამაღლება და, შედეგად, უდიდესი ზარალი. ტყე ამ პროცესის შემთავსებელ ერთადერთ ფაქტორს წარმოადგენს და უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის.

ასიმილაციის პროცესში, წყლის ორთქლთან ერთად, ტყე სხვადასხვა სახის ეთერზეთებს გამოყოფს, რის შედეგად ჰაერი სასიამოვნო სურნელოვანი ხდება. ყველა ამ თვისებით იგი ადამიანს ხელსაყრელ პირობებს უქმნის დასვენებისა და მკურნალობისათვის.

ბალნეოთერაპიის დარგში ტყეს უდიდესი როლი ენიჭება. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ სამკურნალო წყლების დებეტზე იგი დიდ გავლენას ახდენს. ესთეტიკური მნიშვნელობაც აქვს – მწვანე, ყვითელი და სხვა მრავალი გარდამავალი ფერით კარგად მოქმედებს ადამიანზე. ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული კურორტების

მაღალი სამეურნალო თვისებები უმეტესად მათ გარშემო მდებარე ტყეებთან არის დაკავშირებული.

ტყეებს ნიადაგის შექმნასა და დაცვაში უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მცენარეულობა ნიადაგის წარმოქმნის პროცესებს აჩქარებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მცენარეული საფარი, განსაკუთრებით მთაგორიანი რელიეფის პირობებში, არათუ ნიადაგს იცავს ჩამორეცხვისაგან, არამედ სისტემატურად აუმჯობესებს მის შედგენილობას და სტრუქტურას.

ტყით დაუფარავ ფართობებზე ნიადაგი ნაკლებადფორიანია. ნალექის წყალი ჩაჟონვას ვერ ასწრებს, მიწის ზედაპირზე მიედინება, ჩადენისას მიწას შლის და მოგლეჯილი ნაწილები მდინარეებსა და ზღვებში მიაქვს. მთაგორიან ადგილებში განსაკუთრებული ინტენსივობით წარმოებს ნიადაგის ეროზიული პროცესები. საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 30% ეროზიულ პროცესებს განიცდის, მცენარეულობა და, კერძოდ, ტყე არათუ ზღუდავს, არამედ პროცესებს მთლიანად აჩერებს. არეგულირებს რა ატმოსფერულ ნალექებს და ჰაერის მასების ქროლვის სისწრაფეს, ამით იგი ნიადაგს იცავს ეროზიისაგან. ტყის გაჩეხვა-განადგურებას თან სდევს წყალდიდობა, მეწყერი, ნიადაგის ჩამორეცხვა, ქარიშხალი და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებისათვის აგროღონისძიებათა კომპლექსში ტყის დაცვით ზონებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დადასტურებულია, რომ ტყის მასივები, კერძოდ ტყის დაცვითი ზონები, გარემო ფაქტორებზე, ჰაერის მასების მოძრაობასა, ჰაერისა და ნიადაგის ტენიანობაზე, ნალექებზე დადებითად მოქმედებენ, რითაც მცენარეთა და ცხოველთა გამრავლების, მათი ზრდა-განვითარებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის სათანადო ხელსაყრელი პირობები იქმნება. საქართველოში დაცვითი ტყის ზონები, კლიმატის და ნიადაგის ელემენტებზე ზემოქმედებით, მნიშვნელოვნად ადიდებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალს, ამაღლებს მის ხარისხს, სასაქონლო პროდუქციის ღირებულებას, მეურნეობის ფულად შემოსავალს და რენტაბელობას. ტყის სასარგებლო თვისებები მარტო ამით როდი ამოიწურება, განუსაზღვრელია მისი მნიშვნელობა, ამიტომ სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ ტყის ყველა სიკეთე და სისტემატურად ვიზრუნოთ ტყეების მოვლის, დაცვისა და გაშენებისათვის.

სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტყის ფონდის მიწების რაციონალურად, გონივრულად გამოყენებას და ტყის სასარგებლო რესურსების გაფართოებულ კვლავწარმოებას.

სატყეო მეურნეობის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა ტყის ფონდის მიწების ყოველი ჰექტარიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მიღება. ამ პრობლემის გადაწყვეტას უდიდესი

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ტყის ფონდის მიწების სწორი ორგანიზაცია და სასარგებლო რესურსების გაფართოებული კვლავწარმოების პრობლემა მრავალ საკითხს მოიცავს. მომავალში მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოები და ტყის პროდუქტიულობა. ტყის პროდუქტიულობის დონე ორგანულად არის დაკავშირებული ტყის მწარმოებლობასთან, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მიწის ნაყოფიერებაზე, კლიმატსა და ტყის ჯიშობრივ შედგენილობაზე. ტყის ჯიშების ზრდა-განვითარების ფაქტორები: ნიადაგი, კლიმატი, წყალი და სხვ. განაპირობებს ტყის მცენარეულთა ინტენსიურ ზრდას, მაღალმწარმოებლურობასა და პროდუქტიულობას. რამდენადაც მაღალია ტყის მწარმოებლობა, იმდენად მაღალია ტყეების პროდუქტიულობა.

საქართველოს განსაკუთრებული დანიშნულების ტყეებში მწარმოებლობისა და პროდუქტიულობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსში შეიძლება განიხილოს შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. ტყის ფონდის მიწების საერთო ფართობში ტყით დაუფარავი მიწების ხვედრითი წილის შემცირება, როგორც ტყის ფონდის მიწებზე სარგებლობის გადიდების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა;

2. ტყით და ბუჩქნარით დაფარულ ფართობზე მაღალპროდუქტიული ძვირფასი ტყის ჯიშების ხვედრითი წილის მკვეთრად გადიდება;

3. დაბალი სიხშირისა და მწარმოებლობის ტყის კორუმების ხვედრითი წილის შემცირება ტყით დაფარულ ფართობებში;

4. საქართველოს ტყეების ხნოვანების მიხედვით თაობათა შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარება;

5. ტყის მოვლითი და დაცვითი სამეურნეო ღონისძიებათა სისტემის სწორი ორგანიზაცია;

6. ტყის ფონდის მიწების მწარმოებლობის შემდგომი გადიდება;

7. სატყეო ფართობების მეურნეობრივი ათვისება;

8. მთავარი და შუალედური სარგებლობის სწორი ორგანიზაცია და სხვა.

ტყით დაუფარავ ფართობებზე ტყის აღდგენა-განახლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებზე წარმოებული მუშაობა საჭიროებს არა მარტო მოცულობის მიხედვით გადიდებას, არამედ ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოთა ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

საქართველოს ტყის ფონდის მიწების საკმაოდ დიდი ფართობები უკავია მეორეხარისხოვან ტყის ჯიშებს და ბუჩქნარებს. მათი ფართობი მომავალში აუცილებლად უნდა შეიცვალოს მაღალპროდუქტიული ძვირფასი სწრაფმზარდი ტყის ჯიშებით.

სწრაფმზარდი ტყის ჯიშები ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოზე სამრეწველო ტყის მასივების შესაქმნელად. დაბალფასოვანი ტყე-ბუჩქნარების სწრაფმზარდი ტყის ჯიშებით შეცვლით მკვეთრად გადიდება აღნიშნულ ფართობზე სასარგებლო რესურსების წარმოება და, პირველ რიგში, ტყეთსარგებლობა.

ტყის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდების მიზნით აუცილებელია: სათანადო კვლევის საფუძველზე, ყოველი სატყეო მეურნეობის კონკრეტული პირობების შესაბამისად, ტყით დაფარულ ფართობზე, ცალკეული ჯიშების მცენარეთა ბიოეკოლოგიურ თვისებათა გათვალისწინებით, დადგინდეს კორომთა ხნოვანებითი თაობების ოპტიმალური თანაფარდობა. მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მწიფეზე უხნეს თაობათა კორომების ხვედრითი წილი და, უწყვეტი სარგებლობის მიღების უზრუნველსაყოფად, დადგინდეს მწიფე და ახალგაზრდა ჯგუფების კორომთა სათანადო თანაფარდობა.

ტყის დაცვა მოიცავს: ტყეების ხანძრისაგან დაცვის, ენტომოლოგიური მავნებლებისა და ფიტოპათოლოგიურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაოებს გამოკვლევებით დადგენილია, რომ არა მარტო ხანძარი, არამედ მავნებლები და სოკოვანი დაავადებები დიდ ზიანს აყენებს ტყეებს, მკვეთრად ამცირებს მის პროდუქტიულობას და ზოგჯერ მთლიანად ანადგურებს. სატყეო მეურნეობის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებათა მუშაკებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ტყის დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ხანძრები და ტყის დაცვის წესების დარღვევის შემთხვევები ჯერ კიდევ დიდ ზარალს აყენებს ტყეებს. ტყის მოვლა და დაცვა, სანიტარულ ღონისძიებათა გატარება (ჩახერგილი ტყეების გასუფთავება, გამხმარი, დაზიანებულ-დაავადებული ხეების დროულად მოჭრა და გამოტანა, ხე-ტყის დამზადება-მოტანის და საქონლის ძოვების წესების დაცვა და სხვა) აუცილებელი პირობაა მისი მწარმოებლობის და პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისთვის.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Воробев Г. И.** Лесное хозяйство. М, 1977.
2. **Жохов П.И.** Пособие по лесозащите. М, 1975.
3. **Митрюшкин К. П., Павловский Е.С.** Лес и поле. М, 1979.
4. **Молчанов А. А.** Гидрологическая роль леса. М, 1980.
5. **Тюльпанов Н.М.** Леснопарковое хозяйство. Л, 1975.

Zurab Nozadze

SOME ISSUES OF USING FOREST RESOURCES AND INCREASING THEIR PRODUCTIVITY

SUMMARY

In the article there is discussed the important role of the forest resources in the development and functioning of the national-economic separate fields. There are also discussed concrete suggestions about the increasing of forest resources productivity and their defending in modern conditions.

*ნინო პაპაჩაშვილი
თონა ციმაკურიძე*

საქართველოს განათლების სისტემის კლასტიკური განვითარების კონცეფციის საკითხები

*„საყოველთაო განათლება გადაარჩენს და
გაამდიდრებს ეროვნულ და, საერთოდ,
კაცობრიობის საუკეთესო მიღწევათა საგანძურს“.*

გ. თოდუა

ქვეყნის ეკონომიკური (და არა მხოლოდ) განვითარების ფუნდამენტი განათლებული საზოგადოებაა. უდავოა, რომ განათლების სისტემის გაუმჯობესება და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაზე ზრუნვა მუდმივად უნდა იდგეს როგორც სახელმწიფოს, ისე ამ დარგში მოღვაწე კომპანიების (ისინი, პრაქტიკულად, კონკურენციამ უნდა აიძულოს) დღის წესრიგში. განათლებისადმი ბუნებრივი (სულიერი) მისწრაფების გარდა, მისი მიღებითა და სრულყოფით დაინტერესებულნი არიან ადამიანები, რათა უზრუნველყონ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობების გაზრდა. გლობალიზაციამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ფორმალური და არაფორმალური განათლების სისტემა. უმწვავესმა კონკურენციამ საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე სწარმოებში მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების საჭიროება განაპირობა, რომელთა ძირითადი მიმწოდებლები (არა ერთადერთი) უმაღლესი სასწავლებლებია. ისინი, თავის მხრივ, თავისუფალი შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკონკურენტუნარიანი რესურსების მიწოდების აუცილებლობის წინაშე დადგნენ და თვითონაც ჩაერთნენ დარგის შიგნით კონკურენციულ ბრძოლაში, რომელიც, თანამედროვე ეტაპზე, გლობალურობის (მსოფლიო მასშტაბის) თავისებურებით ხასიათდება. ეს ართულებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ამოცანებს, მაგრამ, ამავე დროს, წინმსწრებ მოთხოვნას წარმოშობს გამოცდილი და მომთხოვნი მომხმარებლების მხრიდან, რაც ასტიმულირებს დარგის განვითარებას; ამასთან, ზოგიერთი ისეთი სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობა ჩნდება,

რომელზეც მოთხოვნაა მსოფლიო მასშტაბით (ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები ცალკე მსჯელობის საგანია).

განათლების მიღების სხვადასხვა არხი (ოჯახი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები) არსებობს. მათ შორის უმთავრესია სკოლა (როგორც საბაზო განათლების მიღების წყარო) და უმნიშვნელოვანესია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (როგორც პროფესიული განათლების მიღების წყარო). მათი მეშვეობით ხდება დაგროვილი ცოდნის მოწვესრივებული და სისტემატიზებული გადაცემა მომავალი თაობებისათვის, რაც, ფაქტობრივად, განათლების მიღების პროცესია. თუ უმაღლესი განათლების სისტემას განვიხილავთ, როგორც კლასტერს, ჩვენთვის თვალსაჩინო გახდება იმ ურთიერთობათა ფართო ქსელი, რომლის გადამკვეთი კვანძებისა და კომუნიკაციების გამართულ მუშაობაზე დამოკიდებულია უმაღლესი განათლების სექტორის წარმატებული მუშაობა და როგორც ფუნდამენტზე, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია განათლების სისტემის კლასტერული განვითარების სრულყოფილი კონცეფციის გადმოცემა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამეცნიერო ნაშრომებში ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორის კლასტერული განვითარების საკითხები გადმოცემულია, განათლების სექტორი ამ თვალსაზრისით მხოლოდ ფრაგმენტულადაა შესწავლილი და გაშუქებული. ჩვენი მიზანია, ამჯერად ცნობილი ამერიკელი მეცნიერის მ. პორტერის სამეცნიერო მიდგომებზე დაყრდნობით [2] საქართველოს განათლების სისტემის კლასტერული განვითარების კონცეფციის ზოგადი მონახაზი წარმოვადგინოთ, რომელსაც, ვფიქრობთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივების შესახებ გლობალური ხედვის ჩამოყალიბებისა და საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებისათვის.

საქართველოს განათლების (უმაღლესი განათლების აქცენტით) კლასტერის საბაზო „კუთხეს“ (ეგულისხმობთ მ. პორტერის „რომში“, ანუ „ალმასში“ მონათესავე და მხარდამჭერ დარგებს) ქმნიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით არის 129, მათგან 20 – სახელმწიფო, 109 – კერძო. ფაქტობრივად, საგანმანათლებლო ბაზარზე არის კონკურენცია, თუმცა ადგილობრივ მიმწოდებელთა კონკურენტუნარიანობა განსხვავებულია. მონათესავე დარგებად შეიძლება განვიხილოთ განათლებასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეცნიერების სექტორი, საბიბლიოთეკო ფონდები, კულტურის სფერო. ასევე, განათლების სისტემის განვითარებას ხელს უწყობს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (რომელიც უახლესი ინფორმაციის მიღების უდავოდ შეუცვლელი საშუალებაა, მაგრამ ვერ ჩრდილავენ

წიგნების როლს, რომლებშიც კაცობრიობის მიერ დაგროვილი უზარმაზარი ინფორმაციაა თავმოყრილი), პოლიგრაფიული მრეწველობა, და ა.შ. საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია განვითარებული საბიბლიოთეკო ფონდები. ზოგადად, დარგის განვითარებისათვის აუცილებელია გამართული ინფრასტრუქტურა, ადეკვატური საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიციური ადამიანური რესურსები.

აღნიშნული დარგების განვითარებაზე წარმოდგენას ვვაძლევს ფაქტორული პირობები, რომლებიც ერთ-ერთ დეტერმინანტს ქმნიან კლასტერში და, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს რაოდენობრივ, ხარისხობრივ და სპეციალიზაციის ფაქტორებად (ბუნებრივი რესურსები, ადამიანური რესურსები, კაპიტალის რესურსები, ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, ინფორმაციული ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა).

ფაქტორული პირობებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება განვიხილოთ პიროვნული რესურსები – ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ცოდნას გადასცემენ სტუდენტებს (ეწვივან საგანმანათლებლო მომსახურებას). პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის შესაფასებლად გამოდგება მათი წოდება, როგორცაა სრული, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორები. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით საშუალება გვქვია ვნახოთ კერძო და უმაღლეს დაწესებულებებს შორის პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონეების მიხედვით განაწილება (ცხრილი 1). გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვია 20, კერძო – 44.

ცხრილი 1

სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორები საქართველოში

	სახელმწიფო ერთეული-20		კერძო ერთეული-44	
	შტატი	კონტრაქტით	შტატი	კონტრაქტით
სულ	3884	3258	1568	2714
სრული პროფესორი	944	261	515	602
ასოცირებული პროფესორი	1782	700	508	949
ასისტენტ პროფესორი	1158	2297	545	1163

მიუხედავად იმისა, რომ კერძო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა (44) უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფო (20), სახელმწიფო სტრუქტურაში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობა

როგორც შტატით, ასევე კონტრაქტით, აღმატება კერძოში მომუშავეებს.

რაც შეეხება კონტრაქტებსა და შტატების მიხედვით დასაქმებულთა შედარებას, სახელმწიფო სტრუქტურებში შტატში უფრო მეტი სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი გაითვალისწინება, ვიდრე კერძო სტრუქტურებში. აქაც ყურადღებამისაქცევია კერძოსა და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს შორის რაოდენობრივი განსხვავება. კონტრაქტის პირობით მომუშავეთა რიცხოვნობა კი, გარდა ასისტენტ-პროფესორებისა, რომლებიც ჩვენი კრიტერიუმების მიხედვით, მესამე თანრიგზე იმყოფებიან, კერძო სტრუქტურებში უფრო მეტი სრული და ასოცირებული პროფესორები მუშაობენ. მაგრამ გავითვალისწინოთ ის პირობაც, რომ პირი, რომელიც შტატით სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურაში მუშაობს, შეძლებს კონტრაქტით სხვა სტრუქტურაში მუშაობასაც.

რადგან უნივერსიტეტის პრესტიჟის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, ამ მონაცემების მიხედვით, სახელმწიფო სტრუქტურები, საშუალო მაჩვენებლით, უფრო პრესტიჟულნი უნდა იყვნენ ვიდრე კერძო სტრუქტურები.

პროფესორ-მასწავლებლებთან გავლენის, ანუ მომწოდებელთა გავლენის გასაგებად, ნიშანდობლივია, რომ მათი ძირითადი მიზანი ხელფასის მიღებაა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, განათლების სექტორში საშუალო ხელფასი კერძო სტრუქტურებში 267,3 ლარი, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურებში – 241,4 ლარია, ანუ მომწოდებლებისთვის უფრო მიზიდველი კერძო სტრუქტურებში მუშაობაა (აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები მხოლოდ დაახლოებით ასახავს რეალობას). თუ მოხდება მათი გადაადინება სახელმწიფოდან კერძო სექტორში, სახელმწიფოში საშუალო ხელფასი გაიზრდება, ხოლო კერძოში – შემცირდება.

განათლების სექტორში საშუალო ხელფასები მზარდი ტენდენციით ხასიათდება, გამომდინარე პროფესორ-მასწავლებელთა გავლენიდან, რადგან მცირე და თან შემცირებადი პოტენციალის ხელფასები სულ უფრო და უფრო მცირე მასწავლებელს მოხიბლავდა და განათლების სექტორში სერიოზული მომწოდებლის დეფიციტი შეიქმნებოდა.

საშუალო ხელფასი 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, 55,39%-ით გაიზარდა, განათლების სექტორში კი ეს მაჩვენებელი 50,99%-ია. მთლიანად ეკონომიკაში საშუალო ხელფასი, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სახელმწიფო სტრუქტურებში 483,1, ხოლო კერძოში – 603,4 ლარია. განათლების სექტორში არსებული საშუალო ხელფასები მათთან შედარებით საკმაოდ მცირეა.

ზოგადად, მიმწოდებელთა გავლენა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1) მიმწოდებლის უნარი, მოახდინოს გავლენა მომხმარებლებზე, ანუ მიადწიოს მისთვის სასურველ პირობებსა და ვადებს;

2) მიმწოდებელთა და მომხმარებელთა ურთიერთქმედების დონე. მიმწოდებელთა გავლენა არსებობს მაშინ, როდესაც მიწოდებული პროდუქტი (მომსახურება) შეზღუდულია. საქართველოს განათლების სისტემაში შეზღუდულ რესურსად კვალიფიციური მიმწოდებლები უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება საბიბლიოთეკო საქმიანობას, რომლის საშუალებით ადამიანი იღებს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას, ჩვენს ქვეყანაში დიდი ტრადიციები აქვს. საქართველოში ბიბლიოთეკების ისტორია უკავშირდება მონასტრების საქმიანობას. ეკლესია-მონასტრების დაარსებისთანავე წიგნსაცავის შექმნაზე ზრუნავდნენ. ყველა ეკლესია-მონასტერს თავისი წიგნსაცავი ჰქონდა. ბიბლიოთეკები ძირითადად შემოწირული წიგნებით არსებობდა. X საუკუნეში უკვე მოწესრიგებული ჩანს წიგნების დაცვის, სარგებლობისა და აღნუსხვა-აღწერის საქმე. 1979 წელს თბილისში იყო 107 მასობრივი ბიბლიოთეკა (3047,9 ათ. წიგნი და ჟურნალი), 100 სამეცნიერო ბიბლიოთეკა (14845 ათ. წიგნი და ჟურნალი), უმაღლესი სასწავლებლების 11 ბიბლიოთეკა (6592 ათ. წიგნი და ჟურნალი), ცენტრალური და ადგილობრივი დაწესებულებებისა და ორგანოების 54 ბიბლიოთეკა (1148 ათ. წიგნი და ჟურნალი). საქართველოში არსებული საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ მონაცემები ასახულია ცხრილში 2.

ცხრილი 2

საქართველოს საბიბლიოთეკო ფონდი

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
მასობრივი და უნივერსალური ბიბლიოთეკები (ერთეული)	2170	2160	2123	2090	2056	1726	672	824
მკითხველთა რიცხ-ოვნობა (1000 კაცი)	2311.3	1625.9	1421.3	1528.9	1566.1	732.1	...	778.3
მკითხველთა რიცხ-ოვნობა საშუალოდ	1065	753	670	732	762	424	...	945

ეგზემპლარების რაოდენობა (მლნ)	30.8	30.6	29.6	28.5	28.3	20.7	...	17.3
-------------------------------	------	------	------	------	------	------	-----	------

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა არის თბილისის საჯარო, ანუ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსდა 1846 წელს თბილისში მთავარმართებლის კანცელარიის ბიბლიოთეკის ბაზაზე, როგორც „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. ეს პირველი ბიბლიოთეკა იყო საქართველოში, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობის ყველა ფენისთვის. 1991 წლიდან საბიბლიოთეკო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFLA) წევრია. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიგოლ წერეთლის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თავისი შინაარსით უნივერსალურია და იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრს. მისი წიგნადი ფონდები დღესდღეობით 3 700 000 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს შეადგენს. აქ თავმოყრილია სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა საუნივერსიტეტო სპეციალობათა სრული კომპლექტით. ფონდებში დაცულია წიგნადი და პერიოდული გამოცემები, რარიტეტები, კლასიკოსთა ნაწარმოებები და სხვა.

საქართველოში ჯერ კიდევ 1921–1941 წლებში არსებობდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო პირველი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება. უნივერსიტეტი აძლევდა ტონს მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას. უნივერსიტეტელი მეცნიერები გახდნენ შემდგომ სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დამაარსებელნი. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შექმნა ინტენსიურად მიმდინარეობდა 20-30-იან წლებში. თბილისში განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მას შემდეგ, რაც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (1941). თუ 1941 წლისთვის თბილისში სულ იყო 42 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება (უმადლესი სასწავლებლების ჩათვლით), სადაც მუშაობდა 4,3 ათ. მეცნიერი მუშაკი, 1979 თბილისში, აკადემიის სისტემის 32 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გარდა, იყო საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 9 ფილიალი, 60-მდე სხვადასხვა საპროექტო და უწყებრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. სულ თბილისში მუშაობდა 20,8 ათ. მეცნიერი მუშაკი, მ. შ. 1167 მეცნიერებათა დოქტორი და 6584 მეცნიერებათა კანდიდატი. 2005 წლის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით (არ არის უახლესი და ზუსტი მონაცემები) 80 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება იყო (წყარო: <http://www.geostat.ge/>), სადაც დასაქმებული იყო 9,2 ათასი

მეცნიერმუშაკი, მათგან 5,9 სამეცნიერო ხარისხის მქონე. მათგან 14-14 ემსახურებოდა საბუნებისმეტყველო და აგრარულ მეცნიერებებს, მათემატიკა, ტელეკომუნიკაციებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს – 5, საინჟინრო მეცნიერებებს, მექანიკას, მაღალტექნოლოგიურ მასალებს – 6, სიცოცხლის შემსწავლელ და სამედიცინო მეცნიერებებს – 4 და ა.შ. ყველაზე მეტი მეცნიერ-თანამშრომელი საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში მუშაობდა.

დღეისათვის, მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სეფ). იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დაარსდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 ივლისის №653 ბრძანებულებით მეცნიერების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ეროვნული სამეცნიერო ფონდის ძირითადი მიზანია ღიად გამოცხადებული კონკურსის გზით, სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით, დამოუკიდებელ, საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე სახელმწიფო გრანტების ორგანიზება და საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა და გაძლიერება, ქართული მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრება, მსოფლიო მეცნიერების მიღწევებში წვლილის შეტანა და ა.შ.

საქართველოში ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარებისა და დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი). რუსთაველის ფონდი უზრუნველყოფს 2008 წლიდან სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის ორგანიზებას კონკურსის წესით ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებებისათვის.

მოთხოვნის პირობების (მდგომარეობის), როგორც ერთ-ერთი დეტერმინანტის განმსაზღვრელია სტუდენტის არჩევანი, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელში მიიღოს განათლება, რასაც განაპირობებს სწავლის ღირებულება და უნივერსიტეტის პრესტიჟი. მასში იგულისხმება: კონკრეტულ უნივერსიტეტში სწავლის დონე, ამ უნივერსიტეტის კავშირები უცხოურ უნივერსიტეტებთან, ეს გამოიხატება სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობით, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის დონე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა, რომლებიც, თავის მხრივ, ქმნის ფაქტორულ პირობებს.

მომხმარებელთა კონკურენტული გავლენის ხარისხი დამოკიდებულია ორ ფაქტორზე:

1) მომხმარებლის შესაძლებლობებზე, უკარნახოს კომპანიას (ორგანიზაციას) პირობები და ფასები;

2) კომპანიისა (ორგანიზაციისა) და მომხმარებლის ურთიერთქმედების დონეზე. რაც უფრო მსხვილია მომხმარებელი და რაც უფრო მეტია პროდუქციის შესყიდვის წილი, მით უფრო დიდი მათი გავლენა კომპანიაზე.

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ფასების ხშირი მერყეობა, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ეს შეიძლება იყოს ახალი სახეობის საქონლის წარმოება, უკვე არსებულის გაუმჯობესება, სავალუტო კურსების მერყეობა, საზოგადოების შეხედულების შეცვლა ამ პროდუქტის მიმართ და ა.შ. პრაქტიკულად შემთხვევითმა მოვლენებმა (დეტერმინანტი) შეიძლება ესა თუ ის პროფესია უფრო მოთხოვნადი გახადოს, რაც იმოქმედებს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების მიღების მოთხოვნაზე ან შეიძლება საერთოდ იგნორირება მოხდეს ასეთი მოთხოვნის (ფორს-მაჟორული სიტუაციები).

2009 წლიდან როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების საფასური გაიზარდა. ფასი სახელმწიფო სასწავლებლებში 1500-დან 2250 ლარამდე მერყეობს. შესაბამისად, გაიზარდა სახელმწიფო გრანტის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც ერთი სასწავლო წლისთვის 2250 ლარს შეადგენს. კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების საფასური გაცილებით მაღალია. 2007 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას იღებდა 39278 აბიტურიენტი, 2009 წელს – 27000 აბიტურიენტი. ჩვენი გათვლებით, უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნის საფასო ელასტიკურობის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია. საქართველოში სწავლაზე მოთხოვნა არაელასტიკურია. ისტორიულად ჩამოყალიბებულ ქართველთა განათლებისკენ სწრაფვას თუ გავითვალისწინებთ (რაც ზოგჯერ უმაღლეს სასწავლებლის დამთავრების „დიპლომანიაშიც“ აისახება), პრაქტიკულად იგი მიესადაგება საზოგადოებრივ აზრს განათლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განათლება არის სპეციფიკური მომსახურება, რომელსაც 2 მყიდველი – მშობელი და სტუდენტი გააჩნია. სწავლის საფასურს საქართველოში, ძირითადად, მშობლები იხდიან, ხოლო მისი მომხმარებლები არიან ძირითადად დაუსაქმებელი შვილები, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს საზოგადოების სექტორს. სტუდენტთა მშობლები არიან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წარმომადგენლები, რომელთა მუშაობით იქმნება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდესი ნაწილი. ამიტომ, ბუნებრივი იქნება, ეკონომიკური ზრდის, მშპ-სა და საშუალო ხელფასების ზრდის პირობებში, სწავლაზე გადასახადის ზრდა. ალბათ სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავს სახელმწიფო, უახლესი მონაცემებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას, რომელიც შეეხება კერძო უმაღლეს სასწავლებლებს. მათ დაეკისრებათ დამატებული ღირებულების

გადასახადი, რაც სავარაუდოდ, გამოიწვევს კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების საფასურის გაზრდას (გადაეკისრება გადამხდელებს) ან – ამ სასწავლებლების მფლობელთა მოგების შემცირებას.

ფირმების სტრატეგია და კონკურენცია კლასტერის განვითარების კიდევ ერთი დეტერმინანტია. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას, მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე დღითი დღე იზრდება, რაც უმაღლესი განათლების დარგის მიმზიდველობას იწვევს ახალი ფირმებისთვის და დარგში კონკურენციის გამძაფრებას განაპირობებს. თუ მომხმარებელთა მიერ მინიჭებული უპირატესობით ვიმსჯელებთ დარგში მოქმედი ორგანიზაციების (კომპანიების) სწორ სტრატეგიაზე, საზოგადოებრივი აზრი დღეისათვის იმ უმაღლესი სასწავლებლებისკენ იხრება, რომლებიც დასაქმების უკეთეს გარანტიას აძლევენ კურსდამთავრებულებს. მოქმედი დამსაქმებლები აქ უდიდესი გავლენის მქონენი არიან, რომლებიც, თავის მხრივ, კიდევ ერთ ბერკეტს ქმნიან ქვეყნის საგანმანათლებლო-სამეცნიერო კლასტერში. შეუძლებელია აქ არ აღვნიშნოთ ამ პროცესის ნეგატიური მხარე. კონკრეტულად ის, რომ ვიწრო პრაგმატულ სპეციალობებზე გრძელვადიანმა ორიენტრმა შეიძლება ქვეყანა გადააქციოს განვითარებული მსოფლიოს სანედლეულო-მომსახურე დანამატად და ქვეყანას „საბაზრო იძულებით“ დაუკარგოს ის ისტორიული ორიენტირი, რამაც რეალურად უნდა განსაზღვროს საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის შესაბამისი განვითარება. აქ უდიდესია სახელმწიფოს სწორი სტრატეგიის ფუნქცია (კიდევ ერთი დეტერმინანტი). შესაძლებელია დაისვას საკითხი ბაზრის მიერ მოთხოვნილი სპეციალობების ობიექტური განვითარების შესახებ, სახელმწიფოს მინიმალური ჩარევით ან ხელშეწყობით, ვთქვათ, როგორც განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, კანადა). მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად ლიბერალური მიდგომებისა (საგანმანათლებლო-სამეცნიერო კლასტერების მიმართ), განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას ძლიერი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრატეგია აქვს და ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში დაგროვილი კაპიტალი ინვესტირების გრძელვადიანი ორიენტირების შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენ ამჯერად აღარ შევჩერდებით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზნებსა და გატარებულ ღონისძიებებზე [8;9]. არ მივიჩნევთ, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აკისრია განათლების კლასტერის ჩამოყალიბებისა და განვითარების ფუნქცია, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით მისი განვითარების პრიორიტეტად გადაქცევა უდავოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ აპრობირებულ სახელმწიფო ღონისძიებაზე (იხ. პორტერის დასახელებული ნაშრომი). *დარგში ფუნქციონირებადი*

ვირმების (ორგანიზაციების) წარმატებული მუშაობისა და საერთო გარემოს გასაუმჯობესებლად. სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას ბარიერები ადგილობრივი კონკურენციისათვის; ორგანიზება გაუკეთოს სამთავრობო დეპარტამენტებს კლასტერის ირგვლივ; ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას კლასტერის შიგნით; ხელი შეუწყოს სათანადო მომსახურების ექსპორტს. *მონათესავე და მაკომპლექტებელი დარგების მხარდაჭერის მიზნით:* სახელმწიფოს შეუძლია კლასტერის მონაწილეთა ფორუმებს გაუწიოს სპონსორობა; წახალისოს და ხელი შეუწყოს კლასტერის მომწოდებლებსა და პროვაიდერებს. *ფაქტორული პირობების გასაუმჯობესებლად:* სახელმწიფოს შეუძლია სპეციალური სწავლებისა და გადამზადების პროგრამების შექმნა (რომლებსაც რეალური ფუნქცია დაეკისრება); კვლევითი სამუშაოების ჩატარება ადგილობრივი უნივერსიტეტების ბაზაზე კლასტერებთან დაკავშირებული ტექნოლოგიების შესამუშავებლად (აქ არ იგულისხმება მხოლოდ საგანმანათლებლო კლასტერი); კლასტერთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრების და დამუშავების ხელ შეწყობა; სპეციალიზებული სატრანსპორტო, კომუნიკაციის და სხვა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. *მოთხოვნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად* სახელმწიფომ უნდა შექმნას ნათელი, განახლებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო სტანდარტები შემდეგი ამოცანების გადასაჭრელად: – განუსაზღვრელობის შემცირება კანონმდებლობაში; – დროული მიღების სტიმულირება; – სრულყოფის წახალისება. ამასთან, დარგის მომსახურების დამოუკიდებელი ტესტირების, სერტიფიკაციის სპონსორობა; დარგის მომსახურების (პროდუქციის) მომთხოვნი დამკვეთის როლის აღება საკუთარ თავზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ერთი რომელიმე მიმართულებით სახელმწიფოს როლის გაძლიერება დიდ დისბალანსებს წარმოშობს ქვეყნის განვითარებაში და უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების მდგომარეობაზე. ვგულისხმობთ, მაგალითად, მომთხოვნელობის ამაღლებას (ბოლო პუნქტი) გარდამავალ პერიოდში, რაც წინ უსწრებდა სათანადო მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს, რამაც საზოგადოებაში გაზარდა სტრესი და განუსაზღვრელი მომავლის შიში.

ქვეყნის მასშტაბით სამეცნიერო-საგანმანათლებლო კლასტერის [4]. განვითარების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მონათესავე და მაკომპლექტებელი დარგები განვითარების პროცესშია. ისინი ახლა ერგებიან თანამედროვე მოთხოვნებს. მიუხედავად ზოგიერთი დარგის დიდი ტრადიციებისა, სერიოზული ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება მეცნიერების განვითარებას. მისი დაფინანსებისთვის არ არის საკმარისი სახსრები და არ არის მოწესრიგებული მქანიზმი. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, რომ არაკომპეტენტური ექსპერტები წყვეტენ სერიოზული პროექტების დაფინანსების საკითხს. საკონკურსო წესით სამეცნიერო პროექტების საგრანტო დაფინანსება აპრობირებული

მეთოდია, ამას საერთაშორისო ასპარეზზეც დღეს ბევრი ფონდი სთავაზობს, მაგრამ მთავარია: – მიესადაგება მათი პრიორიტეტები ჩვენს ქვეყნის სასიცოცხლოდ აუცილებელ პრობლემებს? სირთულეებია ფაქტორულ პირობებში. ფირმათა სტრატეგიაში არ შეინიშნება ერთიანი კლასტერული განვითარების ორიენტირები. მოთხოვნა არის უდიდესი მამოძრავებელი დეტერმინანტი. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაზარდოს მასტიმულირებელი ძალისხმევა.

ცნობილია, რომ კლასტერული პოლიტიკა შეიძლება განვითარდეს ლიბერალური და ღირიუისტული მიმართულებით, რომელთა შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ პრიორიტეტების შერჩევის, ინფრასტრუქტურისადმი მიდგომისა და რეგიონის როლის ასპექტების განხილვისას კლასტერული განვითარების ლიბერალური მოდელი სახელმწიფოს ჩაურევლობას ითვალისწინებს (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი), ღირიუისტული მოდელის (საფრანგეთი, ფინეთი, იაპონია, კორეა, შვედეთი) ფარგლებში კი სახელმწიფოს ეკისრება მნიშვნელოვანი უნქცია [3]. მივიჩნევთ, რომ განათლების სისტემა ქვეყნისთვის ის სტრატეგიული სფეროა, რომელიც შეუძლებელია დაევიანდეს იქნეს მხოლოდ ეკონომიკის სექტორის, როგორც კერძო ფირმების ასპარეზის, განვითარებაზე, სადაც პრიორიტეტი მხოლოდ თავისუფალ კონკურენციას და ვიწრო პრაგმატულ ინტერესებს ენიჭება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ განათლების სექტორი არ არის კერძო ბიზნესის სფერო. სწორედ მათ აქტიუობაზეა უმეტესად დამოკიდებული ქვეყნის ინოვაციური განვითარების პერსპექტივა. ასეთი სამეცნიერო კლასტერები [6]. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივებად უნდა იქცეს, რომლებიც ფოკუსს ინოვაციებზე გააკეთებენ. თუმცა, სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკაში (მით უმეტეს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში) სათანადოდ უნდა აისახოს ერთიანი საგანმანათლებლო კლასტერის რეგიონული და დარგობრივი პრიორიტეტები (გეოგრაფიულ-ჰორიზონტალური მახასიათებლები), სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა და დაფინანსება. საქართველოში შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, აღნიშნული კლასტერი ფაქტობრივად შერეული – ლიბერალურ-ღირიუისტული სახით ვითარდება, თუმცა აქ არ არის გამოკვეთილი ერთიანი კლასტერის ნიშნები (რაც სახელმწიფომ უნდა იტვირთოს) და ზოგადად, კომუნიკაციები და გეოგრაფიული კონცენტრაციის რეგიონული ნიშნები მეტად სუსტია.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **თოდუა გ.** საყოველთაო განათლება – კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი. ჟ. სოციალური ეკონომიკა, №1, თბ., 2007.
2. **Портер М.** Конкуренция. Пер. с англ., М, 2001.

3. **ყორღანაშვილი ლ.** კლასტერები – ქართული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის საშუალება, ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, თბ., 2008, ივლისი-აგვისტო.
4. **გაგნიძე ი.** მსოფლიო კონკურენტუნარიანობის სამეცნიერო ინფრასტრუქტურის მანქანებლები და ქართული რეალობა, საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტუნარიანობის მანქანებლებში: პრობლემები, პერსპექტივები, I საუნივერსიტეტოაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თბ., 2009.
5. **გაგნიძე ი.** კონკურენტუნარიანობის მიღწევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები გარდამავალ ეკონომიკაში, გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები, I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2008.
6. **ივანიშვილი გ.** გლობალიზაცია და ერი-სახელმწიფოს მომავალი: ერი-სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის სტრატეგია გლობალიზაციის ეპოქაში, დისერტაცია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2008.
<http://www.press.tsu.ge/GEO/internet/disertaciebi/Disertacia-Giorgi%20Ivaniashvili.pdf>
7. **პაპაჩაშვილი ნ.** ეროვნული კონკურენტული უპირატესობა და სისუსტე, 12.2. წიგნი: მსოფლიო ეკონომიკა, დმხმარე სახელმძღვანელო გ. თოდუას და შ. ვეშაპიძის რედაქციით, თბ., 2001.
8. <http://naec.ge/>
9. <http://mes.gov.ge/>
10. <http://www.geostat.ge/>

*Nino Papachashvili
Teona Tsimakuridze*

GEORGIA'S EDUCATION SYSTEM CLUSTER DEVELOPMENT CONCEPTION RELATED ISSUE

SUMMARY

The article is devoted to the issues related to the cluster development of Georgia's education system (with the focus on higher education). The presented cluster development strategy relies on the scientific approaches suggested by the famous American researcher M. Porter. First of all the higher education cluster in Georgia is supposed to comprise higher education institutions and the supporting and related organizations. for the decent analysis of cluster development strategy, factor conditions, demand conditions, starategy and competition among the organizations acting in the higher education sector, the role of state and random factors are discussed. The author mentions the significant influence of educational globalization

and the globalization in general, which can have essential effects on the educational system of Georgia and its role in the economic development of the country.

ზურაბ რევიშვილი

სამართლებლო აბარული პოლიტიკის მოდელისა და სტრატეგიის ბანსაზღვრის საკითხისათვის

ქვეყნების საბაზრო ეკონომიკური მოდელების და სათანადო სტრატეგიების თავისებურებებზე საუბრისას განიხილავენ ანგლო-საქსურ “თვითდინებით მიშვების” (Laizes Faire) ლიბერალურ და სოციალურ საბაზრო ეკონომიკურ მოდელებს, საუბრობენ ლიბერალური ბაზრის და სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის (ინტერვენციის) სტრატეგიებზე; ასევე განასხვავებენ გერმანულ, შვედურ, იაპონურ, სამხრეთ-აღმოსვლეთ აზიის (“დრაკონი” და “ვეფხვი” ქვეყნები), ლათინური ამერიკის და სხვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მოდელებს. აღსანიშნავია, რომ წარმატებული მოდელები ითვალისწინებენ ქვეყნის განვითარების ისტორიულ, კულტურულ, სამართლებრივ, სოციალურ, რელიგიურ, ფილოსოფიურ და ტრადიციულ ყოფით ფასეულობათა სისტემებს.

მოდელების შედარებისას აქცენტი კეთდება კერძო თუ სახელმწიფო საკუთრების დომინირებაზე, მათი ხვედრითი წონების თანაფარობაზე, საკუთრების სხვადასხვა ფორმების პროპორციებსა და მათ თანაარსებობაზე, სახელმწიფოს აქტიურ თუ პასიურ მონაწილეობაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგულირებაში, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის შემოსავლებისა და ქონების განაწილებისა და გადანაწილების ვარიანტებზე, სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო საწარმოთა და კორპორაციათა მართვის პრინციპებსა და ფორმებზე, მთავრობასა და კერძო ბიზნესს შორის პარტნიორობაზე, ეკონომიკის განვითარების სამთავრობო პრიორიტეტების განსაზღვრაზე და სხვა.

ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა შორის აშშ უპირობო ლიდერად არის მიჩნეული. თუმცა ამერიკის ეკონომიკის პირველივე ნაბიჯებიდან ჩამოყალიბდა ორი დაპირისპირებული მიმდინარეობა – სახელმწიფოს ჩარევის მოწინააღმდეგეთა და სახელმწიფოს რეგულირების მომხრეთა. თავისუფალი, არარეგულირებადი ბაზრის იდეას, ისტორიულად, რესპუბლიკელების პარტიის მომხრეები იცავდნენ, ბაზრის სახელმწიფო რეგულირების დამცველებად კი დემოკრატიული პარტიის მომხრენი გამოდიოდნენ. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტიების, ლიდერებისათვის დამახასიათებელია

პრაგმატული მიდგომები, კერძოდ, რესპუბლიკელი პრეზიდენტები ხშირად იყენებდნენ სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტებს, ხოლო დემოკრატიული პარტიის ლიდერები, საჭიროებიდან გამომდინარე, წარმატებით ასორციელებდნენ ლიბერალურ პოლიტიკას [1, გვ. XV]. ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების რეალისტური ხედვა, პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღება და ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება ის მნიშვნელოვანი პრინციპებია, რომლებიც აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკას ახასიათებს.

ეკონომიკური მოდელის განსაზღვრისას ყურადღებას იმსახურებს რიგი წარმატებული ქვეყნების გამოცდილებები, თუმცა, ვფიქრობთ, ირლანდიის მაგალითი საქართველოსთვის განსაკუთრებულია. ირლანდიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებამ (1922) ვერ განაპირობა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა და წინსვლა. მრავალი ირლანდიელი იძულებული იყო, სამუშაო ქვეყნის გარეთ ეძებნა, მხოლოდ 1951-1961 წწ. ქვეყანა 0,5 მილონამდე ადამიანმა დატოვა. მკვეთრად უარესებოდა მაკროეკონომიკური პირობები, ეკონომიკის წამყვან სექტორში – სოფლის მეურნეობაში, სადაც დასაქმებული იყო მოსახლეობის თითქმის ნახევარი, თანდათან მცირდებოდა სამუშაო ადგილები. ირლანდიელებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ქვეყნის წინაშე მდგარი საშიშროება. 80-იანი წლების ბოლოს მათ შექმნეს ეროვნული ეკონომიკური და საზოგადოებრივი საბჭო (National Economic & Social Council), რომელშიც გაერთიანდნენ პროფკავშირების, ბიზნესის, გლეხობის, ხელისუფლების და დამოუკიდებელ ექსპერტთა წარმომადგენლები. საბჭოს უპირველეს მიზანს შეადგენდა არსებული პრობლემების, კრიზისის მიზეზების დადგენა და მათი დაძლევის ეროვნული პროგრამის შექმნა. 1987 წელს საბჭომ მიიღო “ეროვნული აღორძინების პროგრამა”. ფართო განხილვების საფუძველზე, საბჭომ მისაღებად მიიხნია ქვეყნის მოდელის საფუძველად გამოყენებულიყო გერმანული და შვედური მოდელის პოზიტიური მხარეები. ამასთან, ირლანდიელებმა მოდელის შემუშავებისას მკვეთრად განსაზღვრეს საკუთარი პრიორიტეტები, მათ ესმოდათ, რომ, ერთი მხრივ, უნდა ედღიარებინათ პრიორიტეტებად ევროკავშირის განვითარების წესები და პრინციპები, ხოლო მეორეს მხრივ, ეფიქრათ ირლანდიის განვითარების თავისებურებებზე. პროგრამა აქცენტს აკეთებდა რესურსების კონცენტრირებაზე ახალი ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით, განათლების დონის ამაღლებაზე, მოსახლეობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სრულყოფაზე, ინვესტიციების და ტექნოლოგიების მოზიდვაზე, მუშებისა და ფერმერების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შრომის ბაზრის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობაზე; სოფლის სკოლებს გამოეყოთ ავტობუსები მოსწავლეების სატარებლად, რეგიონებში გაიხსნა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. შედეგად, ირლანდიაში

შეიქმნა 700 ათასი ახალი სამუშაო ადგილი (სულ მოსახლეობა 4,2 მილიონს შეადგენდა), 10 წელიწადში აშენდა არსებული საბინაო ფონდის ნახევარზე მეტი, ირლანდიამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ევროკავშირს მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავლის მიხედვით [5, გვ.423-430]. ირლანდიის კრიზისიდან გამოყვანა ეროვნული საბჭოს წევრების და მთავრობის ერთიანი ნების, ეკონომიკური პროცესების ღრმად გააზრებისა და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შედეგია.

მოდელისა თუ სტრატეგიის განსაზღვრა მეცნიერული იდეების, მოსაზრებების განხილვასა და კრიტიკულ შეფასებებს, არგუმენტირებული პოზიციების გაზიარებას, შეჯერებას და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევას გულისხმობს, რის საფუძველზეც მთავრობამ უნდა განახორციელოს სათანადო გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და მისი ეტაპობრივი (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდები) განხორციელება. ქვეყნის მოდელი მთლიანად უნდა განსაზღვრავდეს როგორც მაკროეკონომიკურ ჩარჩოპირობებს, ისე კონკრეტული სექტორული განვითარების მოდელსა და სტრატეგიებს.

აგრარული პოლიტიკის მოდელისა და სტრატეგიების განხილვისას უნდა გამოვყოთ ორი საპირისპირო მიმართულება. პირველი ეფუძნება გასული საუკუნის პირველი ნახევარში გავრცელებულ ფილოსოფიას, რომ არ არის საჭირო აგრარული პოლიტიკის აქტიურად განხორციელება; აგრარული სექტორში ჩაურევლობა, მისი მიშეება, განაპირობებს აგრარული სექტორის თავისუფალი განვითარების სტიმულირებას. ასეთი ზრდის პერსპექტივის ორიენტირად მიიხნეოდა კარგად ფუნქციონირებადი ბაზრები და მწარმოებელთა აქტიური მოქმედებები. განსხვავებული გზა არის მოცემული ჯ. მელორისა და ბ. ჯონსტონის მიდგომებში [2,3]. ამ მიდგომით წინა პლანზეა დაყენებული სახელმწიფოს წამყვანი როლი აგრარული სექტორის სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებაში. ჯ. მელორი და ბ. ჯონსტონი თვლიდნენ, რომ სოფლის მეურნეობას შეუძლია მრავალმხრივი როლი ითამაშოს “ერთმოდელიანი განვითარების” სტრუქტურის ფორმირებისას, რადგან, მცირე შინამეურნეობების “ფართოსაფუძვლიანი სტრატეგია” ყურადღებას ამახვილებს სოფლის მეურნეობის კვლევებსა და მიღწეული შედეგების დანერგვა-გავრცელებაზე სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა ძირითად მასაში.

სოფლის მეურნეობის განვითარება რიგ ქვეყნებში (იაპონია, ტაივანი, მნიშვნელოვანწილად აშშ-ში და სხვ.) ეფუძნება “ფართოსაფუძვლიან” სტრატეგიას, რომლის მიზანია მიწის ნაყოფიერებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება, რომელიც მოიცავს ფერმერების უმეტესობას და განსაკუთრებით აკეთებს აქცენტს მცირე და საშუალო ფერმერებზე. აღნიშნული ქვეყნები ცდილობენ, შეამცირონ

და აღმოფხვრან სიღარიბე სოფლის მეურნეობაში. “ფართოსაფუძვლიანი” სტრატეგია განაპირობებს “უნიმოდელური” (ერთმოდელიანი) სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის დამკვიდრებას და გაძლიერებას. იგი მოწოდებულია, მოიცვას მცირე და საშუალო შინამეურნეობების (ფერმების) უმეტრესი ნაწილი, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან უმრავლესობაში [4, გვ. 323]. აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ფერმერული და საირიგაციო ასოციაციების შექმნა და განვითარება.

“ფართოსაფუძვლიანი” აგრარული სტრატეგიის საპირისპიროდ, რიგი ქვეყნები “დუალისტურ”(ორმაგ, ორმხრივ) სტრატეგიას ეწვეიან. “დუალისტური სტრატეგიებისათვის” დამახასიათებელია “ბიმოდელური აგრარული სტრუქტურა”. ამგვარი სტრატეგიები ძირითადად, დიდ “პროგრესირებად” ფერმების მოდერნიზაციას უწყობს ხელს. ამავე დროს, ეს სტრატეგია უგულვებელყოფს ჩამორჩენილ, მცირე ზომის შინამეურნეობებს [4,316-317]. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია და რიგი სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნები. ქვეყნები, რომლებიც ამგვარ სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიას ახორციელებენ, ვერ ახერხებენ ფართოდ გავრცელებული სიღარიბის დაძლევას სოფლად და, მთლიანად, სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

აგრარული განვითარების მოდელმა და სტრატეგიამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სოფლად სიღარიბის დონის დაძლევას და საყოველთაო კეთილდღეობის მიზნის განხორციელებას, კერძოდ, ჯანსაღ საკვებზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

ერთ-ერთი საუკეთესო ორიენტირი მოდელისა და სტრატეგიის განსაზღვრისას, სტრუქტურული ცვლილებების დაგეგმვისას, არის სექტორის შედარებითი ბუნებრივ-კლიმატური უპირატესობა, რაც გათვალისწინებულ უნდა იყოს საწარმოო მიმართულებების განვითარებაში.

საქართველოს აგრარულ პოლიტიკაში სათანადოდ არ ხდება სოფლის მოსახლეობის ინტერესების, სოფლის მეურნეობის რაიონულ, რეგიონულ თუ ეროვნულ პრობლემათა სრულად გააზრება და სასოფლო შინამეურნეობათა საჭიროებების მასშტაბურად გათვალისწინება. ვფიქრობთ, ეროვნული აგრარული პოლიტიკისა და განვითარების სათანადო მოდელისა და სტრატეგიის შემუშავებისათვის რაიონებში, ინტერესთა დაბალანსებული, დემოკრატიული პრინციპით, სოფლის მოსახლეობის მიერ, არჩეული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში დასაქმებულების, შინამეურნეობებისა და აგრობიზნესის წარმომადგენლთა რაიონული სათათბიროები, რომლებიც, თავის მხრივ, რეგიონების და ქვეყნის დონეზე აირჩევენ წარმომადგენლებს, რომლებიც შეადგენენ ეროვნულ

სათათბიროს. რაიონულმა და რეგიონულმა სათათბიროებმა ადგილებზე უნდა გაუწიონ ზედამხედველობა მთავრობის აგრარული პოლიტიკის სწორად გატარებას, შეისწავლონ არსებული სასოფლო-სამეურნეო პრობლემები. მან უნდა ითანამშრომლოს პარლამენტსა და მთავრობასთან ეფექტური, ეროვნული აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების მიზნით. სოფლის მეურნეობის ეროვნულ სათათბიროში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერები და აგრარული პოლიტიკის მცოდნე სპეციალისტები, ექსპერტები. სათათბიროს მართვა პრინციპით “ქვემოდან-ზევით” უნდა განხორციელდეს და არა ცენტრალიზებულად, ეს საშუალებას მოგვცემს, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღებისას სრულად იყოს გათვალისწინებული სოფლების, რაიონებისა და რეგიონების ინტერესები. ვფიქრობთ, საქართველოს აგრარული განვითარების მოდელისა და პოლიტიკის ძირითად საფუძველად, ორიენტირად აღებული უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის “ერთმოდელიანი სტრუქტურა” და “ფართოსაფუძვლიანი სტრატეგია”.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. The Quest for Economic Stability: Roosevelt to Reagan, by Hugh S. Norton, Un-ty of South Carolina, 1985.
2. **J. W. Mellor, B.F. Johnston.**“The Role of Agriculture in Economic Development”. 1961, American Economic Review, Vol.51, no.4, 566-93.
3. **J. W. Mellor, B.F. Johnston.**“The World Food Equation: Interrelations Among Development, Employment, and Food Consumptin”. 1984, Journal of Economic Literature, Vol. 22, pp.531-574.
4. **T.P Tomich, P.K. Kilby and B.F. Johnston.**Transforming Agrarian Economies: Opportunities Seized, Opportunities Missed. Ithaca,New York:Cornel Un-ty Press, 1995.
5. **ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ.** მსოფლიო ეკონომიკა. თბ., გამ. “ვერუქ”, 2008.

Zurab Revishvili

FOR THE QUESTION OF THE AGRICULTURAL POLICY MODEL AND STRATEGI NOF GEORGIA

SUMMARY

The article analyzes some policy models and strategies, their importance for economic development; estimates effects of “dualistic agricultural strategy” and “broad based strategy” on the “agrarian structure”.

Is proposed an idea to create National Agricultural Board, which shall take into consideration rural population interests, when elaborating and solving Georgian agricultural model and strategy.

*თენგიზ ქავთარაძე
ციცინო თეთრაული*

**ფარმერული მიწურნეობის განვითარების
პრობლემები საქართველოში**

ცნობილია, რომ საქართველოში სოფლად რეფორმები განხორციელდა ზედაპირულად, ისტორიული გამოცდილებისა და ტრადიციების, საზოგადოებრივი მენტალიტეტის გათვალისწინებლად, ყოველგვარი ნორმატიული ბაზის მომზადების გარეშე, რის გამოც, ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების განვლილ პერიოდში, წარმოება კატასტროფულად დაეცა (2000 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1986-1990 წლების საშუალოსთან შედარებით შემცირდა 75 პროცენტით). მაგალითად, 1993 წელს საპრივატიზაციოდ გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მიწის ფართობი შეადგენდა 287,8 ათას ჰექტარს, 1994 წელს შესაბამისად – 396,1 ათასს, 1997 წელს კი – 930,0 ათას ჰექტარს. პრივატიზაციის პირველი ეტაპი დასრულებულად გამოცხადდა 1997 წლის 1 აპრილს, რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას, იგი დიდი დაგვიანებით, თითქმის პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულების ბოლოს შეიქმნა. მაგალითად, 1996 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, 1996 წლის 28 ივნისს – საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ“, 1997 წლის 7 აპრილს – „აგრარული პოლიტიკის კონცეფცია“ და ა.შ. პირველი ეტაპის დასრულებისათვის პრივატიზებული უნდა ყოფილიყო 930 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ფაქტობრივად პრივატიზებულ იქნა 884 ათასი ჰექტარი, ანუ 90,7%.

მიწის რეფორმის დაწყებამდე უნდა ჩატარებულიყო მიწების სრული ინვენტარიზაცია, უნდა დაედგინათ საზღვრები ცალკეულ ნაკვეთებზე, უნდა შეედგინათ გეგმა-ნახაზი, კადასტრი – ნიდაგის ხარისხის, თვისებების ლაბორატორიული გამოკვლევა და ბოლოს – პასპორტიზაცია. ამას მოითხოვდნენ მსოფლიო ბანკის სავალუტო ფონდის სპეციალისტები: ამერიკელი კონგრესმენი აგრარიკოსი კუპერ ევანსი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები ე. გ. გილბრეიტი, ე. ჯირნისონი, ქართველი სპეციალისტები; ლადო ჭანტურია, ოთარ საღარეიშვილი და მრავალი სხვა, სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 1996 წელს გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, სამაგიეროდ, სამუშაოების წარმოება დაიწვეს უკუღმა, პირდაპირ მიწის

საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი პასპორტების დარიგებით, სადაც მოცემული არ არის საზღვრები, კადასტრის სხვა მონაცემები, ამის გამოა, რომ ხდება მიწა-წყლის გასხვისება ორმაგი მოქალაქეების მიქონე პირებზე, რაც, კონსტიტუციის თანახმად, იკრძალება.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად მეწარმეობა სამი მიმართულებით ვითარდება: პირველი არის მიწის მესაკუთრის წვრილი გლეხური მეურნეობები, რომლებიც კერძო საკუთრებაში ფლობენ საშუალოდ 0,77 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, აწარმოებენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 85%-ს. თავისი შინაარსით ისინი ნატურალური და ნახევრად ნატურალური, არარენტაბელური მეურნეობებია; მეორე, კერძო და არენდით აღებული მიწის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მეურნეობები, რომლებიც საშუალოდ სარგებლობენ 4,9 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულით. ასეთი მეურნეობები 41 ათასამდეა და ისინიც ნატურალური და ნახევრად ნატურალური მეურნეობებია. მათი საქონლიანობის დონე 40%-მდეა და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ქვეყანაში შექმნილი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების მხოლოდ 8%-ს შეადგენს. ეს მეურნეობებიც პირობითად არარენტაბელურია; მესამე, იურიდიულ პირთა არენდით აღებულ მიწაზე შექმნილი შედარებით მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ასეთ მეურნეობათა რიცხვი დაახლოებით 5,5 ათასამდეა, მათი საქონლიანობის დონე კი 90%-ს აღემატება და აწარმოებენ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების მხოლოდ 7%-მდე.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ის მეურნეობები, რომლებიც დღეს სოფლადაა, არც ერთი ნორმალურად არ ვითარდება, რადგან საქართველოს სოფლის მეურნეობა ვერ გადაიქცა აგრობიზნესად, ეს ტერმინი შემოღებულ იქმნა აშშ-ის თანამედროვე ეკონომიკაში სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის ფართომასშტაბიანი ხასიათის ასახვის მიზნით. ტერმინი „აგრობიზნესი“ მოიცავს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ბიზნესის მთელ კომპლექსს, დაწყებული ინდივიდუალური ფერმებიდან და დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების მწარმოებელი ქარხნებით. ეს მოიცავს ფერმერთა კოოპერატივებს, სოფლის ბანკებს, ფირმებს, რომლების აწარმოებენ მოწყობილობას ფერმერებისათვის, ბოსტნეულის მაღაზიების ქსელს და მრავალ სხვა დაწესებულებას.

შექმნილ სიტუაციაში ფერმერულ მეურნეობებში არსებული პრობლემების მოხსნა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამსხვილებაში არ უნდა ვეძიოთ. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სოფლად დასაქმებულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 2%, ჩვენთან, შესაბამისად - 51%. რიგ სოფლებში, ზოგიერთ პირობებზე ხელში ჩაუვარდა პრივატიზებული მიწებისა და საძოვრების დიდი ფართობები. ისინი სოფლის მოსახლეობისაგან ფულს ითხოვენ

სადოვარზე პირუტყვის ძოვებისათვის. მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწის გარეშე დარჩა. სოფელი იცლება, ასეთი პოლიტიკა ამ ეტაპზე ხელს არ უწყობს მოსახლეობის სოფლად დამაგრებას. ქვეყნის მცირემიწიან რეგიონებში, რიგი ქვეყნების მსგავსად, აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მცირე მეურნეობების შენარჩუნება და სოფლის მოსახლეობისაგან დაცლის პროცესის შეჩერება.

სახელმწიფომ უნდა გაატაროს მკაცრი პოლიტიკა მოსახლეობის დასაქმებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნების მიმართულებით. მესაკუთრე თვითონ უნდა ამუშავებდეს მიწას, რომელიც მას ეკუთვნის ან იჯარით აქვს აღებული. გლეხი ან მისი ოჯახის წევრი მუდმივად უნდა იყოს დასაქმებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებით; მიწის საერთო ფართობი, შექენით ან იჯარით აღების შემდგომ, არ უნდა იყოს 0,5 ჰა-ზე ნაკლები ან 2 ჰა-ზე მეტი. გლეხს უნდა ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია, ფინანსური და სხვა შესაძლებლობანი წარმოების ეფექტიანი გაძღოლისათვის მეურნეობის მთელ ფართობზე და იგი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს ამ მეურნეობაში.

ამჟამად სოფლად მსხვილი ფერმერული სასაქონლო მეურნეობის განვითარებისათვის ყველაზე მისაღებ ფორმად უნდა მივიჩნიოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ფორმირება. მართალია, ის ჰგავს ყოფილ კოლმეურნეობას, მაგრამ არ შეიძლება ამ ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის გაიგივება ყოფილ კოლმეურნეობასთან, რადგანაც, როგორც ცნობილია, ყოფილი კოლმეურნეოები სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეწეოდნენ სახელმწიფო საკუთრების მიწაზე, ხოლო ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს კერძო საკუთრებაში არსებულ ან არენდით აღებულ მიწაზე. ამასთან, ყოფილი კოლმეურნეობის ქონება ირიცხებოდა განუყოფელ ფონდში, რის გამოც კოლმეურნეობის წევრს კოლმეურნეობიდან გასვლისას საერთო ქონებიდან არაფრის გატანა არ შეეძლო, ხოლო ამ ახალი ტიპის საწარმოში – სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივში, იქნება საპაიო ფონდი და მის წევრებს კოოპერატივიდან გასვლისას შეუძლიათ მიიღონ ფული ან ქონება შეტანილი პაის ანგარიშში. თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი ისეთი იურიდიული პირი, ანუ ორგანიზაციაა, რომელსაც აქვს თავისი ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, პასუხს აგებს ამ ქონებით თავის ვალდებულებებზე, სასამართლოში შეუძლია იყოს მოპასუხეც და სარჩელის შემტანიც. იგი კომერციული ორგანიზაციაა და ორიენტირებულია მოგების მიღებაზე.

ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფუძნებლად, მიწის მესაკუთრეთა თანამონაწილეობასთან ერთად,

უცხოური კრედიტები (შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით) და გრანტები უნდა იქნეს გამოყენებული. ამ მიმართულებით, როგორც ცნობილია, ქვეყანაში არსებობს დადებითი გამოცდილება მსოფლიო ბანკის პროექტით სოფლად საკრედიტო კავშირების დაარსების სახით. იმავე პრინციპებზე აგებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით) შესაძლოა, მომავალში, სოფლად მეურნეობრიობის ის ფორმა გახდეს, რომელიც, საბოლოო ჯამში, გააერთიანებს ამჟამად არსებულ საკრედიტო კავშირებს და მაღალ საფეხურზე აიყვანს ამ მოძრაობას სოფლად.

აღნიშნული წესით დაფუძნებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშუალება ექნებათ, შეიძინონ მიწის სავარგულების დასამუშავებელი მანქანა-იარაღები, საჭირო ინვენტარი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები (მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები და ა.შ.), შექმნან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკუთარი ქსელი (დიდ ქალაქებში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებსა და დასახლებულ პუნქტებში) და, საბოლოო ჯამში, მიიღწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიან დონეს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ამერიკის ეკონომიკა.** ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2005.
2. **ქავთარაძე თ.** აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. თბილისი, „მეცნიერება“, 2003.
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობა. თბილისი, 2009.

Tengiz Kavtaradze

Tsitsino Tetrauli

THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF FARMS IN GEORGIA

SUMMARY

The article analyses the stages of reform realization in rural Georgia. Are exposed shortages; is stated that rural farms do not develop normally because agriculture.

In the created circumstances the solution of problems existing in farms we should find in the formation of agricultural producer`s cooperatives foreign credits

(comparatively low percent) and grants together with the cooperation of land owners should be used to form agricultural cooperatives.

ქამხაძე თამარი

საქართველოს რკინიგზის განვითარების მიმართულებები

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ისეთია, რომ იგი უმოკლესი ვხით აკავშირებს ევროპის ინდუსტრიულ ეკონომიკას შუა აზიის მდიდარ ბუნებრივ სიმდიდრეებთან. ეკონომიკური უსაფრთხოებაც ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ინდუსტრიულ სახელმწიფოებისათვის, ამიტომ ისინი შუა აზიის რესურსებთან დაკავშირებას რამდენიმე ალტერნატიული გზის გამოყენებით ცდილობენ, ჯერჯერობით ევროპისათვის აზიიდან ტვირთების მიწოდება ძირითადად რუსეთის გავლით ხორციელდება, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს, თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მონოპოლისტური მდგომარეობა. მაგალითისათვის აღსანიშნავია, რომ თურქმენეთის გაზი ევროპას მიეწოდება 240-250 აშშ დოლარად ათასი კუბური მეტრი, მაშინ, როცა თვითონ რუსეთი აღნიშნულ გაზში თურქმენეთს მხოლოდ 80 აშშ დოლარს უხდის. რამდენადაც შუა აზიის გაზის ევროპისათვის მიწოდება მხოლოდ რუსეთის გავლითაა შესაძლებელი, ბუნებრივია, ევროპა დაინტერესებულია გაზსადენების ალტერნატიული მიმართულებებით, მათ შორის ძირითადი საქართველოს სატრანზიტო დერეფანია.

მსგავსი მდგომარეობაა ნავთობის მიწოდების მხრივაც. საერთოდ, ტექნიკური განვითარება და გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი არნახულად ზრდის ტვირთების ტრანსპორტირებას. საქართველო ამ პროცესში შესაბამისად უნდა გამოიყურებოდეს და არ შეიძლება მოვლენებს ჩამოვრჩეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის მნიშვნელობა შესუსტდება.

საქართველოს სატრანზიტო დერეფანი უნდა განვითარდეს კომპლექსურად, ანუ საჭიროა არა მარტო გაზი და ნავთობსადენები, არამედ სხვა სატრანსპორტო საშუალებების განვითარებაც. საქართველო, სხვა სიკეთესთან ერთად, საზღვაო ქვეყანაცაა, ამიტომ აღმოსავლეთ-დასავლეთ მიმართულებაზე დიდია რკინიგზის როლი და საზღვაო პორტების სიმძლავრეების ზრდაც, საქართველოს რკინიგზა 1872 წლიდან ფუნქციონირებს და სალიანდაგო მეურნეობის უმეტესი ნაწილი მოძველებულია. იგი არ იძლევა საშუალებას ჩქაროსნული სამგზავრო მატარებლების სამოძრაოდ. ამასთან, რკინიგზის შემადგენლობების გასატარებელი წონაც არასაკმარისია.

საქართველოს რკინიგზის სატვირთო მატარებლების მომგებიანობა იმის საშუალებას იძლევა, რომ ინვესტიციები ისეთ პროექტებში განხორციელდეს, როგორც არის სამგზავრო მატარებლების შექმნა და ახალი სამგზავრო სადგურების მშენებლობა ისე, რომ დანახარჯები მომსახურების ფასზე არ აისახოს. სწორედ ამ მიმართულებით რამდენიმე პროექტის განხორციელება წარმატებით დასრულდა. მაგალითისათვის, ახალი სადგურები ბათუმში, ქობულეთში, ქუთაისში, ფოთში, თბილისის აეროპორტში. ეს პროექტები დაფინანსებულია მთლიანად საქართველოს რკინიგზის თანხებით, სახელმწიფო და მუნიციპალური ხარჯებით დაფინანსების გარეშე.

შპს “საქართველოს რკინიგზის” წარმატებულად განხორციელებული საქმიანობებიდან აღსანიშნავია სოფელ ძეგვში, მდინარე მტკვარზე ახალი სარკინიგზო ხიდის გახსნა. ძეგვის ხიდი ერთ-ერთია იმ ხიდთაგან, რომელზეც ბათუმი-თბილისის ჩქაროსნული სარკინიგზო მონაკვეთი გაივლის. ხიდის მშენებლობა რკინიგზის მოდერნიზაციის ფარგლებში ჩატარდა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადნახევარს გრძელდებოდა, სამუშაოებს კი სააქციო საზოგადოება “ხიდმშენი” აწარმოებდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხიდის მშენებლობის პროცესში 30-მდე ადგილობრივი მუშა იყო დასაქმებული. აღნიშნული ხიდის აშენებით უსაფრთხოების პარამეტრები გაიზარდა და ასევე შესაძლებელი გახდა სიჩქარეების გაზრდაც. ამ პროექტში უმთავრეს რგოლს წარმოადგენს ბათუმიდან თბილისში მგზავრობის ხანგრძლივობის 3 საათამდე შემცირება, რაც ერთ-ერთი ნაბიჯია იმ დიდი პროექტებიდან, რომელსაც შპს “საქართველოს რკინიგზის” მოდერნიზაცია ჰქვია.

რკინიგზის პროექტებიდან ყველაზე მნიშვნელოვან და გრძელვადიან პროექტად არის მიჩნეული შემოვლითი ხაზის მშენებლობა ჩვენს დედაქალაქში. უკვე კარგა ხანია შემოვლითი რკინიგზის მშენებლობისათვის გამოცხადებულია ტენდერი, რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა ქართულ-ჩინური კონსორციუმი, რომლის წარმომადგენელიც საქართველოში არის ს/ს “ხიდმშენი”. ამ პროექტში უმთავრეს პრიორიტეტად ითვლება ქართული მუშახელის დასაქმება. ეს დასტურდება შპს “საქართველოს რკინიგზის” ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით. ამ ინფორმაციის თანახმად, უახლოეს მომავალში გათვალისწინებულია კონსორციუმთან ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ხელმოწერა.

თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის მიზანია ახალი სარკინიგზო ტრასის საშუალებით თბილისის ცენტრალური ნაწილის შემოვლა თბილისის ზღვის ჩრდილოეთით. ეს პროექტი ხელს შეუწყობს ქალაქის განტვირთვას და განვითარებას.

გარდა აღნიშნული პროექტებისა, შპს “საქართველოს რკინიგზას” დაგეგმილი აქვს კიდევ ერთი სარკინიგზო ხიდის გახსნა

აგარაში. მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებას, კერძოდ ქართველი ადგილობრივი მუშების დასაქმებას, ასევე გრძელვადიან, ინვესტიციების ჩადებას ქართულ ეკონომიკაში.

საჭურადღებოა ასევე ის გარემოებაც, რომ შპს “საქართველოს რკინიგზას” მიენიჭა საკრედიტო რეიტინგი სტაბილური “B+”, რაც პირველი შემთხვევაა საქართველოს რკინიგზის ისტორიაში. ჩვენს ქვეყანაში რკინიგზა დღესდღეობით ერთადერთი არასაბანკო კომპანიაა, რომელსაც გააჩნია საკრედიტო რეიტინგი ისეთი მაღალი რეპუტაციის მქონე სააგენტოსგან, როგორცაა Fitchratings.

მიუხედავად დაგეგმილი და უკვე შესრულებული პროექტებისა, საქართველოს რკინიგზის მუშაობის პირობებში წარმოქმნილია პრობლემები, კერძოდ, რკინიგზის წარმატებული ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანეს პირობად გვევლინება რკინიგზის შიდა მენეჯმენტის სრულყოფა, ვინაიდან მისი მართვის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია რთული ორგანიზაციული შემადგენლობა. სწორედ ამ სირთულეს განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზნები და ფუნქციები, რაც კავშირშია ასევე გარე გარემოსთან.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ხელმძღვანელობამ შპს “საქართველოს რკინიგზაში” განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები მართვის სტრუქტურის გაუმჯობესების, გამარტივების და დახვეწის საქმეში. ასევე მნიშვნელოვნადაა შემცირებული წლიური საექსპლუატაციო ხარჯები, დაინერგა ახალი ტექნიკა და ინტენსიური ტექნოლოგია, მოხდა ძირითადი სამსახურების საქმიანობის მეცნიერულ-ტექნიკური ღონის ამადღება, ასევე, დარგის რეგულირება და შესაბამისად შემოსავლებისა და მოგების ზრდა.

საქართველოს რკინიგზის მესაკუთრე სახელმწიფოა, ამიტომ რკინიგზის ტექნიკურ სრულყოფაში სახელმწიფომ უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს. ამასთან ტექნიკური განვითარება ახერხებიაჯანის რკინიგზასთან სინქრონიზაციით უნდა განხორციელდეს.

პერსპექტივაში თუ გაიხსნება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი და მოხდება ტვირთბრუნვა ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაზე, დღის წესრიგში მთელი სიმწვავეით დადგება საქართველოს რკინიგზის თურქეთის რკინიგზასთან დაკავშირების პრობლემა, რასაც, ერთი მხრივ, საჭიროა, რომ საქართველო მომზადებული შეხვდეს, მეორე მხრივ კი – რკინიგზის განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დასაქმების საკითხის გადაწყვეტას და გაზრდის შემოსავლებს.

Tamar Kamkhadze

DIRECTIONS FOR DEVELOPMENT OF GEORGIAN RAILWAY

SUMMARY

In Europe-Asia transport corridor passing through Georgia the leading role is assigned to the railway. It must develop synchronically with maritime infrastructure, and in this process is significant both technical improvement, and development of internal management. Government must be involved to a far greater degree in the technical development of the railway.

ქეთევან ქველაძე

ტურისტული რესურსების მნიშვნელობა ტურიზმის ბანკოთარებისათვის

ნებისმიერი დარგის სრულყოფის აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს ბუნებრივი რესურსები, რომელიც საჭიროებს დაცვას, რაციონალურ და გონივრულ გამოყენებას, რათა მათ თვითაღდგენის და განახლების საშუალება მიეცეს. ტურისტული რესურსების არსებობა წარმოადგენს ტურისტული ბიზნესის წარმატების საფუძველს. ტურისტული რესურსი მოიცავს ისტორიულკულტურულ, ბუნებრივ-კლიმატურ, შემეცნებით, არქეოლოგიური, რეკრეაციულ, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, არქეოლოგიურ, საკურორტო, სამეცნიერო, სანახაობით და სხვა ობიექტებს, აგრეთვე მოვლენებს, რომელთაც, მოგზაურობის დროს ტურისტთა ინტერესების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია. იქ, სადაც ტურისტული რესურსი არ არის ტურიზმი ვერ იარსებებს.

ყოველი ტურისტული რეგიონი, ქვეყანა ისწრაფვის, რაციონალურად გამოიყენოს არსებული ტურისტული რესურსები ეკონომიკური მოგებისა და შემოსავლების მიღების მიზნით. ტურისტული რესურსები თავისი მნიშვნელობით სხვადასხვაა. იგი შეიძლება იყოს ბუნებრივი, ადამიანის ხელით შექმნილი, ისტორიულ-კულტურული, რეკრეაციული და ა.შ. ეროვნულ ქონებას წარმოადგენს ბუნებრივი და ადამიანის ხელით შექმნილი რესურსები. განსაკუთრებული მნიშვნელობის ტურისტულ რესურსებს შეიძლება მსოფლიო მნიშვნელობაც ჰქონდეს. ასეთი ჩამონათვალი შექმნილია იუნესკოს მიერ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობიდან იუნესკოს სიაში მოხვდა ისეთი ძეგლები, როგორცაა: 1. მცხეთის ისტორიული ძეგლები; 2. ბაგრატიის ტაძარი; 3. გელათის მონასტერი; 4. ზემო სავანეთი (სოფელი ჩაუაში), უშგულის არქიტექტორული ანსამბლი. მსოფლიო მნიშვნელობის ტურისტული რესურსების შენარჩუნებისათვის საჭირო ხარჯებს გაერო გამოყოფს, ხოლო კულტურის ყველა ძეგლს და ბუნებრივ ობიექტებს სახელმწიფო იცავს.

ტურისტული რესურსების ჯგუფს განეკუთვნება უნიკალური ბუნებრივი მოვლენა, კლიმატური პირობები, ზღვის და მთის ჰავა, ბუნებრივი რესურსები, კურორტები, რელიგიური ძეგლები, ეროვნული და თემატური პარკები, უნიკალური წყლები, უნიკალური საკულტო ნაგებობები, პირამიდები, მავზოლეუმები, ქანდაკებები, უნიკალური ტურისტული ტერიტორიები.

ტურისტული ტერიტორიები განსაკუთრებული ტურისტული რესურსების კონცენტრაციის გეოგრაფიულად განსაზღვრული ადგილია, ანუ ტურისტული ინტერესების ობიექტების თავმოყრის ადგილი, რომლებიც განსაკუთრებით გამოიყოფიან ტურისტულ რეგიონებში და საპატიო ადგილი უკავიათ შესაბამისი ქვეყნის კულტურისა და ეკონომიკის განვითარებაში.

ტურისტულ ტერიტორიად მოიაზრება ადგილი, როგორც ხმელეთზე, ისე მიწის ქვეშ (მაგ., მღვიმეები, მადაროები და სხვა). ტურისტული რესურსების მოხმარება შეუძლებელია ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ინდუსტრიის გარეშე [1].

ტურიზმი და ტურისტული ინდუსტრია უნდა ემყარებოდეს ტურისტული რესურსების მიზნობრივ, რაციონალურ და გონივრულ მოხმარებას. ტურისტული რესურსების ეფექტური გამოყენებისა და ტურისტების მისაღებად აუცილებელია ქვეყნის ან რეგიონის ცხოვრების წესის, ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ტურისტული ინტერესის ობიექტების ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობის საგულდაგულოდ შესწავლა.

ტერიტორიის რესურსების ტურისტული პოტენციალის შეფასებისას მნიშვნელოვანია გეოგრაფიული, ბუნებრივ-კლიმატური, რეკრეაციული და სხვა თანამდევი ფაქტორების შეფასება. ტურისტული ბაზრის სწორად მართვისათვის საჭიროა დეფიციტური რესურსების, მოცემულ რესურსებზე საჭიროებისა და მოთხოვნების წონასწორობაში მოყვანის ხერხების ცოდნა.

კაცობრიობამ თავისი განვითარების გზაზე ნათლად დაინახა, რომ ბუნებრივი რესურსები, სამწუხაროდ ამოწურვადია. ყოველივე ეს უდიდესი გლობალური პრობლემების წინაშე აყენებს კაცობრიობას, ხოლო ადამიანის მოთხოვნა მათზე მუდმივად აჭარბებს არსებულ რესურსებს, გამომდინარე განვითარების ტემპებიდან [2].

ეკონომისტები, ჩვეულებრივ, რესურსებს ყოფენ “ხელმისაწვდომ” და დეფიციტურ რესურსებად. “ხელმისაწვდომ” ტურისტულ რესურსებში იგულისხმება ბუნებრივი რესურსები, რომელთა მოპოვება თავისუფლად შეიძლება. ისინი შედარებით ადვილად განთავსებადად მიეწოდება მომხმარებელს. დეფიციტური რესურსების მარაგი კი მომხმარებლის მოთხოვნასთან შედარებით შეზღუდულია.

კაცობრიობის ეკონომიკის ერთ-ერთი ამოცანა გახდა ის, რომ განვითარების პროცესში გაითვალისწინოს რესურსების დეფიციტური,

ამოწურვადი ბუნება, მოახდინოს ამ პრობლემის სწორი ანალიზი და კონკრეტულ სფეროში შინამეუნეობებისა და ფორმების ქცევა-მოქმედებები ახსნას.

ტურიზმის ეკონომიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბუნებრივი ტურისტული რესურსების, დეფიციტური ტურისტული რესურსების, სამუშაო ძალის, კაპიტალის, გარემოს გამოყენება ტურისტული პროდუქტის საწარმოებლად და ამ პროდუქტის განაწილება სხვადასხვა მომხმარებელს შორის.

ბუნებრივი რესურსები, ხელმისაწვდომი ტურისტული რესურსები, დეფიციტურ რესურსებთან ერთად, ბუნების ესთეტიკური სილამაზის ჩათვლით, ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც ტურისტები მოიხმარენ და რომელსაც მიმწოდებლები აწარმოებენ [1].

ტურიზმის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს. ისინი წარმოადგენენ ბუნებრივი და ადმიანის ხელით შექმნილი ობიექტების ერთობლიობას. განსაზღვრავენ რეგიონში ტურიზმის განვითარების სპეციფიკას და გვევლინებიან შესაბამისი პროდუქტის წარმოების ბაზისად. ტერიტორიის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალი ხელს უწყობს რეგიონში ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპექტების ხელშეწყობას და განვითარებას.

ტურიზმის განვითარების ძირითადი ამოსავალი გზა უნდა იყოს ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ვინაიდან, ტურიზმსა და გარემო პირობებს შორის არსებული კავშირიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარება იწვევს რესურსების მიზანშეუწონელ ხარჯვას და განადგურებას, რაც განპირობებულია დანიშნულების პუნქტებში მნახველთა მზარდი რაოდენობისა და ტურიზმის უკონტროლო, დაუგეგმავი, მოგებაზე ორიენტირებული ფორმების განვითარების ერთობლივი მოქმედებით.

თანამედროვე ტურიზმის ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების კონცეფციაზე გადასვლა გვიჩვენებს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დიდ მნიშვნელობას ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული განვითარების საქმეში და ხელს უწყობს მის დაცვას [2].

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის რეკომენდაციების მიხედვით, ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს:

– რესურსების მდგრად მოხმარებას (რამდენადაც ბუნებრივი, სოციალური და კულტურული რესურსების დაცვა და მდგრადი მოხმარება ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობის საწინდარია);

– ტურისტულ ტერიტორიებზე დატვირთვისა და ნარჩენების შემცირებას (რადგან რესურსების მოხმარების რეგულირება და ნარჩენების შემცირება ხელს შეუწყობს ტურისტული პროდუქტის

ხარისხის ზრდას და, ამასთანავე, ამცირებს ბუნების კონსერვაციის ხარჯებს);

- ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას (რადგანაც ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება ტურისტული საქმიანობის წარმატებისა და მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორია);

- ტურიზმის განვითარების ინტეგრირება გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს ტურისტული საქმიანობის წარმატებას;

- ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერას (ტურიზმის მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას, ითვალისწინებს გარემოზე მიყენებული შესაძლო ზიანის კომპენსაციას, თავის მხრივ იცავს და ამცირებს როგორც კულტურის ძეგლებზე, ასევე ველურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას) [4].

საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გამოირჩევა ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებით, რის გამოც დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. საქართველოს ტურისტულ პოტენციალს განსაზღვრავს: ბუნებრივ-კლიმატური, ტურისტული ტერიტორიული რესურსები, უნიკალური ლანდშაფტი, მინერალურ-სამკურნალო წყლები, რეკრეაციული რესურსები, ისტორიული ძეგლები და სხვა. ბუნებრივ-კლიმატური და ტურისტულ ტერიტორიული რესურსი მოიცავს: 1. შავი ზღვის სანაპირო ზოლს. 2. დიდი და მცირე კავკასიონის მთაგორხილებს. 3. კურორტებს, ქვეყანაში 102 კურორტი და კარგი პერსპექტივის მქონე 182 საკურორტო ადგილია. საქართველოში აღრიცხული და შესწავლილია 2000-ზე მეტი მინერალურ-სამკურნალო წყალი. საქართველო, თავისი უნიკალური პირველქმნილი ლანდშაფტებით 7 ეროვნული პარკის შექმნის საშუალებას იძლევა, რომელთაგან უკვე შექმნილია 1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი (მოიცავს 68 000 ჰექტარზე მეტს). 2. მთავრდება კოლხეთის ეროვნული პარკის სამუშაოები (ფართობი 26.7 ათასი ჰა). 3. გეგმაშია ცენტრალური კავკასიონის, 4. აღმოსავლეთ კავკასიონის, 5. ივერის ზეგნის, 6. ერუშეთის და 7. აჭარა-იმერეთის ეროვნული პარკები. ამ ზონაში ძირითადად მოქცეულია ტურისტული რესურსის უნიკალური სექტორი (ცხოველთა და მცენარეთა საოცარი სამყაროთი) და დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების წარმოება. [2]

გარდა უნიკალური ბუნებისა და ლანდშაფტებისა, საქართველო უნიკალურია თავისი 12 ათასი ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 5 ათას, სახელმწიფო იცავს. უნიკალურია ხუროთმოძღვრული ძეგლები, ანტიკური ხანის ნაქალაქარები, მუზეუმები (150 მუზეუმი) [3].

საქართველოს მრავალფეროვანი ტურისტული რესურსები საუკეთესო საშუალებას იძლევა, ქვეყანაში განვითარდეს კულტურული ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სათავგადასავლიო ტურიზმი, სამთო ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და სხვა. თითოეული მიმართულება საუკეთესოდ განვითარდება რეგიონებში, სადაც ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ტურისტული რესურსი, რომლებიც სათანადო მოვლა-პატრონობას საჭიროებს, მათი განადგურება რომ შეჩერდეს.

საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია ტურისტული რესურსების სწორი რეკლამა და მისი მრავალფეროვნების წარდგინება მსოფლიოს ტურისტულ ბაზარზე, რაც ხელშემწყობი ფაქტორი გახდება ქვეყანაში ტურისტთა და ინვესტორთა მოსაზიდად. ამჟამად ის ავრცელებულია ერთგვაროვანი, დამკვიდრებული სახით – ზამთრის, ზაფხულის და სამკურნალო ტურისტული პროდუქტით. აუცილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის და ინდუსტრიის განვითარება, რადგან იგი ტურისტული რესურსების გამოყენების პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ეტაპია. მისი დაბალი დონე განაპირობებს ქვეყნის შიგნით ცუდი გზების არსებობას და ტურისტების დანიშნულების პუნქტამდე მისვლის გაძნელებას, ქვეყნის შიდა საჰაერო მარშრუტების არარსებობას, ტურისტთა საინფორმაციო ცენტრების ნაკლებობას და ა.შ. ყოველივე ამის პარალელურად დარგი განიცდის მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობას. ნაკლები ყურადღება ექცევა ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ინვესტორთა უფლებების დაცვას. აუცილებელია, მინიმუმამდე შემცირდეს ტურისტული პროდუქტის შეუსაბამობა საერთაშორისო სტანდარტებთან. უნდა დაინერგოს მარკეტინგული კვლევები. სწორად უნდა შეფასდეს ტურისტული რესურსი. გამოირკვეს ტურების სახეებზე მოთხოვნა.

ტურიზმის მართვის სწორი პოლიტიკის და დაგეგმვის შემთხვევაში, ტურიზმს აქვს უნიკალური საშუალება, გაამართლოს და თვითონ გაუკეთოს სუბსიდირება ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვასა და შენარჩუნებას. აქ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს დაინტერესებამ. მომავალი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. ხელმისაწვდომი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა უნდა გახდეს უცხოელი ინვესტორების დაინტერესების საფუძველი.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **მეტრეველი მ.** ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები. თბილისი, 2008.

2. ქარქაშაძე ნ., გიორგაძე ჰ., გუგავა ე., ჩიხრაძე ნ., გეგენავა ლ.
ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა. თბილისი, 2003.
3. შუბლაძე ე. საქართველო და ტურიზმი. თბილისი, 2004.
4. http://ka.wikibooks.org/wiki/kulturuli_turizmi/

Kveladze Ketevan

THE SIGNIFICANCE OF TOURIST RESOURCES IN TOURISM DEVELOPMENT

SUMMARY

Georgia is famous for the variety and uniqueness of its tourist resources, making it possible to develop tourism in different directions such as: ecotourism, agrotourism, mountain tourism, wine tourism etc.

It is emphasized that tourism managing policy should be based on ecologically sustainable economic development. This shall provide the complex development of local economy in the country.

*ნუნუ ქისტაური
მედია მელაშვილი*

მომსახურების სფეროს განვითარების პრობლემატიკა თანამედროვე ეტაპზე

1. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მომსახურების სფეროს განვითარების ხარისხი და მისი სტრუქტურა გადაიქცა საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან მაჩვენებლად. საზოგადოების ევოლუციასთან, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან, ფიზიკური შრომის მაქსიმალურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციასთან ერთად, მომსახურების სფერო უფრო და უფრო ძლიერდება და ეკონომიკის წამყვანი პრიორიტეტული სექტორი ხდება. ამაზე მეტყველებს ის ციფრებიც, რომლებიც ასახავს თუ რა წილს იკავებს მომსახურების სფერო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში და ამით მტკიცდება, რომ სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო და ძალიან სწრაფად იკრებს ტემპებს სრულიად ახალი ეტაპი შრომის საერთაშორისო

დანაწილების პროცესში. განვითარებული ქვეყნების მშპ-ში მომსახურების სექტორის ხვედრითი წილი საშუალოდ შეადგენდა: 1950 წელს – 30.4%-ს, 1960 წელს – 37.2%-ს, 1973 წელს – 41.9%-ს, 2008 წელს – 63%-ს (განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია და დღეისათვის საშუალოდ 49%-ს შეადგენს). დღეს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში დასაქმებულთა ნახევარზე მეტი თავმოყრილია მომსახურების სფეროში. მაგალითად, 1980 წელს აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მომუშავეთა 3%, მრეწველობაში – 33%, მომსახურების სფეროში – 64%. 1999 წელს აშშ-ის ეკონომიკის მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რიცხვმა დასაქმებულთა მთელი რაოდენობის 78.8% შეადგინა, დღეისათვის კი იგი 85%-ზე მეტია. ეს ნიშნავს, რომ წინა ინდუსტრიული საზოგადოება შეცვალა ინდუსტრიულმა, ხოლო ეს უკანასკნელი – პოსტინდუსტრიულმა. საერთაშორისო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების 40%-ზე მეტი ინერგება მომსახურების სფეროს განვითარებაში, რაც არა მხოლოდ ამ სექტორის აქტუალობაზე მიუთითებს, არამედ მისი შემდგომი განვითარების უზარმაზარ პერსპექტივებზეც. ეს ყველაფერი მიუთითებს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულ გარდაქმნაზე. ამ გარდაქმნის მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ სპეციალისტები თანამედროვე ეკონომიკას მოიხსენიებენ, როგორც “მომსახურების ეკონომიკას”.

2. მომსახურების სექტორის სწრაფი განვითარების ტენდენციას განაპირობებს ფაქტორების მთელი კომპლექსი – მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლება, მოთხოვნათა საგრძნობი დივერსიფიკაცია და ა.შ. ამასთან, თუ ადრე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ემყარებოდა წარმოებაში რაც შეიძლება მეტი შრომითი, ფულადი, ენერგეტიკული, სანედლეულო რესურსების ჩაბმას, ახლა ეკონომიკური ზრდის წამყვანი ფაქტორი გახდა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის უახლეს მიღწევათა ფართო დანერგვა. მასალატევადი დარგების ადგილს სწრაფად იკაავებს მეცნიერებატევადი დარგები. ამან, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა თვით მომსახურების მიმართ – აუცილებელი გახდა სპეციალიზებული სერვისული ფირმების ჩამოყალიბება, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ყურდნობა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

3. მომსახურების სექტორში ერთიანდება მკვეთრად განსხვავებული დარგები, მაგრამ მათ გაერთიანებას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათში დასაქმებულ მუშაკთა შრომის სასარგებლო ეფექტი მომსახურების სახით გამოდის.

შრომის ნებისმიერი პროდუქტი, რომელიც გასაყიდად იქმნება, არის საქონელი. ამ ნიშნით, მომსახურებაც არის მეტად მრავალფეროვანი

საქონელი. მისი ძირითადი როლი, როგორც საქონლისა, არის მეიდველის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგრამ ფიზიკური საქონლისაგან მომსახურების, როგორც საქონლის, ძირითადი განსხვავება იმაშია (როგორც ამას ამ პრობლემათა თანამედროვე მკვლევარები აღნიშნავენ), რომ: ნებისმიერი მომსახურება – ეს არის პროცესი, რასაც ვერ ვიტყვით ფიზიკურ საქონელზე. მომსახურების განუყოფელ ნაწილს ყოველთვის წარმოადგენს ადამიანი, ანუ ნებისმიერი მომსახურების პროცესი ადამიანის უშუალო მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია; მომსახურების წარმოება, მომხმარებლამდე მიტანა და მოხმარება ერთდროულად ხდება.

4. მომსახურების უამრავი სახეობა არსებობს: მათ შეიძლება გააჩნდეთ საწარმოო ხასიათი ანდა აკმაყოფილებდნენ პირად მოთხოვნილებებს; შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ფორმით განივთვებიან ახლად შექმნილ პროდუქტში; არაკვალიფიციური შრომის შედეგი, ანდა პირიქით, მოითხოვდნენ კვალიფიკაციის მაღალ დონეს; მოითხოვდნენ უზარმაზარ კაპიტალდაბანდებებს, ანდა პირიქით, დაკმაყოფილდნენ მიზერული თანხებით და ა.შ. მაგრამ მომსახურების სახეობათა მრავალფეროვნებისდა მიუხედავად, ისინი შეიძლება გავაერთიანოთ რამდენიმე ჯგუფში:

- საწარმოო (ინჟინირინგი, ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი, ფრანჩაიზინგი, მოწყობილობათა რემონტი და სხვ.);

- გამანაწილებელი (ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა);

- პროფესიული (მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა, ბანკები, სადაზღვევო, საფინანსო, საკონსულტაციო, სარეკლამო და სხვა ფირმები);

- სამომხმარებლო (გასართობი, ყოფითი, კომუნალური, საოჯახო პრობლემების მოგვარება და სხვ.);

- საზოგადოებრივი (ტელევიზია, რადიო, გართობა, სპორტი, კულტურა).

ეს დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია. საზოგადოებაში მუდმივად ჩნდება მომსახურების ახალი სახეობები, როგორც საქმიანი, ისე საოჯახო ან პირადი მომსახურების სფეროში. მაგალითად, ჩვენთან არც ისე დიდი ხანია, რაც გაჩნდა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, საინფორმაციო, სარეკლამო მომსახურების სააგენტოები, საბუღალტრო ბალანსების და ანგარიშგების შედგენის “აუდიტორული მომსახურების ფირმები”. ასევე ახალია კერძო სკოლების და საბავშვო ბაღების ქსელი, გუვერნანტების ინსტიტუტი და სხვ. სახე იცვალა და მოწინავე პოზიციები დაიკავა მომსახურების ისეთმა ტრადიციულმა, ძველმა სახეებმა, როგორცაა: საბანკო საქმე, დაზღვევა, განათლება, რეკლამა, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, კონსულტაციები მართვის საკით-

ხებში, ტურიზმი და ა.შ. მათ დღეისდღეობით ეკონომიკის განვითარებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინეს.

5. მომსახურების, ანუ სერვისული საქმიანობის განვითარების მთავარ წყაროდ ტექნოლოგიური სიახლეები იქცა. ცნობილია, რომ დღეისათვის ყველაზე წარმატებულია ის დარგები, რომლებიც თვით ინფორმაციით ვაჭრობენ და ბაზარს მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიებით წარმოებულ მომსახურებას სთავაზობენ. ამჟამად არსებობს ელექტრონული ინფორმაციის უზარმაზარი ბაზარი, რომლის შექმნა განაპირობა საინფორმაციო მომსახურებაზე მოთხოვნის გიგანტურმა ზრდამ. ამან, თავის მხრივ, მოითხოვა ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობის მოცულობის და, შესაბამისად, ამ დარგში დასაქმებულთა ე.წ. “თეთრსაყელიანთა” რიცხვის ზრდა. უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მომსახურების სფეროს წილი მოხმარების სტრუქტურაში. მაგალითად, დღეისათვის აშშ-ში იგი შეადგენს საშუალოდ 35%-ს, ინგლისში – 39%-ს, შვედეთში – 42%-ს, იაპონიაში – 55.1%-ს და ა.შ. ამ მაჩვენებლით მომსახურების სფერომ საგრძნობლად გაუსწრო როგორც აგრარულ, ისე ინდუსტრიულ სექტორებს.

6. მთელ მსოფლიოში, ასევე ჩვენთანაც, ადგილი აქვს მომსახურების სფეროს ე.წ. დივერსიფიკაციის ტენდენციას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბევრი ადრე ცალკე არსებული მომსახურების სახეები ერთიანდება ერთი კომპანიის ფარგლებში. ისინი მომხმარებელს სთავაზობენ მომსახურების მთელ კომპლექსს და ამით იმაღლებენ რა კონკურენტუნარიანობის დონეს, ასუსტებენ რისკის შესაძლებლობას. მაგალითად, საბანკო და საბირჟო მომსახურება ერთიანდება ფინანსური მომსახურების სახით; ანდა სატრანსპორტო გადაზიდვების მომსახურებას კომპლექსურად თან ერთვის სიცოცხლის, ტვირთების დაზღვევა, საფოსტო, ტურისტული მომსახურება და ა.შ. დღეს მომსახურების სფეროს დარგების შინაგანი სტრუქტურის დივერსიფიკაციაზე მეტყველებს ის, რომ სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მომსახურების ისეთი სახეები, როგორიცაა: ინჟინირინგი, ლიზინგი, საინფორმაციო მომსახურება; იქმნება მისი ახალი სახეები გარემოს დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი კვების დარგში (მაგალითად, სწრაფი კვების ობიექტები, ჩვილ ბავშვთა რესტორნები და ა.შ.); ეკონომიკურ ურთიერთობებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მომსახურების ისეთი ახალი სახეები, როგორიცაა: “ნოუ-ჰაუ”, სალიცენზიო მომსახურება, “ფრანჩაიზინგი”, ტურისტული, სადაზღვევო მომსახურება და ა.შ.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები მოიცვა ე.წ. “სოფტიზაციის” პროცესმა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მიმდინარეობს არამატერიალური რესურსების – საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის, შრომითი რესურსების პროფესიული დონის, წარმოებითი

და მმართველობითი გამოცდილების, მშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და ა.შ. – საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ მთავარ რესურსად გარდაქმნის პროცესი. საგრძნობლად იზრდება დანახარჯები კაპიტალზე, სტრუქტურაში მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, ე.ი. მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში ადგილი აქვს არამატერიალური რესურსების როლის ამაღლებას.

ბოლო წლების მონაცემებით, მოწინავე ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე (სკსსს) ხარჯების წილი მაგ., იაპონიაში შეადგენს 2.9%-ს; აშშ-ში – 2.8%-ს; გერმანიაში – 2.7%-ს; საფრანგეთში – 2.4%-ს. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნების პოზიციები სწორედ აღნიშნული მონაცემის სიდიდით განისაზღვრება და მისი ცვლილების შესაბამისად იცვლება.

ასევე ადგილი აქვს და წარმატებით ხორციელდება ე.წ. “ექსტერნალიზაცია”. ეს არის ფირმის მიერ საკუთარი საჭიროებისათვის წარმოებული მომსახურების გარკვეული ნაწილის სხვა კომპანიისათვის მიყიდვა. ეს პირველ რიგში ეხება ფირმის უშიშროებასა და მის მიერ მყარი საბაზრო მდგომარეობის განმტკიცებასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებულ მომსახურებას და რეკომენდაციებს, იურიდიულ კონსულტაციებს და სხვა. ეს, როგორც წესი, ფირმის შემაღენლობაში ფილიალებისა და ქვეგანყოფილებების შექმნის გზით ხორციელდება, რომლებიც ზოგჯერ დამოუკიდებელ ფირმებადაც გამოიყოფიან (ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ ინგლისის 6 ამგვარი წამყვანი ფირმა, რომლებიც ადრე ტრანსეროვნული კორპორაციის ფილიალებს წარმოადგენდნენ).

7. გვინდა აღვნიშნოთ ეკონომიკის და კერძოდ, მომსახურების სექტორის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიც არის მეცნიერება, რომლის განვითარებაც, მთელი ეკონომიკის განუხრელი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა. მეცნიერების განვითარება ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტკომუნისტურ პერიოდში ქართული მეცნიერება სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. კატასტროფულადაა შემცირებული მოთხოვნა მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებზე, მაღალკვალიფიციურ შრომაზე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო დონეს. ბოლო წლებში მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობა 1.5-ჯერ, ხოლო სამეცნიერო დაწესებულებათა რაოდენობა 20%-ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, არსებული მდგომარეობის გამოსწორების შანსი ჯერ კიდევ არსებობს. ამ მხრივ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა და აქ ჯერ კიდევაა შენარჩუნებული მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი. საქართველოში მეცნიერება კვლავაც აგრძელებს განვითარებას. დღეს ჩვენს ქვეყანას, განსხვავებით ზოგიერთი ე.წ. “ახალინდუსტრიული” ქვეყნისაგან (ჩინეთი,

ჰონ-კონგი, სინგაპური, ტაივანი), სადაც მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ჩამოყალიბება, ესაჭიროება აღნიშნულის არა შექმნა, არამედ არსებულის განვითარება. ჩვენს ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი მყარი საფუძველია არა მარტო მეცნიერების, როგორც მომსახურების წამყვანი სექტორის განვითარებისათვის, არამედ საქართველოს ეკონომიკის ფესზე დადგომის, გაძლიერებისა და განუხრელი წინსვლისათვის უახლოეს მომავალში. ეს ყოველივე სახელმწიფოს პრეროგატივაა.

*Nunu Kistauri
Medea Melashvili*

THE PROBLEMS OF SERVICE SPHERE DEVELOPMENT ON CURRENT STAGE

SUMMARY

One of the main tendencies of our time is rapid development of service sphere becoming stronger and a leading supreme sector. This is stipulated by a whole complex of factors: acceleration of scientific-technical progress, sharp increase of standard of living etc. Material-intensive sectors are occupied by science-intensive ones. At present the most successful sectors are those sectors which trade in information; this was caused by great increase of the demand on information service.

Today is taking place the service sphere diversification, “softization”, “externalization”.

The most significant condition for service sphere, as well as of economic progress, as a whole is the development of science. Hence, principle attention should be paid to the eradication of problems existing in this sector.

To our mind and generally, the choice of economic policy and justified priorities is the prerogative of state only.

*თინა ჩხეიძე
ქეთევან ქველაძე*

**მიწის რეზურსის ოპტიმალურად გამოყენება, როგორც სიღარიბის
დაძლევის საწინდარი**

სიღარიბის პრობლემა მსოფლიოს ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ეს მტკივნეული მოვლენა განსაკუთრებით ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა ვერ იკმაყოფილებს საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილებას, რის გამოც მსოფლიოში მილიონობით ადამიანი

შიმშილობს. სიღარიბე – შიმშილი – უმუშევრობა ეს ისეთი ჯაჭვის რგოლებია, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

საერთაშორისო კრიტერიუმებით, ღარიბად ჩაითვლება ადამიანი (ოჯახი), რომელიც თავისი შემოსავლებით ვერ იკმაყოფილებს ცხოვრებისათვის საჭირო ყველა პირობა. სიღარიბის ზღვარს უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი (ოჯახი) თავისი შემოსავლით მხოლოდ საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფს, ხოლო ადამიანი (ოჯახი), რომელიც ვერც საარსებო მინიმუმს ვერ უზრუნველყოფს, ითვლება სიღარიბის დონის მიღმა (ანუ დატაკად). დღეისათვის მიღებულია, რომ, თუ ადამიანს შეუძლია დღეში დახარჯოს 2 აშშ დოლარი, იგი ითვლება სიღარიბის ზღვარს მიღმა, ხოლო თუ ადამიანს დღეში 1 აშშ დოლარზე მეტის დახარჯვა არ შეუძლია, იგი დატაკის კატეგორიას მიეკუთვნება. ასეთი დატაკი მოსახლეობის ხვედრითი წილი, 1990–2003 წლების მონაცემებით, შეადგენდა: მაღაში 72,3%-ს, ნიგერიაში 70,2%-ს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკებში 66,6%-ს, მადაგასკარში 61,0%-ს და ა. შ.

სიღარიბის დონე მაღალია არა მარტო აფრიკასა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის გზას დაადგენენ, მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა, მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბის პრობლემას აქ ჯერ კიდევ 2003 წელს მიექცა ყურადღება. მსოფლიო ბანკისა და გაეროს გაერთიანებული პროგრამით საქართველოს მთავრობამ მუშაობა დაიწყო სიღარიბის დაძლევის პროგრამის შექმნაზე. 2003 წელს მიღებულ იქნა პროგრამა „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის“ შესახებ (რომელსაც ხელმძღვანელობდა მაშინდელი ვიცეპრემიერი თემურ ბასილია). საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ აღნიშნული პროგრამის „წარმატებით“ განხორციელების შემდეგ არათუ იკლო ქვეყანაში ღარიბი მოსახლეობის რაოდენობამ, არამედ კიდევ უფრო იმატა. საქართველოში მოსახლეობის უმეტესობას არ შეუძლია დაიკმაყოფილოს სურსათზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, რისთვისაც საჭიროა დღელამეში 2500 კკალორიის სურსათის მიღება. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ ცომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

დღეისათვის საქართველო ერთ-ერთ ღარიბ ქვეყნად იმიტომ ითვლება, რომ ქვეყნის მოსახლეობის 50%-ზე მეტი უმუშევარია და ვინც მუშაობს, მათი ხელფასი ვერ აკმაყოფილებს საარსებო მოთხოვნებს. ქვეყნის მშპ-ის მოცულობამ ვერ მიაღწია 80-იანი წლების მაჩვენებლებსაც კი.

საქართველოს კომპეტენტური ექსპერტები (მაგ., ვ. პაპავა) მიიჩნევენ, რომ სიღარიბის შემცირება უნდა მოხდეს არა იმდენად შემოსავლების გადანაწილებით, არამედ ქვეყნის ეკონომიკური

განვითარების გზით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კერძო სექტორის განვითარების გარეშე შეუძლებელია. სწორედ კერძო სექტორის განვითარება უწყობს ხელს დასაქმების ზრდას, დასაქმებულთა შემოსავლების ზრდას და ამ გზით სიღარიბის შემცირებას.

ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას საფუძვლად უდევს იმ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება, რომელიც გააჩნია აღნიშნულ ქვეყანას. ბუნებრივ რესურსებს წარმოადგენს მიწა, წყალი, ტყე, სასარგებლო წიაღისეული და სხვა. თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნისათვის აღნიშნულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები უპირატესობით სარგებლობენ მაღალტექნოლოგიურ, მაგრამ ბუნებრივი რესურსებით ღარიბ, ქვეყნების წინაშე. საერთოდ ბუნებრივი რესურსების გარეშე შეუძლებელია არათუ ეკონომიკის განვითარება, არამედ არსებობაც კი.

ბუნებრივი რესურსებიდან ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური განვითარების ისეთ ფუძემდებლურ და უნივერსალურ ფაქტორს, როგორც არის მიწა. მიწას, როგორც წარმოების ძირითად საშუალებას, კაცობრიობა თავისი არსებობის შესანარჩუნებლად იყენებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია მიწასთან. მოსავლის მიღების მიზნით ადამიანი უძველესი დროიდან ამუშავებს მიწას, „აკულტურებს“ მას და ქმნის ეკონომიკურ ნაყოფიერებას. მიწის მოსავლიანობა დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ნიადაგი ქვეყნის, ერის სიმდიდრეა, აკადემიკოს ვ.ვ. დოკუჩაევის თქმით, ნიადაგი უფრო ძვირფასია ვიდრე წიაღისეული, ქვანახშირი, ოქროც კი. ადამიანს შეუძლია იარსებოს ოქროს გარეშე, ნიადაგის გარეშე კი არა.

ნიადაგის დაუფასებლობას სოფლის მეურნეობაში მიწის ფართობების შემცირებისაკენ მივყავართ, თუ ისინი მწყობრიდან გამოვიდნენ (ეროზიის, დამლაშების და ა.შ. გამო) სამაგიერო ფართობების ყიდვა ან იმპორტი შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია დეგრადირებული ნიადაგების რეკულტივაცია და აღდგენა, მათი ისევ წარმოებაში ჩართვა.

პლანეტაზე სიცოცხლის გასაგრძელებლად აუცილებელია საკვები, საკვები პროდუქტების წყაროს წარმოადგენს ველური ბუნება და სოფლის მეურნეობა. დედამიწაზე საკვებად ვარგისი მცენარეების 80 ათასი სახეობიდან სოფლის მეურნეობაში გამოიყენება 30, აქედან მხოლოდ 4 კულტურა – ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, კარტოფილი იძლევა უფრო მეტ სასურსათო პროდუქტს, ვიდრე ყველა ერთად აღებულად.


საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე წლითიწლოებით მცირდება. მაგალითად, თუ ხორბლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 1999 წელს იწარმოებოდა 51 კგ, 2006 წელს იგი შემცირდა 16 კგ-მდე. შესაბამისად შემცირდა სიმინდის წარმოება (110 კგ– 49 კგ), კარტოფილის (100კგ–38კგ), ბოსტნეულის (94კგ–41კგ) და აშ., რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობა შიმშილობს. იგი ვერ იკმაყოფილებს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს ადგილობრივი სამამულო წარმოების საკვებზე საშუალოდ 50%-თაც კი.

მოსახლეობის ზრდასა და სასურსათო უზრუნველყოფას შორის წინააღმდეგობა განსაკუთრებით ვლინდება, როდესაც ვეხებით მიწის რესურსების გამოყენების საკითხს. ერთი მხრივ, მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების ზრდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ზრდას მოითხოვს, ხოლო, მეორე მხრივ ადგილი აქვს ნაყოფიერი მიწების შემცირებას, როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, დადგენილია, რომ მიმდინარეობს ნიადაგის დეკუმინიზაციის პროცესი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაყოფიერების დაცემასა და ხარისხობრივად დაბალ კატეგორიებში გადაყვანის მიზეზია, ასევე აღინიშნება დიდძალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისამებრ გამოყენება (მშენებლობები, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, ნავთობსადენების ფართობების გაზრდა და სხვ.), ასევე საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობის 2006 წლის სტატისტიკური კრებულის მიხედვით, 2006 წლისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი მიწების 40% დაუმუშავებელია, რის შედეგადაც არის ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული საკვები პროდუქცია შემცირებული.

საშუალოდ კვების პროდუქტების მოხმარება 1990 წლიდან მკვეთრად შემცირდა. არც ერთი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს. ჩატარებულ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგად, დადგენილია, რომ ქვეყანაში არსებობს საკმაო სასურსათო პოტენციალი, რომლის რეალიზაცია დამოკიდებულია ადგილობრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობების რაციონალურად გამოყენებისა და აგრარული პოლიტიკის სწორ, მიზანმიმართულ გატარებაზე, რაც, სამწუხაროდ, დღეისათვის არასრულყოფილად არის გამოყენებული. საქართველოში საგრძნობლად შეზღუდულმა აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებამ და მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის დაქვეითებამ, რასაც ემატება მასიური უმუშევრობა, გამოიწვია ისეთი ნეგატიური მოვლენა,

როგორცაა საკვები პროდუქტების მოხმარების მნიშვნელოვანი დაქვეითება და რაციონის ჰიგიენურ-ფიზიოლოგიური ნორმების დაუცველობა. აქედან გამომდინარე, სამამულო სასურსათო პროდუქციის წარმოების მკვეთრად შემცირებამ იმპორტით მისი ჩანაცვლება გამოიწვია, რის შედეგადაც სასურსათო ბაზრის 50%-ზე მეტი იმპორტულმა საექვო ხარისხისა და წარმომავლობის პროდუქციამ დაიკავა. არასრულფასოვნად იკვებება (ვიტამინების, ცილების, იოდის და სხვ. ნაკლებობა) მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, რასაც მიყვავართ შრომისუნარიანობის დაცემამდე. სიღარიბე, არასაკმარისი კვება და ავადმყოფობა ერთად აღებული ქმნის ჩაკეტილ წრეს, რაც, სამწუხაროდ მომავალ თაობებს გადაეცემათ (იხ. სქემა 1).

სქემა 1



საქართველოში სიღარიბესთან ბრძოლა და მასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა, იგი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა. ამ ამოცანის დადებითად გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრარული პოლიტიკის გააქტიურებას, გლეხური და ფერმერული მეურნეობებისადმი მეტ ყურადღებას და, რაც მთავარია, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ოპტიმალურად გამოყენებას.

*Tina Chkheidze
Ketevan Kveladze*

**OPTIMAL USE OF LAND RESOURCE AS A TOKEN
OF POVERTY OVERCOMING**

SUMMARY

The article analyses negative results following the poverty. It is shown that the key to decrease the poverty lies in the use of agricultural lands; in getting rich agricultural food products by the implementation of modern agro technologies, in activating the agrarian policy.

მამუკა ხუსკივაძე

ბარემოს დაცვის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში და მათი გადაჭრის აუცილებლობა საქართველოში

საზოგადოების განვითარების ისტორიამ გვჩვენა, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იზოლირებულად, გარე სამყაროსაგან მოწყვეტით განვითარება. ეს ნათლად გამოჩნდა მე-20 საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფონზე, განსაკუთრებით კი უმნიშვნელოვანესმა ტექნიკურმა არსენალმა, კომპიუტერის, სატელეკომუნიკაციო მოწყობლობების, საინფორმაციო ნაკადის, გადაადგილებისა და ინტელექტუალური ურთიერთგაცვლის გახშირებამ ცხადყო სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციის აუცილებლობა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ განვითარდა ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირი, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა სფეროებში. 21-ე საუკუნის დასაწყისში სულ უფრო შესამჩნევი გახდა გლობალიზაციის გავლენა მსოფლიოს ქვეყნებზე, მიუხედავად მათი განვითარების სხვადასხვა დონისა, გამოიკვეთა და განვითარდა ქვეყნების ინტეგრაციისადმი მისწრაფების თავისებურება. მაგალითად, შესამჩნევად გამოიკვეთა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების აუცილებლობა. სულ უფრო მასიური ხასიათი მიიღო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, რომელიც დღეისათვის ყველა ეროვნული მეურნეობისათვის მაღალ საფეხურზე აყვანილი. ეკონომიკური გლობალიზაცია ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. მაგალითად, დასავლეთის ქვეყნებში ვალუტის კურსის მერყეობით შექმნილი პრობლემიდან თავის დაღწევის მიზნით, შემოდებულნი იქნა ერთიანი ვალუტა – ევრო, სწორედ ევროპული ვარიანტი საშუალებას იძლევა, ლიკვიდირებულ იქნეს სავალუტო კურსის გაურკვეველობა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც შეუერთდნენ ევროპულ სავალუტო კურსს [3]. ამრიგად, ევროპული ვალუტის – ევროს შემოდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ფინანსური ინტეგრაციის თვალსაჩინო მაგალითია.

რაც შეეხება გარემოს დაცვის პრობლემას, ეს საკითხი მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნისათვის უპირველესია. ეს პრობლემა ქვეყნებს არ აძლევს საშუალებას, ინტეგრაციის დროს აირჩიონ მათთვის ხელსაყრელი პირობები ან შეარჩიონ შესაფერისი პარტნიორები. გარემოს დაცვა ყველა ქვეყნისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, ამიტომ გარემოს დაცვის საკითხში სახელმწიფოთა გლობალიზაცია ობიექტურობას წარმოადგენს.

გარემოს დაცვის გლობალიზაცია პირდაპირ პასუხობს ტერმინ გლობალურის მნიშვნელობას. ტერმინი გლობალური (global) – ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს მთლიანს, ერთად აღებულს, რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს. გარემოს დაცვის პრობლემა მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის მტკივნეულია, რადგან ეკოლოგიურ ფაქტორს სახელმწიფო საზღვრები არ გააჩნია. ამის საუკეთესო მაგალითია ჩერნობილის კატასტროფის ტრაგედია¹. ეს მაგალითი გვიჩვენებს, მძლავრი ლოკალური ზემოქმედება, როგორ სწრაფად იწვევს გლობალურ ეფექტს. დიდი რაოდენობით პატარა ადგილობრივი ლოკალური ზემოქმედებები იწვევს გარემოს გლობალურ დეგრადაციას, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვას, მთელი რიგი მცენარეების და ცხოველების დაღუპვას, მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებას და მოწამვლას, შხამქიმიკატებით ბუნებრივი ეკოსისტემის (ტბების, ტყეების) მოშლას, ბიოსფეროში ყველა ეს არახელსაყრელი ცვლილება ზემოქმედებს როგორც ცოცხალ მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე, ისე ადამიანზე.

პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სხვა საკითხებში ქვეყნებს შორის ინტეგრაცია დამოკიდებულია მათ სახელმწიფო წყობაზე, მათ ორიენტაციაზე, მათ არჩევანზე, როგორი გზით სურთ განავითარონ ურთიერთობა ერთმანეთთან. რაც შეეხება გარემოს დაცვის საკითხს, ეკოლოგიური სიტუაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ უტოვებს ქვეყნებს ინტეგრაციის ფორმის არჩევანის საშუალებას, ყველა ქვეყანამ და სახელმწიფომ უნდა მიიღოს მონაწილეობა მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ეკოლოგიურ პრობლემებს მიეძღვნა 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული შეხვედრა უმაღლეს დონეზე პლანეტა „დედამიწის“

¹ ჩერნობილში რეაქტორის აფეთქების დროს ბირთვული საწვავის ნაწილი გარეთ გამოიფრქვა. მისგან შექმნილი რადიოაქტიური გაზების დრუბელი 3 დღეს ვრცელდებოდა უკრაინასა და ბელორუსიის ტერიტორიაზე, შემდეგ გაიყო ორ დრუბლად. ერთმა დაიწყო მოძრაობა პოლონეთსა და შვეიცარიისაკენ (მეოთხე დღე), შემდეგ გადაუარა საბერძნეთს, თურქეთს, ლიბანს, სირიას (მე-8 დღე). მეორე დრუბელმა გადაუარა ციმბირს და მე-18 დღეს მიაღწია ჩრდილო ამერიკას.

პრობლემის შესახებ. რიო-დე-ჟანეიროში მხარი დაუჭირეს მდგრადი განვითარების იდეას, რომელიც 1983 წელს წამოაყენა საერთაშორისო კომისიამ და მიიღო „დეკლარაცია გარემოს განვითარების შესახებ“, რომელშიც განხილულია მდგრადი განვითარების კონცეფციის არსი და მიზნები, რაზეც ორიენტირებული უნდა იყვნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნები განვითარების თავიანთი ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისას. მდგრადი განვითარების არსში იგულისხმება განვითარების ისეთი მოდელი, რომლის მიხედვით დაკმაყოფილდება როგორც ახლანდელი, ისე ყოველი მომდევნო თაობის ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნები, ყოველ ადამიანს შეეძლება პირობები თვითრეალიზაციისათვის, მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს და რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება.

ეს დოკუმენტი ასახავს მსოფლიო შეთანხმებებს და პოლიტიკურ ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს სახელმწიფოებმა განვითარებისა და ეკოლოგიური თანამშრომლობის საკითხში.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გეოგრაფიული ნაწილი (მცირე მაგრამ მაინც) მიუხედავად იმისა, სურს თუ არა სახელმწიფო მმართველობას გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, მაინც ექვემდებარება ამ საერთაშორისო პროცესს.

1995 წლის კონსტიტუციით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემო, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას.

1996 წელს მიღებულ იქნა კანონი გარემოს დაცვის შესახებ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კოორდინაციითა და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესი.

გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამას საფუძვლად დაედო მეცნიერული გამოკვლევები და სახელმწიფო ანგარიშები გარემოს დაცვის ისეთ სფეროებში, როგორცაა მოსახლეობის ჯანმრთელობა გარემოს მდგომარეობასთან მიმართებაში, ნარჩენების მართვა, მრეწველობისა და ენერგეტიკის სექტორთან დაკავშირებული ეკოლოგიური საკითხები, კლიმატის ცვლილება, ოზონის შრის დაშლა, ბიომრავალფეროვნება, სატყეო მეურნეობა, ეკოლოგიური განათლება, გარემოს დაცვის კანონმდებლობა და ინსტიტუციური მოწყობა და სხვა.

გარემოს დაცვის კუთხით ჩვენ შევხებით გლობალიზაციის საკითხის ერთ-ერთ პრობლემას, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, ეს არის გარემოს დათბობის საკითხი.

დედამიწაზე კლიმატური ცვლილებები გამოწვეულია დამატებითი კვალსაბურის ეფექტით, რის გამოც 1860 წლიდან დედამიწაზე ტემპერატურამ აიწია 0,5-0,7⁰ C-ით. კვალსაბურის ეფექტის გამომწვევ

გაზებს მიეკუთვნება CO₂, NO და ფრენი, რომლის გამოყენება დაკავშირებულია მრეწველობის განვითარებასთან.

1994 წლის ოქტომბერში საქართველო შეუერთდა კონცეფციას კლიმატის ცვლილების შესახებ. 1996 წ. საქართველოს პრეზიდენტის №630 ბრძანებულებით შეიქმნა კლიმატის ცვლილების პრობლემათა სახელმწიფო კომისია. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონცეფციის ფარგლებში ქვეყნის ვალდებულებათა შესაბამისად კლიმატის ცვლილებისადმი ადეკვატური ადაპტაციის ღონისძიების და კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამისა და სამოქალაქო გეგმის შემუშავების შესახებ. შეიქმნა კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრი.

სათბურის აირებიდან საქართველოში უმთავრესად გაიფრქვევა ნახშირორჟანგი (სათბობის წვიდან), სათბურის ეფექტის მიხედვით, ამ აირის წილი საერთო ემისიაში 78 %-მდე შემცირდა 1990-1997 წლებში, მაგრამ ბოლო დროს შეინიშნება მისი ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ეკონომიკის კვალობაზე, გაიზარდა ნახშირორჟანგის ემისიებში ავტოტრანსპორტის როლი.

კლიმატის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა შეაფასა საქართველოში კლიმატის ცვლილების გავლენის ინტენსივობა, საქართველოს მგრძობიარობა კლიმატის ცვლილებებისადმი. კერძოდ გააანალიზა საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილება ბოლო 80-100 წლის მონაცემთა მიხედვით და დაადგინა ცვლილებათა ზოგადი ტენდენციები: ტემპერატურისათვის - 0,5 °C დათბობა აღმოსავლეთ საქართველოში და 3 °C აგრილება დასავლეთ საქართველოში. ნალექების 10-15 %-ით ზრდა საქართველოს ბარის მთელ რიგ რაიონებში და 15-20 %-ით შემცირება კავკასიონის მთიან რაიონებში.

ამრიგად, ატმოსფეროს აიროვანი რეჟიმის შეცვლა განაპირობებს კლიმატის ცვლილებას და იწვევს ეკოლოგიური და სოციალური ხასიათის ძვრებს ბიოსფეროსა და მსოფლიო თანასაზოგადოებაში.

საქართველოს გარემოსდაცვით პოლიტიკას აფიქსირებს 1995 წლის კონსტიტუციის 37-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი.

საქართველოს ხელისუფლება აღიარებს, რომ ეკოლოგიური პრობლემები განხილული უნდა იქნეს, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი. 1996 წელს მიღებულმა კანონმა „გარემოს დაცვის შესახებ“ შექმნა სამართლებრივი საფუძველი გარემოს დაცვის პოლიტიკის შემუშავების შესახებ და ამ სფეროში ინსტიტუციური მოწყობისათვის.

სახელმწიფო ღონეზე შემუშავებული გარემოს დაცვის ღონისძიებათა შორის ძირითადია ბუნებრივი რესურსების დაცვის

ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის სტიმულირებისაკენ.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. მდგრადი განვითარების ეროვნული შეფასების ანგარიში. გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტრო, 2007.
2. **კაკულია რ.** გლობალიზაცია და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის პრობლემები საქართველოში. მეცნიერება. ტ. III, 2003.
3. **არევაძე ნ., ჩხეიძე თ.** გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა - საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემა საქართველოში, ტ. 4, 2004.
4. **მეჭვანიშვილი ე.** ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. ჟ. სოციალური ეკონომიკა, №7, 2007.
5. **პაპავა ვ., ჩოხელი ვ.** "ახალი ეკონომიკა", გლობალური ეკონომიკური კრიზისის რუსული სცენარი და საქართველოს ეკონომიკური სტრატეგია-საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომითი კრებული. ტ. III, 2003.
6. **Поздняков В. Я.** Экономика природопользования, М., 2003.

Mamuka Khuskivadze

THE PROBLEMS OF ENVIRONMENTAL PROTECTION IN GLOBALIZATION AND THE NECESSITY OF THEIR SOLUTION IN GEORGIA

SUMMARY

The problems of environmental protection are very painful for all countries, because ecological factor has no political border.

Georgian government suggests that ecological problems should be discussed as an indivisible part of economic and social development strategy.

Agnieszka Mozyro

THE INFLUENCE OF THE ECONOMIC CRISIS ON SOCIAL TRANSFORMATIONS IN LITHUANIA

Introduction

World financial crisis, the result of which is economic and social breakdown, was originally the internal problem of the US but 2008 it moved consecutively to other states. It infected the entire European Union with no exception. The three Baltic states, Lithuania, Latvia and Estonia – yet until recently called European (or Baltic) tigers due to their highest growth rates among the EU members between 2004 and 2006 – are currently ones of the most crisis-affected countries of the world.

The focus of the present compilation is the phenomenon of the economic crisis in the Republic of Lithuania and its social effects. In the article will be covered run and after-effects of the crisis on macrostructural level of state functioning, as well as its repercussions in the area of social microstructures.

The Social After-Effects of the Economic Crisis in Lithuania

2009 the Republic of Lithuania came to the most serious harm among all the EU member states. After announcing indices for the second quarter of the year 2009, Lithuania took over Latvia's inglorious status of the country with the largest GDP decrease in the entire EU. The Lithuanian Statistical Office disclosed that Lithuanian economy narrowed by 22.4 per cent if compared to the corresponding period in the year before. The Office announced in its release that GDP decrease was caused by breaking down industry and narrowing consumption[9].

The Lithuanian officials are trying to cut down on budget expenditures as much as possible and rise taxes simultaneously. Since January 2009 the income tax in Lithuania has increased from 15 to 20 per cent and most of tax allowances have been lifted, e.g. concessionary five-per-cent value added tax for drugs, fresh, chilled and frozen meat, fish, fruits, vegetables and transport of the passengers went up to 19 per cent at present[5]. Since January 1st 2009 the excise for fuel, alcohol and cigarettes has also been raised; as well as gas heating has appreciated. In July 2009 VAT rise from 19 to 21 per cent was passed, as well as another cut-back in public sector [6].

One can observe some macrostructural crisis after-effects. These are deterioration of medium- and long-term economic perspective, inhibition or inversion of tendency towards economic development, growing public expenditures and national debt, limiting of international trade activity and inhibition of foreign investments.

The economic crisis influenced the social reality in Lithuania in a very negative way. The world financial crisis and rapidly deteriorating economic condition of Lithuania caused that level of pessimism 'is breaking records' there. 2008, 68 per

cent of the Lithuanian people were expecting coming new 2009 year in negative frame of mind. They were of the opinion that the next year would be for them worse than the ending one. Within twelve months the number of pessimists increased by 36 percentage points, according to mass observation conducted December 4th-14th 2008 by “Baltijos tyrimai” company with participation of 1003 residents of the country [5]. The habitants of Vilnius and Kaunas expressed their disappointment by public protests against current condition. Such mood was caused not only by the crisis itself but also by governing right-center coalition’s predictions that the crisis will require the Lithuanian people to tighten their belts.

Almost exactly a year later (December 14th-16th 2009) Prime Consulting institute conducted a verifying poll in a representative group of 500 persons. It ensues from this that the year 2009 was unsuccessful for more than a half of the Lithuanians (51.4 per cent), and two thirds of them (70 per cent) rated it among the most difficult ones within last two decades, i.e. since Lithuania regained its independence [8]. The reasons for such bad notes are economic crisis in Lithuania and caused by it deteriorating financial condition of the citizens. The Lithuanian society is characterized by a large diversity and occurrence of large poverty area, what is being intensified at the moment and therefore becomes a particularly burning problem. One of the main factors for Lithuanian poverty syndrome was unemployment and later also low wages. In February 2010 according to Lithuanian Statistical Department, the unemployment rate in Lithuania amounted 13.9 per cent, in other words circa 299.5 thousand of countrymen were unemployed and were on doles [4]. Experts consider, however, that real unemployment rate (including hidden unemployment) passes the level of 15 per cent and is one of the highest ones in the EU. With worse condition we have to do only in Latvia. The Statistical Department’s datas indicate that within 2008 the unemployment level in Lithuania increased more than twofold, and 2009 the number of unemployed persons is more than threefold higher than previously [3].

The growth in unemployment rate is accompanied by the growth in emigration. Forecasts assuming that the world economic crisis would lessen the rate of economic emigration from Lithuania turned out to be wrong and number of persons leaving the country is growing. It ensues from Lithuanian Statistical Department’s datas that within 2009 circa 22 thousand of people emigrated from Lithuania, this is 30 per cent more than in the analogous period of 2008. However, it is unofficially supposed that the number of emigrants was around 30 thousand. This number is largest since 1990 and the emigration is obviously of economic nature [3]. During the period of prosperity many young people gave up education in schools and universities to start working, mainly in building. They tended to buy cars and flats on credit and

now they have nothing to repay it from. The Lithuanians emigrate mostly to Great Britain – 26 per cent, Ireland – 12 per cent, the USA – 11 per cent and Germany – 8 per cent. It is estimated that approximately 350 thousand of the Lithuanians are working abroad at present, what accounts for circa 10 per cent of the Lithuania's population [7].

In such conditions the future demographic situation of this Baltic state is believed to be disastrous. In November 2009 Lithuania numbered 3,333 m of habitants (that is 16.5 thousand less than in January 2009). According to Eurostat's prognose, only about 2.5 m people will live there 2060. Furthermore, if currently the majority of the Lithuanian society are people between 15 and 50 years of age, in fifty years time there will be much more people being after 60 years of age [2].

The economic breakdown influences not only the growth in emigration but also intensification of such social pathologies like delinquency. According to Lithuanian Department of Police, the total number of crimes in Lithuania increased within eleven months of 2009 by 4 per cent in comparison with the previous year 2008. More than a half of the total number of crimes are thefts. Shops and trade centers are mostly the subjects to such acts. Here the number of thefts and cases of shoplifting increased by 18 per cent within one year. The Lithuanian police assert that the situation is not dramatic yet but they estimate that number of crimes can increase even by 25 per cent within a few months [1]. The thieves (and shoplifters) steal not only food, alcohol and cigarettes but also TV sets, hardware or even refridgerators.

In the condition of sudden growth in poverty in Lithuanian society, one can see a tendency towards bigger tolerance for various kinds of deviant behaviors, among others for encroaching on social services. On the other hand, the level of the public services is very low and needs serious and positive reforms; notwithstanding the perspectives for such changes are not bright. Instead of slow but going in right direction changes, even a retreat from them can be expected. Moreover, a further tolerance for low quality of health services, justified by the crisis, is to be observed.

Social community's capacity to survive can be a way towards release from deepening social-economic crisis, which – in the conditions of so far unknown threats – challenges civil society to rebuild social solidarity. The Lithuanian government's drift into reducing social politics enforces the citizens to 'grasp' at some forms of solidarism. Especially important is self-organizing in the educational area in order to gain new resources of social and informative capital. It is to notice that the crisis does not destroy societies physically but it almost always deforms or degrades them. In such conditions the key challenges are: to minimize crisis-created areas of alienation, poverty and anomie, to avoid excessive lowering of institutional standards, what can

be exemplified by the spread of underground economy or devaluation of ethic norms (acquiescence for corruption and dishonesty when claiming public money or services). Restructuring, concentrating of the control over capital streams, that would give hope for a technological jump, and eventually a radical inhibition of artificially driven consumption and disciplining of the society can be reasons for the future development that is necessary to face new challenges in a global scale.

REFERENCES

1. Akińczo A.: Święta i kryzys wpływają na wzrost przestępczości.
<http://polonia.wp.pl/title,Swieta-i-kryzys-wplywaja-na-wzrost-przestepczosci,wid,10695988,faq.html?ticaid=1970a&ticsrn=3#czytajdalej>
2. Gedris E.: Wszędzie dobrze, bo w domu (nie) najlepiej.
<http://kurierwilenski.lt/2010/03/19/wszedzie-dobrze-bo-w-domu-nienajlepiej/>
3. Janczys W.: Kryzys skończy się w 2015 roku.
<http://kurierwilenski.lt/2010/01/05/kryzys-skoczy-sie-w-2015-roku/>
4. Janczys W.: Przed nami długie wyjście z dołka.
<http://kurierwilenski.lt/2010/03/15/przed-nami-dlugie-wyjscie-z-dolka/>
5. Kryzys sprawił, że nastroje na Litwie są bardzo złe.
<http://gospodarka.gazeta.pl/gospodarka/1,33181,6108410.html>
6. Pietraszek P.: Spadek PKB na Litwie największy wśród wszystkich państw UE.
<http://www.psz.pl/tekst-22075/Sposrod-wszystkich-krajow-UE-spadek-PKB-na-Litwie-najwiekszy>
7. Rośnie emigracja zarobkowa Litwy.
http://forsal.pl/artykuly/112364,rosnie_emigracja_zarobkowa_z_litwy.html
8. To nie był dobry rok. http://kresy24.pl/showNews/news_id/9518/
9. Toniećcie gospodarcze na Litwie.
http://forsal.pl/artykuly/340535,tapniecie_gospodarcze_na_litwie.html

Agnieszka Mozyro

THE INFLUENCE OF THE ECONOMIC CRISIS ON SOCIAL TRANSFORMATIONS IN LITHUANIA

SUMMARY

The economic crisis, as the result of world financial breakdown, made the Republic of Lithuania come to very serious harm. Concrete datas point out frightening after-effects of the crisis in the macrostructural state's operating area (i.e. drastic GDP decrease, lots of business failure, quitting or significant keeping down an economic

activity by companies, pulling foreign capital and investments out, incapability of the government to cope with the market position of the state). The recession was equally fateful in the social microstructures' area; very quickly increasing unemployment and pauperism of many people, mass abroad migration of Lithuanian citizens, growth in delinquency in the state, which caused rise in social discontent and decrease in the level of social capital, are particularly meant. These phenomena are becoming the root of the social-political tensions in Lithuania, that can be notably frequently found in the nationalistic conflicts area.

Present analyses prepared regularly by many survey institutes in Lithuania would indicate that at present there is no hope for economic miracle and prompt rebound, because the state lacks relevant tools and opportunities for it. Nothing more than a slow, perhaps over dozen years or so lasting comeback to the level Lithuania reached 2008 can be expected.

კონფერენციის მონაწილეები

1. **აბესაძე რამაზ** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი
2. **აბესაძე ნინო** – თსუ ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
3. **ათანალოშვილი თამარ** – თსუ ასისტენტ-პროფესორი, აკადემიური დოქტორი
4. **АЛИЕВА Г.Т.** – Доцент кафедры «Международных экономических отношений», Азербайджанского Государственного Экономического Университета
5. **АМАНБАЕВ М.Н.** – Директор Международной бизнес-школы при Казахском экономическом университете им.Т.Рыскулова
6. **ანანიშვილი იური** – თსუ სრული პროფესორი, ემდ
7. **არევაძე ნანული** – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
8. **არნანი-კეკელიძე თამილა** – ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, თომას ბატას უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა
9. **ასათიანი როზაშა** – ემდ, პროფესორი
10. **АФОНИНА А.Г.** – Соискатель, ассистент кафедры мировой и региональной экономики экономического факультета Пермского государственного университета

11. **ბაბუაძე ნუზუარ** – აკადემიური დოქტორი, პროფესორი
12. **ბალახაშვილი შანა** – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი
13. **БАРЫШЕВА С.К.** – КЭН, КазЭУ им.Т.Рыскулова
14. **ბერიშვილი ხათუნა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
15. **ბერიძე თეიმურაზ** – ემდ, პროფესორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სრული პროფესორი
16. **ბერუაშა ბიორბი** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
17. **ბიბიაშვილი ნანა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
18. **БОБРЫВНИК Л.Д.** – Национальный Университет Пищевых Технологий (Украина, Киев)
19. **ბოჭორიძე ლელა** – სტუ ასოცირებული პროფესორი, ტმკ
20. **ბუღაშვილი ვახტანგ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
21. **ბამბახაშვილი თამარ** – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის პროგრამის სრული პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
22. **ბგვარამია ნაზი** – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ასოცირებული პროფესორი
23. **ბგვალსიაიანი რევაზ** – თსუ ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი
24. **ბელაშვილი მაღონა** – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
25. **ბობიაშვილი შალვა** – თსუ ასოცირებული პროფესორი
26. **ბობიაშვილი ნინო** – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
27. **ГРИНБЕРГ Р. С.** – Директор Института экономики РАН, Член-корреспондент РАН
28. **ბუნია ნიკოლოზ** – მათემატიკის დოქტორი
29. **დავლათაშვილი ნატა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
30. **დათუნაშვილი ღინა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
31. **დათუნაშვილი მარია** – ეკონომიკის მაგისტრი
32. **დავნიანი ნინო** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
33. **დასასაპეიძე ნინო** – სტუ-ს დოქტორანტი
34. **დვალაშვილი ლია** – პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
35. **ელიაშვილი ლია** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
36. **ქიქოძე-ბერიშვილი გულნაზი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
37. **ЕСПЕРГЕНОВА Л.Р.** – старший преподаватель Университета международного бизнеса (Казахстан)
38. **ვეშაბაძე შოთა** – „ევროპული უნივერსიტეტის“ რექტორი, ემდ, სრული პროფესორი
39. **ზარნაძე გუგუზი** – სტუ-ს დოქტორანტი
40. **ჯუბიაშვილი მზია** – სტუ-ს აკადემიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
41. **თაყაიშვილი თამარ** – მეცნიერი თანამშრომელი
42. **თეთრაული ციციანი** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
43. **თოდუა ნუზუარი** – თსუ სრული პროფესორი

44. **თოთლაძე ლია** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
45. **Исмаилов Э.** – КЭН, директор Института стратегических исследований Кавказа
46. **კანდელაკი თეიმურაზ** – ემდ, საქართველოს სახელმწიფო აგარარული უნივერსიტეტის სატყვე დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი
47. **პაპულია ვითერ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
48. **პაპულია ნაზირა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
49. **კახნიაშვილი ნათია** – თსუ-ს დოქტორანტი
50. **КЕЛЕНДЖЕРИДЗЕ М.Б.** – Вице-президент по внешнеэкономической деятельности Международной Компании «Т.Э.Б» (Россия), Руководитель Грузинского Филиала «ГРУ-ЗБИОЭНЕРГЕТИКА»
51. **კვარაცხელია მურმან** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
52. **კოლაშვილი პაატა** – ემდ პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
53. **კუნჯულია თამაზი** – ემდ პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
54. **კურატაშვილი ალფრედ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
55. **ლაზარაშვილი თეა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ, სრული პროფესორი
56. **ლაზარიაშვილი თამარ** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
57. **ლაზარჩი ამთაბლი** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სსიპ „აგარარული ეკონომიკის ინსტიტუტი“-ს დირექტორი
58. **ლომინაძე დინარა** – თსუ დოქტორანტი
59. **ლიპარტია ზურაბი** – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
60. **მანუშრაძე გიბა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
61. **მამუკელაშვილი დავით** – „მევენახეთა კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე
62. **მასურაშვილი იოსებ** – თსუ ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
63. **MAKSTUTIS ANTANAS** – профессор, доктор социальных наук (менеджмент)
64. **მელაშვილი მელა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
65. **მესხია იაშა** – ემდ, პროფესორი
66. **მეჰვარიშვილი ელბუჯა** – თსუ სრული პროფესორი, ემდ
67. **მეჩანეთიშვილი ეპატარიონ** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
68. **МИРЗОЕВ АЯЗ НИЗАМИ ОГЛЫ** – Аспирант Азербайджанского Государственного Экономического Университета
69. **მიძატაძე ვირა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
70. **მიძიაშვილი ნინო** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ემკ
71. **МОЗЫРО АГНЕСКА** – докторант и ассистент на кафедре социальных микроструктур и современных социологических теорий (Люблинский Католический Университет им. Иоанна Павла II)
72. **მოლაშვილი დიმიტრი** – სტუ-ს დოქტორანტი
73. **მღებრიშვილი ბაბულია (ლოლო)** – ეკონომიკის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ პროფესორი
74. **ნათელაური იზა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
75. **ნაცვლიშვილი ია** – თსუ ასოცირებული პროფესორი
76. **НГУЭН ТХИ ХАЙ ХАНГ** – PhD, Бата Университет в Злине (Республика Чехия)

77. **ნოზამი ზურაბ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
78. **ნუცუბიამ თამილა** – ემკ, მოსკოვის ეკონომიკის, სტატისტიკის და ინფორმატიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი
79. **ნუცუბიამ ხათუნა** – სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის ასპირანტი
80. **ოსამი ლალი** – გორის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
